



ს ს რ ა ნ ი

მუკამმადისა

ზირველად გამოცემული

Handwritten text, possibly 'H. S. K. W.' or similar, in the center of the page.

ტ ფ ი ლ ის ი

„შრომა“, ამხანაგობისა. ვლექტრომბეჭდავი მიხეილის პრ., № 65.

1906

კანონმდებლობა

~~1-2~~
~~2-17~~

კ უ რ ა ნ ი

საკანონმდებლო

მუშაობისათვის.

შინ არ გაიყვანება

2/659



K2/007
2

საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია
საქმის რეგისტრაციის განყოფილება
1996 წლის 189
/39588

თ ბ ი ლ ი ს ი

ელექტრომბეჭდვა, ადმ. „სრომა“, მიხეილის პრ., № 65.
1906

Дозволено цензурою. Тифлисъ, 2 ноября 1905 г.

3 2 6 1 6 0

კ უ რ ა ნ ი

თავი პირველი

ნახობების შექმნა.—7 მუხლი.

სახელითა

ღვთისა

მოწყალისა და შემწყნარებლისა

1. აქებდით ღმერთსა, ქვეყნის მეუფესა,
2. მოწყალესა, შემწყნარებელსა,
3. უფალსა განკითხვის დღესა.
4. შენ თაყვანსა გცემთ, შენ გვედრებით შეწევნასა.
5. დაგვადგინე სიმართლის გზასა,
6. გზასა მათსა, რომელნიც ალავე შენის სიკეთითა,
7. არა მათსა, რომელთაც მოიწიეს შენი რისხვა, არცა მათსა, რომელნიც ჰსცდებიან.

თ ა ვ ი II.

უ უ რ ი.

ნახაძეებია შედინეს.—286 მუხლი.

ს ა ხ ე ლ ი თ ა

ლ ვ თ ი ს ა.

მოწყალისა და შემწყნარებელისა.

1. ა. ლ. მ. აჰა უეკველი წიგნი და წარუძმართოს მათ, რომელთაც ეშინიათ ჯფლისა;
2. მათ, რომელთაცა ჰსწამსთ, რაც უხილაფია, რომელნიცა ლოცვას ნამდვილად აღასრულებენ და ჩვენ მიერ მინიჭებულ კეთილს უხვად გაიღებენ;
3. მათ, რომელთაც შენდამი და შენს უწინარეს მალლით მოვლინებული გამოცხადება ჰსწამსთ; მათ, რომელთაც მომავალი ცხოვრება ნამდვილადა ჰსწამსთ.
4. უფალი მხოლოდ მათ წარუძღვეს, ნეტარ იქმნენ მხოლოდ იგინი.
5. ურჯულოთათვის სულ ერთია, გააფრთხილო, თუ არა არა იწამონ.
6. ღმერთმა მათ გულსა და ყურსა ბეჭედი დაასვა; თვალეები ახვეული აქვსთ და ფიცხი სასჯელი მოეღისთ.
7. ზოგიერთები იტყვიან, ღმერთი და უკანასკნელი დღე გვრწამსო, მაგრამ მორწმუნედ მაინც არ ითვლებიან.
8. ღვთისა და მორწმუნეთა მოტყუებას ცდილობენ, მაგრამ მარტო თავიანთი თავი მოატყუონ და არცა უწყოდენ.
9. გულში უზისთ უძღურება და ღმერთმა განაფრცოს იგი; სამწუხარო სასჯელია მათთვის გამზადებული, რადგანაც წინასწარმეტყველები ჩასთვალეს მატყუარებად.
10. როცა მათ ეტყვიან, ქვეყნად უწესოებას ნუ ჰსჩადი-

სულს ველარ დაეხმაროს, რითაც უნდა იყვეს, ოდეს შუამავლობა მისი არავითარი იქმნეს შეწყნარებულ; ოდეს საფასე არავითარი იქმნეს მიღებულ მისგან; ოდეს უკეთურებს შველა სრულიად აღარ ექმნეს.

46. მოიგონეთ დღე, ოდეს დაგიხსენით სახლეულობისაგან ფარაოსა, რომელიც მკაცრის სატანჯველით გჩაგრავედათ; ოდეს თქვენს ვაჟებს ჟღერდენ და მხოლოდ თქვენს ქალიშვილებს ზოგავდენ. იგი იყო მძიმე განსაცდელი თქვენის უფლისაგან.

47. მოიგონეთ დღე, ოდეს ზღვა გავაპეთ თქვენთვის; ოდეს თქვენ დაგიხსენით, ხოლო ფარაო თქვენ თვალთა წინაშე დავლუბეთ.

48. დღე, ოდეს დავდევით ჩვენი აღთქმა მოსესთან ორმოცი დღისა და ღამის განმავლობაში; ხოლო მის დაუსწრებლად თქვენ მოიღვეით ხბო თაყვანსაცემლად და უსამართლოდაც მოიქეცით.

49. შემდგომ გაპატიეთ, რათა დამნახველ ყოფილიყავით.

50. მოსეს მივეცი თ წიგნი და განსხვავება თქვენდა დასაყენებლად სიმართლის გზაზე.

51. მოსემ უთხრა თავისს ერსა: თქვენს თავს უსამართლოდ მოვუყარით ხბოს თაყვანისცემითა. თქვენის გამჩენის მიმართ მოიქეცით, ან სიკვდილი ირჩიეთ; უფრო გამოგადგესთ მის წინაშე. მან მოგხედოსთ თქვენ (გაპატიოსთ), ვინადგან მას უყვარს მოხედვა შემნანებლის მიმართ; იფია შემწყნარებელი.

52. მოიგონეთ დღე, ოდეს მოსეს უთხარით: მოსე, რწმუნება არავითარი მოგანიჭოთ, ვიდრე ღმერთი ცხადად არ ვიხილოთო. ცისიერი ცეცხლი გეკვეთათ, ოდეს ზე იყურებოდდით.

53. სიკვდილის შემდეგ აღვადგინეთ, რათა დამნახველ ყოფილიყავით.

54. თქვენ თავთა ზემო ღრუბელი ვაცორვეთ, მანნა და შწყერი მოგივლინეთ და გითხარით: შჯამეთ ჩინებული სანო-ვაგე, რომელიც მოვანიჭეთ. ბოროტი ჩვენ კი არა, თავიანთ თავს უყვეს.

55. მოიგონეთ დღე, ოდეს ჩვენ უთხარით ისრაელებსა: შედით ე იმ ქალაქში, დაჰსტკბით სიკეთითა, რომელიც შიგ იპოება, თქვენის სურვილისამებრ; ხოლო, შეხვალთ რა ქალაქში, განერთხენით და ჰსთქვით; შენდობა უფალო! და მან-ცა შეგინდოსთ ცოდვები. უეჭველად აღვაფსოთ კეთილნი ჩვენის წყალობითა.

56. ხოლო უკეთურებმა მათთვის დანიშნული სიტყვა მეორე სიტყვად შესცვალეს და ჩვენც გადმოვავლინეთ ზეცით სასჯელი სასყიდლად მათის ორგულობისთვის.

57. მოსე წყალს ევედრა ღმერთსა თავისის ერის დასარწყულებლად და ჩვენც უთხარით: ეგ შენი კვერთხი აკვეთე კლდესა. თორმეტი წყარო გადმოსკდა უეცრად და თვითოეულივე ტომი მაშინვე მიხვდა ადგილსა, სადაც უნდა დარწყულებულიყო. ისრაელის შვილებს უთხარით ჩვენ: შჯამეთ და სვით კეთილი, რომელსაც ღმერთი გიბოძებსთ და ძალადობით კი ნუ მოიქცევით ამ ქვეყნად, სხვა და სხვა უწესოების ჩამდენნი.

58. მაშინ ჰსთქვით: მოსე, არ შეგვიძლია, დიდხანს ავიტანოთ ერთი და იგივე საჭმელი; შენს უფალს ევედრე, რათა აღმოგვიცენოს მიწის ნაყოფი: მწვანილი, კიტრი, ოსპი, ნიორი და ხახვიო. მოსემ მოგიგოთ, გინდათ, კარგი ავში გასცვალოთ? მაშ ეგვიბტეს ჩადით, იქ ჰპოოთ, რასაც თხოვილობთ. თავის დამცრობა და სილატაკე გავრცელდა მათ შორის და ღვთის რისხვა ეწიათ, რადგანაც მისი სასწაულები არ იწამეს და თავიანთი წინასწარმეტყველები უსამართლოდ დახოცეს. აი-რა სასყიდელი იყო მათის ამბოხებისა და მათის მძლავრობისათვის.

59. უეჭველად, ვისაცა ჰსწამსთ და ვინც ებრაულ სარწმუნოების მისდევენ, ქრისტიანენიცა და საბეველნიც, ერთის

სიტყვით, ვისაც კი ღმერთი და უკანასკნელი დღე ჰსწამს და ვინც კეთილი ჰქმნას, ყველამ საჩუქარი მიიღოს თავიანთი უფლისაგან; შიში არ ეცეს მათ და არც შეწყუბდენ.

60. მოიგონეთ დღე, ოდეს თქვენი აღთქმა მივიღეთ და ოდეს თქვენ თავთა ზემო სინას მთა ავმართეთ; მაშინ ვთქვით: სიმტკიცით მიიღეთ სჯულნი, რომელნიც გიბოძოთ და გახსოვდესთ, რასაც იგინი შეიცვენ. ეგება, ღვთის შეგეშინდესთ.

61. ხოლო შემდგომ დაჰშორდით და ღვთის მოწყალება და მისი გულშემატკივრობა რომ არ ყოფილიყო, გაუბედურდებოდით. შეტყობილი გაქვსთ, თუ ვინ იყვნენ შაბათის გამტეხნი და ვისაც ჩვენ უბრძანეთ: მაიმუნებად იქეცით და ზღვის პირად მიედინეთ.

62. იგინი გავხადეთ საშინელ მაგალითად თავიანთ დროინდელთა, თავიანთ შთამომავალთათვის და ყველას გასაფრთხილებლად, ვისაც კი ეშინიათ.

63. მოიგონეთ დღე, ოდეს მოსემ უთხრა თავის ერსა, ღმერთი გიბრძანებსთ ფურის შეწირვასო; ისრაელებმა დაღადჰყვეს: დაგვცინით თუ! უთხრა, ღმერთმა დამიფაროს, ვიყვე უგუნურთაგანიო!.. ისრაელებმა მიუგეს, შენს უფალს ევედრე, ნათლად აგვიხსნას; თუ როგორი უნდა იყვეს ფური-იგიო, — უთხრა, ღმერთს ჰნებავსო, არც ბებრეკი ფური იყვეს, არცა დიაკეული, არამედ შუათანა ხნისაო. მაშ ადასრულეთ, რაც გებრძანათ.

64. ისრაელებმა დაჰსძინეს: შენს უფალს ევედრე, ნათლად აგვიხსნას, თუ როგორი უნდა იყვეს მისი ფერიო. მოსემ უთხრა, ღმერთსა ჰნებავს, ღია მოყვითანო იყვეს; ისეთი ფერისა, მისი მნახველის თვალი გაახაროსო.

65. შენს უფალს ევედრე, ნათლად აგვიხსნას, თუ როგორი უნდა იყვეს ფური იგი, ვინადგან ერთმანერთის მსგავს ფურსა მრავალსა ვპოვებთ და არც საკმაოდ მოძღვრებულვართ ჩვენს არჩევანში, უკეთუ იქმნეს ღვთის ნებისაო.

66. მოსე შეეცლია, ღმერთი გეუბნებათ, რომ იგი იყვეს

ხენისა და მინდვრის. რწყვისაგან მოქანცული კი არა, არამედ ისეთი ფური, რომელსაც ხარი არასოდეს მიჰკარებოდეს; რომ უნიშნო იყვესო.—ერმა მიუგო, ეხლა კი სიმართლე გვითხაროო. ფური შეჰსწირეს, მაგრამ რაღაც აკლდა მაინც.

67. მოიგონეთ ერთის თქვენებურის მოკვლა; იგი იყო თქვენის ცილობის მიზეზი. ღმერთმა ცხადად გამოაჩინა, რასაც ჰმალავდით.

68. ჩვენ ვბრძანეთ, ფურის ერთ-ერთი ასო დაეკრათ მკვდრისათვის. ღმერთი მიცვალებულებს ასე აღადგენს და თავის სასწაულს თქვენ თვალთა წინაშე გამოაბრწყინებს; ეგება, ბოლოს გაიგოთ. 10

69. მას აქეთ თქვენი გულია გაქვავებული, როგორც კლდე, და კიდევ უფრო მტკიცე, ვინადგან კლდეთა ნაკადულნი ჰსდიან; კლდენი ჰსკდებიან და წყალს ადინებენ; ზოგიერთნი ღვთის შიშით მოიხრიან თავსა და ღმერთმა თქვენი მოქმედება არა უგულვებელ ჰყოს.

70. გწადიათ ეხლა, მუსულმანებო! რათა იზინი (ამდროის ებრაელები) თქვენებრ მორწმუნე (თქვენდა მოსაწონებელ დ) შეიქმნენ? ზოგიერთი მათგანები ღვთის სიტყვას დიახ ემორჩილებოდენ, მაგრამ შემდგომ გადაასხვაფერეს იგი, რაკი მიხვდენ და კარგადაც უწყოდენ.

71. თუ მორწმუნეთა შეხვდენ, იტყვიან: ჩვენა გვრწამსო; მაგრამ თუ მარტო ერთმანერთი ნახეს, ლაპარაკობენ: უნდა უამბოთ განა მუსულმანებს, რაც ღმერთმა გამოგიცხადათ, რათა თქვენ წინააღმდეგ საბუთად გაიხადონ თქვენის უფლის წინაშეო? ნუ თუ არ გაგეგებათ, თუ ამას რა მოჰსდევს?

72. არ იციან, რომ ყოვლად უზენაესმა უწყის, რასაც ჰმალვენ ისე, როგორც ის, თუ რასაც ცხადად შერებიან?

73. მათ შორის უმეტესობამ იცის წიგნი (დაბადება) კი არა, არამედ მხოლოდ მოჭორებული ზღაპრები და გონებაც ბუნდოვანი აქვს. ვაი მათ, რომელნიც გამრყენელის ხელით ჰსწერენ რა წიგნსა, იტყვიან, აი ღვთისაგან რა მოდისო, რა

თა მისგან უკანასკნელი გამორჩენა ექმნესთ! ვაი მათ მის გამო, რაც მათ ხელს დაუწერია, და სარფისა გამო, რომელიც მისგან ეძლევათ!

74. იტყვიან, ცეცხლი თუ გვეწია, მხოლოდ რამდენსამე დღეს იქმნესო. უთხარი მათ: მიგიღიათ ღვთისაგან სიტყვა, რომელიც არასოდეს შეჰსცვალოს, თუ ლიტონად ღაპარაკობთ ღვთისათვის მას, რაც არ იცით?

75. აშოროსმცა: ვისაც მარტო ავი მოქმედება გაუხდიათ სარფად, ვისაც ცოდვები ყოველის კუთხით გარემოიცავს, ცეცხლში ჩაცვივდენ და იქვე საუკუნოდ დამკვიდრდენ.

76. ხოლო ვისაცა ჰსწამსთ და კეთილს შვრებიან, სამოთხეს ეუფლონ და იქვე საუკუნოდ დაჰყონ.

77. როცა ისრაელის შვილთაგან აღთქმა მივიღეთ, ჩვენ უთხარით: თაყვანს ჰსცემდეთ მხოლოდ ერთს ღმერთსა; კარგად მოექცეოდეთ თქვენს დედმამებსა, მახლობლებსა; ობლებსა და ლატაკებსა; მარტო კარგს იტყოდეთ ყოველის ადამიანისთვის; ვედრებას ნამდვილად აღასრულებდეთ, მოწყალებას გაიღებდეთ. მცირეოდენ რიცხვს გარდა უჯათობა გასწიეთ და ჩვენს მცნებას პირი მოარიდეთ.

78- როცა თქვენთან პირობა დავდევით, რომ თქვენის ძმების სისხლს აღარ დაღვრიდით და თქვენი ქვეყნითგან აღარც ერთმანერთს გაჰყრიდით, სიტყვა მოგვეციოთ და მოწმედ თვითონ თქვენვე იყავით.

79. მაგრამ ერთმანერთს ხოცავდით, ზოგიერთ თქვენებურებს თქვენი ქვეყნითგან ჰსდევნიდით, ერთმანერთს მხარს აძლევდით, რათა შეურაცხყოფა და შევიწროება მიგეყენებინათ მათთვის; ხოლო თუ ვინმე ტყვე (თქვენი მამულიშვილთაგანი) შეგემთხვათ, მას გამოისყიდით, ღიახ, თავდაპირველად აკრძალული გქონდათ მათი გაყრა თქვენი ქვეყნითგან. ნუ თუ თქვენის წიგნის ერთი ნაწილი იწამოთ, მეორე კი უარ ჰყოთ? რაღა სასყიდელი ექმნესთ მათ, რამელნიც ასე მოიქცნენ? უპატიურება ამ ქვეყნად, ხოლო აღდგომის დღეს უსაშინელოც

სატანჯველში ჩაცვივდენ. ღმერთმაც თქვენი მოქმედება, უეჭველია, ყურად იღოს.

80. ვინც ამა ხოფლის ცხოვრება მომავალის ცხოვრების ფასად იყიდონ, არავითარი ექმნესთ შემსუბუქება სასჯელისა, რომელიც მათ მოეღოსთ, და არც ხელი მოემართოსთ.

81. ჩვენ უბოძეთ სჯულის წიგნი მჯსესა და სხვათა მოვლინებულთა მიერ მისი მიმხრობა ვბრძანეთ; იესოს, მარიამის ძეს, ცხადი სასწაულები (მისი მოვლინებისა) მივანიჭეთ და სიწმინდის სულითაც განვამტკიცეთ. ყოველთვის, როცა მოვლინებული (უფლის მიერ) თქვენ გულისთქმათა მიუფერებელს გამოცხადებას მოვანიჭებდათ, დიდგულობისაგან თავს გადიოდით: ზოგიერთებს მატყუარებად ჰსთვლიდით, ზოგსაც ჰკლავდით.

82. ხოლო იგინი იტყვიან, გული წინადაუცვეთელი გვაქვსთო. დიახ, ღმერთმა თუ შეაჩვენა იგინი ურწმუნოებისათვის. ვაი! რა მცირედია მორწუნეთა რიცხვი!

83. როცა თავიანთი წერილის გამამტკიცებელი წიგნი მიიღეს ღვთისაგან, — მანამდე ღმერთს ურჯულოებზე გამარჯვებას ევედრებოდენ, — მათთვის წინასწარ თქმულ წიგნსა რწმუნების უარი გამოუცხადეს. ღვთის მიერ წყევ-კრულვა ეწიოს ურჯულოებსა!

84. თავი უღირალ ფასად გაიყიდეს. არა ჰსწამსთ, რაცაა: მალლით მოვლინებული, შურისა გამო, რადგანაც ღმერთმა თავისის წყალობის მოქმედებით წიგნი მოუვლინა თავის მსახურთა შორის მას, რომელიც ინება. ღვთისაგან რისხვა რისხვაზე მოიწიეს. სამარცხვინო სასჯელია გამზადებული ურჯულოთათვის.

85. როცა მათ ეტყვიან, გრწამდესთ, რაც ღმერთმა მალლით მოავლინაო, უპასუხებენ: ჩვენა გვრწამს, რაც მალლით მოგვევლინაო: მაგრამ კი არა ჰსწამსთ, რაც შემდგომ მოვლინებულ იქმნა. თუმცა ეს წიგნი მათ წერილს ამტკიცებს.

უთხარი მათ: რადღა დაჰხოცეთ უფლის მოვლინებულნი, თუ კი სარწმუნოება გქონდათ?

86. მოსე ცხადის სასწავლებითურთ მოგივიდათ, ხოლო მის დაუსწრებლად მოიღვეით ოქროს ხბო თაყვანსაცემლად. უსამართლოდ არ მოიქეციით?

87. როცა თქვენი აღთქმა მივიღეთ და თქვენ თავთა ზემო სინას მთა ავმართეთ, ხმა-ვყავით გასაგონებლად: ჩვენნი სჯულნი მიიღეთ მტკიცე გარდაწყვეტილებით, დაიცვათ და მათი ისმინეთ. პასუხად ჰსთქვეს: გვესმა, მაგრამ არ დავემორჩილოთო: გული კი გაჟღენთილი ჰქონდათ ხბოს თაყვანისცემით და უმადურნიც იყვნენ. უთხარი მათ: საზიზღრობას ჩაგაგონებსთ ეგ თქვენი სარწმუნოება, თუ კი მოგეპოებათ!


88. უთხარი მათ: თუ მართალია, რომ საუკუნო სამყოფი, დანაშთენ ხალხს გარდა, გამზადებულ უნდა იქმნეს თქვენთვის ღვთის წინაშე, როგორც ამბობთ, ურიებო, გაბედულად ინატრეთ სიკვდილი, თუ გულწრფელ ხართ მაში, რასაც აღიარებთ.

89. მაგრამ ვერა. ვერაოდეს მოითხოვონ თავიანთ ხელთა ნამოქმედარისა გამო, და ღმერთიც იცნობს არაწმინდებსა.

90. იგინი ჰპოო უფრო ცხოვრების მწყურვალად, ვიდრე სხვა ხალხი, თუნდა კერპთაყვანისმცემლებიც! ზოგს მათ შორის ათასი წლის სიცოცხლე ჰსურს, მაგრამ ვერაფრად შესცვალოს სასჯელი მხოლოდ მით, რომ მრავალ წელს იცოცხლოს, ვინადგან ღმერთი ხედავს მათ მოქმედებასა.

91. ჰსთქვი, ვინ განუცხადოს მტრობა გაბრიელსა? ღვთის ნებით, გულს დაგადო მან წიგნი, მის უწინარეს მოვლინებულის საღვთო წიგნებრს განსამტკიცებლად დანიშნული, რათა მორწმუნეთა ჰმოძღვრებდეს და ნეტარების ამბებს ახარებდეს.

92. ვინც უფლის, მის ანგელოზთა, მის მოვლინებულთა გაბრიელისა და მიქელის მტერია, ღმერთი დაეძტეროს მას, ვინადგან ღმერთს ურჯულოები ჰსძულს.



93. ვინადგან ცხადის სასწაულებითურთ მოგავლინეთ მხოლოდ არაწმიდებმა უთხრან რწმუნების უარი.

94. ყოველთვის, ოდეს რამე თავს იღონ, ნუ თუ არ გამოტყვრნენ მათ შორის მისი უკუმგდებელნი? დიახ, მეტ ნიწილს მათ შორის არა ჰსწამს.

95. როცა ღვთისაგან მოველინათ მათი საღვთო წიგნების განმამტკიცებელი მოციქული, ერთმა ნაწილმა მათ შორის, რომელთაც წერილი მიეღოთ, ზურგს უკან წაიღო წიგნი ღვთისა, თითქო ვერ იცნო.

96. რაც მავნეთა სოლომონის ხელმწიფობისა მოიგონეს, იმას აპყლიიან; მაგრამ უჯულო სოლომონ კი არა, მავნენი იყვნენ. ხალხს ასწავლიან თვალთმაქცობასა და მეცნიერებასა, რომელიც მადლით გადმოველინათ ბააილონის ორს ანგელოზსა ჰარუტსა და მარუტსა. თავიანთ ხელოვნებას ისე არავის ასწავლიდენ, არ ეთქვათ: გამომცდელ ვართ, გაურჯულოებას უფრთხილდით. ხალხი მათგან ცოლქმრის გაყრის ღონეს სწავლობდა, ხოლო ანგელოზები ბოროტს არავის უშვრებოდენ ღვთის ნება-დაურთველად; თუმცა ხალხი ჰსწავლობდა, რაც აწებდა და არა მას, რაც არგებდა, და ისიც იცოდა, რომ იმ ხელოვნების მყიდველი მომავალს ცხოვრებას ვერ ეზიარებოდა. თავი უღირალ ფასად გაიცეს. ეჰ! ნეტა ჰსცოდნოდათ.

97. ეჰ! ნეტა ერწმუნებინათ და ნეტა ღვთის ჰშინებოდათ ღვთის მიერი ჯილდო ემჯობინებოდა. ეჰ! ნეტა ჰსცოდნოდათ!

98. თქვენ, რომელთაცა გრწამსთ! აღარ იხმაროთ სიტყვა რაინა (გვიმზირეთ), ჰსთქვით ონდჰორნა (შემოგვხედეთ). ამ ბრძანებას დაემორჩილეთ. სავალალო სატანჯველი მოელისთ ურჯულოებასა.

99. მათ, რომელთაც ხელთა აქვსთ წერილი, აგრეთვე კერპთაყვანისმცემლებსაც, არ უნდათ, თქვენზე მადლი რამ გადმოვიდეს თქვენის უფლისაგან; ხოლო ღმერთი განსაკუთ-

რებით წყალობას აღირსებს მას, რომელსაც სანთოდ მიიჩნევს, ვინადგან დიდ წყალობათა მეუფეა იგი.

100. ამა წიგნის მუხლი ერთიც არ შევცვალოთ და ერთიც არ ამოვშალოთ შენს მეხსიერებაში ისე, რომ მის მაგიერად სხვა, უკეთესი, ანუ თანასწორი არ დავადგინოთ. არ იცი, რომ ღმერთი ყოვლად ძლიერია?

101. არ იცი, რომ ცისა და ქვეყნის სასუფეველი ღმერთს ეკუთვნის და რომ არა გყავსთ სხვა მფარველი, არც დამცველი მას გარდა?

102. ნუ თუ გწადიათ; თქვენს წინასწარმეტყველს (მუჰამადს) ჰსთხოვოთ, რასაც ოდესმე მოსეს ჰსთხოვდენ. იცოდეთ ვინც სარწმუნოება ურწმუნოებაში გაჰსცვალოს, ჩინებული შუაგზა დასტოვოს.

103. მრავალს მათ შორის, რომელთაც ხელთა აქვთ წერილი, ჰსწადია, ურჯულოებას დაგაწაფონ, მას შემდეგ, რაც იწამეთ (ნამდვილ შურისაგან არი) და რაც ქვეშაობა თქვენს თვალებს ნათლად ეჩვენა. მიუტევეთ მათ; ვაეცალეთ, ვიდრე ღმერთი ერთს ერთს თავის ღვაწლს გამოაჩენდეს-

104. ვედრება ნამდვილად აღასრულეთ, მოწყალება გაიღეთ; კეთილი ჰქმენით და ჰპოოთ იგი წინაშე ღვთისა, რომელიც თქვენს საქმეებს ხელავს.

105. მხოლოდ ურიები და ქრისტიანები უნდა შევიდნენ სამოთხეშიო, იტყვიან. მაგრამ მარტო მათი სურვილია, უთხარი მათ; სადაა თქვენი საბუთები? მოიტანეთ, თუ გულწრფელ ხართ.

106. არა; ვინც ღმერთს სრულებით მიენდოს და კეთილიცა ჰქმნას, მან ჰპოოს უფრო სასყიდელი თავისის უფლის წინაშე; შიში ვერ ეწიოს მას და არც შეჰსწუხდეს.

107. ურიები იტყვიან, ქრისტიანები არაფერს ეფუძნებიანო; ქრისტიანებიც თავიანთი მხრით იტყვიან, ურიები არაფერს ეფუძნებიანო; მასთანვე კი ერთნიცა და მეორენიც წერდნენ ჰკითხულობენ; ვინც არა უწყიან რა, ისინიც კი ამნა-

ირადვე ლაპარაკობენ. აღდგომის დღეს ღმერთმა მათ წინაშე განსაჯოს ცილობის საგანი.

108. ვინაა უფრო უსამართლო მათზე, რომელნიც ხელს უშლიან, რათა ღვთის სახელი ტაძრებში გაისმოდეს, და რომელნიც იღვწიან მათ დასაქცევად? ნუ თუ ძრწოლით არ უნდა შედიოდნენ იქ. უპატიურება ექმნესთ ხვედრად ამა სოფელსა, ხოლო ფიცხი სასჯელი გამზადებულია მათთვის. საიქიოსა.

109. ღვთისა არს აღმოსავლეთი და დასავლეთი; რაკუთხითაც პირი უნდა იბრუნოთ, მისს სახეს შეხვდეთ. ღმერთი განუზომელია და ყველაფერიც უწყის.

110. ღმერთს ძე ჰყავსო, იტყვიან. მისმა დიდებამან, არა; უკეთესია, ჰსთქვათ: რაცაა ცათა შინა და ქვეყანაზე, ყველაფერი მას ეკუთვნის და ყველაფერი მას ემორჩილება.

111. მხოლოდ ცათა შინა და ქვეყანაზე ერთად ერთი, რის ყოფასაც დააწესებს, იტყვის: იყავო, და იგიც იქმნება.

112. ვინც არა უწყიან რა, იტყვიან. ღმერთი ერთს სიტყვას მაინც რად არ გვეტყვის, ზეცის სასწაული რად არ გამოგვეცხადებო? მათი მამები ასე ლაპარაკობდნენ; მათი ენა და მათი გული მსგავსია. საკმაოდ გამოვაჩინეთ სასწაულები მათთვის, რომელთაც სარწმუნოება აქვსთ.

113. ქეშმარიტებით მოგავლინეთ შენ და უწყება და გაფრთხილება დაგვალეთ. ვინც ჯოჯოხეთში უნდა ჩაცვივდნენ, მათი ანგარიში არ მოგთხოვონ.

114. ურიებმა და ქრისტიანებმა შეგიწყნარონ მხოლოდ მაშინ, თუ მათი სარწმუნოება მიიღე. უთხარი მათ: ქეშმარიტია მხოლოდ ის წარმართება, რომელიც ღვთისაგან გამოდის; მათ სურვილთათვის რომ დაგეთმო, მცნების მიღების შემდეგ, ღვთისას ვერც მფარველობას იპოვიდი და ვერც შემწობასა.

115. ვისაც წიგნი (წერილი) მივმადლეთ და ვინც მას ჰკითხულობენ, როგორც ჯერ არს მისი კითხვა, კიდევაც ჰსწამსთ; ხოლო ვინც მას არ დაუჯეროს, წაწყმდეს.

116. ისრაელის შვილებო! მოიგონეთ სიკეთე, რომლითაც ავაფსეთ; მოიგონეთ, რომ ყველა კაცთა უმაღლეს ავწიეთ.

117. გეშინოდესთ დღისა, ოდეს ერთი სული მეორე სულს ვერ დაეხმაროს, ოდეს მისგან სამაგიერო არავითარი შეიწყნარონ, ოდეს შუამავლობა არც ერთი არაფრად გამოდგეს, ოდეს ხელი არ გაემართოს მათ (ურჯულოებსა).

118. ოდეს ღმერთი აბრაამს ზოგიერთის სიტყვებით გამოჰსცდიდა და იგიც აუსრულებდა ბრძანებას, ღმერთმა უთხრა: ხალხთა იმამად უნდა დაგადგინო. — ჩემს სახლობაში ამოირჩიე იგიო, აბრაამმა მოახსენა. ჩემმა აღთქმამან, სიტყვა ჩამოართვა უფალმა, უკეთურები არ შეიწყნაროს.

119. წმინდა სახლი დავაფუძნეთ განსასვენებლად და თავშესაფარავად კაცთათვის და ვჰსთქვით: მიიღეთ აბრაამის სადგური სალოცავად. აბრაამსა და ისმაელს ეს ვამცენით. ჩემი სახლი წმინდა ჰყავთ მათთვის, რომელნიც გარეშემოსარებლად მოვიდენ, მათთვის, რომელნიც მოვიდენ და მოილოცონ, მუხლი მოიყარონ და განერთხან.

120. მაშინ აბრაამმა უთხრა ღმერთსა: უფალო, მოჰმადღე შემწეობა ამ მხარესა, და ნაყოფი შენი საზრდოდ მათ. რომელთაც ღმერთი და უკანასკნელი დღე იწამონ. ურჯულოებსაც აგრეთვე მივმადლო, ხოლო მით დაჰსტკებენ განსაზღვრულ ჟამთა განმავლობაში; შემდეგ ცეცხლის სასჯელში წავასხა იგინი. რა საზარელია მათი გზა.

121. როცა აბრაამმა და ისმაელმა სახლის საძირკველი ჩაჰყარეს, დაღად ჰყვეს: სათნოდ მიიჩნიე ეს, უფალო ჩვენო, ვინადგან ყურად იღებ და ყველაფერი უწყი.

122. ჰყავ, უფალო ჩვენო, რათა შენს ნებას (მუსულმანები) მივენდოთ, რათა ჩვენი შთამომავლობა შენის ნების (მუსულმანი) მინდობილი ერი გახდეს; შენი საღვთო წესი გვასწავლე და შენი თვალის გადმოვლება გვადირსე, ვინადგან სინანულის შეწყნარება გიყვარს და მოწყალეცა ხარ.

123. მათ შორის აღადგინე მათშივე აყვანილი მოციქული, რათა შენის სასწაულების მოთხრობა უკითხოს მათ, წიგნი და სიბრძნე ასწავლოს მათ და წმინდაცა ჰყოს იგინი.

124. ხოლო აბრაამის სარწმუნოება ვინ შეიზიზღოს, თუ არა მან, რომელიც თავს უგუნურებით იმდაბლებს? ჩვენ იგი ავირჩიეთ ამ სოფლად, იგივე იქმნეს საიქიოს მართალთა, შორის.

125. როცა ღმერთმა აბრაამს უთხრა, მენდეო, მიუგოდმერთსა, ქვეყნის მეუფეს ვენდობიო.

126. აბრაამმა თავისს შეიღებს ეს სარწმუნოება ამცნოდ და იაკობმაც იგივე ჰქმნა; უთხრა მათ: ჩემო შეიღებო! ღმერთმა სარწმუნოება ავირჩიათ, ვიდრე მუსულმანი (ღვთის მინდობილი) არ გახდეთ, არ დაიხოცოთ.

127. დაესწარით, როცა იაკობ სიკვდილის პირად იყო და როცა თავისს შეიღებს ჰკითხა: ვის თაყვანი ჰსცეთ შემდეგ ჩემის სიკვდილისაო? მათ მიუგეს, თაყვანი ვსცეთ შენს ღმერთსა, მამათა შენთა აბრაამის, ისმაელის და ისააკის ღმერთსა, ერთადერთს ღმერთსა და მასვე მივენდობითო (მუსულმან ვიქმნებით).

128. თაობა იგი გადვიდა, თავის საქმეთა სასყიდელი თანვე წაიღო; თქვენ მიიღოთ აგრეთვე თქვენთა საქმეთათვის, და აღარც მოგთხოონ ანგარიში მისი, რაც სხვებმა ჰქმნეს.

129. თქვენ გეუბნებიან: ურიები, ანუ ქრისტიანები იყავით და კეთილ გზაზედ იქმნეთო. მიუგეთ მათ: ჩვენა ვართ უფრო აბრაამის სარწმუნოებისა, ჰეშმარიტად მორწმუნისა, რომელიც კერპთაყვანის მცემელი არ ყოფილა სრულიად.

130. უთხარით: ჩვენა გვრწამს ღმერთი და ვინც მალლით მოგვევლინა, აბრაამ და ისმაელ, ისააკ, იაკობ, თორმეტი ტომი; ჩვენა გვრწამს წიგნები, რომელიც მოსესა და იესოს ებოძათ, წიგნები, რომელიც წინასწარმეტყველებს ჩაჰბარდათ უფლისაგან; ჩვენ არა ვსდებთ განსხვავებას მათ შორის და ღმერთსაც მივენდობით.

131. თუ მათ (ურაგბმა და ქრისტიანებმა) მიიღეს თქვენი სარწმუნოება, სიმართლის გზაზედ იქმნენ; თუ თავი შორს დაიჭირეს, განხეთქილება ჩამოაგდონ თქვენთან; ხოლო მწედ გეყლოსთ ღმერთი; ყურად იღებს იგი და ყველაფრის მცოდნეც არი.

132. ეს არი ნათლისღება ღვთისა; ხოლო ვის შეუძლია ნათლისღების მოცემა ღვთისა უმჯობეს? თაყვანს ვსცემთ მასა.

133. უთხარი მათ: ნუ თუ გაგვიწიოთ ცილობა ღვთისათვის, რომელიც არი ჩვენი უფალი და თქვენიცა? ჩვენ ჩვენი საქმე გვაქვს, ხოლო თქვენ თქვენი. გულწრფელ ვართ ღვთის მიმართ.

134. ნუ თუ ჰსთქვათ, აბრაამ, ისმაელ, ისაკ, იაკობ და თორმეტი ტომი ურიები, ან ქრისტიანები ყოფილიყვნენ? უთხარი მათ: ვინ არის უფრო მეცნიერი, ღმერთი, თუ თქვენ? ვინ არის უფრო ცოდვილი მაზე, ვინც ჰმაღავს აღთქმას, რომლის მცველადაც ღმერთს იგი გაუხდია? ხოლო ღმერთმან არა უგულვებელ ჰყოს, რაც ჩაიდინოთ.

135. თაობანი იგი გადვიდენ. თავიანთ საქმეთა სასყიდელი თანვე წაიღეს ისე, როგორც თქვენ თქვენი უნდა წაიღოთ. ანგარიში მისი, რაცა ჰქმნეს, არ მოგკითხონ.

136. უგუნურებმან კაცთა შორის იკითხონ: რამ დააშორა იგინი კებლას, რომელსაც უწინ მიჰსდევდენო? მიუგე მათ: აღმოსავლეთი და დასავლეთი ეკუთვნის უფალსა; ვისაც ჰნებაეს, წარუძღვება კეთილის გზითა.

137. ასე გაგხადეთ, არაბნო, შუამავალი ერი, რათა მოწმედ იყვნეთ ყველა კაცთა წინაშე და რათა მოციქული მოწმედ იყვეს თქვენ წინაშე.

138. უწინდელი კებლა დავაწესეთ წინასწარმეტყვლის მმდევრისა და ზურგის შემაქცევრის გასარჩევად. ეს ცვლილება შემავიწროებელია მხოლოდ არა მათთვის, რომელთაც ღმერთი წარუმართებს. ღმერთმა თქვენის სარწმუნოების ნაყოფ-

ფი არ დაადგოს, ვინადგან იგი აღსავსეა სიკეთითა და სიბრალულით კაცთათვის.

139. ცის ყოველ კუთხით სახის შემაქცეველი გიხილეთ; გვწაღია, რათა ამიერთგან მიიქცე იმ კუთხით, რომელიც მოგვწონოს. მაშ წმინდა სალოცავის ადგილისკენ მიიქცე. სადაც უნდა იყვნეთ, პირი იბრუნეთ იმ ადგილისკენ. ვისაც წერილი მიუღიათ, უწყიან, რომ ჭეშმარიტება უფლისაგან გამოდის და ღმერთმაც არა უგულუბელ ჰყოს მათი მოქმედება.

140. კიდევ რო მოახდინო მათ წინაშე, რომელთაც წერილი მიუღიათ, ყოველგვარი სასწაული, შენს კებლას (ლოცვის წესს) არ შეიწყნარებენ. მით უფრო არ უნდა შეიწყნარო მათი. თვითონ იგინიც არ დაჰსდევენ ერთმანერთის კებლასა. მცნების მიღების შემდეგ მათ გულისთქმას რომ აჰყოლოდი, არაწმიდებში ჩაირიცხებოდი.

141. ვისაც წერილი მიუღიათ, მოციქულს იცნობენ ისე, როგორც თავიანთ შვილებს იცნობენ. ხოლო მეტი ნაწილი ჰმალავს ჭეშმარიტებას, რომელიც უწყის.

142. ჭეშმარიტება შენის უფლისაგან მოდის. ნუ იქმნები მათგანი, რომელნიც იჭვენულობენ.

143. თვითოეულსავე აქვს ადგილი ზეცისა, საითკენაც ლოცვის დროს პირსა იქმს. კეთილი ჰქმენით ერთმანერთის მოშურნეობით ყველგან, სადაც იყვნეთ. ღმერთმა ყველა შეგყაროსთ ერთ დღეს, ვინადგან იგია ყოვლად შემძლებელი.

144. საითგანაც გამოხვიდე, სახე წმინდა სალოცავისკენ მიიქციე. ჭეშმარიტება შენის უფლისაგან მოდის და ღმერთმაც თქვენი მოქმედება არაუგულუბელ ჰყოს.

145. საითგანაც გამოხვიდე, სახე წმინდა სალოცავისკენ მიიქციე. სადაც უნდა იყვნეთ, სახე იმ კუთხით მიიქციეთ. რათა ხალხს თქვენ წინააღმდეგ ცილობის საბაზი აღარ ექმნეს. ხოლო არაწმიდების ნუ შეგეშინდებათ; ჩემი გეშინოდესთ, რათა ჩემი მოკეთეობა თქვენთვის სრულ ვჰყო და სიმართლის გზაზედაც იყვნეთ.

146. ასე მოგივლინეთ თქვენშივე აყვანილი მოციქული; რომელმაც ჩვენი მოძღვრება წაგიკითხოსთ, რომელმაც წმინდა გყოსთ და წიგნი (კურანი) და სიბრძნე გასწავლოსთ, რომელმაც გაუწყოსთ, რაც არ იცოდით.

147. მომიგონეთ და მეც მოგიგონო. თქვენ; სამოწყალო გაიღეთ და უმაღურ ნუ იქმნებით.

148. თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! შველა ეძიეთ მოთმინებასა და ლოცვაში, ღმერთია მათთან, რომელნიც ითმენენ.

149. ნუ ამბობთ, მკვდარ იყვნენ, რომელნიც ღვთის გზაზე დახოცილან. არა, ცოცხალ არიან იგინი, მაგრამ თქვენ კი არ გაგეგებათ.

150. გამოგცადოთ შიშით და შიმშილით, მითაც რომ იკლოს თქვენმა ქონებამ და თქვენმა ხალხმა, თქვენმა სამკალმა. შენ, მუჰამად, ნეტარების ამბავი ახარე მათ, რომელნიც ტანჯვას ითმენენ;

151. მათ, რომელნიც უბედურების მოწვევის ჟამსა, ღალად ჰყოფენ: ღვთისა ვართ და მისდამი მივიქცეთო.

152. უფლის კურთხევა და მისი მოწყალება გადმოვიდეს მათზე. ჭეშმარიტის გზით წარემართონ იგინი.

153. საფა და მერვა ღვთის ძეგლად არიან; ვინც მეჭამოილოცოს, ანუ წმინდა ადგილები თვითო-თვითოდ მიმოიხილოს, ცოდვა არა ჰქმნას, თუ იმ ორ ბორცვს შემოუაროს. ვინც გულით კეთილი საქმე ჩაიდინოს, სასყიდელი მიიღოს; ვინადგან ღმერთი დამნახველია და ყველაფერი უწყის.

154. ვინც სხვათა ცოდნისაგან ჰმალვენ ცხად სასწაულებსა და ჭეშმარიტს წარმართებას, რაკი კაცთათვის წიგნით (დაბადებით) გვიცნობებია, წყეულ იყვნენ ღვთისა და მათ ყველასაგან, ვისაც წყევლა შეუძლიათ.

155. ვინც ჩემდამი მოიქცნენ, ვინც მორჯულდენ და სხვებსაც გააცნონ ჭეშმარიტება, მეც ეგრეთვე მივიქცე მათ.

დამი, ვინადგან მიყვარს მიქცევა მორჯულებულის ცოდვილის მიმართ და შემწყნარებელიცა ვარ.

156. ვინც ურჯულო დაიხოცონ, მათზედ იყოს ღვთისა, ანგელოზთა და ყველა კაცთა წყევა-კრულვა!

157. საუკუნოდ დაბურვილ იქმნენ მით; წვალება არ შეუმსუბუქდესთ და ღმერთმა პირი აღარ მიიქციოს მათკენ.

158. თქვენი ღმერთი ერთი ღმერთი არს; სხვა როდია, იგია მოწყალე და შემწყნარებელი.

159. უეჭველია ცათა და ქვეყნის გაჩენას, ღღეთა და ღამეთა ჯერობით დადგომას, ხომალდთა, რომელნიც ზღვაზე მიმოცურვენ ხალხთათვის სასარგებლო ნივთთა მიმაწვდენელი, წყალსა, რომელიც ღმერთს ზეცით ჩამოჰყავს და რომლითაც მას წინეთ მკვდარ მიწას სიცოცხლეს ანიჭებს, და სადაც ყოველგვარი სულდგმულები მიმოუფანტავს; ქართა და ღრუბელთ ცვლილებასა, სამსახურს როჰსწევენ ცასა და ქვეყანას შუა, —ამას ყველაფერს ძალი აქვს მათთვის, რომელნიც გულისხმას ჰყოფენ.

160. ზოგიერთები ღმერთს გვერდით უსმენ ამხანაგებსა, რომელიც ღვთის თანასწორად უყვარსთ, მათ კი, რომელთაც ჰსწამსთ, ღმერთი ყველაფრის უმაღლესად უყვარსთ. ოჰ! არაწმიდებმა შეიტყონ, სასჯელის ჟამსა, რომ თუ არ ღვთისა, სხვა ძლიერება არაა და რომ ღმერთი საშინელია თავისის სასჯელითა.

161. ოდეს თავ-კაცები გაცალკევებულ იქმნენ თავიანთ მიმდევართაგან, ოდეს სასჯელი იხილონ და ყოველივე მათი შემაერთებელი კავშირი გაწყდეს,

162. თავკაცების მიმდევართ ღალად ჰყონ: ოჰ! ქვეყნად დაბრუნება რო შეგვძლებოდა, მათ მოვერიდებოდით ისე, როგორც ეხლა ისინი გვერიდებიანო. ასე დაანახოს მათ ღმერთმა თავიანთი საქმეები. შებრალების ხმა ამოიღონ, მაგრამ ცეცხლითგან კი ვერ ამოვიდენ.

163. ხალხნო! თავი ისაზრდოეთ ნაყოფით, რომელიც სა-

თანადო და კეთილია. სატანას კვალზე არ იაროთ; ვინადგან თქვენი ცხადი მტერია.

164. უკეთურებასა და სისაძაგლეს გამცნებსთ; ღვთისათვის გასწავლისთ ისეთ სიტყვას, რომელიც არ უწყით.

165. როცა მათ ეტყვიან, მისდრეთ სჯულსა, რომელიც ღმერთმა მოგივლინათო, უპასუხებენ: მამათა ჩვენთა ჩვეულებას მივსდევთო. მაგრამ მათი მამები არ იყვნენ, რომ არა ეს მოდათ რა, და არც სიმართლის გზაზედ იდგნენ?

166. ურჯულოები ჰგვანან მხმობელსა: კაცის მიმართ, რომელსაც ესმის მხოლოდ ბეგრა ხმისა და ძახილი (სიტყვა-გაურკვევლად): ყრუნი, მუნჯნი და ბრმანი ვერაფერს ჰსცნობენ.

167. მორწმუნენო! თავი ისაზრდოეთ ჩინებულის სანოვაგითა, რომელსაც მოგანიჭებთ და მადლობა შეჰსწირეთ ღმერთსა, თუ მისი თაყვანის მცემელ ხართ.

168. არ გეჭმებათ მკვდარი პირუტყვები, სისხლი, ღორის ხორცი და ყოველივე ცხოველი, რაზედაც სხვას და არა ღვთის სახელს მოუწოდონ. ვინც ესა ჰქმნას გაჭირვებით და არა წინააღმდეგობით და სჯულგადამავლობით, დამნაშავე არ იქმნეს. ღმერთი სულგრძელ და შემწყნარებელია.

169. ვინც ხალხს უმაღვენ მადლით მოვლინებულის წიგნის ნაწილებსა და მით ჰყიდულობენ მდარედ ღირებულ ნივთსა, ნაწლევებს აივსებენ ცეცხლითა. ღმერთმა სიტყვა არ მიჰმართოს მათ აღდგომის დღესა და არც გაამართლოს იგინი. სამწყუხარო სასჯელი მოელისთ.

170. ჭეშმარიტს წარმართებას შეცდომილებაში ჰსცვლიან და ღვთის მიერ მიტყუებას მის სასჯელში; როგორ გაუძლონ იმ ცეცხლსა?

171. დასჯილ იქმნენ, რადგანაც ღმერთმა ჭეშმარიტი წიგნი მოავლინა, ხოლო მისი მოცილენი ჩამოაგდებენ განხეთქილებას, რომელიც ჭეშმარიტებას ძლიერ აშორებს მათ.

172. ღვთისნიერება როდია, პირი იქციოთ აღმოსავლეთ-

თით, ანუ დასავლეთით. ღვთისნიერი იგია, რომელსაცაჲ ჰსწამს ღმერთი და უკანასკნელი დღე, ანგელოზები და წიგნი, წინასწარმეტყველები, რომელიც ღვთის სიყვარულით თავისი ქონებითგან მახლობლებს, ობლებს, ღარიბებს, მგზავრებს და მათხოვრებს დაასაჩუქრებს; რომელიც ტყვეებს გამოიხსნის, რომელიც ლოცვას დაჰსდევს, რომელიც მოწყალებას გასცემს, შეკრულ პირობას აღასრულებს, რომელიც მომთმენია უბედურებაში, გაჭირვების ჟამსა და იწროების ჟამსა- მართალ არიან იგინი და უფლისაც ეშინიათ.

173. მორწმუნენო! ფასი საზღაურისა გიწვრიათ ადამიანის მოკვლისათვის. თავისუფალი კაცი თავისუფალის კაცის წილ, მონა მონისა წილ და ქალი ქალისა წილ. ვისაც ეს საზღაური მისაღები ექმნეს მისის ძმისაგან, უნდა ადამიანურად მოექცეს და მაგიერ იმანაც წითვალოს კეთილშობილურად მისგან, ვისგანაც ერგებოდეს.

174. ეს არი თქვენის უფლის მიერ შეღავათი და მისის მოწყალების სიუხვე; ხოლო ვინც ერთხელ კიდევ შეიქმნეს ამგვარის ცოდვის ჩამდენი, სამწუხარო სასჯელში ჩაეარდეს.

175. საზღაურის სჯულშია თქვენი სიცოცხლე, გონება მიმადლებულნო კაცნო! ეგების ბოლოსაც არი, ღვთის შევეშინდესთ.

176. ნაბრძანები გაქვსთ, როცა ვინმე თქვენ შორის სიკვდილის პირად იყვეს, ანდერძით ქონება რამ უნდა დაუტევოს თავისს დედმამსა და თავისს მახლობლებსა პატიოსნის სახითა. ეს დაევალება მათ, რომელთაც ღვთის ეშინიათ.

177. ვინც მოისმინოს მოანდერძის გულის წადილი, მისის სიკვდილის ჟამსა, და გადაასხვაფეროს, ცოდვა ჩაიდინოს. ღმერთი ხედავს და უყურებს ყველაფერსა.

178. ვინც მოანდერძის მიერ შეცდომისა, თუ უსამართლობის შიშით გაარიგოს, როგორც შეშვენის მემკვიდრეთა სიმართ-

ლესა, არაფერი დააშავოს. ღმერთი სულგრძელ და შემწყნარებელია.

179. მორწმუნენო! მარხულობა გმართებსთ ისე, როგორც ჰმართებდათ მათ, რომელნიც თქვენს უწინარეს ყოფილან. უფლის გეშინოდესთ.

180. მარხულობა მხოლოდ მცირეოდენ დღეთა იქმნეს. ხოლო თუ ვინმე ავად იყვეს, ან გზაში (ვერც გასწიოს მარხულობა ნაბრძანებ დროსა), თანასწორი დღეთა რიცხვი შემდეგ იმარხულოს. ვისაც მარხულობის ატანა შეუძლიათ და გასტეხონ, თავის განსაწმენდელად საწყალს საზრდო მიჰკერძონ. ვინც თავისი ნებით სამადლო საქმე ჩაიდინოს, სარგებლობა ნახოს. ყოვლის უწინარეს, კარგია, მარხულობა აღასრულოთ, როცა სჯული უწყით.

181. რამადანის მთვარე, როცა კურანი მაღლით მოვლინებულ იქმნა კაცთა დასარიგებლად, მცნებათა ცხად ასახსნელად და ბოროტსა და კეთილსა შორის განსასხვავებლად, მარხულობის დღეა. ვინც მთვარე იგი იხილოს, მარხულობას მაშინვე შეუდგეს. თუ ვინმე ავად იქმნეს, ანუ გზაში, თანასწორი დღეთა რიცხვი შემდეგ იმარხულოს. ღმერთს თქვენი შვება ჰსურს, თქვენი შევიწროება როდღი ჰსურს. მას ნებავეს მხოლოდ, შეასრულოთ ნებაყოფლობითი რიცხვი და აღიდოთ იგი, მიტომ რომ სიმართლის გზით გიძღვებათ; მას ჰნებავეს, დამნახველ იყვნეთ.

182. როცა ჩემნი მსახურნი ჩემთვის შეგეზრახონ, მათთან ვიქმნე, შევიწყნარო ვედრება მთხოვნელისა, რომელიც მვედრება; ოღონდ მისმინონ, მიწამონ, რათა წაღმართ იარონ.

183. ნება გაქვსთ, თქვენს ცოლებს დაუახლოვდეთ მარხულობის ღამისა. თქვენდა სამოსელ არიან იგინი, მათდა სამოსელ ხართ თქვენცა. ღმერთმა კარგად უწყოს, რომ თქვენს თავს, როგორც მოლაღატენი, ისე ეპყრობით. მან მოგხედათ და მოგიტევათ. თქვენს ცოლებს უმზირეთ ნდომით, მოჰსწყვიტოთ თქვენთვის შენახული ნაყოფი. ნება გაქვსთ, ჰსჯამოთ და

სვათ, ვიდრე შეიძლოთ თეთრის ძაფის გარჩევა შავ ძაფში. მასუკან მკაცრად დაიცევით მარხულობა ღამემდე: იმ ხანობაში თქვენს ცოლებს არ მიეკაროთ. უმჯობესია, დრო გაატაროთ სათნო საქმით ჯამეებში. ასეთია ღვთის საზღვრები. არ მიეახლოთ შიშით, არ გადახდეთ. ღმერთი თავისს სასწაულებს ასე აუხსნის კაცთა, რათა ეშინოდესთ მისი.

184. ერთმანერთშორის არ ჩანთქათ თქვენი სიმდიდრე ამოა რაშიმე დახარჯვით; მეტადრე მსაჯულებს არ უძღვნათ იმ განზრახვით, რომ სხვისი ქონება უსამართლოდ ხელთ იგდოთ. იცოდეთ.

185. ახალი მთვარეებისა გკითხონ. უთხარი მათ: დროებად დადებულთა ყველა კაცთა სარგებლობისათვის და მიტომაც, რომ მექას მოლოცვა აღნიშნულ იქმნეს. სათნოება ის კი არაა, თქვენს სახლებში უკანა კარით შეხვიდეთ, არამედ შიში ღვთისა. თქვენს სახლებში შესასვლელის კარით შედიოთ და ღვთისავე გეშინოდესთ. ნეტარ იქმნეთ.

186. ღვთის გზით ეომეთ მათ, რომელთაც ომი აგიტეხონ. ხოლო უსამართლობა არ ჩაიდინოთ მათ მიმართ პირველ თავდასხმით, ვინადგან ღმერთს უსამართლონი არ უყვარან.

187. დაჰხოცეთ იგინი, სადაც ჰპოოთ, და გალაღეთ, საითგანაც გამოგლალონ თქვენ. კერპთაყვანისმცემლობის განსაცდელი უარესია, ვიდრე ომის დროს ჩეხა-ყლეტა. ომი არ გაუმართოთ მათ წმინდა სალოცავის მახლობლად, თუ თავს არ დაგესხნენ. ხოლო თუ ჰყონ, ამოხოცეთ იგინი. ასეთია ურჯულოთა სასყიდელი.

188. თუ ბოლო მოუღონ მას, რახაც ჰსჩადიან, უეჭველია, ღმერთთა სულგრძელ და მწყალობელი.

189. ეომეთ მათ, ვიდრე განსაცდელის შიში აგიტანდესთ, და ყოველი თაყვანისცემა ერთად ერთის ღვთის იქმნებოდეს, ხოლო თუ თავიანთ მოქმედებას ბოლო მოუღონ, მტრობა ნულარ იქმნება, თუ არ ბორბოტთა წინააღმდეგ.

190. წმინდა თვე წმინდა თავისათვის და წმინდა ადგი-

ლებიც შურისძიების საფარველ ქვეშ. თუ ვინმემ შეგავიწრო-
ოსთ, შეავიწროეთ იგი, როგორც შეგავიწროათ. უფლის
გეშინოდესთ და შეიტყვით, რომ იგიჲ მათთან, რომელთაც
მისი ეშინიათ.

191. თქვენი ქონება ღვთის გზაზე გაიღეთ და უფსკრუ-
ლისკენ საკუთარის ხელით ნუ ისწრაფით. კეთილი ჰქმენით
ვინადგან ღმერთს უყვარან კეთილის მყოფელნი.

192. მექა მოილოცეთ და წმინდა ადგილები მოიარებთ,
ხოლო თუ მტერთა გარშემოდგომა გაბრკოლებდესთ, შესაწი-
რავი რამ გაგზავნეთ იქა. თავი არ მოიპარსოთ, ვიდრე შესა-
წირავი მიაწევდეს ადგილსა, სადაც უნდა შეწირულ იქმნას.
ვინც ავად იქმნეს, ანუ რამე უბედურებამ თავი მოაპარსინოს,
მარხულობას, მოწყალებასა და შესაწირავს დასჯერდეს. როცა
მტერთაგან საშიში არა გქონდესთ რა, ვისაც წმინდა ადგი-
ლების ნახვა ჰსწადდეს და მოლოცვა სხვა დროსთვის გადას-
დოს, შესაწირავი შესწიროს; ხოლო თუ საშუალება არ ეპო-
ვებოდეს, თავის განსაწმენდელად ექმნეს სამის დღის მარხუ-
ლობა მოლოცვის ჟამსა და შეიდისაც დაბრუნების შემდეგ;
სულ ათის დღისა. ასეთი თავის განწმენდა დაევალება მას,
რომლის სახლობაც საღვთო სალოცავის წინაშე არ იქმნეს.
ღმერთს ევედრეთ და იცოდეთ, თუ რა საშინელია იგი თავი-
სის სასჯელითა.

193. მოილოცეთ იმ თვეებში, რომელიც ჯწყით. ვინც
შიემგზავრებოდეს, ქალებს, მცნებათა გარდახდომას და ლან-
ძღვას ეკრძალებოდეს. კეთილი, რომელიც ჩაიდინოთ, ღმერ-
თმა შეიტყოს. საგზალი წაიღეთ. ხოლო საუკეთესო საგზალი
სათნობაა. ჩემი გეშინოდესთ, გრძნობა მიმადლებულნო კაცნო!

194. ცოდვა როდია, წყალობა ჰსთნოვოთ თქვენს უფალსა.
როცა არაფატი მითიგან ჯგუფად გამოებრუნდეთ, უფალი მოი-
გონეთ წმინდა ძეგლის ახლოს; მოიგონეთ იგი, რადგანაც სი-
მართლის გზით გაგიძღვათ თქვენ, რომელნიც დიდი ხანი არაა,
ცდომილ იყავით.

195. მერმე სადიდებლად წადით იმ ადგილებში, სადაც, სხვები დადიან. ღმერთს მიტევებას ევედრეთ, ვინადგან შემბრალებ და შემწყნარებელია.

196. როცა თქვენი წესები დაასრულოთ, ღვთის სახსენებელი დაიცევით, როგორც თქვენის მამებისას იცავთ და კიდევ უფრო ცხოვლადაც. ზოგიერთები იტყვიან, უფალო, ამ სოფლად ჩვენი წილი კეთილი მოგვმადლეო. მომავალ ცხოვრებაში წილი არ ექმნესთ მათ.

197. სხვები იტყვიან: უფალო, სააქაოს კარგი წილი და საიქიოსაც კარგი წილი დაგვინიშნე და ცეცხლის სასჯელისაგან დაგვიხსენიო.

198. მათ ექმნესთ ის წილი, რომელიც დაიმსახურონ. ღმერთი მოსწრაფეა მითვლაში.

199. ღვთის სახელი ახსენეთ იმ აღნიშნულ დღეებში. ვინც მინის ქალებითგან წასვლას დაეშუროს, შემცოდე არ იქმნეს; ვინც დაიგვიანოს, მით უმეტეს არ იქმნეს, თუ ყოველ შემთხვევაში ღვთის ეშინია. ღვთის გეშინოდესთ და შეიტყეთ, რომ ერთ დღეს მის წინაშე თავი უნდა მოიყაროთ.

200. ზოგი აღამიანი მოსაწონ იქმნეს ხერხითა, რომლითაც ამა სოფლის ცხოვრება გაიმბოს; ღმერთი აიყვანოს თავის გულის-ზრახვათა მოწმედ, იგია ყოველად გულოფიცხი შენ მტერთა შორის.

201. მოგშორდეს თუ არა, ქვეყანა გაიაროს, უწესოება განავრცელოს იქ, სოფლები და ცხოველები გაჭირვებაში ჩაპყაროს. ღმერთს უწესოება როდი უყვარს.

202. ხოლო თუ უთხრეს, ღვთის გეშინოდესო, ცოდვის სიქადული ეუფლოს; მაგრამ ჯანაბაც ეყოს მას ერთ დღეს. რა საშინელი ადგილია განსვენებისა!

203. ზოგმა თავისი თავი გაიყიდა, რათა ღვთის სათნო საქმე ჩაედინა. ღმერთი აღსავსეა სიკეთითა თავის მსახურთათვის.

204. მორწმუნენო! ყველანი შეშმარიტ სარწმუნოებას.

დაადექით; სატანას კვალზე არ იაროთ; თქვენი ცხადი მტერია.

205. ხოლო თუ ცხად სასწაულთა მიღების შემდეგ ცოდვაში ჩაცვივდით, უწყოდეთ, რომ ღმერთთა ძლიერ და ბრძენი.

206. ურჯულონი ნუ თუ ელიან, ღმერთი მოველინოს მათ წყვილად ღრუბელთა შორის ანგელოზებ-ხლებული და ყველაფერი აღსრულდეს? უეჭველად, ყველაფერი ღვთის მიმართ მიიქცეს.

207. ისრაელის შეილებს ჰკითხე, თუ რამდენი ცხადი სასწაული ვაეღვეთ მათ თვალთა წინაშე. ვინც შეჰსცვალოს წყალობა, რომელიც ღმერთს მისთვის მიუნიჭებია, შეიტყოს, რომ ღმერთი საშინელია თავისის სასჯელითა.

208. ამა სოფლის ცხოვრებაა მათთვის, რომელთაც არა ჰსწამსთ და რომელნიც მორწმუნეებს დასცნიან. ღვთის მოშიშნი მათ უმაღლეს იქმნენ აღდგომის დღესა. ღმერთი ვისაც ნებავს ასაზრდოვებს და არც ჩაუთვლის მათ თავისს წყალობასა.

209. კაცნი ოდესმე წარმოადგენდენ ერთს ხალხსა. ღმერთმა მოაგლინა უწყებასა და გაფრთხილებას დავალებული წინასწარმეტყველები. მათ უბოძა წიგნი (დაბადება, თუ სახარება) და შიგან ჭეშმარიტება გარდასაწყვეტად კაცთა შორის მათის ცილობის საგნისა. დიახ, კაცთა ცილობა დაიწყეს მხოლოდ ერთმანერთის შურიტა და მის შემდეგ, როცა საყოველთაოდ ცხადი სასწაულები ებოძათ. ღმერთი გამძლოლ ექმნა იმ კაცთა, რომელთაც დაიჯერეს ჭეშმარიტი აზრი მის, რაც გამხდარიყო ცილობის საგნად ღვთის ნება დართვითა, ვინადგან ვისაც ნებავს, გზას წარუმართებს იგი:

210. ნუ თუ ჰგონებთ სამოთხეში შესვლას იმ ჰირთა განუცდელად, რაც თქვენს უწინარეს ყოფილთ განუცდიათ? უბედურება და გაჭირვება თავს დაატყდათ; უკუღმართმა

ბედმა იგინი ათამაშა იქამდე, რომ წინასწარმეტყველმა და ვინც მისი თანამორწმუნე იყვნენ, ლალად ჰყვეს: როსლა იქმნეს შველა ღვთისაგან? ნუ თუ არ გვახლავსო შველა უფლისაგან?

211. დაგეკითხონ, თუ მოწყალება როგორ უნდა ვყოთო. უთხარი: უნდა ეწეოდეთ მშობლებსა, მახლობლებსა, ობლებსა, საწყლებსა, მგზავრებსა. კეთილი, რომელიც ჩაიღინოთ, ღმერთს ეუწყოს.

212. ომი გებრძანათ, ხოლო ზიზლით მიიღეთ.

213. ეგების გეზიზლებოდესთ, რაც თქვენთვის მარგებელია და გიყვარდესთ, რაც თქვენთვის მავნებელია. ღმერთმა უწყის, ხოლო თქვენ, თქვენ კი არ უწყით.

214. გკითხონ წმინდა თვისა, ომისა იმ თვეში. უთხარი მათ: ომი იმ თვეში მძიმე ცოდვია. ხოლო ღვთის გზას. რო გადაუხვიო, იგი და წმინდა სალოცავი არ იწამო, მის გაღავნითგან გაჰყარო, ვინც შიგ მკვიდრობენ, უფრო მძიმე ცოდვია. კერპთაყვანისმცემლობის განსაცდელი უარესია, ვიდრე ჩება-ჟღეტა. ურჯულოებმა ომი არ მოგიშალონ, ვიდრე თქვენის სარწმუნოების უარი არ გათქმევიანონ, თუ კი შეჰსძლეს. ხოლო ვინც თავიანთი სარწმუნოება უარ-ჰყონ და ურჯულო დაიხოცონ, მათი ნამოქმედარი დაიღუპოს სააქაოს და საიქიო-, საც: ცეცხლისათვის განწირული ხალხი არიან და იქვე დაემკვიდრონ საუკუნოდ.

215. ვინც თავიანთი ქვეყანა დასტოვონ და ღვთის გზით იბრძოლონ, მათ შეუძლიათ მის წყალობას ჰსასოებდენ, ვინადგან იგია მომთმენ და მოწყალე.

216. ღვინისა და მღერისა გკითხონ. უთხარი მათ: ერთშიაც და მეორეშიაც იქმნება ბოროტება და სარგებლობა ადამიანთათვის, მაგრამ ბოროტება ჰსძლევს სარგებლობას, რომელიც მათ მოაქვსთ. აგრეთვე გკითხონ, თუ რა უნდა გაიღონ ხელ-გაშლით.

217. მიუგე მათ: გაიღეთ, რაც გემეტებოდესთ. ღმერთი ასე აგიხსნისთ თავისს სასწაულებსა, რათა იფიქროთ

218. სააქაოსთვისაც და საიქიოსთვისაც. ობლებისა გკითხონ უთხარი მათ: მათთვის კეთილის ყოფა კარგი საქმეა.

219. მას აქეთ, რაც მათთვის ზრუნავთ, თქვენდა ძმებ არიან: ღვთის ხელთ არი ბოროტის მყოფელის გარჩევა კეთილის მყოფელში, მას შეუძლია, თუ ინება, თქვენი შეწუხება, ვინადგან ძლიერ და ბრძენია.

220. კერპთაყვანისმცემელი ქალები არ დაირთოთ, ვიდრე არ ირწმუნონ. მორწმუნე მხევალი უმჯობესია, ვიდრე თავისუფალი ქალი კერპთაყვანისმცემელი, უმეტესადაც რომ მოგწონდესთ იგი. თქვენი ასულნი არ მიათხოვოთ კერპთაყვანისმცემლებსა, ვიდრე არ ირწმუნონ. მორწმუნე მონა უმჯობესია, ვიდრე ურწმუნო თავისუფალი, უმეტესადაც რომ მოგწონდესთ იგი.

221 ურჯულოები ცეცხლად მოგიწოდებენ თქვენ, ხოლო ღმერთი სამოთხედ და მიტევებად მოგიწვევსთ, თუ ინება; თავის მოძღვრებას აუხსნის კაცთა, რათა გულის ხმა ჰყონ.

222. დედათ ბუნებისა გკითხონ. უთხარი მათ: ეგ უმართებულოა. თქვენს ცოლებს განშორდით იმ დროსა და არ დაუახლოვდეთ, ვიდრე გაწმენდილ არ იქმნენ, როცა თავი გაიწმიდონ, მათ უფურეთ, როგორც ღმერთს თქვენთვის უბრძანებია. მას უყვარან შემნანებელნი. მას უყვარან იგინი, რომელნიც ცდილობენ, წმინდად დაიციან თავი.

223. თქვენი ცოლები მინდორ თქვენდა არიან. თქვენ მინდორზე გადით, როგორც გნებადესთ, მხოლოდ უწინარეს ჰყავით რამე თქვენის სულის საცხონებელი. ღვთის გეშინოდესთ და იცოდეთ, რომ ერთს დღეს მის წინაშე უნდა წადგეთ. შენც მუჰამმად! მორწმუნეებს ახარე სანატრელი ამბები.

224. ღმერთი არ გაიმიზნოთ, როცა იფიცავდეთ სიქველესა, ღვთის შიშსა და თანხმობის ჩამოგდებას კაცთა შორის. მან უწყის და ესმის ყველაფერი.

225. ღმერთმა არ დაგსაჯოსთ სიტყვით ძულებისათვის; დაგსაჯოსთ თქვენ გულთა საქმეთათვის. იგია მოწყალე და შემწყნარებელი.

226. ვინც თავიანთ ცოლებს ეკრძაღვიან, ოთხის თვის ვადა უნდა დაიდვან, რათა მოიფიქრონ და ცოლებს ტყუილად უბრალოდ არ გაეყარონ. ხოლო იმ დროს თუ მიიქცნენ მათდამი, ღმერთია სულგრძელ და შემწყნარებელი.

227. თუ გაყრა უსათუოდ გარდაწყვეტილია, ღმერთმა უწყის და ესმის ყველაფერი.

228. გაშვებულმა ცოლებმა აცალონ გასვლა სამს თვესა ხელ-ახლა გათხოვებამდე. არ უნდა დამალონ, რაც ღმერთს მათთვის მუცლად შთაუჩენია, თუ ჰსწამსთ ღმერთი და უკანასკნელი დღე. უფრო სამართლიანი იქნება, ქმრებმა მოიყვანონ იგინი, როცა იმ ყოფაში არიან, თუ სიკეთე უნდათ. ცოლებმა თავიანთ ქმრებთან და ამათაც თავიანთ ცოლებთან თავი პატიოსნად უნდა დაიჭირონ. ქმრებსა აქვსთ ხარისხი თავიანთ ცოლთა უმაღლეს. ღმერთია შემძლებელ და ბრძენი.

229. გაშვება ორჯერ შეიძლება. თქვენს ცოლს გაუფრთხილდით, პატიოსნად მოეპყარით; გაისტუმრებთ და პატიოსნად გაისტუმრეთ იგი. ხელი არა გაქვსთ, დაისაკუთროთ, რაც მათთვის მიგიციათ, უკეთუ არ შიშობთ, რომ საზღვარი ღვთისა ვერ დაგიცავთ (მათთან ცხოვრებით). ხოლო თუ შიშობთ, რომ ვერ დაგიცავთ, ცოდვა არც ერთის თქვენგანისთვის არავითარი მოჰყვეს მას ყველაფერს, რაც ცოლმა ჰქმნას თავის გამოსახსნელად. ასეთია ღვთის დადებული საზღვრები. ნუ გადახვალთ; უსამართლოა, ვინც ღვთის საზღვრებს გადავა.

230. თუ ქმარმა თავისი ცოლი სამჯერ გაუშვას, მისი მოყვანა შეეძლოს მხოლოდ, როცა მეორე ქმარზე გათხოვილიყოს და როცა იმას გაეშვას. არც ერთის მათგანისთვის ცოდვა არავითარი იქმნეს, თუ შერიგდენ დარწმუნებით, რომ შეუძლიათ ღვთის საზღვარი დაიცვან. ღმერთი ასეთ საზღვრებს ცხადად დაუდებს იმ კაცთა, რომელნიც ისინენ.

231. ოდეს ცოლს უშვებდეთ და მისი გასტუმრების დროც მოსულიყოს, გაუფრთხილდით პატიოსნურის მოპყრობით, ან კეთილშობილურად გაისტუმრეთ. ძალად არ დაიჭიროთ, რათა უსამართლო რამე შეამთხვიოთ; ვინც ასე მოიქცეს, თავისის თავის წინააღმდეგ მოიქცეს. ღვთის მცნებას ნუ ეხუმრებით და მოიგონეთ სიკეთე ღვთისა, წიგნი და სიბრძნე, რომელიც გადმოავლინა და რომლითაც იგი გაგაფრთხილებსთ. მისი გეშინოდესთ და იცოდეთ, რომ მან უწყის ყველაფერი.

232. როცა თქვენს ცოლებს უშვებდეთ და გადაჭრილის დროსთვისაც დაეცადოთ, ნუ დაუშლით მათ, კვალად გასკვნან კავშირი ქორწინებისა თავიანთ ქმრებთან, თუ ორნივე მეუღლენი თანხმად იქმნენ მისა, რაც პატიოსნებად მიაჩნიათ. ეს მცნება მიეცა თქვენ შორის მათ, რომელთაც ღმერთი ჰსწამსთ და უკანასკნელი დღე: ეს უფრო ღირსეული და უფრო მართებულია. ღმერთმა ყველაფერი უწყის, ხოლო თქვენ არ უწყით.

233. გაშვებულმა დედებმა თავიანთ ბავშვებს სრულს ორ წელიწადს აწოვონ, თუ მამას უნდა, დრო სრულ იყოს. ბავშვის მამა ვალდებულია, ცოლის პატიოსნად რჩენასა და შემოსევას ზრუნავდეს, არავის დაევალოს მის უმეტესი, რაც შეუძლია: დედას არ გაუჭირდეს ღონისძიება ბავშვისათვის, არცა მეტადრე მამას. მამის მემკვიდრეს იგივე მოვალეობა აძევს. თუ მეუღლეებმა ბავშვისთვის უდროოდ ძუძუს გაშვებინება ერთმანერთის თანხმობითა და დაკითხვით არჩიეს, ცოდვა არავითარი იქმნეს. უკეთუ ამჯობინოთ თქვენი ბავშვების გასაზრდელად გაბარება, ბოროტება იმაში არავითარი იქმნეს, ოღონდ შეპირებული გადიხადოთ. ღვთის გეშინოდესთ და იცოდეთ, რომ ყველაფერს ხედავს იგი.

234. თუ ვისმე სიკვდილის შემდეგ ცოლები დარჩეს, უნდა მოიცადონ იმათ ოთხ თვესა და ათ დღეს. ეს ვადა როგავიდეს, აღარ გეკითხოსთ, რათა თავი პატიოსნად დაიჭირონ. ღმერთი მის მცოდნეა, რასაც ჰსჩადიხართ.

235. ცოდვა არ იქმნეს, თუ იმ ქალებს ცხადად წინადაუდოთ ქორწინება, ან თუ ამის საიდუმლო განზრახვა გულში დაიმარხოთ. ღმერთმა კარგად უწყის, რასაც იფიქრებთ; მაგრამ არ დაუდოთ მათ აღთქმა იღუმალ და არცა ეზრახოთ მათ, თუ არ პატიოსნად.

236. ქორწინების კავშირი არ განამტკიცოთ, ვიდრე წინადადებული დრო არ შესრულდეს; იცოდეთ, რომ ღმერთმა უწყის, რაც გულთა გაქვსთ; იცოდეთ, რომ იგია მოწყალე და შემწყნარებელი.

237. ცოდვა არაა, გაუშვათ ცოლი, რომელსაც არ შეხებიხართ, ანუ რომლისათვისაც მზითვეი არ დაგნიშნავთ. მიეცით მათ საჭირო (შეძლებულმა კაცმა თავისის ღონისძიებისამებრ, უილაჯო კაცმა თავისისამებრ) პატიოსნად და ისე, როგორც შეჰფერის მათ, რომელნიც კეთილს შვრებიან.

238. თუ ცოლი გაუშვათ შეხებამდე, მაგრამ კი შემდეგ მზითვეის გადაჭრისა, ნახევარი შერჩეს, თუ ცოლმა (თავის სანახევროზე) ხელი არ აიღო, ანუ ქმარმა, რომელმაც მეუღლეობის ნასკვი თავისის ხელით გამოჰკრა, ყველაფერზე ხელი არ აიღო. ხელის აღება ღვთისნიერებასთან ახლოა. ერთმანერთის მიმართ პატიოსნება არ დაივიწყოთ. ღმერთი იხილავს, რასაც, ჰსჩადიხართ.

239. ზრუნვით დაიცევით ჟამი ლოცვისა და შუალოცვა, ლოცვასაც მოწიწებით გამსჭვალული შეუდექით.

240. ხოლო თუ რისამე შიში გქონდესთ, შეგიძლიათ, ილოცოთ ფეხზე დგომით, ანუ ცხენზე ყოფნით. როცა არა გიშავდესთ რა, ღმერთი ხელახლა მოიგონეთ, ვინადგან მან გასწავლათ, რაც არ იცოდით.

241. ვისაც თქვენ შორის სიკვდილის შემდეგ ცოლები რჩებოდესთ, უნდა უანდერძონ მათ ერთის წლის განმავლობაში მათთვის საზრდოდ დანიშნული სამკვიდრო, თორემ იძულებულ იქმნებიან, ოჯახი დასტოვონ. უკეთუ თვითონვე

დასტოვონ, აღარ გეკითხოსთ, რათა თავი პატიოსნად დაიჭირონ: ღმერთი ძლიერ და ბრძენია.

242. პატიოსნად შენახვა უნდა გაშვებულ ცოლებსა; ეს დაევალება აღსასრულებლად მათ, რომელთაც ღვთის ეშინიათ.

243. ღმერთი ასე განგიმარტებსთ თავისს სასწაულებსა, რათა გულის ხმა ჰყოთ.

244. ნუ თუ არ შეგინიშნავს, ვინც მრავალ ათასთა რიცხვში თავიანთი ქვეყნითგან გავიდენ სიკვდილის შიშით! ღმერთმა უთხრა მათ: დაიხოცეთო. მერმე, სიცოცხლესვე მოაგო იგინი, ვინადგან ღმერთი აღსაესეა სიკეთითა კაცთათვის; ხოლო უმეტესი ნაწილი უმადურია მისი ქველმოქმედებისა.

245. ღვთის გზით იბრძოლეთ და იცოდეთ, რომ ღმერთი ისმენს და უწყის ყველაფერი.

246. ვის ჰსწადია, კარგი რამ დაეალება უყოს ღმერთსა? ღმერთმა იგი განამრავლოს დაუბოლოებლად, ვინადგან ღმერთი შეამცირებს; თუ განაგრცვლებს თავისს წყალობას თავისივე ნებით და თქვენც ყველა მასთან მიიქცეთ.

247. მოიგონე ისრაელის შეილთა ყრილობა, მოსეს სიკვდილის შემდეგ, როცა უთხრეს ერთს თავიანთ წინასწარმეტყველთაგანს, მეფე აგვიჩინეთ და ღვთის გზით ვიბრძოლოთო. ხოლო ოდეს აგვიჩინოთ, მიუგო, ნუ თუ უარი არა თქვათო! რად არ უნდა ვიბრძოლოთ ღვთის გზით, ჩვენ ჩვენის ქვეყნითგან გამოყრილებმა და ჩვენ ბავშვებს დაშორებულებმაო? გარნა, როცა გასვლა ებრძანათ, აზრი გამოიცვალეს, მცირეოდენ რიცხვს გარდა. მაგრამ ღმერთი იცნობს უკეთურთა.

248. წინასწარმეტყველმა უთხრა მათ, ღმერთმა ტალუტ (სავლე) მეფედ ამოგირჩიათ. როგორ თუ ხელმწიფება უნდა ექმნეს ჩვენზედაო, ლალად ჰყვეს ისრაელებმა? ღირს ვართ მის უმეტესისა; სიმდიდრითაც კი არა აქვს მას უპირატესობაო. წინასწარმეტყველი შეეცილა: ღმერთმა იგი ამოარჩია მბრძანებლად, მას მიჰმადლა მრავალი ცოდნა და დიდი ძლიერება სხე-

ულისა. ღმერთი ახელმწიფებს, ვისაც იწებებს, იგია დიდებულ და მეცნიერი.

249. წინასწარმეტყველმა უთრა მათ: მისი ხელმწიფე ბის ნიშნად აღთქმის კიდობანი მოივლინოს. იგი გექმნესთ საწინდრად უშიშრობისა თქვენის უფლისაგან; დაიცვას მოსესა და არონის სახლეულობის ზოგი რამ ნაშთი; ანგელოზებმა ატარონ. ნიშად გადმოგადგესთ, თუ მორწმუნე იქმნეთ.

250. როცა ტაბუტ წარემართა და მასთან მისი მხედრობა, უთხრა მათ: ღმერთმა მდინარის წყალით გამოგცადოსთ. ვინც იქ თავი დაირწყულოს, ჩემთაგანი არ იქმნეს, ხოლო ვინცა ეკრძალოს (პეშვით წყალის ამოღებას) ჩემთაგანად შეირიცხოს. მცირეოდენ რიცხვს გარდა სხვა ყველამ წყურვილი მოიკლა. როცა მეფე და მისი მიმყოლი მორწმუნენი მდინარეს გავიდენ, სხვებმა მისძახეს: დღეს არა გაქვსთ ძალა ჯალუტისა (გოლიათისა) და მისი მხედრობის წინააღმდეგო; ხოლო ვინც უკანასკნელ დღეს ღვთის პირის ხილვა იწამა, ჰსთქვეს: ოჰ! რამდენ გზის, ღვთის ნებით, ურიცხვი ჯარი დამარცხებულა მცირეოდენ ჯარისაგან! ღმერთი ჰგიებს გულადებთანა.

251. ხოლო როცა ბრძოლის ველზე ჯალუტსა და მის ჯარს დაუახლოვდენ, ლალად ჰყვეს: უფალო, სიმტკიცე მოგვმადლე, მუხლ მაგარ გყავ და ამ ურჯულო ხალხზე გამარჯვება მოგვეც.

252. ხოლო ღვთის ნებით აოტეს იგინი. დავითმა ჯალუტ მოჰკლა; ღმერთმა წიგნი და სიბრძნე მიანიჭა მას; ასწავლა, რაც ჰნებავდა. ღმერთი რომ ერთს ხალხს მეორით არ იმაგრებდეს, უთუოდ ქვეყანა გაირყვნებოდა. მაგრამ ღმერთი ქვეყანას ჰმოწყალებს.

253. ღვთის მოძღვრება ასეთია. გამოგიცხადებთ, ვინადგან მოვლინებულთაგანი ხარ.

254. წინასწარმეტყველნი ერთნი მეორეთა უმაღლეს ავწიეთ. უმაღლეს არიან იგინი, რომელთაც ღმერთი ეუბნა.

იესო, მარიაშ ძე, ცხადის სასწაულები თანახლებით მოვაგ-
ლინეთ და სიწმინდის სულით გავნამტკიცეთ. ღმერთს რომ
ენებებინა, ვინც მათ შემდეგ და სასწაულთა გამოცხადების შემ-
დეგ მოვიდენ, აღარ დაიხოცებოდენ, მაგრამ ცილობა დაიწ-
ყეს მათ; ზოგიერთებმა იწამეს, სხვები კი ურწმუნო იქმნენ.
ღმერთს რომ ენებებინა, აღარ დაიხოცებოდენ; ხოლო ღმერ-
თი მას მოიმოქმედებს, რასაც ინებებს.

255. მორწმუნენო! მოწყალება გაცეით კეთილთაგან,
რაც თქვენთვის მოგვინიჭებია, ვიდრე დადგებოდეს ის დღე,
როცა აღარც პირობა იქმნეს, აღარც მეგობრობა, აღარც
შუამავლობა. ურჯულოები უკეთურ არიან.

256. ღმერთი არს ერთი ღმერთი; არა არს სხვა ღმერთი
თვინიერ მისა, ცხოველისა, უცვალებელისა. ვერც თვლენა,
ვერც ძილი გასჭრის იმაზედ. რაც კი რამ არის ცათა შინა და
ქვეყანაზე, ყველაფერი მას ეკუთვნის. ვის შეუძლია შუამავ-
ლობა მის წინაშე მის ნება დაურთველად? მან უწყის, რაცაა
მათ წინაშე და რაცაა მათ უკან, და კაცნიც მიიღებენ მისის
სიბრძნისაგან მხოლოდ მას, რაც ჰსწადდა. ესწავლებინა მათ-
თვის. მისი ტახტი ცასა და ქვეყანას გაჰსწვდება და არც უჭირს
მათი დაცვა. იგია ყოვლად მაღალ, დიდებული.

257. ძალდატანება სარწმუნოებაში ნუ იქმნება. გზა სი-
მართლისა საკმაოდ გაირჩევა შეცდომაში. ვინც თავუტ არ
იწამოს და ღმერთი იწამოს, იგი ეჭიდებოდეს მაგარ ტარსა და
გატეხისგანაც დაცულსა. ღმერთს ყველაფერი ესმის და უწყის.

258. ღმერთი პატრონია მათი, რომელთაცა ჰსწამსთ; ბნე-
ლეთით სინათლისკენ გადმოასხას იგინი.

259. ურჯულოებს სხვა პატრონი არა ჰყავსთ თვინიერ
თავუტისა. მათ უწინამძღვროს სინათლით ბნელეთისკენ; იგი-
ნი მიეცნენ აღმურსა, სადაც საუკუნოდ დაემკვიდრონ.

260. განა არაფერი გსმენია მისი, აბრაამს რომ ებაასა
ღვთისათვის, რომელმაც მეფობა უბოძა? აბრაამმა ჰსთქვა: ჩემ-
და უფალ არს იგი, რომელიც სიცოცხლესა და სიკვდილს იძლე-

ვა.—მე ვარო, მიუგო მან, სიცოცხლისა და სიკვდილის მომნიჭებელი.—რაკი ღმერთობო, სიტყვა ჩამოართვა აბრაამმა, მზე აღმოსავლეთით ჩაიყვანე, დასავლეთით ამოიყვანეო. ურჯულო გაწბილებულ იქმნა. ღმერთმა ურჯულოებს არ წარუმართოს.

261. ან არ გსმენია მისი, რომელმაც ერთ ღღეს ჩაქცეულსა და ჩაწოლილ ქალაქთან გავლის დროს ღღად ჰყო: ღმერთმა როგორ უნდა გამოაცოცხლოს ეს მკვდარი ქალაქიო? ღმერთმა იმ კაცს სული ამოახდინა და ას წელიწადს დარჩა იგი იმნაირად; რამდენი ხანი დაჰყავი აქაო?—ერთი ღღე, ანუ მხოლოდ რამდენიმე ყამიო, მიუგო მეზავრმა.—არაო, ღმერთი შეესიტყვა, შენ დაჰყავ აქ ასი წელიწადი. შენს საქმელსა და სასმელს დახედე; ჯერ კიდევ არ გაფუჭებულა; მერმე შენს ვირს დახედე, მისი ძვლებიღა დარჩენილა. ჩვენ ვინებეთ, კაცთათვის სასწაული რამ მოგვეხდინა მაგისგან. იხილე, თუ ძვლების ჩონჩხს როგორ ვაწყობთ და მასუკან ხორცსა ვმოსავთო. იმ სასწაულის დამნახველმა კაცმა ღღად ჰყო: აღვიარებ, რომ ღმერთი ყოვლად შემძლეა.

262. როცა აბრაამმა ღმერთს უთხრა: უფალო მანახე, თუ როგორ ვააცოცხლებ მკვდრებსაო, ღმერთმა უთხრა: კიდევ არ გჯერაო? მჯერაო, აბრაამმა უპასუხა, ხოლო მინდოდა გულიც სრულიად დაჯერებული მქონოდაო. მაშინ ღმერთმა უთხრა მას: ოთხი ფრინველი აიყვანე და ნაკუწ-ნაკუწად დასჭერი; მათი ნაწევრები მიმოყარე ბორცვების მწვერვალსა, მასუკან იმათ დაუძახეო: შენთან მოვიდენ იგინი; ხოლო იცოდე, ღმერთი ძლიერ და ბრძენია.

263. ვინც თავიანთ სიმდიდრეს ღვთის გზას გადააგებენ, მსგავს არიან მარცვლისა, რომელიც დაიყრის შვიდს თაველსა და რომელთაგან თვითო ასს მარცვალს გამოიღებს. ღმერთმა ორ წილად მიჰსცეს მას, ვინცა ინებოქს. დიდებულ და ბრძენია.

264. ვინც თავისი სიმდიდრე ღვთის გზას გადააგოს და

თავისს გულუხვობას თან საყვედური და ცუდი საქციელი არ აადევნოს, სასყიდელი მიიღოს თავისი უფლის წინაშე. შიში არ გადმოვიდეს მაზე და არც დაჩაგრულ იქმნეს.

265. პატიოსანი სიტყვა, პატიება შეურაცხყოფისა ჰსჯობია მოწყალებასა, რომელსაც ვნება მოჰყვება მისდამი, რომელიც მას მიიღებს. ღმერთი მდიდარ და მოწყალეა.

266. მორწმუნენო! თქვენს მოწყალებას ფუჟად ნუ აქცევთ საყვედურითა და ცუდის საქციელით, როგორც ირჯება იგი, რომელიც მოწყალებას მედიდურობით გაიღებს, რომელსაც არა ჰსწამს ღმერთი და უკანასკნელი დღე. მცირეოდენლად მიწით დაფარულს ხრიოკ ბორცვს მიემსგავსება იგი; თქეში რა დაეცეს იმ ბორცვსა, მარტო კლდედა დაჰსტოვოს. ამგვარ კაცებს თავიანთი ნამოქმედარი არაფრად გამოადგესთ; ვინადგან ღმერთი ურჯულოებს არ წარუმართებს.

267. ვინც თავისი ქონება იმ სურვილით გაიღოს, რომ ღმერთს აამოს და სულიც განიმტკიცოს, ემსგავსოს წალკოტსა, რომელიც გაშენებულია უხვის წვიმით მორწყულ ფერდობზე და რომლის ნაყოფიც ერთი ორად გამზდარა; თუ იქ არ ჰსწვიმს,—ნამავეს. ღმერთი ჰხედავს, რასაც ჰსჩადიხართ.

268. განა ვისმე თქვენგანს უნდა, წალკოტი ჰქონდეს ინდისხურმის ხითა და ვაზით გაშენებული, წყლის ნაკადულით მორწყული, ყოველგვარის ნაყოფით მდიდარი და ამ ნეტარებაში კი სიბერე ეწიოს, შვილები ჰყავდეს მცირე წლოვანი და დიდმა აღის გრიგალმა. შთანთქას წალკოტი იგი. ღმერთი ასე ავიხსნისთ თავისს მოძღვრებასა; ეგების, გულის ხმა ჰყოთ.

269. მორწმუნენო! წყალობა გაეცით საუკეთესო ნივთებისაგან, რაც კი შეგიძენიათ, ნაყოფისაგან; რაც კი თქვენთვის მიწითგან აღმოგვიცენებია. თქვენთა კეთილთაგან სამოწყალოდ ნუ დაარიგებთ ყოვლად ცუდს ნაწილსა;

270. ისეთს, რასაც თქვენ თვითონ არ მიიღებდით, მის საპირისფეროდაც კი, ვინც შემოგაძლევდათ. იცოდეთ, რომ ღმერთი მდიდარ და დიდებით აღსავსეა.

271. სატანა სილატაკეს გემუქრებათ და არაწმიდობას გირჩევს! ღმერთი მიტევებასა და ქველმოქმედებას აღვითქვამსთ და უქველია, ღმერთი დიდებულ და ბრძენია.

272. სიბრძნეს აძლევს, ვისაც ჰნებავს; ვინც სიბრძნე მიიღო, დიდი სიკეთე მიიღო; მხოლოდ გრძობა-მიმადლებულნი კაცნი ფიქრობენ ამას.

273. როგორიც უნდა იყოს სამოწყალო, თქვენი გასაღებელი, როგორიც უნდა იყოს აღთქმა, თქვენი დასადებელი, ღმერთმა შეიტყოს. უკეთურებისადმი თანაგრძობა არავითარი იქმნეს. სამოწყალოს ცხადლივ გაიღებთ?—საქებარია. იღუმალ გაიღებთ და ღარიბებს შეეწევით? უფრო წაგადგესთ. ამგვარმა საქციელმა თქვენი შეცოდება აღხოცოს. ღმერთია გამგებელ მისა, რასაცა იქმთ.

274. დავალებული რადი ხარ, მუჰამად! ურჯულოებს წარუმართო. ღმერთი წარუმართებს მათ, ვისაც ინებებს. ყველაფერი, რაც სამოწყალოდ დაარიგოთ, თქვენვე დაგიბრუნდესთ სარგებლით. ყველაფერი, რაც დაარიგოთ სურვილით, რათა პირი ღვთისა იხილოთ, თქვენვე მოგიზღონ და უსამართლოდაც აღარ მოგექცენ. თქვენ შორის არიან ისეთი ღარიბები, რომელთაც რაკი ერთად ერთ საქმედ ღვთის გზით ბრძოლა გაუხდიათ, ღონე აღარ შეჰსწევსთ, ქვეყანა მოვლონ თავის გასამდიდრებლად ვაჭრობითა; ვინც ვერ იცნობს მათ, მდიდარი ჰგონია მათისავე თავდაჭერილობის გამო; შენ იმათ იცნობ მათის ნიშნებით; ხალხს თავს არ აბეზრებენ მათხორობითა. ყველაფერი, რაც იმ კაცთა უბოძო, ღმერთს ეცოდინოს.

275. ვინც სამოწყალო გაჰსცეს დღისით, ანუ ღამით, იღუმალ, ანუ საჯაროდ, ღვთისაგან მისთვის სასყიდელი მიიღოს. შიში არ ეცეს და არც ტანჯულ იქმნეს.

276. ვინც ვახშის მონაგებს ეტანება, აღღგომის დღეს აღსდგეს მისებრ, რომელიც სატანამ შეხებით გაამწიკვლიანა. ისიც იმიტომ, რომ ამბობს: ვახში იგივეა, რაც გაყიდვაო.

ღმერთმა გაყიდვა ინება, ვახში კი აკრძალა. ვისაც ეს გაფრთხილება უფლისა შეეხოს და ამ უსამართლობას ბოლო მოუღოს, ნამყოსათვის მიტევება მიიღოს; მისი ბედი მაშინ ეკიდოს ღმერთზე. ვინც დაუბრუნდეს ვახშა, ჩავარდეს. ცეცხლში, სადაც საუკუნოდ დაემკვიდროს.

277. ღმერთმა ვახში მოსპო და ვახშით ამრავლებს სამოწყალოს ფასსა. ღმერთსა ჰსძაგს ყოველი ურწმუნო და სჯულგადამავალი ადამიანი. ვინც იწამოს და კეთილი საქმეები ჰქმნას, ვინც ლოცვა დაიცვას და სამოწყალო გასცეს, სასყიდელი მიიღოს თავისის უფლისაგან. შიში არ ეცეს და არც ტანჯულ იქმნეს.

278. მორწმუნენო! ღვთის გეშინოდესთ და დანაშთენი ვახში შეარჩინეთ, თუ მისანდო ხართ.

279. თუ არა ჰქმნათ, ელოდეთ ბრძოლას ღმერთთან და მის მოვლინებულთან. ხოლო თუ შეინანოთ, თქვენი თავნი თქვენვე დაგრჩესთ. არავინ შეურაცხჰყოთ და შეურაცხყოფილ არც თქვენ იქმნეთ.

280. თუ თქვენი მოვალე გასაჭირში ჩავარდეს, მოითმინეთ, ვიდრე ღონე იძიოს. ხოლო თუ ვალი აპატიოთ, უმეტესი დაიმსახუროთ, თუ გესმისთ.

281. გეშინოდესთ ღლისა, როცა ღვთისადმი მიიქცეთ, როცა ყოველსავე სულსა მის საქმეთაებრ მიეგოს; დამცირებულ არავინ იქმნეს.

282. მორწმუნენო! როცა პირობასა ჰსდებდეთ ვალისათვის, რომელიც უნდა გადახდილ იქმნას გადაჭრილ დროზე, წერილით დასდებდეთ. მწერალმა ნამდვილად აღნიშნოს წერილით. მწერალმა უარი არა ჰსთქვას და დაჰსწეროს, ცოდნისამებრ, რაც ღმერთს მისთვის უსწავლებია; დაჰსწეროს, ხოლო მოვალემ უთხრას; უფლის ეშინოდეს და არაფერი დააკლოს. თუ მოვალეს ამაში ხელ გამომავლობა არა აქვს, თუ იგია უძღურთაგანი ამა სოფლისა, და თუ არ შეუძლია თვითონ უთხრას, — მისმა პატრონმა (ანუ მისმა მეგობარმა) უთ-

ხრას სარწმუნოდ მის მაგიერ, თქვენ შორის არჩეულს, ორს მოწმეს მოუწოდეთ; თუ ორი კაცი ვერა ჰპოოთ, მოუწოდეთ მოწმობა რომ შეეძლოსთ ერთს კაცსა და ორს ქალსა, რათა თუ ერთს დაავიწყდეს, მეორემ შეიძლოს საქმის მოგონება. მოწმეთა უარი არ უნდა ჰსთქვან ჩვენებისა, როცა საქირო შეიქმნენ. არ ითაკილოთ ვალის აღება წერილით, დიდი იქმნეს, თუ პატარა, ხოლო გადახდის ბორჯსა დასდებდეთ. ასეთი წარმოება უფრო სამართლიანია ღვთის წინაშე, უფრო მომარჯვებული სამოწმებლად და უფრო ცხადი ყოველგვარის ეჭვის ასაცილებლად, თუ მხოლოდ სავაჭრო არ გექმნესთ რამე და ხელითგან ხელში არ გადაეცით: მაშინ ცოდვა არ იქმნეს, თუ პირობა წერილით არ შეჰკრათ. მოწმებს მოუწოდეთ პირობისთვის და ნუ დააძალებთ ნურც მწერალსა, ნურც მოწმესა; ხოლო თუ ჰყოთ, ცოდვა ჩაიდინოთ. გეშინოდესთ ღვთისა; იგი გასწავლისთ და მანვე უწყის ყველაფერი.

283. თუ გზად იყვნეთ, და მწერალი ვერა ჰპოოთ, მაგიერობა საწინდარმა გასწიოს. ხოლო თუ ერთმა მეორეს ნივთი რამ ჩააბაროს, ვისაც საწინდარი ჩაბარდეს, ხელუხლებლივ აღადგინოს იგი; ღვთის, თავისის უფლის ეშინოდეს. მოწმობის უარი არა სთქვათ; ვინც უარი ჰსთქვას, გულ გარყენილ იქმნეს. ხოლო ღმერთმა თქვენი საქმეები უწყის.

284. ყველაფერი, რაც კია ცათა შინა და ქვეყანაზე, ღმერთს ეკუთვნის; აკეთებდეთ თქვენს საქმეებს დღისით, თუ ღამით, ანგარიში მოგთხოვოს; მიუტეოს, ვინცა ინებოს და დაჰსაჯოს, ვინცა ინებოს. ღმერთი ყოველად შემძლებელია.

285. წინასწარმეტყველსა ჰსწამს, რომ იგია უფლის მიერ მოვლინებული. მორწმუნეთა ჰსწამსთ ღმერთი, მისი ანგელოზები, მისი წიგნები, მისი მოვლინებულნი. იგინი ამბობენ: განსხვავებას არა ვსდებთ ღვთის მოვლინებულთა შორისო. ჩვენ გვესმა და მორჩილ ვართო. მოგვიტევე ჩვენნი შეცოდებანი, უფალო! ყველანი შენდამი მოვიქცეთ.

286. ღმერთმა ერთს სულსაც არ ატვირთებინოს ისეთი ტვირთი, რომ მის ძალთა უმაღლეს იქმნეს. რაც სულმა ჰქმნას, მის სარგოდ, ან მის წინააღმდეგ იქმნეს. უფალო, არ დაგვსაჯო შეცდომათათვის, რაც ჩავიდინოთ გულმაღვიწყოებით, თუ უმეცრებით. უფალო, არ აგვადებინო ტვირთი, რომელიც ჩვენს უწინარეს ყოფილთ ატვირთებინე. უფალო, არ შეგვატვირვო მით, რაც ვერ ავიტანათ. ჩვენი შეცოდებანი აღბოცე, მოგვიტევე, შეგვიწყალე. ჩვენდა უფალ ხარ. ურჯულოებზე გამარჯვება მოგვეც.

თ ა ვ ი III.

გვარეულობა იმრანისა.

ნაბოძებია შედინეს. — 200 მუხლი.

ს ა ხ ე ლ ი თ ა

ღ ვ თ ი ს ა

მოწყალისა და შემწყნარებლისა.

1. ელიფ. ლამ. მიმ. ღმერთი. სხვა ღმერთი არა არს თვინიერ მისა, ცხოველისა, უცვალებელისა.

2. სრულის ქეშმარიტებით მოავლინა წიგნი, რომელიც მის უწინარეს ყოფილს განამტკიცებს; მალლით დაბადება და სახარება გადმოავლინა კაცთა დასარიგებლად. განსხვავება გადმოავლინა.

3. ვინც ღვთის სასწაულები არ იწამოს, საშინელი სასჯელი განიცადოს. ღმერთი შემძლებელ, შურისმგებელია.

4. რაც კია ცათა შინა და ქვეყანაზე, არაფერია მისთვის დაფარული. ჩაგსახავსთ, როგორც ებრიანება, დედიტქვენის გვამში. სხვა ღმერთი არა არს თვინიერ მისა. იგია შემძლებელ, ბრძენი.

5. წიგნი მოგივლინა. შიგ იპოვება უცვალებელი მუხ-

ლები, თითქო დედა-წიგნად, სხვებიც იგავად. ვისი გულიც სიმართლის გზას გადუხვევს, იგავებს დაჰსდევენ სურვილის გამო უწყსოებისა და სურვილის გამო განმარტებისა; მაგრამ მარტო ღმერთმა უწყის მისი განმარტება. მტკიცე გონების კაცთა ჰსთქვან: წიგნი იგი გვრწამს, ყველაფერი, რასაც იგი შეიცავს, ჩვენის უფლისაგან მოდისო. დიახ, გონება-მამადლებულნი კაცნი გულის ხმას ჰყოფენ.

6. უფალო! ჩვენ გულს ნუ მიუშვებ, რათა გადუხვიოს სიმართლის გზასა, რაკი ერთხელვე წარგვიმართე. შენი წყალობა მოგვმადლე, ვინადგან მომმადლებელ ხარ უზენაესი.

7. უფალო! კაცთა ნათესავი შეჰკრიბო დღესა, რომლისაც ეჭვი არ იქმნეს. ღმერთმა თავისი აღთქმა უთუოდ აღასრულოს.

8. ურჯულოთათვის ვერც მათმა სიმდიდრემ, ვერც მათმა შეილებმა გაჰსწიონ მაგიერობა ღვთის წინაშე; ცეცხლის საკმელად იქმნენ.

9. ასეთი იყო ბედი ფარაოს ხალხისა და მათიც, რომელნიც იყვნენ მათ უწინარეს. ჩვენი სასწაულები სიცრუედ ჩაჰსთვალეს. ღმერთმა შეიპყრო იგინი მათის შეცოდებისითვის და საშინელიც არი თავისის სასჯელითა.

10. ურწმუნოებს უთხარი: ჩქარა დამარცხებულ და ჯანაბაშიაც შეკრებილ იქმნეთ, რა საზარელი სამყოფია!

11. იმ ორ ჯარში, ხელ ჩართვით რომ შეიბნენ, ერთი ღვთის გზით მებრძოლი, ხოლო მეორე ურჯულო, თქვენთვის სასწაული იყო. ურჯულოებს ეგონათ, თითქო ორჯერ უმრავლეს მტერს ხედავდენ; ხოლო ღმერთი თავისის შემწეობით იმაგრებდა, ვისაც ჰნებავდა. შექველია, გასაფრთხილებლად იყო იგი ცხადმხედველ კაცთათვის.

12. სიყვარული სიამოვნებისა, რომ ორც ქალებისა, ბავშვებისა, ოქრო-ვერცხლის საუნჯისა, ნიშან დასმულის ცხენებისა, ჯოგებისა, სოფლებისა, ეს ყველაფერი კარგი ჰსჩანს კაცთათვის, მაგრამ კი დროებითი სიტკბოებაა ამა წუთისოფლისა. ხოლო უშვენიერესი თავშესაფარი წინაშე ღვთისაა.

13. უთხარი: შემიძლია განა, მორწმუნეებს ამის უმჯობესი რამ ვაუწყო? თავიანთი უფლის წინაშე. ჰპოონ წყალის ნაკადულით მორწყული წალკოტები, სადაც უკუნისამდე დაჰყონ; ყოვლისავე მწიკვლისაგან გაცლილი ქალები და კმაყოფილება ღვთისაგან. ღმერთი უყურებს თავის მსახურთა.

14. ასეთი იქმნეს ბედი მათი, რომელნიც იტყვიან: უფალო, ჩვენ ვირწმუნეთ, ჩვენი შეცოდებანი მოგვიტევე და ცეცხლის სატანჯველისაგან დაგვიცვიო.

15. მათი, რომელნიც სულგრძელ, სამართლიან, თავმდაბალ, მოწყალე იქმნენ და ღმერთს მიტევებას ევედრებოდნენ ყოველთვის ცისკრის ამოსვლისას.

16. ღმერთი თვითონ მოწმეა მის, რომ სხვა ღმერთი არა არს თვინიერ მისა; გულისხმიერებითა და სიმართლით მიმადლებული ანგელოზნი და კაცნი განიმეორებენ: სხვა ღმერთი არა არს თვინიერ მისა, ძლიერისა, მეცნიერისა.

17. ღვთის სარწმუნოება ისლამია. ვინც წერილს მიჰსდევნენ, მხოლოდ მაშინ გაიყვნენ, როცა მცნება მიიღეს, და შურის მიზეზითაც. ვინც ღვთის სასწაულთა რწმუნებებს უარი ჰყოლს, განიცადოს, თუ რამდენად მოსწრაფეა იგი, აღამიანის ნამოქმედარის ანგარიში მოითხოვოს.

18. უთხარი მათ, რომელნიც შეგეცილონ: ღმერთს მივინდობივარ მესრულიად, აგრეთვე იგინიც, რომელნიც მე შემიდგებიან.

19. უთხარი მათ, რომელთაც წერილი მიუღიათ, და უმეტართაც: ღმერთს მივინდობით? უკეთუ ჰყონ, სიმართლის გზაზედ იქმნენ, თუ გადგნენ და შენა ხარ დავალებული მხოლოდ ქადაგებასა. ღმერთი უყურებს თავის მსახურთა.

20. აუწყე მათ, რომელთაც ღვთის სასწაულები არა ჰსწამსთ, რომელნიც ხოცვენ თავიანთ წინასწარმეტყველებს ყოვლის სამართლიანობის, წინააღმდეგ და ყველას მათ შორის, რომელნიც სამართლიანობას უქადაგებენ მათ, — აუწყე მათ სამწუხარო სასჯელი.

21. მათ, რომელთაც ნამოქმედარი სააქაოს და საიქიოს წმინდად ჩაღუბვილა და რომელთაც დამცველები ვერ აიჩინონ:

22. ნუ თუ არ გინახავს, ვინც (ებრაელებმა) წერილის ერთი ნაწილი მიიღეს, მათი ხვეწნა ღვთის წიგნის მიმართ, რათა მათი ცილობა გადაეჭრა და შემდეგ კი მათი ერთის ნაწილის გადგომა და დაშორება?

23. ერთმანერთს უთხრეს: ცეცხლი გვეწიოს მხოლოდ რამდენიმე დღითაო. მატყუარობას თვალები დაუყენებია მათთვის თავიანთ საწამებელზე.

24. რა იქმნეს, ოდეს შეგყაროთ იმ უცქველს დღესა, იმ დღეს, ოდეს ყოველმა სულმა თავისის ნამოქმედარის სასყიდელი მიიღოს და შეურაცხყოფილიც არავინ იქმნეს.

25. ჰსტკვი: უფალო, ხელმწიფება შენ ხელთ არი: მიანიჭო, ვინცა ინებო და წაართვა, ვინცა ინებო; აამაღლო, ვინცა ინებო და დაამდაბლო, ვინცა ინებო. კეთილი შენ ხელთ არი, ვინადგან ყოვლად ძლიერ ხარ.

26. დღეს აღამებ და ღამეს ათენებ, სიცოცხლე გამოგყავს სიკვდილით, ხოლო სიკვდილი სიცოცხლითგან. საზრდოს აძლევ, ვისაც გნებავს, უთვალავსა და უზომოსა.

27. მორწმუნეებმა მეგობრად (მოკავშირედ, ანუ მფარველად) არ აიყვანონ ურჯულოები უფრო, ვიდრეღა მორწმუნეები. ვინც ეს ჩაიდინოს, ნურათურის იმედი ექმნეს ღვთისაგან, თუნდაც გეშინოდესთ მათი. ღმერთი გაფრთხილებსთ თავისის შიშისაგან; ვინადგან მის მიმართ უნდა მიიქცეთ. უთხარი მათ: დამალოთ, რაც გულთა გაქვსთ, თუ გამოაჩინოთ საქვეყნოდ, ღმერთმა შეიტყოს. მან უწყის, რაცაა ცათა შინა და ქვეყანაზე. იგია ყოვლად ძლიერი.

28. იმ დღეს, როცა ყოველმა სულმა ჰპოოს თავის წინაშე კეთილი, რომელიც უქმნია, და ბოროტი, რომელიც ჩაუდენია, იმ დღეს მან ინატროს, რათა დიადმა სივრცემ განაცალკეოს თავისის ბოროტმოქმედებისაგან. ღმერთი გაფრ-

თხილებსთ, რომ უნდა გეშინოდესთ მისი, ვინადგან კეთილის მოსურნეა თავის მსახურთათვის.

29. უთხარი მათ: თუ ღმერთი გიყვარსთ, შემომიდექით; შეგიყვაროსთ მან, თქვენი შეცოდება მოგიტეოსთ მან. სულ-გუძელ და მოწყალეა. ღმერთსა და წინასწარმეტყველს დაე-მორჩილეთ; ხოლო თუ გადგეთ, იცოდეთ, რომ ღმერთს არ უყვარს ურჯულოები.

30. ღმერთმა აირჩია უბირატესობით ყველა კაცთა წინა-შე აღამ და ნოე, გვარეულობა აბრაამისა და იმრანისა. გვარეულობანი იგი ერთმანერთისაგან ჩამომავლობენ. ღმერთმა უწყის და ისმენს ყველაფერსა.

31. მოიგონეთ ღღე, ოდეს იმრანის მეუღლემ აღავლი-ნა ღვთის მიმართ ეს ლოცვა: უფალო, შენთვის შემომიწი-რავს, რაც გვამში მაქვს და სრულიად შენდა საკუთრებად იქ-მნეს; შეიწყნარე იგი, ვინადგან გესმის და უწყი ყველაფერი. ხოლო შეა თუ არა, ჰსთქვა: უფალო, ქალი შემეძინა მე (ღმერთმა კარგად იცოდა, თუ რა ეყოლა: ვაჟი ის არაა, რაც ქალი) და სახელად მარიამ უწოდე მე. შენს საფარველ ქვეშ დამიყენებია იგი და მისი შთამომავლობა, რათა ჩაქოლვილის სატანას მანქანებისაგან დაიცვა იგინი.

32. უფალმა ჩინებულად მიიღო იმრანის ცოლი; დიახ შეენიერი ქმნილება აშობინა. ზაქარია ზრუნავდა ყრმისათვის; ყოველთვის, როცა კი ნახულობდა მარიამს მისს სენაკში, მის ახლოს საზრდოს ჰპოებდა. მარიამ, ეგ საზრდო საითგან მოგ-დისო? ღვთისაგან მომდისო, მიუგო მარიამმა, ვინადგან ღმერ-თი უხვად ასაზრდოებს, ვისაც ჰნებავს და არც მიუთვლის ლუ-კმა-ლუკმად.

33. აქ ზაქარიამ ღვთის ვედრება დაიწყო, უფალო, კურ-თხეული შთამომავლობა მიბოძე. შენ გიყვარს ასრულება თავ-მდაბალთა ვედრებისა. ანგელოზები გამოეხმაურნენ მას, რო-ცა საკურთხეველში ლოცულობდა.

34. ღმერთი გახარებს შობას იაჰიასას, რომელმაც ღვთის

სიტყვის ქეშმარიტება განამტკიცოს; დიდებულ, უმანკო, მართალთა შორის წინასწარმეტყველ იქმნეს.

35. უფალო! ყრმა იგი საითგან მომევიღნოსო, ჰკითხა ზაქარიამ; მე მწვევია სიბერე, ჩემი ცოლი კი უნაყოფოა, ანგელოზმა მიუგო: ღმერთი ისე მოიმოქმედებს, როგორც ინებებს.

36. ზაქარიამ ჰსთქვა: უფალო, ნიში მომეც, შენის აღთქმის საწინდრად.—ბრძანა; აი ნიში: ხალხს სამს ღრეს ელაპარაკო მხოლოდ ნიშნებით. განუწყვეტლად აღიარებდე ღვთის სახელსა და ქებას შეასხმიდე მას საღამოსა და დილასა..

37. ანგელოზებმა უთხრეს მარიამსა: ღმერთმა ამოგარჩია, ყოველის მწიკვლისაგან გაგცალა, ქვეყნის ყველა ქალებში ამოგარჩია.

38. მარიამ! სათნო იქმენ შენის უფლისა; განერთხ და მუხლი მოიყარე მის წინაშე მათთან ერთად, რომელნიც მუხლს მოიყრიან.

39. ასეთია აქამომდე შენგან, მუჰამმად, უცნობი თხრობა, რომელსაც გამოგიცხადებთ. მათ შორის არ ყოფილხარ, როცა წილს ყრილობდენ, თუ ვის გაეწია მზრუნველობა მარიამისთვის; მათ შორის არ ყოფილხარ, როცა ცილობდენ.

40. ერთხელ ანგელოზებმა მარიამს უთხრეს: ღმერთი გახარებს თავისს სიტყვას. მას ეწოდოს მესია, იესო, მარიამის ძე, უჩინებულესი სააქოსა და საიქიოს და ღვთის მოყვასთაგანი;

41. ვინადგან ხალხს უნდა ელაპარაკოს იგი აკვნის ყრმა და დაკაცებული, და მართალთა შორის იქმნეს.

42. უფალო, მიუგო მარიამმა, როგორ მეყოლოს ძე? მამაკაცი არ ვიცი მე. — ანგელოზმა სიტყვა ჩამოართვა: ღმერთმა ისე გააჩინოს, როგორც ინებოს. იტყვის: იყავ და იგიც იქმნებაო.

43. მას ასწავლოს წიგნი და სიბრძნე, დაბადება და სახარება. იესო იქმნეს მისი მოვლინებული ისრაელის შვილთა

შიმართ. მათ უთხრას: მე მოვდივარ თქვენთან უფლის სასწაულებ თანახლებული; ჩიტის ნაკეთი გავაკეთო თიხისაგან, სული ჩავებრო და ღვთის ნებით ჩიტი გასულდგმულდეს; შობით ბრმა და კეთროვანი განვკურნო; მკვდრები აღვადგინო ღვთის ნებით; გითხრათ, რაცა ჰსჭამოთ და დამალოთ ქვენს სახლებში. ყოველი ეს მოქმედება თქვენთვის სასწაულად იქმნეს, თუ მორწმუნე ხართ.

44. მე მოვდივარ გასამტკიცებლად დაბადებისა, რომელიც ჩემს უწინარეს მიგიღიათ; ნება დაგროთ, ზოგი რამ თხმაროთ ისეთი, რაც აკრძალული გქონდათ. მე მოვდივარ სასწაულებითურთ თქვენის უფლისაგან. გეშინოდესთ მისი და შემორჩილებოდეთ მე. იგია ჩემი უფალ და თქვენიცა; თაყვანი ეცით მას; იგია გზა სიმართლისა.

45. ხოლო რაკი იესომ ურჯულოება შეატყო მათ, ღალად ჰყო: ვინ იქმნეს ჩემდა თანაშემწედ, რათა კაცნი ღვთისადმი წარვმართო? ჩვენ ვიქმნეთო, იესოს უპასუხეს მოწაფეებმა, ღვთისადმი თანაშემწედ. ღმერთი გვრწამს და შენც დაამოწმო, რომ მისს ნებას ვენდობითო.

46. უფალო, ჩვენ ვიწამოთ, ვინც მოგვივლინო, და მოციქულსაც შეუდგეთ, ჩავვწერე მათ შორის, რომელნიც იმოწმებიან.

47. ურიები იესოს ემზაკვრნენ. ღმერთიც მათ ემზაკვრა; ხოლო, რასაკვირველია, ღმერთი უფრო მარჯვეა.

48. დიახ, სული ამოგახდინო და ჩემდამი აგამაღლო, ურჯულოთაგან გიხსნა, ვინც შეგიდგნენ, ივინი დავსხა მათ უმაღლეს, რომელთაც არა ჰსწამსთ, აღდგომის დღემდე. ყველანი ჩემთან მოიქცეთ და თქვენი საცილობელი თქვენ შორის განვსაჯო.

49. ურჯულოები დავსაჯო ფიცხელის სასჯელით სააქაოს და საიქიოს. შემწეობა ვერსად ჰპოონ.

50. ვისაცა ჰსწამსთ და კეთილს შვრებიან, ღმერთმა სას-

ყიდელი მისცეს მათ, ვინადგან უსამართლონი არ უყვარან მას.

51. აი დარიგება და ბრძნული გაფრთხილება, შენ რომ მოგიტხოვრობთ.

52. ღვთის თვალში იესო იგივეა, რაც ადამ. ღმერთმა კეცისაგან დასახა იგი, შემდეგ ჰსთქვა: აყავიო და იგიც იქმნა.

53. ეს სიტყვები სიმართლეა, რომელიც შენის უფლისგან გამოდის. მისი ექვის აღებას უფრთხილდით.

54. მათ, რომელნიც ამას შეგეცილონ, რაკი სრული ცნობა მიგიღია, უბასუხე: მოდით, მოვიხმოთ ჩვენი შეიღვები და თქვენიცა, ჩვენი ცოლები და თქვენიცა; მოვიდეთ ჩვენ და თქვენიცა, და მასუკან უფალს შევფიცოთ სათვითაოდ ჩვენ ჩვენის მხრით და მატყუარებზე მის წყევალ-კრულვას მოუწოდოთ.

55. რასაც მე გიქადაგებთ, თავისთავად ქემმარიტებაასხვა ღმერთები არაა თვინიერ ღვთისა; იგია შემძლებელ, ბრძენი;

56. თუ გაუკულმართდენ, უეჭველია ღმერთი იცნობს უკეთურებსა.

57. ურიებსა და ქრისტიანებს უთხარი: წერილის ხალხნო: ყურად იღეთ მხოლოდ ერთი სიტყვა; ყველაფერი თანასწორ იყოს ჩვენსა და თქვენ შორის; თანხმა გავხდეთ, თაყვანი ვსცეთ მარტო ერთს ღმერთსა და არ დაუამხანაგოთ მას, რაც უნდა იყვეს, და არ გამოვსძებნოთ ურთიერთშორის მეუფენი ღვთისა თანასწორ. თუ იუარონ, უთხარი მათ: თვითონ ხართ თქვენ მოწმე მის, რომ ჩვენ სრულიად ვენდობით ღვთის ნებასა.

58. თქვენ, რომელთაც წერილი მიგიღიათ! რად ცილობთ აბრაამისა გამო? დაბადება და სახარება მაღლით მოვლინებულ იქმნა მხოლოდ დიდ ხანს უკან მას აქეთ. ვერ შეიტყოთ განა ოდესმე?

59. თქვენ, რომელნიც ცილობთ მის გამო, რაც გეუწ-

ყათ, რად ეძებთ ცილობას მის გამო, რასაც სრულიად ვერა-
ჰსცნობთ? ღმერთმა უწყის, ხოლო თქვენ, თქვენ კი არ უწყ-
ით.

60. აბრაჰამ არც ურია ყოფილა, არც ქრისტიანე. ღვთი-
სნიერი და ღვთის წების მინდობილ იყო, წარმართთაგანთ
როდი ყოფილა.

61. ვინც აბრაამის სარწმუნოებას უფრო ემხრობიან, მი-
სივე მიმყოფ არიან. ასეთია წინასწარმეტყველი (მუჰამმად) და
მორწმუნენი. ღმერთი ერთგულთა მფარველია.

62. ერთ ნაწილს მათ შორის, რომელთაც წერილი მი-
უღიათ, თქვენი შეცდენა ჰსწადიათ, მაგრამ მხოლოდ თავიანთი
თავი შეაცდინონ და ვერც იგრძნონ.

63. თქვენ, რომელთაც წერილი მიგიღიათ! რად არა-
გრწამსთ უფლის სასწაულები, როდესაც მათი მრწამე იყავით?

64. თქვენ, რომელთაც წერილი მიგიღიათ! რად ჰმოსავთ-
ქეშმარიტებას მაკდურების სამოსელსა? რად ჰმალავთ თქვენ,
რომელთაც იგი უწყით?

65. ერთმა ნაწილმა მათ შორის, რომელთაც წერილი
მიუღიათ, ჰსთქვა: მორწმუნეთათვის (მუჰამმადიანთა) მოვლინე-
ბული წიგნი იწამეთ დილას, ხოლო მათი რწმუნება უარ-
ჰყავთ საღამოსაო; ამგვარად დაჰსტოვონ თავიანთი სარწმუ-
ნობა.

66. დაუჯერეთ მხოლოდ მათ, რომელნიც თქვენს სარ-
წმუნოებას მიჰსდევენ. უთხარი მათ: ქეშმარიტი წარმართება
ისაა, რაც ღვთისაგან მოდის; მდგომარეობს იმაში, რათა სხვე-
ბი მონაწილე იქმნენ გამოცხადებისა, რომელიც თავდაპირვე-
ლად თქვენ გებოდათ. ნუ თუ შეგეცილონ წინაშე უფლისა? —
უთხარი მათ: ღვთის ხელთ არი წყალობა, მიჰმადლოს, ვინცა
ინებოს. განუზომელ და მეცნიერია.

67. თავისი წყალობა მიანიჭოს მათ, ვინცა ინებოს. გა-
ნუზომელ წყალობათა მეუფეა.

68. მათ შორის, რომელთაც წერილი მიუღიათ, ისეთ-

ნიც მოიპოვებინ, რომ შეგიძლია ქანქარი ანდო და ხელუხლებლივ დაგიბრუნონ: ისეთნიც მოიპოვებინ, რომ ერთი დინარი საწინდარიც არ დაგიბრუნონ, თუ არ აიძულო.

69. ასე იქცევინ მიტომ, რომ ამბობენ: უმეცართა მიმართ არაფერი თანაგვაძსო. განგებ ჰსთხზვენ სიცრუეს ღვთისათვის.

70. ვინც თავისი მოვალეობა აღასრულოს და ღვთის მოშიშიც იქმნეს, შეიტყოს, რომ ღმერთს მისნი მოშიშნი უყვარან.

71. ვინც ღვთისადმი პირობითა და ფიცით მდარე ფასიანი ნივთი იყიდოს, წილი მომავალ ცხოვრებაში არავითარი ექმნეს. ღმერთმა ერთი სიტყვაც არ მიჰმართოს, თვალისც არ გადაავლოს აღდგომის დღესა, არც გაამართლოს; სამწუხარო სასჯელია მისთვის დანიშნული.

72. ზოგიერთი მათგანი თავიანთი ენით ამახინჯებენ წერილის სიტყვებსა, თქვენდა დასარწმუნებლად, რომ იქ ნამდვილად მოიპოება ყველაფერი, რასაც ამბობენ. არა, არ შეადგენს იგი წერილის ნაწილსა. ამბობენ, ღვთისაგან მოდის ესაო. არა, სრულიად არ მოდის იგი ღვთისაგან. ღვთის თაობაზე სიცრუეს ამბობენ, მათვე უწყიან.

73. საკადრისია განა, ადამიანმა, რომლისათვისაც ღმერთს მიუმაღლებია წიგნი და სიბრძნე და წინასწარმეტყველების ნიჭიცა, ხალხს უთხრას: ჩემი თაყვანის მცემელ იყავთ და იმავე დროს ღვთისაცაო? არა, ღვთის თაყვანის მცემელ იყავთ, რადგანაც წიგნს იცნობთ და სწავლობთ.

74. ღმერთი გამცნებსთ, რათა მეუფედ არც ანგელოზები მიიჩნიოთ, არც წინასწარმეტყველები. განა გიბრძანებსთ ურწმუნოდ გახდეთ მას შემდეგ, რაკი გადგიწყვეტიათ, მინდობილ (მუსკულმან) იყვნეთ ღვთის ნებისა.

75. როცა ღმერთმა პირობა დაჰსდო წინასწარმეტყველებთან, უთხრა მათ: აი წიგნი და სიბრძნე, რომელსაც მე მოგმადლებთ. წინასწარმეტყველი მოვიდეს ერთ დღეს განსამტკიცებლად მისა, რასაც აწ მიიღებთ. მისი გჯეროდესთ და შემ-

წედ ექმენით ყოვლის თქვენის ძალღონითა. ხომ თანხმა ხართ და გაჰსკვნით კავშირს ამ პირობით? მიუგეს: თანხმა ვართო. მაშ იყავთ მოწმე, ჰსთქვა უფალმა, ხოლო მეცა ვარ აგრეთვე ერთი მოწმეთაგანი თქვენსავითაო.

76. ვინც ამ ვალდებულობის შემდეგ ეცადოს მის თავითგან აცილებას, არაწმინდათაგანი იქმნეს.

77. განა ენატრებათ სხვა სარწმუნოება, ვიდრე ღვთისა, როცა ყველაფერი, რაცაა ცათა შინა და ქვეყანაზე, მის ბრძანებას ემორჩილება ნებით, თუ ძალით, და როცა ყველაფერი, ერთ დღეს უნდა მიიქცეს მისდამი?

78. ჰსთქვი: გვრწამს ღმერთი და ის, რაც მოგვივლინა, რაც აბრაამს, ისმაელს, იაკობს და თორმეტ ტომს გამოუცხადა, გვრწამს წმინდა წიგნები, რომელიც მოსემ, იესომ და წინასწარმეტყველებმა ზეცითგან მიიღეს; მათ შორის არავითარ განსხვავებასა ვსდებთ. ღვთის ნების (მუსულმან) მინდობილ ვართ.

79. ვისაც ენატრება სხვა აღსარება გარდა ღვთის ნების მინდობისა (ისლამისა), აღსარება იგი არ შეიწყნარონ მისგან და საიქიოსაც უბედურთა შორის იქმნეს.

80. ღმერთი რა გვარ უნდა უძლოდეს სწორე გზით მათ, რომელნიც ურჯულოებას უბრუნდებიან, მას შემდეგ, რა კი სარწმუნოება მიუღიათ და მოციქულის სიმართლედ დაუმოწმებიათ, მას შემდეგ, რაკი სასწაულების მოწმე ყოფილან? ღმერთი არ წარუძღვება არაწმინდებსა.

81. სამაგიეროდ ექმნესთ მათ წყევა ღვთისა, ანგელოზთა და ყოველ კაცთაგან.

82. საუკუნოდ დაბურვილ იქმნენ მით. სასჯელი არ შეუემსუბუქდესთ და ღმერთმა ერთი თვალის არ გადაავლოს მათ.

83. ასე არ დაემართოქ მას, რომელიც უფლის მიმართ სინამდგილით მიიქცეს და რომელმაც ვეთილი ჰქმნას, ვინაიდან ღმერთი თავმდაბალ და შემწყნარებელია.

84. ვინც ურჯულო გახდეს მას შემდეგ, რაკი ურწმუნებია და ვინც ურჯულოება მხოლოდ შემდეგ განაგრძოს, მისი სიწინადი შეწყნარებულ არ იქმნეს და შეცდომილებაშიაც დაშთეს.

85. ვინც ურჯულოა და ურჯულო კვდება, შეუძლებელია მისი ხსნა მკაცრის სასჯელისაგან იმ ოქროითაც კი, რა მდენსაც დედა-მიწა შეაცავს. დამცველი არ ეყოლოს.

86. სრულს ღვთისნიერებას მისწვდეთ მხოლოდ მაშინ, როცა სამოწყალო გაიღოთ მისგან, რაც ყველაზედ უფრო გეძვირფასებათ. რაც გასცეთ, ღმერთმა შეიტყოს.

87. ყოველივე საქმელი ნება დართულ ჰქონდათ ისრაელის შეილებს, თვინიერ მისა, რაც ისრაელმა (იაკობმა) თავისთვის აიკრძალა, ვიდრე დაბადება მოივლინებოდა. უთხარი მათ: დაბადები ზოიღეთ და იკითხეთ, თუ გულწრფელ ხართ.

88. ვინც ღვთის თაობაზე სიცრუეს სთხზავს, უსამართლოთაგანია.

89. უთხარი მათ: ღმერთი მხოლოდ სიმართლეს ამბობს. მაშ შეუდექით სარწმუნოებას აბრაამისას, რომელიც ღვთისნიერ იყო და ერთი არსებაც არ გაუხდია ღვთის ამხანაგად.

90. პირველი ტაძარი, კაცთა შორის დაფუძნებული, ბეკას ტაძარია. იგი დაფუძნებულ იქმნა, რათა კურთხეულყოფილიყო და კაცთათვის დარიგება გაეწია.

91. ცხად საკვირველ-მოქმედების კვალი იხილოთ იქა. აბრაამის სადგურია იქა. ვინც მის გალავანში შედის, დაფარულ არის ყოვლისავე შიშისაგან. იქაურობის მოლოცოვა მოვალეობაა ღვთის მიმართ ყველასათვის, ვისაც კი მისი მოხდა შეუძლია.

92. ხოლო ურჯულოები რა საქირო არიან? ღვთისათვის სამყოფია სრულიად ქვეყნიერობა.

93. უთხარი მათ, რომელთაც წერილი მიუღიათ: რად უარ ჰყოფთ ღვთის სასწაულთა სარწმუნოებას? თქვენის მოქმედების მოწმეა იგი.

94. უთხარი მათ: თქვენ, რომელთაც წერილი მიგიღიათ: მორწმუნეები რად გადაგყავთ ღვთის გზისაგან? თქვენაგსურსთ, გააუსწორო-მასწოროთ იგი და კიდევ უწყით. ხოლო ღმერთმა არა უგულვებელ ჰყოს, რაც ჩაიდინოთ.

95. მორწმუნენო! თუ ყური დაუგდეთ ზოგიერთ მადგანს, რომელთაც წერილი მიუღიათ, გაგაურჯულონ.

96. ხოლო როგორ შეგიძლიათ ურჯულოდ გახდომა, როცა ღვთის სასწაულებს მოგიტხოვრებენ თქვენ, როცა მისი მოვლინებული იმყოფება თქვენ შორის? ვინც ღმერთს ეკედლება, სიმართლის გზით წარემართოს.

97. მორწმუნენო! ღვთის გეშინოდესთ, როგორიც ეკადრებოდეს, იმ შიშით და არ დაიხოცოთ ისე, რომ არ მიენდოთ ღვთის ნებასა (მუსულმან გაუხდომელნი).

98. ღმერთს მტკიცედ მიეკედლეთ და ნურასოდეს მოსცილდებით; თანვე გახსოვდესთ მისი კეთილ მოქმედებაც, ოდეს თუმცა, მტერ იყავით, გული შეგიერთათ და მისი წყალობის საქმით ძმათა ხალხი შეიქმენით.

99. ცეცხლის უფსკრულის პირად იყავით და იქითგან ამოგიყვანათ: ასე განახგებთ თავისს სასწაულებსა, რათა წინამძღვარი გყავდესთ;

100. რათა ხალხი შეიქმნეთ სხვათა მომწოდებელი სასიკეთოდ, კეთილ საქმეთა მბრძანებელი და უკეთურთა ამკრძალველი. კაცნი, რომელნიც ასე მოიქცნენ, ნეტარ იქმნენ.

101. არ იქმნეთ მათებრ, რომელნიც თუმც ცხადის სასწაულების მოწმე იყვნენ, განცალკევდნენ და თავი მისცეს ცილობასა: საშინელი სატანჯველი გაძოსცადონ.

102. აღდგომის დღეს იქმნეს სახეები თეთრი და სახეები შავი. ღმერთმა უთხრას უკანასკნელთა, თქვენ არა ხართ, რწმუნების შემდეგ, ურჯულო რო გახდით? წადით და იგემეთ სატანჯველი თქვენის ურწმუნოების სასყიდლად.

103. ვისაც თეთრი სახეები ექმნეს, ღვთის წყალობა განიცადონ და მით საუკუნოდ დასტკბენ.

104. აი ღვთის სასწაულები, რომელსაც სრულის ქეშ-მარიტებით მოგიხსნობთ შენ, ვინადგან ღმერთს არა ჰსწადია ბოროტი კაცთათვის.

105. მას ეკუთვნის ყველაფერი, რაცაა ცათა შინა და ქვეყანაზე და ყველაფერიც მის მიმართ მიიქცეს.

106. თქვენ ხართ ყოვლად უაღმატებულესი ხალხი, რომელიც კი ოდესმე ხალხთა შორის მოვლინებულა; კეთილსა ბრძანებთ და უკეთურს აკრძალავთ და ღმერთიცა გრწამსთ. თუ ხალხთა, რომელთაც წერილი მიუღიათ, რწმუნება მოინდომეს, მარტო მათვე სასარგებლოდ იქცეს; მაგრამ ზოგიერთ მათგანსა ჰსწამს, მეტი ნაწილი კი არა წმიდაა.

107. მხოლოდ შეურაცხი ზარალი მოგაყენონ თქვენ. თუ თქვენთან ომი გაბედეს, პირი წუთსვე იბრუნონ და საშველიც აღარ ექმნესთ.

108. ყველგან, სადაც კი შედგნენ, უპატიურება დაადგესთ, როგორც კარავი თავთა ზემოდ, თუ არ მოჰსძებნეს, ან ღვთის, ანუ კაცთა კავშირი. ღვთის რისხვა მოიწიონ და კიდევ უბედურება დაადგესთ, როგორც კარავი თავთა ზემოდ. ეს მოხდეს, მიტომ, რომ მათ უარჰყვეს ღვთის სასწაულთა რწმუნება, რომ წინასწარმეტყველებს უსამართლოდ ხოცავდენ. ეს იქმნეს სასყიდელი მათის ამბოხებისა და უსამართლობისათვის.

109. ვისაც წერილი მიუღიათ, ყველანი ერთმანერთს კი არ ჰგვანან. ზოგიერთები გულწრფელ არიან; ღამეებს ღვთის მცნებათა მოთხრობით და თაყვანისცემით განატარებენ.

110. ღმერთი და უკანასკნელი დღე ჰსწამსთ; კეთილსა ბრძანებენ და უკეთურს აკრძალვენ; კეთილ საქმეებს ეწაფებიან ერთმანერთის მოშურნეობითა და ქველნიც არიან.

111. რა კეთილიც არ უნდა ჰქმნათ, მისი სასყიდელი არ დაჰკარგოთ. ღმერთი იცნობს მათ, რომელთაც მისი გშინათ.

112. ხოლო ურჯულოებს მათმა სიმდიდრემ და მათმა

შვილებმა ვერ გაუწიონ ღვთისათვის კმასაყოფელი საშა-
ხური; ცეცხლში შთაცვივდენ და იქ დაემკვიდრონ საუკუ-
ნოდ.

113. მოწყალემა, რამდენიც ამ სოფლად გაიღონ, იქმ-
ნეს, როგორც მსუსხავი ქარი, რომელიც უსამართლოთა სო-
ფლებს უბერავს და ანგრევს. ღმერთი არ მოექცეს მათ
უსამართლოდ, არამედ თვისდა მიმართ უსამართლო იყვნენ
იგინი.

114. მორწმუნენო! უმახლობელესი კავშირი მხოლოდ
თქვენ შორის გააბით. ურჯულოებმა თქვენი გარყვნა არ მოი-
შალონ. თქვენი დაღუპვა ჰსწადიათ; მათი მძულვარება მათ
სიტყვებშივე გამოჰსჭვირს; ხოლო რასაც მათი გული ჰმალავს,
ის უარესია კიდევ. ამის ცხადი საბუთები გახილვებინეთ, თუ
მხოლოდ გაგება შეგიძლიათ.

115. იგინი გიყვარან, თქვენ კი არ უყვარხართ. წიგნი
მართლდა გრწამსთ თქვენ; ოდეს შეგხვდებიან თქვენ, ამბობენ:
გვრწამსო. მაგრამ დაგშორდებიან თუ არა, რისხვით გაცხარე-
ბულნი თითებს იკვნეტენ. უთხარი მათ: დაიხოცენით თქვენის
გულისწყრომითა; ღმერთი თქვენ გულთამხილავია.

116. ბედი, რომელიც გემართებათ, მათ აწუხებს; უბე-
დურება თუ რამ გეწიათ, სიხარულით აივსებიან, ხოლო თუ
მოთმინება გაქვსთ და ღვთის შიშიცა, მათმა მანქანებამ ვერა-
რა დაგაკლოსთ, ვინადგან ღმერთი თავისი მეცნიერებით ყო-
ველ მათ მოქმედებას გარემოიცავს.

117. მოიგონე დღე იგი, როცა შენი სახლი დილით და-
სტოვე, რათა მორწმუნეთათვის მოგემზადებინა. ბანაკი საბრ-
ძოლველად, ღმერთი კი ყველაფერს ისმენდა და უწყოდა.

118. მოიგონე დღე იგი, როცა თქვენის ჯარის ორს
გუნდს ღონე მიეხადა და ღმერთი კი იყო მათი მფარველი.
მორწმუნეთა ღვთის სასოება იქონიონ.

119. ღმერთი მწედ ავიჩნდათ ბედარის დღეს, როცა ფრიალ-

ულონო იყავით. ღვთის გეშინოდესთ და მადლობა გადუხადეთ.

120. მაშინ, მუჰამმად: მორწმუნეთა ეუბნებოდნი: განა არ გეყოფათ, ღმერთი მოგეშველოსთ ზეცით გადმოსულის სამიადასი ანგელოზითა?

121. რასაკვირველია, ეს რიცხვი კმარა; ხოლო თუ სიმტკიცე გაქვსთ, თუ ღვთის გეშინიათ, მტრებიც რომ უეცრად თავს დაგესხან, ხუთი ათასი ცხენოსანი კაცით შეგეწიოსთ იგი.

122. ღმერთი გაუწყებსთ ამას, როგორც ბედნიერს ამბავს, რათა გულით დაგაჯეროსთ; დიახ, გამარჯვება მხოლოდ ძლიერისა და მეცნიერის ღვთისაგან გამოდის. ღმერთი გაუწყებსთ ურჯულოთა ღოუკმა-ღოუკმა შემუსრვას, მათ დამხობას, მათ დაშცირებას, მათ დამარცხებას უშველებლად.

123. ხელი არა გაქვს, ღმერთი მათ მიუტევებს, თუ დაჰსჯის; ბოროტ არიან.

124. ღვთისაა ყველაფერი, რაცაა ცათა შინა და ქვეყანაზე. მიუტევებს ვისაც ინებებს და დასჯის, ვისაც ინებებს. სულგრძელ და შემწყნარებელია.

125. მორწმუნენო! თავი არ მიჰსცეთ მევახშეობას, ჯამის ორ პირად და მუდამ ორ პირად აღებითა. უფლის გეშინოდესთ და ნეტარ იქმნეთ.

126. ურჯულოთათვის გამზადებულის ცეცხლის გეშინოდესთ; ღვთისა და წინასწარმეტყველის მორჩილ იყავით, რათა ღვთის წყალობა მიიღოთ.

127. ეცადეთ, დაიმსახუროთ შეწყნარება ღვთისაგან და სასუფეველი სამოთხისა. რომელიც ცათა და ქვეყნისაებრ ვრცელია და დანიშნულ ღვთის მოშიშთათვის;

128. მათთვის, რომელნიც სამოწყალოს გაიღებენ, როგორც ლხინში, ისე ქირშიაც, რომელთაც შეუძლიათ გულის წყრომა დაიმშვიდონ და რომელნიც თავიანთ შეურაცხყოფელთ მიუტევებენ. რასაკვირველია ღმერთს ქველის მოქმედნი უყვარან.

129. ვინც ჩაიდენენ რა უპატიოსნო საქმეს, ანუ უსამართლობას, მაშინვე უფალს გაიხსენებენ, ცოდვათა მიტევებას სთხოვენ (მაშ თუ არ ღვთის, სხვის ვის ხელთ არი ცოდვათა მიტევება?) და არც გაამუდმებენ აღსარებულ შეცოდებასა.

130. მათ იხილონ ყოველთა უფლის სულგრძელება და საუკუნოდ დაემკვიდრონ წყალის ნაკადულით მორწყულ წალკოტებში. რა შევნიერო სასყიდელია მათი, რომელთაც კეთილი საქმეები მიუძღვისთ!

131. თქვენამდისაც მიუყენებოთ სასჯელი უკეთურთათვის. მოიარეთ ქვეყანა და იხილეთ, თუ რა ბოლო ჰქონდათ მათ, რომელნიც ღვთის მოვლინებულებს მატყუარებად ჰსთვლიდენ.

132. ეს წიგნი განცხადებაა კაცთა მიმართ; წინამძღოლ და გამფრთხილებელია მათი, რომელთაც ეშინიათ.

133. მხნეობა არ დაჰკარგოთ, არ იჯავროთ. გაიმარჯვოთ, თუ მორწმუნე იქმნეთ.

134. თუ ჭრილობა გეწიათ, ეჰ! აგრეთვე სხვას ვის არა ჰსწევია იგი? უკულმართობასა და წარმატებას კაცთა შორის ჯერით მომდევსა ვჰყოფთ, რათა ღმერთმა მორწმუნენი იცნოს თქვენ შორის თავის მოწამეთა ამოსარჩევად (მას ჰსძულან ბოროტნი),

135. რათა მორწმუნენი გამოსცადოს და ურჯულონი გასწყვიტოს.

136. ნუ თუ გგონიათ, შეხვიდეთ სამოთხეში, ვიდრე ღმერთი გაიცნობდეს, თუ მებრძოლ და გულ მაგრად ვინ ყოფილან თქვენ შორის?

137. სიკვდილი გწადდათ, ვიდრე მოდგებოდა: ხედავდით, უყურებდით მას და ფიქრობდით:

138. მოვლინებული მხოლოდ მუჰამედიანა. მის უწინარეს სხვა მოვლინებულნი ყოფილან. იგი რო მომკვდარიყო, ანუ მოეკლათ, უკუიქცეოდით განა? ვინც უკუიქცეს, ღმერთს ვერა დააკლოს, ხოლო ღმერთი აჯილდოებს მათ, რომელნიც მისდამი მადლობას აღავლენენ.

139. ცხოველი სული კვდება მხოლოდ ღვთის ნებითა, წიგნისამებრ, რომელიც სიცოცხლის სამზღვარს დანიშნავს. ვინც ამა სოფლის სასყიდელი ინატროს, მივანიჭოთ; აგრეთვე მომავალის ცხოვრების სასყიდელიც მივანიჭოთ მას, ვინც ინატროს და დავაჯილდოოთ იგინი, რომელნიც დამნახველ არიან.

140. არა ერთს წინასწარმეტყველს შეხვედრია ბრძოლა მტერთან, რომელსაც აუარებელი ჯარი ჰხლებია და წინასწარმეტყველნი იგი ღვთის გზაზე განცდილ კვთებას მაინც არ დაუღონებია; სარწმუნოება არ შეჰსუსტებიათ, მტერს ლაჩრად არ დაჰმორჩილებიან. უქველიდ ღმერთს უყვარს, ვინც მედგრობს.

141. იგინი კმარობდენ თქმას: უფალო მოგვიტევე ჩვენნი შეცდომანი და განდგომა, რაოდენიც დავაშავეთ, ჩვენს მოციქულობაში; ფენნი გაგვიმტკიცე და ურჯულოთა წინააღმდეგ შენი შემწეობა ამოგვიჩინე. ღმერთმა მიჰმადლა მათ ამა სოფლის სასყიდელი და საიქიოსაც ჩინებული ხვედრი, ვინადგან ღმერთს კეთილის მყოფელი უყვარს.

142. მორწმუნენო, უკეთუ ურჯულოებს ყური ათხოვოთ, შეცდომილებამდე მიგიყვანონ უკანვე და წარსაწყმედელშიაც ჩაცვივდეთ.

143. ღმერთთა მფარველ თქვენდა. მის უმჯობეს ვის შეუძლია თქვენი შველა?

144. ზარი დავსცეთ კერბთაყვანისმცემელთა გულსა, რადგანაც ღმერთს ღვთაებანი დაუამხანაგეს, ხოლო ღვთისაგან როდი ჰქონიათ ამის ნებართვა: ცეცხლ იქმნეს მათი სამკვიდრებელი. რა საზარელია უწმინდურთა სამყოფი.

145. ღმერთმა თავისი აღთქმა უკვე აღასრულა, როცა, მისის ნებით, თქვენი მტრები დაამარცხეთ; ხოლო სიმამაცე თქვენი შედრკა და იკითხეთ საქმისა, რომელიც უწყით; თქვენ ურჩ იქმენით, როცა წინასწარმეტყველმა გახილვებინათ, რაც გწადდათ.

146. ერთს ნაწილს თქვენ შორის ამა სოფლის სიკეთე ენატრებოდა, სხვებს კი მომავალი ცხოვრება სწადდათ. ღმერთმა თქვენი მტრების პირისაგან გაგაქციათ თქვენდა გამოსადეღელადვე; ხოლო შემდეგ გაბატიათ, რადგანაც მორწმუნეთა მიმართ სულგრძელია.

147. მოიგონეთ, თუ რა უწესოდ ივლტოდით და ერთმანეთისაჲ აღარ გესმოდათ, როცა წინასწარმეტყველი საომრად უკუ გიწვევდათ. ღმერთმა ქირი ქირზედ გამოგაცდევინათ, რათა აღარ გენაღვლიათ ნაშოვრისათვის, რომელიც ხელითგან წაგივიდათ და უბედურებისათვისაც, რომელიც გეწიათ. ღმერთმა ყველა თქვენი საქმეები უწყის.

148. შემდეგ ღმერთმა თქვენ შორის ერთ ნაწილზე უნაღვლობა და ძილი გადმოავლინა. ხოლო მეორე ნაწილს თქვენ შორის გულის თქმამ აფიქრებინა უსამართლო ფიქრი ღვთის წინააღმდეგ, ფიქრი უგუნურებისა. იტყვიან, ამ საქმეს რას გამოვრჩებითო? მიუგე მათ: ყოველი საქმე ჰკიდია ღმერთზე. თავიანთი სულის სიღრმეში ჰმალავდენ, რასაც არ გიმხელდენ. იტყვიან, თუ რამ სარგებლობა უნდა გვენახა ამ საქმისაგან, ხომ აღარც დავმარცხდებოდითო. უთხარი მათ: თქვენს სახლებშიაც რო დარჩენილიყავით, ვისაც სიკვდილი მალლა ეწერა, მაინც დაიხოცებოდენ იმავე ადგილსა, რათა უფალს განეცადა, რასაც თქვენს გვამში ჰმალავდით და გამოეღო, რაც თქვენ გულთა სიღრმეში იყო. ღმერთმა უწყის, რასაც თქვენნი გულნი ჰმალვენ.

149. ვინც ორი ჯარის შეხვედრის დროს ივლტოდენ, სატანამ აცდინა სასჯელად რამდენისამე შეცოდებისათვის, რომელიც ჩაედინათ. ღმერთმა მიუტევა მათ, რადგანაც სულგრძელ და მწყალობელია.

150. მორწმუნეო! ნუ დაემსგავსებით ურჯულოებსა, რომელნიც ეუბნებიან თავიანთ ძმებსა, როცა ესენი მგზავრობენ ქვეყანაში, ანუ საომრად მიდიან: ჩვენთან რო დარჩენილიყვენ, არ დაიხოცებოდენ, არც მოკლულ იქნებოდენო.

ღმერთს ჰნებავდა, მწარე სინანულში ჩაეგდო მათი გული ყველაფერს, რაც მოხდა. ღმერთი სიცოცხლისა და სიკვდილის მომნელებელ და თქვენთა საქმეთა მზილველია.

151. თუ დაიხოცეთ, ანუ მოკლოთ იქმენით ღვთის გზით შებრძოლნი, ღვთის სულგრძელობა და მოწყალება მოგელისთ. უფრო ძვირად ღირს იგი, ვიდრე სიმდიდრე, რომელსაც მოიხვეჭთ.

152. ბუნებრივის სიკვდილით დაიხოცებით, თუ მოკლოთ იქმნებით, ღმერთმა უკანასკნელ დღეს შეგკრიბოსთ.

153. ღვთის მოწყალება სიმშვიდისა და შემსუბუქებისა დაუსახე მათ, მუჰამად? შენ რომ უფრო გულფიცხი და უფრო მკაცრი ყოფილიყავ, გაგეცლებოდენ. მაშ სულგრძელ იყავ მათ მიმართ, ღმერთს ევედრე მათ მიტევენას, საქმეები გაურიგე მათ, ხოლო, როცა რასმე ხელი მიჰყო, ღვთის იმედი იქონიე, ვინადგან მას უყვარს, ვინც მაზედ ჰსასოებს.

154. თუ ღმერთი თქვენდა შემწედ მოვიდა, ვისლა უნდა შეეძლოს თქვენი ძლევა? ხოლო თუ მიგატევათ, ვისლა უნდა შეეძლოს თქვენი შეწვენა? მორწმუნენი მხოლოდ ერთად ერთ ღმერთზე ჰსასოებენ.

155. წინასწარმეტყველი ისეთი როდია, მოგატყუოსთ. ვინც იტყუება, თავისის ტყუილით გამოცხადდეს იგი აღდგომის დღესა. მაშინ ყოველმა სულმა მიიღოს სასყიდელი მისი, რაც ჩაიდინოს და უსამართლოდაც არავის მოექცნენ.

156. ნუ თუ გგონიათ, ვინც ღვთის ნებას შეუდგეს, მას მოექცნენ მისებრ, რომელმაც მისი გულისწყრომა დაიმსახურა და რომლის სამკვიდრებელი ცეცხლ უნდა იქმნეს? რა საძაგელი გზაა.

157. ღვთის წინაშე სხვა და სხვა ხარისხი დაიჭირონ. თქვენს საქმებს ხედავს იგი

158. ღმერთმა უკვე აელვა თავისი მოკეთაობა ერთგულთათვის მით, რომ მათ მოუვლინა მათგანივე მოციქული, რათა მათთვის მისი მოძღვრების მომთხრობელ ყოფილიყო, გაეწმინდა

იგინი და ეს წავლებინა წიგნი (კურანი) და სიბრძნე მათთვის, რომელნიც, დიდი ხანია არაა, ცხადად შემცდარ იყვნენ.

159. როცა პირველად უბედურება გეწიათ (თქვენ მტრებს ხომ ორკეცი თქვენისთანა უბედურება გამოაცდევინეთ უმალ), ჰსთქვით: ასეთი უბედურება საითგან გვემართებაო? მიუგე მათ: თქვენგნითვე. ღმერთი ყოვლად ძლიერია.

160. უბედურება იგი, რომელიც გამოიარეთ იმ დღეს, როცა ორი ჯარი შეიყარა, ღვთის ნებით დატრიალდა, რათა შესძლებოდა ერთგულთა გარჩევა პირმოთენებში. როცა მათ შესძახეს: წინ გასწიეთ, ღვთის გზით იბრძოლეთ, მტერი უკუაგდეთო, მათ მაუგეს: ბრძოლა რომ გვცოდნოდა, თქვენ გამოგყვებოდითო. იმ დღეს ურჯულოებასთან უფრო ახლო იყვნენ, ვიდრე სარწმუნოებასთან.

161. თავიანთი ბაგით მეტყველებდნენ მას, რაც მათ გულში არ ყოფილა; ხოლო ღმერთმა უწყის, რასაც მალვენ.

162. ვინც თავიანთ კერასთან დარჩენილნი იტყვიან, ჩვენს ძმებს ჩვენთვის რო ყური დაეგდოთ, მოკლულ აღარ იქმნებოდნო, უპასუხე; მაშ დაიფარეთ თავი სიკვდილისაგან, თუ მართალ ხართ.

163. ნუ გჯერათ, ღვთის გზით ბრძოლაში მომწყდარნი მკვდარ იყვნენ; იგინი ცხონდებიან ღვთის წინაშე და საზრდოსაც მიიღებენ მისგან.

164. აღვსებულნი სიხარულით, ღვთის მიერ მონიჭებულის სიკეთისა გამო, იხარებენ, რომ ვინც მათ კვალზე დადიან და ვინც ჯერ კიდევ ვერ მიწვეიან მათ, უნდა იქმნენ საფარველ ქვეშე შიშისა და გაჭირვებისაგან.

165. ღვთის კეთილ მოქმედებისა და მისი გულ-კეთილობის გამო იხარებენ, რომ არ მიუშვებს იგი, მართალთა სასყიდელი დაელუბოსთ.

166. ვინც (ოჰოდთან) დამირცხების შემდეგ ღმერთსა და წინასწარმეტყველს ემორჩილება, ვინც კეთილს შვრება და ღვთის მოშიშიც არის, ჩინებული სასყიდელი მიიღოს.

167. ვინც შეტყობის ჟამსა, მტერნი ოკრიბებიან და სა-
შიშ არიანო, სარწმუნოება განადიდოს და ჰსთქვას, ღმერთი
მეყოს, იგია უმჯობესი მფარველიო,

168. ღვთის წყალობით აღვსებული დაბრუნდეს, უბედუ-
რება ვერავითარი ეწიოს; შედგომია იგი ნებას ღვთისასა, რო-
მლის გულუხვობა განუსაზღვრელია.

169. სატანა მის მომხრეებს ხშირად აფრთხობს; ნუ გე-
შინიანთ მისი, არამედ გეშინოდესთ ჩემი, თუ მორწმუნე
ხართ.

170. ვინც ურწმუნოებისაკენ გამალებულის ბიჯით ის-
წრაფიან, მწუხარებას ვერავითარს მოგაყენებენ; ღმერთსაც ვე-
რაფრად აწყენინებენ. ღმერთმა მომავალ ცხოვრებაში წილი-
არ დაუდოს მათ; მხოლოდ საშინელი სასჯელია მათთვის გამ-
ზადებული.

171 ვინც ურჯულოებას სარწმუნოების ფასად ჰყიდუ-
ლობს, ღმერთს მწუხარებას ვერავითარს მიაყენებს; სამწუხარო
სასჯელი მოეღოს.

172. ურჯულოებს ნუ ჰგონიათ, კარგი იყვეს, თუ ხან-
გრძლივი სიცოცხლე მივანიჭეთ მათ. ხანგრძლივს მივანიჭებთ,
რათა უსამარლობანი გაიმრავლონ. დამამცირებელი სასჯელი
მოეღოსთ.

173. ღმერთმა მორწმუნენი არ დასტოვოს იმ ყოფაში,
თქვენ რო ხართ; ავი კარგისაგან გაჰყოს.

174. ღმერთმა საიდუმლო რამე არ გამოგიცხადოსთ თქვენ.
სათნო მოვლინებულებს ირჩევს, რათა მათ გაანდოს. ირწმუ-
ნეთ ღმერთი და მისნი მოვლინებულნი; თუ მორწმუნე და მო-
შიშ იქმნეთ, პატიოსანი ჯილდო მიიღოთ.

175. ხალხი, თვალ-ხარბი ქონებაზე, რომელსაც ღმერთი-
თავისის გულ-უხვობით მიანიჭებს, ნუ იფიქრებს, რომ წაა-
დგეს იგი; ის კი არა, უბედურებას შეეყაროს.

176. ქონება, რომელზედაც თვალხარბ არიან, ყელზე
შებმული ექმნესთ, ფარლულასავით, აღდგომის დღესა. ცათა

და ქვეყნის სამკვიდრებელი ღმერთს ეკუთვნის; ყოველის თქვენის საქმის მცოდნეა.

177. სიტყვები მოესმა შათი, რომელნიც ლაპარაკობდნენ, ღმერთი ღარიბია, ჩვენ კი მდიდარ ვართო. სათვალავში ჩავადგოთ მათი სიტყვები და უსამართლოდ დახოცილ წინასწარმეტყველთა სისხლი და მათვე უთხრათ: შთაცვივდით ცეცხლის სასჯელში,

178. სასყიდლად თქვენ ხეოთა ნამოქმედარისა, ვინადგან ღმერთი არ ეუსამართლოება თავის მსახურთა.

179. ვინც ამბობენ, ღმერთმა აღგვითქვა, წინასწარმეტყველის რწმუნება დაგვეალოსთ მხოლოდ მაშინ, როცა იმ წინასწარმეტყველის შეწირული მსხვერპლი ცისიერმა ცეცხლმა შთანთქასო,

180. უპასუხე: ჩემს უწინარეს მოგვევლინათ წინასწარმეტყველები, რომელთაც სასწაულები ჰქმნეს, ისიც კი, რომლისთვისაც თქვენ ლაპარაკობთ; რაღად დაჰხოცეთ? ჰსთქვით, თუ მართალ ხართ?

181. თუ მატყუარად ჩავადგონ, მუჰამმად! შენს უწინარეს მოვლინებულ მოციქულებსაც ხომ მაგნაირადვე მოეპყრნენ, თუმც სასწაულები მოახდინეს და მოიტანეს წიგნი ფსალმუნთა და წიგნი განმანათლებელი.

182. ყოველმა სულმა სიკვდილი იგემოს, თქვენი სასყიდელი მიიღოთ აღდგომის დღესა. ვინც ცეცხლს გადურჩეს და სამოთხეში შევიდეს, ნეტარ იქმნეს, ვინადგან სააქაო ცხოვრება შემაცდენელი განცხრომაა.

183. თქვენის ქონებით და თქვენის ხალხით გამოცდილ იქმნეთ მათგან, რომელთაც წერილი მიუღიათ, და კერპთაყვანის მცემელთაგანაც არასანამური საქმე გაიგონოთ; მაგრამ მოთმინება იქონიეთ და ღვთის გემინოდესთ: სოფელი ასე მქმნელია.

184. ღმერთმა პაემანი დაადებინა ურიებს, რომ დაბადებას აუხსნიდნენ ხალხთა და არ დამალავდნენ. მხართ უკან გადის.

როლეს და მდარე ფასად გაჰყიდეს იგი. რა უვარგისი საქონელი მიიღეს სამაგიეროდ!

185. ნუ იფიქრებთ, ვინც შეჰხარის თავისს საქმეს, ანუ ვისაც ჰსურს, ქებულ იქმნეს მისთვის, რაც არ გაუკეთებია; სასჯელს მიეთაროს. სამწუხარო სასჯელი მოეღოს.

186. ცათა და ქვეყნის სასუფეველი ღვთისაა; ყველაფერზე ხელი აქვს ღმერთსა.

187. ცათა და ქვეყნის გაჩენაში, ღამეთა და დღეთა ჯერობით მომდევნობაში უეჭველად სასწაულია გონება მიმადლებულ კაცთათვის,

188. რომელნიც ღვანან, სხედან, თუ წვანან, ღვთისათვის ფიქრობენ და ცათა და ქვეყნის დაბადებას გულისხმას ჰყოფენ. უფალო, ამბობენ, არა ამაოდ გაგიჩენია ეს ყველაფერიო. შენმა დიდებამან, არა. ცეცხლის სატანჯველისაგან დაგვიფარე.

189. უფალო, ვინც ცეცხლში შთააგდო, უპატიურობით დაიბუროს. არაწმიდებმა შველა ვერ მიიღონ.

190. უფალო, გვესმა კაცისა, რომელიც ხმობდა; სარწმუნოებად გვიწვევდა, გვეძახდა, ღმერთი ირწმუნეთო და ჩვენც ვირწმუნეთ.

191. უფალო, შეცდომანი გვაპატიე, ჩვენი შეცოდებანი აღხოცე და სული ამოგვახდინე მართალთა გზაზე.

192. უფალო, მოგემადლე, რასაც დაგვიბრდი შენ მოციქულთა მიერ, და ნუ გვაწამებ აღდგომის დღესა; უეჭველია, შენს დაპირებულს არ შეშლი.

193. ღმერთმა მათ გაუგონოს და უთხრას: ერთი ნამოქმედარიც არ დაიღუპოს არავის თქვენგანისა, არც კაცისა, არც ქალისა. ქალები კაცთაგან წარმოდგენენ.

194. აღხოცო შეცოდებანი მათნი, რომელნიც გაიხიზნონ, ანუ განდევნილ იქმნენ თავიანთი ქვეყნიეთგან, რომელთაც ჩემს გზაზე (ჩემის გულისთვის) გაიჭირონ, რომელთაც იო-

მონ და გაწყდენ. წყალის ნაკადულით მორწყულ წალკოტებში შევიყვანო იგინი.

195. ეს არი ჯილდო ღვთისაგან; ღმერთსაც უეჭველია ხელთა აქვს დიდნახელავი საჩუქრები.

196. ურჯულოთა (ვინც მექაში არიან) წარმატებამ თვალი არ აგიხვიოს. იგია საწუთრო სიამოვნება. მათი სამყოფი ცეცხლ იქმნეს. რა საზარელი ადგილია განსვენებისა!

197. ვისაც უფლის ეშინია, წყალის ნაკადულით მორწყულ წალკოტებში დაემკვიდროს, საუკუნოდ დაჰყოს იქ. ასეთი იქმნეს შეწყნარება, რომელიც ღვთის წინაშე ჰპოონ; უეჭველად, რაც ღვთისაგანია, ყველაფერი უძვირფასესია მართალთათვის.

198. ურიათა და ქრისტიანეთა შორის მოიპოვებინ ისეთნი, რომ ღმერთი ჰსწამსთ და წიგნებიცა, თქვენდამი და მათდამი მოვლინებული, რომ ღვთის წინაშე თავს იმდაბლებენ და მისს სწავლას უღირალ ფასად არ ჰყიდიან.

119. მათ ჰპოონ სასყიდელი წინაშე ღვთისა, რომელიც მზად არი, ანგარიში გაასწოროს.

200. მორწმუნენო! მომთმენ იყავით; მოთმინებით იბრძოლეთ ერთბამად; მტკიცე იყავით და ღვთისაც გეშინოდესთ. ცხონებულ იქმნეთ.

თ ა ვ ი IV.

ქ ა ლ ე ბ ი.

ნახტებისა მედინეს.—175 მუხლი.

ს ა ხ ე ლ ი თ ა

ღ ვ თ ი ს ა

მღვწელებისა და მამწეშნარებისა.

1. ხალხნო! გეშინოდესთ თქვენის უფლისა, რომელმაც ყველა ერთის გვამისაგან გაგაჩინათ; მისგან დაჰბადა ამხანაგი მისი და შემდგომ ამ ორის სულდგმულისაგან იმდენი კაცი და

ქალთ აღაორძინა. გეშინოდესთ უფლისა, რომლის სახელითაც ერთმანერთს შეეკითხებით და პატივი ეცით გვამთა, რომელთაც უტარებინართ; უეჭველია, ღმერთს თქვენზე თვალი უჭირავს.

2. სრულ წლოვანობლებს მათი ქონება მიაგეთ, ცუდს (თქვენის ქონებისაგან) ნუ გაჰსცვლით კარგში (მათ რომ ეკუთვნის). მათ სამკვიდროს თქვენსაში შერევით ნუ გალევთ; დიდი რჯულგადამავლობაა.

3. თუ ობლებთან უსამართლობის გეშინოდესთ, მხოლოდ ორი, სამი, თუ ოთხი შეირთეთ იმ ქალთა შორის, თქვენ რომოგწონთ. მაგრამ თუ კიდევ უსამართლობის გეშინოდესთ, მხოლოდ ერთი მათგანი, ანუ ერთი მხევალი შეირთეთ. ამ საქციელმა გიშველოსთ, უსამართლო აღარ იყვნეთ. თავისუფლად დაუნიშნეთ თქვენს ცოლებს მათი მზითევი, ხოლო თუ ნებაგდესთ მისგან რისამე დიდის ხალისით დატოვება, წესიერად და ნებიერად დაჰსტკბებოდეთ მით.

4. უსუსურებს ნუ ანდობთ ქონებას. რომელიც ღმერთს თანხასავით ჩაუბარებია თქვენის მზრუნველობისათვის; ხოლო თქვენ თვითონვე რა განაგებდეთ, მიეცით მათ იმ თანხითგან საზრდო და სამოსელი და სიტყვა-პასუხი მათთან იქონიეთ მუდამ თავმდაბლობითა და პატიოსნებით.

5. ობოლთ გონებრივი ძალა ჰსწვართეთ. იმ ხნობამდე, როცა ცოლის შერთვა შეეძლოსთ და თუ სალი გონება უპოთ, მაშინ ქონება ჩააბარეთ მათ; მის გაფლანგვით შექმას უფრთხილდით და ნურც მათთვის ჩაბარებას დაეშურებით.

6. მხოლოდ მიტომ, რომ წამოიზარდენ; მდიდარმა მზრუნველმა თავის საზრუნველთა ქონებას ხელი არ ახლოს. ვინც ღარიბია, მხოლოდ მომქირნეობით უნდა მოიხმაროს.

7. რა დროსაც ქონებას აბარებდეთ მათ, მოწმები დაისწარით. ღმერთმა მოქმედება თქვენი ჩაგითვალოსთ და ისიც გეყოფათ.

8. ვაჟებს წილი უნდა ედვათ თავიანთ დედმამებისა და თავიანთ მახლობელთა დატოვებულ ქონებაში; ქალთაც აგრე-

თვე წილი უნდა ედვათ მაში, რასაც მათმათი დედ-მამები და მახლობლები დაჰსტოვებენ. სამკვიდრო დიდ, თუ მცირე საღირსალ იქმნეს, განსაზღვრული წილი ერგოსთ.

9. როცა ნათესავეები, ობლები და საწყლები გასაყოფად მოვიდენ, რამე წილი დაუდეთ და სიტყვა-პასუხიც სიამტკბილობითა და პატიოსნებით იქონიეთ.

10. ვინც შიშობენ, ვაი თუ მცირეწლოვანობისა გამო სუსტი ბავშვები დაგვრჩესო, ჩაუფიქრდენ მას, რასაც თვითონვე ჰსჩადიან; ღვთის ეშინოდესთ და სიმართლე ილაპარაკონ.

11. ვინც ობოლთა სამკვიდრო უსამართლოდ წარიტაცოს, მით შეიტანოს ცეცხლი თავის ნაწლევებში და ერთ დღეს მგზნებარე აღმურისაგან ჩათქმულ იქმნეს.

12. ღმერთი გამცნებსთ, თქვენ შვილთა შორის ქონების გაყოფის დროსა, ვაჟს მისცეთ წილი ორის ქალისა; ხოლო თუ მარტო ქალები იქმნენ და ორზედ მეტიცა, მაშინ ორი მესამედი მიიღონ მისი, რაც კი მამას დარჩეს. ხოლო თუ მარტო ქალი იქმნეს, ნახევარი მიიღოს. მიცვალებულის დედ-მამამ სათვითაოდ მიიღონ მეექვსედი მისი, რაც ვაჟმა დასტოვოს, თუ შვილი დარჩენია; ხოლო თუ არავინ დარჩენოდეს და ზე-ამავალნი (ნათესავნი) ემემკვიდრებიან, დედამ მესამედი მიიღოს; თუ ძმები დარჩენოდეს, დედამ მეექვსედი მიიღოს, მოანდერძის ნაანდერძევისა და ვალების დარიგების შემდეგ, თქვენ არ იცით, ვინ უფრო სასარგებლოა თქვენ ნათესავთა და თქვენ შვილთა შორის. ასეთია ღვთის სჯულები. მეცნიერ და ბრძენია.

13. თქვენ, მამაკაცნო! ნახევარი მისი, რაც თქვენმა მეუღლეებმა დასტოონ, თუ მათ შვილები არ ეყოლათ; ხოლო თუ დარჩათ, მეოთხედი მიიღოთ მათი ნაანდერძევისა და ვალების დარიგების შემდეგ.

14. მათ (თქვენმა ცოლებმა) მეოთხედი მიიღონ მისი, რაც თქვენ (მათმა ქმრებმა) დასტოოთ თქვენი ნაანდერძევისა და ვალების დარიგების შემდეგ, თუ შვილები არ გეყოლათ; ხოლო

თუ შეილები გეყოლათ, მაშინ თქვენმა ცოლებმა სამკვიდროს მერვედი მიიღონ თქვენის ნაანდერძევისა და ვალების დარიგების შემდეგ.

15. უკეთუ კაცი ემემკვიდროს შორეულს ნათესავს კაცსა, თუ ქალსა, და მასაც ძმა, ანუ და ეყოლოს, თვითეულს იმ ორთაგანს სამკვიდროს მეექვსედი უნდა მისცეს; თუ მრავალი იქმნენ, სამკვიდროს მესამედი ერგოსთ ნაანდერძევისა და ვალების დარიგების შემდეგ.

16. ისე კი, არავის აწყენინონ, ვინც უნდა იყვეს. ღმერთი ამას გამცნებსთ. ბრძენ და მოწყალეა.

17. ღვთის მცნებანი ასეთია. ვინც ღვთისა და მის მოვლინებულის ისმინოს, წყალის ნაკადულით მოარწყულ წალკოტებში იქმნეს შეყვანილ. საუკუნოდ დაჰყოს იქა. განუზომელი ნეტარებაა.

18. ვინც ღმერთსა და მის მოვლინებულს ეურჩოს და ვინც ღვთის მცნებას გარდახდეს, ჩაგდებულ იქმნეს ცეცხლში, სადაც სამუდამოდ დარჩეს, სამარცხვინო სასჯელს მიცემული.

19. თუ თქვენმა ცოლებმა სახელის გამტები საქმე ჩაიდინონ, ოთხ მოწმეს მოუწოდეთ. თუ დამოწმებული იმათი წინააღმდეგი გამოდგეს, სახლებში დაამწყვდიეთ, ვიდრე დაიხოცებოდნენ, ან ღმერთი თავის ხსნის რამე საშუალებას მისცემდეს მათ.

20. თუ ორმა პირმა თქვენ შორის სახელის გამტები საქმე ჩაიდინოს, ბოროტი მიაგეთ ორთავე; ხოლო თუ შეინანონ და გასწორდნენ, თავი გაანებეთ, ვინადგან ღმერთს უყვარს მიტევება. იგია მოწყალე.

21. თვითონ ღმერთი თავს იღებს, მოჰხედოს მათ, რომელთაც უმეცრებით ჰსცოდეს და რომელნიც მაშინვე შეინანებენ. ღმერთი მათ მიუტევებს, ვინადგან მეცნიერ და ბრძენია.

22. სინანული არად გამოადგეს მას, რომელიც სიკვდილის მოახლოებაზე გაიძახის, შევინანებო. არად გამოადგესთ

მათ, რომელნიც ურჯულო იხოცებიან. სამწუხარო სასჯელი გაგვიმზადებია მათთვის.

23. მორწმუნენო! ნება არა გაქვსთ, არც თავი დაინიშნოთ თქვენის ცოლების მემკვიდრეებად მათ უნებურად, არც გათხოვება (როცა გაშვებული გყვანან) დაუშალოთ, რათა წაგლიჯოთ ნაწილი მის, რაც მათთვის მიგიციათ, თუ მაინცა და მაინც ცხადი საძრახისი საქმე არ ბრალდებოდესთ. კეთილი იყავით, როცა მათთან საქმე რამ გქონდესთ. თუ თქვენ ცოლთა შორის ისეთი ურევია, რომ არ ეკარებით, შესაძლოა, არ ეკარებოდეთ ისეთის საქმისათვის, რაშიაც ღმერთს დიდი სიკეთე ჩაესკვნას.

24. თუ გწადიათ, ერთი ცოლი მეორეში გასცვალოთ და ერთის მათგანისათვის ასი დინარი მიგეცეთ, ნურას წაართმევთ. ნუ თუ გინდათ უსჯულოებითა და უსამართლობით წაგლიჯოთ?

25. როგორ-ღა გინდათ წაართვათ, როცა ერთიცა და მეორეც თქვენთან გულით შეერთებულ იყვნენ და როცა თქვენმა ცოლებმა თქვენი საჯარო აღთქმა მიიღეს.

26. ნუ შეირთავთ ქალებსა, რომელნიც თქვენის მამების ცოლები ყოფილან. სირცხვილია, საზიზღრობა და ცუდი ჩვეულება: ყოველთვის აცალეთ ყოფა მას, რაც უკვე აღსრულებულია.

27. არ შეგერავით თქვენი დედები, თქვენი ქალიშვილები, თქვენი დები, თქვენი მამიდები და თქვენი დეიდები, თქვენი ძმის, თუ დის წულები; თქვენი ძიძები, დობილები, სიდერები, ქალიშვილები თქვენ საზრუნველად მობარებული და შთამომავალი იმ ქალებისაგან, ვისთანაც გიცხოვრიათ, მაგრამ, თუ კი არ გიცხოვრიათ მათთან, ცოდვა არაა მათი შერთვა. არ შეირთოთ მეტადრე ასულნი თქვენთა ძეთა, რომელნიც შეგძენიათ, არცა ორნი დანი. ხოლო თუ საქმე გათავებულნი იქმნეს, ღმერთი სულგრძელ და შემბრალებელ იყვეს.

28. არ შეგერთვით ქმრიანი ქალები მათ გარდა, რომელნიც ხელთ ჩაგივარდეთ, როგორც ტყვეები. ეს არი ღვთის

სჯული თქვენდამი. ნება გაქვსთ ამის უმეტესიც ჩაიდინოთ, თუ გსურსთ თქვენი ქონება მოახმაროთ; ოღონდ კი მუდამ ანგარიშით იცხოვროთ და თავი არ გაიქსუოთ. ვისთანაც გიცხოვრიათ, დაპირებული მზითვევი მიეცით; ეს სავალდებულოა. ცოდვა როდია, სიტყვა დასდოთ მის უმაღლესს, რასაც სჯული დაგიწერს. ღმერთი მეცნიერ და ბრძენია.

29. ვინც საკმაოდ მდიდარ არ იქმნეს, რათა შეერთოს თავ-დაჭერილი და შორწმუნე ქალები, მორწმუნე მხევლები მოიყვანოს მან. ღმერთმა თქვენი სარწმუნოება უწყის. ყველა ერთმანერთის შთამომავალ ხართ (საერთო მამის ადამისაგან). მხევლები შეერთეთ მხოლოდ მათის ბატონების ნებადართვით. სამართლიანად დაასაჩუქრეთ იგინი. უმანკო იყვენ, გაქსუებას თავი არიდონ და საყვარლები არ იყოლიონ.

30. თუ, გათხოვების შემდეგ, იმრუშეს, მათ მიუსაჯონ ნახევარი სასჯელი, რომელიც თავისუფალ ცოლთათვის არიდადებული. ეს სჯული დადგენილია მისთვის, რომელსაც შეცოდების ეშინია უცოლშვილოდ დარჩენილსა. ხოლო თუ თავი შეიმაგრეთ, უფრო ღირსეულ იქმნეს. ღმერთია სულგრძელ და შემბრალებელი.

31. ღმერთსა ნებავს, თავისი საწადელი ცადად აგიხსნასთ და თქვენს უწინარეს ყოფილთა გზით გაგიძღვესთ. თქვენი სინანული შეიწყნაროს მან, ვინადგან მეცნიერ და ბრძენია.

32. ღმერთსა ნებავს, თქვენი სინანული შეიწყნაროს; მაგრამ ვინც თავიანთ გულის თქმას აპყოლიან, იმათა ჰსურსთ, მსწრაფლ დასაღუპავში ჩაგითრიონ თქვენ. ღმერთსა ნებავს, დაგადგასთ მსუბუქი უღელი; კაცი გაჩენილ იქმნა სუსტი.

33. მორწმუნენო! თქვენი ქონება ოხრად არ გაფლანგოთ, თუ არ იქმნეს პირობა, თანხმობით დადებული; თავი არ მოიკლათ. ღმერთი, უეჭველია, გამოწყალეობსთ.

34. ვინც ასე მოიქცეს უსამართლოებითა და სიავით, მოვსპოთ იგი ცეცხლითა. უეჭველია, ღვთისათვის აღვილ იქმნეს ესა.

35. თუ შეგიძლიათ, ერიდოთ დიდ ცოდვებსა, რისიც ქმნა აკრძალული გაქვსთ, თქვენი შეცოდება ავხოცოთ და საპატიო შესავალი (სამოთხეში) გიშოოთ.

36. ნუ შეგშურდებით ქონება, რომლითაც ღმერთმა ერთნი მეორეთა უმაღლეს დაგაყენათ. კაცთა ექმნესთ ნაწილი, რომელიც მიიღონ და ქალთაც ის ნაწილი, რომელიც მიიღონ. ღვთისაგან ითხოვოთ საბოძვარი. იმასა აქვს გულისხმის უოფა ყველაფრისა.

37. თვითოეულს დაუნიშნეთ ჩვენ მემკვიდრენი, რომელთაც სამკვიდრო უნდა მიიღონ, დატოვებული დედმამისა, ნათესავებისა და იმათგან, ვისთანაც პირობა შეგიკრავთ. თითოეულსავე მიეცით ის ნაწილი, რომელიც ერგებოდეს, ვინადგან ღმერთი ყოველის თქვენის მოქმედების მოწმეა.

38. კაცნი ქალთა უმაღლეს არიან იმ ვითარებისა გამო, რომლითაც ღმერთმა მათ უმაღლეს ასწია, მიტომაც, რომ კაცნი თავიანთ ქონებას ქალთა გასამზიებლად ხმარობენ. ქველი ქალები დამჯერე და მორჩილ არიან: შზრუნველობით შეინახვენ. თავიანთ ქმრების გარეთ ყოფნის დროს, მას, რის დაცვა შეუხებლად ღმერთს უბრძანებია. იგინი გალანძლოთ, როცა. შიშში იქმნეთ, ვაი თუ გვეურჩონო; საწოლში განზე მიაგდოთ და ჰსცემოთ იმათ; ხოლო, დაგმორჩილდენ თუ არა, ჩხუბი აღარ აუტეხოთ. ღმერთი მალალ და დ-დ არს.

39. თუ ორ მეუღლეთა შორის განხეთქილების გეშინოდესთ, შუამავალს მოუწოდეთ ქმრის გვარეულობისაგან და ერთს სხვასაც, არჩეულს ცოლის გვარეულობისაგან. თუ ორ მეუღლეს მორიგება ჰსურდესთ, ღმერთმა კეთილ გონიერად აცხოვროს იგინი, ვინადგან მეცნიერ და ყველაფრის მცოდნეა.

40. ღმერთს თაყვანი ეცით და ნურას დაუამხანაგებთ მას. უყავით სიკეთე თქვენს დედ-მამასა, თქვენს ნათესავებსა, ობლებსა, ღარიბებსა, საპატრონოებსა, თქვენთან რომ შეერ-

თებულ არიან ნათესაობითა და უცხო საპატრონოებსაც, თქვენს ამხანაგებსა, მგზავრებსა და თქვენს მონებსა. ღმერთს თავმომწონე და მედიდური ადამიანი არ უყვარს.

41. არ უყვარან იგინი, რომელნიც ძუნწობენ და რომელნიც სხვებს სიძუნწეს ურჩევენ და მზრუნველობით მალვენ მას, რაც ღმერთს მათთვის მიუნიჭებია თავისის წყალობის მოქმედებითა. ურჯულოთათვის საზიზღარი სასჯელი გვაქვს გამზადებული.

42. არ უყვარან იგინი, რომელნიც მოწყალებას საჩვენებლად გაიღებენ და რომელთაც სრულიად ღმერთი და უკანასკნელი დღე არაჰსწამსთ. ვისაც ამხანაგად სატანა ჰყავს, მას ჰყავს ცუდი ამხანაგი.

43. რა უნდა დაჰკარგონ ღეთისა და უკანასკნელის დღის რწმუნებით, მოწყალების გაღებით იმ ქონებისაგან, რომელიც ღმერთს მათთვის მიუნიჭებია, როცა ღმერთმა ადამიანის საქმეები უწყის?

44. ღმერთმა ბრალი არავის დასდოს, ვინც უნდა იყვეს, ერთი ცახის ოდენიც; კეთილის საქმისათვის იგი იყვეს ორეულად მზღვეველ და პატიოსანის სასყილდღის მიმნიჭებელი.

45. რა ჰქმნან უკეთურებმა, ოდეს მათ წინააღმდეგ მოწმეები შემოვკრიბოთ ყველა ხალხებისაგან, ოდეს მათ წინააღმდეგ მოუწოდოთ უნეს მოწმობასა, მუჰამად? იმ საშინელ დღეს, ურჯულოები და იგინი, რომელნიც წინასწარმეტყველის წინააღმდეგ ატეხილან, ამჯობინებდენ, დედამიწა გასწორებოდათ და ყველას პირისაგან დაეფარა იგინი. მაგრამ საქმე ვერ დაუმალონ ღმერთსა.

46. მორწმუნენო! ნუ ილოცავთ, როცა მთვრალ იყვნეთ: მოიცადეთ, ვიდრე წარმოსათქმელ სიტყვებს გაიგებდეთ. ნუ ილოცავთ, როცა წმინდად არ იყვნეთ; მოიცადეთ, ვიდრე განიბანებოდეთ, თუ მხოლოდ გზად არ იქმნეთ. თუ ავად, ანუ გზად იქმნეთ, თუ ბუნებრივი საჭიროება აგესრულებინოთ, ანუ თუ ქალს მიჰკარებოდეთ, გაიწმინდეთ სახე და

ხელები წმინდა მტვრითა, წყალი თუ არ გემოებოდესთ. ღმერთი სულგრძელ და შემბრალებელია.

47. განა არ შეგინიშნავთ იგინი, რომელთაც წერილის ნაწილი მიიღეს? შეცდომას ჰყიდიან და ჰსურსთ, მართალი გზა დაგატოვებინონ თქვენ; ხოლო უფალი იცნობს თქვენს მტრებსა. გეყოფათ, ღმერთი იყოლიოთ მფარველად, გეყოფათ, ღმერთი იყოლიოთ შემწედ.

48. ურიათა შორის ურევებიან ისეთნი, რომ თავიანთი წერილის სიტყვებს გადიგადმოსმენ და იტყვიან: გვესმა, მაგრამ კი არა გვსურს, დავემორჩილოთ. ისმინე, რაც აქამდე არაოდეს გსმენია და გვიმზირე (რაინა). თავიანთი ენით სიტყვებს ხლართვენ და ჰეშმარით სარწმუნოებას წუნსა ჰსდებენ.

49. რად არ იტყვიან უკეთ: გვესმა და დავემორჩილოთ? გვისმინე და შემოგვხედე. ეს სიტყვა მათთვის უფრო მარგებელ იქმნებოდა და უფრო სამართლიანიცა. ხოლო ღმერთმა შეაჩვენა იგინი მათის ურჯულოებისთვის და მათ შორის მცირე რიცხვიღაა მორწმუნეთა.

50. ვისაც წერილი მიგიღიათ, ერწმუნეთ მას, რაც ღმერთმა ზეცით გადმოავლინა თქვენის საღვთო წიგნების განსამტკიცებლად, ვიდრე თქვენს პირი-სახეს ავხოცდეთ და უკან მოვაქცევდეთ. იწამეთ, ვიდრე დაგწყევლიდეთ, როგორც შათის გამტეხნი დავწყევლეთ; ღვთის ბრძანება მაშინვე აღსრულებულ იქმნა.

51. ღმერთმა არაოდეს აპატიოს, რომ სხვა ღმერთები დაუამხანაგონ მას; სხვა ცოდვები აპატიოს, ვინცა ინებოს, ვინადგან ვინც ღმერთს სხვა ქმნილებას დაუამხანაგებს, დიდს ცოდვას ჰსჩადის.

52. გენახებათ ის ხალხი, თუ თავის გამართლებას როგორ ცდილობდა. ხოლო ღმერთმა გაამართლოს, ვინცა ინებოს და კაცთაც ერთი ბეწო შეურაცხყოფა არ მიადგესთ.

53. განა არ ჰხედავ, ღვთის თაობაზე სიცრუეს როგორ

ჰსკედენ? ეს საკმარისია, რომ ადამიანმა ცხადი ცოდვა ჩაიდინოს.

54. განა არ შეგინიშნავს იგინი, რომელთაც, წერილის ნაწილის მიღების შემდეგ, ჯიბტ და თავუტ კიდევაჰსწამსთ და რომელნიც ურჯულოებს ეუბნებიან, ჩვენ შევდგომივართ უფრო ჰეშმარიტს გზასა, ვიდრე მორწმუნენიო?

55. ღმერთმა იგინი მოიცვა წყევითა. ვინც ღმერთმა დასწყევლა, მფარველი დიახ ვერ იპოოს მან.

56. წილი რამ ქვეყნის საბრძანებელში ნუ თუ დაედვას მათ, რომელნიც ინდის ხურმის ერთ ბეწო ფუჭ კურკასაც არ გაიღებენ.

57. ნუ თუ შეშურდესთ სიკეთე, რომელიც ღმერთს სხვებისთვის მიუნიჭებია. მასთანვე აბრაამის ტომს წერილი, სიბრძნე და დიდი სამეფო უბოძეთ ჩვენ.

58. მათ შორის, ზოგიერთსა ჰსწამს წინასწარმეტყველი, სხვები კი ჰშორდებიან მას. მაგრამ ჯანაბის ცეცხლი კმარა მათ სასჯელად.

59. ვინც ჩვენ სასწაულთა რწმუნება უარჰყონ, მგზნებარე ცეცხლს დაუახლოოთ. ცეცხლმა კანი შეუჭამოს თუ არა, მეორე შეემოსოთ, რათა სასჯელი ვაგემებინოთ. ღმერთი შემძლებელ და ბრძენია.

60. ვინც ირწმუნონ და კეთილი ჰქმნან, წყალის ნაკადულით მორწყულ წალკოტებში შევიყვანოთ. საუკუნოდ დაემკვიდრონ იქა. ყოვლის მწიკვლისაგან გაცლილი ქალები და საამო საგრილი ჰპოონ იქა.

61. ღმერთი გიბრძანებსთ, სათანადო მისცეთ, ვისაც ერგებოდეს და თქვენნი მსგავსნი სამართლიანად განიკითხოთ. ღმერთი კარგ საქმეს გიბრძანებსთ. ყველაფერს ისმენს და ხედავს.

62. მორწმუნენო! ღმერთს დაემორჩილეთ, მოციქულს დაემორჩილეთ და თქვენ შორის იმათაც, რომელთაც ხელთ უფლება აქვსთ. თქვენი საცილობელი ღვთის წინაშე მიიტა-

ტანეთ, თუ ღმერთი და უკანასკნელი დღე გრწამსთ. ეს უმჯობესია, ეს საუკეთესო გამოსავალია ცოლობისა.

63. არ გინახავს, ვინც შენდამი და შენს უწინარეს მოვლინებულის წიგნების რწმუნებას ჩემულობენ, სამართალი ეთხოვოსთ თავუტის წინაშე, თუმცა მისი რწმუნება ჰქონიათ აკრძალული? მაგრამ სატანასა ჰსურს, ქეშმარიტებისაგან ძლიერ შორს გადაახვევინოს იმათ.

64. თუ მათ უთხრეს, მაღლით მოვლინებულის წიგნისა და მოციქულისკენ მოიქეციეთო, ნახო, პირმოთნეთა პირი იბრუნონ და გასწიონ.

65. რა ჰქმნან, როცა მათ საკუთარ ხელთა ნამოქმედარის სასყიდლად, თავს დაატყდესთ დიდი უბედურება? შენთან მოვიდენ და ღმერთი დაიფიცონ, მხოლოდ კეთილი და თანხმობა გვსურდაო.

66. ღმერთმა კარგად იცის, თუ მათ გულთა სიღრმეში რაა. მოსცილდი მათ; ასმინე მათ მკაცრი დარიგება და სიტყვები, მათ სულს ჰსწვდებოდეს.

67. მოციქულები მოვავლინეთ, რათა მათ დამორჩილებოდენ. თუ ვისაც უსამართლობა ჩაუდენიათ, შენთან მოიქცნენ, თუ ღმერთს თავიანთ ცოდვათა მიტევება ჰხოხოვეს და წინასწარმეტყველმაც იშუამდგომლა მათთვის, ღმერთი ჰპოონ მოწყალედ და მხად მათი სინანულის შესაწყნარებლად.

68. შენს ღმერთსა ვფიცავ, მორწმუნე არ შეიქმნენ, ვიდრე თავიანთი ცილობის მსაჯულად არ დაგადგინონ. მასუკან, წუნი ვეღარ დასდონ მას, რაც გარდასწყვიტო, სრულიად დამორჩილდენ.

69. მათთვის თავის მოკვლა, ანუ ქვეყნის დატოვება რო დავეწესებინა, მათ შორის ცოტანი აღასრულებდენ. იმასო ბაში კი ღვთის ბრძანებანი რომ აღესრულებინათ, მათთვის უფრო კასარგებლო იქმნებოდა და უფრო შესაფერიც მათი სარწმუნოების განმტკიცებისათვის.

70. ჩინებულად დავაჯილდოებდით იმათ და სწორ გზაზედაც დავაყენებდით.

71. ვინც ღმერთსა და მოციქულს დაემორჩილოს, შევიდეს იქ, სადაც კრებულია მართალთა, მოწამეთა, ქველკაცთა; რომელნიც ღმერთმა თავისი კეთილ მოქმედებით აღავსო. რა მშვენებია მათი კრებული.

72. ასეთია ღვთის გულუხვობა! მისი მეცნიერება ყველაფერს გასწვდება.

73. მორწმუნენო! ომის დროს სიფრთხილე იქონიეთ და წინ გასწიეთ, ანუ გუნდ გუნდად, ანუ ერთობლივ.

74. გამოერიოს თქვენ შორის ისეთი, რომ თქვენის მწყობრითგან ნელა ნელა გაიპაროს! თუ უკუღმართობა შეგემთხვათ, იტყვის, ღმერთმა განსაკუთრებული წყალობა მიყო, ომს რომ არ დავესწარიო.

75. თუ მოგეცათ საფარველი ღვთისა, რომელიც გამარჯვებას მოგანიჭებს, ჰსთქვას (თითქოს მეგობრობა არაფითარი ყოფილიყოს თქვენსა და მას შუა) ღმერთს რო. ეპრიანებინა და მათთან მებრძოლა, მდიდარ ნადავლს წამოვიღებდიო.

76. ვინც სააქაო ცხოვრებას შესწირვენ მომავალ ცხოვრებას, ღვთის გზაზედ იბრძვიან; დამარცხდენ, თუ გაიმარჯონ, უხვად ჯილდო მივანიჭოთ.

77. რად აღარ უნდა იომოთ უფლის კვალზე, როცა სუსტნი, ქალნი, ბავშვნი ღალადებენ: უფალო ამ შემაჭირებელ მკვიდრთა ქალაქითგან გამოგვიყვანე, დამცველი მოგვივლინე შენის მხრით, მფარველი მოგვეციო;

78. მორწმუნენი ღვთის კვალზედ იბრძვიან, ურჯულონი კი თავუტის გზაზე. იბრძოლეთ სატანას მოზიარენო, უეჭველია, სატანას ვერაგობა უძლურ იქმნეს.

79. თქვენ შეამჩნიეთ, ვისაც უთხრეს: ომისაგან შეისვენეთ რამდენსამე ხანს, ლოცვა ჰყავთ და წყალობა გაიღეთო; როცა მას უკან ბრძოლა უბრძანეს მათ, მეტი ნაწილი მათ შორის, მოშიში კაცთა იმდენადვე, ანუ უმეტეს თვითონ ღვთისა,

ღალად ჰყოფდა: უფალო ომს რად გვიბრძანებ? ვადას, რად არ გადაგვიდებ მახლობელ დრომდეო? უბასუხე მათ: სააქაო ცხოვრების სიტკბოება შეურაცხია; მომავალი ცხოვრება ქემ-მარტი სიკეთეა მათთვის, რომელთაც ეშინიათ. იქ ერთ ბეწვადაც კი ვერ შეგაცდინონ თქვენ.

80. რა აღგილზენდაც არ იყვნეთ, სიკვდილი გეწიოსთ; ამალღებულ კოშკებშიაც კი გეწიოსთ. თუ რამ ბედნიერება დაემართათ, იტყვიან: ღვთისაგან მოგვდისო; თუ რამ უბედურება გამოსცადეს, იძახიან: შენგან მოგვდის, მუჰამმად! უთხარი მათ: ყველაფერი ღვთისაგან მოდის. მაშ რაღა დაემართა მაგ ხალხს, რომელიც ისე შორ არის გაგებისაგან?

81. თუ რამ კეთილი შეგემთხვა, ღვთისაგან შეგემთხვევა. ბოროტი შენგნით მოდის. მუჰამმად, ხალხთა მიმართ მოგაფ-ლინეთ წინასწარმეტყველის მოციქულობით. ღვთის მოწმობა სამყოფია.

82. ვინც წინასწარმეტყველს ემორჩილება, ღმერთს ემორჩილება. შენ არ მოგვივლენიხარ, რათა ყოფილიყავ დარა-ჯად მათთვის, რომელნიც შენგნით უკუიქცვიან.

83. შენს წინაშე ამბობენ: გემორჩილებითო. რაკი შენს პირს მოშორდებიან, მეტი ნაწილი მათ შორის ღამით სჩეკს თავისი ნათქვამის წინააღმდეგ განზრახვას; მაგრამ ღმერთი ჩაიწერს მათ მანქანებასა. მოშორდი მათ და სასოება შენი ღმერთზე დაამყარე. გეყოფა, იგი იყოლიო დამცველად.

84. ნუ თუ ყურადღებით არ განიხილვენ იგინი კურან-სა? ღვთის გარდა რო სხვა ვინმე ყოფილიყო მისი მთხველი, ნუ თუ შიგ აუარებელ წინააღმდეგ სიტყვებს არ ჰპოებდენ?

85. მიიღებენ თუ არა გულის გამკეთებელ ამბავს, ან ისეთს, რომელიც მათ დააწუხებს, მაშინვე გამოაქვეყნებენ. წინასწარმეტყველისთვის, ან თავ-კაცებისთვის რომ ეუწყებინათ, ვინც შეტყობას მოისურვებდენ, ამ უკანასკნელთა პირით შეი-ტყობდენ. ღვთის წყალობა და მისი სიბრალული თქვენთვის

რომ არ ზრუნავდეს, სატანას შეუღლებოდით ყველანი მცირე-ოდენ რიცხვს გარდა.

86. ღვთის კვალზე იბრძოლე და მძიმე ტვირთიც მხოლოდ შენ ჰზიდე. მორწმუნენი საომრად წააქეზე. ღმერთს შეუძლია, ურწმუნოთა მძლავრობა შეაყენოს! მათზე უფრო ძლიერია და მისი სასჯელიც უფრო საშინელია.

87. ვის შუამავლობასაც საქებარი მიზანი ექმნეს, ნაყოფი მოიარეწოს; ვინც შუამავლობა უკეთურის მიზნით გასწიოს, თავისი ნაწილი მიიღოს. ღმერთი ყველაფერს აკვირდება.

88. თუ ვინმე მოგემშვიდობოსთ, უფრო მეტად თავაზიანი მშვიდობა გადუხადეთ, ან და მშვიდობა მაინც გადუხადეთ. ღმერთი ყველაფერს ითვლის.

89. ღმერთი ერთი ღმერთი არს, თავი მოგიყაროსთ აღდგომის დღესა. ეს ყოველად უეჭველია. ხოლო თავის სიტყვაში ვინ არი უფრო მართალ, ვიდრე ღმერთი?

90. ორნაწილად რად გაიყვენით პირმოთნეთა თაობაზე. ღმერთმა ურჯულოებში შერია იგინი სასყიდლად მათის მოქმედებისათვის. განა გინდათ, გაუძღვეთ მათ, რომელნიც ღმერთმა დააბნია? კვალიც ვერ იპოო მისთვის, ვისაც ღმერთი გზას დააკარგვინებს.

91. მათ უნდოდათ მათებრ გაეურჯულოებინეთ, რათა ყველა თანასწორ ყოფილიყვენით. კავშირს ნუ დაიჭერთ მათთან, ვიდრე თავიანთ ქვეყნას უფლის გულისთვის დასტოვებდენ. თუ ურჯულოებას ნამდვილად და გამოტეხილად დაუბრუნდენ, დაიჭირეთ და სიკვდილს მიეცით ყველგან, სადაც კი ჰპოოთ. ნუ ეძებთ მათ შორის ნურც მფარველსა, ნურც მეგობარსა;

92. მათ გარდა, რომელნიც თავშესაფარს ეძებდენ თქვენ მოკავშირეებთან, და მათაც, რომელნიც იძულებულ არიან, ომი აგიტეხონ თქვენ, ანუ თავიანთ ტომსა. ღმერთს რო ენებებინა, თქვენს წინაშე უპირატესობას. მიანიჭებდა მათ და მუდამ დაგამარცხებდენ. თუ თქვენ წინააღმდეგ იარაღის ტარე-

ბას მოიშლიან და თუ ზავსაც დაგიდებენ თქვენ, ღმერთი გიკრძალავსთ მათ თავდასხმასა.

93. თქვენ იპოოთ სხვები, რომელთაც ჰსცადონ, თანაბრად მოიგონ თქვენი ნდობა და თავიანთი ხალხისაც, ყოველთვის, როცა უწესოდ უკუიქცნენ, დამარცხდენ. თუ არ ჩამოდგნენ, თუ ზავი არ დაგიდონ და თქვენთან ბრძოლა არ დაიშალონ; დაიჭირეთ და დაჰხოცეთ ყველგან, სადაც კი ჰპოოთ. მათზე სრულ უფლებას გაძლევთ.

94. რად უნდა მოჰკლას ერთმა მორწმუნემ მეორე მორწმუნე, თუ არ უნებურად? ვინც უნებურად მოჰკლას, მოვალე იქმნეს, მორწმუნე მონა განათავისუფლოს და მოკლულის სახლობას სისხლის ფასი უზღოს, სჯულით გადაჭრილი, თუ სახლობამ ჯამი იგი სამოწყალოდ არ აქცევინა. მოსისხარის ხალხისაგან თუ იქმნეს, მორწმუნის მოკვლისათვის თავისუფლება მისცენ მორწმუნე მონას. მოკავშირე ხალხისაგან თუ იქმნეს, ადამიანის მოკვლისათვის მორწმუნე მონა განათავისუფლონ და მოკლულის სახლობას დადებული ჯამი უზღონ. ვინც გამოსასყიდი მონა ვერ ჰპოოს, ორი თვე შიყოლებით იმარხულოს. აი თავის განსაწმენდელი, მეცნიერის, ბრძენის ღვთის მიერ დადგენილი.

95- ვინც მორწმუნე მოჰკლას ნებითა, სასყიდლად ჯოჯოხეთი ექმნეს მას; იქ დაემკვიდროს საუკუნოდ. ღმერთმა გულის წყრომით დაჰსწყევლოს იგი, საშინელი სასჯელიც მიუღაჯოს.

96. მორწმუნენო! როცა საღვთო ბრძოლისათვის ლაშქრად გამოდიოდეთ, ნამდვილად შეიტყეთ; ნუ ეტყვით მას, რომელიც შემოგხვდეს და მოგემშვიდობოს, მორწმუნე არ ხარ შენაო. ნუ ეტყვით გულის თქმითა ამა სოფლის საწუთროთ ქონებისათვის. ღმერთი ულევ სიმდიდრეს ჰფლობს. ასეთი იყო თქვენი გავლილი ყოფაქცევა. ზეცამ გაპატიათ. მაშ ნამდვილად შეიტყეთ, სანამ იმოქმედებდეთ. ღმერთი ყოველის თქვენის საქმის მცოდნეა.

97. მორწმუნენი, რომელნიც ოჯახში დარჩნენ მიუცლილებლობისაგან ძალდაუტანებლივ, არ ჩაითვალონ მათებრ, რომელთაც ღვთის გზით იომონ ქონებისა და თავის შეწირვითა. ღმერთმა უფრო მაღალი ხარისხი დაუნიშნა ამათ, ვიდრე იმათ; ყველას კარგი რამ აღუთქვა; მაგრამ მებრძოლთ კი უფრო დიდი სასყიდელი დაუნიშნა, ვიდრე მათ, რომელნიც ოჯახში რჩებიან.

98. უმაღლესი ხარისხები მის წინაშეა, სულგრძელება და მოწყალება. ღმერთი ხომ სულგრძელ და მოწყალეა.

99. ანგელოზები, როცა სულს ართმევედენ მათ, რომელნიც თავიანთ თავს უსამართლოდ მოექცნენ, შეეკითხნენ მათ, რა ჩაიდინეთო? მათ მიუგეს: ქვეყნის უძლურნი ვიყავითო. ანგელოზებმა მათ უთხრეს: განა ღვთის ქვეყანა საკმაოდ ვრცელი არ არიო? არ შეგეძლოთ განა თქვენის ქვეყნის დამტოვებლებს სადმე თავშესაფარი მოგეძებნათო? ამიტომაც საცხოვრებლად ჯოჯოხეთი ექმნესთ. მათი გზა რა საძაგელია!

100. მამაკაცთა და დედაკაცთა შორის უძლურებმა და ბავშვებმაც, რომელთაც ეშმაკობის მოგონება არ შეუძლიათ, ურჯულოების თავითგან ასაცილებლად, არცა მათ გზაზე თავის დაყენება, ეგება; პატიება მიიღონ ღვთისაგან, რომელიც სულგრძელ და შემწყნარებელია.

101. ვინც თავისი ქვეყანა ღვთის გულისთვის დასტოვოს, ქვეყანაზე იპოოს სხვა კაცნი, რომელნიც იძულებული იქმნენ ი ივე ჰქმნან, და მრავლად წყაროებიცა. ვინც თავისი ქვეყანა დასტოვოს, რათა ხელი მოჰკიდოს ღვთის საქმეს, და ვისაც სიკვდილმა უსწროს, მისი ჯილდო ღვთის საზრუნველად იქმნეს, ღმერთიც სულგრძელ და მოწყალეა.

102. როცა ლაშქრად გამოდიოდეთ; ცოდვა არ იქმნეს, თქვენი ლოცვები შეამოკლოთ, თუ გეშინიათ, ურჯულოებმა არ შეგბიყრონ. ურჯულოები თქვენი ცხადი მტრები არიან.

103. როცა შენ ჯართა შორის იქმნე და ლოცვას აღასრულებინებდე, ერთმა ნაწილმა თოფი ხელთ აიღოს და ილო-

კოს; როცა თაყვანისცემას მორჩეს, უკან დაიხიოს და ჯარის მეორე ნაწილი, ჯერეთ რომ ლოცვა არ ეთქვას, მას მიჰყვეს. თავს გაუფრთხილდენ და თოფ-იარაღში იყვნენ. ურჯულოებს ურჩევნიათ, რომ თქვენის თოფ-იარაღისა და ბარგის ფიქრი არ იქონიოთ, რათა ერთბამად თავს დაგესხან; თუ წვიმა გაწუხებდესთ, ანუ თუ ავად იქმნეთ, ცოდვა არ იქმნეს, თქვენთ თოფ-იარაღი დაჰყაროთ; მაგრამ თავს გაუფრთხილდით მაინც. ღმერთი ურჯულოთათვის საზიზღარ სასჯელს ამზადებს.

104. ლოცვას რო მორჩეთ, ღმერთი გაგონდებოდესთ კიდევ, იდგეთ, ისხდეთ, თუ იწვეთ. როცა კი გული საგულეს გქონდესთ, ლოცვა ჰსთქვიოთ. ლოცვა მორწმუნეთათვის მოვალეობაა, ზოგიერთ განსაზღვრულ ჟამსა დადებული.

105. მტრების დევნაში არ დალონდეთ. თუ თქვენ იტანჯებით, იგინიც დაიტანჯებიან თქვენსავით; ხოლო ღვთისაგან იმედი უნდა იქონიოთ მისი, რისიც მოიმედე იგინი ვერ გახდებიან. ღმერთი ბრძენ და მეცნიერა.

106. მუჰამმად! წიგნი მოგივლინეთ ჰეშმარიტების, შემცველი, რათა ჰსაჯო კაცთა შორის მისებრ, რაც ღმერთმა გაცოდინა. ცილობას ნუ გაუმართავ დაუნდობლებსა და ღმერთს მიტევებას ევედრე. სულგრძელ და მოწყალეა.

107. ნუ გვეცილები სასარგებლოდ მათდა, რომელთაც თავიანთი თავი არ გაიტანეს. ღმერთს გაუტანელი და სჯულადამავალი ადამიანი არ უყვარს.

108. თავიანთი განზრახვა შეუძლიათ ხალხის თვალს დაუმალონ, ხოლო ღვთისას ვერ დაუმალონ. მათ გარემოს იმყოფება, როცა ღამით ამბობენ სიტყვას, რომელიც არ მოსწონს. თავისის მეცნიერებით მოიცავს ყველაფერსა, რასაც იგინი აკეთებენ.

109. ეჰ! მათ სასარგებლოდ მეცილები ამ წუთისოფლად. მათ სასარგებლოდ ვინლა შეეცილოს ღმერთს აღდგომის დღესა? მათდა მფარველ ვინ-ლა იქმნეს?

110. ვინც უკეთურად საქმე ჩაიდინოს, ანუ თავისს სულს

უსამართლოდ მოექცეს და მასუკან ღმერთს შესჭობოვოს პა-
ტიება, სულგრძელ და მოწყალე ჰპოოს იგი.

111. ვინც ცოდვას ჩაიდენს, თავის საზარალოდ ჩაიდენს.
ღმერთი მეცნიერ და ბრძენია.

112. ვინც შეცდომას (უნებურს); ანუ ცოდვას იქმს და
მერმე უბრალო ადამიანს თავს მოახვევს, ცილის წამებასა და
ცოდვას იკისრებს.

113. შენდა მიმართ ღვთის წყალობა და მისი მოწყალება
რომ არ ყოფილიყო, ერთს ნაწილს მათ შორის, რომელთაც
შენი ცდუნება გარდაწყვეტილი ჰქონდათ, წარმატება ექმნებოდა;
მაგრამ თავიანთი თავი აცდუნეს იმათ და შენი ვნება კი ვერ
შეიძლეს. ღმერთმა შენზე წიგნი და სიბრძნე გადმოავლინა,
ჩაუწყა, რაც არ იცოდინა ღვთის წყალობა დიდ იყო შენდა
მიმართ.

114. კეთილი არა ყრია-რა მათ უფროს ერთ საიდუმლო
საუბარში. ხოლო ვინც მოწყალებას, ანუ კეთილ საქმეს, ან
კაცთა შორის თანხმობას არჩევს, თუ იმ სურვილით ჰსჩადის,
რათა ღმერთს თავი მოაწონოს, ჩვენგან ჩინებული სასყიდელი
მიიღოს.

115. ვინც წინასწარმეტყველთან განხეთქილება ჩამოაგ-
დოს, მას შემდეგ, რაც ქეშმარიტი წარმართება გამოეცხა-
და, ვინც შეუდგეს სხვას, ვიდრე მორწმუნეთა გზას, ზურგი
შევაქციოთ მას ისე, როგორც მან შეგვაქცია, და ჯანაბის
ცეცხლსაც დაუახლოოთ. რა საშინელი აღსასრულია!

116. ღმერთმა არ აპატიოს, ოდეს სხვა ღმერთები დაუ-
ამხანაგონ მას; ვინცა ინებოს, დანარჩენი ყველაფერი მიუტეოს,
ვინადგან ვინც სხვა ღმერთებს უამხანაგებს მას, ქეშმარიტე-
ბისაგან კარგა დაშორებულ ცრუ გზაზე დგას.

117. ქალღმერთებს ევედრებიან უფრო, ვიდრე ღმერთსა;
უფრო, ვიდრე, ღმერთს, ევედრებიან მეშფოთარ სატანას.

118. ღვთის წყევაკრულვა იყოს მაზედ. იმან ჰსთქვა: შე-
ნის მსახურების ერთსა რამ ნაწილს ვეუფლებიო, გზა აუბნო.

მათ, წადილი რამ შევაგონო მათ, ყურები დავაქრევიწო
ზოგიერთ ცხოველთა, შევაცვლევიწო ღვთის ქმნილე-
ბაო: ვინც სატანას მფარველად აიყვანს უფრო, ვიდრე ღმერთ-
სა, ცხადის წაწყმედით წაწყმედილია.

119. პირობას უდებს მათ და წადილს შეაგონებს;
ხოლო სატანა შეჰპირდება მარტო იმიტომ, რომ დააბრძაოს.

120. ჯანაბა ექმნესთ საცხოვრებლად და იქითგან
გამოსავალიც ვერ იპოონ.

121. ვისაცა ჰსწამსთ და კეთილ საქმეებსაც ჰსჩადიან, წყა-
ლის ნაკადულით მორწყულ წალკოტებში შევიყვანოთ. იქ
დარჩნენ საუკუნოდ ღვთის მიერ ქეშმარიტის დაპირების და-
ლითა, ხოლო ღვთის უმართლეს ვინ არის თავისს სიტყვაში?

122. თქვენის ოცნებით არ მოხდება ესა, არცა წერილის
ხალხის ოცნებით. ვინც ბოროტი ჰქმნას, ბოროტივე მიეგოს
და მფარველი ვერ იპოოს, ვერცა ვერავითარი შუამავლობა
ღვთის წინაშე.

123. კაცნი, თუ ქალნი, რომელთაც კეთილი საქმე ჰქმნან
და იმ დროსვე მორწმუნე იქმნენ, სამოთხეში შევიდენ და
ერთ ბეწვდაც მოტყუებულ არ იქმნენ ჯილდოში.

124. ვინ აღიარებს უკეთესს სარწმუნოებას თუ არ იგი,
რომელიც ღმერთს სრულიად მიენდო, კეთილსა იქმს და აბ-
რაამის სარწმუნოებასაც სრულის სიწრფოებით მიჰყვება? ღმერ-
თმა აბრაამ მეგობრად აიყვანა.

125. ღმერთს ეკუთვნის ყველაფერი, რაცაა ცათა შინა
და ქვეყანაზე. ყველაფერს გარემოიცავს.

126. დედაკაცებისა გკითხონ. უთხარი მათ: ღმერთმა გა-
მცნოთ; წიგნში (კურანში) წაგეკითხათ წესები ობოლ ქალთა-
თვის, რომელთაც არ აძლევთ მას, რაც გებრძანათ და რომ-
მელთაც შერთვის უარზე ხართ. უსუსურის ბავშვებისთვის გამ-
ცნებსთ; გიბრძანებსთ, სამართლიანად მოექცეთ, ობლებსა. კე-
თილი საქმე ვერავითარი ჩაიდინოთ ისეთი, ღმერთს არ
ეუწყოს.

127. თუ ცოლს თავისის ქმრის მძლავრობისა, ან მისის მძულვარების ეშინოდეს, მორიგება ურიგო არ იქმნეს; მშვილობა დიდი სიკეთეა. ადამიანის სულს სიხარბე ჰსჩვევია: თუ ქველმოქმედ ხარო და თუ ღვთის გეშინიათ, თქვენი საქმეები ეუწყოს მას.

128. ერთნაირად ვერასოდეს მოეპყრათ ყველა თქვენს ცოლებსა, კიდევ რო გულით გინდოდესთ. უფროთხილდით, გულის თქმას მართლად არ აჰყვეთ და იმის გამო არ დაჰსტოვოთ ერთი, როგორც უგულბებელი; ხოლო თუ პატიოსან ხარო და თუ ღვთის გეშინიათ, ივია სულგრძელ და შემწყობლებელი.

129. თუ მეუღლენი ორნივე გაიყარნენ, ღმერთი საკმაოდ მდიდარია, რომ ერთსაც და მეორესაც მათ-მათი განცალკევება დაუჯილდოს. დიდ და ბრძენია.

130. მას ეკუთვნის, რაცაა ცათა შინა და ქვეყანაზე. ჩვენ გვირჩევია მათთვის, რომელთაც თქვენს უწინარეს წერილი მიუღიათ, აგრეთვე თვითონ თქვენთვისაც ღვთის შიში და ურწმუნოდ არ ყოფნა. ხოლო თუ ასეთი იქმნეთ, იცოდეთ, ყველაფერი, რაცაა ცათა შინა და ქვეყანაზე, მას ეკუთვნის. მდიდარ და დიდებით აღსავსეა.

131. მას ეკუთვნის ყველაფერი, რაცაა ცათა შინა და ქვეყანაზე. ღვთის მფარველობა კმარა.

132. ხალხო! თუ ინება, შეუძლია, გააქროს და გააჩინოს სხვა ხალხი თქვენდა ნაცვლად. უეჭველია, ღმერთი საკმაოდ ძლიერია, რათა ჰქმნას.

133. ვისმე უნდა განა სასყიდელი ამ წუთისოფლად? ამ წუთისოფლის სასყიდელი, საიქიოსი არ იყოს, წინაშე ღვთისა. იგი ისმენს და ხედავს ყველაფერსა.

134. მორწმუნენო! მართლმსაჯულების მკაცრად დამკვირვებლ იყავთ, როცა წინაშე ღვთისა მოწმობდეთ, თუნდაც მოწმობდეთ თქვენის თავის წინააღმდეგ, თქვენის ნათესავების წინააღმდეგ, თქვენის მახლობლების წინააღმდეგ, მდიდრისა, თუ

ღარიბის პირდაპირ. ღმერთი უფრო ახლოა, ვიდრე თქვენ, მდიდარსა და ღარიბზე. თქვენს გულის თქმას ნუ აპყვებით, შიშით, არ გადაუხვიოთ. თუ მოწმობის უარი ჰსთქვათ, თუ დაიშალებთ, იცოდეთ, ღმერთი მცოდნეა მის, რასაცა იქმთ.

135. მორწმუნენო! იწამეთ ღმერთი, მისი მოციქული; წიგნი, რომელიც მას მოუვლინა, მის უწინარეს მოვლინებულ წერილი. ვისაც არა ჰსწამს ღმერთი, მისი ანგელოზები, მისი წიგნები, მისი მოციქულები და უკანასკნელი დღე, ღრმა შეცთომილებაშია.

136. ვინც იწამეს და ურჯულოებას დაუბრუნდენ, მასუკან ხელახლა იწამეს და შემდეგ კვლავ ურჯულო გახდნენ და მერმე მათმა ურჯულოებამ იმატა, ღმერთმა არ მიუტეოს მათ, სიმატლის გზით არ წარუძღვეს მათ.

137. სამწუხარო სასჯელი აუწყე პირმოთნეებსა;

138. იმ პირმოთნეებს, რომელნიც თავიანთ ამხანაგებს ეძებენ ურჯულოთა შორის უფრო, ვიდრე მორწმუნეთა შორის, განა პატივის მოსახვეჭად? პატივი სრულიად ღმერთს ეკუთვნის.

139. კურანში უკვე აგეხსნათ, როცა თქვენ უგდებთ ყურსა ღვთის სასწაულებს, არა ჰსჯერათ, სასაცილოდ მიიჩნიათ. ურჯულოებთან სხდომას უფრთხილდით, ვიდრე სხვა საგნისას რასმე ილაპარაკებდენ; თორემ მათდა მსგავს შეიქმნებით. ღმერთმა ერთად შეჰყაროს პირმოთნეები და ურჯულოები ჯანაბაში.

140. იმის ლოდინში არიან, თუ რა მოხდეს. თუ ღმერთმა გამარჯვება მოგანიჭათ, იტყვიან, განა თქვენთან არა ვართო? თუ წარმატება ურჯულოებს ხვდათ, ეტყვიან მათ: განა არა ვძლიეთ და მორწმუნეთა წინააღმდეგ არ დაგიცევითო? ღმერთმა გაგასამართლოსთ აღდგომის დღესა. ურჯულოებს არ მიანიჭოს უპირატესობა მორწმუნეთა წინაშე.

141. პირმოთნენი ღვთის შეცდენას ცდილობენ; ღმერთმა შეაცდინოს იგინი პირველმა. როცა ლოცვად დგებიან, გა-

რეწრად ასრულებენ; ხალხის საჩვენებლად გაუხდიათ და ძლიერ ცოტასაც ფიქრობენ ღვთისათვის,

142. გაუბედველნი ერთშიაც და მეორეშიაც, მიუმხრობელნი ამათიც და იმათიც. ხოლო ვინც ღმერთმა დააბნოს, გზა ველარ გაიგნოს.

143. მორწმუნენო! მეგობრებს ნუ აიყვანთ ურჯულოთა შორის უფრო, ვიდრე მორწმუნეთა შორის. ნუ თუ გინდათ, თქვენს ღმერთს მისცეთ საბუთი თქვენ წინააღმდეგ, საბუთი დაურღვეველი?

144. პირმოთენი ცეცხლის ყოვლად ქვემოთ საფეხურზედ იქმნენ და მათი მფარველი ვერ დაინახო.

145. ხოლო ვინც მოიქცეს და გასწორდეს, ვინც ღმერთს შტკიცედ მიეკედლოს და სარწმუნოებაში წრფელი გამოდგეს, კვალად მორწმუნეებთან იქმნეს: ღმერთმა მორწმუნეებს დიახ ჩინებული სასყიდელი დაუნიშნოს.

146. ღმერთმა რად უნდა დაგიდოთ სასჯელი, თუ დამნახველ ხართ და თუ გირწმუნებიათ? ღმერთი დამნახავია და ყველაფერი უწყის.

147. ღმერთს როდი უყვარს, ადამიანმა ბოროტი გამოაქვეყნოს, თუ შევიწროების მსხვერპლი არ იქმნა. ღმერთი ისმენს და უწყის ყველაფერი.

148. გამოაქვეყნოთ კეთილი, თუ დამალოთ, ან მიუტეოთ ბოროტი, ღმერთია სულგრძელ და შემძლებელი.

149. ვისაც არა სწამს ღმერთი და მისი მოციქულები, ვისაცა, ჰსურს ღმერთი მისი მოციქულებისაგან განაცალკეოს, ვინც იტყვის, ერთი მრწამს, ხოლო მეორენი არა მრწამანო (ცდილობს, საშუალო-საზღვარი აირჩიოს),

150. მართლა ურჯულოა იგი. ურჯულოთათვის გამზადებული გვაქვს საზიზღარი სასჯელი.

151. ვისაცა ჰსწამს ღმერთი და მისი მოციქულები და განსხვავებას მათ შორის არცერთისთვის არა ჰსდებს, თავისი სასყიდელი მიიღოს. ღმერთი სულგრძელ და მოწყალეა.

152. წერილის ხალხმა გთხოვოს, ზეცით წიგნი გადმოუვლინო; მოსეს რაღაც უფრო მეტი სთხოვეს, — უთხრეს: ღმერთი ცხადად გვახილვებინეო; მაგრამ საშინელი ქარიშხალი ეკვეთათ სასჯელად მათის უკეთურობისათვის, შემდეგ მოიღეს ხბო. თაყვანსაცემად, თუმცა ცხადი სასწაულები მოვლინებოდათ, ხოლო ჩვენ ვაპატიეთ და მოსეს ცხადი დამტკიცება უბოძეთ.

153. მათ თავთა ზემო სინას მთა აგამალღეთ, ჩვენის კავშირის ნიშნად; და მათ უთხარით: შედით ქალაქის კარში განრთხმულნი წინაშე უფლისა; არ გასტეხოთ შაბათი. მათთან პირობა შეეკარით გამოჩვენებით.

154. მაგრამ პირობა დაარღვიეს, ღვთის სასწაულები უარჰყვეს, წინასწარმეტყველები უსამართლოდ დაჰხოცეს. ჰსთქვეს: გული წინა დაუცვეთელი გვაქვსთო. დიახ, ღმერთმა ბეჭედი დაასვა შათ გულსა. ურჯულო არიან; მცირეოდენ ღარიცხვია, რომელსაცა ჰსწამს.

155. იესო არ ირწმუნეს; მარიამის წინააღმდეგ უწყალო სიცრუე გამოიგონეს.

156. ამბობენ: ჩვენ მოვკალით მესია, იესო მარიამის ძე, ღვთის მოვლინებულიო. არა, არ მოუკლავთ, ჯვარს არ უცვამთ; კაცი, რომელიც მას ჰგავდა, მის ადგილს მოიყვანეს, და ვინც ამას საცილობელს ჰყოფდენ, თვითონ იგინი იქვენულობდენ. ჭეშმარიტის ცოდნით არ იცოდენ, მხოლოდ ზრახვას მიჰყვებოდენ. სრულიად არ მოუკლავთ. ღმერთმა აღიტაცა თავისადმი და ღმერთიც შემძლე და ბრძენია.

157. ერთი ადამიანიც არ იქმნეს მათ შორის, ვისაც წერილი ჰსწამს, რომ არ იწამოს იგი, ვიდრე მოკვდებოდეს. აღდგომის დღეს მან (იესომ) იმოწმოს მათ წინააღმდეგ.

158. მათი ბოროტების სასყიდლად და მიტომაც, რომ სხვებს გადაახვევინებენ ღვთის კვალისაგან, მათ აუკრძალეთ ჩინებული სანოვაგე, რაც კი უწინ ნებადართული ჰქონდათ.

159. მიტომ რომ ჰდებულობენ ვახშსა, რაიც აკრძალული ჰქონდათ, მიტომ რომ ქონებას ჰსტაცებენ სხვებსა ფუჰის

საქმისათვის; ურჯულოთათვის სამწუხარო სასჯელი გვაქვს გამზადებული.

160. მაგრამ მტკიცედ გაბრძნობილ კაცებს მათ შორის, აგრეთვე მორწმუნეებსაც, რომელთაცა ჰსწამსთ, რაც გამოცხადებულ იქმნა შენდამი და შენს უწინარეს, მათ, რომელნიც ლოცვას დაიცვენ, რომელნიც მოწყალებას გაიღებენ, რომელთაცა ჰსწამსთ ღმერთი და უკანასკნელი დღეა ყველას ჩინებული სასყიდელი მივანიჭოთ.

161. გამოცხადება მოგმადღეთ შენ, როგორც მივმადღეთ ნოეს და წინასწარმეტყველებსა, რომელნიც მას შემდეგ ჰსცხოვრებდენ, მივმადღეთ აბრაამს, ისმაელს, ისააკს და იაკობს, თორმეტ ტომსა, იესოს, იობს, იონას, აარონს, სოლომონს, ხოლო დავითს ფსალმუნი მივმადღეთ.

162. იყვენ მოვლინებულნი, რომელთათვისაც წინეთ გაუწყეთ შენ. იყვენ ისეთნიც, რომელთათვისაც არა გეუბნოთ. ღმერთმა სიტყვა მოსეს ნამდვილად მიჰმართა.

163. იყვენ მოვლინებულნი, უწყებასა და გაფრთხილებას დავალებულნი, რათა კაცთა მოსაბოდიშებელი არა ჰქონოდათ ღვთის წინაშე, მოციქულთა მოვლინების შემდეგ. ღმერთი შემძლე და ბრძენია.

164. ღმერთი თვითონ მოწმეა, რომ თავისის მეცნიერებით მოგავლინა. ანგელოზები ემოწმებიან. მაგრამ ღმერთიც საკმაო მოწმეა.

165. ვისაც არა ჰსწამსთ, ვინც სხვებს ღვთის კვალისაგან გადაახვევინებენ, ჭეშმარიტებას კარგა დაშორებულ ცრუ გზაზედ არიან.

166. ვისაც არა ჰსწამს და უსამართლოდაც იქცევა, ღმერთმა არ აპატიოს, გზა არ უჩვენოს;

167. თუ არ გზა ჯანაბისა, სადაც საუკუნოდ დაემკვიდროს, ეს ღვთისათვის ადვილია.

168. ხალხო! მოციქულს თქვენთვის ჭეშმარიტება მოხქვს

თქვენის უფლისაგან. მაშ ირწმუნეთ: თქვენთვის უფრო ემჯობინება. ხოლო თუ ურწმუნო დარჩით, რაც არის ცათა შინა და ქვეყანაზე, ყველაფერი მას ეკუთვნის; უთქვენოდაც შეუძლია გაძლება. მეცნიერ და ბრძენია.

169. თქვენ, რომელთაც წერილი მიგიღიათ! თქვენს სარწმუნოებაში ქეშმარიტს საზომს ნუ გადახვალთ, ღვთისაჰსთქვით მხოლოდ, რაც მართალია. მესია, იესო მარიაშის ძე, მოციქულია ღვთისა და მისი სიტყვა, რომელიც მარიაშს შთაუგდო, ღვთისაგან მომავალი სულია. მაშ ღმერთი და მისი მოციქულები იწამეთ, და ნულარ იტყვიეთ, სამება არისო. თავი დაანებეთ. თქვენთვის უფრო სასარგებლო იქმნეს. ვინადგან ღმერთი ერთი არს. დიდება მასა; როგორ ეყოლებოდა ძე? მას ეკუთვნის ყველაფერი, რაცაა ცათა შინა და ქვეყანაზე. მისი მფარველობა კმარა; საკმაოა, მფარველად ღვთიან ყოლა.

170. მესია არ თაკილობს, ღვთის მსახურ იყოს, არც უმეტესია ანგელოზებისა, რომელნიც ღმერთს ახლავან.

171. ხოლო ვინც ღვთის თაყვანის ცემას თაკილობენ, ვინც დიდგულობით იფუყებიან, ღმერთმა თავის წინაშე შეჭკრიბოს.

172. ვისაცა ჰსწამსთ და კეთილ საქმეებს ჰსჩადიან, ღმერთმა სასყიდელი ნამდვილად გადუხადოს. კიდევ განუდიდოს თავისის მოწყალების განძითა, ხოლო ამპარტავანსა და დიდგულებს საშინელი სასჯელი შეამთხვიოს.

173. ვერც პატრონი იპოონ, ვერცა მფარველი ღვთის წინაშე.

174. ხალხო! დამტკიცება მოგივიდათ თქვენის უფლისაგან. ცხადი ნათელი გადმოვაველინეთ თქვენთვის. ღმერთმა თავისის შემბრალეობისა და წყალობის წიალად მიიყვანოს, ვისაც იგი ჰსწამსთ და მტკიცედ ეკედლებიან მას; სიმართლის კვალზე დააყენოს იგინი.

175. შეგეკითხონ. უთხარი მათ: ღმერთი გიმოდღვრებსთ შორეულის ნათესავებისათვის. თუ კაცი უშვილოდ მოკვდეს

და ეყოლოს და, ნახევარი ერგოს მისი, რაც ძმამდასტოვოს. ესეც ემემკვიდროს აგრეთვე, თუ იმ დას შვილი არ გააჩნდეს. თუ ორნი დანი იყვნენ, ორი მესამედი ერგოსთ მისი, რაც კაცმადასტოვოს; ხოლო თუ ძმები და დები დარჩნენ, ვაჟსა ორის ქალის ნაწილი ერგოს. ღმერთი ავიხსნისთ ცხადად, შიშით რათა არ დაიბნეთ. ღმერთმა ყველაფერ იცის.

თ ა ვ ი V.

ს უ ფ რ ა.

ნახობებია მედინეს. — 120 მუხლი.

ს ა ხ ე ლ ი თ ა

ღ ვ თ ი ს ა

მოწყალისა და შემწყნარებელისა.

1. მორწმუნენო! თქვენს მოვალეობას ეპირმტკიცებით. ნება გაქვსთ, თავი ისაზრდოთ იმ პირუტყვთა ხორცით, თქვენს ნახირს რო შეადგენენ. მაგრამ კი არ შეჯამოთ, რაც აკრძალული გაქვსთ კურანის შემდეგ მუხლებში, არცა ნადირი, რომლისაც მოკვლა ნადირობის დროს ნებადართული არ გქონდესთ, მაშინ როცა სამწირო ტანთსაცმელი გაცვიათ. ღმერთი გარდასწყვეტს, როგორც მას ეპრიანება.

2. მორწმუნენო! უფრთხილდით, წმინდა თვე არ გასტეხოთ; პატივი ეციოთ ზვარაკებს და სამკაულებს, რომელსაც ზვარაკებს ჩამოჰკიდებთ. შეიწყნარეთ იგინი, რომელნიც ღვთის სახლისკენ მიისწრაფიან, რათა იქ ითხოვონ წყალობა და შეება მათის უფლისაგან.

3. რაკი ქვეყნიურ მდგომარეობას დაუბრუნდებით, შეგიძლიათ, ინადიროთ. ვინც საღვთო სალოცავითგან თქვენს განდევნას ცდილობდენ, მათ მიმართ გულძვირობამ უსამართლო საქმე არ ჩაგადენინოსთ. უმჯობესია, კეთილი და სათნო

რამ ერთმანერთის დახმარებითა ჰქმნათ, მაგრამ ბოროტსა და უსამართლობაში ერთმანერთს კი არ დაეხმაროთ და ღვთისაჲ გეშინოდესთ, ვინადგან მისნი სასჯელნი საზარელ არიან.

4. მკვდარი პირუტყვები, სისხლი, ღორის ხორცი, ყველაფერი, რაც კი მოკლულა სხვის, თუ არ ღვთის სახელის მოწოდებით, დამრჩვალი, ნაწვალეები, დაცემით რითიმე, თუ რქის რჩოლით მოკლული პირუტყვები; რაც მტაცებელ მხეცს უთრევია, თუ დაკვლით არ გაგიწმენდიათ; რაც კერპთა სამსხვერპლოებზე შეწირულ ყოფილა; ყველაფერი ეს აკრძალული გაქვთ. არ გაიყოთ ისართა დაკითხვით, ვინადგან ეს ეხლა არაწმინდობაა. სასოწარკვეთილება ელისთ მათ, რომელთაც თქვენი სარწმუნოება უარჰყვეს; მათი ნუ გეშინიათ, ჩემი გეშინოდესთ.

5. აწ თქვენი სარწმუნოება სრულ ვყავ და ჩემი კეთილ მოქმედება თქვენთვის თავამდე მოვყარე. სათნო მიჩნდა, ისლამი სარწმუნოებად მომეცა თქვენთვის. ვინც უიმშილის მიუცილებლობისათვის დათმობით და ბოროტის ჩადენის განუზრახველად ჩვენს დებულებას გარდახდეს, უბრალო იქმნეს, ვინადგან ღმერთი სულგრძელ და შემბრალებელია.

6. რა გვაქვსთ ნება დართულიო, გკითხონ. უპასუხე მათ: რაც კი რამ კარგია, ნება დართული გაქვსთ. ნანადირევი დაგეშოილის პირუტყვებისა, რომელნიც ძალღებსავით გაწაფული გეყოლოსთ, ღვთისაგან მიღებულის მცნებისამებრ ნებადართული გაქვსთ. რაც იმათ მოგიტანონ, შკამეთ ღვთის სახელის მოწოდებით- მისი გეშინოდესთ, ვინადგან მზად არის, ანგარიში გაგაწვეინოსთ.

7. აწ ნებადართული გაქვსთ ყველაფერი, რაც კი კარგია; საკმელ-სასმელი მათი, რომელთაც წერილი მიუღიათ, თქვენთვის ახსნილია, თქვენიც თანასწორვე ახსნილია მათთვის. ნება გაქვსთ, დაირთოთ პატიოსანნი ასულნი მოარწმუნეთა და მათიც, რომელთაც თქვენს უწინარეს წერილი მიუღიათ, თუ მხოლოდ სასყიდელი მიეცით. უბიწოდ ცხოვრებდეთ მათთან.

ვაქსუებას მორიდებულნი და საყვარლების აუჩენელად. ვინც თავის სარწმუნოებას უღალატოს, თავის კეთილ საქმეთა ნაყოფი დაჰკარგოს და საიქიოსაც ბედშავთა შორის იქმნეს.

8. მორწმუნენო! როცა ლოცვისთვის ემზადებოდეთ, პირისახე დაიბანეთ და ხელებიც იდაყვამდე, თავი შეიწმინდეთ და ფეხებიც ქუსლებამდე.

9. თავი გაისუფთავეთ თქვენ ცოლებთან დაწოლის შემდეგ; ხოლო როცა ავად, ანუ გზად იქმნეთ, როცა ბუნებრივი საჭიროება აგესრულებინოთ და როცა ქალს მიჰკარებოდეთ, თუ წყალი ვერ იშოოთ, პირისახე და ხელები შეიწმინდეთ წვრილისა და წმინდა სილით. ღმერთს როდი ნებავს, ვითარამე მოვალეობა დაგაკისროსთ; მაგრამ კიჰსწადია, წმინდა გყოსთ და თავისი კეთილმოქმედება თავამდე მოჰყაროს, რათა დამნახავ იყვნეთ.

10. მისი კეთილმოქმედება მოიგონეთ და პაემანიცა, რომელიც თქვენთან დაჰსდო, როცა ეს სიტყვები წარმოსთქვით: გვესმა და მორჩილ ვიქმნეთო! ღვთის გეშინოდესთ, ვინადგან თქვენის გულის შინაგნობის მხილავია.

11. თქვენ, რომელთაცა გრწამსთ! მტკიცე და სამართლიანი მოწმე იყვენით წინაშე ღვთისა; მძულვარებამ არ დაგიტრიოსთ, რათა პირდაპირ გზას დაგაშოროსთ. სამართლიან იყვენით; სამართლიანობა ახლო დგას ღვთისნიერებასთან. ღვთის გეშინოდესთ, რადგანაც თქვენი მოქმედება უწყის.

12. ღმერთმა პირობა მისცა მათ, რომელთაც ჰსწამსთ და კეთილ საქმეებს შვრებიან; მიტევება და ჩინებული ჯილდო მათია.

13. ვისაც არა ჰსწამსთ და ჩვენს სასწაულებსაც სიცრუედ აგდებენ, ცეცხლში ჩაცვივდენ.

14. მორწმუნენო! უფლის კეთილმოქმედება მოიგონეთ. როცა ზოგიერთმა კაცებმა გარდასწყვიტეს, თქვენზე ხელი მოეტანათ, ღმერთმა მათი ხელი უკუაგდო. ღვთის გეშინოდესთ; ქვეშარიტმა მორწმუნეებმა მხოლოდ მისი იმედი იქონიონ.

15. ღმერთმა ისრაელის შვილების აღთქმა შეიწყნარა. მათ

შორის თორმეტი მთავარი აღვადგინეთ და ღმერთმა ჰსთქვა: თქვენთან ვიქმნეო. თუ ლოცვა ნამდვილად აღასრულეთ, თუ მოწყალეობა გაიღეთ, თუ ჩემ მიერ მოვლინებულნი იწამეთ, თუ დაეხმარეთ მათ და თუ ღმერთსაც პატროსანი ძღვენი მიატოვით, რაც გიწყენინებიათ, ავხოცო და წყალის ნაკადულით მორწყულ წალკოტებში შეგიყვანოთ. ვინც ამ გაფრთხილების შემდეგ, რწმუნების უარი ჰსთქვას, კარგი შუა გზა დაჰსტოვოს.

16. მაგრამ რაკი მათ გასტეხეს დადებული ჰირობა, ჩვენც დავსწყევლოთ, გავაგულქვავეთ. წერილის სიტყვებს გადიგადმრსმენ და კი ავიწყდებათ ერთი ნაწილი მის, რაც მათთვის უსწავლებიათ. მათი ორგულობის გამოაშკარალება არ მოიშალო. მცირეოდენ რიცხვს გარდა ყველა დამნაშავეა; მაგრამ მიუტევე მათ და ჩაიარე, ვინადგან ღმერთს უყვარან იგინი, რომელნიც კეთილშობილურად ირჯებიან.

17. აგრეთვე შევიწყნარეთ აღთქმა მათი, რომელნიც ამბობენ ქრისტიანები ვართო; მაგრამ მათაც დაავიწყდათ ერთი ნაწილი მის, რაც მათთვის უსწავლებიათ, მათ შორის ჩამოვადეთ მტრობა და სიძულვილი, რამაც აღდგომის დღემდე უნდა გაატანოს. ღმერთმა მათ აუწყოს, რაც ჩაიდინეს.

18. თქვენ, რომელთაც წერილი მიგიღიათ, ჩვენმა მოვლინებულმა გიჩვენათ ბევრი ადგილი, რასაც ჰმალავდით, და ბევრსაც გვერდი უქცია. ნათელი ღვთისაგან მოგველინათ, აგრეთვე ეს ცხადი წიგნიც, რომლითაც ღმერთი წარუძღვეს მათ, რომელნიც მის ნებას ცხონების გზით შეუდგებიან. ბნელეთითგან სინათლეში გადიყვანოს იგინი თავისის ნებით და პირდაპირ გზაზე დააყენოს.

19. ვინც ამბობენ, ღმერთია მესია, მარიამის ძეო, ურჯულო არიან. მიუგე მათ, ვის შეეძლო, როგორც უნდა ყოფილიყო, ღვთისათვის ხელი შეეშალა, თუ კი ინებებდა, გაეწყვიტა მესია, მარიამის ძე, და დედამისი, და ყველა სულდგმული დედამიწისა?

20. ღმერთს ეკუთვნის სასუფეველო ცათა და ქვეყნისა, და იმ სივრცისაც, რომელიც მათ გაჰყოფს. აჩენს, რაც ჰნებავს, და ყველაფერიც შეუძლია.

21. ღვთის ძენი და მისი ძვირფასი მეგობრები ვართო, ურიები და ქრისტიანები იტყვიან. მიუგე მათ: მაშ რაღა გჯისთ იგი თქვენის ცოდვებისთვის? თქვენა ხართ მხოლოდ ერთი ნაწილი კაცთა, რომელნიც მან გააჩინა; იგი მიუტყევებს, ანუ დასჯის თავისის ნებისამებრ. მას ეკუთვნის სასუფეველო ცათა, ქვეყნისა და ყველაფრისაც, რაცაა მათ შორის. იგია საზღვარი, სადაც ყველაფერი ერთ დღეს მიაწყდეს.

22. თქვენ, რომელთაც წერილი მიგიღიათ! ჩვენი მოვლინებული აგიხსნისთ წინასწარმეტყველთა მოსაზრებას, რათა აღარა ჰსთქვათ; აღარ მოგვიდის მახარობელი, მაუწყებელიო. აი თქვენ შორისვე მახარობელი იგი, მაუწყებელი იგი, ხოლო ღმერთი ყოველ საქმეში ძლიერია.

23. როცა მოსემ ისრაელებს უთხრა: მოიგონეთ სიკეთე, რომელიც ღვთისაგან მიიღეთ; თქვენ შორის წინასწარმეტყველნი აღადგინა, მეფენი მოგანიჭათ, მოგმადლათ წყალობანი, რის ნაირიც არც ერთის ერისთვის არასოდეს არ მიუნიჭებია.

24. შედი, ჩემო ერო! წმინდა ქვეყანაში, რომელიც ღმერთმა დაგინიშნა; უკან არ დაბრუნდეთ, შიშით, რათა დასაღუპავში არ წახვიდეთ.

25. იმ ქვეყანაში, მიუგეს ისრაელებმა, ძლიერი ხალხი მკვიდრობს. ვიდრე მათ ხელშია, ვერ შევიდეთ იქ. თუ გამოვიდენ, ვეუფლოთო.

26. მიადექით ქალაქის კარებსაო, ჰსთქვა ორმა კაცმა, უფლის მოშიშმა და მისის წყალობით გაკეთებულმა: შეხვიდეთ თუ არა, კიდევ გაიმარჯვოთ. ღვთის იმედი იქონიეთ, თუ მისანდო ხართო,

27. მოსე! ჰსთქვა ერმა, ვერ შევიდეთ იქ, ვიდრე იქაური მკვიდრი ხალხი გამოვიდოდეს. წადი ღვთით და ორთავი იბრძოლეთ. ჩვენ აქ დავრჩეთ.

28. უფალო, ღალად ჰყო მოსემ, ხელი შემევა მხოლოდ ჩემს თავსა და ჩემს ძმაზედ; განაჩინე ჩვენსა და არაწმინდა ხალხს შუა.

29. მაშინ უფალომა ჰსთქვა: ეგ მიწა აკრძალულ იქმნეს მათთვის ორმოცის წლის განმავლობაში, უდაბნოში იხეტიალონ; ხოლო წუხილი მაგ ხალხის გულისათვის მოიშაღე.

30. მიუთხარ მათ ამბავი, როგორიც არის ადამის იმ ორი ვაჟისა, მსხვერპლი რო შესწირეს. მსხვერპლი ერთისა შეწყნარებულ იქმნა, ხოლო მეორისა უარყოფილ. უკანასკნელმა თავის ძმას უთხრა: მოგკლავო.—ღმერთმა, მიუგო მეორემ, მსხვერპლი მიიღოს მხოლოდ იმ კაცთაგან, რომელთაც მისი ეშინიათ.

31. კიდევ რო გამოიღო შენ ხელი ჩემდა მოსაკლავად, არ გამოვიღო მე ხელი, რათა სული ამოგახდინო, ვინადგან ღვთისა, მსოფლიოს მეუფისა მეშინია.

32. ჩემთვის უმჯობესია, მარტო შენ გამოხვიდე, ჩემი ცოდვებითა და შენითაც დამძიმებული და ცეცხლმა, არა წმინდების ჯილდომ შეგიწიროს.

33. ხოლო გულისთქმამ გაიტაცა იგი თავისის ძმის მოსაკლავად: მოჰკლა და წაწყმედილ შეიქმნა.

34. ღმერთმა მოავლინა ყორანო, რომელიც ჰსჩიჩქნიდა მიწას, რათა მისთვის ეჩვენებინა, თუ როგორ უნდა დაეთარა თავის ძმაზედ ჩადენილი ცოდვა. რა უბედური ვარო! მკვლელმა დაიყვირა, განა უღონო შევიქმენ, ვერ შევძლო, როგორც ამ ყორანმა, დაფარვა ცოდვისა, რომელიც ძმაზედ ჩავიდინე? კან შემნანებელ იყო უკვე.

35. აი რად დავსწერეთ ასეთი სჯული ისრაელის შვილთათვის: ვინც მოჰკლას კაცი, კაცი რო არ მოეკლას და ქვეყანაზე ურიგობა რამ არ დაეთესოს, მიჩნეულ იქმნეს, როგორც კაცთა ნათესავის მკვლელი; ხოლო ვინც კაცს სიცოცხლე დაუბრუნოს, მიჩნეულ იქმნეს ისე, თითქო მრთლად კაცთა ნათესავისათვის სიცოცხლე დაუბრუნებინოს.

36. ჩვენნი მოვლინებულნი გამოცხადდენ მათ შორის, ცხად-სასწაულებ-თანახლებულნი; მაგრამ სასწაულების გამოჩენის შემდეგაც კი კაცთა მეტ ნაწილს თავი ურიგოდ ეჭირა.

37. აი როგორი იქმნეს საზღაური მათი, რომელნიც ღმერთსა და მის მოვლინებულს ომს აუტეხენ და რომელნიც მართლად თავიანთ ძალღონეს ხმარობენ, რათა ქვეყანაზე უწესობა ჩაიდინონ: დახოცოთ, ან ჯვარცმის სასჯელი მიიყენოთ მათ; ხელები და ფეხები სხვა და სხვა მხრით დააჭრათ; თავიანთი ქვეყნითგან განდევნილ იქმნენ. უპატიურებამ დაჰბუროს იგინი ამ ქვეყნად და ფიცხი სასჯელიც მოვლისთ საიქიოს.

38. მათ გარდა, ვინც შეინანონ, ვიდრე თქვენს ხელში იქმნებოდენ, ვინადგან იცოდეთ, ღმერთი სულ გრძელ და შემბრალებელია.

39. მორწმუნენო! ღვთის გეშინოდესთ; ეცადეთ, მის წინაშე შეწყნარება დაიმსახუროთ; იბრძოლეთ მისის საწმუნობისათვის და ნეტარ იქმნეთ.

40. ოდესმე ურჯულოებს რო ჰქონოდათ ორჯერ იმდენი სიმდიდრე, რამდენსაც დედამიწა შეიცავს, და გამოეღოთ თავის გამოსახსნელად სასჯელისაგან აღდგომის დღესა, მათი ძღვენი შეწყნარებულ მაინც არ იქმნებოდა. მკაცრი სასჯელი მოვლისთ.

41. ცეცხლითგან გამოსვლა მოისურვონ, მაგრამ ვერასოდეს გამოვიდენ: სასჯელი, რომელიც მათთვის გამზადებულია, საუკუნოა.

42. ხოლო ქურდს კაცსა და ქალსა დააჭრათ ხელები, ვითომ და სამაგიეროდ მათ ხელთა ნამოქმედარისთვის; ვითომდა სასჯელად, რომელიც ღვთისაგან მოდის; ღმერთი დიახ ძლიერ და ბრძენია.

43. ვინც თავისი უსამართლობა შეინანოს და გასწორდეს, ღმერთმა მისი სინანული მიიღოს; ვინადგან სულგრძელ და შემბრალებელია.

44. არ იცი, ღმერთი მბრძანებელია ცათა და ქვეყნისა? ვისაც ინებებს დაჰსჯის და ვისაც ინებებს აპატიებს; ყოვლად ძლიერია.

45. წინასწარმეტყველო! ნუ შესწუხდები მათთვის, რომელნიც ერთმანერთის მოშურნეობით ურჯულოებას ეწაფებიან, ნურც მათთვის, რომელთაც ბაგენი იტყვიან: გვრწამსო, მაშინ, როდესაც მათ გულს არა ჰსწამს; ნურც ურტებისთვის, რომელნიც სხვების სიცრუესა და სიტყვებს სიხარბით ყურს ათხოვებენ და შენის ყურის დასაგდებად კი არასოდეს მოდიან. წერილის სიტყვებს გადიგადმოსმენ და შემდეგ იტყვიან, თუ გიბოძოთ, მიიღეთ, თუ არა და ერიდეთო. ვინ შეიძლოს, შეცდომისაგან დაფარვა მისი, რომლის დაბნევაც ღმერთმა მოიწადინოს? ვისი გულიც ღმერთმა წმინდა არა ჰყოს, სირცხვილმა მოიცვას იგინი ამ ქვეყნად, ხოლო საიქიოს საშინელის სასჯელით დაიტანჯონ.

46. სიცრუეს ხარბად ყურს ათხოვებენ, ხარბად შთანქმენ მას, რაც ნებადაურთველია. თუ შენს სამართალს მიჰმართონ, განუჩინე მათ, ან მოერიდე. თუ მოერიდო, ვერა გავნონ; ხოლო თუ გასამართლება თავს იღო, სიმართლით გაასამართლე, ვინადგან ღმერთს უყვარან იგინი, რომელნიც სიმართლით ასამართლებენ.

47. მაგრამ შუამავლად როგორ აგიყვანონ? თუმცა მოეპოებათ დაბადება, სადაც უფლის მცნებანი დაცულ არიან, გარნა მათ დაჰშორდენ და არცა ჰსწამსთ.

48. დაბადება გადმოვაკლინეთ; ქეშმარიტის გზის წარმართებასა და ნათელს შეიცავს. წინასწარმეტყველებს, ღვთის ნების მინდობილ ქეშმარიტ მორწმუნეებს, ურიები იმ წიგნით უნდა გაესამართლებინათ; მწიგნობრებსა და მღვდლებს უნდა გაესამართლებინათ ნაწილებისამებრ ღვთის წიგნისა, რომელიც იმათ ჰქონდათ შენახული. იგინი იყვნენ, როგორათაც სჯულის მოწმენი ურიების მიმართ. ურიებო! ხალხის ნუ გეშინიათ; ჩემი გეშინოდესთ, და ჩემს სასწაულებს ნუ გასცვლით შე-

ურაცხ ფასად. ვინც არ განჰსაჯონ თანახმად ქეშმარიტებისა, რომელიც ღმერთმა მალლით გადმოაველინა, ურჯულო არიან.

49. იმ ძეგლში ჩვენ დაუწერეთ ურიებსა: სული სული-სა წილ, თვალი თვალისა წილ, ცხვირი ცხვირისა წილ, ყური ყურისა წილ, კბილი კბილისა წილ. კრილობა დაისაჯოს მაგერობის სჯულითა. ვინც სასჯელის ფასი სამოწყალოდ გადააქციოს, კეთილი ჰქმნას; ცოდვების გამოსასყიდლად გამოადგეს. ვინც არ განსაჯოს წიგნებისამებრ, რომელიც მალლით გადმოგვივლენია, ურჯულოა.

50. სხვა წინასწარმეტყველთა კვალდაკვალ მოვაფლინეთ იესო, მარიამის ძე, დაბადების განსამტკიცებლად. მივმადლეთ მას სახარება, რომელიც წარმართებასა და სინათლეს შეიცავს; დაბადებას განამტკიცებს; სახარება აგრეთვე შეიცავს წარმართებასა და გაფრთხილებას მათთვის, რომელთაც ღვთის უშინაით.

51. სახარების ხალხმა სახარებისამებრ განჰსაჯოს. ვინც ღვთის წიგნისამებრ არ განჰსაჯოს, ურჯულოა.

52. შენ მოგბვლინეთ წიგნი, ქეშმარიტების შემცველი, რომელიც მის უწინარეს ყოფილ წერილს განამტკიცებს, და ყოვლისავე სიყალბისაგან იფარავს. ჰსაჯე მათ ყველას შორის ღვთის მცნებათაებრ და უფრთხილდი, მათ გულისთქმათა ამყოლი არ დაჰშორდე მას, რაც შენ გებოდა განსაკუთრებით. თვითოეულს თქვენგანს ბილიკი, გათელილი გზა დაუნიშნეთ ჩვენ.

53. ღმერთს რო ენებებინა, თქვენგან მხოლოდ ერთს ხალხს შექმნიდა; მაგრამ ინება, თქვენი ერთგულება გამოეცადა, დაიცავდით თუ არა მას, რაც გებოდათ. ერთმანერთის მოშურნეობით კეთილ საქმეებს დაეწაფეთ; ყველანი ღვთის მიმართ მიიქცეთ; თვითონ მან გამოგითეთროსთ თქვენის ცილობის საგანი.

54. განაჩინე მათ წინაშე მალლით მოვლინებულის მცნებისამებრ, მათ შეპირებას ნუ ისმენ და თავს გაუფრთხილდი,

შიშით, არ დაგაშორონ ზოგიერთ მცნებასა, რომელიც მალ-ლით გეზოდა. თუ განშორდებიან, იცოდე, ღმერთს ჰნებაეს მათი დასჯა ზოგიერთის ცოდვებისათვის; უეჭველია, არაწმინდების რიცხვი დიდია.

55. განა სირეგენის სამართალი ჰსურთ? ხოლო ღვთის უმჯობესი რომელი მსაჯული შეუძლიათ იპონ მათ, რომელთაც მტკიცედა ჰსწამსთ?

56. მორწმუნენო! ურიებსა და ქრისტიანებს მეგობრებად ნუ გაიხდით: მეგობარ არიან ერთმანერთისა. ვინც იგინი დაიმეგობროს, მათვე დაემსგავსოს და ღმერთიც უკულმართათა გამძლოლ აღარ იქმნეს.

57. ვისაც გული უძლურებითა აქვსთ გამსჭვალული, იხილო, შეცილებით მიზობდენ ურჯულოებთან, და ეუბნებოდენ: გვეშინია, ბედ-უკულმართობა არ გვეწიოსო. რა იციან? ეგების ღმერთი გამარჯვებით მობრძანდეს, ანუ რამ შემთხვევა აელვოს; მაშინ კი შესაძლებელია, იმ ხალხთა შეინანონ თავიანთი იღუმალი გულის ნადები.

58. მორწმუნებმა მაშინ ჰსთქვან: განა იგინი არიან, საჯარო ფიცით რა ფიცულობდენ, თქვენი მომხრე ვართო? მათი ღონისძიება ვერარას გახდეს, ხოლო იგინი წაწყმდენ.

59. თქვენ, რომელთაცა გრწამსთ! თუ თქვენ შორის ისეთნი მოიპოებიან, რომ თავიანთ სარწმუნოებას უარ-ჰყოფენ, ღმერთმაც, უეჭველად, აღადგინოს სხვა კაცი, რომელნიც შეიყვაროს და რომელთაც იგი შეიყვარონ. მორწმუნეთა მიმართ თავმდაბლად და ურჯულოებთან დიდგულად იომონ სარწმუნოებისათვის და მკიცხველის კიცხვასაც არ შეუშინდენ. ღმერთი წყალობას, ვისაც ინებებს, მიანიჭებს. განუზომელ და მეცნიერია.

60. თქვენდა მეგობარ არიან ღმერთი და მისი მოციქული, და იგინიც, რომელთაცა ჰსწამსთ, რომელნიც ლოცვას ნამდვილად აღასრულებენ, რომელნიც მოწყალებას გაიღებენ და ღვთის წინაშე მოიხრიან თავსა.

61. ვინც ღმერთს, მის მოციქულსა და მორწმუნეებს დაიმეგობრებენ, ღვთის დასს შეადგენენ. ყოვლად ძლიერ იქმნენ.

62. მორწმუნენო! დახმარებას ნუ ეძებთ ხალხთა შორის, რომელთაც წერილი მიუღიათ, ნურც ურჯულოთა შორის, რომელთაც თქვენი სათაყვანო სასაცილოდ გაუხდიათ. ღვთის გეშინოდესთ, თუ მორწმუნე ხართ.

63. ნუ ეძებთ მეტადრე მათ შორის, რომელნიც ისმენენ რა თქვენს ლოცვად ღაღადებასა, დასცინიან და გაჰკილვენ. გონება მიჰხდიათ.

64. უთხარი მათ, რომელთაც წერილი მიუღიათ: განა უარი უნდა გვაყოფინოთ მიტომ, რომ ღმერთი გვრწამს, რაც მალლით მოგვენიჭა და რაც უწინარეს მოვლინებულ იქმნა, და იმიტომაც, რომ მომეტებული ნაწილი თქვენ შორის არაწმიდაა?

65. კიდევ უთხარი მათ: ნუ თუ გამოგიცხადოთ მე რამე სამაგიერო, მაზე უფრო საშინელი, რასაც მათთვის ღმერთი იწახავს? ვინც ღმერთმა დასწყევლა, ვისაც იგი უწყრება, ვინც მაიმუნებად და ღორებად აქცია; ვინც თავუტებს აღმერთებენ, საზიზლარი ადგილი ექმნესთ მათ და გვარიან შორსაც იქმნენ სიმართლის გზისაგან.

66. როცა თქვენს წინაშე წარდგენ, ჰსთქვეს: გვრწამსო, ურჯულოებით შემოვიდენ და მითვე გავიდენ. მაგრამ ღმერთმა უწყის, რასაც მალავდენ.

67. მათ შორის ნახო დიდძალი რიცხვი გაჩქარებით მირობოდეს უსჯულოებისაკენ, უსამართლობისაკენ, მისკენ, რომ უხამსის საქმით თვალხარბად დასტკბენ. რა საძაგელია მათი მოქმედება!

68. მწიგნობრები და მღვდლები რომ არ უშლიდენ, მათ არა წმიდობას სიტყვა პასუხსა და უხამს საქმეში, რა და რა საშინელებას არ ჩაიდენდენ?

69. ურიები იტყვიან, ღმერთს ხელი შეკრული აქვსო. ხელიმც

მიჰკვრიათ კისერზე; წყეულ იყვნენ გმობის გულისთვის. აშოროსმცა, ღმერთს ორივე ხელი გაშლილი აქვს; თავის საჩუქრებს არიგებს, როგორც ჰნებაეს; იმ საჩუქარმა კი, რომელიც ღმერთმა მალლით შენთვის, გადმოავლინა, განაგრცოს მხოლოდ მეშფოთრობა და ურჯულოება მათ შორის დიდძალ რიცხვისა. მაგრამ მათ შორის ჩამოვადევით უმეგობრობა და მძულვარება, რომელთაც აღდგომის დღემდე უნდა გაატანონ. ყოველთვის როცა კი ომის ცეცხლი აღაგზნონ, ღმერთმა ჩააქროს ქვეყანას მიმოვლენ ასაკლებად და უწესოების ჩასადენად, მაგრამ ღმერთს არ უყვარან იგინი, რომელნიც უწესოებას ჰსჩადიან.

70. ეჰ! წერილის ხალხთა რო სარწმუნოება და უფლის შიში ჰქონოდათ, მათ ცოდვებს ავხოცდით, სალხინო წალკოტებში შევიყვანდით. მათ რო დაეცვათ დაბადება და სახარება და ის წიგნებიც, რომელიც უფალმა მათ მოუვლინა, დასტკებოდენ სიკეთითა, რომელიც მათ თავთაზემო და მათ ფერხთა ქვეშ იპოება. მათ შორის არიან ისეთნი, რომ სიმართლით იქცევიან; დიდძალი რიცხვი კი, ოჰ! რა საზიზღარია მათი მოქმედება!

71. წინასწარმეტყველო! საცნაურ ჰყავ ყველაფერი, რაც უფლისაგან მოგვევლინა, ვინადგან თუ არა. ჰყოფ, მისი მონღობილების აღმასრულებელ აღარ იქმნები. ღმერთმა დაგიფაროს კაცთა მძლავრობისაგან. ურჯულოთა გამძლოლ როდია.

72. წერილის ხალხთა უთხარი: მტკიცეს ვერაფერს დაგმყაროთ, ვიდრე არ დაიცვათ დიბადება და სახარება, და რაც ღმერთმა მალლით გადმოავლინა. წიგნმა, რომელიც ზეცით მიიღე, მუჰამმად! მხოლოდ განარვცოს მათ შორის დიდძალ რიცხვის მეშფოთრობა და ურჯულოება; მაგრამ თავს ნუ შეიწუხებ ურჯულოთა ბედისათვის.

73. ვისაცა ჰსწამთ, ურიებიც, საბეველებიც და ქრისტიანებიც, ერთის სიტყვით, ვინც იწამოს ღმერთი და უკანასკნელი დღე, და კეთილიცა ჰქმნას, შიშისაგან გაიცალოს და აღარც დაწუხებულ იქმნეს.

74. ისრაელის შვილთა კავშირი მივიღეთ და წინასწარმეტყველები მოუვლინეთ: ყოველთვის როცა წინასწარმეტყველები აუწყებდენ მათ ჭეშმარიტებას, რომელსაც მათი გული არ იკარებდა, ზოგს მატყუარობას აბრალებდენ, ზოგსაც ჰკლავდენ.

75. ამას არაფერი განსაცდელი მოჰყვებაო, იფიქრეს; დრახ, დაბრმავდენ და დაყრუვდენ. უფალმა აპატია; დიდძალი რიცხვი მათ შორის ხელახლა დაყრუვდა და დაბრმავდა. ხოლო ღმერთი კარგად ზედავს, რასაც შერებიან.

76. ურჯულოა, ვინც ამბობს, ღმერთია მესია, მარიამის ძეო. განა თვითონ მესიამ არა ჰსთქვა: ისრაელის შვილებო, თაყვანი ეცით ღმერთსა, რომელიც ჩემი უფალია და თქვენცაო? ვინც ღმერთს სხვა ღმერთებს დაუამხანაგებს, ღმერთმა მას აუკრძალოს წალკოტში შესვლა და სამყოფადაც ცეცხლი ექმნეს. უკუღმართები შველას ნულარ ელიან.

77. ურჯულოა, ვინც ამბობს: ღმერთი მესამეა სამებისაგანო, მაშინ როდესაც არა არს ღმერთი თვინიერ ერთადერთის ღვთისა. თუ არ დაიშალონ... უეჭველად ურჯულოებს სავალალო სასჯელი ეწიოსთ.

78. უფალთან ნუ თუ არ მოიქცენენ, ნუ თუ მიტევენ: არ შესთხოვონ? სულგრძელ და შემბრალებელია.

79. მესია, მარიამის ძე მხოლოდ მოციქულია; სხვა მოციქულები მისდა წინამორბედ იყვნენ. დედა მისი მართალი იყო. თავს ისაზრდობდენ შექამადით. ხედავთ, თუ ამ ღვთის მასწავლებს როგორ განუმარტებთ ჩვენ და იმასაც ხედავთ აგრეთვე, თუ პირს როგორ შეიქცევენ.

80. უთხარი მათ: განა უნდა თაყვანი ჰსცეთ ღვთის თანასწორად მას, რომელსაც თქვენი არც ვნება, არც რგება შეუძლია მაშინ, როცა ღმერთი ისმენს და უწყის ყველაფერი?

81. უთხარი წერილის ხალხთა; ზომას ნუ გადახვალთ: თქვენს სარწმუნოებაში ჭეშმარიტების წინააღმდეგ, და ნურც იმ კაცთა მიდრეკილებას აჰყვებით, თქვენს უწინარეს რომ ყო-

ფილან ცდომილებაში, შეცდომისაკენ რომ გაუტაცნიათ ხალხის უმეტესი ნიწილი და კარგი შუაგზა რომ დაუტევეთ ბიათ.

82. ვინც ისრაელის შვილთა შორის ურჯულო იყვნენ, დავითისა და იესოს, მარიამის ძის პირისაგან წყეულ იქმნენ მიტომ, რომ მეშფოთარ სჯულ-გადამავალ იყვნენ და არც ცდილობდნენ ენთმანერთისთვის შეეძლებინათ უკეთური საქმეები, რომელსაც ჰსჩადიოდნენ. რა საზიზღარია მათი მოქმედება?

83. მათ შორის დიდძალი რიცხვი ნახო, ამხანაგად ეკიდებოდნენ ურჯულოებსა. რა საზიზღარია მოქმედება, რომელიც გულის თქმამ ჩააგონათ, და რომელიც ღვთის გულის წყრომად უღირდათ, მაშინ როცა ჯოჯოხეთის სასჯელში საუკუნოდ უნდა დარჩნენ.

84. უკეთუ ერწმუნებინათ ღმერთი, მოციქული და კურანი; ურჯულოთა კავშირს არასოდეს გამოსძებნიდნენ; მაგრამ მომეტებული ნაწილი მათ შორის უკულმართია.

85. შეიტყო, ყველაზედ უფრო ძლიერი სიძულვილი მართლმორწმუნეთა მიმართ ურიებსა და კერპთაყვანის მცემლებს ჰქონდესთ და ყველაზედ უფრო უყვარდეთ მორწმუნენი იმ კაცთა, რომელნიც თავიანთ თავს ქრისტიანს უწოდებენ; მიტომ რომ მღვდლები და ბერები ჰყავსთ იმათ და მიტომაც რომ დიდიგული არა აქვთ.

86. როცა კურანის მუხლები ესმოდესთ, იხილო, ცრემლით ვალთაგან უხვად ჩამოჰსდიოდესთ, ვინადგან ჰეშმარიტება გულისხმა ჰყვეს. ღალად ჰყოფენ: უფალო! ჩვენა გვრწამს, ჩავგწერე მათ რიცხვში, კურანის ჰეშმარიტებას რომ ჰმოწმობენ.

87. რად არ უნდა ვიწამოთ ღმერთი და ჰეშმარიტება, რომელსაც იგი გამოგვიცხადებს? რად არ უნდა ვისურვოთ, ადგილი გვიბოძოს მართალთა შორის?

88. მათის სიტყვების სასყიდლად ღმერთმა მიანიჭა მათ წყალის ნაკადულით მორწყული წალკოტები, სადაც საუკუ-

ნოდ დაემკვიდრონ; ესაა ჯილდო მათთვის, რომელთაც კეთილი ჰქმნან. ხოლო ვისაც არა ჰსწამს, ვინც ჩვენს სასწაულებს სიცრუედ ჰსთვლის, ჯოჯობეთმა შეიწიროს.

89. მორწმუნენო! ნუ აკრძალავთ კეთილ რასმე ნივთსა, რომლის ხმარებისათვის ღმერთს თქვენთვის ნება დაურთავს და ნურც უმეტეს იმოქმედებთ, ვინადგან ღმერთს არ უყვარან იგინი, რომელნიც საზღვარს გადადიან.

90. თავი ისაზრდოეთ იმ საქმელებითა, რომელიც ღმერთმა მოგანიჭათ, სათანადო და კარგის საქმელებითა, და გუშინოდესთ თვითონ იმ ღვთისა, რომელიც თქვენის სარწმუნოების საგანია.

91. არ დაგსაჯოსთ მან, თუ სიტყვა შეშალეთ, მაგრამ კი დაგსაჯოსთ უხუმარის პირობისათვის, რომელიც გასტეხოთ; თავის განსაწმენდელად ამგვარის უპირობისათვის საქმელი იქმნეს ათის ლატაკისა, საქმელი ჩვეულებრივი და ისეთი, როგორიც თქვენს სახლობას მისცეთ ხოლმე, ანუ მათთვის ტანთსაცმელი, ან გათავისუფლება ერთის მონისა. ვინც ეს სასჯელი ვერ მოიხადოს, სამ ღღეს იმარხულოს. ასეთი გექმნესთ თავის განსაწმენდელი გატეხილის პირობისათვის, როცა ნაფიც იყვნეთ დაპირებულს აღასრულებდეთ. ღმერთი თავის სასწაულებს ცხად გიყოფსთ, რათა დამნახველ იყვნეთ.

92. მორწმუნენო! ღვინო, მორინი, ბუთები და ისრით მკითხაობა სატანას მოგონილი სისაძაგლეა; ერიდეთ მათ და ნეტარ იქმნეთ.

93. სატანას ჰსწადია, სიძულვილი და მტრობა თქვენ შორის ღვინითა და მღერით ჩამოაგდოს და ღვთისა და ლოცვის მოგონებას დაგაშოროსთ. მაშ არ ეკრძალებით? ღმერთს დაემორჩილეთ, წინასწარმეტყველს დაემორჩილეთ, და თავსაც გაუფრთხილდით; ვინადგან თუ გადაუხვიეთ, იცოდეთ, მოციქული მხოლოდ ქადაგებას არი დავალებული.

94. ვინც იწამოს და კეთილი ჰქმნას, დამნაშავედ არ ჩა-

ითვალოს მისთვის, რაც შეჰამოს, თუ ერწმუნებინოს და ღვთის შიშით განმსჯვალ-ულოყოს, თუ კეთილს ჰსჩადიოდეს და ღვთის ეშინოდეს, თუ ჰსწამდეს და კიდევ ეშინოდეს და კეთილსაც ჰსჩადიოდეს; დიახ, ღმერთს კეთილის მყოფელნი უყვარან.

95. თქვენ, რომელთაცა გრწამსთ! ღმერთმა თქვენი გამოცდა მოიწადინოს, როცა მოგიჩინოსთ, მექად მწირობის დროსა, რამე ნადირი, რომლის მოპოება თქვენთვის შეეძლო თქვენს ხელსა და თქვენს ისარსა. ამასა იქმს, რათა შეიტყოს, თუ ვინ არის გულით მოშიშ მის მიმართ. ამიერითგან, ვინც მის სჯულებს გადახდეს, სავალალო სასჯელში ჩავარდეს.

96. თქვენ, რომელთაცა გრწამსთ! ნადირობას ნუ ეწევით, როცა სამწირო წმინდა ტანისამოსით იყვნეთ. ვინც ნადირობის დროს ცხოველი განზრახ მოჰკლას, მოვალე იქმნეს, თანასწორ ღირებული შინაური ცხოველი გადიხადოს; ორმა პირწყლიანმა კაცმა გადასქრას და ჯილდოდ მოცემული ცხოველი სამლოდ ქაბას გაიგზავნოს, ან თავის განწმენდა მოხდეს ლატაკთა დაპურებით, ანუ მარხულობითა, რათა ცოდვილმა თავისი საქციელის ცუდი შედეგი განიცადოს. ღმერთი დაივიწყებს, რაც იყო; მაგრამ ვინც ხელმეორედ ჩავარდეს ცოდვაში, ღვთის შურისძიება ეწიოს მას და ღმერთიც ხომ ძლიერ და შურის მგებელია.

97. ნება გაქვსთ, ითევზაოთ თავის საზრდოდ და მგზავრთათვისაც; ხოლო ნადირობა აკრძალული გაქვსთ სრულ იმ დროს, ვიდრე სამწირო წმინდა ტანისამოსით იქმნებოდეთ; ღვთის გეშინოდესთ. ერთ დღეს შეკრებილ იქმნეთ მის გარემოს.

98. ღმერთმა ქაბა გადააქცია წმინდა სახლად, რომელიც კაცთათვის სადგურად დანიშნა; მან დააწესა წმინდა თვე (დულჰიჯა) და ცხვრის სამლო და სამკაულები, რომელიც ზვარაკებს ჰკიდიათ, რათა გცოდნოდათ, რომ მან იცის ყველაფერი, რაც ცათა შინა და ქვეყანაზე მოხდება, რომ ყოველი საქმე უწყის მან. იცოდეთ აგრეთვე, რომ ღმერთი საშინე-

ლია თავისის სასჯელითა, მაგრამ იმ დროსვე სულგრძელ და შემბრალებელიც არი.

99. წინასწარმეტყველი მხოლოდ ქადაგებას არი ვალდებული. ღმერთმა უწყის, რასაც აჩენთ და რასაც მალავთ.

100. უთხარი მათ: კეთილი და უკეთური ერთნაირად ვერ დაფასდება, თუმც უკეთურების ნამეტნაობა მოგწონსთ. გრძნობა მიმადლებულო კაცნო! ღვთის გეშინოდესთ და ნეტარ იქმნეთ.

101. თქვენ, რომელთაცა გრწამსთ! ნუ გვკითხავთ ისეთ რასმე, რამაც გავნოსთ, თუ გამოგეცხადათ, ხოლო თუ იკითხოთ, კურანი როდის იქმნეს მართლად გამოცხადებულიო, გამოგეცხადოსთ. ღმერთმა გამოძკითხაობა გაპატიოსთ მიტომ, რომ სულგრძელ და შემბრალებელია; თქვენამდე ყოფილ ხალხებს უსათუოდ უნდოდათ შეტყობა; ცოდნამ გააურჯულოვა იგინი.

102. ღმერთს არაფერი დაუწერია ბაჰირასი და საიბასი, ვაზილასი და ჰამისა; ამნაირ სიცრუეს ურჯულონი ჰსქედენ და ღვთისად კი მოაქვსთ: მაგრამ უფროს ერთი მათ შორის გულის ხმიერ როდია.

103. როცა უთხრეს მათ: მოდით, შეიწყნარეთ, რაც ღმერთმა მალლით მოაგლინა; მოდით მის მოციქულთანო, მიუგეს: გვეყოფა სარწმუნოება იგი, რომელიც ჩვენ უპოვეთ ჩვენს მამებსო. მერმე რაო? როცა მათ მამებსაც კი არა ჰსცოდნიათ რა ღვთისა, წინამძღოლიც არავითარი მიუღიათ.

104. მორწმუნენო! თქვენის თავისთვის თქვენვე უნდა იფიქროთ: სხვების ცთომილებამ ვერაოდეს გავნოსთ, თუ საღვთო წიგნი წინ მიგიძღოდესთ. რამღენიცა ხართ, ყველანი მიიქცეთ ღმერთთან, რომელიც თქვენს ნამოქმედარს მოგიყვებსთ.

105. მორწმუნენო! მოწმობა თქვენ შორის, როცა ვინმე თქვენგანი სიკვდილის პირად იქმნეს და ანდერძის გაკეთება მოიწადინოს, ასე იქმნეს; ორი მართალი პირი თქვენ შორის

ანუ სხვათაგან აიყვანოთ, თუ ქვეყანას რაედენადმე დაჰშორებოდეთ და სიკვდილის უბედურებაც გეწიოსთ; ორნივე დაამწყვდიოთ ლოცვის შემდეგ, და თუ კიდევ ეჭვი რამ გექმნესთ მათი, შემდეგი ფიცი დაადებინოთ: ჩვენი მოწმობა არავითარ ფასად მიყვილოთ ჩვენს მამებსაც კი და არც ჩვენი მოწმობა დავმალოთ, ვინადგან დამნაშავე შევიქმნებით.

106. თუ ვინიცობა იმ ორ მოწმეს სიცრუე დაბრალდესთ, ორი სხვა, მოანდერძის ნათესავი, და იმათგანი, ვინც ფიცის გატება შეამჩნიეს, აყვანილ უნდა იქმნეს ორის პირველის ნაცვლად. ღვთის წინაშე ფიცი ჰსთქვან ამ სიტყვებით: ჩვენი მოწმობა უფრო მართალია ორის სხვისაზედ, არაფერი უსამართლო აღვიაროთ, თორემ დამნაშავე შევიქმნებით.

107. ამგვარის განკარგულებით უფრო ადვილ იქმნესო მოხერხება, რათა კაცთა ჰსთქვან ქეშმარიტი მოწმობა; ვინადგან შეშინდენ, ვაი თუ ჩვენი მოწმობის შემდეგ სხვა იქმნეს ჩამორთმეულ. ღვთის გეშინოდესთ და მისი ისმინეთ; უწმინდურთ არ წარუმართებს.

108. იმ დღეს, როცა ღმერთმა თავისი მოვლინებული მოციქულები შეჰყაროს, ჰკითხოს მათ: რა გიპასუხეს თქვენაო? იმათა ჰსთქვან: ჩვენ ხელთ არაა მეცნიერება, მხოლოდ შენ უწყი საიდუმლონი.

109. მან უთხრას იესოს, მარიამის ძეს: მოიგონე კეთილ მოქმედება, რომელიც მოვიღე შენზე და დედაშენზე, როცა სიწმინდის სულით გაგამტკიცე, რათა კაცთათვის გელაპარაკნა აკვნის ყრმასა და დაკაცებულსა.

110. წიგნი, სიბრძნე, დაბადება და სახარება გასწავლე; თიხისაგან ჩიტის ნაკვთი დასახე ჩემის ნებითა; შობით ბრმა და კეთროვანი განჰკურნე ჩემის ნებითა; მკვდარნი სამარეთაგან გამოასხი ჩემის ნებითა. ურიათა ხელნი შენგან უკუვაქციე მე: სასწაულების დროს, მათ თვალთა წინაშე რომ ავლევ, ურწმუნონი მათ შორის იძახოდენ, ყველაფერი ეგ მარტო თვალმაქცობააო!

111. როცა ჩვენ უთხარით მოციქულებს: გრწამდესთ ჩემი თავი და ჩემი მოვლინებულიო, მათ მოგვიგეს: გვრწამხართ და მოწმეცა ხარ, რომ ღვთის ნების მინდობილ ვართო.

112. იესო, მარიამის ძე! ჰსთქვეს მოციქულებმა, შენს უფალს განა არ შეუძლია, ზეცით გადმოავლინოს სრულად გამზადებული სუფრაო? უფლის გეშინოდესთ, მიუგო მათ იესომ, თუ მართლ მორწმუნე ხართო.

113. ჩვენა გვსურს, ჰსთქვეს, მიუსხდეთ და ვშქამოთო; მაშინ გული შეგვიჯერდეს, გვეცოდინოს, რომ ჭეშმარიტება გვიქადაგე და მოწმობაც გავწიოთ თქვენ სასარგებლოდ.

114. იესომ, მარიამის ძემ ეს ვედრება აღავლინა: ღმერთო, უფალო ჩვენო, ზეცით სუფრა გადმოგვივლინე, რათა პირველისა და უკანასკნელისათვის ჩვენ შორის ნადიმად და შეზნის ძლიერების სასწაულად იქმნესო. დაგვაპურე, ვინადგან საუკეთესო დამპყრებელ ხარ.

115. უფალმა მაშინ ჰსთქვა: გადმოგვივლინოთ, ხოლო ვაი მას, რომელიც იმ სასწაულის შემდეგ, ურწმუნო იქმნესო! მისთვის განვამზადო უსაშინელესი სასჯელი, რომელიც კი ოდესმე გამზადებულ ყოფილა რამე ქმნილებისათვის.

116. ღმერთმა მაშინ იესოს უთხრა: გითქვამს განა ოდესმე ხალხისათვის: ღმერთებად მიგვიღეთ მე და დედაჩემი, თანასწორ ერთადერთის ღვთისაო? შენმა დიდებამან! არა. როგორ შემეძლო მეთქვა, რაც მართალი არაა? მე რო მეთქვა, შენ არ გეცოდინებოდა? შენ უწყი, რაცაა ჩემი სულის სიღრმეში, მე კი არ ვიცი, რაც შენის სულის სიღრმეშია, ვინადგან საიდუმლოებს მხოლოდ შენ ტყობილობ.

117. მე უთხარ მათ მარტო ის, რის თხრობაც მიბრძანე: თაყვანი ეცით ღმერთსა, უფალსა ჩემსა და თქვენსაო. ვიდრე ქვეყნად ვმკვიდრობდი, მათ წინააღმდეგ მოწმობა შემეძლო; ხოლო როცა შენდამი მიმიყვანე, თვალი გეჭირა მათზე, ვინადგან ყველაფრის მოწმე ხარ.

118. თუ იგინი დასაჯო, გემართლებოდეს, ვინადგან შენდა

შსახურ არიან; ხოლო თუ აპატიო, მათ ბატონობდე, ვინადგან ძლიერ და ბრძენი ხარ.

119. უფალმა ჰსთქვას მაშინ: ეს დღე ის დღეა, როცა მართალთა მოიგონ თავიანთი სიმართლისთვის; მდინარით მორწყული წალკოტები ექმნესთ საუკუნო სამყოფად, ღმერთი კმაყოფილ იქმნეს მათი და იგინიც კმაყოფილ იქმნენ ღვთისა. განუზომელი ნეტარებაა.

120. ღმერთია მეუფე ცათა და ქვეყნისა, ყველაფრის, რასაც კი იგინი შეიცვენ. მის ხელთ ყველაფერია.

თ ა ვ ი VI.

ს ა ქ ო ნ ე ლ ი.

ნაბოძებია მექას. — 165 მუხლი.

ს ა ხ ე ლ ი თ ა

ღ ვ თ ი ს ა

მოწყალისა და უმწყანარებელისა.

1. აქედით ღმერთსა, რომელმაც ცანი და ქვეყანა დაჰბადა, რომელმაც ბნელი და ნათელი დააწესა! თუმცა ურჯულონი თავიანთ უფალს თანასწორებს უჩენენ.

2. თიხისაგან გაგაჩინათ და თქვენს სიცოცხლეს საზღვარი დაუდო. წინასწარ დანიშნული საზღვარი მის ხელთ არი, თუმცა კიდევ იქვნეულობთ.

3. იგია ღმერთი ცათა შინა და ქვეყანაზე; უწყის, რასაც ჰმალავთ და რასაც ცხადსა ჰყოფთ; უწყის, რასაც მოიგებთ თქვენის საქმიითა.

4. სასწაული ღვთის სასწაულთა შორის არც ერთი გამოეცხადებათ ისეთი, რომ პირი არ შეაქციონ.

5. სიკრუდელ ჩაჰსთვალეს ქეშმარიტება, რომელიც მოველინათ; შალე მოუვიდესთ უწყება მისი, რაც დაცინვის საგნად აუღიათ.

6. ვერა ხედვენ, რამდენი თაობა ამოგვიწყვეტია მათ უწინარეს? ქვეყანაში დავამკვიდრეთ იგინი უფრო მტკიცედ, ვიდრე თქვენ: ზეცით უხვად ვაწვიმეთ; ფეხთა წყალი უღინეთ; მერმე კი ამოვსწყვეტეთ მათი ცოდვებისათვის და მათ ნაცვლად ახალი თაობა მოვიყვანეთ.

7. მართლად გრავნილზე დაწერილი წიგნიც რომ ზეცით გადმოგვევლინა, ურჯულონი თავიანთი ხელითაც რომ შეჰხებოდნენ, მაინც იტყოდნენ: წმინდა თვალთმაქცობა არისო.

8. იტყვიან, ზეცით ერთი ანგელოზი მაინც რად არ მოველინებაო? უკეთუ ანგელოზი მოგვევლინა, მათი საქმე უკვე გადაწყვეტილ იქმნებოდა; ერთი წუთიც აღარ დასცალდებოდათ.

9. უკეთუ ანგელოზი მოგვევლინა, კაცის სახით და მათის მსგავსი სამოსლით მოსილს მოვაგლინებდით.

10. შენს უწინარეს აგრეთვე მოციქულები ჰყავდაო აგდებული. იმ სასჯელში, რომელსაც დასცინოდნენ, დამცინავები გაეხვივნენ.

11. უთხარი მათ. ქვეყანა მოიარეთ და იხილეთ, თუ რა აღსასრული ჰქონდათ მათ, რომელნიც ჩვენს მოციქულებს მატყუარებად ჰსთვლიდნენ.

12. ჰსთქვი: ვის ეკუთვნის ყველაფერი, რაცაა ცათაშინა და ქვეყანაზე? ჰსთქვი: ღმერთსა. შებრალება თავს იღვა მან ისე, როგორც მოვალეობა; აღდგომის დღეს შეგკრიბოსთ უეჭველად. თავი წაიწყმიდოს, ვინც არ იწამოს.

13. მას ეკუთვნის ყველაფერი, რაც ღამესა და დღეში იმყოფება; მას ესმის და უწყის ყველაფერი.

14. ჰსთქვი: მფარველად განა უნდა ავიყვანო სხვა, ვიდრე ღმერთი, ცათა და ქვეყნის გამჩენი, მაშინ როცა იგია გამომზრდელ და არა გამოსაზრდელ, ჰსთქვი: ბრძანება მაქვს.

შილებული, პირველი ვიყო მათგანი, რომელნიც ღვთის ნებას მიენდობიან: თქვეც აგრეთვე კერპთაყვანის მცემელ აღარ იქმნეთ:

15. ჰსთქვი: ჩემის უფლის მიმართ ურჩობით ვშიშობ, თავს არ დავიტყუებო დიდის დღის სასჯელი.

16. თუ იმ დღეს ვინმე აიცილებს, მხოლოდ იმიტომ, რომ ღმერთმა თავისი მოწყალება უჩვენოს და ცხადი ბედნიერებაც იქმნეს.

17. თუ ღმერთმა რამე უკეთურება შეგამთხვია, მარტო მას შეეძლოს შენი დახსნა მისგან; თუ კეთილი მოგანიჭა, მიტომ რომ ყოველად ძლიერია.

18. ხელ შეუვალი ბატონია თვისთა მსახურთა; ბრძენ და ყველაფრის მცოდნეა.

19. ჰსთქვი: ვინ უფრო მოწმობს უაღრესობით? ჰსთქვი: ღმერთია მოწმე თქვენსა და ჩემ შორის. ეს კურანი გამომეცხადა, რათა გაგატოხილოთ თქვენ და იგინიც, რომელთაც შეეხება. განა უნდა იმოწმოთ, რომ სხვა ღმერთებიც არიან ერთად ღმერთთან? ჰსთქვი: არ ვიმოწმო. ჰსთქვი: დიახ იგია ერთად ერთი ღმერთი და ბრალი არა მიქვს მისი, რასაც უამხანაგებთ თქვენ.

20. ვისაც წერილი მივანიჭეთ, წინასწარმეუყველს იცნობენ, როგორც თავიანთ შვილებსა; თავი წაიწყმიდოს, ვინც არ იწამოს.

21. ვინ არი მის უკეთურესი, ვინც სიცრუეს იგონებს და ღმერთს კი აბრალებს, ვინც ჩვენს სასწაულებს სიცრუედა მსთვლის? ღმერთმა არ ულხინოს უკეთურებსა.

22. ერთს დღეს იგინი ყველა შევეკრიბოთ; მაშინ უთხრათ მათ, რომელნიც უამხანაგებენ: აბა სად არიან ის ამხანაგები, რომელსაც ღმერთს უამხანაგებთ და რომელიც თქვენ თვითონ მოგიგონიათ?

23. რაღა საბოდიშო უნდა გამონახონ, თუ არა ჰსთქვან: ღმერთსა, ჩვენს უფალს ვფიცავთ, რომ სრულიად არ დავგიამხანაგებია. (სხვა ღმერთები ღვთისათვის).

24. ნახე, თუ თავიანთ თავს როგორ ეცრუებიან. და თავიანთი გამოგონილი ღმერთები როგორ მიჰმალეს.

25. მათ შორის ისეთებია, რომ სასმენლად მოდიან; ხოლო არა ერთი ხუფი დავადევით მათ გულსა, რათა კურანივერ გაეგოთ, და სიმძიმე მათ ყურსა. ყოველგვარი სასწაულებიც რომ იხილონ, მაინც არ იწამონ; ურჯულონი იგი კიდევ მოვიდენ შენტან საჩივლელად და ჰსთქვან: ეგ კურანი მხოლოდ ძველის ზღაპრების კრებული არისო.

26. სხვებს აშორებენ წინასწარმეტყველსა და თვითონაც შორდებიან; მხოლოდ თავიანთ თავს იღუპვენ და არც უწყიან.

27. ერთი განახა იმ დროს, როცა ჯოჯოხეთის ცეცხლში ჩაცვივრულებმა დაიძახონ: ნეტა ღმერთი იპრიანებდეს და დედამიწაზე გადაგვსხამდენ! ჩვენის უფლის სასწაულებს სიცრუედ აღარ ჩავადგებდით: მორწმუნე ვიქმნებოდითო.

28. დიახ, რასაც ოდესმე ჰმალავდენ, გამოაშკარავდა. მაგრამ დედა-მიწაზე რომ გადაესხათ, მასვე დაუბრუნდებოდენ, რაც აკრძალული ჰქონდათ, ვინადგან მხოლოდ მატყუარ არიან.

29. იტყვიან: სხვა ცხოვრება არაა თვინიერ სააქაოსიო, და არც აღდგენილ ვიქმნეთ.

30. ერთი განახა იმ დღეს, როცა იგინი მიიყვანონ უფლის წინაშე. მათ უთხრას: განა მართალი არ იყო?—დიახ, ჩვენმან უფალმანო. მაშ იგემეთ, უთხრას უფალმა, სასჯელი-სასყიდლად თქვენის ურწმუნოებისთვისო.

31. ვინც სიცრუედ ჰსთვლიდენ ღვთის წინაშე გამოცხადებას, წაწყმდენ, როცა ჟამმა უეცრად შეიპყროს იგინი, მაშინ ჰსთქვან: ვაი ჩვენ, რადგანაც დავიფიწყეთ იგი ქვეყანაზე! ზურგით წაზიდონ თავიანთი სატვირთველი, ხოლო რა ცუდი ტვირთია!

32. ამ ქვეყნის ცხოვრება მარტო მღერა და დროს გატარებაა. მომავალი ცხოვრება უმჯობესია მათთვის, რომელთაც ეშინიათ: განა გულის ხმა ვერა ჰყოთ?

33. ჩვენ ვიცით, მუჰამმად! რომ მათი სიტყვები, გაწუხებს. მაგრამ შენ როდი გაბრალებენ სიცრუესა; ურჯულონი ღვთის სასწაულებს უარჰყოფენ.

34. შენს უწინარეს, მოციქულებიც აგრეთვე მატყუარებად ჩაადგეს; სიმტკიცით აიტანეს ცილისწამება და უსამართლობა იმ დრომდე, როცა ჩვენი განგება მწედ მოვევლინათ; ვინადგან ვის შეუძლია ღვთის სიტყვები გამოსცვალოს? ხოლო შენ უწყი ღვთის მოვლინებულთა ამბავი.

35. ქვემარტებისაგან ურჯულოთა დაშორება შენი შემაჭირვებელია; გარნა, შენ ხელთ რო ყოფილიყო, მოიწადინებდი მიწის ორმოს, ანუ ზეცად ასასვლელის კიბის გაკეთებას, რათა სასწაული რამ მოგებდინა მათთვის. ღმერთს რო ენებებინა, მათ ყველას თავს მოუყრიდა სწორის გზით წარსამართებლად. მაშ უმეცართაგანი ნუ იქმნები.

36. უეჭველია, იგია ყურადმღებელ მათდა, რომელნიც გამგონე არიან; მკვდრები ღმერთმა აღადგინოს, და მისდამი მიიქცნენ.

37. თუ მაინც სასწაული რამ არ გადმოვევლინა მას, არ ვირწმუნთო. ჯთხარი მათ: ღმერთი საკმაოდ ძლიერია, რათა სასწაული გადმოავლინოს, მაგრამ მომეტებულმა ნაწილმა არ იცის.

38. არაა ისეთი მხეცი ქვეყანაზე, არცა ჩიტი თავისის ფრთებით მფრინავი, რომ თქვენებრი საზოგადოება არ დასახონ. არაფერი უგულებელ გვიყვია წიგნში. ყველა ქმნილებანი შემოკრებულ იქმნენ ერთ ღვთის.

39. ვინც ჩვენს სასწაულებს სიცრუედ ჰსთვლიან, ყრუ და მუნჯ, ბნელეთში მოხეტიალე არიან. ღმერთი გზას დაუბნევს, ვისაც ინებებს და წარუძღვება, ვისაც ინებებს, სწორის ბილიკით.

40. ჰსთქვი: აი მადერ სასჯელი რო ყოფილიყო თქვენ წინაშე, უამი რო მოწეულიყო, ნუ თუ მოუწოდებდით სხვას, ღვთისა თვინიერ? ჰსთქვით, თუ გულწრფელ ხართ.

41. დიახ, მას მოუწოდებდით: მას რო ენებებინა, დაფიხსნიდათ იმ სასჯელისაგან, რომლისა გამო მას მოუწოდებდით, თქვენ დაივიწყებდით ღმერთებსა, რომელსაც უამხანაგებთ მას.

42. მოციქულები მოგვივლენია ხალხთათვის, რომელნიც შენს უწინარეს ყოფილან; მათთვის უბედურება და უკუღმართობა შეგვიმთხვევია, რათა თავმდაბალ გამხდარიყვნენ.

43. ჩვენი გულისწყრომა ეწიათ, მაგრამ თავმდაბალ არ გახდენ მაინც; მეტადრე გული გაუქვავდათ; სატანამ საქმეები გაუჩარხათ.

44. ხოლო რაკი დაივიწყეს გაფრთხილება, რომელიც ეძლეოდათ, ჩვენ გაუღეთ მათ ყოველის სიკეთის კარი იმ: უამამდე, სანამ უეცრად არ შევიპყართ გართულნი შვება-ლხენითა იმ სიკეთეთა გამო, რომელიც მიეღოთ, და აჰა სასოწარკვეთილ იმყოფებიან იგინი.

45. უკეთური ხალხი იგი ამოწყვეტილ იქმნა უკანასკნელამდე. დიდება ღმერთსა, სამყაროს მეუფესა!

46. უთხარი მათ: რა გგონიათ? ღმერთმა რო წაგართვასთ ყურთა სმენა და თვალის ჩინი, გულთა რო ბექედი დაგასვასთ, თუ არ ღმერთივე, სხვა რომელი ღვთაება დაგიბრუნებსთ? ნახე, თუ რამდენნაირად ვაძლევთ მოძღვრებას და იგინი კი შეაქცევენ მაინც პირსა.

47. უთხარი მათ: რას ფიქრობთ? სასჯელი რომ უეცრად გეწიოსთ, ან დღისით მოხდეს ისე, რომ სასწაული რამ მიუძღოდეს, სხვა რომელი ხალხი ამოწყდეს, თუ არ ბოროტი ხალხი?

48. ჩვენნი მოვლინებულნი მხოლოდ გასაფრთხილებლად და საუწყებლად მოდიან. ვისაცა ჰსწამს და კეთილს შვრება, ყოველის შიშისაგან დაცულ იქმნეს და არც დაწუხდეს.

49. ვინც ჩვენს სასწაულებს სიცრუედ ჰსთვლიან, სასჯელი ეწიოსთ, თავიანთი სჯულგადამავალობის სასყიდლად.

50. უთხარი მათ; არ გეუბნებით მე, რომ საუნჯე ღვთობა ჩემ ხელთ არის, რომ ფარული საქმეები უწყით მე; არ გე-

უბნებით მე, რომ ანგელოზი ვარ; ვიღვწი მხოლოდ, რათა შეუდგეთ მას, რაც გამომეცხადა. უთხარი მათ: ბრმა და ვინც იხედება განა ერთი და იგივეა? ნუ თუ ვერ ჩახვდეთ?

51. მოშიშნი გააფრთხილე, რომ ერთს დღეს უნდა შეკრებილ იქმნენ თავიანთი უფლის წინაშე; მათ არ ეყოლოსთ სხვა მფარველი, არც სხვა შუამავალი, თვინიერ ღვთისა; ეგების, მისი შეეშინდესთ.

52. ნუ გაჰყრი მათ, რომელნიც უფალს მოუწოდებენ საღამოსა და დილასა და მისი ხილვაც. ჰსწადიათ. არ შეგფერის, მათი განზრახვა განიკითხო, როგორც არ შეჰფერისთ მათ განკითხვა შენისა. იგინი რო გაჰყარო, ისე მოიქცევი, როგორც უკეთურნი.

53. ასე გამოვსცადეთ კაცნი ერთი მეორის მიერ, რათა ეთქვათ: ნუ თუ იგინი არიან, რომელნიც ღმერთმა აღავსო ჩვენ შორის თავისის კეთილ მოქმედებითა? ნუ თუ ღმერთი ვერ იცნობს მათ, რომელნიც დამნახველ არიან.

54. ვინც ჩვენი სასწაულები იწამონ და მერმე შენთან მოვიდენ, უთხარ-მათ: მშვიდობა იყოს თქვენთანა! ღმერთმა თავს იღვა შემბრალება ისე, როგორც მოვალეობა. თუ ვინმე თქვენ შორის უმეტრებით ჩაიდინოს ცუდი საქმე და შემდეგ შეინანოს, უეჭველად ღმერთი მოწყალე და შემბრალებელია.

55. ჩვენს სწავლას ასე ავხსნით, რათა კვალი დამნაშავეთა უწყებულ იქმნეს.

56. უთხარი მათ: აკრძალული მაქვს თაყვანისცემა მათდამი, რომელთაც თაყვანს სცემთ ღვთისა თანასწორ. ჰსთქვი: თქვენს წადილს რომ ავყოლოდი, ჭეშმარიტს გზას აუხვევდი და ველარც წარვემართებოდი.

57. ჰსთქვი: თუ ჩემის უფლის ცხად მოძღვრებას ვემბრობი, სიცრუედ მიგაჩნიათ. რის დაჩქარებაცა გნებავსთ, ჩემ ხელთ როდია; ხელმწიფება მხოლოდ ღმერთს ეკუთვნის. იგია ჭეშმარიტების გამაცნობელი; იგია ყველაზედ უფრო მარჯვე ცილობის გადაჭრაში.

58. უთხარი მათ: ჩემ ხელთ რომ ყოფილიყო დაჩქარება მის, რის დაჩქარებაც თქვენ გწადიათ, ჯგულისხმოებას ჩემსა და თქვენ შორის ბოლო მალე მოედებოდა. ღმერთი იცნობს უკეთურთა.

59. მასა აქვს ფარულ საქმეთა კლიტეები, მარტოკა მან უწყის. მან იცის, რაცაა ქვეყანაზე და ზღვათა სიღრმეში. ერთი ფოთოლიც არ ჩამოვარდება მის უცოდნელად. ერთი მარცვალისც არ არის დედამიწის ბნელეთში, ერთი ღერიც ნედლი, თუ ხმელი, ისეთი, რომ ჩაწერილ არ იყვეს ცხადს წიგნში.

60. ღამის განმავლობაში ძილით დაგატკობსთ და უწყის ისიც, რაც დღისით გაგიკეთებიათ; ერთ დღეს აღგადგინოსთ, რათა წინასწარ დადებული ბორჯი შესრულდეს; შემდეგ მასთან მიიქცეთ და მაშინ ჩამოგიტვალოსთ, რაც გიმოქმედიათ.

61. იგია ხელ შეუვალი მეუფე თვისთა მსახურთა; იგი გიგზავნისთ დარაჯთა, რომელნიც თქვენდა მეთვალყურედ არიან; ვიდრე სიკვდილი შეგემთხვეოდესთ; მაშინ ჩვენ მიერ წარმოგზავნილნი მიიღებენ მომაკვდავის კაცის სულსა სავსებით.

62. მასუკან თქვენს ნამდვილ მეუფეს ჩაჰბარდებით. განა მას არ ეკუთვნის გასამართლება, მას, რომელიც ყოვლად მოსწრაფეა სათვალავის ჩაგდებაში.

63. უთხარი მათ: ვინ დაგისხნისთ დედამიწისა და ზღვის ბნელეთისაგან, როცა თავმდაბლად და საღუმლოდ მის მამართლად ჰყოფთ, იტყვით რა: უკეთუ დაგვისხნი ამ უბედურებისაგან, შენდა მადლიერ ვიქნეთ?

64. ჰსთქვი: ღმერთია თქვენდა მხსნელ იმ უბედურებისა და ყოვლისავე იწროებისაგანაც, მაგრამ სხვა ღმერთებს უამხანაგებთ მაინც.

65. უთხარი მათ: მას შეუძლია სასჯელი მოაწიოს თქვენს თავსა, ანუ თქვენ ფერხთა ქვეშ მოაქციოს, თქვენ შორის უთანხმოება ჩამოაგდოს. და განაცდევინოს ზოგიერთებს სხვეების მძლავრობა. აი თუ როგორ შეგვიძლია, ვაბრუნოთ მო-

ძღვრება, ვაბრუნოთ, მოვაბრუნოთ, მოვიმარჯოთ, და ასლად გამოვიყენოთ, რათა ბოლოს მინც არი გულისხმა ჰყონ.

66. შენი ერი კურანს სიცრუესა ჰსწამებს. უთხარი მათ: თქვენი საქმეები თავს არ მიღვია, თვითეულსავე წინასწარმეტყველს თავისი ადგილი აქვს, და თქვენც უეჭველად გეცოდინოსთ.

67. როცა ხედავდე, ურჯულოები ჩვენ სასწაულთათვის ლაპარაკობდენ, მოშორდი მათ, ვიდრე სხვა რამ ლაპარაკს დაიწყებდენ. სატანას შეუძლია დაგავიწყებინოს ეს მცნება. მოგაგონდეს თუ არა, ბოროტებთან აღარ დარჩე.

68. ანგარიში არ მოჰსთხოონ მათ, რომელთაც ღვთისა ეშინიათ; მაგრამ მოვალე არიან, ახსოვდესთ, რათა ღვთის შიში იქონიონ.

69. მოშორდი მათ, რომელთაც თავიანთი სარწმუნოება მღერად და დროს გატარებად უჩანსთ. ამა სოფლის ცხოვრებას დაუბრმავებია იგინი. აუწყე მათ, რომ ყოველივე სულითავისმა მოქმედებამ წაწყმიდოს. არავინ ეყოლოს სხვა მფარველი, არცა შუამავალი, ღვთისა თვინიერ. კიდევ რო სხვადა სხვა ნაირი სასყიდელი წარმოადგინოს, შეუწყნარებელიც დარჩეს. ვინც საუკუნო დასალუპავში ჩაცვივდენ თავიანთი ნამოქმედარის ჯილდოდ, სასმელად მდულარე წყალი ექმნესთ და ფიცხი სატანჯველიც დაადგესთ მათის ურჯულოების საფასედ.

70. ჰსთქვი: განა უნდა მოუწოდოთ ღვთისა თანასწორ მათ, რომელნიც ვერაფერს გვარგებენ, ვერცა გვავენებენ? განა ჩვენს კვალს უნდა დაუბრუნდეთ, რაკი ღმერთმა სწორე გზაზე დაგვადგინა, მსგავსნი მისი, რომელსაც, მანე სტლები გზას აკარგვინებენ უდაბნოში, როცა ამხანაგები იწვევენ მას სწორე გზაზე და უძახიან: მოდი ჩვენთანაო? ჰსთქვი; ღვთის მიერ წარმართება, აი წარმართება! ბრძანება მივიღეთ, სამყაროს მეთუფის, ღვთის ნებას მივენდოთ.

71. ნამდვილად აღასრულეთ ლოცვა და ღვთისაღგეშინოდესთ; მის წინაშე შეკრებილ იქმნეთ.

72. ცანი და ქვეყანა გააჩინა ჭეშმარიტის გაჩენითა, იმ დღეს, როდესაც ჰსთქვა: იყავო და იქმნა.

73. მისი სიტყვა ჭეშმარიტებაა. მხოლოდ მას ეკუთვნოს ხელმწიფება იმ დღეს, როცა ბუკსა ჰსცენ. იგი ჰსცნობს მას, რაც უხილავია და მასაც, რაც ხილულია, მეცნიერ, მცოდნეა.

74. აბრაამმა თავისს მამას აზარს უთხრა: კერპები ღმერთებად უნდა აღიარო? შენ და შენი ერი ცხადს შეცდომილებაში ხართ.

75. აი როგორ ვახილვებინეთ აბრაამს სასუფეველი ცათა და ქვეყნისა, რათა მას ჰსცოდნოდა ჭეშმარიტის ცოდნითა.

76. როცა ღამემ გარემოიცვა იგი თავისის ბნელითა, ვარსკვლავი დაინახა და ღალად ჰყო: ევერ ჩემი მეუფეო! ვარსკვლავი გაჰქრა. მაშინ ჰსთქვა არ მიყვარს, როცა ჰქრებაო.

77. აღმომავალი მთვარე დაინახა და ჰსთქვა: ევერ ჩემი მეუფეო! დარაკი ჩავიდა, ღალად ჰყო: ჩემის ჭეშმარიტის უფლისაგან რომ წარმართებულ არ ვყოფილიყავ, გზას ავცდებოდითო.

78. აღმომავალი მზე დაინახა და ჰსთქვა: ეს ჩემი მეუფეა, ეს უფრო დიდებულიაო! მაგრამ რაკი მზე ჩავიდა, ღალად ჰყო: ჩემო ერო! ჩემი ბრალი არაა კერპთაყვანისცემა, რომელსაც აღიარებ.

79. პირს მივიქცევ მისკენ, რომელმაც ცანი და ქვეყანა დასახა; ჭეშმარიტად მორწმუნე ვარ და სრულიადაც არამათვანი, რომელნიც დაუამხანაგებენ.

80. ერი შეეცილა. უთხრა მათ: ღვთის თაობაზე მეკამათებით? მისიერ წარმართებულ ვარ სწორის გზით და სრულიადაც არ მეშინია მათი, რომელთაც მას უამხანაგებთ, თუ ღმერთმა არ ინება, ვინადგან ყველაფერს თავისის მეცნიერებით გარემოიცავს? ნუ თუ ვერ ჩახვდეთ?

81. როგორ უნდა შეუშინდე მე მათ, რომელთაც მას უამხანაგებთ, როცა არ გეშინიად თქვენ, ღმერთები დაუამხა-

ნაგოთ მას, ხოლო მას, ღმერთს ნება კო არ დაურთავს თქვენთვის? ორ დასსში რომელი უფრო მართალია? ჰსთქვით, თუ იცით.

82. ვისაცა ჰსწამს და ვინც თავისს სარწმუნოებას უსამართლობის სამოსელს არ აცმევს, უშიშროებით დასტკბეს, სწორე გზაზედაც ღვას.

83. ასეთია ღვთის ერთობის საბუთები, რომელიც აბრაამს მივაწოდეთ, მისი ერის წინააღმდეგ. ავამაღლებთ მას, ვინცა გვესათნოება. შენი უფალი ბრძენ და მეცნიერია.

84. ისააკ და იაკობ შევესძინეთ და ორნივე წარვმართეთ. უწინ ნოე წარვმართეთ, აბრაამის შთამომავალთა შორის აგრეთვე წარვმართეთ დავით და სოლომონ, იობ და იოსებ, მოსე და აარონ. ასე მივაგებთ მათ, ვინც კეთილს ჰსჩადიან.

85. ზაქარია და იაჰია, იესო და ელია, ყველა მართალ იყვნენ.

86. ისმაელ, ელისე, იონა და ლოთ ყველა კაცთა უმაღლეს ავსწიეთ.

87. მათ მამებსა და მათ შვილებს შორის, მათ ძმებს შორისაც კი დიდძალი რიცხვი ავირჩიეთ და სწორის გზით წარვმართეთ.

88. ასეთია ღვთის მიერ წარმართება. იგი წარუმართებს, ვისაც ინებებს თავის მსახურთა შორის. თუ ხალხი სხვა ღმერთებს და უამხანაგებს, უეჭველია, ნამოქმედარი ნამდვილად დაეღუპოს.

89. ეს ის ხალხია, რომელსაც მივანიჭეთ წერილი და სიბრძნე, და წინასწარმეტყველება. თუ მათი შთამამავლობა არ ერწმუნება, მივანდობთ მათ, რომელნიც ერწმუნონ.

90. თვითონ ღმერთმა წარმართა იგინი სწორის გზით. მაშ მათ წარმართებას შეუდევქ. უთხარი მათ: გასამრჯელოს სრულიად არა გთხოვთ კურანისათვის; იგია მხოლოდ დარიგება მსოფლიოსათვის.

91. ღმერთს ვერ აფასებენ, როგორც ღირსია, როცა ამ-

ზობენ: მის დღეში არაფერი გამოუცხადებია ადამიანისათვისო. უთხარი მათ: მაშ ვინ გამოაცხადა წიგნი, რომელიც მოსემ ხალხის გასანათლებლად და სამოძღვრებლად ჩამოიტანა; წიგნი (დაბადება), რომელსაც ფურცლებზე ჰსწერთ, წიგნი, რომელიც საჩვენებლად გაქვსთ და რომლისაც დიდძალ ნაწილს კი მასთანვე ჰფარავთ; თქვენ ისწავლეთ, რაც არ იცოდით, მეტადრე თქვენმა მამებმა. უთხარი მათ: ღმერთმან თქო და შემდეგ თავი ანებე, თავიანთი ცუდუბრალთა ლაპარაკით გაერთონ.

92. წიგნი ეგე მალლით მოვავლინეთ, წიგნი კურთხეული და წინანდელის წერილის განმამტკიცებელი, რათა შენ აუწყო ქალაქთა დედას (მექას) და მათ, რომელნიც მის მიდამოში მკვიდრობენ; ვისაც მომავალი ცხოვრება ჰსწამს, მაგ წიგნსა ერწმუნოს და ლოცვის ბეჯითი დამცველიც იქმნეს.

93. ვინ არი უბოროტესი მის, რომელიც ღვთის თაობაზე სიტყუეს იგონებს და ამბობს: გამოცხადება მივიღეო, მაშინ როცა არაფერი გამოცხადებია მას; ვინც ამბობს: წიგნი გადმოვავლინო, მისი მსგავსი, რომელიც ღმერთმა გადმოავლინაო? ნეტავ ერთი განახა სულთმობრძავი ბოროტები, ოდეს ანგელოზებმა რა გაიწვადონ მათზე ხელი, წარმოსთქვან ეს სიტყვები: თქვენს გვამს გაეცალენით; დღეს უნდა გეწიოსთ საზარელი სასჯელი სასყიდლად თქვენის ცრუ სიტყვებისათვის ღვთის თაობაზე და თქვენის ზიზღისათვის მის სასწაულთა მიმართო.

94. ჩვენდამი მოიქცევით ყველაფრისაგან გაცლილი, ისე როგორც პირველად გაგვიჩენიხართ; დაჰსტოვებთ ქონებას, რომელიც თქვენთვის მოგვინიჭებია, და ჩვენც ველარ ვიხილავთ თქვენთან ერთად თქვენს შუამავლებსა, რომელნიც ღვთის ამხანაგებად მიგაჩნდათ. კავშირი, რომელიც გაერთებდათ, გამწყდარია და ღვთის თანასწორი რო გეგონათ, გამქრალან.

95. ღმერთი ნაყოფს კურკისაგან განაცალკევებს; სიცო-

ცხლეს გამოხდის მისგან, რაც მკვდარია და სიკვდილს მისგან, რაც ცოცხალია ღმერთი ასეთია: მაშ რაღად ერიდებით?

96. ცისკარს ამკროლოვარებს; ღამე მოსასვენებლად დააწვსა, და მზე და მთვარე დროების აღსარიცხველად. ასეთია გარდაწყვეტილება ბრძნისა, მეცნიერისა.

97. ვარსკვლავები (ზეცას) დასხა თქვენთვის, რათა ბნელაში ხმელეთსა და ზღვაზე წარმართებულ ყოფილიყავით. ყოველგან სასწაულები ვაბრწყინვალეთ მათთვის, რომელნიც გულისხმას ჰყოფენ.

98. მხოლოდ ერთის გვამისაგან დაგბადათ; სათესური გქონდათ თქვენის მამების წინთა და საბუდარი თქვენის დედების მუცელსა. სასწაულები ვაბრწყინვალეთ მათთვის, რომელნიც გულისხმას ჰყოფენ.

99. ზეცით წყალს გადმოავლენს. მით აღვარძინებთ ყოვლისავე მცენარის თესლსა; მით ამოვიყვანთ მწვანეს, რომელიც გამოიღებს რიგრიგად დალაგებულ მარცვლებსა, და ინდისხურმის ხეებსა, რომელთაც რტონი დიდრონ ფუნჯებს მოისხმენ, და ვაზებით მოფენილ წალკოტებსა, და ზეთის ხილებს და ბროწეულებსა, რომელნიც ერთმანერთს ემსგავსებიან და ერთმანერთში გაირჩევიან. თვალი გადაავლეთ მათ ნაყოფთა, მათი მსხმოიარობა და მათი სიმწიფე იხილეთ. უეჭველია, ამ ყველაფერზე სასწაულებია მათთვის, რომელნიც გულისხმას ჰყოფენ.

100. ღმერთს ჯინები დაუამხანაგეს, მაშინ, როდესაც მისი გაჩენილებია; უმეცრებით მოუგონებენ ძეთა და ასულთა. დიდება მას! უუმალღესია მის, რასაც აჩემებენ.

101. ცათა და ქვეყნის გამჩენს შვილები როგორ ეყოლებოდა, მას, რომელსაც ამხანაგი არ ეპოება, რომელმაც ყველაფერი გააჩინა და რომელმაც ყველაფერი უწყის?

102. იგია ღმერთი, თქვენი უფალი; არა არს სხვა ღმერთი თვინიერ მისა. ყველაფრის დამბადებელს თაყვანი ეციოთ; ყველაფერს ჰმეთვალყურეობს იგი.

103. კაცთა თვალები ვერ ეწევა მას; ყველას თვალს ეწევა იგი. გამჭირახ, მკოდინარეა.

104. სიცხადე მოგვევლინათ თქვენის უფლისაგან; ვინცა ხედავს, ხედავს თავის სასარგებლოდ; ვინც ბრმაა, ბრმა თავის საწინააღმდეგოდ; თქვენდა დარაჯ როდი ვარ მე.

105. ამ გვარად ვხმარობთ ჩვენს სასწაულებსა (მუხლებს), რათა გითხრან, დარიგება გაქვსო და რათა ჩვენც დავარიგოთ იგინი, რომელნიც გულის ხმას ჰყოფენ.

106. შეუდექ მას, რაც შენის უფლისაგან გამოგეცხადა. სხვა ღმერთი როდია თვინიერ მისა, და განშორდი მათ, რომელნიც მას უამბანაგებენ (სხვა ღმერთებსა).

107. ღმერთს რო ენებებინა, ვერ დაუამბანაგებდენ. თქვენთვის არ დაგვივალეზია მათი დარაჯობა, არცა მზრუნველობა მათის სარგებლობისათვის.

108. ნუ აგინებ ღმერთებს, რომელთაც მოუწოდებენ ღვთისა თანასწორ; მათ შეუძლიათ სამაგიეროდ სირეგვნით გინება ღვთისა. ამ გვარად ჩვენ დაუნიშნეთ თვითოეულს ხალხსა თავისი მოსაქმედებელი. უგვიანეს იგინი მიიქცნენ უფლისა მიმართ, რომელმაც ჩამოუთვალოსთ მათ ნამოქმედარი.

109. ღმერთს შეჰფიცეს ყოვლად საჯარო ფიცითა, იწამონ, თუ რამე სასწაული აჩვენა. ჰსთქვი: სასწაულები ღვთის ხელთ არი, ხოლო ვინდა შეიძლოს თქვენი დაჯერება, რომ სასწაული არ იწამონ, როცა მოხდეს?

110. მათ გულსა და მათ თვალსა ჰეშმარიტება შევაძლოთ, მიტომ რომ პირველად არ იწამეს, და თავიც დავანებოთ, რათა ჰსცანცალებდენ შეცდომილებით გაწბილებულნი.

111. კიდევ რო ანგელოზები გადმოვავლინოთ, კიდევ რო მკვდრები ეზრახონ მათ, კიდევ რო მათ თვალთა წინაშე შევკრიბოთ სუყველაფერი, რაც კი არსებობს, ღვთის უნებურად მაინც ვერ იწამონ; ხოლო მომეტებული ნაწილი მათ შორის ამ ჰეშმარიტებას უგულებელ ჰყოფს.

112. ამიტომაც ჩვენ აღუჩინეთ მტერი თვითოეულსავე წი-

ნასწარმეტყველსა, მაცდურნი ჯინთა შორისდა კაცთა შორის, ერთმანერთის შემაგულიანებელნი მოჩვენებულის მქვერ მეტყველებითა. ღმერთს რო ენებებინა, ვერ იქმოდენ. მოჰშორდი მათ და მასაც, რასაც იგინი იგონებენ.

113. მიუშვი გული მათი, რომელთაც მომავალი ცხოვრება არა ჰსწამსთ, შედგეს იმ გრძნობაზე და თავი მოიწონოს; მიუშვი, მოიგონ ის, რასაც მოიგებენ.

114. ნუ თუ მოვსძებნო სხვა მსაჯული, თვინიერ ღვთისა, იმ ღვთისა, რომელმაც გადმოავლინა თქვენთვის კურანთ ნაწილ-ნაწილ? ვისაც წერილი მივმადლეთ, კარგად უწყიან, რომ ჭეშმარიტად მოვლინებულ იქმნა იგი ღვთისაგან. ნუ იქმნები მათგანი, რომელნიც იქვენეულობენ.

115. შენის უფლის სიტყვები თავი-და-თავი ჭეშმარიტება და მართლ-მსაჯულებაა. არავის შეუძლია მისი სიტყვების გამოცვლა. მას ესმის და მოეხსენება ყველაფერი.

116. უკეთუ დაემორჩილო მათ დიდძალ ნაწილსა, ამ ქვეყნად რო მკვიდრობენ, ღვთის ბილიკს დაგაშორონ; მხოლოდ ლაყბობას აპყალოიან და მხოლოდ ცრუნი არიან.

117. ღმერთი, შენი უფალი, ყველაზე უკეთ იცნობს მას, რომელიც გზას ასცდენია; ყველაზე უკეთ იცნობს მათ, რომელნიც სწორე გზაზედ არიან.

118. შკამეთ ყოველივე საქმელი, რაზედაც ღვთის სახელი მოხსენებულ იქმნა, თუ მისი სასწაულები გრწამსთ.

119. ხოლო რად არ უნდა შკამოთ საქმელი, რაზედაც ღვთის სახელი მოხსენებულ იქმნა, როცა ღმერთმა ჩამოგიტვალათ საქმელები, რაც კი აგიკრძალათ, იმ შემთხვევათა გარდა, როცა ამის ქმნას იძულებულ ხართ? კაცთა დიდძალი ნაწილი სხვებს ასცდენს გულის თქმითა და მითაც, რომ ცოდნა არა აქვს საფუძვლად მისა, რასაც ჰსჩადის; ხოლო ღმერთი იცნობს სჯულ-გადამავალთა.

120. დაჰსტოვეთ გარეგნობა და შინაგნობა ცოდვისა, ვინადგან ვინც ცოდვას შერება, საქმეთაებრ მიეგოს.

121. ნუ შკამთ ისეთ რასმე, რაზედაც ღვთის სახელი არ მოხსენებულ იყოს: ცოდვია. შემაცდენელი თავიანთ მომხრეებს ასტეხენ თქვენთან საბაასოდ ამის თაობაზე. უკეთუ გაუგონოთ, კერპთაყვანის მცემელი გახდეთ.

122. ვინც მკვდარი იყო და ვისაც სიცოცხლე მივმადლეთ, ვისაც სინათლე მივანიჭეთ კაცთა შორის სასიარულოდ, განა მიემსგავსება მას, რომელიც ბნელაში დაიარება და რომელიც იქითგან ვეღარ გამოვიდეს. მიტომაც ურჯულოთა მოქმედება წინასწარ გამზადებულ იქმნა.

123. მიტომაც ყოველ ქალაქში, დიდ-კაცობა სჯულ-გადამავალ ვყავით, რათა მახეს აგებდენ; მაგრამ მახე მხოლოდ თავიანთ თავს დაუგონ.

124. როცა სასწაული გამოეცხადებათ, იტყვიან; არ ვიწამოთ, ვიდრე არ ვიხილოთ. სასწაული, მათი მსგავსი, ღვთის მიერ მოვლინებულებს რო მიჰნიჭებიათო. — ღმერთმა უკეთ იცის, თუ სად უნდა დაჰსდოს თავისი სასჯელი. სირცხვილი ღვთის წინაშე და საშინელი სასჯელი ეწიოს სჯულ-გადამავალთა თავიანთი გაქნილობის ჯილდოდ.

125. ღმერთმა ისლამისათვის გულს ახადოს მას, რომლის დარიგებაც ინებოს; დახშოს, გახადოს ვიწრო და თითქო ჰაერში აწევად მოსწრაფე მისი გული, ვისი დაბნევაც ინებოს. ასეთი სასჯელი ღმერთმა შეახვედროს მათ, რომელთაც არა ჰსწამსო.

126. ეს არის ღვთის გზა და სწორეც არის. დაწვრილებით აგვიხსნია დარიგება მათთვის, რომელნიც გულის ხმას ჰყოფენ.

127. მშვიდობის სამყოფელი შენახულია მათთვის ღვთის წინაშე; მფარველ ექმნეს მათ სასყიდლად თავიანთი ნამოქმედარისა.

128. იმ დღეს, როცა ყველა შეჰკრიბოს, ჯინებს უთხრას: კრებულო ჯინთაო! ხალხი ერთობ გაგირყვნიათ, — უფალო, უთხრან კაცთა შორის მათმა მომხრეებმა, ერთმანერთს

სამაგიერო სამსახურს უწევდით ჩვენ. აი მივსულვართ იმ სამზღ-
ვრამდე, რომელიც დაგვინიშნეო. ცეცხლი გექმნესთ სამყოფა-
დო, ღმერთმა მიუგოს; სამუდამოდ დარჩეთ იქა, თუ ღმერთმა
სხვა ნაირად არ ინება; ვინაღდან ბრძენ და მეცნიერია.

129. მიტომატ უკეთურთა შორის ერთნი დავადგინეთ
თავ კაცებად მეორეთათვის სასყიდლად თავიანთი ნამოქმედა-
რისა.

130. კრებულო კაცთა და ჯანთაო! არა გყავდათ განა
თქვენ შორის ამორჩეული მოციქულები, რომელნიც ჩვენს
შოდღვრებას ჩაგძახოდენ, რომელნიც იმ დღის გამოცხადებისა-
გან გაფრთხილებდენ? ჩვენის თავის საუბედუროდ ვიციითო,
მიუგონ. ამა ქვეყნის ცხოვრებამ იგინი დააბრმავა და თავის
წარსაწყმენდელად ჰსცნონ, რომ ურჯულო ყოფილან.

131. ისედაც იყო, რადგანაც ღმერთი ქალაქების დამაქ-
ცველ როდია, ბოროტებით ანადგურებდეს, ისინი კი არ
მოელოდენ.

132. ყოველმა სულმა თავისის ნამოქმედარის შესაფერი
ხარისხი დაიჭიროს. შენი უფალი როდი უგულვებელსა ჰყოფს
შას, რასაც ჰსჩადიან.

133. შენი უფალი მდიდარ, მოწყალებით აღსავსეა;
უკეთუ ენებებინა, გაგაქრობდათ და განაცვლებდათ ისეთ
სხვა ხალხებს, რომელთაც ინებებდა, ისე როგორც გადასული
თაობანი განაცვლათ თქვენ.

134. რასაც გემუქრებიან, მოხდეს, ხოლო ვერ გააბათი-
ლოთ თქვენ ღვთის განაჩენები.

135. უთხარი მათ, ჩემო ერო, მოიქეც, შენის ძალდო-
ნის შესაფერად, მეც მოვიქცე ეგრეთვე. შეიტყოთ,

136. თუ ვის ხვდეს საუკუნო სამკვიდრო სამოთხისა.
ღმერთმა არ უღიხნოს უკეთურებსა.

137. ღვთისათვის ჰსდებენ მის ნაწილსა, რაც კი მას მო-
უყვანია მათ მოსავალსა და მათ საქონელში, და ამბობენ: ესა
და ეს ღმერთსაო (ღმერთს მათის ფიქრით) და ესა და ესაო

ამხანაგებს, რომელნიც მისთვის აგვიჩენიაო; მაგრამ მათი ამხანაგებისათვის დანიშნული ღმერთს არასოდეს მიუვიდეს, ხოლო ღვთისათვის დანიშნული კი მიუვიდეს მათ ამხანაგებსა; რა ცრუა მათი ფიქრები!

138. მიტომაც დიდძალ რიცხვს კერპთაყვანისმცემელთაგანსა ცრუ ღმერთებმა საკუთარის ბავშვების ხოცვის აზრი ჩააგონეს და ისიც მათ წარსაწყმენდელად და მათი სათაყვანოს ასარევ-დასარევად. ღმერთს რო ენებებინა, ასე ვერასოდეს მოიქცეოდენ. მაგრამ თავი გაანებე მათ და მოჰშორდი მას, რასაც იგონებენ.

139. იტყვიან: ესა და ეს ცხოველი და ესა და ეს მოსავალი აკრძალულიაო; არაფერი იქმება მას გარდა, რაც ჩვენ ვესურსთ (ასე მოიგონეს). ესა და ეს ცხოველი ტვირთის ზიდვისაგან უნდა გათავისუფლდესო. ღვთის სახელს მათზე არ წარმოსთქვამენ; ამას ყველაფერს ღვთის თაობაზე იგონებენ. მიაგოს მისთვის, რაც მოიგონონ.

140. იტყვიან: პატარა ამა და ამ ცხოველისა ნება დართულია ჩვენის ვაჟებისთვის; აეკრძალება ჩვენს ცოლებსო. ხოლო თუ შთანასახი მოწყვეტილა, ყველას საერთოდ ექმებაო. ღმერთმა მიაგოს მისთვის, რაც განასხვაონ. მეცნიერ და ბრძენია.

141. წაწყმედილ არიან, რომელნიც თავიანთ შვილებს სიგიჟით, უმეცრებით ხოცვენ, რომელნიც კაცთათვის ღვთის მიერ მინიჭებულ საქმელებს აკრძალვენ, თავანკარად გამქორავები მისი. დაბნეულან, სწორე გზაზედ აღარ არიან.

142. მან გააჩინა წალკოტები და შიგ ვაზი სარ-დარკმული და დაურქმელი, მან გააჩინა იმდენნაირი ინდის ხურმა და პური, ზეთის ხილი და ბროწეული, რომელნიც ერთმანერთს ჰგვანან და ერთმანერთში გაირჩევიან. ჰსთქვა: თავი ისაზრდოეთ იმათის ნაყოფითა და მოირეწეთ, რაც ჯერ არს მკისდროსა; ფლანგვას ერიდეთ, ვინადგან ღმერთს მფლანგავები არ უყვარს.

143. ცხოველებში, ზოგი გაჩენილია ტვირთვის, საზიდველად, ზოგიც საკლავად. თავი ისაზრდოეთ მით, რაც ღმერთმა მოგხნიჭათ, და სატანას კვალს ნუ აჰყვებით, ვინადგან თქვენი ცხადი მტერია.

144. რვა ნაირი საქონელია, წყვილ-წყვილადი, სახელდობრ: ორი ცხვრის გვარისა (ვერძი და დედალი ცხვარი) და ორი თხის გვარისა (ვაცი და დედალი თხა). უთხარი მათ: განა მამლები აგიკრძალათ ღმერთმა, ანუ დედლები, ან თუნდა ის, რაც დედლების გვამშია? მასწავლეთ, თუ გულწრფელ ხართ.

145. კიდევ ორნაირია აქლემის გვარი (მამალი და დედალი) და ორი ხვასტაგის გვარისა (ხარი და ფური). ჰკითხე მათ: განა მამლები აგიკრძალათ ღმერთმა, ანუ დედლები, ან თუნდა ის, რაც დედლების გვამშია? დაესწარით განა, როცა ღმერთმა დაგიწერათ ეს ყველაფერი? ხოლო ვინ არი უფრო უკეთური მისა, რომელიც უმეცრებისა გამო, ღვთის თაობაზე სიცრუეს იგონებს ხალხის შესაცდენად? ღმერთმა უკეთურებს არ წარუმართოს.

146. უთხარი მათ: ვერა ვპოვებ მაში, რაც გამომცხადებია, სხვა რამ ასაკრძალველს მისთვის, რომელსაც საზრდოება უნდა, მკვდარ ცხოველებსა, დაწათხევ სისხლსა და ღორის ხორცს გარდა, ვინადგან საძაგლობაა. აკრძალულია ჭამა, ნამდვილის ორგულობით; მის, რაც დაკლულა სხვის და არა ღვთის სახელის მოწოდებით, თუ მხოლოდ ძალდატანებით არ მოხდა, და ნურცა სკამენ მას ურჩობითა და ცოდვის ფიქრითა; უეჭველია, ღმერთი მოწყალე და შემბრალელებელია.

147. ურიებს ჩვენ აუკრძალეთ ყველა ცხოველები, რომელთაც გაყოფილი ჩლიქები არა აქვსთ; თანასწორ აუკრძალეთ მათ ქონი ხარებისა და ცხვრებისა თვინიერ ზურგისა და შიგნეულთა, და მისიც, რაც ძვლებს ერთვის. ეს არის მათ დასასჯელად მათი უსამართლობისათვის. მართლ-მსაჯულ ვართ.

148. თუ მატყუარობა დაგაბრალეს, უთხარი მათ; თქვენი უფალი დიდად მოწყალეა, მაგრამ რისხვა მისი პირს არ შეაქცევს დამნაშავეთა.

149. ვინც დაუამხანაგებენ (სხვა ღმერთებს ღმერთსა), იტყვიან: ღმერთს რომ ენებებინა, არც ჩვენ, არც ჩვენი მამები დაუამხანაგებდნენ (სხვა ღმერთებსა); არაფრის ხმარებას აკრძალავდითო. ვინც მათ უწინარეს ყოფილან, იგინიც აბრალებდნენ აგრეთვე მატყუარობას სხვა მოციქულებსა, იმ ჟამამდე, ვიდრე ჩვენ წყრომას განიცდიდნენ. უთხარი მათ: თუ, რამ ცოდნა გაქვსთ, დაგვანახეთ; მაგრამ ლაყბობას აპყოლილხართ და მასთან ცრუნიცა ხართ!

150. ჰსთქვი: ერთს ღმერთს ეკუთვნის უცილობელი საბუთი. მას რომ ენებებინა, ყველას სიმართლის გზაზე დაგვადგენდა.

151. უთხარი მათ: მოიყვანეთ თქვენი მოწმები, რომელნიც ჰმოწმობენ, ღმერთმა ეს ცხოველები აკრძალაო. თუ ამის მოწმობა მოიტანონ, არ იმოწმო მათთან ერთად და არც ეძებო მეგობრობა შათი, რომელნიც ჩვენს სასწაულებს სიცრუედ აგდებენ, რომელთაც მომავალი ცხოვრება არა ჰსწამსთ, და როჰელნიც თავიანთ უფალს ტოლებს აუჩენენ.

152. უთხარი მათ: მოდიტ და მე წაგიკითხოთ, რაც თქვენმა უფალმა აგიკრძალათ: ნურავითარ არსებას დაუამხანაგებთ; თქვენს დედმამებს პატივისცემით მოეპყარით; თქვენს ბავშვებს გაჭირებისა გამო ნუ დახოცთ; სარჩო მოგაწოდოთ მათთვისაც აგრეთვე; განშორდით როგორც გარეგანს, ისე შინაგანს სისაძაგლესა; კაცები არ დახოცოთ, ვინადგან ღმერთმა აკრძალა, თუ მართლ მსაჯულებამ არ მოითხოვა. აი ღმერთი ამას გამცნებსთ, რათა ბოლოსაც არი გულის ხმა ჰყოთ.

153. ობოლის ქონებას ხელს ნუ ახლებთ, თუ არ სასიკეთოდ, და ისიც მოწიფულობის ხანამდე. საწყაო და სასწორი ნამდვილი იხმარეთ. ყოველსავე სულს დავაკისროთ ტვირთი მხოლოდ ისეთი, რომ ჰზიდოს. როცა ჰსდებდეთ მსჯავრსა,

დასდეთ სიმართლით, კიდევ რომ ნათესავის მიმართ იყოს ერთგულ იყავით უფლის აღთქმისა. აი რა გამცნოთ ღმერთმა. ეგების ჩახვდეთ.

154. აი ჩემი ბილიკი; სწორეა. შეუდექით მას და ნუ შეუდგებით მრავალ ბილიკსა, შიშით, რათა ღვთისას არ გადაუხვიოთ. აი ამას გამცნებსთ ღმერთი, რათა მისი გეშინოდესთ.

155. მოსეს წიგნი მივმადლეთ, სრული წიგნი, მისთვის, რომელიც კეთილს შვრება, ყველაფერში წილადობილი განსხვავება, წიგნი დანიშნული წარსამართებლად და მოწყალეების საბუთად, რათა მათ (ურბებმა) ირწმუნონ გამოცხადება წინაშე თავიანთი უფლისა.

156. ეს კურანიც, რომელიც გადმოვაფიინეთ, კურთხეული წიგნია; შეუდექით მას და ღვთის გეშინოდესთ, რათა მისი მოწყალეობა განიცადოთ.

157. ნულარ იტყვით: წიგნი (წერილი) მალლით მოველინა ორს ერსა (ურბებსა და ქრისტიანებს); ჩვენ კი არ გვქონდა ცნობა მათის სწავლისაო.

158. ნულარ იტყვით: ჩვენთვის რო წიგნი მოველინათ, მათზე უკეთესად წარვემართებოდითო. თქვენ კი მასთანვე მოვევლინათ აშკარა გამოცხადება თქვენის უფლისაგან; იგია წარმართება და საბუთი ღვთაებრივის მოწყალეებისა. ხოლო ვინ არი უბოროტესი მისა, რომელიც ღვთის სასწაულებს სიცრუედ ჰსთვლის და ერიდება; დავსაჯოთ, რომელნიც ჩვენს სასწაულებს ერიდებიან, სამწუხარო სასჯელითა, რადგანაც ჩვენს სასწაულებს პირი შეაქციეს.

159. ხომ არ მოელიან, ანგელოზები მოვიდენ, ან ღმერთი მოვიდეს თვითონ, ანუ შენის უფლის სასწაულთა შორის სასწაულმა შეიპყრას იგინი? იმ დღეს, როცა შენის უფლის სასწაულთა შორის სასწაული მოველინოსთ, სარწმუნოებამ ვერაფერი არგოს სულსა, რომელსაც მანამდე არა ჰსწამდა, ანუ რომელსაც სარწმუნოებასთან ერთად არ ჩაუდენია კეთილი

საქმე. უთხარი მათ: თუ თქვენ მოვლით, ჩვენც ავრეთვე მოვლით.

160. ნუ იქმნები მათგანი, რომელნიც სარწმუნოებას განჰსწვალებენ და განიყოფიან მწვალებლებად. მათი საქმე განიხილოს ღმერთმა, რომელმაც მოაგონოს მათ, რაც უმოქმედნიათ.

161. ვინც კეთილი საქმე ჩაიდინოს, სამაგიერო მთელად მიიღოს; ვისაც უკეთური რამ საქმე ჩაუდენია, სასყიდელი შეფარდებით მიიღოს. შეწუხებულ არ იქმნენ.

162. უთხარი მათ: უფალმა წარმმართა სწორე გზასა, ქეშმარიტს სარწმუნოებასა, რწმუნებასა აბრაამისასა, რომელიც იყო ქეშმარიტად ზორწმუნე და რომელიც არ უამხანაგებდა (სხვა ღმერთებს ღმერთსა).

163. ჰსთქვი: ჩემი ღოცვა და ჩემი ქველმოქმედება, ჩემი სიცოცხლე და ჩემი სიკვდილი ღმერთს ეკუთვნის, მსოფლიოს მეუფესა, რომელსაც ამხანავი არა ჰყავს. ესა მაქვს ნაბრძანები და პირველიცა ვარ მუსულმანთა შორის (მათ შორის, რომელნიც მიენდობიან ღვთის ნებასა).

164. ვინაჲრებდი განა მჭუფედ სხვას თვინიერ ღვთისა, რომელიც ყველაფერს ეუფლება? ყოველივე სული შვრება საქმესა მხოლოდ საკუთრად თავის თავისთვის: სხვისი ტვირთი არც ერთმა ჰზიდოს. თქვენ მიიქცეთ თქვენის უფლის მიმართ, რომელმაც აგისნასთ, რისი თანახმაც არ იყავით ერთმანერთთან.

165. მან დაგამკვიდრათ დედამიწაზე, ნაცვლად თქვენს უწინარეს ყოფილთა; მან დაუნიშნა ზოგიერთებს სხვებზე უმაღლესი ხარისხები: რათა მას გამოეცადეთ მით, რაც მოგინიქათ. თქვენი უფალი დასჯად მოსწრაფეა, მაგრამ სულ-გრძელ და მოწყალეა.

თ ა ვ ი VII

გადასახედაეი.

ნაბოძებია შექას.—205 მუხლი.

ს ა ხ ე ლ ი თ ა

ლ ვ თ ი ს ა

მოწყალისა და შემწყნარებლისა.

1. ელივ. ლაშ. შიმ. სად. აი წიგნი, რომელიც მა-
ლლით მოვლინებულ იქმნა; ნურაფერი საწუხელი ექმნება
შენს გულსა ამ წიგნის. გამო და ნურც ექვობ გაფრთხი-
ლებას ამ წიგნის შემწეობითა; მორწმუნეებს. შემგონებლად
ექმნეს.

2. შეუდექით სჯულსა, რომელიც თქვენის უფლისაგან
მოგველინათ, და ნუ შეუდგებით სხვა მფარველებსა, მისა თვი-
ნიერ. ეჰ! რა ცოტას ფიქრობთ მისთვის.

3. რამდენი ქალაქი დავაქციეთ! ჩვენი რისხვა ზოგს ღა-
მე ეწია, ზოგსაც დღის სინათლის ჟამსა.

4. როგორი იყო მათი ძახილი იმ დროს, როცა ჩვენმა
რისხვამ შეიპყრა იგინი (უღვთო ხალხები). იძახდენ: დიახ!
უღვთო ვიყავითო.

5. ანგარიში მოვსთხოვთ იმ ხალხებს, რომელთათვისაც
წინასწარმეტყველები მოგვივლენია; ანგარიში მოვსთხოვთ
თვითონ წინასწარმეტყველებსა.

6. თავიანთი ნამოქმედარი მოვათხრობინოთ, სრულის
ცნობის შქონებელმა, ვინადგან დამსწრე ყოფილვართ.

7. იმ ღღეს აწონილ იქმნენ სამართლიანად; ვისაც მეტი
წონა ექმნეს, ცხონდეს.

8. ვისაც ნაკლები წონა ექმნეს, წაწყმდეს, რადგანაც
ჩვენს სასწაულებს უსამართლოდ ეკიდებოდა.

9. ჩვენ დაგამკვიდრეთ ქვეყანაზე, ჩვენ ავიჩინეთ საზრდო.
რა ცოტად დამნახველ ხართ!

10. ჩვენ გაგაჩინეთ და ჩვენ მოგეცით სახე, მერმე ჩვენ უთხარით ანგელოზებსა: ადამის წინაშე მოიხარეთ თავი; მოიხარეს თავი, თვინიერებლისისა, რომელიც არ ყოფილა მათგანი, რომელთაც მოიხარეს თავი.

11. ღმერთმა უთხრა: რა გიშლის მოიხარო თავი მის წინაშე, როცა გიბრძანებო? მე ვჯობივარ იმასაო, უთხრა ებლისმა. მე გაგიჩენივარ ცეცხლისაგან, ხოლო იგი გაგიჩენია თიხისაგანო.

12. გადი აქეთგანო, უთხრა უფალმა, ორგულობისაგან თავს გასვლა არ მოგიხდება ამ ადგილებში. გადი აქითგან, შეურაცხთაგანი იქმნეო.

13. მაცადე იმ დღემდე, როცა კაცი აღსდგესო.

14. მოცდილ ხარო, შეეცილა უფალი.

15. ხოლო რადგანაც გადამრიეო, უპასუხა ებლისმა, მას ჩავესაფრო შენს სწორე ბილიკზეო.

16. მერმე წინ და უკან მიუხდე მას; მარჯვნივ და მარცხნივ მისა წაგდგე და შენც, უეჭველია, ნაკლებად იპოო ისეთნი, რომ დამნახველ იყვნენ შენიო.

17. გადი აქეთგან! უთხრა უფალმა, საძრახობით ბურვილო და შორს გაგდებულო, ხოლო ვინც აგყვეს... თქვენ ყველათი ავაფსო ჯოჯოხეთი.

18. შენ, ადამ, შენის მეუღლითურთ წალკოტში დაემკვიდრე, და ორთავ შჭამეთ ნაყოფი ყველგან, სადაც გნებავდესთ; მხოლოდ არ მიეკაროთ მაგ ხესა, შიშით, რათა ცოდვილი არ გახდეთ.

19. სატანამ გულში ჩაუღო მათ ნახვა თავიანთი სიშიშველისა, რომელიც მანამდე მათთვის დაფარულ იყო. მათ უთხრა: ღმერთმა ეს ხე მხოლოდ მიტომ აგიკრძალათ, ანგელოზები არ გახდეთ ორნივე და უკვდავებიც არ იქმნეთო.

20. მათ შეჭფიცა, თქვენი ზრთგულ მრჩეველი ვარო.

21. იგინი შეაცდინა თვალ დამდგარნი; ხოლო როცა

ხისაგან გემო გაიღეს, თავიანთი სიშიშველე დაინახეს და თავს იფარავდენ წალკოტის ნეშოებითა. უფალმა მაშინ შესძახა მათ: ნუ თუ არ ამიკრძალავს თქვენთვის ეგ ხე? ნუ თუ არ მითქვამს თქვენთვის, სატანა თქვენი ცხადი მტერია-მეთქი?

22. მათ (ადამმა და ევამ) უპასუხეს: უფალო ჩვენო! შემცოდე ვართ და თუ არ გვაპატიებ, არ შეგვიბრალე, დაღუპულვართ.

23. გამოდითო, უთხრა მათ ღმერთმა, ერთმანერთს მტერ ექმნეთ. დედამიწაზე ჰპოოთ საწუთრო საყოფელი და შევება.

24. იქ იცხოვროთ და იქვე დაიხოცოთ, და იქითგანვე გამოხვიდეთ ერთ დღესა.

25. ადამის შვილნო! თქვენ გამოგიგზავნეთ სამოსლები თქვენის სიშიშველის დასათარავად, და ძვირფასი სამკაულები; მაგრამ ღვთისნიერობის სამოსელი კიდევ უფრო მეტად ღირს. ასეთია ღვთის მოძღვრება: ეგების, კაცნი ჩაუფიქრდენ.

26. ადამის შვილნო! სატანამ არ გაცდინოსთ ისე, როგორც აცდინა თქვენი მამები, რომელნიც წალკოტითგან გამოიყვანა; სამოსელი გახდა მათ, რათა მათთვის სიშიშველე ეჩვენებინა. იგი და მისი მომხრეები თქვენ გხედვენ, საითგანაც თქვენ მათ ვერ ხედავთ. ჩვენ აუჩინეთ იგინი მფარველებად მათ, რომელთაც არა ჰსწამსთ.

27. როცა უკულმართნი რასმე სიბილწეს ჩაიდნენ, იტყვიან, ვხედავდით, თუ ჩვენი მამები მასვე როგორ ჰსჩადიოდენ, ღმერთი ბრძანებსო. უთხარი მათ: ღმერთს როდი უბრძანებია უპატიოსნო საქმე; განა უნდა ჰსთქვათ ღვთისა, რაც არ უწყით?

28. უთხარი მათ: ჩემი უფალი სიმართლეს ბრძანებს. პირი მიიბრუნეთ იმ ადგილისაკენ, სადაც თაყვანს ჰსცემენ; მისდამი ღაღად ჰყავთ, თქვენის თაყვანებით გულწრფელნო. როგორც არარაობისაგან გამოგიყვანათ, ისე მიგიყვანოსთ თვისდამი. ზოგიერთებს, თქვენ შორის წარუმართებს, სხვებს კო-

ტომილებში დაჰსტოვებს. ამათ აიყვანეს სატანას მომხრენი თავიანთ მფარველებად უფრო, ვიდრე ღმერთი, და თავიანთი თავიც სწორე გზაზე ეკონათ.

29. ადამის შვილნო! ჩაიცვით საუკეთესო ტანთ-საცმელი ყოველთვის, როცა კი სალოცავში მიდიოდეთ. შტამეთ და სვით, ხოლო გადაუქარბებლად, ვინადგან ღმერთს არ უყვარს, ვისაც მეტი მოსდის.

30. უთხარი მათ: ვის შეუძლია, აკრძალოს თავის მორთვა იმ სამკაულებით, რაც კი ღმერთს გაუჩენია თავის მსახურთათვის, ანუ თავის საზრდოება ტკბილის საქმელებითა, რომელიც ღმერთს მათთვის მიუცია? სიკეთენი იგი მორწმუნეთა ეკუთვნიან ამ სოფლად, განსაკუთრებით კი აღდგომის დღესა. აი ღმერთი ასე აუხსნის თავისს მოძღვრებას მათ, რომელთაც უწყიან.

31. მათ უთხარი: ღმერთმა აკრძალა ყოველივე სისაძაგლე გამოცხადებული, თუ ფარული; აკრძალა უმართლობა და ყოველივე უსამართლო მძლავრობა. აკრძალა, დაუამხანაგონ მას, რაც უნდა არსება იყვეს; ამის უფლება თქვენთვის არავითარი მოუცია და აუკრძალავს, მის თაობაზე ისეთი რამ ილაპარაკოთ, რაც არ უწყით.

32. თვითოეულს ერს თავისი აღსასრული აქვს. როცა მათი აღსასრული მოწეულა, კაცნი ვერ დაახვეწებენ უკან, ვერცა დაიახლოვებენ.

33. ადამის შვილნო! თქვენ შორის მოციქულები გამოჩნდენ, ჩემი მოძღვრება წაგიკითხონ. ვისაც უფლის ეშინია და კეთილს შერება, ყოველის შიშისაგან დაფარულ იქმნეს და არც დაღონდეს.

34. ვინც ჩემს სასწაულებს სიცრუედ აგდებენ, ვინც უგულვებულს ჰყოფენ, ცეცხლში ჩაცვივდენ და იქვე საუკუნოდ დაემკვიდრონ.

35. ვინ არი უფრო ურჯულო მაზედ, ვინც სიცრუეს ჰკვერავს ღვთის თაობაზე, ან ვინც მატყუარობად ჰსთვლის

ჩვენს სასწაულებს? ამ ხალხს ამა ქვეყნის სიკეთეთა ერთი ნაწილი, საუკუნო წიგნის შესაფერად, დანიშნულ ექმნეს იმდრომდე, როცა ჩვენთა მოვლინებულთა შეჭრიბონ იგინი, და ჰკითხონ: სადაა კერპები, რომელსაც ღვთისა თანასწორ მოუწოდებდითო? მათ უპასუხონ: გაჰქრენო; თვითონ მათ იმოწმონ ამ გვარად, რომ ურჯულო ყოფილან.

36. ღმერთმა მათ უთხრას: ცეცხლში შედით, რათა შეუერთდეთ კაცებისა და ჯინების ღვთათა, რომელნიც თქვენამდე გამქრალანო. ყოველთვის როცა ახალი ღვთა შედის იქ, თავის დას ჰსწყევლის იმ დრომდე, ვიდრე შეერთდებოდნენ ყველანი ერთად; მაშინ უკანასკნელმა ჰსთქვას, პირველის მითითებითა: უფალო, აი, ვინც ჩვენ გზა აგვირია, ცეცხლის ორკეცის სასჯელით განმეხე იგინი. ხოლო ღმერთმა მათ უთხრას: ყველას გაგიორკეცდესთ, მაგრამ კი არ უწყით.

37. პირველმა უთხრას უკანასკნელსა: რა უპირატესობა გაქვსთ ჩვენზე? იგემეთ სასჯელი, რომელიც თქვენმა ნამოქმედარმა გაღირსათ.

38. ვინც ჩვენს სასწაულებს სიცრუედ აგდებდენ და ვინც უგულებელ ჰყოფდენ, უეჭველად ზეცის კარები გაეღოსთ; ხოლო წალკოტში მაშინ შევიდენ, როცა ბაგირი ნემსის ყურწში გაეტიოს. ასე დავაჯილდოვთ სჯულგადამავალნი.

39. ჯანაბა ექმნესთ საწოლად, ხოლო ზემოთგან ცეცხლის შიპნი საბურველად. ასე დავაჯილდოვთ უღთობსა.

40. ვინც იწამოს და კეთილი ჰქმნას, არ ვაკისრებინოთ მოვალეობა მათის ძალღონის უმაღლეს. იგინი ეუფლონ წალკოტსა, სადაც საუკუნოდ იცხოვრონ.

41. მათ გულს გავაცალოთ ყოველივე ბოროტება. მდინარენი ფეხთა უდიოდესთ, ხოლო მათ ღაღად ჰყონ: დიდება ღმერთსა, რომელმაც ამ ადგილებში მოგვიყვანა! უთუოდ დავიბნეოდით, უკეთუ ღმერთს არ მოვეყვანეთ. ჩვენის უფლის მოციქულები სრულს სიმართლეს გვიქადაგებდენ. ხმა მან

შეასმინოს მათ ეს სიტყვები: აი, წალკოტი, რომელიც თქვენის მოქმედებით შეგიძენიათ.

42. ხოლო წალკოტის მკვიდრთა გასძახონ ცეცხლის მკვიდრთა: ჩვენ გამოვსცადეთ თქვენის უფლის აღნათქვამის სიმართლე, ხოლო თქვენ გამოსცადეთ თუ არა? მათ უპასუხონ: დიახ! გზირმა, რომელმაც დაიძახოს მათ შორის, დაიძახოს სიტყვები: წყევა-კრულვა ღვთისა ურჯულოებსა;

43. მათ, რომელთაც სხვებს ღვთის ბილიკისათვის აახვევინეს, რომელთაც მისი დაკლავნა უნდოდათ და რომელთაც მომავალი ცხოვრება არ ჰსწამდათ!

44. ფარდა გაჰყოფს ცხონებულებს წაწყმედილებისაგან. გადასახედავზე იქმნენ კაცნი, რომელთაც თვითთავე მისის განსხვავებულის ნიშნითა ჰსცნონ; წალკოტის მკვიდრთა გასძახონ: მშვიდობა იყოს თქვენთანა! იგინი (წაწყმედილები) იქვერ შევიდენ, თუმცა გულით მოწადინებულ იქმნენ.

45. ხოლო როცა პირი მიიბრუნონ ცეცხლის მკვიდრთაკენ, ლაღად ჰყონ: უფალო ჩვენო უსამართლოებთან ნუ დაგვსხამ.

46. ვინც გადასახედავზე იქმნენ, შესძახონ კაცთა, რომელნიც, მათის განსხვავებულის ნიშნებით, წაწყმედილებად ჰსცნონ: რაში გამოგადგათ თქვენი მოხვეჭილი სიმდიდრე და თქვენი ამპარტავნობა?

47. ეს ხომ ის კაცნი არ არიან, რომელთათვისაც ფიცულობდით, ვერასოდეს მიიღონ ღვთის წყალობაო? შედიით წალკოტში, ყოვლისავე შიშისაგან დაფარულ იქმნეთ და არც დაღონდეთ.

48. ცეცხლის მკვიდრთა გასძახონ წალკოტის მკვიდრთა: მოგვაწოდეთ ცოტა წყალი, ან ცოტა შვება, რომელიც ღმერთმა მოგინიჭათ.—ღმერთმაო, მიუგონ, ერთიცა და მეორეც აუკრძალა ურჯულოებსა,

49. რომელთაც სარწმუნოება სათამაშოდ და საკიცხველად გაიხადეს, ამა სოფლის ცხოვრებისაგან თვალდამდგართა.

აწ ჩვენ დავივიწყებთ მათ ისევე, როგორც მათ დაივიწყეს თავიანთი გამოცხადების დღე და შიტომაც, რომ მათ უარჰყვეს ჩვენის სასწაულების სიმართლე.

50. თუმცა წიგნი მივაწოდეთ მათ და ბრძნულადაც განუმარტეთ იგი, რათა ყოფილიყო წარმართებად და ღვთის წყალობად მათთვის, რომელთაცაჰსწამსთ.

51. განა კიდევ მოვლიან მის განმარტებას? იმ დღეს, რამისი განმარტება გამოვიდეს, ვისაც იგი ჰსძულდათ ამ ქვეყნად, ღალად ჰყონ: ღვთის მოციქულებმა სრული სიმართლე მოგვიტანეს. ნუ თუ ვერ ვპოვოთ შუამავალი, რომელმაც ჩვენთვის თავი გამოიდევას, ანუ ნუ თუ ვერ დავბრუნდეთ ქვეყნად? ეჰ! მოვიქცეოდით განა სხვაფრივ, თუ არ ისე, როგორც ჩავდიოდით? მაშინ კი დაიღუპონ უკუ-მოუქცევლად და მათი მოგონილი ღმერთებიც გაჰქრენ.

52. თქვენი უფალი ის ღმერთია, რომელმაც ცანი და ქვეყანა ექვს დღეში გააჩინა, და სიმტკიცით დაბრძანდა ტახტზე; დღეს შეახვევს ღამეში, ხოლო დღე სწრაფად დაედევნება; მან გააჩინა მზე და მთვარე და ვარსკვლავები, უწყებულსჯულთა მორჩილი მათ მათი წეს-რიგობითა. განა მას არ ეკუთვნის ყველაფრის გაჩენა და მართვა? კურთხეული იყოს ღმერთი, მეუფე სამყაროსა.

53. ღმერთს თავმდაბლად და ფარულად მოუწოდეთ. სჯულგადამავალნი როდი უყვარან.

54. ქვეყანაზე უწესოებას ნუ ჩაიდენთ, როცა იქ ყველაფერი საუმჯობესოდ არი დაწყობილი; ღმერთს მოუწოდეთ შიშითა და სიყვარულითა, ვინადგან ღვთის მოწყალება ახლოა მათზე, რომელნიც კეთილს შერებინან.

55. ქარს მოავლენს, თავის წყალობის წინამობერდსა. წვიმის დიდრონ ღრუბლებს ვაზიდვინებთ და გვალვისაგან მიმკვდარებულ ქვეყანაში ვგზავნით; წყალს გამოვადენთ და მისი შემწეობით ყოველს ნაყოფს აღვარძინებთ. მკვდრებსაც ამნაირადვე აღვადგენთ მათ მათი საფლავებითგან; ეგებ გულის ხმა ჰყოთ.

56. კარგს ქვეყანაში მცენარენი ღვთის ბრძანებით უხვად ხარობენ; ცუდმა კი, იშვიათი იცის. ჩვენს მოძღვრებას ასე გამოვიყენებთ იმ კაცთათვის, რომელნიც სამოწყალო საქმეებს ჩაიდებენ:

57. ჩვენ მოუვლინეთ ნოე მისს ერსა. უთხრა მას: ერო ჩემო? თაყვანი ეც ღმერთსა. რა თაყვანსაცემ არიან სხვა ღმერთნი, მისა თვინიერ? თქვენ წილ მე მეშინია სასჯელისა დიდდღესა.

58. მისი ერის დიდებულებმა უთხრეს: გზედავთ, რომ დიდ შეცდომაში ხარ.

59. ერო ჩემო! შეცდომაში როდი ვარ მე, მოვლინებულ ვარ მე სამყაროს მეუფისაგან.

60. უფლის მცნებათა გაუწყებთ და მაცხოვრებელ რჩევას გაძლევთ. მე უწყი ღვთისა ის, რაც თქვენ არ იცით.

61. გიკვირსთ, რომ თქვენის უფლის სიტყვას მოგაწვდენსთ თქვენებურივე კაცი, რომელიც მოვალეა, ღვთის შიში ჩაგაგონოსთ, რათა მისი მოწყალება გამოჰსცადოთ?

62. ხოლო იმ ხალხმა მატყუარად ჩაჰსთვალა. იგი და მისი მიმყოლნი ერთ ხომალდში გადავარჩინეთ, ხოლო დავარჩით, რომელთაც ჩვენი სასწაულები სიცრუედ ჩააგდეს. ბრმა ხალხი იყო.

63. ადის ხალხის მიმართ მოვავლინეთ ერთი მათგანი, ჰუდ. ამანაც იგივე უთხრა: ერო ჩემო! თაყვანი ეც ღმერთსა და არა თაყვანისცე სხვა ღმერთებსა, მისა თვინიერ. უფლის არ გეშინიათ?

64. უხუცესთა შორის ვინც ურწმუნო იყვნენ, ეუბნებოდენ მას: გზედავთ, რომ გონება დაგფანტვიათ; და ნამდვილადაც გვჯერა შენი მატყუარობა.

65. ერო ჩემო, უთხრა ჰუდმა, ეს როდია გონების დაფანტვა; აშოროსმცა, მე მოვლინებულ ვარ ღვთისა, სამყაროს მეუფისა.

66. მე გაუწყებთ ღვთის მცნებას; თქვენი გულწრფელ და სარწმუნო მრჩეველი ვარ.

67. განა გიკვირსთ, რომ თქვენის უფლის სიტყვას მოგაწვდნისთ თქვენებურივე, რომელსაც ვალად აძევს თქვენი ჩაგონება? მოიგონეთ, რომ ნოეს ერის მემკვიდრედ გაგხადათ, რომ გმირისებური თვალტანადობა მოგცათ. მოიგონეთ ღვთის კეთილმოქმედება, რათა ნეტარ იყვნეთ.

68. განა მიტომ მოხვედიო, უთხრეს, რომ ერთის ღვთისათვის ხაყვანი გვაცემინო და ჩვენთა მამათა ღმერთები დაგვატოვებინო? მაშ. ჰყავ ისე, რომ შენი მუქარა აღსრულდეს, თუ გულწრფელ ხარ.

69. მალეო, სიტყვა ჩამოართვა, შურისგება და წყრომა ღვთისა თავს დაგატყდესთ. ნუ თუ უნდა შემეხაასოთ იმ სახელთათვის, რომელიც თქვენ და თქვენს მამებს ღმერთებისათვის მიუციათ და რისი უფლებაც ღმერთს თქვენთვის არავითარი მოუნიჭებია? მხოლოდ თქვენ მოიცადეთ და მეც აგრეთვე მოვიცადო.

70. ჩვენის მოწყალების საქმით დავიხსენით ჰუდ და იგინიც, რომელნიც მას შეუდგნენ და უკანასკნელამდე გავსწყვიტეთ იგინი, რომელთაც ჩვენი სასწაულები სიცრუედ ჩააგდეს და რომელთაც არ ჰსწამდათ.

71. თემუდელთა მიმართ მოვავლინეთ სალეჰი, მათი ძმა. უთხრა მათ: ერო ჩემო! ღმერთს თაყვანი ეციოთ, სხვა ღმერთებს, მისა თვინიერ, რად უნდა თაყვანს ჰსცემდეთ? აი ცხადი სასწაული ღვთისა. ეს აქლემი ღვთისა თქვენდამი სასწაულია: გაუშვით, ჰსძოვოს ღვთის ველზე, არა ავნოთ რა, შიშით, სასჯელში არ ჩაცვივდეთ.

72. მოიგონეთ, რომ ღმერთმა აღის ხალხის მემკვიდრედ გაგხადათ, რომ დაგაბინავათ ქვეყანაში. სადაც მის კორდებ შორის კოშკები აღმართეთ, სადაც კლდენი სახლებად გამოჰკვეთეთ. მოიგონეთ ზეცის სიკეთე და ნუ წახვალ-წამოხვალთ ქვეყანაზე, რათა უწყსოება ჩაიდინოთ.

73. ხოლო ამჰართავან თემუდელთა შორის თავ-კაცები

ეუბნებოდენ მათ, ვინც სუსტი ეგონათ, მათ, რომელთაც ჰსწამდათ: გჯერათ, საღეჭი თავისი უფლისაგან იყოს მოვლინებულიო?—მისი მოციქულობა გჯერაო, უპასუხეს.

74. ამპარტავნებმა უპასუხეს, ჩვენ კი ვერ აღვიარებთ მას, რაც თქვენ გრწამსთო.

75. და აქლემს კუთები დააქრეს, ღვთის მცნებათა მეშფოთარ ექმნენ და მასუკან საღეჭს უთხრეს: ჰყავ ისე, რომ შენი მუქარა აღსრულდეს, თუ ქეშმარიტად მოვლინებულ ხარო.

76. მაშინ ძლიერმა მიწისძრვამ თავზარი დასცა მათ; მეორე დილას დახოცილები და თავიანთ სახლებში პირდაღმა მწოლარენი იპოვნეს.

77. საღეჭმა დასტოვა იგინი, რა ჰსთქვა: ღვთის მიერ გაფრთხილება გიქადაგეთ და რჩევაც მოგეცით. მაგრამ როდღე იყვარან იგინი, რომელნიც რჩევას გაძლევენ. თქვენ.

78. თავისიანთა მიმართ აგრეთვე მოვავლინეთ. ლოთ. უთხრა მათ: განა სისაძაგლე უნდა ჩაიდინოთ ისეთი, თქვენამდე არც ერთს ხალხს ექმნას.

79. განა მამაკაცები უნდა გახრწნათ ქალების ნაცვლად, რათა ხორცის ნდომა მოიკლათ? ქეშმარიტად მეტის-მეტობაში ჩავარდნილი ხალხი ყოფილხართ.

80. ლოთის ხალხის პასუხი როგორილა იყო? ერთმანერთს უთხრეს: გაჰყარეთ (ლოთ და მისი სახლობა), ეგ ხალხი უმანკოებას იკვებნის.

81. ლოთ და მისი სახლობა დავიხსენით ცოლს გარდა, რომელიც უკან დარჩა.

82. წვიმა მოვიყვანეთ მათზე... ნახე, თუ როგორი იყო ცოდვილთა საბოლოო.

83. მადიანელთა მიმართ მოვავლინეთ ქაიბ მათი ძმა, რომელმაც უთხრა მათ: ერო ჩემო! ღმერთს თაყვანი ეციო; მისა თვინიერ სხვა ღმერთებს რად თაყვანს ჰსცემთ? ზეცის აშკარა სასწაული გამოეცხადათ. ზომა და წონა მკაცრად და-

იცევით; ხალხს მის სათანადოს ნუ წაართმევთ, ქვეყანაზე უწესოებას ნუ ჩაიდენთ, როცა ყველაფერი იქ საუკეთესოდ არი მოწყობილი. ამან უფრო გარგოსთ, თუ გსურსთ, დაიჯეროთ.

84. ყოველის გზის ბოლოს ნუ ჩასაფრდებით და ნურც ღვთის გზისაგან დააბრუნებთ მათ, რომელთაცა ჰსწამსთ. თქვენ გწადიათ მისი დაკლაცვანა. მოიგონეთ, რომ თქვენ მცირეოდენ რიცხვედ იყავით და გაგამრავლათ. უმჯობესია, ნახოთ, თუ როგორი იყო უკეთურთა ბოლო.

85. თუ ჩემი მოციქულობა თქვენგან ერთს ნაწილს ჰსწამს, ხოლო მგორე მის უარსა ჰყოფს, მოთმინება იქონიეთ და მოიცადეთ, ვიდრე ღმერთი გაგვასამართლებდეს. საუკეთესო მსაჯულთაგანია.

86. ამპარტავნობით თავგასულმა ხალხის თავ-კაცებმა ქოაიბს უთხრეს: ქოაიბ! ჩვენის ქალაქითგან უნდა გაგაგდოთ შენ, აგრეთვე იგინიც, რომელთაც შენთან ერთად ირწმუნეს, ან მოიქცეთ ჩვენს სარწმუნოებაზედ: — როგორ? ჩვენ, რომელთაც გვეზიზღებოდაო, მორწმუნე მადიანელებმა მიუგეს.

87. ღვთის თაობაზე სიცრუის მოგონება დაგებრალდება, თქვენს სარწმუნოებაზე რომ მოვიქცეთ, მას შემდეგ, რაკი ღმერთმა ერთხელვე გვიხსნა. როგორ შეგვიძლია, დაუბრუნდეთ სხვებრ, თუ არ ნებითა ღვთისა, რომელიც გარემოიციავს ყველაფერს თავისი მეცნიერებითა? ჩვენი სასოება ღმერთზე დაგვიმყარებია. უფალო, ჰსაჯე ჩვენ შორის, ვინადგან შენ ხარ უმარჯვეს მათ შორის, რომელნიც ჰსაჯვენ.

88. ვინც არ იწამეს, მათ შორის თავ-კაცებმა ხალხს უთხრეს: თუ ქოაიბს შეუდგე, დაიღუპო.

89. ძლიერმა მიწის ძვრამ თავზარი დასცათ; მეორე დილას დახრცილები და თავიანთ სახლებში პირდაღმა მწოლარენი იპოვენს.

90. ვინც ქოაიბ მატყუარად ჩაჰსთვალეს, გაჰქრენ, თითქოს იმ ქვეყანაში არასოდეს ეცხოვროთ; ვინც ქოაიბ მატყუარად ჩაჰსთვალეს, წაწყმდენ.

91. ქობიბ განშორდა, რა ჰსთქვა: ერო ჩემო! ღვთის ბრძანებას გიქადაგებდით და მაცხოვრებელ რჩევას გაძლევდით. მაშ რაღად შევიწუხო თავი ურჯულოთა ბედისათვის?

92. მოციქულები ქალაქისთვის არასოდეს მოგვივლენია ისე, რომ მცხოვრებთათვის შიშის ზარი არ დაგვეცეს ბედუკულმართობითა და ზებედურებითა, რათა თავმდაბალ გამხდარიყვნენ.

93. შემდეგ ბოროტება კეთილად (უბედურება ბედნიერებად) შევსცვალეთ ისე, რომ ყველაფერი ამოიშალა მათ ხსონაში, მოჰყვნენ ლაპარაკს: ბედნიერება და უბედურება ჩვენს მამებსაც აგრეთვე ჰსწვევიათო. მერმე უეცრად შევიპყარით სასჯელითა, როცა იმის ფიქრი არც კი ჰქონდათ.

94. ქალაქთა მცხოვრებთ რომ მოესურვებინათ რწმუნება და ღვთის შიში, ცისა და ქვეყნის კურთხევას გადაუშლიდით ჩვენ; მაგრამ ჩვენი სასწაულები სიცრუედ ჩაჰსთვალეს მათ და ჩვენც დავსაჯეთ მათი ნამოქმედარისთვის.

95. ქალაქთა მცხოვრებთ ნუ თუ ჰსჯეროდათ, რომ ჩვენი რისხვა მათ არ შეიპყრობდათ ღამით, როცა ძილში იქმნებოდნენ?

96. ქალაქთა მცხოვრებთ ნუ თუ ჰსჯეროდათ, რომ ჩვენი რისხვა მათ არ შეიპყრობდა დღისით, როცა შექცევაში იქმნებოდნენ?

97. ნუ თუ ეგონათ, ღვთის განგებას დაემალებოდნენ? ხოლო ვის უნდა ეგონოს, ღვთის განგებას დაემალოს, იმ ხალხის მეტს, რომელიც წასაწყმედად დასჯილა:

98. ნუ თუ კიდევ ვერ იხილეს მათ თვალთა, ვისაც ქვეყანა მის ძველ მცხოვრებთა შემდეგ დაუმკვიდრებიათ, რომ უკეთუ გვენებებინა, ცოდვებისათვის დავსჯიდით მათ, დავსვამდით რა მათ გულს ბეჭედსა, ისე რომ ველარა ეგრძნოთ რა.

99. იმ ქალაქების ზოგიერთს ამბავს მოგითხრობთ შენ. წინასწარმეტყველები გამოვიდნენ იქ და სასწაულები მოახდით.

ნეს; მაგრამ იმ ხალხებმა არ იწამეს, რაც უწინ სიტყუედ მიაჩნდათ. ღმერთი ასე დაასვამს ბეჭედს ურჯულოთა გულსა.

100. მომეტებულს ნაწილს პირიანობა აღთქმისა ვერავითარი უბოვეთ ჩვენ; დიდძალი რიცხვი არაწმიდები იყვნენ.

101. იმ წინასწარმეტყველების კვალ-და-კვალ მოვავლობნეთ მოსე, ჩვენის სასწაულებით შექურვილი, ფარაოსა და მისი ერის დიდებულთა მიმართ. უსამართლოდ მოიქცნენ. იხილო, თუ უკეთურებს რა საბოლოო ჰქონდათ.

102. მოსემ ფარაოს უთხრა: ღვთის, სამყაროს მეუფის მიერ მოვლინებულ ვარ.

103. ნამდვილია, რომ ღვთისას მხოლოდ წმინდა სიმართლეს ვიტყვი. თქვენთან მოვედი, რათა ბრწყინვალე საკვირველება ვჰყო; ისრაელის შვილები გამოუშვი ჩემთან.— რადგანაც მოსულხარო, ფარაომ უთხრა, რათა საკვირველება ჰყო, მამ ვგახილვებინე, თუ მართალ ხარ.

104. მოსემ თავისი კვერთხი გააგდო და იმ წამსვე ცხად გველად იქცა.

105. მოსემ ხელი გამოიღო უბითგან და სრულიად თეთრი ქმნა მაცურებელთა წინაშე.

106. ფარაოს ერის დიდებულთ დაიძახეს: მოხერხებული თვალთმაქცია!

107. თქვენის ქვეყნითგან თქვენი გაყვანა სურსო, ფარაომ ჰსთქვა: თქვენის ფიქრით რა უნდა ვქმნათ?

108. მათ მიუგეს: მას და მისს ძმასაც აგრეთვე ადროვე და ყველა ქალაქებში დაგზავნე კაცები, რომ შეჰკრიბონ

109. და მოგვარონ, ვინც კი ხელმარჯვე თვალთმაქცია.

110. თვალთმაქცები შეიკრიბნენ ფარაოს წინაშე და ჰსთქვეს: უეჭველია, ჯილდო გვერგოს, თუ ვაჯობეთო?

111. დიახ, უეჭველად, შეიქმნე ჩემის კარის მახლობელთაგანი.

112. თვალთმაქცებმა მოსეს ჰკითხეს: შენ უნდა გააგდო პირველად, თუ ჩვენ?

113. პირველად თქვენ გააგდეთო, მოსემ უთხრა. მათაც გააგდეს და მაყურებელთა თვალნი მოჰხიბლეს და გააოცეს. გასაშტერებელი თვალთმაქცობა გამოიჩინეს.

114. მაშინ ჩვენ უბოძეთ მოსეს ასეთი გამოცხადება: შენი კვერთხი გააგდე და უცხად შთანთქამს იგი გველებად გადაქცეულ სხვა კვერთხებსა.

115. ჭეშმარიტება მართლად თავისი ბრწყინვალეობით გამოჩნდა და თვალთმაქცთა მეცადინეობა გაცუდებულ იქმნა.

116. დამარცხდენ და დამცირებულნი დაბრუნდენ.

117. თვალთმაქცები განერთხნენ ღვთის თაყვანის მცემ მელნი,

118. ამბობდენ რა: გვრწამს ღმერთი, მეუფე ქვეყნისა,

119. უფალი მოსეს და აარონისა.

120. ფარაომ უთხრა მათ: როგორ თუ მორწმუნე გახდით, ვიდრე ნებართვას მოგცემდით? ეგ ეშმაკობა წინდაწინვე მოგიხერხებიანთ ქალაქში, რათა მცხოვრებნი გაგეყვანათ. მალე ნახათ.

121. ვბრძანო ხელ-ფეხი დაგაქრან თითო ცალ ცალმხრივ, ხოლო შემდეგ ყველანი ჯვარს გაცვან.

122. მიუგეს: ყველანი ჩვენს უფალთან უნდა მივიქცეთ.

123. გწადია, შური გვიგო, რადგანაც ღვთის სასწაულებს ვერწმუნეთ. უფალო, სიმტკიცე მოგვმადლე და ბრძანებ რათა შენის ნების მინდობილი (მუსულმანი) დავიხოცოთ.

124. ფარაოს სამეფოს დიდებულთა უთხრეს მას: მოსე და მისი ერი უნდა გაუშვა, რათა ქვეყანაში უწყესობა ჩაიდინონ და შენი ღმერთებიანა დაგტოვონ? მაშ! ფარაომ უპასუხა, მათი ვაჟიშვილები დავხოცოთ და მხოლოდ მათი ქალიშვილები დავარჩინოთ; ამნაირად გავიმარჯვოთ მათზე.

125. მოსემ მაშინ უთხრა თავის ერსა: ღმერთს შველას ევედრეთ და ელოდეთ; ვინადგან ღვთისაა ქვეყანა, რომელსაც მიანიჭებს სამკვიდროდ თავის მსახურთა შორის მას, ვისაც ინებებს. მომავალი ცხოვრება ჯილდოდ ექმნესთ მათ, რომელთაც ეშინიანთ.

126. თქვენამდე შევიწროებულ ვიყავითო, უპასუხეს, და ეხლაცა ვართ. ღმერთს შეუძლია თქვენი მტრები ამოაგდოს, მოუჭრა მოსემ, და მათის ქვეყნის მემკვიდრედ გყოთ, რათა იხილოს, თუ თავი როგორ დაიჭიროთ.

127. ფარაოს ხალხთ უკვე ვაგრძობინეთ უნაყოფობა და ნაკლებულება ხორაგეულობისა, რათა გულის ხმა ეყოთ.

128. შემდეგ როცა ბედნიერება მივანიჭეთ, ამბობდენ: აი ეს ჯერ არს ჩვენდამიო. თუ რამ უბედურება შეემთხვათ, მიაწერენ მოსეს ბედშობას და მათსაც, რომელნიც მას მიჰსდევენ. მათი ბედშობა ღვთისაგან მოდის, მაგრამ მომეტებულ ნაწილს კი არ გაეგება.

129. მოსეს უთხრეს: სასწაულებს ამაოდ მოგვიტან ჩვენ მოსახიბლავად, არ დაგიჯეროთ.

130. მაშინ მათ თავს მოვაველინეთ რღვნა, კალია, ჭიანჭღები, ბაყაყები და სისხლი, ცხადი სასწაულები; მაგრამ ამაცობით თავს გავიდენ, ვინადგან დამნაშავე იყვნენ.

131. ყოველთვის, როცა კი ჭირი რამ შეუდგებოდათ; მოსეს ეტყოდენ: შენს ღმერთს მოუწოდე, აღთქმისამებრ, რომელიც იმისთან დაჰსდევი. თუ ამ ჭირს გადაგვარჩინე, გერწმუნოთ და ისრაელის შვილები შენთან გამოუშვათო. მაგრამ რაკი ჭირისაგან ვიხსენით და წინეთ დანიშნული ვადაც გასულიყო, თავიანთი სიტყვა გაჰსტებეს.

132. ჩვენ უგეტა შური იმ ხალხსა და ზღვაში დავარჩეთ; რადგანაც ჩვენი სასწაულები სიცრუედ ჩაჰსთვალა და ყურიც არ ათხოვა.

133. ჩვენ უბოძეთ უძღურებს-სამკვიდროდ ქვეყნები აღმოსავლეთით მსოფლიოსა და ჩვენი კურთხევა მოვიღეთ მათზე. შენის უფლის ჩინებული აღთქმა ისრაელის შვილთადმი აღსრულდა, რადგანაც მტკიცედ იყვნენ. ნაღვაწი და ნაშენი ჩვენ დაუქციეთ ფარაოსა და მის ერსა.

134. ისრაელის შვილებთან ერთად ზღვაში გავედით და ქვეყანაში ჰპოვეს კერპების მალმერთებელი ხალხი. მოსე! ის-

რაელებმა ჰსთქვეს, ისეთი ღმერთები დ გვიკეთე, ამ ხალხს რო ჰყავსო. უმეცარი ხალხი ყოფილხართო, მიუგო მოსემ.

135. თაყვანისცემა, რომელსაც იგინი აღიარებენ, დასაქცევია, ხოლო მათი საქმენი ამაო არიან.

136. განა მოვიპოოთ სხვა ღმერთი თვინიერ ღვთისა, რომელმაც ყველა ხალხების უმაღლეს აგწიათ?

137. მოიგონეთ, რომ გაგათავისუფლეთ ერისაგან ფაროსა, რომელიც შევიწროებით გჩაგრავდათ, რომელიც ვაჟიშვილებს გიხოცდათ და მარტო ქალიშვილებს ვიტოვებდათ. მძიმე განსაცდელი იყო თქვენის უფლისაგან.

138. მოსეს ვინახულვდით ოცდაათის ღამის განმავლობაში და სხვა ათი ღამეც დაუმატეთ ჩვენ, ისე რომ დრო იმის ხლებისა ღმერთთანა ორმოცი ღამე იყო. მოსემ მაშინ უთხრა თავისს ძმას აარონსა: იყავ ჩემნაცვლად ჩემის ერის წინაშე, მოიქეც სამართლიანად და ნუ შეუდგები უკეთურთა კვალსა.

139. როცა მოსე მივიდა დანიშნულ ჟამსა და ღმერთიც ეზრახა, ღმერთს მოახსენა: უფალო, მეჩვენე, რათა გიხილო. ვერ მიხილო, სიტყვა ჩამოართვა; უმჯობესია, მთას შეხედო; თუ თავის ადგილსვე უძრავად დარჩა, მიხილო. ხოლო ღმერთი გამოცხადდა თუ არა მთაზე, მტვრად აქცია. მოსე პირქვე დავარდა მიწაზე უგრძობლად.

140. გონს მოეგო თუ არა, ღალად ჰყო: დიდება შენდა! შენდამი მოვიქცევი სინანულით გამსჭვალული და მორწმუნეთა შორის პირველ ვარ.

141. მოსე! უფალმა ჰსთქვა, ყველა კაცთა წინაშე უპირატესობით ავირჩიე, რათა ჩემი უწყება და ჩემი სიტყვა მიიღო. აიღე, რასაც გაძლევ, და იყავ დამნახავ.

142. ჩვენ გამოუსახეთ მას, ფიცრებზე, ყოველგვარი მცნება და ყოველის საგნის დაწვრილებული განმარტება. სიმტკიცით მიიღე და შენს ერს უბრძანე მათი დამარხვა თავის გასაუმჯობესებლად. ცოდვილთა სამკვიდრო გაჩვენო.

143. ჩემი მოძღვრება მოვაშორო მათ, რომელნიც უსა-

მართლოდ გაამპარტავნდენ ქვეყანაზე, რომელთაც ყველა ჩემი საკვირველმოქმედება იხილონ და არ იწამონ, რომელთაც ქვეშარიტი კვალი იხილონ და თავიანთ გზად არ მიიჩნიონ და რომელთაც შეცდომის გზა რა შენიშნონ, თავიანთ გზად მიიჩნიონ.

144. ასე იქმნეს, რადგანაც ჩემი სასწაულები სიცრუედ ჩაპსთვალეს და ყურსაც არ ათხოვებდენ.

145. ნამოქმედარი მათ, რომელნიც ჩემს სასწაულებს სიცრუედ აგდებენ და რომელთაც მომავალი ცხოვრება არა ჰსწამსთ, წმინდად დაეღუბოსთ. განა უნდა დაჯილდოვდენ სხვებრ, თუ არ მისებრ, როგორც მოიქცნენ?

146. მოსეს ერმა მოილო, მის სხვაგან ყოფნის დროსა, ხბო, ოქროს სამკაულთაგან ქმნილი, ხბო, რომელიც, სხეულის მქონე, ბლადა. ვერ ხედავდენ, რომ არ შეეძლო მათთან ლაპარაკი, არც მათი წარმართება წრფელის გზით?

147. ხბო იგი თაყვანსაცემად მოიღეს და უსამართლოდაც მოიქცნენ.

148. ხოლო როცა შეინანეს და თავიანთი შეცდომაც შეიტყეს, ღალად ჰყვეს: თუ ჩვენმა უფალმა არ გვიღებდა და თუ ჩვენნი შეცოდებანი არ მოგვიტევა, დავიღუპებითო.

149. მოსე დაბრუნდა თუ არა თავის ხალხთან, რისხვითა და მწუხარებით აღსავსემ ღალად ჰყო: საზარლობა რამ ჩაგიდენიათ ჩემ სხვაგან ყოფნაში! ნუ თუ გინდათ, ღვთის საქმე დააჩქაროთ? სჯულის ფიცრები დაჰყარა, თავისს ძმას თავში ხელი წაავლო თვისდამი მოსაწევად. ძეო დედიჩემისაო! აარონმა ჰსთქვა, ერმა წამართვა ყოველი ძლიერება; კნინდა მომკლა მაგისტვის; ნუ ახარებ ჩემს მტრებს ჩემის სასჯელის ჰვრეტითა, და ნუ ჩამაგდებ არაწმინდებში.

150. უფალო! ღალად ჰყო მოსემ, მომიტევე მე, ჩემს ძმასაც ადგილი მოგვეც შენის წყალობისამებრ, ვინადგან ყოვლად მოწყალე ხარ.

151. ვინც ხბოს თაყვანი ჰსცეს, თავს დაიტეხონ მისი

რისხვა და უპატიურება ამ ქვეყნად. ასე მივაგოთ მათ, რომელნიც სიკრუესა ჰსჭედენ.

152. ვინც ცუდ საქმეს ჩაიდენენ რა, მიიქცევიან ღვთის შიშართ და იწამებენ... ღმერთი მოწყალე და შემბრალეველ ეყოლოს.

153. როცა მოსეს გულის წყრომამ გაუარა, აკრიფა სჯულის ფიცრები. ზედ გამოსახული ასოები შეიცავდა წარმართებას და წყალობას მათთვის, რომელთაც უფლის ეშინიათ.

154. მოსემ ხალხში ამოარჩია სამოცდაათი კაცი, რათათა გამოცხადებულებიყვნენ ჩვენს წინაშე. ძლიერმა მიწის ძვრამ თავზარი დასცათ. მოსემ ღაღად ჰყო: უფალო, ამ დღემდე შეგეძლო მათი ამოწყვეტა და ჩემიცა მათთანა. ნუ თუ დაგვლუბო ყველა ზოგიერთ უგუნურთა ცოდვების გულისთვის? იგი იყო ერთი იმ განსაცდელთაგანი, რომლითაც გზას აადენ, თუ ზედ დააყენებ, ვისაც ინებებ. ჩვენდა მფარველ ხარ მოგვიტევე შეცდომანი და შეგვიწყალე; უმჯობეს ხარ მათ შორის, რომელნიც მიუტევებენ.

155. საჩინო კერძი დაგვინიშნე სააქაოსა და საიქიოს; აი შენღამი მოქცეულ ვართ სინანულით აღსავსენი. — ჩემი სასჯელიო, ღმერთი შეეცილა, ვინც ვინებო, იმას ეწიოს; ჩემი მოწყალება ყველაფერს გარემოიცავს; შენახული მაქვს მათთვის, რომელთაც ეშინიათ; რომელნიც სამოწყალოს გაჰსცემენ და რომელთაც ჩემი სასწაულები ჰსწამსთ;

156. რომელნიც შეუდგებიან მოვლინებულსა, უსწავლელ წინასწარმეტყველსა, და მცოდნე ჰპოონ იგი თავიანთ წიგნებში, დაბადებასა და სახარებაში: წინასწარმეტყველსა, რომელიც კეთილს ამცნებს მათ და უკეთურს დაუშლისთ; რომელიც ჩინებულ საქმელთა ხმარებას აუხსნის და უწმინდურ საქმელებს შეუკრავსთ; რომელიც ტვირთს შეუმსუბუქებსთ და და შემაჭირვებელ ბორკილებს აჰყრისთ. ვინც მას დაუჯერებს, ვინც მას განაძლიერებს, ვინც მას მიეშველება და მაზედ გადმოსულ ნათელს შეუდგება, ის ხალხი ცხონდეს.

157. მათ უთხარი: კაცო! ღვთის მოციქული ვარ, თქვენ ყველას წინაშე მოვლინებული;

158. იმ ღვთისაგან, რომელსაც ეკუთვნის ცა და ქვეყანა; სხვა ღმერთი არა არს მისა თვინიერ. იგია მაცოცხლებელიცა და მომაკვდინებელიც. გრწამდესთ ღმერთი და მისი მოვლინებული, უსწავლელი წინასწარმეტყველი, რომელსაც ჰსწამს აგრეთვე ღმერთი და მისი სიტყვა. მას შეუდექით და ქეშმარიტს გზაზედ იქმნეთ.

159. მოსეს ერში არიან უწყებულ რიცხვდნი, რომელნიც ქეშმარიტებას თავიანთ წინამძღოლად მიიღებენ და რომელნიც სამართლიანობას იღვაწებენ.

160. ისრაელები თორმეტ ცალცალკე ტომად დაყავით, და მოსეს, რომელიც წვიმას გვევდრებოდა, ჩვენ განუცხადეთეს სიტყვები: კლდეს დაჰკარ შენი კვერთხი; კლდესაც თორმეტი წყარო გადმოსკდა. თვითოეულმა ტომმა იცოდა, თუ რომლისაგან უნდა დარწყულებულიყო. შემდეგ მათ თავთაზემოღრუბელი ვაცორვეთ და მანნა და მწყერი მოუვლინეთ მათ. თავი ისაზრდოეთ ჩინებულის ნივთიერებითა, რომელსაც მოგანიჭებთ. ჩვენ კი არ გვიყვეს ბოროტი, არამედ თავიანთ თავსა.

161. მათ ეუბნებოდენ: ამ ქალაქში იცხოვრეთ და თავი ირჩინეთ მისი მოსავლითა, როგორც გნებავდესთ. თქვენის ცოდვების ახსნა ითხოვეთ და როცა ქალაქის კარებში შედიოდეთ, განერთხენით თაყვანისცემის ნიშნად. მაშინ ცოდვები მოგიტეოთ და ვამრავლოთ სიმდიდრე მათი, რომელნიც კეთილს შერებიან.

162. ხოლო მათ შორის უკეთურებმა დასხეს სხვა სიტყვები მათ მაგიერ, რაც ებრძანათ. მაშინ მათ თავს მოვავლინეთ ზეციერი სასჯელი მათის უკეთურობის სასყიდლად.

163. მათ ჰკითხე ზღვის პირად მდებარე ქალაქისა, რომლის მკვიდრთაც შაბათი გაჰსტეხეს, როცა შაბათ დღესა თევზები ზედა პირზე ჩნდებოდენ და სხვა დღეებში კი ჰქრებო-

დენ. ასე ვცდიდით იმათ, მიტომ, რომ მოლალატე იყვნენ.

164. ერთი ნაწილი მათგანი ეუბნებოდა მათ, რომელნიც ბოროტებს შეაგონებდნენ: რად უქადაგებთ იმ ხალხს, რომელიც ღმერთმა უნდა ამოაგდოს, ანუ საშინელის სასჯელით დაჰსაჯოს? მიტომ რომ თავის გასამართლებელი ჰქონდესთ ღვთის წინაშე და მისიც ეშინოდესთ.

165. რა კი უკეთურებმა რჩევა იგი დაივიწყეს, ჩვენ გადავარჩინეთ, ვინც ბოროტის ჩადენას უშლიდენ მათ, ხოლო ბოროტებს თავს ზარი დავეციოთ საშინელის სასჯელითა, მათის არა წმიდობის სასყიდლად.

166. როცა გადახდენ მას, რის გადახდომაც აკრძალული ჰქონდათ, ჩვენ უთხარით მათ: მაიმუნებად იქეციოთ და მიედინეთ ზღვად. შენმა უფალმა მაშინ გამოაცხადა, იმიერთგან მკვდრეთით აღდგომამდე, მათ წინააღმდეგ გამოვგზავნო ხალხი, რომელმაც საშინელი უბედურება განაცდევინოს; ვინაღვან შენი უფალი მოსწრაფეა თავისი სასჯელითა, მაგრამ მოწყალე და შემბრალებელიც არი.

167. ქვეყანაზე დავანაწილეთ და ხალხებად დავყავით იგინი. ზოგიერთნი მათგანნი ქველ არიან, სხვები კი არა. კეთილითა და ბოროტით გამოვცადეთ იგინი, რათა ჩვენდამი მოქცეულიყვნენ.

168. ცუდნი მოადგილენი ემემკვიდრნენ მათ; წიგნის (დაბადების) მემკვიდრე არიან და ამ ბედითის წუთისოფლის განხრწნად კეთილს მიიღებენ თავიანთი არაწმიდობის სასყიდლად და იტყვიან, გვეპატიოსო; მერმე კიდევ, თუ კი რამ ხელახლა მიართვეს, იმასაც მიიღებენ აგრეთვე. განა არ ჩამოერთვათ საჯარო პირობა, პაემანი წერილისა, როდესაც ებრძანათ, ღვთის ილაპარაკონ მხოლოდ ქეშმარიტება? იგინი (აწინდელი ურიები) მასთანვე ჰსწავლობენ, რასაც წერილი შეიცავს; ხოლო საიქიოს სამყოფი რომ მეტად უღირსთ ღვთის მოშიშრებს, განა არ იციოთ?

169. მეტად უღირსთ მათ, რომელნიც გულისთ მოჰკი-

დებიან წიგნსა, რომელნიც ლოცვას დაიცვენ; ხოლო ჩვენ, უეჭველია, არ დავკარგოთ მართალთა სასყიდელი.

170. როცა სინას მთა აჩრდილივით მათ თავთა ზემო აღმართეთ, იფიქრეს, თავს დაგვეცემო; მაშინ ჩვენ უთხარით მიიღეთ სჯულის ფიცრები, ჩვენი ბოძებული, მტკიცე გარდაწყვეტილებით, დაიცვათ და გახსოვდესთ, რასაც შეიცვენ; რათა უფლის გეშინოდესთ.

171. მოიგონეთ, რომ ღმერთმა ოდესმე ადამის ძეთა ნაწლევთაგან გამოიყვანა ყველა მათი შთამომავალი და თავიანთვე წინააღმდეგ ამოწმებინა მათ, უთხრა მათ: განა თქვენი უფალი არ ვარ? მიუგეს: დიახ, ვამტკიცებთო — ვყავით, რათა არა ჰსთქვათ მკვდრეთათ აღდგომის დღეს, არაფერი ვიცოდითო.

172. რათა არა ჰსთქვათ: ჩვენი მამები სხვა ღმერთებს უამხანაგებდენ ღმერთსა ჩვენამდე; მათი შთამომავალნი ვართ; ნუ თუ წაგვწყმიდო მათი ნამოქმედარისთვის, ვინც იცრუეს?

173. ჩვენს სასწაულებს ასე ავხსნიოთ; ეგების, ღვთისმართ მიიქცნენ.

174. მათ (ურბებს) მოუთხარ ამბავი მის, რომელსაც სასწაული ვახილვებინეთ და რომელმაც პირი შეაქცია, რათა სატანას შედგომოდა და რომელიც ასე იქმნა შემცდართაგანი.

175. დიახ, ჩვენ რო გვენებებინა, მას ავამაღლებდით იმ საკვირველებით; მაგრამ წუთისოფელს გამოეკიდა და მის გულის-თქმას შეუდგა. იგი ჰგავს ძაღლსა, რომელიც ჰყეფს, როცა ნანადირევს აძლევ და რომელიც მაშინაც ჰყეფს, როცა ჰშორდები. აი რასა ჰგვანან, ვინც ჩვენს სასწაულებს სიცრუედ აგდებენ. მათ განუმეორე მოთხრობა იგი, რათა გულის ხმა ჰყონ.

176- რალაც სიავის მსგავსება აქვსთ მათ, რომელთაც ჩვენი სასწაულები სიცრუედ ჩაჰსთვალეს, მაგრამ სიავეს თავიანთ თავს შეამთხვევენ.

177. ვისაც ღმერთი წარუმართებს, კეთილ წარმართებულთა, ხოლო ვისაც შეაცდენს, დაღუპვილია.

178. ჯანაბისთვის გავაჩინეთ დიდძალი რიცხვი ჯინთა და კაცთა, რომელნიც გულთა მქონებელნი ვერაფერს ჰგრძნობენ, თვალთა მქონებელნი ვერაფერს ხედვენ, ყურთა მქონებელნი ვერაფერს ისმენენ. იგინი არიან, როგორც პირუტყვი და პირუტყვებზედაც უფრო მეტად ჰსცდებიან. ასეთია ის ხალხი, რომელიც ჩვენს სასწაულებს ყურადღებას არ აქცევს.

179. საუკეთესო სახელები ღმერთს ეკუთვნის. ღალად ჰყავთ მისდამი იმ სახელებითა და მოჰშორდით მათ, რომელთაც ამოო სახმარებლად გაუხდიათ ისინი. სასყიდელი მიიღონ თავიანთი ნამოქმედარისთვის.

180. ჩვენ მიერ გაჩენილთა შორის ისეთი ხალხია, რომელიც სიმართლის გზაზედ არის და რომელიც სამართლიანად ირჯება.

181. ვინც ჩვენს სასწაულებს სიცრუედ ჰსთვლიან, ცოტაცოტად გაწყვიტოთ და იმ საშუალებითაც, რომელიც არ უწყოდენ.

182. დადხანს დავაცალო მათ, ვინადგან ჩემი ვერაგობა მტკიცეა.

183. არაბნი ვერ უნდა ჩახვდენ განა, რომ მათი ამხანაგი მუჰამმად ეშმაკეული კი არა, მოციქულია საქვეყნოდ ქადაგებას დავალებული?

184. თვალთა ჩინი რად არ უნდა. მიაპყრან ცათა და ქვეყნის სასუფეველსა და ყველაფერს, რაც ღმერთმა შეჰქმნა, რათა იხილონ, უახლოვდებათ თუ არა აღსასრული? ხოლო სხვა რომელიღა წიგნი უნდა იწამონ, ვისაც კურანი არა ჰსწამს?

185. ვისაც ღმერთმა გზა დაუბნოს, წინამძღოლი ვეღარ იშოოს, ღმერთმა დაჰსტოოს იგი უგნურად მოხატიალეთ.

✓ 186. გკითხონ, თუ საროდოდ დანიშნულ მოწვევანა უამისაო. უთხარი მათ: მისი ცოდნა მხოლოდ ღვთის ხელთ არი. ბორჯს ვერავინ დაუდებს მისა თვინიერ ზეცასაც ისევე უმ-

ძიშს იგი, როგორც ქვეყანას, და მხოლოდ ანაზღეულად მოაწევს.

187. გკითხონ, თითქო რამ იცოდე მისი. უთხარი მათ: მისი ცოდნა ღმერთსა აქვს; მაგრამ კაცთა მეტ ნაწილს ეს ჭეშმარიტება არ გაეგება.

188. უთხარი მათ: უღონო ვარ, ჩემს თავს ვარგო, რაც მიჯობს, ან ავაშორო, რაც მავნებს, თუ მხოლოდ ღვთის ნება არ იქმნება. უკეთუ მცოდნოდა რამე დაფარულ საქმეთა, მდიდარ შევიქმნებოდი და უბედურება ვერავითარი მეწყოდა. მაგრამ მე ვარ კაცი მხოლოდ დავალებული აღთქმის უწყებასა და მორწმუნეთა ერის გაფრთხილებასა.

189. ყველანი გაუჩინებართ ერთის კაცისაგან, რომლისაგანაც დაჰბადა მეუღლე მასთან საცხოვრებლად, მაგრამ რაკი კაცმა იმასთან იცხოვრა, საზიდველ შეექმნა პირველად მსუბუქი ტვირთი და გაუჭირვებლადაც დადიოდა; მერმე კი, როცა ემძიმა, ორთავ მეუღლეთ უფლისადმი ეს ვედრება აღავლინეს: უკეთუ სათნო ძეს მოგვანიჭებ, მადლობა შეგწიროთ.

190 ხოლო როცა ღმერთმა სათნო ძე მიანიჭათ, მეგობრები აუჩინეს ღმერთსა მის მონიჭებულის სამაგიეროდ. მაგრამ ღმერთი მის უმაღლეს ბრძანდება, რომ ამხანაგები აუჩინონ.

191. განა უნდა დაუამხანაგონ ისეთი ღმერთები, რომელნიც ვერაფერს გააჩენენ და თვითონ კი გაჩენილ არიან, რომელნიც ვერაფერში წაადგებიან მათ, ვერც ერთმანერთს დაეხმარებიან?

192. თუ ჭეშმარიტ სარწმუნოებად მოუწოდე მათ, არ დაეხმარონ. მოუწოდებთ მათ, თუ მღუმარე დარჩებით, მათთვის სულ ერთია.

193. ვისაც ღვთის თანასწორ მოუწოდებთ, თქვენებრ მისდა მსახურ იქმნებიან. მაშ ევედრეთ მათ, რათა იხილოთ, გისმენენ თუ არა, თუ გულწრფელ ხართ.

194. განა აქვსთ ფეხები; სასიარულოდ? აქვსთ ხელები

რისამე ასაღებად? აქვს თვალები სახედველად? აქვს ყურები სასმენლად? უთხარი მათ: თქვენს ამხანაგებს მოუწოდეთ, ჩემ წინააღმდეგ ეშმაკობა რამ მოიგონეთ და ნურც ვადას და მინიშნათ. არაფრის მეშინია.

195. ვინადგან ჩემი პატრონი ღმერთია, რომელმაც წიგნი გადმოავლინა და რომელიც მართალთ ჰმფარველობს.

196. ხოლო ვისაც მოუწოდებთ ღვთის თანასწორ, ვერაფერს შემწეობას გაგიწევინ, ვერც ერთმანერთს დაეხმარებიან.

197. თუ ჭეშმარიტ სარწმუნოებად მოუწოდებ მათ, არ გაგიგონებენ; შემოგხედვენ, მაგრამ ვერაფერს იხილვენ.

198. შემგუებელ იყავ, კეთილი ბრძანე და უმეცართ ერიდე.

199. თუ სატანამ რამე შეგაგონოს, თავშესაფარი ღვთის წინაშე ეძიე, ვინადგან ყველაფერი ესმის და უწყის.

200. ვისაც ღვთის ეშინიათ, როცა სატანას მიერ მოჩვენება რამე შეემთხვეს, ღმერთი ახსენონ და წამსვე ცხადმხედველ შეიქმნებიან.

201. მათი ძმები მხოლოდ ახანგრძლივებენ შეცდომილებას და ვერც თავს უფროთხილდებიან.

202. როცა არ უნდა მოუტანოთ მუხლი კურანისა, გეტყვიან: ჯერ არ გიპოვნიაო? უთხარი მათ: მე ვბრძანებ მხოლოდ მის შედგომას, რაც ღვთისაგან გამომეცხადა. ეს არი ცხადი საბუთები თქვენის უფლის მხრით, ეს არი წარმართება, მადლი და დამტკიცება მოწყალებისა მათ მიმართ, ვისაც ეშინიათ.

203. როცა კურანის კითხვაში არიან, ყური ათხოვეთ და მღუმარებით ისმინეთ, რათა ღვთის წყალობა მიიღოთ.

204. ღვთის ფიქრი იქონიე შენს გულში, თავმდაბლობითა და შიშითა, ანუ მალა წარმოსთქვი მისი სახელი, ხოლო ხმის ერთობ აუწევლად, მისი ფიქრი იქონიე დილას და საღამოს, და ნურც გარეწარ იქმნები.

205. ვინც ღვთის წინაშე იმყოფებიან, არ მოჰსცდებიან, მისდამი ვედრება აღავლინონ: მის ქებას ღალადებენ და მის წინაშე განერთხებიან.

თ ა ვ ი VIII.

ნ ა დ ა ე ლ ი

ნაბოძებია მედინეს.—76 მუხლი.

ს ა ხ ე ლ ი თ ა

ღ ვ თ ი ს ა

მოწყალისა და შემწყნარებლისა.

1. ნადავლისა გკითხონ. უბასუხე: ნადავლი ღმერთსა და მის მოვლინებულს ეკუთვნის. უფლის გეშინოდესთ. ეცადეთ, თქვენ შორის დავასბოლო მოულოთ და დაემორჩილეთ ღმერთსა და მის მოვლინებულსა, თუ მისანდო ხართ.

2. მართლ მორწმუნე არიან, ვისაც შიშით გულთ გაემსჭვალებათ, როცა ღვთის სახელს ახსენებენ, ვისაც სარწმუნოება უძლიერდებათ ყოველთვის, როცა კი ჰკითხულობენ მისს სწავლასა, ვინც სასოებას ამყარებენ მხოლოდ თავიანთ უფალზე;

3. ვინც ლოცვას დაიცვენ და წყალობას გაიღებენ იმ კეთილთაგან, რასაც მივანიჭებთ.

4. იგინი არიან მართლ მორწმუნე: ხარისხები (თავიანთი ნამოქმედარისამებრ) დაიჭირონ თავიანთი უფლის წინაშე; მათ და არს უფლისაგან მიტევება და სარჩო უხვებით.

5. მოიგონე ყამი, როცა ღმერთმა გიბრძანა შენის საღვთომითგან გამოსვლა ქეშმარიტების საქადაგებლად და როცა მორწმუნეთა ერთი ნაწილი მხოლოდ უნებურად შეგიდგა;

6. როცა ცილობა გაგიწიეს ქეშმარიტებისათვის, რომელიც ნათლად გამოცხადებულიყო; მხოლოდ უნებურად მოგდევდენ, თითქო სასიკვდილოდ მიჰყავდათო, თითქო უვალით ხედავდენო.

7. უფალმა აღვითქვათ, რომ ორ ჯარში ერთ-ერთი თქვენ

დაგნებდებოდათ; თქვენ ისურვეთ, რომ უძლიერესი არ ყოფილიყო. უფალს კი ჰნებავდა, თავისი სიტყვების ქეშმარიტება დამტკიცებინა და ურჯულოები უკანასკნელამდე გაეწყვიტა,

8, რათა ქეშმარიტება დაემყარებინა და სიცრუე ამოეგდო, კიდევ რო ჯავრი შემოჰსწოლოდათ ცოდვილებსა.

9. როცა უზენაესს შეევედრენით შემწეობასა, გისმინათ. მწედ გექმნეთო, ჰსთქვა, ათიათასის ანგელოზითა, ისე რომ ერთმანერთს განუწყვეტლად მოჰყვენო.

10. ეს პირობა დაგიდვათ, რათა გულის სიხარული და იმედი მოგცემოდეთ, ყოველი შემწეობა ღვთისაგან მოდის, ვინაღდან შემძლებელ და ბრძენია.

11. მოიგონეთ ჟამი იგი, როცა თავისი მხრით უშიშროების ნიშნად ძილად მიგავდოთ მან, როცა ზეცით წყალი გადმოავლინა თქვენდა განსაწმენდელად, თქვენდა გასაცლელად სატანას გულისთქმისაგან, თქვენ გულთა სარწმუნოებით შესაერთებლად და თქვენ ფერხთა განსამტკიცებლად.

12. მაშინ ანგელოზებს უთხრა: თქვენთან ვიქმნე. წადით მორწმუნეთა განსამტკიცებლად. ურჯულოთა გულისა შიშის ზარი დაესცე. ხოლო თქვენ ჰსცემეთ მათ კისერსა და თითის წვერში.

13. ღმერთსა და მის მოვლინებულს გაეყვნენ. ვინც ღმერთსა და მისს მოვლინებულს გაეყოს, ღმერთმა განაცდევინოს, თუ რამდენად საშინელია თავისი სასჯელითა.

14. ასეთია თქვენი სასყიდელი, მოითმინეთ, ცეცხლი გამზადებულია ურწმუნოთათვის.

15. მორწმუნენო! როცა შეხვდეთ წყობით მომავალს მტრის ჯარსა, ლტოლვას ნუ შეუდგებით.

16. ვინც ზურგი შეაქციოს ბრძოლის დღესა, თუ არ ხელახლა საქმის დასაწყებად, ანუ შესაერთებლად, ღვთის რისხვა ეწიოს მას. სამკვიდრებლად ჯოჯოხეთი ექმნეს; რა საზარელი ადგილ საყოფელია!

17. თქვენ კი არა, ღმერთი ჰხოცავს მათ. როცა ისარს.

ჰსტყორცნი, შენ კი არა, ღმერთი ჰსტყორცნის, რათა მორწმუნენი კარგის გამოცდილებით გამოჰსცადოს; ვინადგან ღმერთს ესმის და უწყის ყველაფერი.

18. ღმერთი ამას იქმს, მიტომ რომ ურჯულოთა ზაკვის გამქარწყლებელია.

19. გამარჯვება გსურდათ, ურჯულოებო! ხოლო გამარჯვება იგი თქვენ წინააღმდეგ მოიქცა. თუ პირველთა მოიშალეთ ჩვენთან ბრძოლა, თქვენთვის უმჯობეს იქმნეს. თუ დაუბრუნდით, ჩვენც აგრეთვე დაუბრუნდით. თქვენი დიდძალი რიცხვი არაფერად გამოგადგესთ, ვინადგან ღმერთია მორწმუნეებთან.

20. მორწმუნენო! ღმერთსა და მისს მოციქულს დაემორჩილენით; ნურასოდეს დაჰშორდებით მათ. ისმინეთ.

21. ნუ დაემსგავსებით მათ, რომელნიც ამბობენ: თქვენ გისმენთო, მაგრამ კი არ გისმენენ.

22. ქვეყნიერ ცხოველთა შორის ყოველად უმდარეს ღვთის წინაშე არიან ყრუნი და მუნჯნი, რომელთაც არაფერი ესმისთ.

23. ღმერთს რომ იგინი ეცნო რისამე კარგის გამზრახად, სმენას მიანიჭებდა მათ; მაგრამ, უკეთუ ჰქონოდათ, პირს იცეცდენ და დაჰშორდებოდენ მას.

24. მორწმუნენო! ღვთისა და მოციქულის მოწოდებას მიუგეთ, როცა მოგიწოდოსთ მისდამი, რაც სიცოცხლეს გაძლევსთ და იცოდეთ, რომ ღმერთი კაცსა და მის გულსა შორის ჰგვიებს და რომ ერთ დღეს მის წინაშე შეკრებილ უნდა იქმნეთ.

25. განსაცდელის გეშინოდესთ; მარტო უსამართლოებს არ ეწიოს იგი, და იცოდეთ, რომ ღმერთი საშინელია თავისი სასჯელითა.

26. მოიგონეთ, რომ ამ ქვეყანაში სუსტთა და მცირე რიცხველთა გეშინოდათ, თქვენს მტრებს არ ამოეწყვიტეთ, ხოლო ღმერთმა საფარველი მოგანიჭათ; თავისი მეოხებით დაგიცვათ და თქვენის არსებობისათვის იზრუნა. ეგების, მადლობა გადუხადოთ.

27. მორწმუნენო, ღვთისა და მოციქულის მოტყუებას ერიდეთ. თქვენს აღთქმას ტყუილს ნუ დაატანთ, რადგანაც მოძღვრებულ ხართ.

28. იფიქრეთ, რომ თქვენი სიმდიდრე და თქვენი შვილები განსაცდელის მიზეზ არიან და რომ დიდშენიერია ის ჯილდო, რომელსაც ღმერთი გამზადებსთ.

29. მორწმუნენო, თუ უფლის შიში გექმნესთ, უკეთურებს მოგაცილოსთ; თქვენი შეცდომა აღხოცოს, მოგიტეოსთ, ვინაღდან იგია წყალობის უხვად გამღები.

30. როცა ურჯულონი შენ წინააღმდეგ, მუჰამმად, შეთქმულობას განიზრახვიდენ, როცა შენი შეპყრობა, შენი მოკვლა, თუ განძევება ჰსწადდათ, ღმერთმა თავისდა ჯერად მათ წინააღმდეგ იზრახა, და შექველია, ღმერთს ყოვლადვე ემარჯვება შეთქმულების მოხდენა.

31. როცა ჩვენს მოძღვრებას წაუკითხვენ მათ, იტყვიან: გესმენიაო. მსგავსის მოგონება ჩვენ ხელთაც არი. ეგ მარტო ძველთა ზღაპრებია (ძველებური ზღაპრები).

32. როცა ამბობენ: ღმერთო! კურანი თუ ნამდვილად ჭეშმარიტებაა, ჩვენს თავს ქვები აწვიმე ზეცით; სამწუხაროა რამ სასჯელი დაგვათმენინეო.

33. იცოდე, ღმერთი არ დასჯის მათ, ვიდრე მათ შორის იმყოფები; მეტადრე არ დასჯის მათ, როცა მიტევებას ევედრებიან.

34. მაგრამ ღმერთს მათი დასჯა ვერაფერმა დაუშალოს, როცა მორწმუნეები დააშორონ მექას საღვთო ტაძარსა, თუმცა მისდა დარაჯად არ არიან, ვინაღდან ტაძრის დარაჯნი ღვთის მოშიშ არიან; უფროს ერთმა მათ შორის არ უწყის ესა.

35. მათი ვედრება წმინდა სახლში მხოლოდ სტვენა და ხელთა ცემა იყო. ეს სიტყვები გაიგონონ: თქვენის არაწმილობისათვის სასჯელი იგემეთ.

36. ურჯულონი თავიანთ სიმდიდრეს ჰფლანგვენ, რათა

სხვებს ღვთის გზისაგან გადაახვევინონ; სულ შემოაფელანგოსთ. ნაყოფად მწარე სინანული ექმნესთ და ძლეულნიც იქმნენ.

37. ურჯულონი შეკრებილ იქმნენ ჯოჯოხეთში..

38. ღმერთმა ავი კარგისაგან გაჰყოს; ავები ერთად დააქუჩოს, კონად შეჰკრას და ჯანაბის ცეცხლს შეუკეთოს. ბოროტნი მაშინ წაწყმდენ.

39. ურჯულოებს უთხარი, თუ თავიანთ არაწმიდობას ბოლო მოუღეს, ღმერთმა ნამყო აპატიოსთ; ხოლო თუ კვალად ჩაცვივდენ შიგ, აღრინდელ ხალხთა მაგალითი ექმნესთ თავიანთ წინაშე.

40. მათ ებრძოლეთ, ვიდრე განსაცდელი გადგოს და აღარც სხვა მსახურება იქმნეს, თუ არ ერთად ერთის ღვთისა; უკეთუ თავიანთ არაწმიდობას ბოლო მოუღეს, უეჭველია, ღმერთი ყველაფრის მხილველია.

41. უკეთულა ზურგი შეგაქციეს, იცოდეთ, ღმერთია თქვენდა მფარველ: რა მფარველი და რა დამცველი!

42. იცოდეთ, როცა ნადავლი აიღოთ, მისი მეხუთე ნაწილი ეკუთვნის ღმერთსა, წინასწარმეტყველსა, ნათესავებსა, მოძღვრებსა, ღარიბებსა და მგზავრებსა; თუ გრწამსთ ღმერთი, რაც გამოგვიცხადებია ჩვენის მსახურისთვის განსხვავების დღესა, იმ დღეს, როცა ორი ჯარი ერთმანერთს შეხვდა. ღმერთი ყოვლად შემძლეა.

43. მოიგონეთ ის დღე, როცა დაბანაკებულ იყავით მინდვრად უმახლობელეს ხეობასა, ხოლო თქვენი მტრები უშორეს ხეობაში და ქარავანიც ცოტა ქვემოდ. ერთმანერთს რომ შეჰსტაკებოდით, წახდებოდით, მტრის რისხვისაგან შეშინებულნი. მაგრამ თითქოს შემთხვევით შეიყარენით თქვენ, რათა ღმერთს აღესრულებინა თავისი განგებით გარდაწყვეტილი საქმე;

44. რათა წასაწყმედი წამწყდარიყო ზეცის ცხადის სასწაულითა და საცხონებელი ცხონებულოყო იმავე სასწაულითა. ღმერთს მოეხსენება და ესმის ყველაფერი.

45. მოიგონე, მუჰამად! რომ ღმერთმა სიზმარში განახა

მტრის ჯარი რიცხვ ნაქლები. შენთვის რომ დიდძალი ენახე-
ბინა, გამბედაობა დაგაკლდებოდათ ყველას და ცილობას აჰს-
ტეხდით; მან ინება თქვენი დაფარვა. იგია მხილველ მის,
რასაც ადამიანის გული ჰმალავს.

46. როცა მტერს პირისპირ შეხვდით, ღმერთმა თქვენს
თვალში რიცხვნაკლები გამოაჩინა; თქვენს თვალში მათი რი-
ცხვი შეამცირა, რათა აღესრულებინა თავისი განგებით გარდა-
წყვეტილი საქმე. იგია სამზღვარ ყოველის ნივთისა.

47. მორწმუნენო! ოდეს აღჭურვილის ჯარის პირისპირ
იქმნებოდეთ, შეურყეველ იქმენით და უფლის სახელი განუწყ-
ვეტლად განიმეორეთ. კურთხეულ იქმნეთ.

48. ღვთისა და წინასწარმეტყველის მორჩილ იყავით;
ცილობას ნუ აჰსტეხთ, ვინადგან თქვენს გამბედაობას უღონოს
გახდის და წარმატებას დაგაკლებსთ. მტკიცე იყავით, ვინა-
დგან ღმერთი მტკიცეებთან.

49. ნუ იქმნებით მათსავით (მექელთა), რომელნიც ქა-
დილითა და თავის მოწონებით გამოვიდენ სადგომებითგან,
რათა კაცთათვის უფლის გზა დაეკარგვიანებინათ. იგი ხედავს
მათ მოქმედებასა.

50. სატანას კიდევ დაემზადებინა მათთვის მოსაქმედებე-
ლი და უთხრა მათ: „დღეს უძღვეველ ხართ; თქვენდა შემწედ
ვარო“. ხოლო როცა ორი ჯარი შეიყარა, ზურგი მიუშვირა
მათ, რა უთხრა: „არ გავერვევი; მე ვხედავ, რასაც თქვენ ვერ
ხედავთ, შიში მაქვს ღვთისა, რომლის სასჯელნი საშინელ
არიან“.

51. პირმოთენნი და იგინიც, რომელთაც გულს უძღუ-
რება გაჰსჯდომიათ, ამბობდენ მაშინ, თქვენ, მართლმორწმუნე-
თათვის ლაპარაკის დროს: სარწმუნოება იმათ აბრმავებსო. მა-
გრამ ვინც თავისს სასოებას ღმერთზე ამყარებს, იცის, რომ
იგი ძლიერ და ბრძენია.

52. რა სანახავია, როცა ანგელოზები ურჯულოებს სი-

ცოცხლეს მოუღებენ! მათ ჰსცემენ ჰირისახესა და წენში, და უყვირიან: წადით, ცეცხლის სასჯელი იგემეთ.

53. ეს სატანჯველი თქვენ ხელთა ნამოქმედარია, ვინადგან ღმერთი თავის მსახურთა შემაჭირვებელ როღია.

54. მათი ბედი ემსგავსება ფარაოს ხალხისას და იმ ურჯულოებისას, რომელნიც მათ უწინარეს ყოფილან. ღმერთმა იგინი გაჰსწყვიტა მათის უსამართლობის გულისათვის. იგია ძლიერ და თავისი სატანჯველით საშინელი.

55. მიტომ. რომ ღმერთი არ შეჰსცვლის სიკეთეს, რომელსაც კაცთა მიანიჭებს, ვიდრე გული არ გაერყვნებათ. იგი ხედავს და ისმენს ყველაფერსა.

56. მათი ბედი ემსგავსება ფარაოს ხალხისას და მათსაც, რომელთაც მათ უწინარეს უფლის სასწაულები სიცრუედ ჩაჰსთვალეს. იგინი ამოვადგეთ მათის ცოდვების გულისათვის, ხოლო ფარაოს ხალხი დავარჩევთ; არაწმიდები იყვნენ.

57. ქვეყნიერ ცხოველთა შორის ყოვლად უმდარეს ღვთის წინაშე არიან უმადურნი, ურწმუნონი.

58. რომელთადმი ჰირობა დაჰსდევ და რომელნიც მას არღვევენ ყოველ ჟამსა და რომელთაც ღმერთი არა ჰსწამსთ.

59. თუ მოახერხო მათი შეპყრობა ომის დროს, გაჰფანტე მათის ტანჯვის ნახვითა იგინი, რომელნიც მათ შეუღგებნიან, რათა გულისხმა ჰყონ,

60. თუ რომელსამე თემს ღალატობა შეატყო, მსგავსადვე მიაგე. ღმერთს გამცემელი არ უყვარან.

61. ნუ გჯერა, ურჯულოებმა გაიმარჯონ, ვინადგან ღვთის ძლიერებას ვერ დაასუსტებენ.

62. ფეხზე დაყენეთ ყველა ჯარები, რაოდენიც თქვენს ხელთ იყოს, და მხედრობაც, რომ მით შეაშინოთ ღვთის მტრები და თქვენიცა, და კიდევ სხვებიც, რომელთაც ვერ იცნობთ თქვენ, ხოლო იცნობს ღმერთი. ყველაფერი, რაც კი ღვთის გზაზე წარაგოთ, მოგიზღონ თქვენ, და არც შეუარაცხოფილ იქმნეთ.

63. თუ მორიგება ჩამოგიგდონ, შენც დაჰყევ აგრეთვე, და სასოება ღმერთზე დაამყარე, ვინადგან: ესმის და უწყის ყველაფერი.

64. თუ გიღალატონ, ღმერთიც გეყოს: თავისის და მორწმუნეთა დახმარებით გიშველა. იგინი გააერთგულა: ქვეყნის სიმდიდრე მრთლად რო გადაგელია, ვერაფერს გახდებოდი. მაგრამ ღმერთმა შეაერთა იგინი, ვინადგან ძლიერ და ბრძენია.

65. წინასწარმეტყველო! ღმერთი გეყოფა და ის მორწმუნენიცა, რომელნიც შენ მოგჰყვებიან.

66. წინასწარმეტყველო! მორწმუნენი აღძარ საბრძოლველად. ოცმა ძალოვანმა, კაცმა მათ შორის ორასი ურჯულო დააწვინოს. ასმა ათასი გააქციოს, რადგანაც ურჯულოებს არაფერი გაეგებათ.

67. აი თუ როგორ გადავიღებთ ღმერთი საქმესა. მან იცის, თუ რამდენად სუსტ ხართ. ასმა ძალოვანმა კაცმა თქვენ შორის ორას მტერსა ჰსძლიოს და ათასმა ორიათასზე გაიმარჯვოს ნებითა ღვთისა, რომელიც ძალოვან კაცებთან ჰგებს.

68. წინასწარმეტყველს არასოდეს მიჰნიჭებია ტყვეთა წასხმა, ისე რომ ქვეყანაზე დიდი კაცთაკვლა არ ყოფილიყო. თქვენ გინდათ სიკეთე ამა ქვეყნისა, ხოლო ღმერთს ჰნებავეს, საიმქვეყნიო მოგანიჭოსთ. შემძლებელ და ბრძენია.

69. ღვთის ნება თუ წინეთ არ ყოფილიყო, ნადავლისაგან თავს გაიწმენდდით სამწუხარო სასჯელითა.

70. თავი ისაზრდოეთ ნება დართულის: ქონებით, რომელიც მტრებს წაართვით, და უფლის გეშინოდესთ. მოწყალე და შემწყნარებელია.

71. წინასწარმეტყველო! თქვენ ხელთ რომ არიან, იმ ტყვეებს უთხარით: უკეთუ ღმერთმა თქვენ გულთა სიწრფოება იხილოს, სიმდიდრე მოგანიჭოსთ, მისი უძვირფასესი, რომ-

მელიც თქვენთვის წაურთმევიათ, და გაპატიოსთ, რადგანაც მოწყალე და შემწყნარებელია.

72. მაგრამ თუ მათ (ტყვეებს) გამცემლობა ჰსწადიათ, ხომ უწინაც ღვთის გამცემელ ყოფილან; იცოდე, ღმერთმა ჩაგაბარა ივინი, ხოლო ღმერთი მეცნიერ და ბრძენია.

73. მორწმუნენი, რომელთაც თავიანთი კერა დაჰსტოონ, რათა ღვთის გზით იომონ თავიანთი ქონებისა და თავიანთი თავისათვის, ივინი, რომელთაც წინასწარმეტყველს თავშესაფარი მიჰსცეს და საქმეში დაეხმარნენ, მიჩნეულ იქმნენ როგორათაც ერთმანერთის ნათესავები. ვინც ირწმუნეს და კი ვერ გაიხიზნენ, ნათესაობის კავშირის არაფერი ექმნესთ, ვიდრე იმათაც არ დაჰსტოონ თავიანთი კერა. ხოლო თუ სარწმუნოების გულისთვის დახმარება გთხოონ, გაუწიეთ, თუ მხოლოდ თქვენ მოკავშირეთა წინააღმდეგ არ იქმნეს. ყოვლად ზენარი იხილავს თქვენს მოქმედებასა.

74. ურჯულოები ერთმანერთს შემწეობას აძლევენ. თუ იმნაირადვე არ მოიქეციოთ, უწესოებამ და დიდმა უბედურებამ შეიპყროს ქვეყანა.

75. ვინც ირწმუნეს და თავიანთი კერა დაჰსტოვეს ღვთის გზაზე საბრძოლველად, ვინც წინასწარმეტყველს თავშესაფარი მიჰსცეს და დაეხმარნენ, მართლმორწმუნე არიან. მიტევა უფლისაგან და უხვად სიკეთე მიენიჭებათ სიმართლისამებრ.

76. ვინც ირწმუნეს და შემდგომ გაიხიზნენ და ვინც ღვთის გზაზე იბრძვიან, თქვენის საზოგადოების მონაწილე არიან. ხოლო სისხლის კავშირით შეერთებული ხალხი ერთმანერთის უფრო მახლობელია; აი რა ჰსწერია ღვთის წიგნში. ხოლო ღმერთმა ყველაფერი უწყის.

თ ა ვ ი X

თავისუფლება, ანუ სინანული.

ნაბოძებია მედინეს—130 მუხლი.

1. აი თავისუფლების გამოცხადება ღვთისა და მისი წინასწარმეტყველის მიერ მათდამი კერპთაყვანისმცემელთა შორის, ვისთანაც კავშირი შეგიკრავთ.

2. მორწმუნენო, მგზავრობდეთ ქვეყანაში ოთხის თვის განმავლობაში უშიშრად და იცოდეთ, ღმერთს ვერ აჯობოთ და ღმერთმა კი ურჯულოები მოიცვას კდემულობითა.

3. აი გამოცხადება ღვთისა და მისი წინასწარმეტყველის მიერ, კაცთადმი მიმართული დიდის მწირობის დღისათვის. ღმერთი თავისუფალია ყოველის ხელშეკრულობისაგან კერპთაყვანისმცემელთა მიმართ, აგრეთვე მისი მოციქულიცა. თუ მორჯულდეთ, სამჯობინაროდ დაგირჩესთ; თუ პირი იბრუნოთ, იცოდეთ, ღმერთს ვერ აჯობოთ. სავალალო სასჯელი აუწყებთ, რომელთაც არა ჰსწამსთ.

4. ეს მაინც არ შეეხება კერპთაყვანისმცემლებსა, ვისთანაც პირობა რამ დაგიდვიათ და ვისაც არ შეუშლიათ, არც არავისთვის აღმოუჩენიათ დახმარება თქვენ წინააღმდეგ. სარწმუნოდ დაიცევით მათდამი დადებული პირობა მართლად მისი ვადის განმავლობაში. ღმერთს უყვარან მესი მოშიშნი.

5. წმინდა თვეები რო გავიდეს, კერპთაყვანისმცემელნი დაჰხოცეთ ყველგან, სადაც ნახოთ, დაატყვევეთ, გარშემოერთყით და უდარაჯეთ ყოველ საფარში; ხოლო თუ მორჯულდენ, ლოცვა დაიკვან, სამოწყალო გაიღონ, მაშინ მოასვენეთ, ვინადგან ღმერთი მოწყალე და შემბრალეებელია.

6. თუ ვინმე კერპთაყვანისმცემელმა თავშესაფარი გთხოვს, აუჩინე, რათა შეეძლოს ღვთის სიტყვის მოსმენა, შემდეგ წააყვანიე ეს გემცნო, ვინადგან ივინი არიან უცოდინარი ხალხი.

7. როგორ შეეძლო პირობა რამ ჰქონოდა ღმერთთან, მის მოციქულთან და კერპთაყვანისმცემლებთან მათგარდა, ვისთანაც ხელშეკრულობა დაგიდგიათ წმინდა სალოცავის წინაშე? რამდენადაც სჯულიერად მოგექცნენ თქვენ, მათაც მოექცეცით იმდენადვე სჯულიერად. ღმერთს უყვარან მისი მოშიშნი.

8. იმ ხელშეკრულობას როგორღა შეინახავდნენ? თუ გაიმარჯვეს, ყურსაც არ ათხოვებენ არც სისხლის კავშირსა, არც დადებულს ფიცსა. პირით თანამგრძნობელ არიან, გული კი არ უთქვამსთ. მომეტებული ნაწილი მათ შორის სჯულგადამავალია.

9. ღვთის მოძღვრებას მდარე ფასად ჰყიდიან და მის კვალს სხვებსაც აკარგვინებენ. რა უკეთურია მათი საქმეები!

10. ყურს არ ათხოვებენ სისხლის კავშირსა, არც დადებულს ფიცსა მორწმუნეებთან მისვლა-მოსვლის დროსა, რადგანაც უსამართლო არიან.

11. ხოლო თუ მორჯულდენ, თუ ღოცვა აღასრულებს, თუ სამოწყალო გაიღეს, თქვენდამი ძმებ იქმნენ სარწმუნოებითა. ჩვენ განუმარტებთ გარკვევით ჩვენს მოძღვრებას მათ, რომელნიც გულის ხმას ჰყოფენ.

12. თუ სიტყვა გაჰსტეხეს ხელშეკრულობის შემდეგ და თუ თქვენი სარწმუნოება შეაჭირვეს, შეესიენით ურჯულოთა წინამძღოლებს (რადგანაც წმინდა ფიცი არ გააჩნიათ), რათათავიანთ ძვირის მოქმედებას ბოლო მოუღონ.

13. ნუ თუ არა უნდა შეებრძოლოთ იმ ხალხსა, რომელმაც თავისი ფიცი გაჰსტეხა, რომელიც ღონეს ეძებს, თქვენი წინასწარმეტყველი გააგდოს? თავს დამსხმელ იყვნენ იგინი. ნუ თუ გეშინიათ მათი? ღმერთი უმეტესადრე ღირსია, მისი გეშინოდესთ, თუ მორწმუნე ხართ.

14. მათ შეებრძოლეთ, რათა ღმერთმა თქვენის ხელითა დასაჯოს იგინი და სირცხვილეულ ჰყოს, რათა გაგამარჯვებინოსთ იმათზე და მორწმუნეთა გული განეკურნოსთ;

15. რათა ურჯულოებს გულის რისხვა გაუქარწყლოს.

ვინცა ჰნებავს, ღმერთი მას ულხენს, ვინადგან მეცნიერ და ბრძენია.

16. ნუ თუ გგონიათ, მიტევებულ იქმნეთ, ვითომც და ღმერთი არ იცნობდეს მათ თქვენ შორის, ვინც იბრძვიან და ვინც არ ეძიებენ სხვას, თუ არ ღვთისა, მის მოციქულისა და მორწმუნეთა კავშირსა? ღმერთმა უწყის, რასაც შვრებით.

17. ხოლო ურჯულოებმა რად უნდა იარონ ღვთის ტაძარში, როცა თვითონვე არიან თავიანთი ურჯულოების მოწმე? მათი საქმენი შეურაცხ იქმნენ, ხოლო მათ დაჰყონ ცეცხლში საუკუნოდ?

18. ღვთის ტაძრებში იარონ მარტო მათ, რომელთაცა ჰსწამსთ ღმერთი და უკანასკნელი დღე, რომელნიც ლოცვას დაიცვენ და სამოწყალოს გაიღებენ და რომელთაც მხოლოდ მისი ეშინიათ; ეგება, წარემართონ ქეშმარიტის გზითა.

19. განა უნდა მიიჩნიოთ, ვინც წყალს აწვდიან მწირთა და საღვთო სალოცავს მიმოიხილვენ, მის თანასწორ, რომელთაც ღმერთი ჰსწამსთ და უკანასკნელი დღე, რომელიც ღვთის გზით იბრძვის? არა, თანასწორ არ იქმნენ ღვთის წინაშე. ღმერთი არ წარუმართებს უკეთურთა.

20. ვინც თავიანთი ქვეყანა დაჰსტოვეს, ვინც იბრძვიან ღვთის გზაზე თავიანთი ქონებითა და თავიანთი კაცებითა, ღვთის წინაშე უმაღლესი ხარისხი დაიჭირონ. ცხონებულ იქმნენ.

21. უფალი აუწყებს მათ თავისს მოწყალებასა, თავისს კმაყოფილებასა და წალკოტებსა, სადაც მუდამ ჟამს სიტკბოება იხშიონ.

22. იქ იცხოვრონ საუკუნოდ, სამარადისოდ; ვინადგან ღვთის ხელთ არი აუარებელი სასყიდელი.

23. მორწმუნენო! თქვენს მამებსა და თქვენს ძმებს ნუ დაიშვებობრებთ, თუ სარწმუნოებას ურჯულოება ურჩევნიათ, ვინც იურჰებენ, უკეთურ იქმნებიან.

24. თუ თქვენი მამები და თქვენი შვილები, თქვენი ძმები და თქვენი ცოლები, თქვენი ნათესაობა და ქონება, რომელიც შე-

გიძენიათ, და აღებმიცემობა, რომლის მოშლა გაშინებსთ, და სადგომები, სადაც ჰსიამოვნებთ, უფრო გექვირფასებათ, ვიდრე ღმერთი, მისი მოციქული და საღვთო ომი, დაიცადეთ, იხილოთ ღმერთი, მომავალი თვითონვე თავისი საქმის აღსასრულქებად. ღმერთი არ წარუმართებს უკეთურთა.

25. ღმერთი მრავალს შემთხვევაში დაგეხმარათ, ჰონეინის დღესა, როცა შეგროვილიყავით დიდძალ რიცხვად, რომელიც არაფრად გამოგადგათ: თუმცა ვრცელ იყო, ადგილი მაშინ გვეიწროათ, პირი იბრუნეთ და გაიქეცით.

26. შემდგომ ღმერთმა თავისი მფარველობა გადმოავლინა თავის მოციქულსა და მორწმუნეებზე; ჯარი გადმოავლინა თქვენგან უხილავი და დასაჯა იგინი, რომელთაც არ ჰსწამდათ. ეს არი ურჯულოთა სამაგიერო.

27. შემდეგ ამისა ღმერთმა ულხინოს, ვინცა ინებოს, ვინადგან მოწყალე და შემწყნარებელია.

28. მორწმუნენო! ვინც უამხანაგებენ (სხვა ღმერთებს ღმერთსა), უწმინდურ არიან; ეს წელიწადი რო გავა, საღვთო სალოცავს არ უნდა დაუახლოვდენ. თუ სილატაკის შიში რამ გექმნესთ, ღმერთმა მდიდარ გყოსთ თავისი წყალობის საუნჯეთაგან. ბრძენ და მეცნიერია.

29. ბრძოლა გაუმართეთ მათ, რომელთაც არა ჰსწამსთ ღმერთი, არც უკანასკნელი დღე, რომელნიც არ მიიჩნევენ აკრძალულსავეთ მას, რაც ღმერთმა და მისმა მოციქულმა აკრძალეს, და მათაც წერილის ხალხთა შორის, რომელნიც არ აღიარებენ ჭეშმარიტების სარწმუნოებას. ბრძოლა უყავით მათ, ვიდრე ხარკს გაღიხდიდენ ყველანი გამოუკლებლივ და დამცირებულ იქმნებოდენ.

30. ურიები ამბობენ: ოზაირ ძე ღვთისა არისო. ქრისტიანები ამბობენ: მესია ძე ღვთისა არისო: ასეთია მათ პირთა სიტყვები, იგინი ემსგავსებიან, ამის მეტყველნი, უმანდელ ურჯულოებსა. ღმერთმა იომოს იმათზე. რა ცრუ არიან.

31. თავიანთი მწიგნობრები, თავიანთი ბერები და მარი-

ამის ძე მესსია ღვთის უმეტეს, თავიანთ ბატონებად მიიჩნიეს; თუმცა ებრძანათ თაყვანისცემა მხოლოდ ღვთისა, რომლის თვინიერ არა არს სხვა ღმერთი. შორს მის დიდებისაგან ღმერთები, რომელთაც მას უამხანაგებენ!

32. მათა ჰსურსთ თავიანთი პირით ნათელი ღვთისა ჩააქრონ; მაგრამ ღმერთს კი ჰსწადია უფრო სრულ ყოფა თავისი ნათლისა, თუნდაც რო ურჯულოებს ჯავრი მოუვიდესთ!

33. თავისი მოციქული მოავლინა წარმართებითა და ჭეშმარიტის სარწმუნოებითა, მათდა დასაყენებლად ყოველის სხვა სარწმუნოების უმაღლეს, თუნდაც რო ჯავრი მოუვიდესთ კერბთაყვანისმცემლებსა.

34. მორწმუნენო! მწიგნობრებისა და ბერების დიდძალი რიცხვი ოხრად შუამს სხვების ქონებას, და ხალხს გადაახვედნებენ ღვთის გზისაგან. სამწუხარო სასჯელი აუწყე მათ, რომელნიც ოქროსა და ვერცხლს აგროვებენ, და ღვთის გზაზე კი არ წარაგებენ.

35. იმ დღეს, როცა ჯანაბის ცეცხლი თავს მოედვასთ, ცეცხლის დაღები აღებეჭდოსთ იმ ოქროთი და იმ ვერცხლითა შუბლებსა, ფერდებსა და წენებზე და უთხრან მათ: აი რაც თქვენ თვითონვე შეჰკრიბეთ თქვენის თავისთვისაო. იგემეთ, რაც შეჰკრიბეთ.

36. თვეთა რიცხვი თორმეტია ღვთის წინაშე, იმდენივეა ღვთის წიგნში, იმ დღეს აქეთ, რაც ცანი და ქვეყანა გაუჩენია. ოთხი იმ თვეთაგანი წმიდა არი; სამარადისოდ საწამებელია. იმ თვეებში თქვენს თავს უსამართლოდ ნუ მოექცევით, მაგრამ კი ებრძოლეთ კერბთაყვანისმცემლებსა ყველა თვეებში, რადგანაც ივინიც გებრძვიან ყოველ ჟამსა, ხოლო იცოდეთ, ღმერთი იმყოფება მათთან, რომელთაც მისი ეშინიათ.

37. სხვა დროისთვის წმინდა თვეების გადატანა ურჯულოების სართია, დაწესებაა მის, რაც ასეთი არ არი და უკუღმართია. ურჯულოები გზა დაკარგულ არიან. ერთს წე-

ლიწადში ნებას მიჰცემენ თავსა, მეორე წელიწადში კი აიკრძალვენ, რათა ღვთის მიერ წმინდად გამოცხადებულ თვეთრიცხვი აღასრულონ, ასე რომ აწესებენ მას, რაც ღმერთმა აკრძალა. მათი ბოროტი საქმეები სატანასაგან არის მათთვის განგებ გამზადებული, ვინადგან ღმერთი არ წარუმართებს ურჯულოთა.

38. მორწმუნეო! როცა თქვენ გითხრეს, წადით ღვთის გზით იბრძოლეთო, რა დაგემართათ, რომ წელმოწყვეტილობა და თითქოს მიწის სიყვარული დაგეტყოთ? ამა სოფლის ცხოვრება გირჩევენიათ ყოფად ცხოვრებას; სააქაოს სიტკბოება სულ არაფერია ყოფად ცხოვრებასთან შედარებით.

39. თუ საბრძოლველად არ წახვიდეთ, ღმერთმა დაგსაჯოსთ სამწუხარო სასჯელითა; სხვა ხალხს განაცვალოსთ და ვერაფერი ავნოთ მას (ღმერთსა).

40. თუ თქვენს წინასწარმეტყველს თქვენ არ დაეხმარებით, ღმერთი დაეხმაროს, როგორათაც დაეხმარა, როცა ურჯულოებმა განაძევეს და იმას კი ერთადერთის კაცის მეტი არავინ ჰყავდა თან. ორნივე მღვიმეში იყვნენ; მაშინ უთხრა თავისს ამხანაგს: ნუ ჰსწუხარ, ღმერთი ჩვენთანა არს. მალღით თავისი საფარველი გადმოავლინა, უხილავის ჯარით გამოესარჩლა და ურჯულოთა სიტყვა დაამდაბლა. ღვთის სიტყვა უმაღლესია. ღმერთი ძლიერ, ბრძენია.

41. მძიმედ იქმნეთ, თუ მსუბუქად, წადით და იბრძოლეთ ღვთის გზაზე თქვენის ქონებითა და თქვენის ხალხითა. უფრო გიჯობსთ, თუ ჰკლასა ხართ.

42. უკეთუ ყოფილიყო უახლოესი გამარჯვება, საიმედოდ გადასაქრელი ლაშქრობა, გაუჭირვებლად გამოგყვებოდნენ, მაგრამ დაქანცვა სადიდხნო ეგონათ, და მაინც დაიფიცონ ღმერთი და ჰსთქვან: რო შეგვძლებოდა, თქვენთან ერთად გამოვილაშქრებდითო. თავიანთ თავს თვითონვე იღუპვენ; ღმერთმა კარგად უწყის, რომ ჰსტყუიან.

43. ღმერთმა გილხინოს! რად მიეცი იმათ დარჩენის ნე-

ბა, ვიდრე დაინახავდი, თუ ვინდავინ ლაპარაკობდა სიმართლეს და ვინდავინ უნდა გეცნო მატყუარებად?

44. ვისაც ღმერთი და უკანასკნელი დღე ჰსწამსთ, მისი ნებართვა არ გთხოვონ, რომ არ იბრძოლონ თავიანთი ქონებითა და თავიანთი კაცებითა. ღმერთი იცნობს მის მოშიშთა.

45. ამისი ნებართვა მოგთხოვონ მათ, რომელთაც არა ჰსწამსთ ღმერთი და უკანასკნელი დღე. გული უტორტმანებს და ტორტმანობითაც ირყევიან ივინი.

46. განზრახვა რომ ჰქონოდათ საომრად წასვლისა, სამზადისს შეუდგებოდენ. მაგრამ ღმერთმა გული აუცრუათ წასვლაზე; დააზანტა; იმათაც უთხრეს, დარჩით მათთან ერთად, რომელნიც რჩებიანო.

47. თქვენთან ერთად რომ წამოსულიყვნენ, მარტო გაჭირვებას გაგიმრავლებდენ; თქვენ შორის უწესოებას ჩამოაგდებდენ, ეცდებოდენ, შფოთი რამ აეტეხათ: დიახ, თქვენ შორის მოიპოება ისეთი ხალხი, რომელიც ხარბად ყურს უგდებს მათ. ხოლო ღმერთი იცნობს უკეთურთა.

48. უწინაც ცდილობდენ უწესოების ჩამოგდებას; კიდევ დაამხვეს შენი დაწყობილება, ვიდრე იმ ჟამამდე, როცა ჭეშმარიტება შეგნებულ იქმნა და როცა ღვთის ნება მათდა საწყენად გამოცხადდა.

49. მათ შორის იპოებიან ისეთნი, რომ ამბობენ: ბრძოლითგან დაგვითხოვე, განსაცდელში ნუ შეგვიყვანთო. განა შიგ ჩაცვივნულ არ არიან? ხოლო ურჯულოები ჯანაბამ გარემოიცვას.

50. თუ გამარჯვება იქონიე, გამარჯვება იგი ცუდ გუნებაზე აყენებს მათ; თუ უკულმართობა რამ გეწია, იტყვიან: წინდაწინ ვილონეთ ღონეო. მერმე³ პირს იბრუნებენ და გაიხარებენ.

51. უთხარი მათ: მხოლოდ ის მოგვივიდეს, რაც ღმერთს ჩვენთვის დაუნოშნავს; იგია ჩვენი მეუფე, და ღმერთზე დაამყარებენ მოშიშნი სასოებასა.

52. უთხარი მათ: რას ელით? მას რომ, ორ ჩინებულ ბედისწერაში, მათ შეხვდესთ ერთერთი: გამარჯვება, ან მოწამეობა? ხოლო ჩვენ ველით, ღმერთმა სასჯელი მოგივლინოსთ თვითონ. თავად, ან ჩვენის ხელითა. მაშ! მოიცადეთ; ჩვენც მოვიცადოთ აგრეთვე თქვენთვის.

53. უთხარი მათ: თქვენი ქონება გაიღოთ ნებით, თუ უნებურად, მიღებულ არ იქმნეს, ვინადგან ბოროტი ხალხი ხართ.

54. სხვა რაღა დაბრკოლება დაუხვდა მათი ძღვნის მიღებას, მას გარდა, რომ ღმერთი და მისი მოციქული არა ჰსწამსთ, რომ ლოცვას გარეწრად აღასრულებენ, რომ სამოწყალოს უგულოდ გაიღებენ.

55. მათმა სიმდიდრემ და მათმა შვილებმა არ მოგხიბლონ. ღმერთს ჰნებავს მათი ამ ქვეყნად დასჯა; ჰნებავს, რათა ურჯულოებაში ამოხდესთ სული.

56. ღმერთს ჰფიცულობენ, თქვენი თანამოზიარე ვართო და კი არ არიან; მაგრამ ეშინიათ.

57. იპოვიან თუ არა საიმედო თავშესაფარს, მღვიმეებს, თუ გამოქვაბულებს, ზურგს შეაქცევენ და გამალებულნი გარბიან.

58. მათ შორის მოიძებნებიან ისეთნი, რომ სამოწყალოს დარიგებას გიძრახვენ. თუ მიჰსცემთ, კმაყოფილ იქმნებიან; თუ უარს ეტყვით, გაჯავრდებიან.

59. რად არ ჰსჯერდებიან მას, რასაც ღმერთი და მისი მოციქული მათ უწყალობებსთ? რად არ იტყვიან, ღმერთი გვეყოფა, ღმერთი მოგვანიჭებს თავისს წყალობას, მისი მოციქულიც აგრეთვე; მხოლოდ ღმერთი გვწადიაო?

60. მართლა, სამოწყალო დანიშნულია საწყალთა და ღატაკთათვის, მათთვის, რომელნიც მათ შეიწყნარებენ, მათთვის, რომელთაც გული უცემსთ ისლამისათვის, მონათა გამო-

სასყიდლოდ, უქონელთა, ღვთისა და მგზავრთათვის. ესაა ღვთის წინაშე მოვალეობა. მეცნიერ და ბრძენია.

61. მათ შორის მოიპოვებთან ისეთნი, რომ წინასწარმეტყველს ჰკიცხვენ, ამბობენ, მართლად ყურად არიო. მიუგე მათ: მართლად ყურად არი თქვენდა სასიკეთოდ. ღმერთი ჰსწამს და მორწმუნენიცა ჰსწამან.

62. მოწყალება შენახულია თქვენ შორის მათთვის, რომელთაც ღმერთი ჰსწამსთ. ვინც ვნებას რასმემიჰსცემენ ღვთის მოციქულსა, სამწუხარო სასჯელი განიცადონ.

63. თქვენს წინაშე ღვთის სახელი დაიფიცონ, რათა თავი მოგაწონონ; მაგრამ ღმერთი და მისი მოციქული უფრო ღირს არიან, რომ იმათ მოაწონონ თავი, თუ მორწმუნე არიან.

64. განა არ იციან, რომ ცეცხლია შენახული მისთვის, რომელიც ღმერთსა და მის მოციქულს წინააღუდგება? იქ დაემკვიდროს საუკუნოდ. დიდი თავლაფ-დასხმაა.

65. პირმოთნეებს ეშინიათ, მაღლით არ მოველინოსთ სურათი და მათი გულისნადები არ გამოააშკარაოს. ჰსთქვი: თქვენ იცინით. ღმერთმა გამოაქვეყნოს, რასაც ხელსა ჰყოფთ.

66. თუ მათ რამ ჰკითხე სიცილის მიზეზისა, ჰსთქვან: ლაპარაკში ვიყავით და ვხუმრობდითო. უთხარი მათ: განა უნდა დაჰსცინოთ ღმერთსა, მის სასწაულებსა და მის მოციქულსა?

67. ბოდიშის მოხდას ნუ ცდილობთ: რა გირწმუნებიათ, გაურჯულოებულხართ. თუ თქვენ შორის ერთ ნაწილს ვაპატიეთ, მეორე დავსაჯოთ, ისიც მიტომ, რომ სჯულ-გადამავალ არიან.

68. პირმოთნე კაცები და ქალები ერთმანერთს საბოროტოდ აქეზებენ და ერთმანერთს კეთილს უკრძალვენ, ხელებსაც კი შეიკრვენ, რათა სამოწყალო არ გაიღონ. ღმერთს ივიწყებენ, ხოლო ღმერთმა იგინი დაივიწყოს სამაგიეროდ. პირმოთნეები არა წმინდა არიან.

69. ღმერთი ჯანაბის ცეცხლს უქადის პირმოთნეებს, კაცებსა და ქალებს და ურჯულოებსაც; საუკუნოდ დარჩნენ იქა. მათთვის დანიშნული არჩივია იგი. ღმერთმა შეაჩვენა იგინი; განუწყვეტელი სატანჯველია მათთვის შენახული.

70. მათებრ იქცევით, თქვენს უწინარეს რომ ყოფილან. თქვენზე უფრო ძლიერნიც იყვნენ და უფრო მდიდარნიცა, და თქვენზე უფრო მეტნი შვილნიც ჰყვანდენ, ამ ქვეყნად სიტკბობებს კმარობდენ და მომავალი ცხოვრება არც კი აგონდებოდათ. თქვენც აგრეთვე ჰსჯერდებით სიტკბობებს, როგორათაც ჰსტკბებოდენ, ვინც თქვენს უწინარეს ყოფილან. ისეთი სიტყვა-პასუხი გაქვსთ, როგორიც იმათ ჰქონდათ. მათი საქმე წმინდად დაღუპილი იყო სააქაოსთვისაცა და საიქიოსთვისაც. იგინი წაწყმდენ.

71. ნუ თუ არ გაუგონიათ ამბავი მათ უწინარეს ყოფილთა, ნოეს, ადის, თემუდის ხალხისა, აბრაამის ხალხისა, მადიანის მკვიდრთა და დაქცეულის ქალაქებისა? იმათ ჰყვანდენ მოციქულნი, რომელთაც თან ახლდათ ცხადი სასწაულები. ღმერთი კი არ მოქცევია მათ ავად, არამედ თვითონ იგინი.

72. მორწმუნეები, კაცები და ქალები ერთმანერთის მეგობრად არიან; ერთმანერთს კეთილს ამცნებენ და ერთმანერთს ბოროტს უკრძალვენ. ლოცვას აღასრულებენ, სამოწყალოს გაიღებენ, ღმერთსა და მისს მოციქულს ემორჩილებიან. ღმერთი მწყალობელ ექმნესთ მათ, ვინადგან ღმერთი ძლიერ და ბრძენია.

73. ღმერთმა აღუთქვა მორწმუნეებს, კაცებსა და ქალებს, წყალის ნაკადულით მორწყული წალკოტები; საუკუნოდ დაჰყონ იქა. ედემის წალკოტში მომხიბლავ სამყოფს დაჰპირდა იმათ. ამება ღვთისა რაღაც უფრო დიდი რამაა კიდევ; იგია აუვალი ბედნიერება.

74. წინასწარმეტყველო! პირმოთნეებს და ურჯულოებს ებრძოლე, მკაცრად მოეპყარ იმათ. ჯანაბაა მათი საცხოვრებელი. რა საზარელი სამყოფია!

75. ღვთის სახელი დაიფიცეს, ისეთი არა გვითქვამს რაო, თუმცაღა ურწმუნოებას სიტყვა ჰსთქვეს, ურჯულო გახდენ, მიიღეს რა ისლამი. ზრახვა ჰყვეს, მაგრამ ვერ შეასრულეს, ხოლო ჰყვეს იმიტომ, რომ ღმერთმა და მისმა მოციქულმა თავიანთი გულკეთილობით მდიდარ ჰყო იგინი. უკეთუ მოიქცნენ, მათთვის უმჯობეს იქმნეს; ხოლო თუ პირი შეგაქციეს, ღმერთმა დასაჯოს იგინი სავალალო სასჯელითა სააქაოსაც და საიქიოსაც. მრთელ ქვეყნიერობაზე ვერ ჰპოონ მფარველობა, ვერცა შემწეობა.

76. მათ შორის არიან ისეთნი, რომ ეს პირობა დაუდგეს ღმერთსა: თუ მოგვმადლა თავისი წყალობის ნიჭი, სამოწყალო გავიღოთ და სამართლიანიც ვიქმნეთო.

77. ხოლო როცა ღმერთმა თავისი წყალობის ნიჭით აავსო, პირშენი გამოდგნენ. ვერაგობენ, ჰემმარიტებას გადუხვევენ.

78. ღმერთმა გულში ჩაუნერგა მათ პირმოთენობა იმ დღემდე, ოდეს მის წინაშე გამოცხადდენ, ანგარიშის მისაცემად იმ პირობათა გატეხისათვის, ღვთისათვის რო დაუდგიათ, და მის გამოც, რომ სხვებისთვის სიცრუე დაუბრალებიათ.

79. განა არ იციან, რომ ღმერთმა უწყის მათი საიდუმლოები და მათი ფარული საუბარი? ღმერთმა სრულებითა უწყის ფარული საქმეები.

80. ვინც მორწმუნეთა ჰკიცხვენ ნებაყოფლობით წყალობის გულისთვის, ანუ იმიტომ, რომ მხოლოდ დიდის გაჭირვებით შეუძენიათ იგი, ღმერთმა მათ დასცინოს სამაგიეროდ. სავალალო სასჯელი მოეღისთ.

81. მათი პატიება ითხოო, თუ არ ითხოო, სულ ერთია. სამოცდა ათჯერაც რომ ითხოო, ღმერთმა არ აპატიოსთ, ვინადგან ღმერთი არა ჰსწამსთ; არც მისი მოციქული, ხოლო ღმერთმა არა წმინდებს არ წარუმართოს.

82. ვინც თავთავიანთ ოჯახში დარჩნენ ტაბუკის ლაშქრობის დროს, წინასწარმეტყველის უკან ჩამორჩენა უხარო.

დათ; ეზიზღებოდათ ღვთის გზაზე ბრძოლა თავიანთი ქონებითა და თავიანთი კაცებითა. ამბობდნენ, ერთმანერთს უკან. ნუ გაედევნებით საომრად ასეთ პაპანებაშიო. უთხარი მათ: ჯანაზის ცეცხლის პაპანება კიდევ უფრო მცხუნვარეა. ეჰ! ნეტა ჰსცოდნოდათ!

83. ცოტა იცინონ, ერთს დღეს ბევრი იტირონ თავიანთი ნამოქმედარის სამაგიეროდ.

84. თუ ღმერთმა ომითგან დაგაბრუნა, იმ კაცთა ბრბოს შორის, ნება გთხოვონ საომრად წამოსვლისა. უთხარი მათ: ვერასოდეს წამოხვიდეთ ჩემთან ერთად, ვერასოდეს წამოხვიდეთ ჩემთან ერთად მტრის წინააღმდეგ საომრად. პირველ გზის დარჩენა ამჯობინეთ; ეხლაც დარჩით ერთად მათთან, რომელნიც რჩებიან.

85. თუ ვინმე მათგანი მოკვდეს, ნულარ ილოცავ მისთვის, ნუ დაადგები თავს მის საფლავს, ვინადგან არ ჰსწამდათ ღმერთი და მისი მოციქული და არა წმინდებადაც დაიხოცნენ.

86. მათმა სიმდიდრემ და მათმა შვილებმა არ შეგაცდინონ. ღმერთს ჰნებავს მათი დასჯა იმ ნიჭით ამ ქვეყნადაც კი; ურჯულოებში ამოუვიდესთ სული.

87. როცა სურათი, ღვთის საწამებლად, და წინასწარმეტყველთან ომში წასასვლელად მაწვეველი მალლით მოვევლინათ, მათ შორის ყოვლად შეძლებულები გებეწებოდნენ, გაგვათავისუფლეთ, მათ გითხრეს: დაგვტოვე აქ; დავრჩეთ მათთან, რომელნიც რჩებიანო;

88. უკან ჩამორჩენა არჩიეს. ზულს ბეჭედი დასმული ჰქონდათ; არაფერი ეყურებათ.

89. ხოლო წინასწარმეტყველი და იგინი, რომელთაც მასთან ერთად იწამეს, თავიანთი ქონებითა და თავიანთი კაცებით იბრძვიან ღვთის გზაზე. მათთვისაა შენახული ყოველივე სიკეთე და ნეტარნიც იქმნენ.

90. ღმერთმა წალკოტები დაუმზადათ წყალის ნაკადულით მორწყული; იქ დარჩნენ საუკუნოდ. დიდი ნეტარებაა.

91. მრავალი უდაბნოელი არაბი მოვიდა., ბოდიშს იხდიდა და იხვეწებოდა, ომისგან გაგვათავისუფლო. ვინც ღმერთსა და მისს მოციქულს სიცრუეს ჰსწამებენ, თავიანთთვის დარჩენს სამწუხარო სასჯელი. მოელისთ მათ შორის მათ, რომელთაც სარწმუნოება არა აქვსთ.

92. სუსტებს, ავადმყოფებს, უღონოებს საომრად წასვლავალად არ აძევსთ, თუ მხოლოდ გულწრფელ არიან ღვთისა და მისი მოციქულის მიმართ. არაფერი ეკითხოს მათ, რომელნიც კეთილს შვრებიან: ღმერთია მოწყალე და შემწყნარებელი.

93. მეტადრე არც მათ, რომელნიც შენთან მოვიდენ საჭურველის სათხოვნელად, და როცა უთხარი მათ, სათქვენო საჭურველი არ მაქვსო, თვალ-ცრემლიანი გაბრუნდენ მისი ჯავრით, რომ ხარჯის გაწევა არ შეეძლოთ.

94. ეკითხოს მათ, რომელთაც გათავისუფლება გთხოვონ, თუმცა მდიდარ არიან, რომელნიც ამჯობინებენ დარჩენას მათთან ერთად, რომელნიც რჩებიან. გულს ბეჭედი აქვსთ დასმული. არაფერი იციან.

95. როცა მათთან მიხვიდეთ, მოგიბოდიშონ. უთხარი მათ: ნუ ბოდიშობთ, თქვენი არაფერი გვჯერა. ღვთისგან დარიგებულ ვართ თქვენ თაობაზე. ღმერთი და მისი მოციქული თქვენს მოქმედებას ხედვენ. ერთ დღეს მიიქცეთ მასთან, რომელმაც უწყის ხილული და უხილავი და რომელმაც თქვენი ნამოქმედარი ჩამოგითვალოსთ.

96. როცა მათთან მიდიოდეთ, ღვთის სახელი დაგაფიცებინონ, მოჰშორდეთ და არ დაჰსაჯოთ. დიახ, მოჰშორდით მათ, უწმინდურ არიან. ჯანაბა ექმნესთ საცხოვრებლად, როგორათაც მათის ნასაქმის სამაგიეროდ.

97. დაგაფიცონ, გულკეთილად იყვნეთ მათთან; თუ იქმენით, ღმერთი გულკეთილ აღარ იქმნეს უკეთურებთან.

98. უდაბნოელნი არაბნი ყოვლად გაკერპებულ არიან ურჯულოებითა და პირმოთნეობითა; ბუნებრივიცაა, რად-

განაც უგულებელს ჰყოფენ იმ მცნებათა რომელნიც ღმერთმა თავისს მოციქულს აუწყა. ღმერთი ბრძენ და მეცნიერია.

99. უდაბნოელ არაბთა შორის ისეთნი არიან, რომ სამოწყალოს უცქერიან ისე, როგორც ბეგარას; შენს დარაჯობაში არიან, ერთი ბედმა უმტყუნოსო. ბედისგან ავადმოქცევა მოელის მათ, ვინადგან ღმერთს ესმის და უწყის ყველაფერი.

100. უდაბნოელ არაბთა შორის ისეთნი არიან, რომ ღმერთი და უკანასკნელი დღე ჰსწამსთ, სამოწყალოს უცქერიან, როგორც ღონისძიებას, ღმერთს დაუახლოვდენ და წინასწარმეტყველის ვედრებას ეღიროსნ. უეჭველია სამოწყალომ ღმერთთან დაახლოოს იგინი; თავისის მოწყალებით დაიფაროს, ვინადგან მოწყალე და შემწყნარებელია.

101. უხუცესნი, პირველნი მოჰაჯერთა და ანსართა შორის, ისინიც, რომელთაც კარგის საქციელით მიჰბადეს მათ, კმაყოფილ იქმნენ ღვთისა, როგორათაც იგი იქმნეს კმაყოფილ მათი. მათ აღუთქვა წყალის ნაკადულით მორწყული წალკოტებო; საუკუნოდ დაჰყონ იქა. დიდი ნეტარებაა.

102. უდაბნოელ არაბთა შორის რომელნიც თქვენს გარემოს ცხოვრებენ; და მედონეს მკვიდრთა შორის, პირმოთნეობით გაკერპებულნი ხალხნი არიან. ვერ იცნობ მათ, მუჰამმად, ჩვენ კი ვიცნობთ. ერთიორად დავსაჯოთ იგინი, მასუკან სამწუხარო სასჯელს მიეცენ.

103. ზოგიერთებმა თავთავიანთი ცოდვა აღიარეს; ასე არიეს ერთმანერთში კარგი საქციელი და ცუდი საქციელი; ეგების ღმერთმა აპატიოს მათ, ვინადგან მომთმენ და შემბრალებელია.

104. სამოწყალო მიიღე მათის ქონებისაგან, რათა განწმენდილ და თავისუფალ იქმნენ ცოდვათაგან; ევედრე მათთვის, შენმა ვეღრებამ მყუდროება დაუბრუნოს იმათ, ხოლო ღმერთს ესმის და ეუწყება ყველაფერი.

105. განა არ იციან, რომ ღმერთი სინანულს მიიღებს თავის მსახურთაგან, რომ სამოწყალოს შეიწყნარებს იგი? მომთმენ და შემწყნარებელია.

106. კიდევ უთხარი მათ: იღვაწეთ; ღმერთი თქვენს მოქმედებას ხედავს, აგრეთვე მისი მოციქული და მორწმუნენიცა ერთ ღღეს მიიქცეთ მასთან, რომელმაც ხილული და უხილავი უწყის; მაშინ იგი მოგიყვებს, რაც კი რამ გიმოქმედნიათ.

107. ზოგიერთები ღვთის გარდაწყვეტილებას ელიან, დაგვსჯის, თუ არა, ან თუ გვაბატებსო. ღმერთი მეცნიერ და ბრძენია.

108. ზოგიერთებმა ტაძარი ააგეს მორწმუნეთა საცნებლად და ურჯულოებითაც, განზრახ, მორწმუნენი გაეცალცალკეებინათ და რათა ტაძარი იგი ჩასასაფრებელი ადგილი ყოფილიყო მათთვის, რომელნიც ღმერთსა და მისს მოციქულს ეომებიან. დაიფიცონ, რა ჰსთქვან: კეთილის მეტი არა გვინდა რაო. ღმერთია მოწმე, რომ ჰსტყუიან.

109. ფეხი არ შედგა იქა. ტაძარი თავდაპირველადვე დაფუძნებულ იქმნა ღვთის შიშზე; უფრო ღირსია, იქ შეხვიდე. იქ თავს იყრიან კაცნი, რომელთაც წმინდად ყოფა ჰსწადიათ. ღმერთს უყვარს, ვინც სიწმინდეს ეწაფება.

110. ორში ვინ უფრო ჰსჯობია: ის, რომელმაც ტაძრის ბალავარი დააფუძნა ღვთის შიშსა და მის წადილზე, რათა მას აამოს, თუ ის, რომელმაც დააშენა თიხის ფერდობზე, ნაკადულს რომ გამოუთხრია და გამზადებულია ჩასაქცევად მასთან ერთად ჯანაბის ცეცხლში? ღმერთი არ გაუძღვეს უკეთურებსა.

111. ტაძარი, რომელიც მათ ააგეს, განუწყვეტლივ იქმნეს მათ გულთათვის იჭვნეულების შემამთხვეველად, ვიდრე მათნი გულნი ნაჭერ ნაჭერ შემუსვრილ იქმნებოდენ. ღმერთი მეცნიერ და ბრძენია.

112. ღმერთმა მორწმუნეთაგან იყიდა მათი ქონება და მათი კაცები, რათა სამაგიეროდ მათთვის სამოთხე მიეცა; ღვთის გზით იომონ, დაჰზოცონ და დაზოცილ იქმნენ. ღვთის აღნათქვაში მართალიზ. დაბადებასა, სახარებასა და კურანში.

დაჰსდო იგი; ხოლო ვინაა ღმერთზე უფრო სანდო თავის ალთქმაში? ვინაა დესთ პირობა, რომელიც შევიკრავთ; დიდი ბედნიერებაა.

113. ვინც ღვთის მიმართ მიიქცევინ, ვინც ღმერთს თაყვანს ჰსცემენ, ვინც მას აქებენ, ვინც მას აღიღებენ, ვინც მუხლთ მოიყრიან და განერთხმიან, ვინც კეთილს ამცნებენ და ბოროტს აკრძალვენ, ვინც ღვთის საზღვრებს პატივს ჰსდებენ, დაჯილდოებულ იქმნენ. ეს ახალი ამბავი აუწყე მორწმუნებსა.

114. წინასწარმეტყველს არ შეეფერება, არცა მორწმუნეებსა, ღმერთს მიტევება ჰსთხოონ კერპთაყვანის მცემელთათვის, თუნდა ნათესავებიც იყვნენ, როცა ცხადი გამხდარა, ცეცხლში ჩაყრილ უნდა იქმნენ.

115. აბრაამმა ღმერთს ჰსთხოვა მიტევება მამამისისთვის მხოლოდ იმიტომ; რომ აღნათქვამი ჰქონდა; მაგრამ როცა ცხადი შეიქმნა, რომ მამამისი ღვთის მტერ იქმნა, აღარ ინება ჩარევა, ხოლო აბრაამ მანც გულშემატკივარ და კაცთმოყვარე იყო.

116. ღმერთი ხალხს გადაახვევინებს, რაკი ჭეშმარიტ გზაზე დაუყენებია, მხოლოდ მაშინ, როცა გამოუცხადებია მისთვის, თუ რისა და რის უნდა ჰშინებოდა. ღმერთმა ყველაფერი იცის.

117. სასუფეველი ცათა და ქვეყნისა ღმერთს ეკუთვნის; იგია სიცოცხლისა და სიკვდილის მიმნიჭებელი; მისა თვინიერ არც მფარველია, არცა დამცველი.

118. ღმერთმა მიუტევა წინასწარმეტყველსა, მოჰაჯერთა და ანსართა, რომელნიც მას შეუდგნენ შევიწროების ჟამსა, მაშინ, როცა მათ შორის დიდძალ ნაწილსა გული, ის იყო, უღონდებოდა, მათ მიუტევა, რადგანაც მოკეთებობითა და მოწყალებით აღსავსეა.

119. მიუტევა აგრეთვე მათ შორის იმ სამს, რომელნიც დარჩნენ. დედამიწა, ხომ რა დიდია, მაშინ ევიწროათ. თა-

ვიანთი სხეულის არარაობა დაიჯერეს და ერთად ერთი თავშესაფარი ღვთის მიერი თვითონ ღვთის წინაშე იყო. მათ მიუტევა, რათა. მათაც აგრეთვე შეინანონ მის წინაშე, ვინადგან ღმერთს უყვარს ცოდვილთათვის მიტევება და შემწყნარებელიცაა.

120. მორწმუნენო! ღვთის გეშინოდესთ და სამართლიანად იყავით.

121. რა საფუძველი ჰქონდათ მედინეს მცხოვრებლეს და გარემოში მომთაბარე არაბებს, რომ ღვთის მოციქული მიატევეს და თავიანთი ცხოვრება მისას არჩიეს? რა საფუძველი ჰქონდათ ასე მოქცევისა, როცა ღვთის გზაზე ვერ ეწეოდით წყურვილი, ვერც დაღლილობა, ვერც დაჭირება, როცა ერთი ბიჯიც არ გადუდგამსთ ურჯულოთა გამოსაჯავრებელი, როცა მტრის მხრითგან არაფერი განუცდიათ ისე, რომ კეთილსაქმედ არ ჩათვლოდათ? უეჭველია, ღმერთი არ მიუშვებს, ჯილდო დაეღუპოს მათ, რომელნიც კეთილს შერებიან.

122. მცირე, თუ დიდი სამოწყალო ვერ გაიღონ, (საომრად მიმავალნი) ვერ გავიდენ რუში ისე, რომ ყველაფერი არ ჩაიწეროს, რათა ღმერთმა დიდნახელავი სასყიდელი მიანიჭოსთ მათის მოქმედებისათვის.

123. სათანადო როდია, ყველა მორწმუნენი წავიდენ საომრად. უმჯობესია, მხოლოდ რამდენიმე რიცხვი თვითოეულის ტომისაგან წავიდეს, სარწმუნოებით განიწვრთნენ და თავიანთ თანამოქალაქეთაც ასწავლონ, რა დაბრუნდენ, რათა იგინიც იდგნენ დარაჯად.

124. მორწმუნენო! ებრძოლეთ ურჯულოებს, რომელნიც გმეზობლობენ თქვენ; ყოველ ჟამს პირქუშად დახვდებოდეთ მათ. იცოდეთ, რომ ღმერთია მათთან, რომელთაც მისი ეშინიათ.

125. როცა ახალი სურათი (თავი კურანისა) მაღლით მოივლინება, მათ შორის ზოგნი იტყვიან: მაგ ახალს სურათს განა შეუძლია რომლისამე თქვენგანის სარწმუნოება განადიდოს? დიახ, მორწმუნეთა სარწმუნოებას განადიდებს, იგინიც გაიხარებენ მითა.

126. ხოლო ვისაც გული დაავადებული აქვს, მარტოსისაძაგლეს სისაძაგლეზე შეჰმატებს და ურჯულოებითაც იხოცებიან.

127. განა ვერ ხედვენ, რომ ორჯერ, თუ სამჯერ ყოფილან ყოველწლივ განსაცდელში? მაგრამ მაინც არ მორჯულდებიან, არც გულის ხმას ჰყოფენ.

128. როცა ახალი სურათი მადლით მოივლინება, ერთმანერთს შეჰსტკერიან და ლაპარაკში არიან: განა ვინმე გვხედავსო? შემდეგ კი ზურგს შეაქცევენ და გაეცლებიან. ღმერთმა მათ გულს ჰემმარიტება შეაძულოს, რადგანაც არ გაეგებათ.

129. თქვენთან წინასწარმეტყველი მოვიდა, თქვენ შორის აყვანილი წინასწარმეტყველი, თქვენი უსამართლობა მას უმძიმს, გულმხურვალედ ჰსურს, მორწმუნე გნახოსთ. მოკეთებითა და მოწყალებით აღსავსეა.

130. თუ პირს მოარიდებენ შენს მოძღვრებას, უთხარი: ღმერთს დავსჯერდები. სხვა ღმერთი არა არს თვინიერ მისამისი მაქვს სასოება. დიდის ტახტის მფლობელია.

თ ა ვ ი X

ი მ ნ ა.

ნაბოძებია მექას.—109 მუხლი.

ს ა ხ ე ლ ი თ ა

ღ ვ თ ი ს ა

მოწყალისა და უმწყნარებელისა.

1. ელივ. ლამ. რა. აი ბრძნულის წიგნის სასწაულები.

2. ნეტა თუ უკვირს ხალხსა, რომ გამოცხადება მივანიჭეთ მათ შორის აყვანილს კაცსა, თანვეც უთხარით: კაცნი გააფრთხილეთ და აუწყეთ მათ, რომელთაცა ჰსწამსთ, რომ წი-

ნაშე ღვთისა უპირატესობა იმათა აქვსთ დამსახურებული თა-
ვიანთი სარწმუნოებითა? ურჯულონი ამბობენ: ეგ კაცი ნამ-
დვილ გრძნეულიაო.

3. თქვენი უფალი არს ღმერთი იგი, რომელმაც ცანი და
ქვეყანა ექვს დღეში შექმნა და შემდეგ ტახტზე დაბრძანდა
მსოფლიოს საქმეთა განსასჯელად. მის წინაშე შუამავალი არ
იქმნება ისე, თუ მან არ მიუშვა. იგი არს ღმერთი, თქვენი უფა-
ლი, თაყვანი ეციოთ მას. ნუ თუ არ უნდა ჩაუფიქრდეთ?

4. ყველანი მასთან მიიქცეთ. ასეთია ჭეშმარიტი დაბი-
რება ღვთის-მიერ; ქმნილებას გამოიყვანს, ხოლო შემდგომ
უკუ შეაბრუნებს, რათა დააჯილდოს იგინი, რომელთაც
ჰსწამსთ, რომელნიც კეთილს შვრებიან სამართლიანობისამებრ.
ვისაც არა ჰსწამსთ, მათ ექმნესთ სასმელად მღუღარე წყალი
და სავალალო სასჯელი. სასყიდლად მათის ურჯულოებისა-
თვის.

5. მზე დაამყარა სინათლის მოსაფენად, ხოლო მთვარე
შუქის გამოსაცემად, ამის ცვალებადობა განსაზღვრა, რათა
გცოდნოდათ წელთა რიცხვი და მათი სათვალავი. ღმერთმა
ეს ყველაფერი ტყუილუბრალოდ კი არა, ჭეშმარიტებისთვის
გააჩინა. თავის სასწაულებს აუხსნის მათ, რომელნიც გულის-
ხმას ჰყოფენ.

6. დღისა და ღამის ცვლილებაში, და ყველაფერში, რაც
ღმერთს გაუჩენია, უთუოდ სასწაულებია გასაფრთხილებლად
მათთვის, რომელთაც ეშინიათ.

7. ვინც ჩვენს ხილვას არ იმედოვნებენ, ვინც ამ წუთი-
სოფელს ჰსჯერდებიან და უზრუნველადაც მიენდობიან, ვინც
ჩვენს სასწაულებს ყურს არ ათხოვენ,

8. ცეცხლი ექმნესთ საცხოვრებლად, როგორათაც მათის
მოქმედების სასყიდელი.

9. ვინც იწამონ და კეთილი ჰქმნან, ღმერთმა წარმარ-
თოს იგინი, მათის სარწმუნოებისამებრ, ჭეშმარიტს გზასა.
ფეხთ წყალი უდიოდესთ სალხინო წალკატში.

10. ყოველ მოწოდებად იმ საყოფელში განიმეორონ: ღიღება შენდა, ღმერთო! ხოლო მოკითხვად მიეგოსთ სიტყვა: მშვიდობა!

11. მათი ლოცვის დასასკვნელად იქმნეს: აქებდით ღმერთსა, ქვეყნის მეუფესა!

12. ღმერთმა თუ ინება კაცთა მიმართ ბოროტის დაჩქარება, ისე როგორათაც კეთილს აჩქარებს, მათი აღსასრული: მალე მოაწევს. ხოლო ვინც არ იმედობენ ჩვენს ხილვას თავიანთი სიკვდილის შემდეგ, ნებას მიუშვებთ, ბრმად მიეცნენ შეცდომილებას.

13. როგორც კი სიავადე რამ ეწევა: ადამიანსა, მოგვიწოდებს გვერდზე მწოლარე, ანუ მჯდომარე, ანუ მდგომარე; მაგრამ გავათავისუფლებთ თუ არა, ნებიერად დაიარება, თითქოს არ მოგვეწოდებინეთ, როცა სიავადეს შეპყრობილი ჰყავდა. ასე მომართულა სჯულგადამავალთა მოქმედება.

14. ხოლო, თქვენს უწინარეს ამოგვიწყვეტია რამდენიმე დგმა როცა, მათის უსამართლობის გამო, ცხად-სასწაულებ თანახლებული წინასწარმეტყველები მათ შორის გამოვიდნენ, და მათი წამება კი არ იგულმოდგინეს. ასე: მივაგებთ ცოდვილთა.

15. მათ მოადგილედ დაგნიშნეთ თქვენ ამ ქვეყანაში, რათა გვენახეთ, თუ როგორ მოიქცეოდით.

16. როცა ჩვენს მოძღვრებას მოუთხრობენ მათ, რომ მელთაც იმედი არა აქვსთ ჩვენის ხილვისა სიკვდილის შემდეგ, იტყვიან: სხვა რამ წიგნი მოგვიტანე, ან ცოტად მაინც შეძსცვალე ესაო. უთხარი: „ჩემდა თავად ვერ შევცვლი; ის ვიცი, რაც გამომეცხადა. ურჩსა მაშინებს სასჯელი ჩემის უფლისაგან საშინელს დღესა“.

17. უთხარი მათ: ღვთის ნება რომ არ ყოფილიყო, ვერც წაგიკითხავდით (კურანის მუხლთა) და ვერც გაუწყებდით. მრავალ წელსაც ვცხოვრებდი თქვენშორის, მაგრამ კი არას ვაკეთებდი. განა ვერ უნდა გაიგოთ რა?

18. ვინაა მაზედ უფრო არაწმინდა, ვინცა ჰსთხზავს სიცრუეს ღვთის თაობაზე, ვინც მის სასწაულებს მოგონილად ჰსთვლის? ხოლო ღმერთმა კარგი დღე არ დააყენოს ცოდვილებსა.

19. ღვთის თანაბრად თაყვანს ჰსცემენ ისეთ რასმე, რაც ვერაფრად ემსახურებათ, ვერც ავნებსთ და ამბობენ: აი ჩვენი შუამავლები ღვთის წინაშეო. უთხარი მათ: ნუ თუ უნდა აუწყოთ ღმერთს ისეთი რამე, ცათა შინა და ქვეყანაზე, რომ არ იცოდეს? მისმა დიდებამან, ვერა! მის უმაღლეს ჰგიებს, რომ სხვა ღმერთები დაუამხანაგონ მას.

20. კაცნი პირველად მხოლოდ ერთს ხალხს შეადგენდენ, შემდგომ დანაწილდენ და ღვთის სიტყვა (მათი სასჯელის დამაყოვნებელი) წინდაწინვე მისგან რო გამოცხადებულ არ ყოფილიყო, მათი ცილობის საგანი იმწამსვე გადაწყდებოდა.

21. ამბობენ: რამე სასწაული მაინც რო მომხდარიყო მაღლით, ვიწამებდითო. უთხარი მათ: საიდუმლო საქმეები ღვთის ხელთა. მხოლოდ თქვენ მოიცადეთ, და მეც თქვენთან მოვიცადო აგრეთვე.

22. ჩვენი მოწყალეობა ვახილვებინეთ ხალხსა (მექელთა), უბედურობის შემდეგ, მათ რო ეწიათ, ხოლო მათ მიჰყვეს ხელი ხერხსა ჩვენის სასწაულების მიმართ. უთხარი მათ: ღმერთი უფრო მარჯვეა ხერხის მოგონებაში და ჩვენი მოვლინებულნი თქვენსას ჩაჰსწერენ.

23. მტკიცე ხმელეთსა და ზღვაზე გიძღვისთ იგი. როცა ტალღებზე მცურავს და ნელის ქარით მოძრავ ხომალდებში სხედან, უხარიათ; თუ ძლიერი ქარი ამოვარდა და ზვირთნი ყოველის კუთხით ეკვეთნენ, ისე, რომ ეგონოსთ თავს გვესხმიანო, მაშინ ღვთისადმი ღაღადს ჰყოფენ წრფელის სარწმუნოებით, მხმობელნი: ოღონდ დაღუპვისაგან დაგვიხსნა და შენდა მაღლობელ ვიქმნეთ.

24. მაგრამ მის მიერ დახსნილნი კიდევ მაინც უსამართ-

ლობას ჰსჩადიან ქვეყნიერობაზე. კაცნო! უსამართლობა იგი, რომელსაც თქვენს თავს უშვრებით, მხოლოდ თვალად სიაზოვნებაა სააქაოს, შემდეგ-კი მაინც უნდა მიიქცეთ ღვთის მიმართ: იქ ჩამოგითვალოთ, რაც რამ გიმოქმედნიათ.

25. სააქაო ქვეყანა წყალის მსგავსია, ზეცით რო მოვავლენთ; ერთვის მიწის მცენარეულობას, ხალხისა და პირუტყვების საზრდოსა, ვიდრე დედამიწა, მით გაჟღენთილი, მორთებოდეს და მოიკაზმებოდეს. დედამიწის მკვიდრთა ჰგონიათ, ბატონები ვართო; მაგრამ ჩვენი განჩინება ღამის განმავლობასა, თუ დღის განგრძობაში გამოცხადდეს და მყისვე სამკალ იქმნეს, თითქო წინა დღით არაფერი ყოფილიყოს. ასე ნათლად ვაჩვენებთ ჩვენს სასწაულებს მათ, რომელნიც გულისხმას ჰყოფენ.

26. ღმერთი მშვიდობის საყოფელში მოიწვევს და წარმართებს, ვისაც ჰნებავს, ჰეშმარტს გზასა.

27. ვინც კეთილს შვრებიან, მათთვის კეთილი მომეტებულიცაა. ვერც სიშავემ და ვერც სირცხვილმა ვერ დაუბნელოს მათ პირი-სახეთ ელვარება. სამოთხე დაიმკვიდრონ და იქვე საუკუნოდ დარჩნენ.

28. ვინც ბოროტი ჰქმნან, მათი სამაგიერო იქმნეს ბოროტისვე მსგავსი; უპატიურობით დაიბურონ (არც ეყოლოსთ შფარველი წინაშე ღვთისა) და პირისახეებიც შავშავი დაუხედესთ, როგორათაც ფლასი წყვდიად ღამეში. ცეცხლში დამკვიდრდენ და იქვე საუკუნოდ დაჰყონ.

29. ერთ დღეს შევკრიბოთ ყველა და ხმა ვჰყოთ მათდამი, რომელნიც ღმერთს ამხანაგებს აძლევენ: თქვენ-თქვენს ადგილზე, თქვენ და თქვენი ამხანაგები! მერმე ერთმანერთისაგან განვაცალცალკეოთ. ამხანაგებმა მაშინ უთხრან მათ: ჩვენ-კი არ გვეთაყვანებოდით (არამედ უფრო თქვენს გულის-თქმასა).

30. ღმერთი ჯეროვანი მოწმეა ჩვენსა და თქვენს შორის. ყურადღებასაც არ მივაქცევთ თქვენს თაყვანისცემასა.

31. ასე მიიღოს ყოველმა სულმა მისი სამაგიერო, რაცა ჰქმნას; ყველანი ღმერთს, ჭეშმარიტს უფალს ჩაჰბარდენ, ხოლო მათი გამოგონილი ღმერთები გაჰქრნენ.

32. უთხარი მათ: საზრდოს ვინ მოგაწვდენსთ ცით და ქვეყნითა? სმენასა და ხილვას ვინ არივებს? ვის გამოჰყავს ცოცხალი არსება მკვდარის არსებითგან, ხოლო მკვდარი არსება ცოცხალის არსებითგან? ყველაფერს ვინ განაგებს? პასუხად ჰსთქვან: ღმერთთა უთხარი მათ: მაშ რად აღარ გეშინათ მისი?

33. იგი არს ღმერთი, თქვენი ჭეშმარიტი უფალი. რაა ჭეშმარიტების გარეშე, თუ არ შეცდომა? როგორ მოხდა, რომ გზას აუხვიეთ?

34. ასე ახდა ღვთის სიტყვა ცოდვილებზე, რომ არასოდეს იწამებდენ.

35. უთხარი მათ: ვისმე თქვენს ამხანაგთაგანს შეუძლია, არსება გააჩინოს და შემდეგ უკუ შეაბრუნოს არარაობად? ჰსჯობია, ჰსთქვან: ღმერთი არსებას გააჩენს და კიდევ უკუ შეაბრუნებს. როგორ მოხდა, რომ სარწმუნოებას დაჰშორდით?

36. უთხარი მათ: ვისმე თქვენს ამხანაგთაგანს შეუძლია ჩვენი გაძლოლა ჭეშმარიტებისაკენ? ჰსთქვი: ღმერთთა ჭეშმარიტებისაკენ გამძლოლ. ვინ უფრო ღირსია, რათა დაემორჩილონ, ვინც გამძლოლია, თუ ვინც გამძლოლ არაა, რადგანაც გაძლოლილ თვითონ იგია? რა მიზეზი გაძალებსთ გაკითხვას ისე, როგორც თქვენ ჰმოქმედებთ?

37. მომეტებული ნაწილი მათ შორის მხოლოდ ჭკუას ძალას ატანს, მაგრამ ჭკუის ძალის დატანება ჭეშმარიტებისადგილს სრულიად ვერ დაიჭერს და ღმერთმაც უწყის, რასაც კაცნი ჰსჩადიან.

38. ეს წიგნი (კურანი) არავის მოგონილია სხვისი, თვინიერ ღვთისა; იგია განმამტკიცებელ მის, რაც მანამდე ყოფილა, და ამხსნელ ყოველი ეჭვ გაცლილის წერილისა, რომელიც სამყაროს მეუფისაგან მოივლინება.

39. ამბობენ: მან (მუჰამადმა) მოიგონაო? უბასუხე მათ: მაშ შეთხზეთ მაინც ერთი მისებრი თავი; მოუწოდეთ თუნდა ყველას, ვისაც შეგიძლიათ, ღვთისა თვინიერ, თუ გულწრფელ ხართ.

40. ხოლო სიცრუეს ჰსწამებენ მას, რასაც, ღონე არ მოჰსდევს, თავიანთი მეცნიერებით მიჰსწვდენ, თუმცა მისი განმარტება მიუღიათ. ასე მოიქცნენ მათ უწინარეს, ვინც შენსავით სხვებს მატყუარებად რაცხდენ. ნახე, თუ როგორი აღსასრული ჰქონდათ არაწმინდებსა.

41. მათ შორის ისეთნი არიან, რომ ჰსწამსთ; ისეთნიც არიან, რომ არა ჰსწამთ. ღმერთი იცნობს უკეთურებსა.

42. თუ მატყუარად ჩაგაგდონ, უთხარი მათ: ჩემი მოქმედება მე მეკუთვნის, ხოლო თქვენი თქვენ. თქვენ ბრალი არა გაქვსთ მისი, რასაც მე ვშვრები, მეც აგრეთვე მისი, რასაც თქვენ შვრებით.

43. მათ შორის ისეთნი არიან, რომ შენდა ყურის და აგდებად მოდიან. განა შეგიძლია ჰქმნა, რომ ყრუთა ყუსრი გიგდონ, როცა არა ესმით რა?

44. ზოგნი ისეთნიც არიან, რომ გიცქერიან, მაგრამ კი ვერ გხედვენ, განა შეგიძლია წარუმართო ბრმებსა, როცა ვერ იხედებიან?

45. ღმერთი უსამართლობას არ შიამყენებს კაცთა; კაცნი ეპყრობიან ერთმანერთს უსამართლოდ.

46. ერთ დღეს შეჰკრიბოს იგინი. მათ მხახველს ეგონოს, მხოლოდ დღის ერთს საათს დარჩენილანო (სამარეში), იმათაც ყველამ ერთმანერთი იცნონ მაშინ. ვინც სიცრუედ ჰსთვლიდენ ღვთის წინაშე გამოცხადებას და ვინც ჰეშმარით ვხაზედ დაყენებულ არ იყვნენ, წაწყმდენ.

47. ჩვენმიერ ქადებულ სატანჯველთა ნაწილი გახილვებიანოთ, თუ უმაღ მოგიწოდოთ ჩვენდამი, ყველანი ღვთის მიმართ მიიქცნენ; იგი (ღმერთი) გამოცხადდეს მაშინ, როგორათაც მათის მოქმედების მოწმე.

48. თვითოეულს ერს თავისი წინასწარმეტყველი ჰყოლია; ხოლო როცა წინასწარმეტყველი მათთანაც მივიდა აგრეთვე, ცილობა სამართლიანად გადაჭრილ იქმნა და არც უსამართლოდ მოჰყრობია მათ.

49. ამბობენ: როდისღა აღსრულდეს ეგ ქადილები? გვითხარით, თუ გულწრფელ ხართ.

50. უთხარი მათ: ხელი არა მაქვს მასთან, რაც მარგებს, თუ მავნებს, თუ არ იმდენად, რამდენადაც ღვთის მოსაწონ იქმნება. თვითოეულს ერს თავისი აღსასრული აქვს. როცა აღსასრული იგი მოწვენილა, ერთ საათსაც ვერ დააყოვნებს, ვერც დააჩქარებს.

51. უთხარი მათ: თუ ღვთის მიერ სასჯელი უნდა დაადგეს მათ ღამით, ანუ დღისით, რადღა ჰსწადიათ ცოდვილებს მისი დაშურება?

52. ნუ თუ იმ ჟამს იწამოთ, როცა სასჯელი დაგადგესთ? —ღიან, მაშინ იწამოთ; მაგრამ რად აშურებდით?

53. მაშინ უმართლოებს უთხრან: საუკუნო სასჯელი იგემეთ; სხვაფრივ როგორ მოგეზღვისთ თუ არ თქვენის ღირსებისაებრ?

54. შენთან შესატყობად მოვიდენ, ნეტა თუ მართლა ისე იქმნესო. უთხარი: ჰო, ჩემს უფალს ვფიცავ, მართალია და ვერც შეასუსტებთ ღვთის ძლიერებას.

55. ცხადია, ყოველი სული, რომელსაც უსამართლობა ჩაუდენია, ინატრებს, თავი გამოისყიდოს ქვეყნის ყოველის სიმდიდრის ფასად. თავიანთი სინანული დამალონ (კაცთა), როცა მათი მომლოდინე სასჯელი იხილონ. საქმე ჩქარა გადაუწყდესთ და არც შეურაცხყოფილ იქმნენ.

56. ყველაფერი, რაც ცათა შინა და ქვეყანაზეა, ნუ თუ ღმერთს არ ეკუთვნის? ღვთის დაპირებული ნუ თუ მართალ არაა? მაგრამ უფროს ერთმა კაცმა არ იცის.

57. იგია სიცოცხლის მომნიჭებელ და მომაკვდინებელიც, ხოლო თქვენ ერთ ღღეს წაგასხან მასთან.

58. კაცო! თქვენის უფლისაგან მოგველონათ გაფრთხილება და წამალი ავადობისა, რომელიც გულს გიღრღნისთ, წარმართება თქვენის გზისა და მორწმუნეთათვის მოწყალება.

59. უთხარი მათ: ღვთის მადლითა და მისის მოწყალებით მიხარებდენ, უფრო არგოს ამან, ვიდრე სიმდიდრემ, რომელსაც მოიხვეჭენ.

60. უთხარი მათ: მითხარით, იმ ნიქთა შორის, რომელიც მადლით ღმერთმა თქვენზე გადმოავლინა, ზოგი რამ შეჰკარით და ზოგიც ახსენით. ჰკითხე მათ: ღმერთმა გასწავლათ ვეგ, თუ განზრახ აკუთნებთ მას?

61. მაგრამ რა იფიქრონ, აღდგომის დღესა, ვინც ღვთის თაობაზე სიცრუეს ჰსთხზვენ? უეჭველია, ღმერთი განუსაზღვრელად კეთილ არს კაცთადმი; მაგრამ უფროს ერთი მათ შორის მისი მადლიერ როდია.

62. ვერავითარ გარემოებაში მოხვდე, წიგნის ვერც ერთი სიტყვა წაიკითხო, კაცთა, რაც უნდა იყვეს, ვერც ერთი საქმე ჩაიღინონ, ისე, რომ არ უმოწმოდ ჩვენ, როცა ხელი მიჰკონ მას. ერთიცახესოდენიც კი ქვეყნიერებაზე, თუ ცათა შინა ვერ დაემალება შენს უფალსა. არც უმცირესი, არც უმეტესი სიმძიმეა ისეთი, რომ ცხად წიგნში ჩაწერილ არ იყვეს.

63. ღვთის მეგობრები საფარველ ქვეშ იქმნენ ყოველის შიშისაგან და არც იმწუხარონ.

64. ვისაცა ჰსწამსთ და ვისაც ეშინიათ,

65. მათთვის კარგი ამბავია სააქაოს და საიქიოს. ღვთის სიტყვები როდი იცვლება. იგია განუზომელი ნეტარება.

66. მათმა სიტყვებმა არ შეგაწუხოს. ყოველი დიდება ღმერთს ეკუთვნის; ესმის და ეუწყება ყველაფერი.

67. ყველაფერი, რაც ცათა შინა და ქვეყანაზეა, ნუ თუ ღვთის არაა? ვინც ღვთის თანასწორ მოუწოდებენ ამხანაგებს, რომელსაც აძლევენ მას, ამაო სარწმუნოებას მიჰსდევენ და სიცრუესაც ჰსთხზვენ.

68. ღამე თქვენდა მოსასვენებლად და დღე, რომელიც

ყველაფერს გახილვებინებს, მან დააწესა. ცხადია, ამაში სასწაულებია მათთვის, რომელთაც ყურნი ასხენან.

69. ამბობენ: ღმერთს ძე ჰყავსო. მისმა დიდებამან, არა! იგი კმარობს თავისს თავსა; რაცაა ცათა შინა და ქვეყანაზე, ყველაფერი მას ეკუთვნის. მივიღიათ რამე უფლება, რათა ვგრე ილაპარაკოთ, თუ ამბობთ მას, რაც არ გაგეგებათ?

70. უთხარი მათ: ვინც სიცრუეს ჰსთხზვენ ღვთის თაობაზე, ვერ ცხონდენ.

71. ამ წუთისოფლით ჟამიერ დაჰსტკბნენ, მერმე კი ჩვენდამი მოიქცნენ; მასუკან საზარელი სასჯელი ვაგემებინოთ მათის ურწმუნოების საზღაურად.

72. გადაუკითხე მათ ნოეს ამბავი, როცა თავისს ერს უთხრა: ჩემო ერო! თუ ჩემს ყოფას თქვენ შორის და ღვთის სასწაულთა სახსენებელს ვერ დაითმენთ, იმედი ერთადერთს ღმერთზე დამიმყარებია. თქვენი ღონე და ამხანაგები მოიკრიბეთ და თქვენს განზრახვას ნუ დამალავთ: გადმიწყვიტეთ დანულარც მაცდევინებთ.

73. თუ პირი იბრუნეთ, არავითარ დასაჯილდოებელს მოგთხოვთ, ჩემი დაჯილდოება ღვთის მიერ იქმნება; მისგან მებრძანა, მას მივენდო.

74. მატყუარად ჩაადგეს იგი, ხოლო ჩვენ დავიხსენით იგი და ვინც მასთან იყვნენ კილობანში. იგინი გადავარჩინეთ, მაგრამ კი დავარჩეთ, ვინც ჩვენს სასწაულებს სიცრუედ აგდებდენ. აი თუ რა აღსასრული ჰქონდათ, ვისაც ნოე აფრთხილებდა.

75. შემდგომ სხვა წინასწარმეტყველები მოვავლინეთ თვითოეული თავისი ერის მიმართ. ცხადი სასწაულები ახილვებინეს მათ; მაგრამ იმ ერმა გული ვერ დაუდო მის წამებას, რაც, დიდხანი არ იყო, სიცრუედ მიაჩნდათ. უსამართლოთა გულს ასე დავასვამთ ბეჭედსა.

76. მასუკან მოსე და აარონ მოვავლინეთ ჩვენ სასწაულებ-თანახლებული, ფარაოსა და მისის საბრძანებლის დიდე-

ბუღალთა მიმართ; ხოლო ორგულობით თავს გავიდენ და ცოდვილ შეიქმნენ.

77. როცა ჩვენმიერ ჭეშმარიტება მოველინათ, ჰსთქვეს: წმინდა თვალთმაქცობა არიო.

78. მაშინ მოსემ უთხრა მათ: როცა ჭეშმარიტება გამოგეცხადებათ ხოლმე, რად ჰკითხულობთ თვალთმაქცობა ხომ არ არიო? თვალთმაქცებმა ვერ იხეირონ.

79. შიტომ ხომ არ მოხვედიო, მიუგეს, რომ ჩვენის მამების ნაღვაწისათვის გზა აგვახვევირო და ბატონობაც ამ ქვეყანაში თქვენ ორთავესი იქმნესო? არ გიწამებთ.

80. ფარაომ მაშინ ჰსთქვა: ვინც კი მოხერხებული თვალთმაქცი იყოს, მომგვარეთ. ხოლო როცა თვალთმაქცები მოვიდენ, მოსემ უთხრა მათ: გადაადგეთ, რაც უნდა გადაადგდეთ.

81. გადაადგეს თუ არა, რაც უნდა გადაედგოთ, მოსემ შეეცილა: რასაც შერებით, მხოლოდ თვალთმაქცობა არიო. ღმერთმა ამოება გამოაჩინოს, ვინადგან ღმერთი როდის ახეირებს ბოროტთა მოქმედებასა.

82. ღმერთი ჭეშმარიტებას თავისი სიტყვებით განამტკიცებს, ცოდვილებს კიდევ რომ საწყენად დაურჩესთ.

83. ხოლო მოსეს, საკუთრად მისი ერის გარდა, არავინ დაუჯერა, შიშით, რათა ფარაოსა და დიდებულებს არ შეევიწროებინათ (ეგვიპტელები); ვინადგან ფარაო იმ ქვეყანაში ძლიერ იყო და თავდაუჭერლადაც იქცეოდა.

84. მაშინ მოსემ უთხრა თავისს ერსა: ჩემო ერო! თუ ღმერთი გიწამებიათ, მრთლად თქვენი იმედი მახედ დაამყარეთ, თუ მართლა მისი ნების მინდობილ ხართ.

85. მათ მიუგეს: იმედი ღმერთზე დავგიმყარებია. უფალო, შემაჭირვებელის ხალხის განსაცდლის მსხვერპლად ნუ ვაგვხდის.

86. შენი მოწყალებით გვიხსენ ურჯულთა ხალხისაგან.

87. მაშინ მოსესა და მისს ძმას ვასმინეთ ასეთი გამო-

ცხადება: თქვენს ერს სახლები დაურიგეთ ეგვიპტეში და სამლოცველო ჰყავთ იგინი, ლოცვა ნამდვილად აღასრულეთ და მორწმუნეთა აუწყეთ სასიხარულო ამბები.

88. უფალო! მოსემ ლალადჰყო, ფარაოსა და მის დიდებულთათვის მოგიმადლებია სიმდიდრე და ბრწყინვალეობა ამა სოფლისა, რათა შენს გზას დაშორებულიყვნენ; უფალო! სიმდიდრე მათი შემუსრე, ხოლო იგინი გააგულქვავე; ნუ ირწმუნებენ, ვიდრე საზარელ სასჯელს განიცდიდენ.

89. თქვენი ვედრება შევიწყნარე, მიუგო ღმერთმა; ჰემმარიტის გზით იარეთ და ნუ მიჰყვებით მათ, რომელთაც არა იციან რა.

90. ისრაელის შვილებითურთ ზღვაში გავედითა ფარაო და მისი ჯარები გაცხარებით და მტრულად ჰსდევდენ მათ იმჟამამდე, როცა ტალღებ შემორტყმულმა დაიძახა: მრწამს, რომ სხვა ღმერთი არა არს თვინიერ მისა, რომელსაც ისრაელის შვილები ერწმუნებიან. შე ვარ მათგანი, რომელნიც იმას მიენდობიან.

91. დიახ, იმ დროს; მაგრამ კი დიდი ხანი არაა, რაც აღმაშფოთებლად გამოხვედი და უკეთურთაგანი იყავ.

92. დღეს დაგიხსნათ გვაში, რათა გაფრთხილების სასწაულად იყოს შენ მემკვიდრეთათვის; თუმცა კაცთა მომეტებული ნაწილი ჩვენს სასწაულებს უგულებელსა ჰყოფს.

93. ისრაელის შვილებს ჩინებული სადგომები დაუმარაგეთ ჩვენ (ასურეთში) და საზრდოც სულ ჩინებული და ჩინებული მივანიჭეთ; მხოლოდ მაშინ გაიყვნენ, როცა შენის უფლისაგან მცნება მიიღეს. ხოლო ღმერთმა, აღდგომის დღეს, გაიკითხოს მათი უთანხმოება.

94. თუ ეჭვი გექმნეს მის, რაც მაღლით მოგველინა, დაეკითხე მათ, რომელნიც შენს უწინარეს მოვლინებულ წერილს ჰკითხულობენ. ჰემმარიტება ღვთისაგან დაგედგა თავსა, მექველთაგანი ნუ იქმნები.

95. ნუ იქმნები მათგანი, რომელნიც ღვთის სასწაულებს

სიცრუედ ჰსთვლიან, რათა დაგმობილთა შორის არ ჩაირიცხო.

96. ვის წინააღმდეგაც წარმოთქმულ იქმნა სიტყვა ღვთი-
სა, მათ არ ირწმუნონ.

97. კიდევ რო ყველა სასწაულები მოხდეს, არ ირწმუ-
ნონ, ვიდრე საზარელი სასჯელი არ განიცადონ.

98. სხვაფრივ რომ ყოფილიყო, ქალაქი, რომელიც იწა-
მებდა, მით საშველს იპოვიდა. ხოლო ირწმუნა თუ არა, გა,
დარჩა მარტო იონას ერი. საძრახის სასჯელისაგან დავიხსენით-
ამ სოფლად და მიუშვით, ეცხოვრა კიდევ უწყებულ ქამამდე.

99. ღმერთს რომ ენებებინა, ყოველი ქვეყნიერი ადამიან-
ი იწამებდა. გწადია, ერი აიძულო მორწმუნედ გახდომას?

100. როგორ შეუძლია სულს, იწამოს ღვთის უნებურად?
თავისი ღრტვინვა მიაქციოს მათზე, რომელნიც ვერ ჩახვდებიან.

101. უთხარი მათ: იხილეთ, რაცაა ცათა შინა და
ქვეყანაზე. ხოლო სასწაულები და გაფრთხილება არაფრად გა-
მოადგესთ მათ, რომელთაც არა ჰსწამსთ,

102. განა უნდა უცადოთ სხვას და არა თქვენს უწინა-
რეს ყოფილ დგმათა აღსასრულსა? უთხარი მათ: უცადეთ და
მეც თქვენთან ერთად დავიცადო.

103. მასუკან დავიხსნათ ჩვენი მოვლინებულნი და იგი
ნიც, რომელთაც იწამონ. სამართალია, მორწმუნეები დავის
ხსნათ.

104. უთხარი მათ: კაცნო! თუ რამ ექვი გაქვსთ ჩემი-
სარწმუნოებისა, გამოგიცხადებთ, რომ არა თაყვანსა ვჰსცემ მათ-
რომელთაც თქვენ თაყვანსა ჰსცემთ ღვთისა თანასწორ; თაყვანს
ვჰსცემ იმ ღმერთსა, რომელმაც უნდა დაგხოცოსთ. მებრძანა,
მორწმუნე ვიყო.

105. მეუბნა: შენი შუბლი ქეშმარიტის სარწმუნოების-
კენ წარმართე; ღვთისნიერ იყავ და ნუ იქმნები მათგანი, რო-
მელნიც სხვა ღმერთებს უკავშირებენ ღმერთსა.

106. ნუ მოუწოდებ ღვთის თანაბრად მას, რაც ვერც
არას გარგებს, ვერცარას გავნებს, თუ იქმ და არაწმიდა ხარ.

107. თუ ღმერთი ჭირს რასმე გადაგვიდებს, თვინიერ მისა არავის შეუძლია შენი ხსნა; თუ სიკეთეს რასმე შეგცერის, ვერ დაახევიანებს უკან მისს წყალობას; მიგავლენს, ვისთანაც ნებავს თავის მსახურთა შორის. იგია სულ-გრძელ და შემბრალებელი.

108. ჰსთქვი: კაცნო! ჭეშმარიტება მოგვევლინათ თქვენის უფლისაგან; ვინც ჭეშმარიტს გზას აირჩევს, თავის სასიკეთოდ აირჩევს; ვინც გადასცდება, თავისი სულის სავნებლად გადაჰსცდება. უფლებით როდი ვარ განმტკიცებული.

109. მიჰყევ მაშ, რაც გამოცხადებულ იქმნა შენდამი და მოთმინებით შეიჭურვე ჟამამდე, ოდეს ღმერთმა თავისი მსჯავრი დასდოს. საუკეთესო მსაჯულთაგანია.

თ ა ვ ი XI

პ უ ლ

ნაბობებია შექას. — 123 მუხლი.

ს ა ხ ე ლ ი თ ა

ლ ვ თ ი ს ა

მოწყალისა და შემწყნარებელისა.

1. ელიფ. ლამ. რა. წიგნი, რომლისაც მუხლები პირველად მტკიცე საფუძველზე დამყარებულ, ხოლო შემდგომ ახსნილ იყო, მოდის ბრძნისა, მეცნიერისაგან.

2. ჰა! ნუ თუ ღმერთს არა თაყვანი ჰსცეთ: მის მიერ ვარ თქვენი გამაფრთხილებელ, თქვენი მოციქული.

3. მიტევებას ვეცდრეთ თქვენს უფალსა, შემდეგ მიიქეციო მასთან; კარგის ბედით გაგახაროსთ, წინდაწინვე დადებულ ვადამდე, და თავისი წყალობა მიანიჭოს ყოველს წყალობის ღირსს ადამიანს. ხოლო თუ იბრუნეთ პირი, ჭეშმარიტად, მე იეშინია თქვენ წილ დიდის დღის სასჯელისა.

4. ყველა ღვთის მიმართ მიიქცეთ; ყოველად შემძლებელია.
5. გულს ხომ არ ინაოქებენ, რათა თავიანთი განზრახვა დაჰმალონ?
6. ხოლო როცა ცდილობენ, თავი დაიფარონ ტანისამოსითა, განა ღმერთმა არ უწყის, რასაც ჰმალვენ და რასაც აჩენენ?
7. შექველია, უწყის, რასაც მათი გული შეიცავს.
8. ქვეყნიერობაზე არაა ისეთი ქმნილება, რომლისთვისაც ღმერთი არ ზრუნვიდეს საზრდოს მიწოდებას; მისი გაჩენა და მისი სიკვდილის ადგილი უწყის; ყველაფერი ჩაწერილ არის ცხად წიგნში.
9. ცანი და ქვეყანა გააჩინა ექვსის დღის განმავლობაში; ისი ტახტი უწინ არეს გაჩენისა, წყალზე დამყარებულ იყო: ზღმერთს თავდაპირველად ჰნებავდა, შეეტყო, თუ თქვენ შორის ვინ მოიქცეოდა უმჯობეს.
10. როცა მათ ეუბნები: სიკვდილის შემდეგ აღდგენილ იქმნეთო, ურჯულოები გეპასუხებიან: ეგ წმინდა თვალთ-მაქცობა არიო.
11. ხოლო თუ სასჯელი განსაზღვრულ დრომდე გადავდევით, იტყვიან: რალა უშლის, ეხლავ აღასრულოსო! — ჰსჯე-რათ, თუ არა, რომ უნდა დადგეს ისეთი დღე, ველარავინ უკუ დააბრუნოს? რაც მათი დაცინვის საგნად იყო, მანვე გარემოიცივას ყოველის კუთხითა.
12. თუ ადამიანს ჩვენის წყალობის ნაყოფი ვაგვებინეთ და მასუკან თუ დავაკელით, კიდევ დაიწყებებს იმედსა და გახდება უმადური (ურწმუნო).
13. ხოლო თუ ვაგვებინეთ კეთილმოქმედება, შემდეგ უკუღმართობისა, რომელიც ჰსწევია, იტყვის: უბედურება ძლივს არ გამშორდაო; უხარია და თავს იწონებს.
14. ვინც დაითმენენ და კეთილს იზმენ, პატიებასა და ჩინებულ ჯილდოს ეღირსონ.

15. შესაძლოა, დაგავიწყდეს ცნობინება ერთის ნაწილისა მის, რაც გამოგეცხადა, და შენმა გულმა იჯავროს, ოდეს გითხრან: თუ მალლით საუნჯე არ მოველინა, ან თუ ანგელოზი არ ეახლა, არ ვიწამოთო. შენ, მუჰამმად, მხოლოდ გამაფრთხილებელ ხარ, მარტო ღმერთი აღასრულებს ყველაფერსა;

16. იტყვიან: მან (მუჰამმადმა) შეთხზა კურანი იგიო. უპასუხე: მაშ კარგი! ათი ასეთივე სურათი (თავი) მოიტანეთ, შეთხზეთ და თქვენ დასახმარებლად მოუწოდეთ ყველას, ვისაც შეგიძლიათ, თვინიერ ღვთისა. ჰქმენით, თუ გულწრფელ ხართ.

17. ხოლო თუ ვერ მოახერხებთ, შეიტყეთ, რომ (კურანი) ღვთის განგებით მოვლინებულ არს და რომ ღმერთი არა არს, თუ არ თვითონ ღმერთი იგი. მუსულმანები ხართ ხომ?

18. სამართლიანად მივაგოთ საქმეთათვის მათ, რომელთაც ინატრონ ცხოვრება ამა სოფლისა და მისი სიამოვნება; შეურაცხყოფილ არ იქმნენ.

19. ხვედრად მომავალ ცხოვრებაში ცეცხლი ექმნესთ; რაც ამ წუთისოფლად ნამოქმედარი ექმნესთ, ფუჰად ჩაუაროსთ; მათი მოქმედება ამაო იქმნეს.

20. ნუ თუ ურჯულოთა თანაბარ უნდა იქმნენ იგინი, რომელნიც ეფუძნებიან უფლისაგან მომავალ ცხად საბუთებსა, რასაც მათ მოუთხრობს ღვთისგან მომავალი მოწმე, რომელსაც ეწინამორბედა მოსეს წიგნი, წინამძღვრად და ღვთის წყალობის სასწაულად ბოძებული? დიახამც ერწმუნებიან; ხოლო ვისაც მათ (არაბთა) შორის არა ჰსწამს, ცეცხლი ექმნეს თავ-მოსაყრელ ადგილად. მაშ ნუღარაფერს ექვს გაიტარებ იმ წიგნისას, იგია თვითონ ჰეშმარიტება, მაგრამ უფროს ერთ ადამიანს არა ჰსწამს.

21. ვინაა უბოროტესი მის, რომელიც ღვთის თაობაზე სიცრუეს ჰსთხზავს? ხალხი იგი ერთ დღეს თავისი უფლის წი-

ნაშე გამოცხადდეს და მოწმეთაც ჰსთქვან: აი, რომელთაც დაჰსწამეს თავიანთ უფალს მატყუარობაო. ღვთის წყევა-კრულვა განა არ უნდა ეწიოს ბოროტთა?

22. ვინ არიან იგინი, რომელნიც სხვებს არიდებენ ღვთის გზას და ჰსურსთ, დაკლაკნონ იგი? ვინც მომავალიცხოვრება არ იწამეს. ღმერთი ვერ დააუძღურონ ქვეყნად და მფარველიც ვერაფრითარი ჰპოონ მის წინააღმდეგ. სასჯელი, რომელიც მათ მოელისთ, გაორკეცდეს. არაფერი ესმოდათ, არც არაფერი ჰსწამდათ.

23. მათ დაიღუპეს თავი თვითონვე და მათი მოგონილი ღმერთებიც გაჰქრნენ.

24. ექვი არ უნდა, რომ ყოვლად უბედურ იქმნენ საიქიოს.

25. ვისაც ჰსწამსთ და კეთილს შვრებიან, ვინც უფლი წინაშე თავს იმდაბლებენ, ეუფლონ სამოთხეს, სადაც საუკუნოდ დარჩნენ.

26. კაცთა ორი ნაწილი იგი ემსგავსება ბრმასა და ყრუსა, მას, რომელიც იხედება და რომელსაც ესმის. განა ერთმანერთის სწორ არიან? ნუ თუ ვერ უნდა მიხვდეთ?

27. ნოე მოვავლინეთ მისის ერის მიმართ: უთხრა მათ, დავალებულ ვარ, ცხადად გაგაფრთხილოთ,

28. რათა იწამოთ მხოლოდ ღმერთი. თქვენ წილ მე შეშინია საშინელის დღის სასჯელისა.

29. ურწმუნო ხალხის თავ-კაცებმა უპასუხეს: შენც ჩვენსავით კაცი ხარ და ვხედავთ მხოლოდ მას, რომ უგვანო ბრბო აგყოლიათ დაუფიქრებლად. არაფერი გაქვს დამსახურებული ისეთი, რამაც ჩვენს ღმალღეს გაგაყენოსთ. მით უმეტეს, ყველა მატყუარებად მიგვაჩნიხართ.

30. ჩემო ერო! ნოემ სიტყვა ჩამოართვა, რა გგონიათ? როცა მხოლოდ იმას ვშვრები, რომ მიჰყვეთ ღვთის გამოცხადებასა და წყალობას, რომელიც მისგან მომდის და რომელ-

საუბრის თქვენ ვერ ჰხედავთ, განა საჭიროა, თავს მოგახვიოთ თქვენდა უნებურად?

31. ჩემო ერო! სიმდიდრეს არა გთხოვთ სამაგიეროდ, ჩემი დაჯილდოება ღვთის საზრუნველია და ვერცა ვგმობ მათ, რომელთაც ჰსჯერათ ერთ დღეს, უფალი იხილონ. მაგრამ ვხედავ, უმეცარი ხალხი ყოფილხართ.

32. ჩემო ერო! ვინ წამადგეს ღვთის წინაშე, მორწმუნენი რო ვგმო? არ უნდა დაუფიქრდეთ?

33. არ გეტყვით: ღვთის საუნჯენი ჩემ ხელთ არიან. დაფარულ საქმეებს ვერ ვიცნობ. არ გეტყვით: ანგელოზი ვარ; არ ვეტყვი მათ, რომელთაც თქვენი თვალები ზიზღით შეჰსცქერიან. ღმერთმა არაფერი სიკეთე მიანიჭოს მათ. ღმერთმა უკეთ უწყის, რაცაა მათ გულთა სიღრმეში. ეს რო მეთქვა, უკეთურთაგანი ვიქმნებოდი.

34. მიუგეს: ნოე! შენ კიდევ შემოგვეკამათე და მხოლოდ ჩვენს უთანხმოებას აძლიერებ. მოახდინე რაღა, რასაც გვემუქრები, თუ გულმართალ ხარ.

35. უეჭველად ღმერთმა მოახდინოს, უკეთუ იპრიანოს, და ვერც დააუძღურო იგი.

36. რჩევა რო მოგცეთ, არაფრად გამოგადგებათ, როცა ღმერთს ჰნებავს თქვენი შეცდომა. იგია, თქვენდა უფალ და იმასთან მიიქცეთ.

37. გითხრან: მან მოიგონა კურანი იგიო; უთხარი მათ: თუ მე მომიგონია, ბრალიც უნდა მე დამედოს, მაგრამ თქვენთან კი არ ვარ დამნაშავე.

38. შემდეგ ნოეს გამოეცხადა: აღარავინ იქმნეს მორწმუნე შენს ერში მას გარდა, ვისაც ურწმუნებია. მათი მოქმედება არ ინაღვლო.

39. კილობანი გააკეთე ჩვენ თვალ-წინ და ჩვენის გამოცხადებით, და ნულარას გვეზრახვი ბოროტთა შესაწყალებლად: დაირჩონ.

40. კილობანი გააკეთა და ყოველთვის მისი ერის თავ-

კაცები გაივლიდნენ თუ არამის სიახლოვეს, დაჰსცინოდნენ. ნუ დამცინითო, უთხრა ნოემ, ჩემდა ჯერად მე დაგცინოთ, როგორათაც თქვენ დამცინით და კიდევ შეიტყოთ.

41. თუ ვის მიადგეს სასჯელი, რომელმაც უპატიურობით დაჰპუროს იგი. სასჯელი იგი განუწყვეტლივ მის თავს იქმნეს.

42. ესე იყო იმ ჟამამდე, როცა ბრძანება გამოვეცით და საგუბარიც გასკდა. ჩვენ უთხარით ნოესა: მაგ კიდობანში წყვილ-წყვილად შეიყვანე ყოველი ნათესავი, შენი სახლობაც, მას გარდა, ვიზედაც განაჩენი წარმოითქვა. შეიყვანე აგრეთვე ყველანი, რომელთაც იწამეს; მაგრამ მორწმუნეთა რიცხვი მცირეოდენ-ლა იყო.

43. ნოემ უთხრა მათ: კიდობანში შედით. ღვთის სახელით იქმნეს მისი ცურვა და ღუზის სროლა. ღმერთია მომთმენ და შემბრალები,

44. კიდობანიც ცურვიდა მათთან ერთად მთებივით ამაღლებულ ტალღებ შორის. ნოემ დაუძახა თავისს ვაჟიშვილსა, რომელიც მოშორებით იყო: წვილო ჩენო! ჩენთან ანოდიურწმუნოებთან არ დარჩე.

45. ჰსთქვა, გავიქცე მთაზე და წყალისაგან დამიფაროს. ნოემ მიუგო: დღეს ვერაკაცი მიეფაროს ღვთის განგებასა, თვინიერ მისა, რომელიც შეიბრალოს. ტალღებმა ერთმანერთს დააშორა იგინი, ხოლო ნოეს შვილი დაირჩო.

46. და ითქვა: დედა-მიწავ! წყალი შეისვ; ზეცავ! შედექ; და წყალმაც იკლო; განაჩენი აღსრულებულ იქმნა. კიდობანი აღ-ჯუღდის მთაზე შედგა, ხოლო ითქვა: შორს აქეთ-გან ბორბტნი!

47. ნოემ ღალად ჰყო უფლის მიმართ, და ჰსთქვა: უფალო ჩემო! ჩემი ვაჟიშვილი ჩემთაგანია; შენი აღთქმა ჰეშმარიტია, საუკეთესო მსაჯულთაგანიცა ხარ.

48. ნოე! ღმერთი შეეცილა, როდი-ლა არის იგი შენთან.

განი. რასაც ჰსჩადიხარ, უსამართლო საქმეა. ნუ მკითხავ, რაც არ იცი. მე გაფრთხილებ, რათა უმეცართაგანი არ იყო.

49. უფალო! გეხვეწები, შემინდო იმის კითხვისთვის, რაც არ ვიცი, ხოლო თუ არ მაპატიე, თუ არ შემიბრალებ, წავწყდები.

50. უთხრა: ნოე, კილობნითგან გამოდი და მიგიძლოდესთ ჩვენი მაცხოვარება და ჩვენი ლოცვა-კურობევა შენ და შენთან მყოფ ხალხსა. ზოგნი ისეთნი ხალხნი არიანო, ჯერ უნდა დავეტკბოთ ამ წუთისოფლის სიკეთითა; მერმე კი საშინელი სასჯელი დაადგესთ.

51. აი ერთი უცხო ამბავთაგანი. შენ გამოგიცხადებთ, მუჰამმად, ამ ამბავს, რომელიც აქამომდე არ იცოდით, არც შენ, არც შენმა ერმა. მოთმინება იქონიე; სანეტარო აღსასრული აქვსთ ღვთის მოშიშთა.

52. აღის ხალხის მიმართ მივაველინეთ მათი ძმა ჰუდ. უთხრა მათ: ჩემო ერო! ღმერთს თაყვანიეცით. სხვა ღმერთი როდი გყავსთ თვინიერ მისა. სხვები თვითონვე თქვენი მოგონილია.

53. ჩემო ერო! გადასახადს არაფერს გთხოვთ; ჩემი გადასახადი საზრუნველია მის, რომელმაც გამაჩინა. ნუ თუ არ გესმისთ?

54. ჩემო ერო! თქვენს უფალს ევედრეთ მიტევებას, ხოლო შემდგომ მასთან მიიქეცით, ზეცით უხვად წვიმა მოგივლინოსთ.

55. ძალა შეგმატოსთ. არა დააშაოთ-რა. (შეინანეთ).

56. ჰუდ! მიუგეს, ცხად სასწაულ თანახლებული არ მოდიხარ; ჩვენი ღმერთები არ დავეყაროთ მარტო ოდენ შენის სიტყვითა; არ გერწმუნებით.

57. რა ვჰსთქვათ, თუ არ ის, რომ ერთერთი ჩვენი ღვთის რამე კვეთებამ თავზარი დაგცათ? მიუგო, მოწმედ ღმერთი ამიყვანია, თქვენც ამოწმებთ თქვენდა თავად ჩემს უდანაშაულობას, რომ უამხანაგებთ სხვა ღმერთებს.

58. ღმერთსა: თქვენი ვერაგობა, ამოქმედეთ თქვენ, ხოლო ნულარ მაცდევინებთ მე;

59. ვინადგან იმედი დამიმყარებია ღმერთზე, რომელიც ჩემი უფალია და თქვენიცა. ერთი ქმნილებაც არ არსებობს ისეთი, ბალნის წვერით არ ჰყავდეს დაქერილი. ღმერთი ქეშმარიტ გზაზეა.

60. თუ ზურგს შეაქცევთ, ჩემი მონდობილება მიცნობებია თქვენთვის. ღმერთმა თქვენ მაგიერ სხვა ხალხი დაადგინოს და ვნებაც ვერაფერი შეამთხვიოთ მას (ღმერთს). ჩემს უფალს უპყრია ყოველივე ნივთი თავისს მიჯნებში.

61. ჩვენი ნება ემზადება აღსრულებას. დავიხსენით, ჩვენის წყალობის მოქმედებით, ჰუდ და ვინც მასთან ერთად ირწმუნეს. საშინელ ტანჯვას გადავარჩინეთ იგინი.

62. აღის ხალხმა თავისის უფლის: ქეშმარიტება ჰვმო; მის მოვლინებულთ ეურჩა, ხოლო ძლიერ და მეშფოთარ კაცთა ბრძანებას აჰყვა.

63. წყევა-კრულვა ჰსდევნიდა მათ ამ ქვეყნად. აღდგომის დღეს უხმონ მათ: ად განა არ ექმნა ურწმუნო თავისს უფალსა? შორს აქეთგან, ად, ჰუდის ერო!

64. თემუდელთა მიმართ მივაგლინეთ "მათი ძმა სალეჰ, რომელმაც უთხრა მათ: ჩემო ერო! ღმერთს თაყვანი ეციოთ. სხვა ღმერთებს მას გარდა ნუ იყოლიებთ. დაგბადათ დედამიწისაგან, რომელიც მანვე მოგანიჭათ სამკვიდრებლად. პატივებას ევედრეთ: მერმე მიიქეცით მასთან. ჩემი უფალი. ახლოა. ყურად იღებს, ვინც ევედრებიან.

65. მიუგეს: სალეჰ! ჩვენი საიმედო იყავ. ეხლა გვიშლი მის თაყვანისცემას, რასაც ჩვენი მამები ეთაყვანებოდნენ? დიდი ეჭვი გვქონდა იმ სათაყვანოსი, რაზედაც მიგვიწოდებ.

66. ჩემო ერო! მიუგო, ერთი იფიქრეთ. როცა ღვთის ცნადი ნება მიძღვის, როცა მისი მოწყალება ჩემზე გადმოსულა, ვილა წამადგეს მის წინაშე, თუ გვეურჩე? თქვენ გააძლიერებთ მხოლოდ ჩემს უბედურებასა.

67. ჩემო ერო! ეს ფაშატი აქლემი ღვთის აქლემია, თქვენთვის სასწაულად იქმნეს; გაუშვით, მოხვენებით ჰსძოვოს ღვთის ადგილზე, არაფერი დაუშაოთ; საშინელი სასჯელი მოჰყვეს მახლობლად.

68. აქლემი მოჰკლეს. მაშინ საღვთისმამის უთხრა მათ: თქვენ თქვენ სახლში სამს დღეს მოიცადეთ. ამის დაპირება არ გა-
ცრუვდეს.

69. რაკი ჩვენი განაჩენი წარმოითქვა, ჩვენის წყალობის მოქმედებით ვიხსენით საღვთს და ვინც მასთან ირწმუნეს, იმ დღის არაწმინდებისაგან. შენი უფალი ძლიერ, შემძლებელია.

70. მძლავრმა ნიაგვარმა შეიპყრო უკეთურები; დილას ნახეს, დახოცილი ეყარნენ პირქვე თავთავიანთ სახლში,

71. თითქოს არასოდეს ეცხოვროთ. თემულ ურწმუნო ექმნა თავისს უფალსა. შორს აქეთგან, თემულ!

72. ჩვენი მოვლინებულნი აბრაამთან მივიდენ, თანვე სა-
სიხარულო ამბავი მიიტანეს. „მშვიდობაო!“ უთხრეს. „მშვი-
დობაო!“ მიუგო; ცოტა ხანს შემდეგ შემწვარი ხბო მიართვა.

73. ხოლო როცა ნახა, რომ ხელიც არ ახლეს და-
მზადებულ სანოვაგესა, არ მოეწონა და შეშინდა. ნუ გეში-
ნიაო, უთხრეს, ჩვენ გამოგზავნილ ვართ ღოთის ერთანაო.

74. მისი ცოლი (აბრაამის ცოლი) ფეხზე იდგა და დაი-
წყო სიცილი. იმას ვახარეთ ისააკ, ხოლო ისააკის შემდეგ,
იაკობ.

75. ეჰ! რა უბედური ვარ! მე და ძეობა? როცა თვი-
თონ მე დედაბერ და ჩემი ქმარი კი ბერიკაცია! უთუოდ,
უცნაური საქმეა!

76. ღვთის ნება უნდა ვაიკვიროვო? მისი წყალობა და მი-
სი ღოცვაკურთხევა თქვენზედ, ამ სახლის მკვიდრთა ზედაა.
ღმერთი დიდებისა და ქების ღირსია.

77. როცა აბრაამს შიშმა გაუარა და საბედნიერო წი-
ნასწარმეტყველებაც ეუწყა, ღოთის ერის დასაცველად შემო-

გვებაასა; ვინადგან აბრაამ მშვიდ, გულშემატკივარ, მოწყალებით მიმხედველ იყო.

78. აბრაამ, თავი ზაანებე! ვინადგან შენის უფლის ბრძანება გამოცხადდა; სატანჯველი ეწიოს მათ; შეუბრალებელია.

79. ჩვენნი მოვლინებულნი მივიდენ ლოთთან; მათ გამო შეძრწუნდა, ერთობ უძლურიც იყო.—გაჭირვების დღეაო, ჰსთქვა.

80. მისი ერის კაცნი ბრბოდ შემოეხვივნენ; სისაძაგლეს ჰსჩადიოდენ. მათ უთხრა: აი ჩემი ქალიშვილებიო; ნაკლები უწმინდურება იქმნება, ესენი გამოიყენოთ. ხოლო სტუმრებს ნუ გამიუპატიებრებთ. ნუ თუ ერთი მართალი ადამიანი არაა თქვენ შორის?

81. შენ უწყიო, უთხრეს, რომ შენი ქალიშვილები არ გვჭირია; შენ უწყი, რაც გვინდაო.

82. ეჰ! საკმაო ძალა მქონდეს, ერთი გეწინააღმდეგოთ, ან შემეძლოს, თავშესაფარი ვიპოო რომლისამე ძლიერის მთავრის წინაშე!

83. ლოთ! უთხრეს მწირთა, შენის უფლის მიერ გამოგზავნილ ვართ. ხელი ვერ გახლონ. გამოდი შენის სახლობიანად ამ ღამესვე; მაგრამ კი პირი თქვენ შორის არავინ იბრუნოს. უკან მისახედველად. მარტო შენმა ცოლმა ჰქმნას; სასჯელი, რომელმაც იგინი (ცოდვილნი) შეიპყროს, აგრეთვე მასაც დაადგეს. რაც მათ ემუქრება, ხვალამდე მოხდეს, ხვალე შორს არაა.

84. ბრძანება გამოვიდა ჩვენგან; ქალაქი იგი თავიან ძირიანად დავაქციეთ; გამომწვარი მიწის აგურები ვაწვიმეთ განუწყვეტლივ მომავალი და თვითონ ღვთის მიერ ნიშანდებული. შორს არა ყოველ ბორბოტზე!

85. მადიანელთა მიმართ მოვავლინეთ მათი ძმა შოაიბ. ჩემო ერო! უთხრა, ღმერთს თაყვანი ეციოთ; მას გარდა, სხვა ღმერთებს ნუ იყოლიებთ; საწყაოსა და სასწორს ნუ დააკლებთ.

გხედავთ, უქონელი არა ხართ; მაგრამ მე მეშინია თქვენ წილ იმ დღის სასჯელისა, რომელმაც ყველა უნდა გარემო- გიცვასთ.

86. ჩემო ერო! საწყაო თავს მოჰყარეთ, სამართლიანად აჰსწონეთ და ნურც მოატყუილებთ ხალხს მის ქონებაში; უსამართლობას ქვეყანაზე ნუ ჩაიდენთ.

87. სულ მცირეოდენი, რაც ღვთის წყალობით დაგჩჩესთ, თქვენთვის უმჯობეს იქმნეს, თუ მორწმუნე ხართ.

88. თქვენი დარაჯი როდი ვარ.

89. მას უთხრეს: შოაიბ, შენი ღვთისნიერება არ გვიბრძანებს, დავტოვოთ ის, რასაც ჩვენი მამები თაყვანს ჰსცემდნენ. ან არ მოვეციდლოთ ჩვენს ქონებას ისე, როგორც ჩვენ გვებრძანება? თუმცა კი მშვიად და სწორი კაცი ხარ.

90. ჩემო ერო! შოაიბმა მიუგო, მითხარით: თუ ღვთისაგან მიმიღია ცხადი საბუთი და თუ ჩემთვის მოუნიჭებია ჩინებული ნაწილი თავისი ქონებისა, ხომ არ მმართვეს, წინააღმდეგე მას, რაც აკრძალულია ჩემთვის? მხოლოდ თქვენი გასწორება მწადია, რამდენადაც შემიძლია; ერთადერთი შემწეობა ღვთისაგან მეძლევა, მაზედ დამიმყარებია ჩემი იმედი და მასთან მივიქცე.

91. ჩემო ერო! ჩემმა თქვენთან უთანხმოებამ არ შეგამთხვიოსთ უბედურება ისეთი, რომელიც ეწია ნოეს ერსა, ჰუდის ერსა, სალემს ერსა! ლოთის ერის ბედი თვეზე შორს არაა.

92. თქვენს უფალს მიტევებას ევედრეთ, მერმე მასთან მიიქცით. ღმერთია მოწყალე და სიყვარულით აღსავსე.

93. შოაიბ! მიუგო ერმა, კარგად არ გაგვეგება, რაც გსურს, გვითხრა; სუსტ ხარ ჩვენ შორის. შენის სახლობის რომ არ გვეფიქრებოდეს, ჩაგაქვავებდით. ვერც გვაჯობებდი.

94. ჩემო ერო! ჰსთქვა შოაიბმა, ნუ თუ ჩემი სახლობა უფრო გეძვირთვასებათ, ვიდრე ღმერთი? განა ჰქმნათ ისე, რომ

თქვენს უკან დაავდოთ იგი? ღმერთი თავისის მეცნიერებით შეიცავს მას, რასაც შვრებით.

95. ჩემო ერო! იმოქმედეთ, ბოროტი ჩაიდინეთ, რამდენიც შეიძლოთ; მეც ჩემის მხრით ვიმოქმედო, ხოლო თქვენ შეიტყოთ,

96. თუ ვის დაადგეს საზიზღარი სასჯელი, და ვინაა მატყუარა ჩვენ შორის. დაუცადეთ ჟამსა; მეც დაუცდი აგრეთვე.

97. ჩვენი განჩინება რა წარმოითქვა, დავიხსენიოთ, ჩვენის წყალობის მოქმედებით, შოაიბ და ვინც მასთან ერთად ირწმუნეს. მძლავრმა ნიავეარმა შეიპყრო ბოროტნი; დილით ნახეს, შკვდრები ეყარნენ თავიანთ სახლებში,

98. თითქოს არასოდეს ეცხოვროთ იმ ქვეყანაში. მადიანი ნუ თუ არ დაშორდა ჭეშმარიტ გზას, რომელსაც დაშორდა თემულ?

99. მოსე მოვავლინეთ, ჩვენის სასწაულებით და შეუცილებელის უფლებითურთ, ფარაოსა და იმის დიდებულთა მიმართ. დიდებულნი დაჰყვნენ ფარაოს ბრძანებას; მაგრამ ფარაოს ბრძანება უსამართლო იყო.

100. ფარაო თავისს ერს მოთავედ გამოუძღვეს აღდგომის დღესა; ცეცხლში შეიყვანოს. რა საშინელი შესავალია!

101. წყევა-კრულვა. შეუდგებათ ამ ქვეყნად; ხოლო აღდგომის დღეს რა საზარელი ძღვენი უნდა მიერთვას!

102. აი იმ ქალაქთა ამბავი, რომელსაც მოგითხრობთ შენ: ზოგნი მათ შორის კიდევ ფეხზე დგანან, სხვები კი თითქო მოთიბულიყვნენ.

103. ჩვენ კი არა, თვითონ ისინი მოექცნენ თავიანთ თავს უსამართლოდ. ღმერთები, ღვთის თანასწორ რომ უწოდებდნენ, ვერაფრად წაადგნენ მათ, იმ ჟამს, როცა ღვთისა მიერ განჩინება წარმოითქვა. მხოლოდ განაძლიერეს იმათი დამარცხება.

104. როცა ღმერთი ეუფლება ცოდვილთა ქალაქებს,

ამგვარად ეუფლება. თავზარდაცემით, მძლავრობით ეუფლება.

105. უეჭველია, ამაში სასწაული რამ არის მისთვის, რომელსაც საიქიოს სატანჯველის ეშინია. იმ დღეს ხალხი სრულიად მოგროვდეს, იმ დღეს იხილონ ცანი და ქვეყანა.

106. მხოლოდ წინეთ დანიშნულ ვადამდე გადავდოთ.

107. იმ დღეს ვერც ერთმა სულმა აღამაღლოს სიტყვა, თუ არ ღვთის ნება დართვითა. იმ ხალხში ზოგი დაგმობილი იქმნეს, ზოგიც ნეტარ.

108. დაგმობილნი ცეცხლისაკენ გაექანონ; ოხრვა და კენესა მორთონ იქა.

109. იქ იცხოვრონ, ვიდრე გაჰსძლებდენ ცანი და ქვეყანა, თუ ღმერთმა სხვაფრივ არ ინება. შენი უფალი კეთილად მოქმედებს, რაც ჰნებავს.

110. ნეტარნი სამოთხეში იქმნენ, იქ დაჰყონ, ვიდრე გაჰსძლებდენ ცანი და ქვეყანა, თუ მხოლოდ შენმა უფალმა არ იპრიანა შემატება რისამე სიკეთისა, რომელიც არ შეჰსწყდება.

111. ნულარ გექმნება ეჭვი მისა, რასაც ისინი (ურჯულონი) თაყვან ჰსცემენ. ხალხი იგი თაყვან ჰსცემს მას, რასაც მანამდე მათი მამები ეთაყვანებოდენ. ყოვლად უნაკლოლოდ გადუხადოთ მათ ხვედრი.

112. მოსეს წიგნი უბოძეთ ჩვენ: ცილობა შეექმნათ იმ წიგნის თაობაზე. ღვთის (სასჯელის გადამდებელის) სიტყვა რომ არ წარმოთქმულიყო, მათი ცილობა დიახ მალე დასრულდებოდა. შენს ერსაც, მუჰამმად, მისი ეჭვი აქვს.

113. ღმერთმა გადუხადოს ყველას მათი ნამოქმედარის საფასური, ვინადგან მცოდინარეა ყველაფრისა, რასაც შერებოთ.

114. ჰეშმარიტ გზას დაადექ, რადგანაც ბრძანება მიგიღია: ვინც შენთან ერთად მოიქცევიან, უსამართლობას ნუ ჩაიდენენ, ვინადგან ღმერთი თქვენს მოქმედებას ხედავს.

115. ნუ ენდობით უკეთურებს, შიშით ცეცხლი არ გე-

წიოსთ: ღვთის წინაშე მფარველი არ გეყოლოსთ, ხელი არ გაგემართოსთ.

116. ლოცვა ჰყავ დღის ორთავ კიდესა და ღამის შემოსვლისასაც. კეთილი საქმე განაშორებს უკეთურსა. მათთვის საუწყებლად, ვინც გულის ხმას ჰყოფენ.

117. გაუძელ, ვინადგან ღმერთმა არ მიუშვას, გაფუჭდეს სასყიდელი მათი, რომელნიც კეთილს შვრებიან.

118. თქვენს უწინარეს ყოფილ თაობათა შორის, ვინც ქველობას იღვწოდენ და ქვეყნად უსამართლობის ჩადენას უშლიდენ, მისთანათა რიცხვი მცირეოდენ იყო. იგინი დაიხსენით, ხოლო უკეთურნი აჰყვენ თავიანთ მადას და შჯულ-გადამავალნიც შეიქმნენ.

119. შენი უფალი უსამართლოდ როდი აოხრებს ქალაქებსა, რომელთა მცხოვრებნიც მართალ არიან.

120. ღმერთს რომ ენებებინა, ყველა ხალხებისაგან მხოლოდ ერთს ერს შეადგენდა. მაგრამ ერთმანერთში განსხვავება არ მოიშალონ, მათ გარდა, რომელთაც ღმერთი თავის წყალობას მიჰმადლებს. მის მიერ გაჩენილ არიან, რათა ღვთის სიტყვა ასრულებულიყო, როცა ჰსთქვა: ჯოჯოხეთს ერთთავად ჯინებითა და ადამიანებით ავაგებო.

121. იმ ჩვენ მოვლინებულთა ამბავს მოგიხრობთ შენ, რათა გულმტკიცე გყოთ. მის მიერ ჭეშმარიტება გადმოდის შენზედ ისე, როგორათაც შეგონება და გაფრთხილება მოწმუნეთათვის.

122. უთხარი მათ, რომელთაც არა ჰსწამსთ: მოიქეცი თ ისე, როგორც თქვენ ხელთ იყოს, ჩვენც აგრეთვე მოვიქცეთ, მაგრამ აღსასრულს დაუცადეთ, ჩვენც დაუცადოთ აგრეთვე.

123. ღმერთს ეკუთვნის ფარული საქმეები ცათა და ქვეყნისა; ყველაფერი იმასთან მიიქცევა თაყვანი ეცი მას და იმაზე დაამყარე შენი იმედი. შენი უფალი როდი უგულებელს ჰყოფს მას, რასაც იგინი შვრებიან.

თ ა ვ ი XII.

ი ო ს ე ბ.

ნაბოძებია მექას.—111 მუხლი.

ს ა ხ ე ლ ი თ ა

ღ ვ თ ი ს ა

მ ო წ ყ ა ლ ი ს ა და შ ე მ წ ყ ა ნ ა რ ე ბ ე ლ ი ს ა.

1. ელივ. ლამ. რა. აი ცხადის წიგნის სასწაულები.
2. ცით გადმოვავლინეთ არაბულის ენით, რათა ჩახვედრილიყავით.
3. მუჰამად, ამ კურანში გამოცხადებულ საუკეთესო ამბავს მოგითხრობთ, იმ ამბავს, რომლის ექვიც აქამომდე არა გქონია.
4. ერთ დღეს იოსებმა ჰსთქვა: მამა ჩემო! მე ვიხილე თერთმეტი ვარსკვლავი, მზე და მთვარე, რომელნიც თაყვანს მცემდნენ.
5. შვილო ჩემო! მიუგო იაკობმან, შენ ძმებთან მაგ სიზრმის თქმას ერიდე, შიშით, რათა ხრიკი რამ არ გივდონ; ვინადგან სატანა ადამიანის ცხადი მტერია.
6. აგრეთვე ღმერთმა რჩეულად ავიყვანოს და გასწავლოს, რაც მოხდეს, მისი ახსნა; სიკეთე დაგაყაროს შენ და იაკობის სახლობას, როგორათაც ოდესმე დააყარა შენს წინაპრებს, აბრაამსა და ისააკს. შენი უფალი მეცნიერ და ბრძენია.
7. ჭეშმარიტად იოსებისა და მისი ძმების ამბავში ჭკუის სასწავლებელი ნიშნებია მათთვის, რომელნიც იკითხებიან.
8. ერთ დღეს მისი ძმები ერთმანერთს ელაპარაკებოდნენ: იოსებ და მისი ძმა ბენიამენ უფრო უყვარს მამაჩვენსაო, თუმცა

ჩვენ ვართ უფრო ბევრნი. ქეშმარიტად, მამაჩვენი აშკარად ცდება;

9. მოჰკალით იოსებ, ან სადმე განაშორეთ; მამათქვენის თვალის ჩინი განსაკუთრებით თქვენზედ იქმნეს. მასუკან მოიქცეთ, როგორათაა კეთილნი კაცნი.

10. მაშინ ერთმა მათგანმა ჰსთქვა: ნუ მოჰკლავთ იოსებს; ჰსჯობია, ჰის ძირად ჩააგლოთ; მეზავრი ვინმე წააწყდეს და ამოიყვანოს; თუ გინდათ, რამე უყოთ.

11. ერთ დღეს იოსების ძმებმა უთხრეს იაკობს: მამაო ჩვენო! რად არ გსურს, გვანდო იოსებ! ჩვენ გვინდა ხომ სიკეთე მისთვის.

12. ხვალ გამოუშვი ჩვენთან ერთად; ხილი ჰსჭამოს და დასტკბეს; თვალი გვეჭიროს.

13. ვიჯავროო, ჰსთქვა იაკობმა, უკეთუ წაიყვანოთ; მეშინია, მეელმა არ შეშჭამოს, რა თვალ-ყური ველარ ადევნოთ.

14. მეელმა როგორ უნდა შეშჭამოს, როცა ბლომად ვართ; ძალზე უბედურები ვყოფილვართ, თუ მისი დაფარვა ვერ შევიძელითო.

15. შემდეგ თან წაიყვანეს იოსებ და ერთობილის თანხმობით ჩააგდეს იგი ჰის ძირად. მაშინ იოსებს მივეცით ეს გამოცხადება; მათ მოუყვა ოდესმე, რაც ჩაიდინეს და ვერც გაიგონ.

16. საღამოს თავიანთ მამასთან წარდგნენ მტირალნი.

17. მამაო ჩვენო! ჰსთქვეს, ჩვენ დავშორდით ერთმანერთს, ვინ ვის გამსწრები, ხოლო იოსებ დავსჯოვეთ ჩვენ საგზალო თან, იმასობაში კი მეელს შეეჭამა. მაგრამ მაინც არ დაგვიჯერებ, მართალიც რო უსთქვათ.

18. მერმე მისი პერანგი აჩვენეს ყალბ სისხლში გასვრილი იაკობთან უთხრა მათ: ეგ ყველაფერი თვითონ თქვენი მოხერხებულთა, მაგრამ მოთმინება ჰსჯობია. ღმერთსა ვჰსთხოვ შეველას უბედურებაში, რომელიც მაუწყეთ.

19. შემთხვევით მეზავრებს გაეველოთ იქ; კაცისთვის წყლის

მოტანა დაებარებინათ. ჩაფი რო ჩაუშვა ქაში, დაიძახა: რა ბედნიერი შეხვედრაა! შიგ ახალგაზდა კაცია. გასასყიდად დაუმაღლავთ იგი; ხოლო ღმერთმა უწყოდა მათი მოქმედება.

20. შეურაცხე ფასად, რამდენიმე ვერცხლის დრახმად გაჰყიდეს იგი, როგორათაც არაშესანახი რამ.

21. ვინც (ეგვიპტელი იყო) იყიდა, თავისს ცოლს უთხრა: უხვად ეც პატივი, ერთ დღეს გამოგვადგება, ან ვიშვილოთ. ასე დავამკვიდრეთ იოსებ იმ ქვეყანაში; ვასწავლეთ ახსნა მის, რაც მოხდებოდა. ღმერთი ძლიერია თავისს საქმეებში; ხოლო კაცთა მომეტებულმა ნაწილმა არ უწყის.

22. როცა იოსებ მოწიფულობის ხანში გადადგა, სიბრძნე და მეცნიერება მივმადლეთ; ამგვარად ვაჯილდოებთ მათ, რომელნიც კეთილს შვრებიან.

23. ქალსა, რომლის სახლშიაც იგი იმყოფებოდა; გულის ნდობა აღეძრა მის მიმართ; სადგომის ყველა კარები დახშო და უთხრა: მოდი აქ. — ღმერთმა დამითაროს! მიუგო იოსებმა. ჩემმა ბატონმა უხვი მასპინძლობა გამიწია. ბოროტთა ვერ იხეირონ.

24. ხოლო ქალმა შეაგულიანა და ისეთივე ნდობა შეექმნა იმასაც, მაგრამ თავისის უფლისაგან გაფრთხილება მიიღო. მივეცით, რათა ბოროტს; სისაძაგლეს მოჰრიდებოდა, ვინადგან ჩვენი გულწრფელ მსახურთაგანი იყო.

25. მაშინ ორნივე კარისკენ მიიჭრნენ, ვაჟი გასაქცევად, ქალი მის დასაჭერად, ხოლო ქალმა უკნითგან კვართი ჩამოახია იოსებსა. ორნივე კართან შეხვედენ ბატონსა (მისს ქმარსა): რისი ღირსია, ჰსთქვა ქალმა, ვისაც გულის ნდობა ცოდვისა აღეძრა შენის ცოლის მიმართ, თუ არ დიღვეგის; ანუ საშინელის სასჯელისა?

26. ემაგან, ჰსთქვა იოსებმა, შემაგულიანა საბოროტოდ. ქალის ნათესავმა იმოწმა იმის წინააღმდეგ, ჰსთქვა რა: თუ კვართი წინითგან არის დახეული, ქალი მართალს ამბობს, ხოლო იოსებ ჰსტყუის.

27. მაგრამ თუ უკნითგან არის დახეული, ქალმა მოიტყუილა, ხოლო იოსებ ამბობს მართალსა.

28. ქალმა კვართი გასინჯა და ნახა, უკნითგან იყო დახეული.—აი თქვენი ეშმაკობა! ჰსთქვა ქმარმა, დიახ, თქვენი ეშმაკობა დიდია!

29. იოსებ, თავი გაანებე მაგ საქმეს; შენც, ქალო! ითხოვე პატიება ცოდვისა, ვინადგან ჰსცოდე.

30. ქალაქის დედაკაცები ერთმანერთს მოუყუებოდნენ იმ ამბავს, რა იტყოდნენ: აზიზის ცოლმა იგულა. ახალგაზდა კაცი, რომელმაც გააგიჟა. ვფიქრობთ, აშკარად შეცდომის გზაზეა!

31. აზიზის ცოლმა გაიგონა თუ არა ეს სიტყვები, მოსაწვეველი გაუგზავნა იმ ქალებს, ნადიმი მოამზადა და თვითოს მათგანს თვითო-თვითო დანა მიართვა; მასუკან ბრძანა იოსების მოსვლა. თვალი მოჰკრეს თუ არა, შეუდგათ აღტაცება მისგან და თითებს იჭრიდნენ გონება-დაბნეულობის გამო, მხმობელნი: ღმერთმა დაგვიფაროს! აღამიანად ქმნილება კი არა, გულისწამლები ანგელოზია.

32. აიო, უთხრა მათ აზიზის ცოლმა, ვინც თავს დამატება თქვენ მიერ კიცხვა. მინდოდა, დაეთმო ჩემის გულის თქმისათვის, მაგრამ უმანკოდ დარჩენა ნებავეს ამას; თუ კვლავ არა ჰქმნა, რაიც მე უბრძანო, საკანში ჩაგდებულ იქმნეს და ყოველად უბედურთა შორის შეირიცხოს.

33. უფალო! ღალად ჰყო იოსებმა, საპატიმრო უპრიანეა იმ ცოდვისა, რომელსაც ეს დედაკაცები თავს მახვევენ; ხოლო თუ არ ამარიდებ ამათ ხრიკებსა, მათდამი ჩემს გულის თქმას ავყვე და ხელი ვინმე შევიქმნე.

34. ღმერთმა უსმინა ჯა აარიდა მათი მანქანება, ვინადგან ესმის და ეუწყება ყველაფერი.

35. მაო ისურვეს, მაინც მისი უმანკოების დამტკიცების შემდეგაც კი, მისი ჩაგდება დილეგში რამდენისამე ხნით.

36. ორი კაცი დაპატიმრებულ იყო იმავე დროს იმას-

თან ერთად. ერთმა მათგანმა ჰსთქვა: წუხელის მესიზმრა, ყურ-
ძენს ვჰწურავდიო. მეც მესიზმრაო, ჰსთქვა მეორემ, თავით-
მიმქონდა პურები, რომელთაც ჩიტები ჰკენკავდნო.— აგვი-
ხსენ ეს სიზმრები, ვინადგან ქველადამიანად მიგვაჩნისარ.

37. იოსებმან უპასუხა მათ: ჯერ კიდევ მირთმეულ არ-
გექმნესთ დღიური საზრდო, ისე აგიხსნით თქვენ სიზმრებს,
ვიდრე ახდებოდეს. ამის ცოდნა მომდის ღვთისაგან, რომელ-
მაც მასწავლა; ვინადგან დავსტოვე სარწმუნოება მათი, რომ-
ელთაც ღმერთი არა ჰსწამსთ და რომელნიც მომავალის ცხოვ-
რების უარს ჰყოფენ.

38. მამათა ჩემთა აბრაამის, ისააკის და იაკობის სარწმუ-
ნოებას აღვიარებ; ღმერთს არავითარ ქმნილებას უამხანაგებ
მე. მოდის ესე ღვთის წყალობით ჩვენდამი ისე, როგორც ყო-
ველის ადამიანის მიმართ; ხოლო კაცთა უმეტესი ნაწილი
დამნახავ არაა.

39. ჩემო პატიმრობის ამხანაგებო! აუარებელი მბრძანებ-
ლები ჰსჯობიან, თუ ერთადერთი და შემძლებელი ღმერთი?

40. ვისაც ღვთის თანაბრად თაყვანს ჰსცემთ, მხოლოდ-
ფუჭი სახელებია თქვენი და თქვენის მამების მოგონილი.
ღმერთს არავითარი საბუთი მოუცია თქვენთვის, თქვენს სათა-
ყვანოს გამოესარჩლოთ. უზენაესი ხელმწიფება მხოლოდ ღმერთს
ეკუთვნის; იგი გამცნებსთ, არა თაყვანი ჰსცეთ სხვა ღმერთს მას-
გარდა. ასეთია ჭეშმარიტი სარწმუნოება; მაგრამ კაცთა მეტმა
ნაწილმა არ უწყის.

41. ჩემო პატიმრობის ამხანაგებო! ერთმა თქვენგანმა ფი-
ალა ღვინო მიართვას თავისს ბატონსა; მეორე გაწირულ იქ-
მნეს და ფრინველები მივიდნენ, რათა მისის თავითგან აკენკონ.
რისაც მკითხეთ, ის საქმე გადაწყვეტილია უცვლელად.

42. მერმე იოსებმა უთხრა მას, რომელსაც გათავისუფ-
ლება უწინასწარმეტყველა. როცა თავისუფალ იქმნე, ჩემი-
თავი მოაგონე შენს ბატონსა. სატანამ დაავიწყებინა, იოსების

რამ ეთქვა ბატონისთვის და იოსებიც კიდევ რამდენსამე წელს-
დარჩა დიღეგში.

43. ეგვიპტეს მეფემ ერთს დღეს სამეფოს დიდებულთ-
უთხრა: სიზმრად ვნახე შვიდი მსუქანი ძროხა შვიდის გამხდა-
რის ძროხისაგან შექმული და შვიდი თაველი ნედლი და შვი-
დი სხვა თაველი ხმელი. ბატონებო, ეს ზმანება ამიხსენით,
თუ იცით სიზმრის ახსნა.

44. ეგ რაღაც დაუკოწიწებელ ოცნებათა, სიზმართ გრო-
ვაა; სიზმრის ახსნის არაფერი გვესმის.

45. იმ პატიმართა შორის, ვინც გათავისუფლებულ იყო,
მოახსენა მათ (დიახ მოაგონდა იოსებ რამდენისამე წლის შემ-
დეგ), მე გაახლოთ მაგის ამხსნელი. ნება მიბოძეთ, წავიდე,
ვნახო ერთი ვინმე, ეგ მოახერხოს.

46. იოსებ! გულმართალო კაცო, აგვიხსენ, რას ნიშნავს
შვიდი მსუქანი ძროხა, რომელსაც შუამს შვიდი გამხდარი-
ძროხა, და შვიდი თაველი ნედლი და შვიდიც სხვა თაველი
ხმელი, რათა, შინ რა მივბრუნდე მათთან, რომელთაც გამომ-
გზავნეს, ახსნა იცოდენ.

47. იოსებმან უპასუხა: ექვსის წლის განმავლობაში ჰსთე-
სეთ, ჩვეულებრივ; პური, რომელიც მოიმკოთ, თაველებშივე
დაჰსტოვეთ მცირეოდენს გარდა. რაც თქვენის საჭიროებისთვის
მოიხმაროთ.

48. მასუკან დადგეს შვიდი წელიწადი ფიცხელი, რო-
მელმაც მოინელოს ყველაფერი, რაც მისთა შემხედვარეთა ვა-
დასდოთ, მცირეოდენს გარდა, რაც მომჭირნედ შეინახოთ.

49. შემდეგ დადგეს წელიწადი, რომლის განმავლობაში-
აც ამ ქვეყნის მცხოვრებთა წვიმიანობა ნახონ და ყურძენი და
ზეთისხილი მოირეწონ.

50. მაშინ მეფემ ჰსთქვა: კაცი იგი მომგვარეთო. როცა
მოციქულმა იპოვა იოსებ, ამან უთხრა: შენ ბატონთან დაბ-
რუნდი და ჰკითხე, რა უნდოდათ, ექმნათ იმ ქალებს, თითები

რო დაიჭრეს. ჩემმა უფალმა (ღმერთმა) სრულიად უწყის მათი მანქანება.

51. მეფემ მაშინ იმ ქალებს ჰკითხა: რას უთხრობს დაჟინება იგი, რომ იოსებ თქვენის ნდომისათვის აგეყოლებინათ? ღმერთმა დაგვიფაროს! მიუგეს; არცერთის ცოდვის ბრალი დაჰსდებია ისეთი, რომ გვცოდნოდეს. აზიზის (ეგვიპტეს მმართველის) ცოლმა კი დაჰსძინა: ეხლა ჭეშმარიტება გამოაშკარავდა, მე შევაგულიანე იოსებ საბოროტოდ; ყოველთვის სიმართლეს ამბობს იგი.

52. როცა იოსებმა ყველაფერი შეიტყო, ჰსთქვა: მაშ ჩემმა ძველმა ზატონმა იცოდეს ეხლა, რომ მისთვის არასოდეს მიღალატნია, როცა შინ არ ყოფილა. ღმერთი საკეთილდღეოდ არ აბოლოვებს მოღალატეთა მანქანებას.

53. ჩემის თავისა ვერა ვთქვა, სრულიად უმანკო ვიყო; ცხადია, სისხლი საბოროტოდ წარმტაცებელია, თუ მხოლოდ ღმერთმა არ შეგვიბრალა; მაგრამ ღმერთი მოწყალე და შემწყნარებელია.

54. მეფემ მაშინ ჰსთქვა: მომგვარეთ იოსებ, ჩემდა კერძო სამსახურში მივიღო. ხოლო რამდენიმე სიტყვა რა მოახსენა, უბძანა: ამიერთგან შენ იქმნე ჩვენდა მახლობლად ხელისუფლობითა და ჩვენის ნდობით მოსილი.

55. იოსებმა მოახსენა: ქვეყნის ბელელთა ზედამხედველობა მიბოძეთ; ბეჯითად მცველ ვიქმნე.

56. იოსებ ასე მტკიცედ დავამყარეთ იმ ქვეყანაში; თავისთვის საცხოვრებელი შეეძლო აერჩია ყველგან, სადაც უნდოდა. ჩვენ წყალობას მივმადლებთ, ვისაც გნებავს, და არც მიუშვებთ ჩვენ, დაეღუპოს სასყიდელი იმ კაცთა, რომელნიც კეთილს შვრებიან.

57. ხოლო მომავალის ცხოვრების სასყიდელი უბრიანება მათთვის, რომელთაცა ჰსწამსთ და ღვთის ეშინიათ.

58. მოხდა ისე, რომ იოსების ძმები ეგვიპტეს ჩავიდნენ და წადგნენ იმასთან: ისინი იცნო; ეს კი ვერ იცნეს.

59. სურსათი რა დაუმარაგა მათ, ჰკითხა: მამა თქვენთან რო დარჩა, თქვენი ძმა მომგვარეთ. ვერ ხედავთ, რომ გვარიან საწყაოს გაძლევთ და კარგადაც უმასპინძლდები მე ჩემს სტუმრებსა?

60. თუ არ მომგვრით, პურიც აღარ გექმნესთ; უმიხოდ არ დამენახოთ.

61. ვიღონებთ, ჰსთქვეს, მამაჩვენს გამოვართვათ და კიდევ მოვახერხოთ.

62. შემდგომ იოსებმა უთხრა თავისს კაცებს: მათის პურის საფასე მათსავე საგზალში ჩაჰსდევით; ეგების, თვალი მოჰკრან შინ მისვლისას და უკანვე ჩამობრუნდენ მოსაცემად.

63. როცა თავიანთ მამასთან დაბრუნდენ, უთხრეს: პურის უარი გვითხრან კვლავ ეგვიპტეში; ჩვენი ძმა ჩვენთან გამოუშვით; წავიყვანოთ. კიდევ მოუაროთ.

64. ნუ თუ კიდევ უნდა განდოთ ესა, როგორც ერთხელ განდევით ამის ძმა (იოსებ)? ღმერთი უკეთესი მკველია; უფრო მოწყალეა.

65. ხოლო როცა საგზალი გახსნეს, ნახეს მათის პურის საფასე მათთვისვე დაებრუნებინათ. მამავ! რაღა უნდა ვინატროთ მეტი? აი ჩვენის პურის საფასე, რომელიც დაგვიბრუნდა; უკანვე მივიქცეთ, რათა ჩვენის სახლობისთვის ხორავი ვიყიდოთ; ძმას ჩვენ მოუაროთ; ამ გზობისად ერთი აქლემის საპალნეზე უფრო მეტი მოვიტანოთ. ეგ მომცრო საპალნეა!

66. არ გაგატანოთ, ჰსთქვა იაკობმა, თუ არ დაიფიცოთ: ღვთის წინაშე, ცოცხალი და უვნებელი მომგვაროთ, თუ მხოლოდ უჩვეულო რამ არ შეგემთხვათ. როცა შეჰპირდენ, იაკობმა წამოიძახა: ღმერთია ჩემი თავმდები თქვენს პირობაშიო.

67. შემდეგ უთხრა მათ: შვილებო! ეგვიპტეს რო მიაწიოთ, ერთის კი არა, არამედ რამდენისამე კარით ერთბამად შედით; ყოველ შემთხვევაში თქვენთვის ვერაფერს გავხდები ღვთის განგების წინააღმდეგ, ვინაღდან უზენაესი ხელმწიფება.

ღმერთს ეკუთვნის. მაზედ დავამყარებ იმედსა, მაზედვე ამყარებენ იმედს მორჩილნი კაცნიცა.

68. ქალაქში შევიდენ მამის ნაბრძანების წეს-რიგისამებრ; მაგრამ გაფრთხილება ვერაფრად გამოადგათ ღვთის განგების წინააღმდეგ, თუ არ მით, რომ აკმაყოფილებდა სურვილს იაკობისას, რომელსაც დაებარებინა. იაკობს დიახ ჰქონდა ცოდნა მის, რაც ვასწავლეთ; ხოლო კაცთა მეტს ნაწილს არა აქვს.

69. წარდგენ თუ არა იოსების წინაშე, თავისი ძმა ბენიამენ სადილად დაიჭირა მან და უთხრა: შენი ძმა ვარ, ნულარ იჯავრებ იმ დანაშაულისთვის, მათ რო ჩაიღინეს.

70. იოსებმა მისცა თუ არა მათ სურსათი, სასმისი ფიალა თავისის ძმის ბენიამენის საგზალში ჩამალა; მას უკან, მისის ბრძანებით, გზირმა მიაძახა მათ: მგზავრებო! ქურდები ყოფილხართ?

71. იაკობის ვაჟები გზაში მობრუნდენ და დაიძახეს: რას ეძებთ?

72. მეფის ფიალას ვეძებთო, მიუგეს მათ. ვინც დაგვიბრუნოს, ჯილდოდ მიიღოს ერთის აქლემის საპალნე პური; ამის თავდები ვარო, ჰსთქვა გზირმა.

73. ღმერთს გეფიცებით, იაკობის ვაჟებმა უპასუხეს; თქვენ იცით, გასაძარცველად არ მოვსულვართ აქ; ქურდები არა ვართ.

74. მაგრამ თუ ჰსტყუით, რა სასჯელი ექმნეს ჩამდენსა? სხვებმა ჰსთქვეს.

75. იგიო, უპასუხეს, ვის საგზალშიაც ფიალა აღმოჩნდეს, განსაკითხველად მოგეცეს. დამნაშავეებს ასე დავსჯით.

76. იოსებმა ჩხრეკა დაუწყო მათ ტომრებსა, ვიდრე თავის ძმისას გაჩხრეკდა, მასუკან თავისი ძმის ტომრითგან ფიალა ამოიღო. ხერხი იგი ჩვენ მოვაგონეთ იოსებსა: არ შეეძლო, ეგვიპტეს მეფის სჯულისამებრ, თავისი ძმა ხელთ ეგდო,

თუ ღმერთი არ ინებებდა. ვისაც გვენბავს, მის ხარისხს ავა-
მალლებთ. მეცნიერთაგან უმეცნიერესია.

77. იაკობის ვაჟებმა ჰსთქვეს მაშინ: თუ ბენიამენმა ჩაი-
დინა ეს ქურდობა, მისმა ძმამაც ჩაიდინა მის უწინარეს. იო-
სებმა გულის ფიცარზე გამოიწერა ქეშმარიტება და არც გა-
ტყდა, თავისთვის ჰსთქვა: უფრო სანანელ ყოფაში ხართ თქვენ,
ვიდრე ჩვენ ორნივე. ღმერთმა უკეთ უწყის, რასაც ამბობთ.

78. ბატონო! მაშინ ჰსთქვეს, მაგას მოხუცი მამა ჰყავს,
პატივ საცემი; ჰსჯობს, წაიყვანო ერთი ჩვენგანი მაგის მაგიერ.
ვიციტ, სულგრძელ ბრძანდები.

79. ღმერთმა ნუ იპრიანოს, სხვა ვინმე წამეყვანოს, მას
გარდა, ვისაც ჩვენი ფიალა გამოაჩნდა! უკეთუ ეგე ვქმნა,
უსამართლოდ მოვიქცე.

80. როცა იმედი დაიწყვიტეს მის წარმატებისა, რასაც
ითხოვდენ, განშორდენ სარჩევად. მათ შორის უხნესმა ჰსთქვა;
არ იცით განა რომ მამა თქვენმა მიიღო თქვენგან პირობა,
ღვთის წინაშე დადებული? არ გახსოვსთ განა, რა ცოდვა ჩაი-
დინეთ იოსების მიმართ? ვერ დავაგდო ქვეყანა, ვიდრე მამაჩემი
ნებას დამრთავდეს, ან ღმერთი თავისს ბრძანებას გამომიცხადებ-
დეს, ვინადგან იგია საუკეთესო მსაჯულთაგანი.

81. მამა თქვენთან დაბრუნდით და უთხარით: მამავ! შენ-
მა ვაჟიშვილმა ქურდობა ვქმნა: ვერაფერს ვიმოწმებთ მას
გარდა, რაც ვიციტ და ვერც უფრთხილდებოდით უცაბედს
გარემოებას.

82. რამე გამოაკითხვინე ქალაქისა, სადაც ვიყავით, და
იმ ქარაენისაც, რომლითაც მივედით, და ნახო, რომ სიმართ-
ლეს ვლაპარაკობთ.

83. შინ რო დაბრუნდენ, იაკობ ასე ელაპარაკა მათ: ეგ
ყველაფერი სულ თვითონ თქვენი მოგონილია, მაგრამ მხნედ
ვიყვნეთ, ეგების ღმერთმა ორნივე დამიბრუნოს, ვინადგან მე-
ცნიერ, ბრძენია.

84. მოჰშორდა მათ და მოჰსთქვა: ვაი! იოსებ! ჯავრისგან თვალები დაუთერთდა და მწუხარებამ შეაჭირვა იგი.

85. ვაჟიშვილებმა უთხრეს: ღვთის სახელით, ნუ თუ აღარ შესწყვიტო იოსების ხსენება, ვიდრე სიკვდილი გეწეოდეს, ან ჯავრი მოგისპობდეს დღეებსა?

86. გულისხმეთქა და ჯავრი ჩემი დამიდვია ღვთის წინაშე, ხოლო ღვთისა უწყი მე, რაც თქვენ არ იცით.

87. ჩემო შვილებო! წადით და ყველგან მოიკითხეთ იოსებ და მისი ძმა და ღვთის წყალობის იმედს ნუ დაიწყევტო; ვინადგან ღვთის წყალობის იმედს მარტო უმადურნი დაიწყევტენ.

88. ეგვიპტეს ჩაბრუნდენ და წარდგნენ თუ არა იოსების წინაშე, მოახსენეს: ბატონო! სიღარიბე გვალონებს ჩვენ და ჩვენს სახლობას; მხოლოდ საშუალო საფასური მოვიტანეთ; ჩვენთვის საწყაო აავსებინე და წყალობა გვიყავ. ღმერთმა მიავოს, ვინცა წყალობას შვრებიან.

89. იცით, რა დაჰმართეთ იოსებს და მის ძმას, როცა უმეცრებაში იყავით ჩათქმულნი?

90. იოსებ ხომ არ ბრძანდებო? მოახსენეს. დიახ, იოსებ გახლავარ, ესეც ჩემი ძმაა. ღმერთმა მოგვხედა; ვინადგან ვისაც იმის ეშინია და მედგარია, — ბედნიერია, ხოლო ღმერთმა ფუჰად არ უქციოს ქველთა სასყიდელი.

91. ღვთის სახელით, უპასუხეს, ღმერთმა ნება დაგრაო, სიკეთე გექმნა ჩვენთვის, თუმცა ვსცოდეთ.

92. დღეს ყვედრება აღარ დაგიწყობ; ღმერთმა შეცოდება მოგიტეოსთ, ვინადგან ყოვლად უმოწყალესია.

93. წადით და წაიღეთ ჩემი კვართი; მამაჩემს პირისახეზე გადაახურეთ, თვალები აეხილოს. მასუკან თქვენი სახლობა მრთლად მომგვარეთ.

94. როცა ქარავანი ეგვიპტეთგან გაემგზავრა, იაკობმა თავის გარშემო მდგომთ უთხრა: იოსების სჯულსა ვგრძნობ: ნუ თუ გგონიათ, ვბოდავდე?

95. ღვთის სახელმანო, მიუგეს, მოხუცების შეცდომაში ხარ.

96. როცა მოციქული, სასიხარულო ამბის მიმტანი მივიდა, იოსების კვართი იაკობს პირისახეზე გადაახურა და იაკობს თვალები აეხილა.

97. არ გითხარით, რომ ღვთის უწყი მე ისეთი რამ, რაც თქვენ არ იცით მეთქი?

98. მამავ! ვაჟიშვილებმა უთხრეს, ღმერთს ვევედრე ჩვენს პატიებას, ვინადგან ვჰსცოდეთ.

99. ჰო, ღმერთს ვევედრო თქვენს პატიებას; სულგრძელ და მოწყალეა.

100. როცა იაკობ, თავის სახლობიანად ეგვიპტეს ჩავიდა და იოსებთან მივიდა, ამან მიიღო იგინი შინ და უთხრა: შემოდით ეგვიპტეს, რახან ღმერთს ასე ჰნებავს, და ამ ქვეყანაში იცხოვრეთ საფარველ ქვეშე ყოველის შიშისაგან.

101. ამაღლებულ საჯდომზე დასხა თავისი დედმამა; პირქვე დაემხვნენ მის თაყვანსაცემლად. მამავ! ჰსთქვა იოსებმა, აი ჩემის აღრინდელის სიზმრის ახსნა. ღმერთმა აახდინა; მოკეთედ მექმნა, როცა საპყრობილისაგან გამათავისუფლა, როცა თქვენი თავი უდაბნოთგან მომგვარა, მას აქეთ, რაც სატანამ ერთმანერთს დაგვაშორა მე და ჩემი ძმები. უფალი სიკეთით აღსავსეა, როცა ჰნებავს. მეცნიერ, ბრძენია.

102. უფალო, შენ მომხადლე უფლება და მასწავლე ახსნა მის, რაც მოხდება. შემოქმედო ცათა და ქვეყნისაო, შენა ხარ ჩემდა მფარველ სააქაოს და საიქიოს; სული ამომახდინე შენის ნების მიხედობილსა და დამამკვიდრე ქველთა შორის.

103. ამგვარია ეს მოთხრობა, მუჰამმად! უცხო ამბავთგანი, რომელსაც გამოგიცხადებთ. არ დაჰსწრებიხარ შენ, როცა იოსების ძმებმა საერთოდ ზაკვა ჰყვეს და როცა მახე დაუგეს; ხოლო კაცთა მეტმა ნაწილმა არ დაიჯეროს, რაც უნდა სურვილი გქონდეს.

104. გადასახადს ამ მოთხრობისთვის ნუ მოჰსთხოვ იმათ. ეს მოთხრობა ყველას შეეხება.

105. რა სასწაულებია გაფანტული ცათა შინა და ქვეყანაზე! ჩაუვლიან და ზურგს შეაქცევენ.

106. მეტს ნაწილს ღმერთი არა ჰსწამს ისე, თუ მისთაყვანებაში კერპთაყვანისცემაც არ შეუტრია.

107. ნუ თუ ჰსჯერათ, ღვთის სასჯელმა არ შეიპყროს იგინი, ჟამმა ანაზღეულად და მოულოდნელად არ განმეხოს იგინი?

108. უთხარი მათ: აი ჩემი გზა, ღვთისადმი მოგიწოდებთ, ცხადი საბუთით განმტკიცებული. მე და ჩემი მომყოლი, ღვთის დიდებამან, კერპთაყვანისმცემელ არ ვართ.

109. შენს უწინარეს მოგვივლენია სხვადასხვა ქალაქის ხალხთა შორის აყვანილნი კაცნი, რომელთაც ჩვენს ბრძანებას უცხადებდით ჩვენ. ნუ თუ არ დაუვლიათ ქვეყანა? იქ ნახავდენ, თუ რა აღსასრული ჰქონდათ მათ, რომელნიც მათ უწინარეს ცხოვრებდენ. დიახ, საიქიოს სამკვიდრებელი უმაღლესად ფასობს მათთვის, რომელთაც ღვთის ეშინიათ. ნუ თუ ვერ მიხვდენ?

110. როცა დასასრულ ჩვენმა მოციქულებმა იმედი დაიწყვიტეს თავიანთი ღონისძიების წარმატებისა, რაკი ხალხმა იფიქრა, ჰსტყუიანო, მოციქულებს არ მოჰკლებიათ ჩვენგან დახმარება; ვიხსნით, ვისაც ვინებებთ და ჩვენი შურის გება უკან არ დაიხვეს ცოდვილთა პირისაგან.

111. ჩვენთა წინასწარმეტყველთა მოთხრობა საესეა გულისხმის საყოფელის მაგალითებით გრძნობამიმადლებულ ადამიანთათვის. ეს წიგნი როდია საამებლად მოგონილი მოთხრობა; მანამდე გამოცხადებულ წერილს განამტკიცებს, ყველაფრის ამხსნელია, წარმართება და დამტკიცებაა ღვთის წყალობისა მორწმუნეთათვის.

თ ა ვ ი XIII.

ქ უ ხ ი ლ ი.

ნახობების მექსს.—43 მუხლი,

ს ა ხ ე ლ ი თ ა

ღ ვ თ ი ს ა

მოწყალისა და უმწყნარებელისა.

1. ელიზ. ლამ. მიმ. რა. აი წიგნის სასწაულები, ხოლო ის, რაც მალლით მოვლინებულ იქმნა, თავისთავად ქვემარტივებაა, თუმცა დიდძალ რიცხვს არა ჰსჯერა.

2. ღმერთმა აღმართა ცანი ხილულ სვეტთა თვინიერ და ტახტზე დაბრძანდა. მზე და მთვარე დაიმორჩილა, და თვითოეული ამ მნათობთაგანი მიჰყვება თავისს სარბიელსა განსაზღვრულ წერტილამდე; ქვეყნიერობის საქმეებს არიგებს და თავისს საკვირველებას ცხადად გამოაჩენს. ეგების საბოლოოდ ირწმუნოთ დაბეჯითებით, რომ ერთ დღეს თქვენის უფლის წინაშე უნდა წადგეთ.

3. დედამიწა განართხა, ზედ მთები და მდინარეები მოათავსა, წყვილ-წყვილი დააწესა ყველასი, რაც იბადება, ღამეს უბრძანებს დღის დაბურვასა. უეჭველია ყველაფერ ამაში სასწაულებია მათთვის, რომელნიც გულისხმას ჰყოფენ.

4. დედამიწაზე ნაწილებს ხედავთ მათმათი ბუნებით განსხვავებულსა, თუმც ერთმანერთის მახლობლად, ზვრებსა, ჰურსა, ინდის ხურმის ხეებსა განმარტოებულს, თუ ერთ ღერზე შეყრილსა. ერთი და იგივე წყალი რწყავს მათ, ხოლო ზოგიერთებს სხვების უმაღლეს ვახარებთ გემოს მიხედვით, უეჭველია ამაში სასწაულებია გრძნობა მიმადლებულ კაცთათვის.

5. თუ მათი რამე უნდა გაიოცო, გაიოცე, როცა გაი-

გონო მათი სიტყვები: შესაძლებელია განა მიწადქცეულნი შემდეგ ხელახლა დავიბადლოთ?

6. ღმერთი არა ჰსწამსთ; ყელთ ბორკილი შემოეხვიოსთ, ცეცხლს მიეცნენ, იქვე საუკუნოდ დაემკვიდრონ.

7. ბოროტი უფრო დაგაშურებინონ, ვიდრე კეთილი, (ღვთის რისხვა უფრო, ვიდრე მოწყალება). მსგავსი მაგალითები კიდევ ყოფილა მათ უწინარეს. უეჭველია ღმერთი მომთმენია კაცთა მიმართ მათის უსამართლობის მიუხედავად; მაგრამ საშიშიც არის აგრეთვე თავისის სასჯელითა.

8. ურწმუნონი ამბობენ: განა ღმერთმა შემთხვევით არ მიჰსცა სასწაულთმოქმედების ხელიო? მხოლოდ გამაფრთხილებელ ხარ შენ და თვითოეულსავე ხალხსა ჰყოლია. მის დარიგებას დავალბებული მოციქული.

9. ღმერთმა უწყის, თუ თვითოეული დედალი რას ატარებს თავისის მუცლით, საშო რამდენად მოიწევს და გაიწევს. ყველაფერს, იმის წინაშე, ზომიერება გააჩნია.

10. უწყის, რაც ფარულია და რაც ცხადია. დიდებულს კოვლად უზენაესია.

11. იმისთვის სულ ერთია: ვინც სიტყვას დაძალოვს და ვინც ხმამალლა ღალად ჰყოფს, ვინც ღამეში იფარება და ვინც სინათლეში ჩნდება.

12. ყოველს ადამიანს ჰყვანან ანგელოზნი, რომელნიც ერთმანერთს განუწყვეტლად ჰმოადგილეობენ, მის წინ, მას უკან ხლებულნი; უფლის ბრძანებით ჰმეთვალყურეობენ მას. ღმერთმა არ შეჰსცვალოს, რაც კაცთათვის მიუნიჭებთა, ვიდრე თვითონ პირველთ არ შეჰსცვალონ თავიანთი საუფლებელი კარგი ავად. როცა მათი დასჯა ჰნებავს, ვერაფერი დაუშლის; ადამიანებს მის თვინიერ მფარველი არა ჰყავსთ.

13. იგი აელვებს თქვენს თვალში, რათა შიშო და იმედი შთაგაგონოსთ, იგი აღსძრავს წვიმით დამძიმებულ ღრუბლებსა.

14. ქუხილი ქებას შეასხამს მას, ანგელოზნი შიშით განმსჭვალულნი აღიდებენ მას. იგი ჰსტუნს ქმებსა, აკვეთებს,

ვისაც ინებებს ღვთის თაობაზე მოცილებთა შორის, ვინადგან განუზომელია თავისი ძლიერებითა.

15. მარტო იგია ღალატის დირსი, ხოლო ვინც სხვა ღმერთებს ეხვეწებიან, ვერაფერს მიიღებენ; მსგავსად მისა, ვინც ორსავე ხელს წყლისაკენ იწვდის, რომ პირთან მიიტანოს, მაგრამ ვერ ახერხებს მიწვდომას. ურჯულოთა ხმები გზაშივე მიწყდება.

16. რაც კი ცათა შინა და ქვეყანაზეა, ყველაფერი მისწინაშე განერთხმის ნებით, თუ იძულებითა. ყოველ არსთა აჩრდილნიც-კი თავს იდრეკენ მის წინაშე დილა საღამოს.

17. ჰსთქვი: ვინაა ცათა და ქვეყნის მეუფე? აგე: ღმერთთა. უთხარი მათ: განა უნდა დაივიწყოთ იგი, რათა მოჰსძებნოთ მთარველები, რომელთაც თავიანთთვისაც კი არ მიუწვდებათ ხელი მათზე, თუ რა არგებსთ, ან რა ავნებსთ? უთხარი მათ: განა ბრმა და თვალხილული თანაბარ არიან და ბნელი და ნათელი ერთი და იგივეა? ნუ თუ ღმერთს ამხანაგებად აუჩინონ ისეთი ღმერთები, რომელნიც, როგორც ღმერთი, შემოქმედ იყვნენ, ასე რომ ორივე ქმნილება შეერთებულ იქმნეს მათ თვალში? ჰსჯობს, ჰსთქვა: ღმერთთა ყველაფრის შემოქმედ; იგია ერთადერთი, გამარჯვებული.

18. ზეცით წყალი მოჰყავს; ნაკადულნი მდინარებენ კალაპოტებში უწყებულის ზომითა; დენას თან მიაქვს მოტივტივე ქაფი, ხოლო ლითონები, რომელთაც კაცნი აღნობენ ცეცხლზე სამკაულებისა და იარაღეულობის გასაკეთებლად, მსგავსავე ქაფს გამოიღებენ. ასე ღმერთი იგავად დაჰსდებს წამღვილსა და ყალბსა. ქაფი უეცრად ჩაივლის, მაგრამ რაც გამოსადეგია, ხალხისთვის რჩება დედამიწაზე. ასე დაჰსდებს ღმერთი იგავებსა. კარგი ჯილდოები ექმნესთ მათ, რომელნიც ღვთის მიერ ხმობას პასუხს გაჰსცემენ; მაგრამ ვინც არ უპასუხებენ, რასაც დედამიწა შეიცავს და ერთი კიდევ იმდენიც რო ჰქონდესთ, მაინც ვერ დაიხსნიან თავსა. მათდამი მისათვალავი სა-

შინელ იქმნეს, მათი საცხოვრებელი—ჯანაბა. რა საზარელი ლოგინია მოსვენებისა!

19. ვინც იცის, რომ ღმერთმა ცით მოგივლინა ქეშმარიტება, განა ბრმასავით მოიქცეს? ბრძენნი გულისხმას ჰყოფენ.

20. ვინც ერთგულად აღასრულებენ ღვთის მიმართ ნატვრით მოვალეობას და არც გაჰსტეხენ მასთან პირობას.

21. ვინც შეაერთებენ მას, რის შეერთებაც ებრძანათ, ვისაც უფლის ეშინიათ და მათდამი მისათვალავის ცუდი შედეგი აძრწოლებსთ;

22. ვინაც ღვთის პირის ხილვის წადილი ჭირში ამაგრებს, ვინც ლოცვას მკაცრად დაიცვენ, ვინც ფარულად, თუ საჯაროდ გაიღებენ კეთილსა, რომელიც ჩვენგან შეუძენიათ, ვინც თავიანთ ცოდვებს აღხოცვენ კეთილის საქმეებით,—მათია უკანასკნელი ადგილ-საყოფელი—

23. ედემის წალკოტები. იქ შევიდენ იგინი, აგრეთვე მათი მამები, მათი მეუღლეები და მათი შვილები, რომელნიც მართალ იქმნენ. იქ ინახულონ ანგელოზები, რომელნიც ყველა კარებით შევიდენ.

24. მშვიდობა იყოს თქვენთანა, უთხრან, რადგანაც მოგიჭირვებიათ: რა ტკბილია უკანასკნელი ადგილ-საყოფელი!

25. ვინც ღვთის პაემანს, მიიღებენ რა, დაარღვევენ, ვინც გაჰყოფენ მას, რის შეერთებაც ღმერთმა ინება, და ქვეყანაზე უსამართლობას ჩაიდენენ, მათ, წყევალ-კრულვით დამძიმებულებს, საცხოვრებლად ექმნესთ საშინელი ადგილსაყოფელი.

26. ღმერთი ხელსავსედ დააყრის, ვისაც ინებებს, თავისს სიკეთეს, ან დაუჭერს. ამ ქვეყნის კეთილით დაჰსტკებებთან, მაგრამ სააქაოს ცხოვრება რაა მომავალ ცხოვრებასთან შედარებით, თუ არ საწუთრო გამოჩინა?

27. ურჯულონი ამბობენ: მალლით არავითარი უფლება მიუღია საკვირველ-მოქმედებისაო. უთხარი მათ: ღმერთი, ვისაც ინებებს, გზას დააკარგვინებს და თვისდამი მიიყვანს, მათ, რომელნიც შეინანებენ.

28. რომელთაცა ჰსწამსთ და რომელთაც გული უშიშრად განისვენებს ღვთის მოგონებით. მერმე და ღვთის მოგონებით განა არ ეძლევა მოსვენება ადამიანის გულსა? ვისაცა ჰსწამსთ და კეთილს შერებიან, მათია ნეტარება და საუკეთესო თავშესაფარი.

29. შენ მოგავლინეთ იმ ხალხის მიმართ, რომლის უწინარეს სხვები ყოფილან, რათა მიუთხრა მათ ჩვენი გამოცხადება. არა ჰსწამსთ მათ უსაზღვროდ მოწყალე. უთხარი მათ: იგია უფალ ჩემდა, მასგარდა სხვა ღმერთი არაა. სასოება მაზე დამიყარებია. მასთან უნდა მიიქცეს ყველაფერი.

30. კურანმა კიდევ რომ ძვრა უყოს მთებსა, გააპოს დედამიწა და აალაპარაკოს მკვდრები, მაინც არ იწამებენ; მაგრამ ღმერთს ეკუთვნის ყველაფრის საბრძანებელი. მორწმუნენი განა იჭენეულობენ, რომ ღმერთს შეუძლია ჭეშმარიტს გზას წარმართოს ყოველი ადამიანი, თუ კი ინებებს?

31. უბედურებამ შეჭირვება არ მოუშალოს ურჯულოებსა მათი ნამოქმედარის სასყიდლად, ან თავს დაატყდესთ შინ შესვლისას, ვიდრე ქადილი ღვთისა აღსრულდებოდეს. ხოლო ღმერთი, უეჭველია, თავისს სიტყვას არ გაჰსტენს.

32. შენს უწინარეს აგრეთვე, ჩემნი მოვლინებულნი საქირდველად ჰყვანდნენ; ჯერ დავაცადე ურჯულოებსა, მერმე დავჰსაჯე; როგორი იყო ჩემი სასჯელი!

33. ვინც სულის ყოველ მოქმედებას ჰმეთვალყურეობს, ვითომც მისი მზრუნველ არ იყოს? საუკუნოს აუჩინეს თანასწორები. უთხარი მათ: თქვენს ღმერთებს მოუწოდეთ; ნუ თუ იჩემებთ, ღმერთს ასწავლოთ ისეთი რამ, რაც აქამდე არ ჰსცოდნოდეს ქვეყანაზე, ან ღმერთები ნუ თუ ცალიერი სიტყვა არ არიან? ეს მეტადრე მისგანაა, რომ ურჯულოებს ხელთაგან სიფლიდე გამოუდისთ და შორსაც გადაუხვიეს ჭეშმარიტს გზას; უეჭველია ვისი დაბნევატ ღმერთმა ინებოს, წინამძღოლი არ ეყოლოს მას.

34. სატანჯველი ეწიოსთ ამ ქვეყნად, სხვა კიდევ უფრო

საზარელი მოელისთ საიქიოს. აღარ ეყოლოსთ მფარველი, რომ ღვთის წინაშე დაიცივას იგინი.

35. აი თუ როგორი იქმნეს წალკოტი, აღთქმული მათთვის, რომელთაც ღვთის ეშინიათ: წალკოტი მდინარის წყალით მორწყული; იმის ნაყოფთა საზრდო დაუღვევლია და იმის ჩრდილი მუდმივი. ასეთი აღსასრული ექმნესთ მორწმუნეებსა; ურჯულოებს კი ცეცხლი ექმნესთ.

36. ვისაც წერილი მიუღიათ, იხარებენ მით, რაც შენ გამოგეცხადა. ხოლო სხვები, არაბთა დასნი, ერთს რასმე ნაწილს ჰგმობენ. უთხარი მათ: ღმერთმა მიბრძანა მისი თაყვანისცემა და ისიც, რომ სხვა არავითარი არსება დაუამხანაგო ხალხს მოუწოდებ მე მისდა თაყვანსაცემად და მასთან მივიქცე მე.

37. კურანი ეგე გამოგიცხადეთ, რათა იქმნეს სჯულდებად არაბულის ენითა: მათ წადილს რომ აპყოლოდი, მცნების მიღების შემდეგ, არც მეგობარი გეყოლებოდა, არცა მფარველი, რომელსაც ღვთისწინაშე დაეფარე.

38. შენამდე, მოგვივლენია სხვა წინასწარმეტყველნი, რომელთათვისაც მიგვინიჭებია მეუღლენი და შთამომავლობა. სასწაული მათ შორის ერთსაც არ მოუხდენია ღვთის ნებადაურთველად. თვითოულის დროებისათვის საიმისო საღვთო წიგნია.

39. ღმერთი რასაც ინებებს, გააქრობს, ანუ შეინახავს. დედა წიგნი მის ხელთაა.

40. ჩვენი ქადილის ერთის ნაწილის ახდენას გახილვებინებთ, თუ ჩვენდამი ამ სამზღვრამდე მოგიწოდებთ, შენი მოვალეობაა, იქადაგო, ხოლო ჩვენ გვეკუთვნის, მოვკითხოთ ფიცხელი ანგარიში,

41. ნუ თუ არ ხედვენ, როგორ შევედით მათ ქვეყანაში და როგორ მოვინარეკლეთ იგი სრულიად? ღმერთი განჰსჯის, ვერცა ვინ განიხილავს მის განაჩენს. იგია მოსწრაფე თავისი ანგარიშების გაწმენდაში.

42. მათი მამები ცბიერად მოიქცენ; მაგრამ ღმერთი ყოველის ცბიერების მეუფეა: მან უწყის თვითოეულის საქმე-

ები და ურჯულოთაც შეიტყონ ერთ დღეს, თუ ვინ ეუფლოს საუკუნო ადგილსაყოფელსა.

43. ურჯულოებმა გითხრან: როდი მოუვლენიხარ ღმერთსაო. უთხარი მათ: ჩემთვის საკმაოა, რომ ღმერთი და იგი, რომელსაც წიგნის ცოდნა აქვს, მოწმედ არიან თქვენსა და ჩემ შუა.

თ ა ვ ი XIV.

აბრაამ, მშვიდობა იყოს იმასთან:

ნახობები შექვს—52 მუხლი.

ს ა ხ ე ლ ი თ ა

ღ ვ თ ი ს ა

მოწყალისა და უამწყნარებელისა.

1. ელიფ. ლამ. რა. ეს წიგნი მალლით მოგივლინეთ, რათა ხალხი სიბნელით გამოიყვანო სინათლეში და რათა წარუძღვე, მათის უფლის ნებართვით, გზისაკენ ძლიერისა, დიდებულისა,

2. ღვთისა, რომელსაც ეკუთვნის ყველაფერი, რაცაა ცათა შინა და ქვეყანაზე; ხოლო ვაი ურჯულოებსა მიზეზისა გამო საშინელის სასჯელისა, რომელიც მოეღისთ.

3. ვისაც სააქაო ცხოვრება მომავალ ცხოვრებას ურჩევნიათ, ვინც ხალხს ღვთის გზას აშორებენ და მის დაკლავებას ცდილობენ, ჰეშმარიტებას ფრიად დაშორებულ შეცდომაში არიან.

4. არც ერთი მოციქული მოგივლენია ისეთი, არ ელაპარაკოს თავისის ერის ენა, რათა მისთვის ცხადად ელაპარაკუნა. მერმე, ვისაც ინებებს, ღმერთი დააბნევს და ვისაც ინებებს, წარუმართებს. ძლიერ, ბრძენია.

5. მოსე მოვავლინეთ ჩვენ სასწაულებთანა-ხლებული.

ჩვენ უთხარით: შენი ერი გამოიყვანე სიბნელით სინათლეში. უფლის დღენი მოაგონე. დიახ ამაშია სასწაულები გასაფრთხილებლად ყოველის ადამიანისა, რომელსაც მოჭირვება შეუძლია და სამადლო საქმეებს შერება.

6. მოსემ უთხრა თავისს ერსა: ღვთის სიკეთე მოიგონეთ, როცა მან გაგათავისუფლათ უღლისაგან სახლეულობისა ფარაოსა, რომელიც მძაფრის სასჯელით გავიწროებდათ, თქვენს ვაჟებს ღუბავდა, ხოლო თქვენს ქალიშვილებს ზოგავდა. იგი იყო უწყალო განსაცდელი თქვენის უფლისაგან.

7. მოიგონეთ ღლე იგი, როცა თქვენმა უფალმა გასმინათ ეს სიტყვები: დამნახველ იყავით და ჩემი წყალობა გავამრავლო; ხოლო თუ ურჯულო იქმნებით... ჩემი სასჯელი საშინელია.

8. ურჯულო თუ შეიქმნებოდეთ თქვენ და მრთლად ქვეყნიერობაცა, ღმერთი მდიდარია და დიდებით აღსავსე.

9. განა არ გსმენიათ ოდესმე ამბავი იმ თემთა, რომელნიც თქვენს უწინარეს ყოფილან, ნოეს, ადის, თემუდის თემთა?

10. მარტო ღმერთი იცნობს იმათ შთამომავლობას. იმ თემებს ჰყვანდენ წინასწარმეტყველნი, რომელთაც წარუდგინეს მათ თავიანთი მოციქულობის ცხადი სასწაულები; მაგრამ ხელები პირზე ეჭირათ იმათ და იძახდენ: თქვენის მოციქულობის საგანს არ ვერწმუნებით და დიდი ეჭვიცა გვაქვსთ იმ სათაყვანოსი, რაზედაც მოგვიწოდებთ.

11. წინასწარმეტყველნი მათ უბასუხებდენ; განა საექველია ცათა და ქვეყნის შემოქმედი ღმერთი, რომელიც თვისდამი მოგიწოდებსთ თქვენთა ცოდვათა აღსახოცველად და გაძლევსთ ვადას წინათვე გადაჭრილ დრომდე?

12. მათ ჰსთქვეს: თქვენც ჩვენისთანა ხალხი ხართ; თქვენ გწადიათ, გზა აგვახვევინოთ იმ ღმერთებისთვის, რომელთაც ჩვენი მამები თაყვანს ჰსცემდენ. ჩვენდამი მოიღეთ ცხადი უფლება, სასწაულთა უფლება თქვენის ნათქვამის საფუძველად.

13. წინასწარმეტყველნი მათ ეუბნებოდენ: უეჭველია

ჩვენც თქვენისთანა ხალხნი ვართ; მაგრამ ღმერთი თავისს წყალობას, ვისაც ინებებს, მათზე დაბერტყს თავის მსახურთა შორის, ხოლო უფლებას ვერავითარს მოვიღებთ თქვენდამი.

14. თუ არ ღვთის ნებართვითა. მორწმუნეთა მხოლოდ ღვთის იმედი აქვს.

15. ხოლო რად არ უნდა ვიქონიოთ ჩვენ მისი იმედი? წინ მიგვიძღვის იგი გზაზე და მოთმინებითაც უძლებთ ჩვენ იმ ბოროტს, რომელსაც გვიშვრებით. მინდობილ ხალხსა მართლ ღვთის იმედი აქვს.

16. ჩვენის ქვეყნითგან გაგყრიეთ, კერპთაყვანისმცემელნი ამბობდენ, ან აღიარეთ ჩვენი სარწმუნოებაო. ხოლო ღმერთმა მაშინ წინასწარმეტყველთ უბოძა ეს გამოცხადება: მოვსპობ არაწმიდები.

17. მათ ქვეყანაში დამკვიდრდეთ მათ შემდეგ. ესაა ჯილდო მათი, რომელთაც ჩემი და ჩემის ქადილის ეშინიათ.

18. მაშინ წინასწარმეტყველებმა შემწეობა ჰსთხოვეს ღმერთსა და ყოველი გულამაყი და მეშფოთარი კაცო დაიღუპა.

19. ჯანაბა უკან ახლავს მას და მასვე შეასვან აყროლებული წყალი.

20. პატარ პატარა ყლაპი უყოს, ხოლო ძნელად ჩაუვიდეს. ყოველის მხრით სიკვდილი მოუხტეს და არც მოკვდეს საზარელი ტანჯვა მოჰყვეს.

21. ურწმუნოთა საქმენი ჰგვანან ფერფლსა, რომელსაც ქარი მიმოჰყრის გრიგლიან დღეში. უღონო იქმენ თავიანთი ნამოქმედარის მიზეზით და, რასაკვირველია, ეს შეცდომაა ქეშმარიტ გზას ფრიად დაშორებული.

22. ვერა ხედავთ, რომ ღმერთმა სრულიად ქეშმარიტებისათვის შეჰქმნა ცანი და ქვეყანა? თუ ინება, თქვენი გაქრობა შეუძლია და ახალის არსის დაბადება.

23. მის ძლიერებას ეს ეადვილება.

24. ყოველი ხალხი წარდგეს ღვთის წინაშე, ქვეყნისა სუს-

ტებმა უთხრან ძლიერებს: თქვენდა ამჟამად ვიყავით; არ შეგიძლიათ, ცოტაოდენ დაგვიხსნათ ღვთის სასჯელისაგან?

25. მიუგონ: ღმერთს რომ წარვემართეთ, წინამძღოლად გეყოლებოდით. ჩვენს ტანჯვას უჩივლებთ, თუ მდუმარებით ავიტანთ, ჩვენთვის სულ ერთია. თავის შესაფერებელი აღარ გაგვაჩნია.

26. ხოლო როცა ყველაფერი აღსრულდეს, სატანამ უთხრას მათ: ღმერთმა ჭეშმარიტი პირობა მოგცათ. მეც აგრეთვე მოგეცით პირობა, მაგრამ მოგატყუეთ. არაფერი შემეძლო თქვენთვის.

27. მე გეძახდით მხოლოდ და თქვენც მიპასუხეთ. მე ნუ-კი მეუბნებით სამღურავს, თქვენს თავს უთხარით. შემწეობას ვერც მოგცემთ, ვერც მივიღებ თქვენგან. როცა ღვთის თანასწორ მაყენებდით, ჩემს თავს ვერ ვატოლებდი მას. უსამართლონი ღირს. არიან მხოლოდ სავალალო სასჯელისა.

28. ვინც იწამონ და კეთილი ჰქმნან, წყლის ნაკადულით მორწყულ წალკოტებში შეიყვანონ იგინი; იქ საუკუნოდ დაემკვიდრონ ღვთის ნებითა. იგინი მოიკითხონ სიტყვით: მშვიდობავ!

29. არ იცით, რას ადარებს ღმერთი კეთილს სიტყვასა? იგია კეთილი ხე, მისი ფესვები მაგრად ჩაკვრია მიწასა, ხოლო მისი რტოები ცამდე აწეულა.

30. ნაყოფს გამოიღებს ყოველ დროს. უფალი ხალხს იგავად ელაპარაკება, რათა გულის ხმა ჰყონ.

31. უკეთური სიტყვა უკეთურ ხესავითაა; იგია მიწის ფერი და არც მედგრობა აქვს.

32. ღმერთმა მორწმუნენი განამტკიცოს სააქაოს და საიქიოსაც უცვლელის სიტყვით. ბოროტნი დააბნიოს, ვინადგან ღმერთი რასაც ჰნებავს, იმას შვრება.

33. ვერა ხედავ იმ ადამიანთა; რომელნიც უფლის სიკეთეს მიაგებენ რა უმადურობას, თავიანთი ხალხი ჩაჰყავსთ წარსაწყმედელ ადგილ საყოფელში.

34. ჯოჯოხეთში, სადაც უნდა დაიწუნენ? რა საწიზღარო სამყოფია!

35. ღმერთს თანასწორებს უჩენენ, რათა ხალხი უფლის გზას დააშორონ. უთხარი მათ: ისიამოვნეთ, ისიამოვნეთ, საბოლოოდ ცეცხლი გექმნესთ.

36. უთხარი ჩემს მსახურებს, რომელთაცა ჰსწამსთ, ლოცვა აღასრულონ, სამოწყალო გაიღონ ჩვენ მიერ მინიჭებულ კეთილთაგან, ფარულად, თუ საჯაროდ, ვიდრე დადგებოდეს ღლე, როცა აღარც ვაჭრობა იქმნეს, აღარც მეგობრობა.

37. ღმერთმა გააჩინა ცანი და ქვეყანა, ზეცით წყალი მოჰყავს, მისი საშუალებით აღაორძინებს ნაყოფთა; რომელნიც გასაზრდოებენ თქვენ; დაგიმორჩილათ ნავი საპოზლად ზღვისა მისის ბრძანებისამებრ; დაგიმორჩილათ მდინარეები; დაგიმორჩილათ მზე და მთვარე, თავთავის სფეროში სარბიელის მიმყოლი; გამსახურებსთ ღლესადა ღამეს თქვენის საჭიროებისათვის; მოგანიჭათ ყოველი კეთილი, რაც შეჰსთხოვეთ: ჩამოკსთვალეთ ღვთის სიკეთე, თუ შეგიძლიათ! მაგრამ აღამიანო უსამართლო და უმადურა.

38. აბრაამ ღვთის მიმართ მიიქცა ამ ვედრებით: უფალო, ეს ქვეყანა სრულის მყუდროებით დაატკბე, და დამიცევ მე და ჩემი შვილებიც აგრეთვე კერპთაყვანისცემისაგან.

39. უფალო ჩემო! მათ კიდევ შეაცდინეს დიდძალი რიცხვი. ვინც შემომიდგეს, ჩემთაგანი იქმნეს, ვინც მეურჩება... უფალო, შენ ხარ სულგრძელ და შემბრალებელი!

40. უფალო! ჩემის სახლობის ერთი ნაწილი შე დავაბინავე უნაყოფო ბარად, წმინდა საფანის მახლობლად. ბრძანე, ლოცვა აღასრულონ. მათ სასარგებლოდ მომართე ხალხის გული; მისი სარჩოსათვის იზრუნე; დაგიმადლონ.

41. შენ უწყი, რასაც ვმალავთ და რასაც ვაქვეყნებთ. დაფარული წინაშე ღვთისა არაფერია მისგან, რაცაა ცათა შინა და ქვეყანაზე. დიდება ღმერთსა, რომელმაც ჩემის სიბერის მიუხედავად, ისმელო და ისააკ შემძინა! ჩვენს ვედრებას ისმენს!

42. უფალო, ბრძანე, ვედრება აღვასრულო, ბრძანე, ჩემი შთამომავლობა მისი ერთგულ იყოს. შეიწყნარე ჩემი ვედრება. მომიტევე მე, ჩემს მამებს და მორწმუნეებსა, განკითხვის დღეს.

43. ნუ გგონიათ, ღმერთი ყურს არ ათხოვებდეს უკეთურთა მოქმედებას. მათ დააცლისთ იმ დღემდე, ოდეს ყველას თვალი ზეცად აღიმართოს.

44. თავ-აღებით, გაჩქარებით მორბედთა თვალის ჩინი უძრავი, ხოლო გული ფუჭი ექმნესთ. ხალხს ამხილვე დღე სასჯელისა.

45. უფალო! დაღად ჰყონ არაწმიდებმა, კიდევ გვაცალე ახლო რამ საზღვრამდე.

46. ყურად ვიღოთ შენი მოწოდება სარწმუნოებად, მორჩილ ვექმნეთ შენს მოციქულებსა. მათ მიუგონ: არ დაგიფიცნიათ, რომ არასოდეს გამოიცვლებოდით?

47. თქვენ გიცხოვრიათ იმ ადგილებშიაც კი, სადაც თავისი თავისადმი უსამართლო ხალხი ცხოვრებდა, და ისიც იცით, თუ როგორ მოვეხყართ მათ. იგაგები წინადაგიდევით. ვერაგობა იხმარეს საქმეში. ღმერთმა გაიმარჯვა მათ ვერაგობაზე, როცა საკმაო შეძლება ჰქონდათ, მთებიც კი შეერყიათ.

48. ნუ ფიქრობთ, ღმერთმა გაჰსტეხოს აღთქმა, რომელიც თავისს მოციქულებს დაუდო. იგია ძლიერ და შურის მგებელი.

49. მოვიდეს დღე, ოდეს ქვეყანა და ცანი იცვალონ: ხალხი გამოცხადდეს წინაშე ღვთისა, ერთადერთისა, ძლიერ-მოსილისა.

50. მაშინ იხილო ხელფეხებზე ბორკილებულნი ცოდვილნი.

51. ფისის კვართი ექმნესთ, პირთ ცეცხლი მოედოსთ, რათა ღმერთმა მიაგოს თვითოეულსავე სულსა მისთა საქმეთაებრ. იგია სწრაფ თავისს სა თვალავში.

52. ასეთია განცხადება, კაცთადმი მიმართული. ჰკუთასწავლონ მისგან და იცოდენ, რომ ღმერთი ერთია, ხოლო გრძნობიერთა კაცთა გულისხმა ჰყონ.

თ ა ვ ი XV

ჰ ე ჯ რ

ნაბოძებია მექას. — 99 მუხლი.

ს ა ხ ე ლ ი თ ა

ლ ვ თ ი ს ა

მოწყალისა და შემწყნარებელისა.

1. ელიფ. ლამ. რა. აი მუხლები წიგნისა და ცხადის საკითხავისა.
2. ურჯულოებმა არა ერთხელ მონატრულონ მუსულმანობა.
3. დაეხსენ, გალადენ და დასტკბენ. დიდის ხნის სი-
ცოცხლის იმედით თავი ინუგეზონ. მალე შეიტყონ ჭეშმა-
რიტება.
4. არც ერთი ქალაქი დაგვიღუპავს ისეთი, დანიშნული
არ ჰქონოდეს აღსასრული.
5. ვერც ერთი ხალხი ვერ დააჩქარებს, ვერც დააყოვნებს
თავისს აღსასრულს.
6. მუჰამადს ეუბნებიან: შენ, ვისაც მალლით კურანი
მიგიღია! მავნესაგან შეპყრობილ ხარ უთუოდ.
7. განა ანგელოზებ-თანახლებული არ მოხვიდოდი, რომ
მართალ იყოს, რასაც ამბობ?
8. ანგელოზნი მართო ჭეშმარიტებისათვის მოვიდენ. მა-
შინ ურჯულოებს აღარ დაუცადონ.
9. უწყება გადმოვავლინეთ და მისი მცველნიცა ვართ.
10. შენს უწინარეს მოციქულები მოგვივლენია ძველის
მწვალებლების მიმართ,
- 11, და ერთი მოციქულიც არ ყოფილა ისეთი, სასა-
ცილოდ არ აეგდოთ.

12. იგივე გრძობანი გულში გაუჩინოთ ჩვენ ცოდვილ მექელებსა.

13. არ ერწმუნონ, თუმცა ძველთა მაგალითია აქა.

14. ზეცის კარები რომ გაგველო მათთვის, იგინი შესვლისას.

15. კიდევ იტყოდენ: თვალთ გვიბნელდება გაბრუებისაგან; ჰმ! უთუოდ მოჯადოებულ ვართ.

16. ზეცას ზოდიაქოს ნიშნები დავაწესეთ და რიგრიგად დავაწყეთ მათთვის, რომელნიც იმზირებიან.

17. მათ ვიცავთ, არ შეეხოს არავითარი მანვე, ოტებულნი ქვების სროლითა.

18. ხოლო თუ მიეპარა იღუმალ ყურის დასაგდებად, მაშინ მას გაბასრავს საყოველთაოდ ხილული ცეცხლის ისარი.

19. დედამიწა გადავშალებთ და ზედ მთები მიმოვყარეთ, ხოლო ყველაფერი უწყებულის ზომით ვაწარმოეთ.

20. საზრდო დავაწესეთ თქვენთვის და იმ არსთათვისაც, რომელთაც არა ჰკვებათ.

21. არაფერია ისეთი, რის საუნჯეც არ მოგვეპოებოდეს და განსაზღვრულის ზომითაც გადმოვავლენთ.

22. აღმაორძინებელ ქარებს ვგზავნით, ზეცით წყალი ჩამოგვყავს და მით დაგარწყულებთ, მისი შემნახველ კი არა ხართ.

23. სიცოცხლეს ვბრძანებთ და სიკვდილს ვბრძანებთ; მარტო ჩვენ დავიმკვიდრებთ ყველაფერსა.

24. თქვენ შორის ვიცნობთ მათ, რომელნიც წინ მიდიან და მათაც, რომელნიც უკან რჩებიან.

25. თქვენმან უფალმან ერთ დღეს თავი მოგიყაროსთ. ბრძენ და მეცნიერია.

26. კაცი გავაჩინეთ კეცისაგან, იმ თიხისაგან, რომელიც საკეთებელია.

27. მის უწინარეს გავაჩინეთ ჯინები წმინდა ცეცხლისაგან.

28. მოიგონე, თუ როგორ უთხრა ღმერთმა ანგელოზებს: კაცი გავაჩინე კეცისაგან, იმ თიხისაგან, რომელიც საკეთებელია.

29. როცა დავსახო და ჩემი სული ჩავებერო, განერთხენით მის წინაშე თაყვანისცემით.

30. ანგელოზებიც სულყველანი განერთხნენ,

31. ებლისს გარდა; იუარა ყოფა ერთად მათთან, რომელიც განერთხნენ.

32. მაშინ ღმერთმა უთხრა მის: ებლის! რად არ ხარ მათთან, რომელიც განერთხმიან?

33. არ მოვიხარო თავი წინაშე კაცისა, რომელიც შეჰქმენ კეცისაგან, იმ თიხისაგან, რომელიც საკეთებელია.

34. ღმერთმა უთხრა მას: მაშ გადი აქეთგან; ჩაქოლოვილხარ.

35. წყევაკრულვა გაწვეს თავსა განკითხვის დღემდე.

36. უპასუხა: უფალო! დამაცალე იმ დღემდე, ოდეს აღამიანები მკვდრეთით აღდგენილ იქმნენ.

37. ღმერთმა უპასუხა: დაგვიცლია შენთვის

38. წინასწარ დანიშნულის აღსასრულის დღემდე.

39. უფალო, ჰსთქვა ებლისმა, რადგანაც შენ მომატყუე, მეც დაუყვარო მათ ქვეყანაზე და ვეცადო, ყველა მოვატყუო.

40. შენ გულწრფელ მსახურებს გარდა.

41. ღმერთმა მიუგო: ეგ სწორედ ჭეშმარიტი გზა არის.

42. ვინადგან ხელი არა გაქვს ჩემ მსახურებთან; დაიხელო კი მარტო იგინი, რომელიც აგყვენ და შეჰსცდენ.

43. ჯანაბაა ადგილსაყოფელი, რომელიც მათ ყველას აღეთქვა.

44. შვიდ კარიანია იგი; თვითოეულს უკან ცალცალკე გუნდი დამწყვდეულ იქმნეს.

45. იგინი კი, რომელთაც ღვთის ეშინიათ, ბაღნართა და წყაროთა შორის იქმნენ.

46. უთხრან მათ: შედით მშვიდობით და საფარველ ქვეშე ყოველის შიშისაგან.

47. მათ გულს ავხადო ყოველი მაცდურობა; ძმურად მცხოვრებთა თავი მიჰსცენ ვანსვენებას თავთავიანთ სარეცელზე, პირისპირ ჭკრეტითა.

48. დალილობა არ მიეკაროს მათ და არც არასოდეს გამოიღვენონ იმ სამკვიდროთგან.

49. ჩვენს მსახურებს განუცხადე, რომ შე ვარ სულგრძელ, შემბრალე.

50. და რომ ჩემი სასჯელი სამწუხარო სასჯელია.

51. აბრაამის სტუმრების ამბავი მიუთხარ მათ.

52. როცა შევიდენ მასთან და მიემშვიდობენ, ჰსთქვა: შეგვაშინევით.

53. მიუგეს: ნუ გეშინიათ, მოვდივართ, ბრძენი ვაჟიშვილი გახართ.

54. მიუგო მათ: მახარებთ შე, რომელსაც კიბერე კიდევ მწევია? აბა რას მახარებთ?

55. გახარებთ ჭეშმარიტად. იმედს ნუ დაიწყევტ.

56. ხოლო ვინ დაიწყევტოსო, ჰსთქვა, ღვთის წყალობის იმედი, თუ არ შემცდარმა ხალხმა?

57. რა მიზანი აქვს, მახარებელნო, თქვენს მოციქულობას? ჰსთქვა.

58. ჩვენ წარმოგზავნილ ვართ ცოდვილის ერის მიმართო, შეეცილენ, მის მოსასპობლად,

59. გარდა ლოთის სახლობისა, რომელიც უნდა გადავარჩინოთ.

60. გარდა მისის ცოლისა, რომელიც უკან ჩამოსარჩენად აღგვინიშნავს.

61. როცა წარმოგზავნილები მივიდენ ლოთის სახლობაში,

62. უთხრა მათ: ვერ გიცნობთო.

63. მიუგეს: დიად, შექველია, ხოლო შენთან მოვსულვართ სასჯელითურთ, რომელიც მათ (თქვენს თანამოქალაქეებს) საექველად გაუხდიათ.

64. სიმართლით მოვსულვართ; სიმართლის მეტყველ ვართ.
65. ამაღამ შენი სახლობიანად გაიხიზნე. თან გაჰყევი. არაეინ თქვენგანმა პირი არ იბრუნოს. წადით, სადაც გიბრძანებენ.
66. ეს ბრძანება დაუდევით ჩვენ, რადგანაც ერი იგი დილაბდე უნდა გამწყდარიყო უკანასკნელამდე.
67. ქალაქის მცხოვრებნი სრულიად გახარებულნი მივიდნენ ლოთთან..
68. უთხრა მათ; ესენი ჩემი სტუმრებია, არ გამიუპატიუროთ.
69. ღვთის გეშინოდესთ, სახელი არ გამიტეხოთ.
70. მიუგეს: განა არ აღგიკრძაღეთ შენ, ვისთვისაც უნდა ყოფილიყო, თავშესაფარი მიგეცა ქვეყანაზე?
71. აი ჩემი ქალიშვილებიო, ჰსთქვა ლოთმა, თუ რამ სისაძაღლე გინდათ ჩაიღინოთ.
72. შენმა სიცოცხლემ, მუჰამმად! თითქო ცნობა მიხდილიყვნენ სიმთვრალისაგან.
73. მზის ამოსვლისას ნიაექარი ამოვარდა მათ, თავსა.
74. ქალაქები იგი საფუძვლიანად დავაქციეთ და გამომწვარი აგურები ვაწვიმეთ მათზე.
75. ამაში სასწაულებია ადამიანთათვის, რომელნიც გულისყურით დაუკვირდებიან.
76. ქალაქები იგი იმ გზაზედ იყო.
77. ამაში სასწაულებია მორწმუნეთათვის.
78. ხოლო რადგან მკვიდრნი (მადიანის) ტყისაწი ბოროტ იყვნენ აგრეთვე,
79. ისათზე ჯავრი ვიყვარეთ. ბოლო მოუღეთ ჩვენ იმ ორთემსა; გასაშტერებელ მაგალითს მოასწავებენ ადამიანთათვის.
80. ჰეჯრის მცხოვრებთ მატყუარებად ჩაჰსთვალეს მოციქულები, მათ მიმართ მოვლინებული.
81. ჩვენი სასწაულები ვახილვებინეთ მათ, მაგრამ მოერიდნენ.

82. სახლებს კლდეებში ჰკვეთდენ და თავის არ ეფიქრებოდათ.

83. ნიავექარი ამოვარდა მათ თავსა განთიადისას.

84. თავიანთი ნამუშევარი ვერაფრად გამოადგათ.

85. ჩვენ გავაჩინეთ ცანი და ქვეყანა და ყველაფერი, რაცაა მათ შორის, ქეშმარიტებისათვის, და არა ამაოდ. უამო მოვიდეს. შენ, მუჰამმად! მიუტევე სრულის მიტევებითა.

86. ვინადგან შენი უფალი შემოქმედ, ბრძენია.

87. შენთვის მოგვიცია შვიდი მუხლი, რომელიც მუდამ უნდა იმეორებოდეს, ისე როგორათაც დიდი კურანი.

88. ნუ შეადგამ თვალს იმ კეთილსა, რომლითაც ვასიამოვნებთ მრავალ ურჯულოსა, და ნურც შეჰსწუხდები მათთვის, ხოლო ფრთა შენი გადაჰხურე მორწმუნეებსა.

89. უთხარი მათ: მე ვარ მახარობელი უცილო.

90. დავსაჯო იგინი, რომელნიც გაჰყოფენ,

91. რომელნიც განჰხეთქენ კურანს ნაწილ-ნაწილად.

92. შენმან უფალმან, მუჰამმად, მოგვითხოვ მათ.

93. ყოველი ნამოქმედარი.

94. ამცენ მათ, რაც გებრძანა, და განეშორე კერპთაყვანისმცემელთა.

95. ჩვენ გეყოფით წინააღმდეგ მათდა, რომელნიც დაიცინებინ.

96. ვინც ღვთის თანასწორ სხვა ღმერთებს აყენებენ, მათ შეიტყონ ქეშმარიტება.

97. ჩვენ უწყით, რომ გული გიწვრილდება ყოველთვის, როცა გესმის მათი ლაპარაკი.

98. ხოლო შეასხი ქება შენს უფალსა, და თუკი ერთად მათთან, რომელნიც განერთხმიან.

99. თაყვანი ეც უფალსა, ვიდრე მოხდებოდეს, რაც განგებულა.

თ ა ვ ი XVI.

ფ უ ტ კ ა რ ი.

ნაბოძების მექას. — 128 მუხლი.

ს ა ხ ე ლ ი თ ა.

ღ ვ თ ი ს ა

მოწყალისა და უმეცუნარებაელისა.

1. ღვთის განჩინება აღსრულდეს. ნუ მოისწრაფებთ. დიდება მას! ფრიად უმაღლესობს იგი იმ ღმერთებსა, რომელთაც მას უამხანაგებენ.

2. თავისი ნებით გადმოავლენს ღვთის სულიან ანგელოზებს, ვიხედაც ნებავს თავის მსახურთა შორის. უთხრას მათ: აუწყე ხალხსა, რომ სხვა ღმერთი არაა ჩემ გარდა. ჩემი გეშინოდესთ.

3. ცანი და ქვეყანა გააჩინა ქეშმარიტებისათვის; ფრიად უმაღლესობს იგი იმ ღმერთებსა, რომელთაც მას უამხანაგებენ.

4. მან შექქმნა კაცი ერთის წვეთის თესლისაგან და აჰა კაცი იგი ცილობს ცხადად.

5. მან გააჩინა ქვეყანაზე საკიდარი ცხოველები; მათგან გედღევათ ტანისამოსი და კიდევ სხვა რამ სარგებლობაც; მათგან საზრდობთ.

6. თქვენთვის სასახელოა, როცა შინ მოგყავსთ საღამოთი, და როცა დილით გაუშვებთ საძოვრად.

7. თქვენი ტვირთი მიაქვსთ ქვეყნებში, სადაც ვერ მიაწევდით, უიმათოდ, თუ არ დიდის გაჭივრებითა. უეჭველია, თქვენი უფალი გულკეთილობითა და მოწყალებით სავსეა.

8. მან მოგცათ ცხენები, ჯორები, სახედრები, საჯდომად და სალხინოდ. გააჩინა ისეთები რამ, რაც თქვენ არ უწყით.

9. გზის წარმართებას ტვირთულობს. ზოგიერთები შორ-
დებიან. თუ ინება, ყველას წარგიმართებსთ.

10. ზეცით ჩამოჰყავს წყალი, რომელიც სასმელად გაქვსთ,
და ზრდის მცენარესა, რომელსაც აქმევთ თქვენს საქონელსა.

11. წყალის საშუალებით აღაორძინებს ხორბალსა, ზე-
თისხილსა, ინდის ხურმასა, ყურძენსა და ყოველგვარ ნაყოფსა.
ამაში სასწაულებია მათთვის, რომელნიც გულისხმას ჰყოფენ.

12. დაგიმორჩილათ ღამე და დღე; მზე და მთვარე და-
ვარსკვლავები მისი ბრძანების ძალით გემორჩილებიან. ამაში
სასწაულებია მათთვის, რომელნიც ჭკუას არიან.

13. ასე ყოველი დაბადებული სხვადასხვა სახისაა. დედა-
მიწაზე. ამაში სასწაულებია მათთვის, რომელნიც ჰგონებენ.

14. ზღვა დაგიმორჩილათ, მისგნითა. შუამთ ახალ ხორც-
სა, იქეთგან გამოგაქვსთ სამკაულები, რითაც ირთვებით. ხე-
დავთ, თუ ხომალდნი როგორ აპობენ ტალღებსა, რათა ჰსთხი-
ვონ ღმერთსა მისი გულკეთილობის საუნჯე. ეგების მადლო-
ბელ გახდეთ.

15. მაღალ-მაღალი მთები დედამიწაზე მან დაამყარა, რა-
თა თქვენთან ერთად მოძრაობდენ. მდინარეები და გზები გაი-
ყვანა, რათა წარმართებულ იქმნეთ თქვენს სავალზედ.

16. გზის ნიშნები მან დასხა. ხალხი მიემართება აგრეთვე,
ვარსკვლავების გაყოლება.

17. ვინც აჩენს, განა მსგავს იქმნება მის, ვინც ვერა-
ფერს აჩენს? ნუ თუ ვერ ჩახვდეთ?

18. ხოლო თუ გინდათ, ჩამოჰსთვალათ ღვთის სიკეთე-
ნი, ჰსთქვით, მოახერხებთ განა ჩამოთვლას? იგია სულგრძელ-
და შემბრალებელი.

19. ღმერთმა უწყის, რასაც ჰმალავთ, და რასაც ცხად-
ლივ შერებით.

20. ღმერთებს, რომელთაც იგინი მოუწოდებენ, არაფერ-
ი შეუძლიათ და თვითონვე გაჩენილ არიან.

21. სიცოცხლე-მიხდილმა მკვდრებმა არ იციან,

22. თუ როდის უნდა იქმნენ აღდგენილ.

23. თქვენი ღმერთია ერთადერთი ღმერთი; ვისაც მომავალი ცხოვრება არა ჰსწამსთ, ყველაფერის უარის მყოფელი და სიამაყისაგან თავს გასული გული აქვსთ.

24. უსათუოდ ღმერთმა უწყის, რასაც ჰმალვენ და რასაც ცხადლივ შვრებიან.

25. დიდგულები არ უყვარს.

26. როცა ეკითხებიან: ღმერთმა მალლით რა მოგივლინათო? ამბობენ; ძველთა ზღაპრებიო.

27. ყველამ იტვირთოს თავიანთი საკუთარი ნამოქმედარის სიმძიმე და სიმძიმე მათიცა, რომელნიც უმეცრებით შეუცდენიათ. რა აუტანელია მათი სიმძიმე!

28. მათნი წინასწარნი მცბიერობით ირჯებოდენ. ღმერთმა მათი ნაშენები საფუძვლიანად დაანგრია; სახური თავს დაეცათ და სასჯელმა უსწრო მათ იმ მხრით, საითგანაც არ ელოდენ.

29. უპატიურობით დაფაროს იგანი აღდგომის დღესა. ჰკითხოს მათ: სადღა არიან ჩემი ამხანაგები, რომელნიც თქვენთვის ცილობის საგნად იყვნენ? ვისაც მეცნიერება მიუღიათ, ღალად ჰყონ: დღეს უპატიობა და სასჯელი ეწიოსთ ურჯულოებსა.

30. ვინც სიკვდილის ანგელოზებმა შეჰკრიბონ სიკვდილის ჟამსა, მორჩილება გამოიჩინონ და ჰსთქვან: არათფერი ბოროტება არ ჩავიდენიაო. ჰო და, უთუოდ ჩავიდენიათო, უთხრან ანგელოზებმა, ღმერთმაც კარგად იცის, რაც გიმოქმედიათ.

31. შევლით ჯანაბის კარებში, საუკუნოდ დარჩეთ იქა; რა საზიზღარია ამაყთა ადგილსაყოფელი!

32. უთხრან მათ, რომელთაც ღვთის ემინიათ: რა მოგანიჭათ თქვენმა უფალმა? მიანიჭა ყოველნაირი სიკეთე ამ ქვეყნად მათ, რომელნიც კეთილს შვრებიან; მაგრამ ყოფადი ცხოვრება კი უფრო დიდებულია. რა შვენიერია ღვთისნიერთა ადგილსაყოფელი!

33. ედემის წალკოტებს, სადაც უნდა შეიყვანონ იგინი, მდინარენი ჩაუდიან, ხოლო მათ ჰპოონ იქ ყველაფერი, რაც ინატრონ. ამნაირად აჯილდოებს ღმერთი მათ, რომელთაც მისი გშინიათ.

34. კმაყოფილ იქმნენ, ოდეს ანგელოზებმა შეჰკრიბონ რა სიკვდილის ჟამსა, უთხრან მათ; მშვიდობა იყოს თქვენთანა! შედით სამოთხეში თქვენის ღვაწლის დასაჯილდოებლად.

35. ურჯულოები განა ელიან, ანგელოზებმა შეიპყრონ იგინი, ანუ ღვთის განაჩენი აღსრულდეს? ასე მოიქცნენ მათნი წინასწარნი. ღმერთს კი არ უყვეს მათ ბოროტი, არამედ თავიანთ თავსა.

36. ცოდვა, რომელიც ჩადინათ, თავს დააწვათ, და სასჯელმა, რომელიც აგდებული ჰქონდათ, გარემოიცვა იგინი ყოველის მხრითა.

37. ვინც სხვა ღმერთებს უამხანაგებენ ღმერთსა, ამბობენ: ღმერთს რომ ენებებინა, ჩვენ და ჩვენი მამები, თაყვანს ვჰსცემდით მხოლოდ მას; ავკრძალავდით მხოლოდ მის ხმარებას, რასაც თვითონ იგი აკრძალავდა. მის უწინარეს ყოფილნიც იმნაირადვე მოიქცნენ. მოციქულები ვალდებულ არიან მხოლოდ დაუფარავად ქადაგებასა.

38. მოციქულები მოუვლინეთ ჩვენ თვითოეულს ერსა, უთხარით რა. ღმერთს თაყვანი გციოთ და თალუტს ერიდეთ. მათ შორის არიან ზოგიერთები, რომელნიც ღმერთმა წარმართა, არიან სხვები, რომელნიც დანიშნულ იყვნენ საცთუნებლად, ქვეყანა მიმოვლეთ და ნახეთ, თუ რა ბოლო ჰქონდა მათ, რომელთაც მოციქულები მატყუარებად ჩაჰსთვალეს.

39. თუ გინდა, წარემართოსთ, იცოდე, ღმერთი აღარ წარუმართებს მას, რომელიც დაუბნევია. არავითარი მფარველი არ ეყოლოსთ მათ.

40. ღვთის სახელს იფიცვენ, ფრიად გამოჩვენებულის ფიცითა, ველარ აღადგინოს ვინც ერთხელ მოკვდესო. დიახ,

ჰქმნას თავისი საზრუნველის უტყუარის, ჰირობის ძალითა. მაგრამ აღამიანთა მეტმა ნაწილმა კი არ უწყის.

41. ჰქმნას, რათა ცხადად აჩვენოს მათ, რაც იყო მათის ცილობის საგანი, და რათა ურჯულოებმა შეიტყონ, რომ ჰსტყუოდენ.

42. როგორია ჩვენი სიტყვა, როცა გვნებავს, ნივთი რამ არსებობდეს? ვამბობთ; იყავ და იგიც იქმნება.

43. ჩვენ მივჰსცეთ საპატიო საცხოვრებელი მათ, რომელთაც თავიანთი ქვეყანა ღვთის გულისათვის დაუტოვებიათ, აუტანიათ რა შევიწროება. მაგრამ ჯილდო ყოფადის ცხოვრებისა კიდევ უფრო ჩინებულია. ნეტა ჰსცოდნოდათ.

44. რომელნიც გაჭირვებას მოთმინებით უძლებენ და რომელნიც ღვთის მოსავ არიან!

45. შენს უწინარეს მოგვივლენია მხოლოდ ჩვენგანვე შეშთაგონებულნი კაცნი. ჰკითხეთ წერილის ხალხსა, თუ არ იცით.

46. სასწაულებითა და წიგნებით მოვავლინეთ იგინი. შენც მოგეცით აგრეთვე წიგნი, რათა აგეხსნა ხალხისთვის, თუ რა მოვევლინა მას, და რათა გულის ხმა ეყო.

47. ვინც ბოროტებით იხმარეს მცბიერობა, ნუ თუ ჰგონიათ, ღმერთმა მიწის საქმელად არ გახადოს იგინი, ანუ საშინელმა სასჯელმა არ შეიპყროს იგინი იქ, სადაც მის მოლოდინში არ იქმნენ?

48. არ შეიპყროს იგინი გაწამაწიაში, ოდეს აღარას შეეძლოს მისი მოქმედების შესუსტება?

49. ანუ არ დასაჯოს იგინი თანდათანის წაწყმენდითა? ხოლო ღმერთი აღსავსეა გულკეთილობითა და შებრალებითა.

50. ნუ თუ არ უნახავთ, რომ ყველაფერი, რაც კი ღმერთს გაუჩენია, თავისს აჩრდილს გადახრის მარჯვნივ და მარცხნივ მის თაყვანს საცემად, მის წინაშე თავის მოსახრელად?

51. ღვთის წინაშე განერთხმის ყველაფერი, რაცაა-ცათა შინა და ქვეყანაზე: ცხოველები, როკორათაც აგელოზები, ყველანი განიგდებენ თავიანთ სიამაყესა.

52. ყველას ეშინიათ თავიანთი უფლისა, შიშით, რათა მალლით არ განმეხოს იგინი და ყველაფერს შერებინ, რასაც მათ უბრძანებს.

53. ღმერთმა ჰსთქვა: თაყვანი არა ჰსცეთ ორ ღმერთსა, ვინადგან იგია მხოლოდ ერთად ერთი ღმერთი, მაშ ჩემი გეშინოდესთ.

54. მას ეკუთვნის ყველაფერი, რაცაა ცათა შინა და ქვეყანაზე. მისდამი ჯერ არს განუწყვეტლივ თაყვანისცემა. ნუ თუ გეშინიათ სხვისი ღვთის გარდა?

55. ყოველი კეთილი, რომლითაც ჰსტკებებით, მისგან მოდის. უბედურება თუ რამ გეწიათ, მას მიმართავთ თქვენის ვედრებითა.

56. მაგრამ რაკი გაჭივრებისაგან დაგიხსნისთ, ერთი ნაწილი თქვენ შიშის ამხანაგებს აუჩენს ღვთისს უფალსა,

57. რათა უარ ჰყოს სიკეთე, რომელიც ჩვენ უყავით მათ. ილხინეთ, მალე შეიტყუთ ქეშმარიტება.

58. ჩვენ მიერ მინიჭებულ კეთილთა ნაწილს მიაჩემებენ იგინი ისეთ არსებას, რომელსაც ვერ იცნობენ. ღმერთს ვფიცავ; ანგარიში მოგთხოვონ მისი, რასაც მოიგონებთ.

59. ღვთისას იტყვიან, ასულნი ჰყვანანო. დიდება მას თავიანთთვისაც კი არ ნატრულობენ ამას.

60. თუ ვისმე მათგანს ახარეს, ქალიშვილი დაგებადაო, პირისახე ემღვრევა, და თითქო ელდა ეცაო, ისეთი ხდება.

61. თავისიანებს ემალება, ახალის უბედურების გამო. გაუფრთხილდეს მას და ჰსჭამოს სირცხვილი, თუ ჩამარხოს სილაში? რა უგუნურია მათი მსჯელობა.

62. ვისაც ყოფადი ცხოვრება არა ჰსწამსთ, დაადარეთ ყველაფერს, რაც ცუდი რამაა. ხოლო ღმერთი შეადარეთ ყველაფერს მას, რაც უდიდებულესი რამაა. იგია ბრძენ, შემძლებელი.

63. ღმერთს რო ენებებინა ხალხის დასჯა მათი არაწმილობისათვის, არც ერთს სულდგმულს არ გაუშვებდა ქვეყანაზე.

ხლო დააცილის მათ დანიშნულ აღსასრულამდე. ოდეს აღსასრული მოიწიოს, ერთის წუთითაც ვერ დააყოვნონ, ვერც მოისწრაფონ.

64. ღმერთს აკუთვნებენ, რაც თვითონ ეზიზღებათ; მათი ენა საცრუეს ჰსთხზავს, როცა ამბობენ ჩინებული ჯილდო ჩვენთვის შენახულიო. მართლა კი, ცეცხლია მათთვის შენახული. პირველნი იგინი შთაცვიდენ იქა.

65. ღმერთს ვფიცავ, შენს უწინარეს მოგვივლენია მოციქულები სხვა და სხვა ერის მიმართ. სატანამ დაუმზარა მათ საქმეები. დღეს იგია მათი მფარველი; მაგრამ სავალალო სასჯელი მოეღისთ.

66. წიგნი მოგივლინეთ, რათა ახსნა, რაცაა საგანი მათი ცილობისა, რათა იქმნეს იგი წარმართებად და ჩვენის მოწყალების დამტკიცებად მათთვის, რომელთაცა ჰსწამსთ.

67. ღმერთი ზეციით გზავნის წყალსა, რომლითაც სიცოცხლეს აძლევს მიწასა, როცა მკვდარია. ამაში სასწაულია მათთვის, რომელნიც ისმენენ.

68. ცხოვლებში იპოვთ სასწაულები საკუთრად თქვენდა დასარიგებლად. გასმევთ რაც, მათ შიგნეულობაში, გადაქმნილ ნაჭამსა და სისხლ შუაა: წმინდა რძეს, მსმელთათვის საამო ყუათიანსა.

69. ნაყოფთა შორის, გაქვსთ ინდის ხურმა და ყურძენი, რისგანაც აკეთებთ მათრობელ სასმელსა და საამურს. საქმელსა ამაში სასწაულია მათთვის, რომელნიც ისმენენ.

70. შენმა უფალმა ეს გამოცხადება მიჰსცა ფუტკარსა: ედებე შენთვის სახლები მთებსა, ხეებსა და ხაღხის ნაშენებში.

71. ისაზრდოე თავი უოჯელოვარის ნაყოფითა, და იმგზავრე შენის უფლის ნაკვალევის გზითა. მათ (ფუტკრების) შიგნეულობას ჰსდის სხვა და სხვა ფერი ნოტიო; შეიცავს წამალს კაცთათვის. უეჭველია ამაში სასწაულებია მათთვის, რომელნიც გულის ხმას ჰყოფენ.

72. ღმერთმა გაგაჩინათ, მანვე შეგკრიბოსთ თავის წინაშე.

ზოგმა თქვენ შორის მიაწიოს მოხუცებულობის ხანსა, აღარაფერი ეცოდინოს მისი, რაც იცოდა. ღმერთი მეცნიერ და შემძლეა.

73. ღმერთმა ზოგი თქვენგანი არჩია სხვებსა თავის ნიჭთა დარჩევების ჟამსა. ხოლო რჩეულნი გაუზიარებენ განა ამ სიკეთეს თავიანთ მონებსა. ისე, რომ ყველას თანასწორი წილი ელვას შიგ? განა უნდათ, უარ ჰყონ ღვთის მადლი?

74. ღმერთმა აგირჩიათ მეუღლენი თქვენის მოდგმისა, მეუღლეთაგან გიჩენსთ ვაჟებსა და ვაჟის-ვაჟებსა; იგინი გარჩენენ თქვენ ჩინებილის სანოვაგითა. განა უნდა ერწმუნონ ცრუ ღმერთებსა და უმადურ ექმნენ ღვთის მადლსა?

75. განა უნდა თაყვან ჰსცენ ღვთის თანაბარად იმ არსთა, რომელნიც ვერ უშოვიან მათ ვერავითარ საზრდოს ცისას; ვერცა ქვეყნისას, და რომელთაც არაფერი შეუძლიათ?

76. ნუ აიყვანთ ღმერთსა თქვენის შედარების საგნად. ღმერთმა ყველაფერი უწყის, ხოლო თქვენ არა უწყით რა.

77. ღმერთი შედარების საგნად წინა დაგიდებსთ ერთს მონა კაცს, რომელსაც არაფერი აბადია, და მეორე კაცს ისეთს, რომლისთვისაც მოგვინიჭებია დიდი ყოფაცხოვრება, და რომელიც ნაწილს რასმე საჯაროდ და ფარულად გაჰსცემს სამოწყალოდ; ეს ორი კაცი განა ერთმანერთის სწორია? არა, ღვთის მადლმა; ხოლო მეტ ნაწილს მათ შორის არა ესმისთ რა.

78. ღმერთი შედარების საგნად წინადაგიდებსთ კიდევ ორ კაცსა, მათგან ერთია დაბადებითგან მუნჯი, რომელსაც არაფერი ეყურება და რომელიც ტვირთად აწევს მის ბატონსა; სადაც არ უნდა ვაგზავნოს, ვერაფერი კარგი ვერ მოუტანოს. ასეთ კაცს განა შეუძლია თანასწორად სიარული იმ კაცთან ერთად, რომელიც სრულის სიმართლით გამრიგეობს და დარება ქეშმარიტის გზით?

79. ცათა და ქვეყნის საიდუმლონი ეკუთვნიან ღმერთსა: ჟამის მოწვენა თვალის დახამხამებისა; ან შესაძლოა უფრო ახლო იყოს, ვინადგან ღმერთი ყოველად შემძლებელია.

80. ღმერთს გამოჰყევხართ თქვენის დედების მუცელთაგან, ყოველ - გონება—მიხდილები, შემდეგ განიჭებთ ყურთა, სმენასა, თვალთა ხედვასა და გულის ხმასა, რათა მადლიერი ყვნეთ.

81. ხომ მოგიკრავთ თვალი ფრინველებისათვის, რომელნიც ექვემდებარებიან ღვთის ნებასა ცათა სივრცეში? ღვთის გარდა სხვას ვისა აქვს მათთან ხელი? უეჭველია, ამაშია სასწაულები მათთვის, რომელთაც გაგება შეუძლიათ.

82. ღმერთი გაძლევსთ კარვებსა სადგომად, კარვებისათვის გაძლევსთ მხეცთა ტყავებსა, შეგიძლიათ ადვილად ატაროთ თან, როცა გზად გადგებით, ან როცა დაისადგურებთ; გაგიჩინათ მატყლი, ჯაგარი და ბალანი თქვენის საქონლისა, ვეჯი და ჭურჭელი თქვენთვის დროებით სახმარებლად.

83. ღმერთმა შეგიძინათ, თავის ქმნილთა შორის, ჩრდილი; მოგცათ მთები თავშესაფარად, ტანისამოსი თქვენდა მფარველად სიცხისაგან, და ტანისამოსიც თქვენდა დამცველად ერთმანერთის კვეთების ძალისაგან: ასე აგავსებთ თავისი სიკეთითა, რათა მის ნებას მიენდოთ.

84. თუ არაბებმა ზურგი შეგაქციეს, რა უშავს! მუჰამმად! დაკალებულ ხარ მხოლოდ დაუფარავად ქადაგებასა.

85. ღვთის სიკეთეს ჰსცნობენ, ხოლო შემდეგ უგულვებელს ჰყოფენ. მომეტებული ნაწილი მათ შორის ურჯულოა:

86. ერთ დღეს აღვადგინოთ თითო მოწმე თვითოეულის ერისათვის; მაშინ ურჯულოებს მობოდიშების ნება აღარ დაერთოსთ და აღარც შეწყნარებულ იქმნენ.

87. მაშინ უკეთურთა თავიანთი თვალით იხილონ ტანჯვა, რომელიც ვერ შეამსუბუქონ. ღმერთმა ერთი თვალის გადავლებაც არ აღირსოს მათ.

88. კერპთაყვანის მცემელთა დანიხანონ თავიანთი ამხანაგები, ღმერთები იგი, რომელთაც უკავშობენ ღმერთსა, და ჰსთქვან: უფალო, აი ჩვენი ამხანაგები, რომელთაც ვეთაყვანე-

ბოდით შენ თანასწორადო; მაგრამ იმათ უპასუხონ: მხოლოდ ცრუ ხართო.

89. იმ დღეს კერპთაყვანის მცემლებმა დაუგონ ღმერთსა თავიანთი მორჩილება და მათი მოგონილი ღმერთებიც გაჰქრნენ.

90. სასჯელი სასჯელზედ შევამთხვიოთ, უკეთურების სამაგიეროდ მათ, რომელთაც არ ჰსწამდათ და რომელთაც სხვები ჭეშმარიტის გზითგან გაუბრუნებიათ.

91. ერთ დღეს აღვადგინოთ თვითოეულის ერის წიალითგან მოწმე, რომელმაც ჩვენება ჰსთქვას მის წინააღმდეგ, ხოლო შენ, მუჰამმად, დაგადგინოთ მოწმედ და გევალებოდეს ჩვენება არაბთა წინააღმდეგ, ვინადგან მოგმადლეთ წიგნი, რომელიც ყველაფრის ახსნას შეიცავს, რომელიც ჩვენის მოწყალების დამამტკიცებელია, რომელიც წარუმართებს და ახარებს საბედნიერო ამბებსა მათ, რომელნიც ღვთის ნებას მიენდობიან.

92. ღმერთი ბრძანებს მართლმსაჯულებას და ქველმოქმედებას, გულუხვობას თავის ნათესავთა მიმართ; აკრძალავს სისაძაგლეს, გულ-მრუდობასა და უსამართლობასა; გაგაფრთხილებსთ, რათა გულის ხმა ჰყოთ.

93. არ ეორგულოთ ღვთის აღთქმას, რომელიც დაგიდვიათ, არ გაჰსტეხოთ ფიცი, რომელიც საქვეყნოდ მიგიღიათ. ღმერთი თავდებად აგიყვანიათ, ხოლო მან იცის, რასაც ჰსჩადიხართ.

94. ნუ ემსგავსებით იმ დედაკაცსა, რომელმაც გაჰსწყვიტა თავისივე მაგრად დართული ძაფი; ერთმანერთს ნუ დაუდებთ ორგულობით ფიცსა; რადგანაც ხედავთ, რომ თქვენი დასიუფრო მრავალ რიცხვედია, ვიდრე სხვისა. ღმერთი ცდილობს, გამოგცადოსთ ამითა, მაგრამ, მკვდრეთით აღდგომის დღეს, მოგაგონოსთ თქვენის ცილობის საგანი.

95. ღმერთს რო ენებებინა, ერთ ხალხად შეგადგენდათ; მაგრამ ვისაც ნებავს, მას წარუმართებს. ერთ დღეს მოგეკითხოსთ თქვენის ნამოქმედარის ანგარიში

96. ნუ იხმარებთ ფიცსა მოტყუების ღონედ, შიშით, რათა მტკიცედ დადგმული ფეხი არ წაგიბორძიკდესთ, და რათა არ განიცადოთ სასჯელი, სხვების გაბრუნებისათვის ღვთის გზითგან. საზარელი სატანჯველი გამზადებულ იქმნება თქვენთვის!

97. ნუ იყიდით ღვთის პაემნიჭა მდარედ ღირებულ საგანსა. რასაც ღმერთი ამარაგებს თქვენთვის, უფრო გამოგადგესთ იგი, თუ ჭკუასა ხართ.

98. რაც თქვენ ხელთაა, გარდიაროს, ხოლო რაც ღვთისა, დარჩეს. დამთმენთ მივანიჭოთ სასყიდელი, რომელიც ჯერ არს მათდამი, მათის ნამოქმედარის უფრო შესაფერი სასყიდელი.

99. ვინც კეთილს საქმეს შვრება და ვინც იმავე დროს მორწმუნეა, კაცი იქმნება, თუ ქალი, მას მივმადლოთ ბედნიერი ცხოვრება, და მივანიჭოთ საუკეთესო ჯილდო, მისი ნაღვაწის საკადრისი.

100. როცა კურანს ჰკითხულობ, ეძიე ღვთის წინაშე თავშესაფარი ჩაქოლვილის სატანას წინააღმდეგ.

101. სატანას ხელი არა აქვს მათთან, რომელთაცა ჰსწამსთ და რომელთაც ღვთის იმედი აქვსთ.

102. ხელი მიუწვდება მათზე, რომელნიც ღმერთს ჰმორღებიან და რომელნიც მას უამხანაგებენ სხვა ღმერთებსა.

103. თუ დავადგინეთ ამ კურანში ერთის მუხლის ნაცვლად მეორე (ღმერთმა უკეთ იცის, რაც გამოუცხადებია), იგინი იტყვიან, მაგას შენ თვითონ იგონებო. არა; მაგრამ მომეტებულმა ნაწილმა მათ შორის არაფერი იცის.

104. უთხარე მათ, რომ ჭეშმარიტად სიწმინდის სულმა მოგბერა იგი შენის უფლისაგან მათ წარსამართებლად და ბედნიერი ამბების სახარებლად მუსულმანთათვის.

105. კარგად ვიცით, სწავლულ კაცს იტყვიან: ენა იმისი, ვისი არა პირდაპირ ჩვენებაც ჰსწადიათ, უცხო ენაა, მაშინ როცა კურანი წმინდა არაბული წიგნია.

106. დიახ, ღმერთი არ წარუმართებს მათ, რომელთაც არა ჰსწამსთ მისი სასწაულები. ფიცხელი სასჯელია მათთვის გამზადებული.

107. ვისაც არა ჰსწამსთ ღვთის სასწაულები, ტყუილად ირჯებიან; მატყუარ არიან.

108. ვინც, მას შემდეგ რა ირწმუნებს, გაურჯულოვდება ძალდატანებით, ხოლო გული სარწმუნოებით დამშვიდებული აქვს, არ შეჰსცოდებს; მაგრამ ღვთის რისხვამ უწიოს მას, რომელმაც გული დაუდოს ურჯულოებას და საშინელი სატანჯველიც მოეღის.

109. ესაა სამაგიერო მის, რომ ურჯულოებმა წუთისოფელი საიქიოს არჩიეს. ღმერთი როდი წარუმართებს ურჯულოებსა.

110. მათ გულთა, თვალთა და ყურთა ღმერთმა ბეჭედი დაასვა, არათრის ეშინიათ; უეჭველად უბედურ იქმნენ საიქიოს.

111. ხოლო ღმერთი სულგრძელ და მოწყალებით აღსავსეა მათ მიმართ, რომელთაც დაუტოებიათ ქვეყანა, ჩაცვივნულან რა განსაცდელში, რომელთაც მასუკან უბრძოლნიათ ღვთის გულისათვის და ყველაფერი მოთმინებით აუტანიათ.

112. დადგეს ღღე, ოდეს ყოველმავე სულმა განჰსაჯოს თავისი თავი, და ოდეს მას მიეგოს მისთა საქმეთაებრ, ოდეს შეურაცხყოფილ არავინ იქმნეს.

113. ღმერთი შედარების საგნად წინადაგიდებსთ ქალაქსა, რომელიც ჰსტკებოდა უშიშროებითა და მყუდროებითა. ღმერთმა მიანიჭა მას საზრდო უხვად; მაგრამ გაშოიჩინა უმადურობა ღვთის სიკეთისა, ამანაც დაჰსცა მათ შიმშილობა და შიშის ზარი საფასურად მის მკვიდრთა ნამოქმედარისა.

114. მოციქული გამოვიდა მათ შორის ხოლო მატყუარად ჩაჰსთვალეს იგი. ღვთის სასჯელმა შეიპყრო იგინი, რადგანაც უმართლო იყვნენ.

115. თავი ისაზრდოეთ საქმელითა, რომელსაც ღმერთი მოგანიჭებსთ, კარვისა და ნებადართულის საქმელითა და მათ

დლიერ იყავით ღვთის სიკეთისა, თუ მის თაყვანის მცემელ ხართ.

116. მას აუკრძალავს თქვენთვის ჭამა მკვდარი ცხოველების ხორცისა, სისხლისა და ღორის ხორცისა, ისე როგორათაც ყოველის საჭმლისა, რაზედაც მოუწოდებენ სხვას და არა ღვთის სახელსა; ხოლო თუ ვისმე ძალა დაატანეს, თუ არ ჩაიღინა, როგორც განზრახვით შემცოდემ და მეშფოთარმა, ღმერთთა მოწყალე და შემწყნარებელი; ევატიოს.

117. ნუ ამბობთ; ეს ნება დართულ, ის ნება დაუბრუნებელიაო, მისებრ, როგორათაც თქვენს ენას ჰსჩვევია სიცრუე; ღვთის თაობაზე სიცრუეს შეჰსთხზავთ; ვინადგან ვერ იხეირებენ ღვთის თაობაზე სიცრუის შემთხველნი.

118. ეგ მოკლე ხნის სიამეა, ხოლო მათი სასჯელი სამწყურხარო იქმნეს.

119. ურიებს აუკრძალეთ ჩვენ საჭმელები, რაც წინეთ გაცნობეთ შენ: უსამართლოდ არ მოვქცევივართ მათ, თვითონ იგინი მოექცნენ უსამართლოდ თავიანთ თავსა.

120. ვინც ჩაიღინონ უკეთური საქმე უმეტრებით, მაგრამ ვინც მიიქცნენ ღვთისადმი და გაჰსწორდენ, ღმერთი ეყოლოსთ სულგრძელ და შემბრალე.

121. აბრაამ იყო კაცი ღვთის მორჩილ, ჭეშმარიტად მორწმუნე; კერპთაყვანის მცემელთაგანი როდი ყოფილა.

122. დამნახველ იყო მისი სიკეთისა; ღმერთმა აირჩია და დააყენა იგი ჭეშმარიტ გზაზე.

123. მას მივანიჭეთ ჩინებული ჯილდო ამ ქვეყნად და მართალთა შორისაც არის იმ ქვეყნად.

124. შენ გამოგიცხადეთ, რომ უნდა შეუდგე სარწმუნოებას აბრაამისას, რომელიც ჭეშმარიტი მორწმუნე იყო, და არც ყოფილა კერპთაყვანის მცემელთაგანი.

125. შაბათი დაწესებულ იქმნა მათთვის, რომელნიც თავიანთებურად გაიყვნენ. ღმერთმა გადაჰსჭრას მათ წინაშე აღდგომის დღეს მათი ცილობა.

126. ღვთის გზად მოუწოდებ ხალხსა სიბრძნითა და ტკბილის დარიგებითა; თუ შეებაასო მათ, მოექცევა პატიოსნებით; ვინადგან შენი უფალი უკეთ იცნობს მათ, რომელნიც გადაუხვევენ მის გზას და მათაც, რამდენიც შეჰყვებიან ქვეშა-რიტ გზასა.

127. როცა აღვიხარო შევიწროებას, უდრიდეს იგი შეუ-ზაცხოფასა, რომელიც გამოგიცდიათ, ხოლო თუ ირჩევთ გაძლებას მოთმინებითა, უფრო ივარგოს მათთვის; რომელნიც მოიჭირებენ მოთმინებითა.

128. მაშ მოითმინე; ხოლო მოთმინება ვერ შეჰქსდლო, თუ არ ღვთის შემწეობითა. მათთვის ნუ შეჰსწუხდები; გულს ნუ გაიწვრილებ მათის ზაკვითა, ვინადგან ღმერთია მათთან, რომელთაც მისი ეშინიათ და კეთილს შერებიათ.

თ ა ვ ი . XVII.

ღ ა მ ი თ მ ე გ ა ე რ ო შ ა .

ნაბოძებია მედინეს. — 111 მუხლი.

ს ა ხ ე ლ ი თ ა

ღ ვ თ ი ს ა

მოწყალისა და შემწყნარებელისა.

1. დიდება მას, რომელმაც ღამით მიიყვანა თავისი მსახური მექას წმინდა ტაძრით შორეულ ტაძრად იერუსალემისა, რომლისაც მაზრა დაგვილოცნია, რათა ჩვენი სასწაულები ვაჩვენოთ მას. ღმერთს ესმის და ხედავს ყველაფერსა.

2. მოსეს მივმადღეთ წიგნი სჯულისა, და გავხადეთ იგი წინამძღვრად ისრაელის შეილთათვის. ნუ აიყვანთ მეთქი, ჩვენი უთხარით მათ, სხვა მფარველს ჩემს გარდა.

3. შთამომავალნი მათნი, რომელნიც გვიტარებია კიდობნითა ნოესთან ერთად! იგი იყო დამნახველი მსახური.

4. ჩვენ ვაუწყეთ ისრაელის შვილებს გარდაწყვეტილება წიგნითა: ორჯელ ჩაიდინათ უსამართლობა ქვეყანაზე და თავსაც გახვიდეთ უზომოს ამაყობითა.

5. როცა პირველის ქადილის აღსასრულმა მოაწია, ჩვენ მსახურთა წინააღმდეგ წარმოვეგზავნეთ საშინელის ძაღლონის კაცი; იგინი შემოვიცვივდენ თქვენ შუაგულ ტაძრამდე და ქადილიც ახდა.

6. ჩვენ მიუშვით შემდეგ, თქვენი ჯერი მოწეულიყო და თქვენი გამარჯვებაც მათზე, და გაგიძრავლეთ სიმდიდრე და შვილები; რიცხვ მრავალ ერად გადაგაქციეთ თქვენ.

7. გითხარით: თუ კეთილი ჰქმნათ, თქვენის თავისთვის ჰქმნათ; თუ ბოროტი ჰქმნათ, თქვენის თავისთვის ჰქმნათ. როცა მეორის ქადილის აღსასრულმა მოაწია, წარმოვეგზავნეთ მტრები თქვენდა შესაჭირვებლად, თქვენს ტაძარში შესასვლელად, როგორადაც პირველად შეცვივდენ, და ყველაფრის დასაქცევად.

8. ფეგების ღემრთმა შეგიბრალოსთ; ხოლო თუ თქვენს ცოდვებს დაუბრუნდით, ჩვენც დაგიბრუნდეთ აგრეთვე დასასჯელად. ჯანაბა გვაქვსთ დანიშნული დიღეგად ურჯულოთათვის.

9. კეშმარიტად ეს კურანი დააყენებს ყოველად სწორე გზაზედ; ბედნიერებას ახარებს მორწმუნეთა;

10. რომელნიც კეთილ საქმეებს შვრებიან. ჩინებული ჯილდო მიიღონ;

11. საშინელი სატანჯველი ვაგვიძხადებია მათთვის, რომელთაც ყოფადი ცხოვრება არა ჰსწამსთ.

12. ადამიანი აღთქმასა ჰსდებს, რათა მიიღოს, რაც ცუდია, ვითომც და შვრებოდეს კარვის მისაღებად, ადამიანი ბუნებით აჩქარებულია.

13. ღამისა და დღისაგან შევქმენით ორი სასწაული ჩვენის ძლიერებისა. ავხოცეთ სასწაული ღამისა და სახილველ ვყავით დღისა, რათა ცდილიყავით, სიკეთე მიგეღოთ ღვთის

გული-უზვობისაგან, რათა გცოდნოდათ რიცხვი წელთა და მათი აღნუსხვა. ყველაფერში სრული განსხვავება შემოვიტანეთ.

14. თვითოეულს ადამიანს ყელზე მიუბით ჩვენ ჩიტი. აღდგომის დღესა, ვაჩვენოთ წიგნი, რომელიც გაშლილი ჰქოოს.

15. წაიკითხე შენს წიგნში, ჩვენ უთხრათ მაშინ; საკმარისია, შენ შეადგინო თვითონვე დღეს შენის თავის ანგარიში.

16. ვინც მიჰსდევს სწორე გზას, თავის თავისთვის მიჰსდევს; ვინც გადაუხვევს, თავის სავენებლად გადაუხვევს. ყოველმასულმა, ტვირთვით დამძიმებულმა, არც ერთი სხვისი ტვირთი არ ჰზიდოს. არასოდეს დაგვისჯია ისე, რომ წინეთ არ მოგვევლინოს წინასწარმეტყველი რომლისამე ერის მიმართ.

17. როცა მოგვისურვებია ქალაქის აოხრება, ჯერ ჩვენი ბრძანება გაგვიგზავნია მის მდიდარ მოქალაქეთათვის; მაგრამ ცოდვილები გამოდგებოდნენ ხოლმე. განაჩენი ითქმოდა და ჩვენც ვჟლეტდით.

18. ნოეს აქეთ რამდენი ერი გაგვიწყვეტია. საკმარისია, შენი უფალი ხედვიდეს და ტყობილობდეს თავის მსახურთა ცოდვებსა.

19. ვისაც ეს ქვეყანა უნატრია, ისე მსწრაფლ წარმავალი, მსწრაფლვე მიგვინიჭებია მისთვის ამ ქვეყნად, რაც გვინებებია; შემდეგ გაგვიმზადებია მისთვის ჯანაბა. იქ დაიწვას სირცხვილით დაბურვილი და ყოვლის შემწეობის უქონელი.

20. ვისაც მომავალი ცხოვრება ენატრება, ვინც ღონეს იძიებს იმის მისაღებად, ვინც მას გარდა მორწმუნეა, ღონისძიება მისი მოსაწონ იქმნეს ღვთისათვის.

21. ჩვენ განუგრძობთ შენის უფლის ნიჭთა ამათაც და იმათაც. შენის უფლის ნიჭი არავის დაეჭიროს.

22. ნახე, თუ როგორ ავწიეთ ერთნი მეორეთა უმაღლეს ამა ქვეყნის კეთილითა, მაგრამ მომავალ ცხოვრებას უფრო ამაღლებული ხარისხები და კიდევ უფრო დიდი უპირატესობა აქვს.

23. ნუ აყენებ სხვა ღმერთებს ღვთის გვერდით, ვინადგან სირცხვილი და შეურაცხება დაგბურავს.

24. ღმერთმა ბრძანა მხოლოდ მისი თაყვანისცემა, კარგად მოქცევა თქვენ დედ-მამასთან, კიდევ რო ერთი მათგანი სიბერით შეპყრობილ იყვეს, ანუ ორთავ მიეწიოს იქამდე და თქვენთან დარჩენილიყვენ. ერთდე მათ თაკილობას, მათ ყვედრებას. პატივისცემით ელაპარაკე მათ.

25. თავმდაბალ მათთან და სიმშვიდით აღსავსე იყავ, და მიჰმართე ღმერთსა ამ ვედრებითა უფალო, შეიბრალებ ესენი, როგორათაც მე შემიბრალებს და გამოჰმზარდეს, როცა სულ პატარა ვიყავ.

26. ღმერთი უკეთ იცნობს, ვიდრე სხვა ვინმე, თქვენ გულთა სიღრმესა; უწყის, თუ მართალ ხართ.

27. იგია სულგრძელ მათ მიმართ, რომელნიც მასთან მიიქცევიან.

28. მიაგე შენთა მოყვასთა, რაც მათდამი ჯერ იყოს, აგრეთვე ლატაკს და მგზავრსა, და ნურც მფლანგავ ექმნები.

29. მფლანგავები სატანას ძმები არიან. სატანა უმადურ ექმნა თავის უფალსა.

30. თუ განეშორები უშველებელ გაჭირვებაში მყოფთა, შენის უფლის მავედრებელი წყალობისათვის, რომლის მიღებასაც იმედნეულობ, სიმშვიდით მაინც ელაპარაკე მათ.

31. კისერზე ხელს ნუ მიიდებ და ნურც სრულიად გაშლი, შიშით, რათა არ დაგძრახონ, ან ღარიბ არ გახდე.

32. ღმერთი ხან ხელგაშლით მიჰმადლებს თავის ნიჭთა მათ, ვისაც ჰნებავს, ხან კი თანასწორ განაზომიერებს. შეტყობილი აქვს მდგომარეობა თავის მსახურთა და ხედავს მათ.

33. ნუ დაჰხოცთ თქვენს ბავშვებსა სიღარიბის შიშითა; მივაწოდოთ მათ საზრდო ისე, როგორათაც თქვენ. კაცისკვლა, რომელსაც ჩადიხართ, მძიმე ცოდვაა.

34. მრუშებას ერთდეთ, ვინადგან უფნობა და ცუდი საქციელია.

35. არარა ადამიანი არ მოჰკლათ, ვინადგან ღმერთმა აღგიკრძალათ, თუ არ სამართლიანობის გულისთვის; ხოლო ვინც უსამართლოდ მოკლულ იქმნება, ჩვენ მიგვინიჭებია მისი მახლობლისთვის საიმისოდ უფლება; მაგრამ კი მოკვლის დროს საზღვარს არ გარდახდეს; შურნაძიებია იგი, ვინადგან მიეგო მას სჯულისამებრ.

36. ობლის ქონებას ნუ შეეხებით, თუ არ მოსაწონის განზრახვითა, მის გასადიდებლად, ვიდრე გადადგებოდეს დანიშნულ ხანში. თქვენი მოვალეობა აღასრულებთ, ვინადგან თქვენის მოვალეობის ანგარიში უნდა მოგთხოვონ.

37. როცა რასმე ჰსწყავდეთ, საწყაო ხავსეთ. სამართლიანის სასწორით აჰსწონეთ. ეს უმჯობეს და უკეთესიცაა საბოლოოდ.

38. ნუ გამოტყიდებ მას, რასაც ვერ იცნობ. ყურთა სმენის, თვალთახედვის, გულის, ყოვლისავე ამის ანგარიში მოგთხოვონ. ყველაფრის ანგარიში მოგთხოვონ.

39. დიდგულად ნუ დაიარები დედამიწაზე; ვერ განაპოი იგი ორად, ვერც გაათანასწორო მთების მწვერვალნი.

40. ყველაფერი ეს უკეთური და საძაგელია ღვთის წინაშე.

41. აი ღმერთმა რა გამოგხცხადა სიბრძნის საქმითა; ნუ დააყენებ მეტადრე სხვა ღმერთებს ღვთის გვერდით. ვინადგან ჯანაბაში შთავარდე, ღირფობითა და შეურაცხებით დაბურვილი.

42. განა ღმერთმა შემთხვევით უნდა აგირჩიოთ თავის ვაჟიშვილებად და ანგელოზები ქალიშვილებად აიყვანოს? საშინელ სიტყვას ამბობთ.

43. კურანში მოძღვრება მიმოვფინეთ, რათა ზალხი ჩამხვდარიყო; მაგრამ გააძლიერა თქვენი შეცდომილება.

44. უთხარი მათ: სხვა ღმერთები რო ყოფილიყვნენ ღვთის გვერდით, როგორათაც თქვენ ამბობთ, ღმერთები იგი

უეჭველად მოიწადინებდენ, მპყრობელისთვის ტახტი წაერთმიათ.

45. დიდება ღმერთსა! უდიდესის მწვერვალით უმაღლესობს ამ გმობას.

46. შვიდნი ცანი და ყველაფერი, რასაც იგინი შეიცვენ, ისე როგორათაც ქვეყანა, შეასხმენ მას ქებასა. არაფერია ისეთი, რაც არ ამკობდეს მას ქებითა, თქვენ კი არ გესმისთ მათი ღაღადება. ღმერთი კაცთმოყვარე და სულგრძელია.

47. როცა კურანს კითხულობ, ფარდას ვაბამთ შენსა და მათ შორის, რომელთაც ყოფადი ცხოვრება არა ჰსწამსთ.

48. გულთა საური ჩავაცვით მათ, ველარ გაეგოთ, ყურთ ასაკრავი გაუკეთეთ მათ.

49. როცა წარმოჰსთქვამ კურანში ერთადერთის ღვთის სახელსა, ზურგს შეაქცევენ, რათა ზიზლით გაიქცენ.

50. ჩვენ უკეთ ვიცით, რაც უნდა იყოს, თუ ურჯულოები რა მიზნით გისმენენ, როცა შენდა ყურის დასაგდებად მოდიან, როცა ერთმანერთს ყურში ეჩურჩულებიან, როცა ბოლოსაც ბორბოტნი ერთმანერთს ეუბნებიან: აპყოლიხართ მოხიბლულ კაცსაო.

51. ნახე, თუ რას გადარებენ. მაგრამ შეცდომაში არიან და ვერც გზათა კვალი გაიგნონ.

52. ამბობენ: ძვლად და ფერფლად ქცეულნი ვანა აღდგენილ ვიქმნეთ ახალის სახითაო?

53. უთხარი მათ: დიახ, ქვაც რომ იქმნეთ, ანუ რკინა, ან სხვა რამ ისეთი, რაც შეუძლებელი უჩნს თქვენს გონებას. პასუხად ჰსთქვან: სიცოცხლე ვინლა დაგვიბრუნოს? ჰსთქვი: ვინც პირველად გაგაჩინათ, იმან. მაშინ თავი გააქნიონ და გკითხონ: როდის მოხდესო? ჰსთქვი: ეგების მალეც მოხდეს.

54. იმ დღეს, ოდეს ღმერთმა საფლავებით გამოგიხმოთ, ქებით მიუგოთ; გეგონოსთ თუ სულ ცოტახანს დაჰყავით იქა.

55. ჩემს მსახურებს უთხარი, მხოლოდ სიმშვიდით ილა-

პარაკონ, ვინადგან სატანას შეუძლია, უთანხმოება დაჰსთესოს თქვენ შორის. სატანა ადამიანის ცხადი მტერია.

56. თქვენი უფალი გიცნობსთ; თუ ინება, თავისი მოწყალეობა გაგემებინოსთ, თუ ინება, დაგსაჯოსთ. მუჰამმად, არ მოგვივლენიხარ, მათდა მთარველად ყოფილიყავ.

57. შენმა უფალმა უკეთ იცის, ვიდრე ვინმე ხხვამ, თუ რა არის ცათა შინა და ქვეყანაზე. წინასწარმეტყველები ან წიეთ ერთნი მეორეთა უმალღეს, და ფსალმუნი მივანიტეთ დავითსა.

58. ჰსთქვი: თქვენდა საშველად მოუწოდეთ მათ, ვინცა მას გარდა ღმერთები გგონიათ, და ნახოთ, ვერც თქვენ დაგიხსნან ბოროტისაგან და ვერც უკუაქციონ.

59. ვისაც მოუწოდებთ, გულითა ჰსურსთ, მიაწიონ თავიანთ უფლამდე, თუ ვინ იქმნეს მის უახლოეს; მის მოწყალეობას ელიან და მისი სასჯელის ეშინიანთ, ვინადგან სასჯელი შენის უფლისა საშინელია.

60. ისეთი ქალაქი არ იქმნეს, არ დავაქციოთ ამიერიდან აღდგომის დღემდე, ან არ დავჰსაჯოთ საზარელის სასჯელითა. ესა ჰსწერია საუკუნო წიგნში.

61. ვერაფერი დაგვიშლიდა შენს მოვლინებას სასწაულთა უფლებითა, რომ ოდესმე ხალხებს სიცრუედ არ ჩათვალათ წინანდებლები. თემუდებლებს ცხადად დავანახეთ ფაშატი აქლები; იგი იყო გასაფრთხილებლად, მაგრამ მაინც ავად მოეპყრნენ მას. წინასწარმეტყველებს სასწაულებით მოვავლენთ მხოლოდ დასაშინებლად.

62. მოიგონე, რაცა ვჰსთქვით: ღმერთი კაცთა გარემოცავს ყოველის კოთხით. მოგანიტეთ ჩვენება, რომელიც შეგემთხვა, გახილვებინეთ წყეული ხე იგი კურანში მხოლოდ იმიტომ, რომ კაცთა შორის ჩამოაგდო უთანხმოება. ვაშინებ მათ, მაგრამ უფრო განაძლიეროს ამან მათი დიდი აღშფოთება.

63. ანგელოზებს ჩვენ უთხარით: განერთხენით ადამის

წინაშე. იგინი განერთხნენ მარტო ებლისს გარდა. ნუ თუ განვერთხო წინაშე მისა, რომელიც თიხისაგან გააჩინეო, ჰსთქვა?

64. მერმე ღმერთს უთხრა: ხედავ მას, რომელიც ჩემს უმეტეს გააპატიოსნე; უკეთუ ღროება მომცე ამიერთგან აღდგომის დღემდე, ამოვაგლო მართლად მისი შთამომავლობა, მცირეოდენ რიცხვს გარდა.

65. გაიცალე. ვინც აგყვნენ კაცთა შორის, მათ და შენ ყველას ჯანაბა გექმნესთ ჯილდოდ, თქვენის ცოდვების სრულ ჯილდოდ.

66. შენის ხმით მიიზიდე, ვინც შეიძლო; თავს დაესხ მათ შენის ცხენებით და ქვეითის ჯარითა; ექმენ ამხანაგად მათ სიმდიდრესა და ბაღნებში და პირობა დაუდე მათ (სატანა პირობასა ჰსდებს მხოლოდ ხალხის დასაბრმავებლად).

67. ხოლო ჩემს ერთგულ მსახურებთან ხელი არ გექმნეს: მათ ეყოლოსთ ჯეროვანი მფარველი, თავიანთი უფალი.

68. თქვენი უფალი თქვენთვის აცორვებს ხომალდებს ზღვაზე, რათა მისის გულუხვობის ნიჭი ჰპოოთ. იგია თქვენი შემბრალებელი.

69. როცა უბედურება გეწვეათ ზღვაზე, ვისაც მოუწოდებთ, ვედარა ჰპოებთ. ღმერთია მხოლოდ იქა. მაგრამ რაკი გადაგარჩენს და მყარ დედამიწაზე გადმოგსხამსთ, განშორდებით მას. მართლა რომ უმადურია ადამიანი.

70. განა გჯერათ, ვერ შთათქმევინოს მან თქვენი. თავი თქვენ ფეხთა ქვეშ გამსკდარ დედამიწასა, ან ვერ გამოგზავნოს თქვენ წინააღმდეგ გრიგალი, რომელმაც შეგსუდროსთ სილითა, ისე რო მფარველი ვედარ იშოოთ?

71. განა გჯერათ, ვერ წაგიყვანოსთ მეორეჯერ ზღვითა და ვერ გამოგზავნოს თქვენ წინააღმდეგ ძლიერი ქარი, თქვენდა დასარჩობად თქვენის ურჯულოების სამაგიეროდ? მაშინ მფარველი ვედარ ჰპოოთ.

72. სახელი განუთქვით ჩვენ ადამის შვილებსა. ხმელე-

თითა და ზღვებით დაგვყავდა იგინი; საზრდოდ ვაძლევდით მათ საამო საჭმლებსა და დიდი უპირატესობაც მივანიჭეთ. მათ ჩვენ გაჩენილ არსთა დიდძალი რიცხვის წინაშე.

73. იმ დღეს, როცა ყველა ხალხები მოვიხმოთ ჩვენს წინაშე გამოსაცხადებლად თავთავიანთ წინამძღოლებიანად, ვისაც მარჯვენა ხელში მიჰსცენ მათი წიგნი, წაიკითხონ წიგნი იგი და ერთი ბეწვისოდნადაც შეურაცხყოფილ არ იქმნენ.

74. ვინც ბრმაა ამ ქვეყნად, საიქიოსაც ბრმა იქმნეს იგი და გამოდგეს უფრო შემცდარ და გზას უფრო დაშორებული.

75. ურჯულოებმა მაცდურებით კნინლა დაგაშორეს მას, რაც შენ გამოგიცხადეთ და ჩემთვის სხვა გამოცხადება მოგაკუთნებინეს. მაშინ ხომ თავიანთ ამხანაგსავით ჩავთვლიდენ შენ.

76. სარწმუნოებით რომ არ გაგვემტკიცებინე, დაუთმობდი, ვინადგან გული ცოტად კიდევ გქონდა იმათკენ.

77. მაშინ გამოგაცდევინებდით შენ ცხოვრების გასაჭირსა და სიკვდილისასაც და ველარც შემწეობას იპოვიდი ჩვენ წინააღმდეგ.

78. ურჯულოებმა კნინლა დაგატოვებინეს ეს ქვეყანა, რათა გამოეგდეთ. მაშინ კი დიდხანს ველარც ცხოვრებდენ შენის მოშორების შემდეგ.

79. ამ გზას მიჰსდევდენ ჩვენი მოციქულები შენამდე. ვერ იპოვიდი განსხვავებას ჩვენ გზათა შორის.

80. ლოცვა აღასრულე მზის გადახრისას ვიდრე ღამის სიბნელის დადგომამდე. შეუდექ აგრეთვე კითხვას განთიადისას. განთიადის კითხვა ხილულია.

81. ხოლო ღამით მღვიძარება შენი შეჰსწირე ვედრებასა. ჯერის გარდამეტ ღვაწლად გექმნეს. ეგების ღმერთმა იმ მღვიძარების ჟამსა აგწიოს დიდებულ ადგილსა.

82. ჰსთქვი: უფალო, შემიყვანე საბედნიერო შესავალითა და გამომიყვანე საბედნიერო გამოსავალითა, და მომანიჭე ძლიერება მფარველი.

83. ჰსთქვი კიდევ: ჭეშმარიტება გამოჩნდა და სიცრუე გაჰქრა; სიცრუე გასაქრობელია.

84. კურანით მოვაველინეთ: კურნება და წყალობა ერთ-გულთათვის. ხოლო დაასრულოს მან უსამართლოთა აოხრება.

85. როცა სიკეთეს რასმე მივანიჭებთ ადამიანსა, ზურგს შეგვაქცევს და შორს გაუდგება. როცა უბედურება ეწევა, იმედს გარდაიწყვეტს.

86. ჰსთქვი: კაცად-კაცადი თავისებურად ირჯება; ხოლო ღმერთმა უწყის, თუ ვინ უფრო დადის ჭეშმარიტის გზითა.

87. სულისა გკითხონ. უთხარი: სული გაჩნდა უფლისა ბრძანებით; მაგრამ მცირე ოდენს თქვენ შორის თუ აქვს ცნობა.

88. ჩვენ რო გვენებებინა, უკანვე წაგართმევდით მას, რაც შენთვის გამოგვიცხადებია და ვერცარავის იპოვიდი ისეთსა, გამოგსარჩლებოდა ჩვენს წინაშე,

89. თვინიერ წყალობისა, რომელიც ღვთისაგან მოგველინება. ჭეშმარიტად, შენის უფლის გულუხვობა შენდამი განუსაზღვრელია.

90. ჰსთქვი: კიდევ რო შეკრბენ კაცები და ჯინები რისამე კურანის მსგავსის შესათხზველად, ვერაფერი ისეთი ვერ შეჰსთხზან, თუნდაც ერთმანანერთს დაეხმარონ.

91. ამ კურანში მიმოვაფრქვიეთ ყოველნაირი იგავი კაცთა დასარიგებლად; ხოლო კაცთა ყველაფერი იუარეს ურჯულოებას გარდა.

92. ამბობენ: არ გერწმუნოთ, უკეთუ არ აღმოამჩქეთაროდელდამიწითგან ცხოველის წყალის ნაკადული;

93. ან უკეთუ არ აღაორძინო ინდის ხურმისა და ვაზის წალკოტი და არ აღინო ნაკადულები იმ წალკოტის შუაგულს;

94. ან ზეცით არ დაგვეცეს ნატეხი რამ, ან არ მოიყვანო ღმერთი და ანგელოზები, როგორათაც შენის სიტყვების თავდებნი;

95. ან უკეთუ არ გექმნეს ოქროს ვარაყით შემკული

სახლი, ან უკეთუ არ ახვიდე ზეცას კიბითა; მეტადრე არ დაგიჯეროთ, იქ ასულიყო, ვიდრე არ გადმოავლინო წიგნი, რომლის წაკითხვაც ყველას შეგვეძლოსო. უპასუხე მათ: ჩემის უფლის დიდებამან! განა სხვა ვინმე ვარ, თუ არ კაცი და მოვლინებული?

96. რი უშლისთ კაცთა, იწამონ, როცა მოძღვრება წარმართებისა მოევლინათ? ის, რომ ამბობენ: განა კაცს მოავლინებდა ღმერთი თავის მოციქულადო?

97. უთხარი მათ: ანგელოზებს რომ ქვეყნად ევლოთ და მშვიდობით ეცხოვრათ, ანგელოზს მოგივლენდით მოციქულად.

98. უთხარი მათ: ღმერთი კმარა მოწმედ თქვენსა და ჩემ შორის, ვინადგან მას მოეხსენება თავის მსახურთა მოქმედება და ხელავს მათ.

99. ვისაც ღმერთი წარუმართებს, მხოლოდ მას წარემართებს; ვისაც ღმერთი დააბნევს, მფარველი ვერავითარი ჰქონოს, მას გარდა. აღდგომის დღეს, ყველა პირქვე დამხობილი შევკრიბოთ, ბრმები, მუნჯები და ყრუები. ჯანაბა ექმნესთ საცხოვრებლად; ცეცხლი შეუკეთოთ ყოველთვის, ჩაჰქრეს თუ არა.

100. ასეთი ექმნესთ ჯილდო მის გამო, რომ სასწაულები არ იწამეს და მის გამოც, რომ ჩვეულება ჰქონდათ, ეთქვათ: როცა ძვლისა და მტვრის მეტი არა ვიქმნეთ რა, ნუ თუ ავდგეთ ახალ სახედ შემოსილნიო?

101. განა არ ხედვენ, რომ ღმერთს, რომელმაც ცანი და ქვეყანა გააჩინა, ძალ უძს, გააჩინოს აგრეთვე მათი მსგავსი სხეულები? მათთვის სამზღვარი აქვს დანიშნული; საექველი აქ არა არის რა; მაგრამ უსამართლონი ყველაფერს უარს ჰყოფენ ურჯულოებას გარდა.

102. უთხარი მათ: სათქვენოდ რო გამხდარიყო საუნჯე ღვთის მოწყალებისა, შეინახავდით: შიშით არ გაგეფლანგათ. ქეშმარიტად აღამიანი ძუნწია.

103. მოსეს მივანიჭეთ შვიდი ცხადი საკვირველმოქმედება: უმჯობესია ისრაელის შვილებს ჰკითხო. როცა მოსე წაღება ფარაოს წანაშე, ამან უთხრა: მოსე, მჯერა, მხიბლობის შემძლე ხარო.

104. კარგად იცი, მიუგო მოსემ, ღმერთი, უფალი ცათა და ქვეყნისა, მოავლენს ამ ცხად სასწაულებსა; მჯერა, ფარაო, რომ დასალუპავში გადავარდნილხარ.

105. ფარაომ მოიწადინა მათი გამოყრა ქვეყნიეთგან, ხოლო ჩვენ დავარჩვეთ იგი და ყველანი, რომელნიც მას აპყვენენ.

106. შემდეგ უთხარით ჩვენ ისრაელის შვილებსა: დაემკვიდრენით ამ ქვეყანას, ხოლო როცა მომავალი ცხოვრების აღსასრულმა მოაწიოს, ყველას თავი მოგიყარათ. კურანი ჩვენი მოვლინებულია ნამდვილად; გადმოსულია ნამდვილად; შენ, მუჰამმად, მოგვივლენიხარ მხოლოდ საუწყებლად და გასაფრთხილებლად.

107. კურანი დავყავით კარებად, რათა ხალხს უკითხო. ცოტ-ცოტად, ჩვენი მოვლინებულია ნამდვილად.

108. უთხარი მათ: გრწამსთ იგი, თუ არა გრწამსთ, სულერთია! ვისაც ცნება უწინარეს ებოძა, განერთხმიან და პირქვემხობიან, როცა მის მუხლებს უკითხვენ. დიდება ღმერთსა! ღალად ჰყოფენ. აღთქმა ღვთისა აღსრულდა.

109. პირქვემხობიან, ჰგოდებენ და მათი მორჩილება მხოლოდ ძლიერდება.

110. ღმერთს უწოდებთ, თუ მოწყალეს უწოდებთ; რასახელიც უნდა უწოდოთ, საუკეთესო სახელები მას ეკუთვნის. ლოცვას ნუ წარმოჰსთქვამ ნურც ერთობ ხმამაღლა, ნურც ერთობ ხმადაბლა. აირჩიე საშუალო მათ შორის.

111. ჰსთქვი: დიდება ღმერთსა, რომელსაც არა ჰყავს ძე, არცა ხელმწიფების მოზიარე; არა ჰყავს მფარველი, რომელიც განაფრთხილებდეს დამცირებისაგან. აქებდი ღმერთსა, მისი დიდების მღალადებელი.

თ ა ვ ი XVIII.

მ ლ ვ ი მ ე .

ნახობების შექმნა. — 110 მუხლი.

ს ა ხ ე ლ ი თ ა

ლ ვ თ ი ს ა

მოწყალისა და შემწყნარებლისა.

1. აქედით ღმერთსა, რომელმაც თავისს მსახურს მოუვლინა წიგნი, სადაც არაა მიხვეულ-მოხვეულობა,
2. პირდაპირი წიგნი, დანიშნული მისთვის, რათა ექადებოდეს კაცთა საშინელ სასჯელსა ღვთისაგან, ხოლო კეთილის მყოფელ მორწმუნეთა ახარებდეს ჩინებულ ჯილდოსა. საუკუნოდ დაჰსტკებენ.
3. წიგნი, დანიშნული გასაფრთხილებლად მათდამი, რომელნიც ამბობენ: ღმერთსა ძე ჰყავსო.
4. მისი ცნობა არავითარი აქვსთ, არცა უმეტეს თავიანთი მამებისა. დიდი ცოდვაა სიტყვა, რომელიც მათ ბაგეთაგან გამოდის. იგია სიცრუე.
5. თუ ეს წიგნი (კურანი) არ იწამეს, შეგიძლია, იჯავრო მათი გულისთვის.
6. რაც ქვეყანაზეა, ყველაფერი ქვეყნის სამკაულად ვყავით, კაცთა გამოსაცდელად, საცოდნელად, თუ ვინ უფრო კარგად მოიქცეს მათ შორის.
7. ხოლო ყოველ იმ სამკაულს მტვრად ვაქცევთ.
8. ყური მოჰკარ თუ არა, რომ მღვიმისა და აღ-რაცყიმის ამხანაგთა ამბავი ერდი ჩვენ სასწაულთაგანია და წეს-გარეშე რამ?
9. როცა ჰაბუკნი იგი იქ შეეფარნენ, ღალად ჰყვეს: უფალო, შენი წყალობა მოგვმადლე და ჩვენის საქციელის სიმართლეს გაამარჯვებინე.

10. მათ ყურთა სიყრუე დაღმართეთ მღვიმეში უწყებულ წელთა რიცხვის განმავლობაში.

11. შემდეგ გამოვალვიძეთ, გვენახა, თუ მათგანი ვინ უკეთ შეიძლება, იქ რო დარჩენენ, იმ დროის აღრიცხვას.

12. მათ ამბავს დაქეშმარიტებით მოგითხრობთ შენ. იმ ახალგაზდა კაცებს ღმერთი ჰსწამდათ, ხოლო ჩვენ კიდეც ღონე შევმატეთ, ქეშმარიტ გზას დაჰსდგომოდენ.

13. ჩვენ განუმტკიცეთ მათ გულნი, როცა მთავრის წინაშე მიყვანილნი გაიმართნენ და ჰსთქვეს: ჩვენი მეუფე ბრძანდება ცისა და ქვეყნის მეუფე, არ შეგვიძლია, სხვა ღმერთს უწოდოთ თვინიერ მისა, თუ არა ცოდვა ჩავიდინოთ.

14. ჩვენი თანამოქალაქენი თაყვანჰსცემენ სხვა ღმერთებს და არა ღმერთსა; განა შეუძლიათ, ცხადად დამამტკიცებელი რამ გვიჩვენონ თავიანთი სათაყვანოსი? ხოლო ვინაა მის უცოდვილესი, რომელიც ღვთის თაობაზე სიკრუეს ჰსჭედს.

15. მაშინ ერთმანერთს უთხრეს: უკეთუ ისინი დაჰყაროთ, ისე როგორათაც კერპები, რომელთაც ღვთის თანასწორად თაყვანჰსცემენ, და უკეთუ მღვიმეს თავი შეაფაროთ, ღმერთმა წყალობა მოგანიჭოსთ და საქმეები საუმჯობესოდ მოგიწყოსთ.

16. მზეს დაინახავდი, ამოსვლისას, მღვიმის შესავლის მარჯვნივ, გადამვლელსა, ჩასვლისას კი მის მარცხნივ მშორავსა; ხოლო იგინი იმყოფებოდენ მღვიმის ფართო ადგილსა. ეს ერთი ღვთის სასწაულთაგანია. კეთილად წარემართოს მას, რომელსაც ღმერთი წარუმართებს; მაგრამ ვისაც ღმერთი დააბნევს, ვერცა მფარველი აღუჩნდეს და ვერც გამძლოლი.

17. გეგონებოდა, ღვიძავსთო, მაგრამ კი ეძინათ; ხან მარჯვნივ, ხან მარცხნივ ვაბრუნებდით; ხოლო მათი ძაღლი, თათებ-გაჭიმული იწვა მღვიმის შესავალში. უცხად მისულს რომ იგინი გენახა ასეთ ყოფაში, გამობრუნდებოდი და გამოიქცეოდი. შიშის ხარი დაგეცემოდა.

18. მერმე გამოვალვიძეთ, რათა ერთმანერთისთვის ეკით-

ნათ. ერთმა მათგანმა ჰკითხა: რამდენი ხანი ხართ აქაო? ერთი დღეო, მიუგო მეორემ, ანუ მხოლოდ ერთი ნაწილიო რამ დღისაო. ღმერთმა უკეთ უწყის, ვიდრეღა ვინმე სხვამ, სხვები შეეცილნენ, თუ რა დრო გაგიტარებიათ აქა. გაატანეთ ვისმე თქვენგანს ეს ფული ქალაქში. მიჰმართოს, ვისაც საუკეთესო შეჭამადი ჰქონდეს, რათა საზრდოდ მოგიტანოსთ, მაგრამ ზრდილობიანად დაიჭიროს თავი და არც არავის გაუმხილოს თქვენი თავ-შესაფარი.

19. ვინადგან უკეთუ მცხოვრებთა შეეტყოთ, ჩაგაქვავებდენ თქვენ, ან თავიანთ სარწმუნოებას მიგაღებინებდენ. ცხონებულ ველარ იქნებოდით.

20. მათი თავ-გადასავალი მათვე თანამოქალაქეებს შევატყობინეთ, რათა ჰსცოდნოდათ, რომ ღვთის აღთქმა ჭეშმარიტია და ჟამისა მოწვენაც უეჭველია. მათნი თანამოქალაქენი ამის თაობაზე ცილობდენ. მღვიმის თავს შენობა ავმართოთო. ღმერთმა უკეთ იცის, ვიდრე ვინმე სხვამ, თუ რა სიმართლეა მათ შორის. ვისი აზრიც საქმემ გაიტაცა, მათა ჰსთქვეს: სალოცავი ავაგოთ იქაო.

21. მათი რიცხვი საღაოდ გაიხადონ: ზოგმა ჰსთქვას, სამნი იყვნენ, მათი ძალლი, კი მეოთხე იყოო. სხვამ კიდევ ჰსთქვას, ხუთნი იყვნენ, მათი ძალლი-კი მეექვსე იყოო. საიდუმლო გამოჰსჩხრიკონ. ზოგმა ჰსთქვას: შვიდნი იყვნენ, მათი ძალლიც მერვე იყოო. ჰსთქვი: ღმერთმა უკეთ იცის, ვიდრე ვინმე სხვამ, თუ რამდენი იყვნენ. მცირეოდენმა რიცხვმა თუ იცის.

22. არც ეს გაიხადო სალაპარაკოდ, არც გამოჰკითხო (არც ერთს ქრისტიანს) ამისი აზრი.

23. ნურასოდეს იტყვი, დღეს ეს უნდა გავაკეთო, ისე რომ არ დაჰსძინო, თუ ღმერთმა ინება—ღმერთი მოიგონე, თუ დაგავიწყდეს და ჰსთქვი, ეგების ღმერთმა წარმიმართოს მათი თავგადასავლის ნამდვილად შესატყობად.

24. იმ ჭაბუკთა დაჰყვეს მღვიმეში სამას ცხრა წელიწადი.

25. ჰსთქვი: ღმერთმა უკეთ იცის, ვიდრე ვინმე სხვამ,

თუ რამდენი წელიწადი დაჰყვეს იქა: ცისა და ქვეყნის საიდუმლონი მას ეკუთვნიან. რა კარგად ხედავს! რა კარგად ესმის! კაცთა სხვა მფარველი როდი ჰყავსთ მისა თვინიერ; ღმერთი როდი ვისმე გაიმოზიარებს თავისს გარდაწყვეტილებაში.

26. ცხად ჰყავ, რაც გაგეცხადა ღვთის წიგნისა; არა კაცს შეუძლია მისი სიტყვების შეცვლა; მის გარეშე ვერაფერი თავშესაფრებელი იპოო.

27. სულგრძელ იყავ მათ მიმართ, რომელნიც უფალს მოუწოდებენ დილას და საღამოს, მოწადინენი, იხილონ თავიანთი უფლის სახე. თვალს ნუ აარიდებ მათ ამა ქვეყნის ბრწყინვალეების სურვილისაგამო, და ნურც დაემორჩილები მას, რომლის გულსაც არ გაუხადეთ ჩვენ საზრუნველად ჩვენი ხსოვნა, მას, რომელიც თავისს გულს აჰყოლია და რომლისაც ყოველი მოქმედება თავ-აშვებაა.

28. ჰსთქვი: ჰეშმარიტება ღვთისაგან მოდის; ვისაც უნდა, მორწმუნე იყვეს, ირწმუნოს და ვისაც უნდა, ურჯულო იყვეს, იყვეს. ნალო ჩვენ დაგვიმზადებია არა-წმიდებისთვის ცეცხლი, რომელმაც იგინი გარემოიცვას თავისი ალითა. შევლის შემხვეწართ შეაძლიონ ახვარხვალეებული წყალი, თითქო გადამდნარი ლითონიაო, რომელმაც პირისახე დაჰსწვასთ. რა საძაგელი სასმელია! რა საძაგელი ადგილ განსასვენებელია.

29. ვინც ირწმუნონ და კეთილი ჰქმნან... დიახ არ დაუკარგოთ ჩვენ ჯილდო მას, რომელიც ჩინებულად გარჯილა.

30. მათია ედემის წალკოტები; ფეხთ ჩაუდიოდესთ წყალი, სამკაულად ექმნესთ ოქროს ხელსაბამები, ტანთ ეცვასთ მწვანე ფარჩეულისა და ატლასის სამოსელი, რა დამსხდარ იქმნენ თავთავიანთ ადგილზე. რა ჩინებული ჯილდოა! რა გასაოცარი ადგილ განსასვენებელია!

31. ორი კაცი წინადაუდე იგავად: ერთ მათგანს ჩვენ უბოძეთ ორი წალკოტი, ვახით გაშენებული; იმ წალკოტებს გარშემოვავლეთ ინდის ხურბები და ორთავ შორის მოვათავსეთ

დათესილი ყანები. ორივე წალკოტი მოსავალს იძლეოდა და უნაყოფო არ გამოდგარა.

32. წყალი ვადინეთ წალკოტების შუა გულ. იმ კაკმა მრავლად მოირეწა მოსავალი და ლაპარაკში უთხრა თავისს მეზობელსა: უფრო მდიდარ ვარ მე, ვიდრე შენო და სახლობაც უფრო მრავალრიცხოვანი მყავსო.

33. თავისს წალკოტში შევიდა თავისი თავის მიმართ დამნაშავე და წამოიძახა: არა მგონია, ეს წალკოტი ოდესმე ამოვარდესო.

34. არა მგონია, ჟამი ოდესმე დადგეს და თუ ღვთის წინაშე გამოვცხადდი, სანაცვალოდ ამაზე კიდევ უფრო შევნიერი წალკოტი მექმნესო.

35. მეგობარმა უთხრა მას, ამ ლაპარაკში რომ იყვნენ, ნუ თუ არა გრწამს იგი, რომელმაც მიწისაგან გაგაჩინა, შემდეგ თესლისაგან და რომელმაც დაბოლოს ადამიანის სრული აგებულობა მოგანიჭა?

36. მე კი, — ღმერთია ჩემი უფალი, და ვინც უნდა იყვეს არავინ დაუამხანაგო მე.

37. რად არ იტყვი მეტადრე წალკოტში შესვლისას: რაც ღმერთს ნებადდეს, ის მოხდესო; არაა ძალა, თუ არ ღვთისა. თუმც უფრო ღარიბსა და ნაკლები შვილების პატრონსა მხედავ.

38. ეგების ღმერთმა მომანიჭოს ისეთი რამ, შენს წალკოტს ჰსჯობდეს. ზეცით რამე სასწაული მოავლინოს და ერთ შევნიერ დილას უნაყოფო მტვრად იქცე.

39. წყალი, რომელიც მასა, რწყავს, ეგების, გაჰქრეს მიწას ქვეშ, ისე რო ველარ იპოო.

40. ურწმუნოს საუფლებელს და მასთან ყოველ მის ნაყოფს აოხრება შეუდგა. ხელებს იფშენებდა, ნანობდა დანახარჯს, ვინადგან ვაზები ჭიგოებს დანდობოდა ნაყოფ გაცლილი, და იძახდა: ღმერთმა ინებოს, ნურავითარი სხვა ღმერთი ნუ დამამხანაგებინოს მისთვის!

41. აღქურვილი ჯარი არ ჰყოლია მას მეშველად ღვთის წინააღმდეგ; დახმარება ვერაფერი ჰპოოს.

42. მფარველობა მხოლოდ ერთ ღმერთს ეკუთვნის, ჭეშმარიტს ღმერთსა. დაჯილდოება უკეთ შეუძლია მას, ვიდრე სხვას ვისმე, და ისიც, რომ ყველაფერს ყოვლად საბედნიერად დასასრული მიჰსცეს.

43. ამა სოფლის ცხოვრების იგავი ჩამოუტევე მათ. წყალში ჰგავს, ზეცით რომ მოგვეყვას, მიწის მცენარეულობას ეზავება; დილისათვის ხმება, ქარისგან გაიფანტვის ვინადგან ღმერთი ყოვლად შემძლებელია.

44. სიმდიდრე და ბავშვები ამა სოფლის სამკაულებია; ხოლო რაცა რჩება, კარგისაქმეები, უმეტესის მომცემიქმნეს შენის უფლის წინაშე თითქოს ჯილდოდ და თითქოს იმედისთვის.

45. იმ დღეს, ოდესღაც მთები ავამოდრათ, დედამიწა ბარსავით გაფაკებული იხილო, ხალხნი ყველა შეეყაროთ, ისე რომ ერთიც არ დაგვაღიწყდეს.

46. შენის უფლის წინაშე გამოცხადდენ რიგ-რიგად და წყობილნი. ღმერთმა უთხრას: აი მოხვედით ჩემ წინაშე ისეთნი, როგორათაც პირველად ვაგაჩინეთ და გეგონათ კი, რომ ჩემს დაპირებულს არ ავასრულებდი.

47. წიგნი, სადაც თვითოჯულის მოქმედებაა ჩაწერილი, ხელში მიეცესთ; იხილო, ცოდვილი შეიპყროს შიშმა მისგამო, რაც იქ ჰსწერია: ვაი ჩვენ! რას მოასწავებს ეს წიგნი? არ დარჩენილა არც პატარა საქმე, არცა დიდი; ყველაფერი ჩამოუთვლია; ქაცთა შიგ იპოონ თავიანთ თვალთა წინაშე წარმომდგარი შენმა უფალმა უსამართლობა არავის გაუწიოს, ვინც უნდა იყოს.

48. როცა ჩვენ უთხარათ ანგელოზებს: განერთხენით აღამის წინაშე მტეჩი, ყველა განერთხილ ებღირს გარდა, რომელიც იყო ერთი ჯინთაგანი; ღვთის ბრძანებას წინააღმდეგანა უნდა აიყვანოთ ებღირისი და მისი მოდგმა მფარველად უფრო, ვიდრე მე თქვენს მტრებს სრიან ისინი. რა საძაგლო გაცვლა იქნებ არაწმიდებმა!

49. მოწმეებად არ ამიყვანია, როცა ცას და ქვეყანას ვაჩენდი და როცა ვაჩენდი, არც თანაშენწევებად ამიყვანია ისინი, რომელნიც ჰსცდებიან.

50 ერთ ღღეს ღმერთმა უთხრას ურჯულოებსა: მოუწოდეთ ჩემდამი დაკუთვნიებულ ამხანაგებსა, მათ, რომელნიც ღმერთები გგონიათ. მოუწოდონ, მაგრამ კი ვერ მიუგონ. მათ, ვინადგან მათ შორის წაწყმედის ვაკე გაშლილ გვექმნეს.

51. ცოდვილთ იხილონ ჯოჯოხეთის ცეცხლი და ეცოდინოსთ, რომ იქ უნდა ჩაცვიდნენ; ვერაფერი ღონის ძიება იპოონ, რათა თავითგან აიცილონ.

52. ამ კურანში გამოვიყვანეთ ყოველგვარი იგავი კაცთათვის სახმარებლად; ხოლო ადამიანი დროების მეტ ნაწილს ცილობას გადაჰყოლია.

53. რა და უშლის კაცთა, ირწმუნონ; როცა წარმართება ქეშმარიტის გზისა ებოძათ? რა და უშლისთ, მიტევენა ჰსთხოვონ ღმერთსა? ეგების უცდიდენ სხვამხდელ კაცთა ბედს, ან მას, რომ სასჯელი ეწიოსთ ქვეყნის პირად.

54. გაფრთხილებასა და ქადაგებას დავალებულ მოციქულებს მოვავლინებთ. ურწმუნონი ხმარობენ გამოუდევარ საბუთებს ქეშმარიტების ამოსაფხვრელად, ხოლო ჩვენი სასწაულები და სასჯელები, რასაც ვემუქრებით, სასიცილოდ აუგდიან.

55. რა არსებაა უცოდვილესი მის, რომელიც პირს იბრუნებს ხოლმე, როცა უკითხვენ ჩვენს მოძღვრებას, რომელსაც ავიწყდება თვითონ მისგანვე ჩადენილი საქმეები? მათ გულთ არა ერთი საბურველი გადავბურეთ, რათა ველარ გაიგონ კურანი და მათ ყურთა სიმძიმე დავმართეთ.

56. კიდევ რა მოუწოდო მათ ქეშმარიტ გზაზედა, არასოდეს გაივილიან მაინც.

57. შენი უფალი მომთმენ და გულშემატკივრობით აღსავსეა; მათი საქმეებისათვის მათი დასჯა რომ ენებებინა, სასჯელის ჟამს დაახლოებდა. ხოლო მათ აქვსთ დანიშნული

საზღვარი ქაღილის ასრულებისა და თავშესაფარიც ვერავითარი ჰპოონ მისის შურისძიების წინააღმდეგ.

58. ძველი ქალაქები იგი დავაქციეთ მათი უღთობისათვის; დიახ, მათი აოხრება წინდაწინვე გვექონდა მათთვის ნატქვამი.

59. ერთხელ მოსემ უთხრა თავისს მსახურთა: სიარული არ მოვიშალო, ვიდრე ორი ზღვის შესართავს არ მივატანო, ან ოთხმოც წელიწადზე მეტი ვიარო.

60. როცა ორი ზღვის შესართავს მიაწიეს, ნახეს, დაჰკარგოდათ თევზი, რომელიც პირდაპირ ზღვაში ჩასულიყო.

61. რა დაწინაურდენ, მოსემ უთხრა თავისს მსახურსა: სანოვაგე მოგვართვი, ამ მგზავრობაში დიდი გაჭირვება განვიცადეთ.

62. რას ბრძანებ? მსახური შეეკითხა. კლდესთან შევდექით თუ არა, თევზს თვალი ველარ ვადევნე. სატანას ბრალია გამაგულმავიწყა, ველარ მოგაგონე, თევზს შეუცურავს ზღვაში; ფასაშტერებელია.

63. მეც ეგ მინდოდაო, სიტყვა ჩამოართვა მოსემ. ორნივე თავიანთ გზას გაუდგნენ.

64. იქ შეხვდენ ერთ ჩვენ მსახურთაგანს, რომელიც ჩვენის წყალობით გავანებივრეთ და ჩვენის მეცნიერებით გავანათლეთ.

65. ხომ შემძლია მოგყვეო, მოსემ უთხრა, რათა მასსწავლო ნაწილი რამ მის, რაც შენთვის უსწავლებიათ ჭეშმარიტის გზისაო?

66. უცნობმა მიუგო: მოთმინება იმდენი არ გექმნეს, დარჩე ჩემთანა.

67. როგორ აიტანო ზოგი რამ ისეთი, რისი აზრიც ვერ გაიგო?

68. თუ ღმერთმა ინება, მოსემ ჰსთქვა, ჩემი თავი მტკიცედ ჰპოო და შენს ბრძანებას აღარ ვეუბრჩო.

69. მაშ კარგი! თუ მომყვები, ჰსთქვა უცნობმა, ნურაფერს მკითხავ, რაც უნდა იყოს, თუ არ გამოგელაპარაკო მევე პირველი.

70. ორნივე გაუდგნენ გზას და ორნივე ჩასხდნენ ხომალდში; უცნობმა დააზიანა იგი. შენ გაჰსტებო, უთხრა მოსემ, რომ დაგელუბა, რაც რამ შიგ იყო? უცნაური საქმე ჩაიდინე.

71. არ გითხარ განა, ჩემთან დარჩენის მოთმინება არ გექმნეს მეთქი?

72. ნუ მკიცხავო, შეეცილა მოსე, რომ შენი ბრძანება დამავიწყდა, და ნურც ერთობ საძნელო მოვალეობას დამაკისრებ.

73. გაემართნენ და იარეს, ვიდრე ერთი ახალგაზდა კაცი შეხვდებოდათ. უცნობმა მოჰკლა იგი. ეგ რაღაა! კაცი მოჰკალ უდანაშაულო, რომელსაც არავინ მოუკლავს! საძაგელი საქმე ჩაიდინე.

74. არ გითხარ განა, ჩემთან დარჩენის მოთმინება არ გექმნეს მეთქი?

75. თუ ერთხელ კიდევ რამე გკითხო, ნულარ მომცემ ნებას, წამოგყვე. აწ კი მომიტევე.

76. გაემართნენ და იარეს, ვიდრე ერთი ქალაქის კარებს მიატანდნენ. მასპინძლობა ჰსთხოვეს მცხოვრებთა; უარი უთხრეს; ვერ მივიღებთო. მგზავრებმა ერთმაცა და მეორემაც შეამჩნიეს, ქალაქის ზღუდე დაქცევას ჰლამოდა. უცნობმა შეაკავა. შენ რო მოგენდომებინა, უთხრა მოსემ, იმასაც მოახერხებდი, შენთვის ჯილდოც მოეცათ.

77. აქ ერთმანერთს დავშორდეთო, მოუჭრა უცნობმა. მინდა, გასწავლო მხოლოდ მნიშვნელობა იმისი, რის შეტყობასაც ისე ეშურებოდი.

78. ნავი ეკუთვნოდა საწყალ კაცთა, რომელნიც ზღვაზე მუშაობდნენ; მისი წახდენა მინდოდა, რადგანაც მას უკან იყო მეფე, რომელიც ყველა ნავებს ხელთ იგდებდა.

79. ხოლო იმ ახალგაზდა კაცის მშობლები მორწმუნე იყვნენ და ვშიშობდით, არ გადაედო მათთვის თავისი უკუღმართობა და ურწმუნოება.

80. გვინდოდა, ღმერთს მათთვის პირიქით მიეცა ვაჟი უფრო ქველი და უფრო ღირსი სიყვარულისა.

81. ზღუდე სამკვიდრო იყო იმ ქალაქის ორის ობოლის ყმაწვილისა. იმ ზღუდეს ქვეშ იყო განძი, რომელიც მათ ეკუთვნოდა. მამა მათი კეთილი ადამიანი იყო. უფალმა ინება მათი მოყრა მოწიფულობის ხანამდე, რათა განძი მათთვის მიეცა. ჩემის საკუთარის სურვილით როდი გამიკეთებია ეს ყველაფერი. შენ კი ვერ მოითმინე, მოგეცადა, ვიდრე ეს საქმე აიხსნებოდა.

82. შენ გკითხონ, მუჰამმად! დულ კარნენისა. მიუგე: ამბავი იგი მინდა, მოგითხრათ.

83. ძლიერება განუმტკიცეთ ჩვენ ქვეყანაზე და ღონისძიება მივეცი, ყოველივე თავისი საწადელი აღესრულებინა და გზასაც დაადგა.

84. იარა, ვიდრე მზის დასავალს მიაწევდა; ნახა, მზე ჩადიოდა მღვრიე ჩანჩქერში; მის ახლო იპოვა მოსახლე ხალხი.

85. ჩვენ უთხარით მას: დულკარნენ! შეგიძლია, დასაჯოვგ ხალხი, ან სულ გრძელად მოეკიდო.

86. დავსაჯო, მიუგო, ყოველი არაწმიდა კაცი, მერმე ჩავაბარო ღმერთსა, და მან ჩაადგოს საშინელ სატანჯველში.

87. ხოლო ვინც ირწმუნოს და კეთილი საქმე ჰქმნას, ჩინებული ჯილდო მიიღოს, და მარტო ადვილად ასასრულებელი ბრძანება მივჰსცეთ მას.

88. დულკარნენ ხელახლა გაუდგა გზასა,

89. ვიდრე მიატანდა ადგილს, სადაც მზე ამოდის; ხოლო იგი ამოდოდა ხალხზე, რომლისთვისაც არაფერი მიგვიცია, თავი დაეფარა მისის მცხუნვარებისაგან.

90. დიახ, ესრეთ იყო, ხოლო ჩვენ ვცნობთ ყოველთა მათ, რომელნიც მასთან (დულკარნენთან) იყვნენ.

91. ხელახლა გაუდგა გზას,

92. ვიდრე მივიდოდა ორ ბოგირ შუა, სადაც ცხოვრობდა ხალხი, რომელსაც ძლივს თუ ესმოდა რაიმე ენა.

93. იმ ხალხმა უთხრა მას: დულკარნენ! იაჯუჯ და მაჯუჯ რა უწესოებას ჩადიან ქვეყანაზე. არ შეგვიძლია განა, გთხო-

- ვით, ჯილდოს სასყიდლით ზღუდე აღმართოთ მათსა და ჩვენ შუა?
94. ძლიერება, რომელსაც ჩემი უფალი მომინიჭებსო, მიუგო, ჩემთვის უპრიანესი ჯილდოა. მხოლოდ დამეხმარეთ და ზღუდე ავაგო მათსა და თქვენ შუა.
95. რკინის დიდრონი ნაჭრები მომიზიდეთ, ვიდრე შესაძლებელი გახდებოდეს ორ მთას შუა ცალიერის ადგილის ამოვსება. მუშებს უთხრა: ცეცხლს შეუბერეთ, ვიდრე რკინა ცეცხლივით გაწითლდებოდეს. შემდეგ ჰსთქვა: გათაკრებული სპილენძი მომიტანეთ, ზემოდან დავაყარო.
96. იაჯუჯ და მაჯუჯ ზღუდეზე ვერ ავიდენ, ვერც გარღვიეს იგი.
97. ეს ღვაწლიო, დულკარნენმა ჰსთქვა, ღვთის ნაწყალობევიო.
98. როცა უფლის განგებამ მოაწიოს, ნამტვრევ-ნამტვრევად აქციოს იგი; ღვთის დაპირებული უტყუარია.
99. დღე დადგეს, ჩვენ მიუშვათ იგინი ბრბოდ, რათა ერთმანერთს ჰსწვდენ, როგორათაც ტალღები. ბუკსა ჰკრან და ერთად შევკრიბო ყოველი ადამიანი.
100. იმ დღეს ჩვენ დაუმარაგოთ ჯანაბა ურჯულოებსა.
101. მათ, რომელთაც თვალთ ბადე ეფარათ, რათა არ ენახათ ჩვენი მხილება და რომელთაც არ ნებავდათ ჩვენი ყურის გდება.
102. ნუ თუ ჰკონებდენ ურჯულოები მის შეძლებას, რომ მფარველად აეყვანათ იგინი, რომელნიც მხოლოდ ჩვენდა მსახურ არიან? ჯანაბა დავეიმზადებია მათთვის საცხოვრებლად.
103. გაგაცნოთ თუ არა იგინი, რომელთაც კველაზედ უფრო ბევრი დაჰკარგეს თავიანთი ნამოქმედარისა გამო;
104. რომელთაც ღონის ძიება ამ ქვეყნად ნამდვილ წარსაწყმედელი იყო და კი ეგონათ, კარგად ვირჯებითო?
105. იმ ხალხს არ ჰსწამდა ჩვენი სასწაულები, არც წარ-

დგომა უფლის წინაშე; მათი ნაშრომი ამაოა და არც ძალა მიეჭსცეთ აღდგომის დღესა.

106. ჯილდოდ ექმნესთ ჯოჯოხეთი, რადგანაც ჩემი სასწაულები და ჩემი მოციქულები საქირდველად გაიხადეს.

107. ვისაცა ჰსწამს და კეთილს შვრება, საცხოვრებლად ექმნეს სამოთხის წალკოტები.

108. იქ დაემკვიდრონ საუკუნოდ და ბედის წერის ცვლილება აღარ ინატრონ.

109. ჰსთქვი: უკეთუ ზღვა მელნად იქცეს ღვთის სიტყვების აღსაწერად, ზღვა იგი დაშრეს ღვთის სიტყვების უმაღვე, კიდევც რომ მოგახმაროთ მეორე ისეთივე ზღვა.

110. ჰსთქვი: თქვენსავით ადამიანი ვარ, ხოლო მიმიღია გამოცხადება მის, რომ ღმერთი ერთად ერთია. ვინც იმედობს გამოცხადებას ერთ დღეს უფლის წინაშე, კეთილი ჰქმნას და თაყვანისცემას, რომელიც უფალს შეშვენის, ნურაფერ ქმნილებას შეუერთებს.

თ ა ვ ი XIX.

მ ა რ ი ა მ.

ნახტებია შექას. — 98 მუხლი.

ს ა ხ ე ლ ი თ ა

ღ ვ თ ი ს ა

მოდყალისა და ზემყყნარებალისა.

1. კაფ. ჰა. ია. აინ. სად. აჰა მოთხრობა შენის უფლის წყალობისა თავისი მსახურის ზაქარის მიმართ.

2. იმ დღეს. როცა ხმა ჰყო უფლის მიმართ საიდუმლო ღალადებითა

3. და ჰსთქვა: უფალო, სუსტი ძეგლები გამომიფიტდა და თავს მომედო ალი ჴარმაგობისა.

4. უბედურ არასოდეს ვყოფილვარ ვედრებით, რომელიც შენდამი აღმივლენია.

5. შიში მაქვს ჩემიანების, რომელნიც უნდა მემემკვიდრონ. ჩემი ცოლი უნაყოფოა; მომანიჭე მემკვიდრე, რომელიც შენგან შთაჰმოგბდეს,

6. რომელიც მე მემემკვიდროს; რომელიც იაკობის გვარს შემემკვიდროს; და ჰყავ უფალო, რათა სათნო იქმნეს შენდამი.

7. ზაქარიაე! გახარებთ ძესა. მისი სახელი იაჰია (იოანე) იქმნეს.

8. მის უწინარეს, ვგ სახელი არავის უტარებია.

9. ზაქარიამ ჰსთქვა: უფალო, როგორ მეყოლოს ძე? ჩემი მეუღლე უნაყოფოა, მეც სიბერის ხანში გადამდგარვარ.

10. ღმერთმა ჰსთქვა: ასე იქმნეს. შენმა უფალმა ჰსთქვა: ჩემთვის აღვილია. მე გაგაჩინე, როცა არაფერი იყავ.

11. უფალო, მომეც ნიშანი რამ საბუთად მისა, რასაც მპირდები. ნიშნად ეს გექმნეს: ხალხს ველარ დაელაჰარაკო სამდღესა, თუმცა კარგად იქმნე.

12. ზაქარია საკურთხევლით მიიქცა ხალხისკენ და ანიშნებდა, ღმერთი ექოთ დილას და საღამოს.

13. იაჰია! ეს წიგნი აიღე მტკიცის განზრახვით. იაჰიას სიბრძნე მივმადლეთ, როცა ჯერ კიდევ ყრმა იყო,

14. აგრეთვე სიმშვიდე და სიწმინდე. იგი იყო ღვთისნიერი და კეთილ თავის მშობელითა მიმართ. მძლავრ და მეშფოთარ როდი ყოფილა.

15. მშვიდობა იყოს მის თავსა იმ დღეს, როცა დაიბადა, იმ დღესაც, როცა მოკვდეს, იმ დღესაც, როცა აღდგენილ იქნეს!

16. მუჰამმად! კურანში უთხრობდე მარიამისთვის, თუ რანაირად განეშორა იგი თავის სასლობასა და აღმოსავლეთისკენ წავიდა.

17. პირბადე გაიკეთა, და თვალით ველარ დაინახეს. ჩვენ მოუვლინეთ მას ჩვენი სული. მის წინაშე წარდგა შვენიერის მამაკაცის სახედ.

18. ქალმა უთხრა კაცსა: შემწყნარებელის წინაშე თავ-
შესათარს ვეძიებ შენგან. თუ გეშინია...

19. მიუგო: შენის უფლის მიერ მოვლონებულ ვარ,
რათა შეგძინო ძე წმინდა.

20. როგორ თუ ძე შემეძინოს, მიუგო ქალმა? მამაკაცი
არ შემხვებია და არც ქალი ვარ გარყვნილნი.

21. კაცმა მიუგო: ასე იქმნეს, შენმა უფალმა ბრძანა:
ჩემთვის აღვილია. იგი იქმნეს ჩვენ სასწაულად ერის წინაშე და
ჩვენის მოწყალების დასამტკიცებლად. წინასწარ განგებულემა
წარმოითქვა.

22. ქალი ყრმაზე ფეხმძიმედ შეიქმნა და შორე აღვილს
ივლტოდა.

23. მშობიარობის ტკივილმა შეიპყრო ერთი ინდის ხურ-
მის ხესთან. ხმა ჰყო: ღმერთმა ინებოს, უწინამც მოვკვდე და
საუკუნოს დავიწყებოთ დავიწყებულ ვიქმნე!

24. ვილამაც დაიძახა მის ახლო: ნუ ჰსწუხარ: შენმა
უფალმა უფებთ გიღინა წყარო.

25. ჯანძრიც ინდისხურმის შტო, მწიფე ინდისხურმა ჩა-
მოგიცვია.

26. ჰამე და სვი და ინუგეშე. ხოლო თუ კაცი ნახო,

27. უთხარი: ყრმა შევწირე მოწყალესა; დღეს არა კაცს
ველაპარაკები.

28. შინ მივიდა, ყრმა ხელთ ეჭირა. უთხრეს: მარიამ!
საოცარი საქმე დაგმართვია.

29. აარონის დაო! მამაშენი არ ყოფილა კაცი ბოროტი,
არც დედაშენი ქალი გარყვნილი.

30. მარიამმა ყრმა მიუთითა, რათა დაჰლაპარაკებოდნენ:
როგორ თუ აკვნის ყრმას დაველაპარაკოთო?

31. მიუგო იესომ: ღვთის მსახურ ვარ, წიგნი მომანიჭა
და წინასწარმეტყველად დამადგინა.

32. ინება, რათა კურთხეულ ვიყო ყველგან, სადაც
უნდა ვიყო. მამცნო ქმნა ლოცვისა და მოწყალებისა, ვიდრე
საოცხალ ვიქმნე;

33. შეტკობა დედჩემისა. არ მიუშვას, მეშფოთარ და ცუდ-კაც ვიქმნე.

34. მშვიდობა იქმნეს ჩემს თავსა იმ დღეს, როცა დავიბადე, იმ დღესაც, როცა მოგვკდე, იმ დღესაც, როცა აღდგენილ ვიქმნე.

35. იგი იყო იესო, მარიამის ძე, ჭეშმარიტის სიტყვის მოლაპარაკე და იმის ეჭვი კი აიღეს.

36. ღმერთი ვერ იყოლიებს შვილებსა; აშოროსმცა მის დიდებას ასეთი გმობა! როცა რასმე დააპირებს, იტყვის: იყავო და იქმნება.

37. ღმერთი ჩემი უფალია და თქვენცა: თაყვანი ეციოთ მას. ჭეშმარიტი გზა იგია.

38. დასნი განირჩევიან ერთმანერთში აზრითა. ვაი მათ, რომელთაც არა ჰსწამსთ გამოცხადება დიდებულ დღესა!

39. მათ შეასმინე, ახილვებინე დღე, როცა ჩემ წინაშე უნდა მოვიდენ. აწ უკეთურნი ცხად შეცდომილებასში არიან.

40. მათ ამხილე დღე დანანებისა, დღე, როცა საქმე გათავებულ იქმნეს. თუმცა უზრუნველობაში ჩაფლულთ არა ჰსწამსთ.

41. ჩვენ დავიმკვიდროთ ქვეყანა და ყველაფერი, რაც ზედაა; ივინი მოიქცნენ ჩვენდამი.

42. წიგნში აგრეთვე მოუთხრობდე აბრაამისთვის; იგი იყო მართალ და წინასწარმეტყველი.

43. ერთხელ თავისს მამას უთხრა: მამილო! რად თაყვან ჰსცემ მას, რაც ვერ ისმენს, ვერ იხედება და რაც ვერაფრად გამოდგება?

44. მამილო! მე განმეცხადა ერთი ნაწილი მეცნიერებისა, რასაც შენამდე ვერ მოუწევია. შემომიდექ; სწორე გზით წავიძღვე.

45. მამილო! სატანას ნუ აჰყოლიხარ, ვინადგან მოწყალეს მეშფოთარ ექმნა იგი.

46. მამილო! ვაი თუ მოწყალის სასჯელი გეწიოს და სატანას საპატრონო გახდე.

47. მამა მისმა მიუგო მას: მაშ ჩემი ღმერთები შეგზიზღებია? აბრაამ! თუ აგრეთი ქცევა არ მოგიშლია, ჩაუაქვია რამდენსამე წელს მომცილდი.

48. მშვიდობა იყოს შენზედა, მიუგო აბრაამმან; მიტყეებას შევეხვეწო ჩემს უფალსა, ვინადგან იგი ჩემდამი გულკეთილ.

49. გშორდები თქვენ და იმ ღმერთებსაც, რომელსაც ღვთის თანასწორ მოუწოდებთ. ხმას ვყოფ ჩემის უფლისადმი: ეგებ არ გაუბედურდე მე, ჩემის უფლის მიმართ მლოცველი.

50. როცა დაშორდა მათ და იმ ღმერთებსაც, რომელსაც მოუწოდებდენ, ჩვენ შევძინეთ მას ისააკ და იაკობ და ორნივე წინასწარმეტყველ ვყავით.

51. მათ მივანიჭეთ ჩვენის მოწყალების მადლი და ენა მათი გარდაქმენით უმაღლესის სიმაართლისად.

52. წიგნში აგრეთვე ილაპარაკე მოსესთვის. იგი აყო წმინდა; იგი იყო მოვლინებულ და წინასწარმეტყველი.

53. ჩვენ გამოვეხმაურეთ სინას მთის მარჯვენა მხრით; და დავიახლოეთ იგი საუბრად საიდუმლოდ.

54. ჩვენის მოწყალების საქმით მას უბოძეთ ჩვენ ძმა აარონ, წინასწარმეტყველი.

55. წიგნში აგრეთვე ილაპარაკე ისმაელისთვის. იგი იყო აღთქმის ერთგული, მოვლინებულ და წინასწარმეტყველი.

56. თავისს ერს ამცნებდა ლოცვასა და მოწყალების ქმნასა. სათნო იყო იგი თავისი უფლის წინაშე

57. წიგნში აგრეთვე ილაპარაკე ედრისისთვის. იგი იყო სამართლიან და წინასწარმეტყველი.

58. იგი ავიყვანეთ უმაღლეს ადგილზე.

59. ღმერთმა აავსო თავისი სიკეთითა: ადამის შთამომავალნი წინასწარმეტყველნი, იგინი, რომელნიც ვატარეთ კიდობნითა ნოესთან ერთად, შთამომავლობა აბრაამისა და ისრაელისა, იგინი, რომელნიც წარვმართეთ და ავირჩიეთ. როცა მწყალობლის მოძღვრებას უამბობდენ მათ, პირშიწა ემხობოდენ მტირალნი.

60. სხვა თაობანი ემემკვიდრნენ მათ; ლოცვა დასაღუპავში ჩააგდეს და თავიანთ გულს აჰყვნენ. მხოლოდ ბოროტება შეეყაროსთ მათ.

61. მაგრამ ვინც მოაქცევა ღვთისადმი, ვისაცა ჰსწამს და კეთილს შვრება, წალკოტში შევიდეს და ერთი ცახე წყენაც კი არ მიადგეს.

62. შევიდენ ედემის წალკოტში, რომელიც მოწყალემ აღუთქვა თავის მსახურებს. მისი აღთქმული ასრულდეს.

63. იქ ვერ ოსმინონ წარამარა სიტყვა-პასუხი, არამედ სიტყვა მშვიდობა. დილასა და საღამოს საჭმელი ებოძოსთ.

64. ასეთი წალკოტები მივცეთ სამკვიდროდ მას ჩვენ მსახურთაგანს, რომელსაც ჩვენი ეშინია.

65. ზეცით ჩამოვდივართ მხოლოდ შენის უფლის ბრძანებით. მარტო მას ეკუთვნის, რაცაა ჩვენ წინ და ჩვენს უკან და ისიც, რაცაა მათ ორთავ შუა. შენი უფალს გულმავიწყ როდია.

66. იგია უფალი ცათა და ქვეყნისა და მისიც, რაც მათ შორის იმყოფება. თავგანთ ეც მას და დაადექ მის თავყანის ცემას. განა იცნობ სხვა რასმე ამავე სახელიანსა?

67. ადამიანი ამბობს, როცა მოვკვდე, ნეტავთუ ხელახლა ცოცხალი გამოვიდეო?

68. ადამიანს ნუ თუ არ ახსოვს, რომ იგი გავაჩინეთ როცა არათერიიკო?

69. შენს უფალს ფფიცავ, ჩვენ შევერბოთ ყველა ადამიანები და მავნებო მერმე დავსხათ იგინი მუხლ-მოყრდონი ჯანაბის გარეშემო.

70. მასუკან გავუცალცალკეოთ თვიზოეულის, ვუნდისაგან იგინი, რომელნიც უფრო მეშფოთარს იყვნენ მოწყალის მიმართ.

71. ყველაზედ უკეთესად ვიცნობთ მათ, რომელნიც ღირსაარდენ დაწვისა.

72. არავინ იქნეს თქვენ შორის ისეთი, რომ იქ ჩაგდენ

ბულ არ იქმნეს. ეს შეუცვლელი გარდაწყვეტილებაა, დადგენილი ღვთის წინაშე.

73. შემდეგ ვიხსნათ იგინი, რომელნიც მოშიშ არიან, ხოლო ბორბტნი მუხლმოყრილნი დაეტოვოთ.

74. როცა ჩვენს ცხადს მოძღვრებას უამბობენ ურწმუნოებსა, იგინი ეუბნებიან მოღწმუნეთა: ჩვენ ორ მხარეთა შორის რომელს უჭირავს უმაღლესი ადგილიო? რომელი შეადგენს უკეთესს კრებულსაო?

75. უჰ! რამდენი თაობა მოგვისპია ისეთი, რომ სიმდიდრითა და ბრწყინვალეობით აღემატებოდენ მათ!

76. უფხარი მათ: ღმერთმა განაგრძოს სიცოცხლე მათი, რომელნიც შეცდომილებაში არიან.

77. იმ ჟამამდე, როცა თავიანთი თვალეობით იხილონ სასჯელი იგი, რომელსაც მათ ემუქრებოდენ, ამ ქვეყნიერი იქმნეს, თუ იგია სატან ჯვეტი ჟამისა, მაშინ მათ შეიტყონ, თუ ვინ დაიჭიროს ყოვლად კუდი ადგილი და ვის უფრო უჭირდეს შემწეობა.

78. ღმერთმა შეჰსძინოს კეთილწარმართებისათვის. მათ, რომელნიც სწორე გზას ადგენენ.

79. რაც რჩება, კეთილი საქმეები, უფრო მეტად ღირს შენის უფლის წინაშე, რათა ჯილდოდ კეთილი დასასრული მიენიჭოს კაცსა.

80. ნუ თუ არ გინახავს იგი, რომელიც სარწმუნოდ არა ჰსთვლიდა ჩვენს მოძღვრებას და რომელიც ამბობდა: შენ მეძინოს განა სიმდიდრე და უფლებიო?

81. განა იცოდა იმან ფარული საქმეები, ან მოვლავაო რაკა ღმერთს, ყოფილიყო ისე, როგორც ამბობდა?

82. უსაფუოდ ჩმისი სიტყვები ჩავწერათ და ტანჯვაც განუძლიეროთ.

83. ჩვენ დავიმკვიდროთ მისი ყოფაცხოვრება, ხოლო ყოვლად ცალიენი გამოცხადდეს იგი ჩვენს წინაშე.

84. მათ აიყვანეს ღვთის თანასწორ სხვა ღმერთები თანვიანთ სასახელოდ.

85. ღმერთები იგი უმადურ გამოდგნენ თაყვანისცემისათვის, რომელსაც მათდამი აღავლენდენ და მათი მოწინააღმდეგე შეიქმნენ.

86. არ ხედავ განა, რომ ჩვენ ვგზავნით ეშმაკებს ურჯულ-ლოებთან, რათა საბოროტოდ შევაგულიანოთ იგინი.

87. ნუღარ ცდილობ შენ მათის სატანჯველის მოსწრაფებას: ჩვენ დაუთვლით თვითონვე იმათ დღეებსა.

88. იმ დღეს, როცა შევკრიბოთ მოწყალის წინაშე ღვთიანი ადამიანები, ყველა საპატიო ნიშნებითა.

89. იმ დღეს, როცა ცოდვილები ჯოჯობხეთში ჩავყაროთ,

90. ვერავინ გაპმარჯვებინოს შუამდგომლობას თვინიერ მათდა, რომელთაც აღთქმა დაუდვიათ მოწყალესთან.

91. ამბობენ: მოწყალეს შვილები ჰყავსო. საზიზღრობა ჰსთქვით,

92. ჰლამის ცანი გაიბრნ მაგის თქმისთვის, დედამიწა გაირღვეს და მთები მოსკდეს.

93. მის გამო, რომ ძეს მიაჩემებენ მოწყალესა. არ შეშვენის მას ძის ყოლა.

94. ყველაფერი, რაც არსებობს ცათა შინა და ქვეყანაზე, მოწყალის მსახურია, ყველა აღრიცხულ და ჩამოთვლილი აქვს.

95. ყველანი გამოცხადდენ მის წინაშე აღდგომის დღესა, მარტოდ-მარტონი.

96. შეაყვაროს იგინი, რომელთაც ჰსწამდათ და კეთილს შერებოდენ.

97. კურანი გავაადვილეთ, რაკი მოგინიჭეთ. შენის ენითა, რათა მით ახაროა ჩინებული აღთქმა ღვთიანებსა, ხოლოფერი მოცილვე გააფრთხილო.

98. რამდენი თაობა არ გაგვიწყვეტია? შეგიძლია, ნახო ერთი ადამიანი მაინც, მათი ნარჩომი? გაგიგონია ერთის მათგანისაგან შაინც, რომ სულ მცირე სამღურავი რამ ეთქვას?

ქ ა ჰ ა.

ნაბობების მექას.—135 მუხლი.

ს ა ხ ე ლ ი თ ა

ლ ვ თ ი ს ა

მოწყალისა და შემწყნარებელისა.

1. ტ ა. ჰ ა. კურანი შენთვის არ მოგვივლენია, რათა გაგვეუბედურებინე,
2. არამედ შესაგონებლად მისა, რომელსაც ეშინია.
3. მოავლინა მან, რომელმაც გააჩინა ქვეყანა და მაღალნი ცანი.
4. მოწყალემ, რომელიც ტახტზეა მჯდომარე.
5. მას ეკუთვნის, რაცაა ცათა შინა და ქვეყანაზე; რაცაა მათ ორთავ შორის და რაცაა დედამიწას ქვეშ.
6. თუ ხმას აიმაღლებ, ცუდუბრალოდ შფრები. ღმერთმა კარგად იცის საიდუმლოდ ნათქვამი სიტყვები და კიდევ უფრო ფარული საქმეები.
7. ღვთისა თვინიერ არა არს სხვა ღმერთი. საუკეთესო სახელები მასა აქვს.
8. გაგიგონია მოთხრობა მოსეს ამბავისა?
9. როცა დაინახა ცეცხლი, უთხრა თავისს სახლობასა: აქ დარჩით, ცეცხლი დავინახეო.
10. ეგების მუგუზალი მოგიტანოთ, ან ცეცხლის შემწეობით, შევიძლო გზას დავადგე.
11. ხოლო მიუახლოვდა თუ არა, ხმამ დაუძახა: მოსე!
12. ჭეშმარიტად შენი უფალი ვარ, ფებთსაცმლები გაიხადე, თუვას წმინდა ქალაში იმყოფები.
13. ამირჩევინარ. ყურადღებით გაიგონე, რაც განგეცხადოს.

14. მე ვარ ღმერთი, არა არს სხვა ღმერთი ჩემსა თვინიერ. მაშ თაყვანი მეც, და ლოცვა ჰყავ ჩემდა მოსაჯონებლად.

15. ვინადგან ჟამი მოიწიოს, (ჰლამის განგიცხადო),

16. რათა ყოველსავე სულს მიეგოს მისთა საქმეთაებრ.

17. ვისაც მოწევნა ჟამისა არა ჰსწამს და თავისი გულის თქმას აპყოლია, ქეშმარიტებისათვის ვერ აგახვევინოს, ვინადგან წაწყმდები.

18. ხოლო რა გაქვს მარჯვენა ხელში, მოსე?

19. ჩემი კვერთხიაო, ჰსთქვა, რასაც ვებჯინები და რითაც მოვიწევ ხოლმე ხის ნეშოს ჩემის ჯოგისაჟვის და კიდევ სხვანაირ სახმარებლადაც მაქვსო.

20. ღმერთმა ჰსთქვა: გააგდე ეგ, მოსე!

21. ხოლო მოსე გააგდებს, იგიც იქცევა გველად, რომელიც ცურვას იწყებს.

22. ღმერთმა ჰსთქვა, აიყვანე და ნურაფრის შეგეშინდება; თავისს უმანდელ ყოფაშივე ჩავაგდოთ იგი.

23. ხელი უბეში ჩაიდე, იქითგან თეთრი გამოვიდეს, ყოვლად უვნებელად. ეგ მეორე სასწაულად გექმნეს.

24. ხოლო რათა გახილვებინო შემდეგ უდიდესი სასწაულები,

25. წადი მოჰსძებნე ფარაო. არა წმინდაა.

26. უფალო, ჰსთქვა მოსემ, გულის სიწვრილეს მომარჩინე

27. და საქმე გამიადვილე,

28. და ენის სიჩლუნგეს დამხსენ,

29. რათა ჩემი სიტყვა გაიგოს.

30. თანაგამზრახი მიბოძე ჩემს გვარშივე არჩეული.

31. და იყოს იგი ძმა ჩემი აარონ.

32. წელი მით გამიმავრე.

33. და ჩემ საქმეში შემომიერთე,

34. რათა განუწყვეტლად გადიდებდეთ ქებითა, განუწყვეტლად ვგონებდეთ შენთვის;

35. ვინადგან გვხედავ.

36. ღმერთმა მიუგო: მოსე! ნათხოვი მომინიჭებია.

37. კვლავაც ვყოფილვართ შენდამი გულკეთილ,

38. როცა ვასმინეთ დედაშენს ეს სიტყვები:

39. ჩასვი ძე შენო კიდობანში და ზღვაში გადააგდე; ზღვამ გამორიყოს ნაპირად. ჩემმა მტერმა და მისმანაც შეიწყნაროს იგი, ვინადგან გულს ჩაუდგე მე სიყვარული შენდამი, მოსე!

40. ხოლო მწადლა, ამაღლებულ ყოფილიყავ ჩემს თვალში.

41. ერთხელ შენი და ლაპარაკობდა: ვნებავთ გაჰსწავლოთ ვინმე, მაგის მოსავლელადო? მაშინ დაგაბრუნეთ დედაშენთან, რათა ნუგეშცემულ ყოფილიყო და აღარ ეჯავრა შემდეგ მოჰკალ კაცი; დაგხსენით უბედურებისაგან და ბევრის გამოცდით გამოგცადეთ.

42. რამდენსამე წელიწადს იცხოვრე მადიანელთა შორის, მასუკან მოხველ აქა ბრძანების ძალითა, მოსე!

43. ჩემის გულისთვის გამიჩენიხარ.

44. წაღით შენ და შენი ძმა, ჩემ სასწაულებ-თანახლებულნი და ნურც უგულებელს ჰყოფთ ჩემს სახსენებელსა.

45. მიდით თარაოსთან, რომელიც არა წმინდაა.

46. ტკბილის ენით ელაპარაკეთ; ეგების გულის ხმა ჰყოს, ან შეშინდეს.

47. მათ მიუგეს: უფალო, გვეშინია, ჩვენზე ძალადობა არ იხმაროს, ანუ უღთობა არ ჩაიდინოს.

48. ნაურათურის გეშინიათ, თქვენთანა ვარ; მესმის და ვხედავ.

49. მიდით და ჰსთქვით, მოვლინებულ ვართ შენის უფლის მიერ; ისრაელის შვილები გაგვატანეთ და ნურც შეპირვებ მათ სატანჯველითა. მოვლივართ შენთან შენის უფლის სასწაულით, მშვიდობა იყოს მაზედა, რომელიც პირდაპირ გზას დაჰსდგომია.

50. გაგვეცხადა, რომ სასჯელია გამზადებული მისთვის, რომელიც მატყუარებად ჩაგვთვლის და რომელიც ზურგს შემოგვაქცევს.

51. ვინლაა თქვენდა უფალ, მოსე! ჰკითხა ფარაომ.

52. ჩვენდა უფალ არს იგი, რომელმაც სახე მიანიჭა ყველაფერს, რაც არსებობს და რომელიც წინამძღოლობს.

53. ფარაომ მასთანავე ჰსთქვა: რაღა ჰსწადდათ გადასულ თაობათა?

54. მისი გამოცნობა: ღვთის წიაღსაა და დაცულია წიგნში. ჩვენი უფალი არ ჰსცდება და არაფერსაც ივიწყებს.

55. იგი, რომელმაც მიწა აკვნად მოგანიჭათ და რომელმაც გზები გაიყვანა თქვენთვის, რომელსაც წყალი ჩამოჰყავს იმ წყალით აღვაორძინებთ ტოლტოლ იმდენ სხვა და სხვა მცენარეულობასა.

56. თავი ისაზრდოეთ და თქვენი საქონელი აძოეთ. ამაში სასწაულებია გონება-მიმადლებულ კაცთათვის.

57. მიწისაგან გაგაჩინეთ და იქვე დაგაბრუნოთ და გამოგიყვანოთ იქითგანვე მეორე ჯერ.

58. ჩვენი სასწაულები ვახილვებინეთ მას, მაგრამ სიცრუედ ჩააგდო და მისი რწმუნება იუარა.

59. ფარაომ ჰსთქვა: მოსე! მიტომ მოსულხარ, რომ გავაძეო ჩვენის ქვეყნიდან შენის გრძნეულობითა?

60. მაგისთანები ჩვენც გიჩვენოთ: დაგვინიშნეთ დღე, უარი არა ვჰსთქვათ. მეტადრე არც შენ ჰსთქვა უარი; ყველაფერი ბარ და ბარ იყოს.

61. მოსემ მიუგო: მე დაგინიშნავთ დღესასწაულებს, მისთანებს, ხალხი მთელ დღეს იკრიბებოდეს.

62. ფარაო გაბრუნდა; ჯადოები მოამზადა და დანიშნულს დღეს მოვიდა.

63. მოსემ მაშინ უთხრა მათ: ვაი თქვენ! უფროხლდით სიცრუის შეთხზვას ღვთის თაობაზე,

64. ვინადგან იგი მოაწევს თქვენს თავს ათავისს სასჯელსა. ვინც სიცრუეს შეჰსთხზვენ, წაწყმდენ.

65. თვალთ-მაქცები შეიყარნენ და საიდუმლოდ ლაპარაკობდნენ.

66. ორი კაცი იგი თვალთ-მაქციაო, ჰსთქვეს, მათ უნდათ, თქვენის ქვეყნითგან გაგაძეონ თავიანთი ჯადოებითა და ჩინებული სარწმუნოებაც მოგისპონ.

67. შეაერთეთ თქვენი ჯადოებიო, ჰსთქვა მოსემ, მერმე მოდით, წყობისად დადექითო. ნეტავი მას, რომელმაც დღეს გაიმარჯოს.

68. მოსე! ჰსთქვეს, კვერთხი შენ უნდა გადააგდო პირველმა, თუ ჩვენ?

69. მიუგო: ჯერ თქვენ გადააგდეთ. ხოლო უეცრად მოეჩვენა, რომ მათი თოკები და კვერთხები დარბოდნენ მათის გრძნეულობის მიზეზითა.

70. მოსე იღუმაღმა შიშმა აიტანა.

71. ჩვენ უთხარით: ნურათურის გეშინია; ვინადგან ყოველად ძლიერ ხარ.

72. გადააგდე, რაც გიჭირბავს მარჯვენა ხელში; (შენი კვერთხი) მან შთანთქას, რაც მათ მოიჯადოვეს, მათი მოჯადოვებული მარტო თვალთმაქცობაა გრძნეულისა, ხოლო გრძნეული უბედურია გამოცდის ჟამსა.

73. გრძნეულნი განერთხნენ, ჰსთქვეს რა: ვიწამეთ აარონისა და მოსეს უფალიო.

74. როგორ თუო! ჰსთქვა ფარაომ, იწამეთ იგი ჩემის ნებართვის დაუცდელად. უთუოდ იგია თქვენი უფროსი და მას უსწავლებია თქვენთვის თვალთმაქცობა. ვბრძანებ, ხელები და ფეხები დაგატრან თქვენ სხვა და სხვა მხრით და ინდის ხურმის ძელთა გაცვან. შეგატყობინებთ, თუ ჩვენ შორის ვინ უფრო საშინელ არის თავისის სასჯელითა და თუ ვინ უფრო დიდხანს გაჰსძლოს, ღმერთმა, თუ მე.

75. თვალთმაქცებმა სიტყვა ჩამოართვეს: არ დაგაყენოთ, ცხად სასწაულთა უმაღლეს, არც მის უმაღლეს; ვისაც გაუჭინივართ. აღასრულე, რაც გადგიწვევითა; შეგიძლია, გა-

დაჰსწყვიტო მხოლოდ საამქვეყნიო საქმეები. ჩვენ კი ვიწამეთ ჩვენი უფალი, რათა გვაპატიოს ჩვენი შეცოდებანი და ის საგრძნეულო ჯადოებიც, რისთვისაც გვაიძულეთ, ღმერთი უმჯობესია და უფრო დიდხანსაც გაჰსძლოს, ვიდრელა შენ.

76. ვინც ღვთის წინაშე წარდგეს სჯულგადამავლობით დატვირთული, ჯილდოდ ჯანაბა ექმნეს. არც მოკვდეს, არც დარჩეს.

77. ხოლო ვინც მის წინაშე წარდგენ სარწმუნოებისა და კეთილ საქმეთა მქონებელნი, ყველამ დაიჭიროს ყოფადის ცხოვრების მაღალი ხარისხები.

78. დაიმკვიდრონ წალკოტები, რასაც მდინარენი ჩაუღიან; იქ დაჰყონ საუკუნოდ. ესაა სასყიდელი მისი, რომელიც მართალ იქმნა.

79. მოსეს განუცხადეთ ჩვენ ეს სიტყვები: ღამით გამოასხი ჩემი მსახურები და დააგე მათთვის ზღვის გარდიგარდმო მშრალი გზა.

80. ნუ შიშობ, რაშე გეწიოს და ნურც შიშს იქონიებ.

81. თარაო გამოუდგა მათ თავისი ჯარითა, ხოლო ზღვის წყალმა ყველანი დაჰფარა. თარაომ აცდინა თავისი ერი, არ წარუძღვა სწორე გზითა.

82. ისრაელის შვილნო! ჩვენ დაგიხსენით თქვენის მტრისაგან და დაგინიშნეთ ურთიერთის ნახვისათვის სწორე დაღმართი სინას მთისა; გიბოძეთ მანანა და მწყურებო.

83. დაჰსტკბით საამო სანოვაგითა, რასაც მოგანიჭებთ და ნამეტანს ერიდეთ, შიშით, ჩემი რისხვა არ გეწიოსთ; ვინადგან ვისაც დაატყდეს ჩვენი რისხვა, წაწყმდეს.

84. სულგრძელ ვარ მისდამი, რომელიც მოინანებს, რომელიც კეთილს შვრება და სწორე გზას მიჰყვება.

85. ვინ დაგატევებინა ეგრე ჩქარა შენი ერი? ღმერთმა უთხრა მოსეს!

86. ჩემის ერის თავკაცთ კვალში მომდევდენ, ხოლო

შე დავეშურე შენთან მოსვლას, რათა სათნო შენდამი ვყოფილიყავ.

87. მოსე! შენი ერი გამოგვჰსცადეთ. წახვედი თუ არა, სამარელმა აცდინა იგი.

88. მოსე გამობრუნდა თავის ერთან გაჯავრებულ და შეწუხებულებს.

89, და ჰსთქვა, ჩემო ერო! ღმერთმა განა კარგი პირობა არ მოგცათ? გეგონათ, ალექმა დიდხანს გაატანდა? თუ ინატრეთ, გულისწყრომა თქვენის უფლისა თავს დაგტყდომოდათ? ნუ თუ ამიტომ მოიქეცით წინააღმდეგ პირობისა, რომელიც მომეცით?

90. ჩვენი პირობა ჩვენის საკუთარის სურვილით კი არ დაგვირღვევია, არამედ გვიბრძანეს, მოგვეტანა რამდენმე წყობად ჩვენი სამკაულები; ერთად დავაგროეთ. ხოლო სამარელმა ცეცხლში ჩაჰყარა და ერისათვის გამოიყვანა იქითგან თვალტანად ხბო, რომელიც ბლადა. გვითხრეს: ესაა თქვენი ღმერთი და მოსეს ღმერთიცაო; მარტო მან (მოსემ) დაივიწყა იგი სხვა ღვთის გულისთვის. დაივიწყა, რათა სხვა მოეძებნა.

91. ვერ შეამჩნიეს, რომ იმ ხბოს არ შეეძლო, მათთვის ხმა გაეცა და რომ ვერც არგებდათ მათ და ვერც აწებდათ?

92. აარონ კარგად ეუბნებოდა მათ: ჩემო ერო! მაგ ხბოთი გცდიანო. თქვენი უფალი მოწყალეა! მომყევით და დაემორჩილენით ჩემს ბრძანებასა.

93. მისი თაყვანისცემა არ მოვიშალოთო, მიუგებდენ ვიდრე მოსე დაბრუნდებოდას.

94. აარონს უთხრა: რამ დაგაშლევინათ ჩემი მოყოლა, როცა ნახე, ჰსცდებოდენ? გინდა, ეურჩო ჩემს ბრძანებასა?

95. დედი ჩემის ძევ! მიუგო აარონმა, წვერითა და თავით ნუ მათრევ. ვშიშობ, არ მითხრა მასუკან, რად ჩაპოაგდე განხეთქილება ჩემსა და ისრაელის შვილთა შორისო? რად არ დაიცევ ჩემი ბრძანებო?

96. ხოლო შენ, სამარელო! რა იყო შენი განზრახვა?

მიუგო: ვნახე, ვერ იხედებოდენ. ერთი მუჭა მტვერი ავი-
ლე, ღვთის მოვლინებულის ნათესური, და შევაყარე გამდნარ
ხბოსა; ჩემმა ბუნებრივმა მიდრეკილებამ ჩამავიწოა ესაო.

97. გაეცალე აქაურობას, უთხრა მოსემ. შენი საამქვეყნიო
სასჯელი ასეთი იქმნეს. შენ უთხრა, ვინც შემოგვხდეს: ნუ შე-
მეხებო. ამას გარდა, დაგენიშნა გამოცხადება (საიქიოსა);
რასაც ვერ დაემალები. მიაპყარ თვალეები იმ ღმერთს, რომელ-
საც თაყვანს ჰსცემდი ისეთის მოწიწებითა: დავჰსწვათ იგი,
მტვრად ვაქციოთ და ზღვით გადავყაროთ.

98. თქვენი ღმერთი ერთად ერთი ღმერთია: არაა სხვა
ღმერთი თვინიერ მისა. იგი გარემოიკავს ყველაფერს თავისი
მეცნიერებითა.

99. ამ გვარად მოგიტხრობთ შენ აღრინდელ ამბებსა: მას
გარდა შენთვის მოგვივლენია ჩვენის მხრით დარიგება.

100. ვინც გადაუხვიოს მას, ტვირთვის მზიდველ იქმნეს
აღდგომის დღესა.

101. საუკუნოდ იქმნეს მისი მზიდველი. რა აუტანელი
ვალდებულება იქმნეს აღდგომის დღესა!

102. იმ დღეს, როცა ჰკრან ბუკსა და როცა შევკრიბოთ
თვალეებ დაბრმავებული ცოდვილები,

103. ერთმანერთს უთხრან ჩურჩულით: მარტო ათ დღეს
დარჩენილხართ დედამიწაზედ.

104. კარგად ვიცით, რისი თქმა ისურვონ მათმა თავკა-
ცებმა, როცა მიუგონ: მარტო ერთს დღეს დარჩითო.

105. მთებისა გკითხონ. უთხარი მათ: ღმერთმა მტვერსა-
ვით მიმოაბნის ისინი.

106. სწორე ჭალებად აქციოს; უსწორ-მასწორობა ველარ
იზოო, ვერც ადგილები, ხან ამაღლებული, ხან დაცემული.

107. შემდეგ იგინი (ყველა ადამიანები) გაჰყვნენ მას,
რომელმაც მოუწოდოს სამსჯავროდ, და რომელსაც იკლიკან-
ტობა არა აქვს; ხმანი დამდაბლდენ შემწყნარებელის წინაშე.

და შენ მოგესმას მხოლოდ გაუგებარი ხმაურობა მათი ნაბიჯებისა.

108. იმ დღეს, ვისიც უნდა იყოს, შუამავლობა ვერ გამოდგეს, თვინიერ შუამავლობისა მის, რომელსაც მოწყალებმ ნება დართოს, გაჰსწიოს და რომელსაც ნება დართოს, ილაპარაკოს.

109. მან იცის, თუ რაა მათ წინაშე და მათ უკან. ადაპიანები ვერ მიჰსწვდებიან ამას თავიანთი მეცნიერებითა.

110. თხემი მაშინ დაბლა დახარონ წინაშე ცხოველისა, უცვალებელისა. უბედურ იქმნეს, ვინც ჰზიდოს თავისი ტვირთი უსამართლობისა.

111. ვინც კეთილს შვრება, თუ იმ დროსვე მორწმუნეც არის, არ შეუშინდეს უსამართლობას, არცა თავის ჯილდოს შემცირებას.

112. ამ გვარად გადმოვავლინეთ არაბული წიგნი და მიმოვაფრქვიეთ შიგ დაქადებანი; ეგებ მორჩნენ და ღეთის შეეშინდესთ: ეგებ ამ კურანმა. გულისხმის ყოფა დაჰბადოს.

113. ამაღლდეს ღმერთი იგი, მეფე, ჭეშმარიტება. ნუ ეშურები კურანის მუხლების განმეორებას, ვიდრე გამოცხადება უსრულო იქმნებოდეს. უმჯობესია ჰსთქვა: უფალო მეცნიერება განმიძლიერე!

114. ადამთან აღთქმა გვქონდა დადებული, მაგრამ დაივიწყა; მტკიცე გამბედაობა ვერ უპოვეთ ჩვენ.

115. ხოლო როცა ანგელოზებს უთხარით ჩვენ: განერთხენით ადამის წინაშე-მეთქი, მათ აღასრულეს, ებლისს გარდა; იუარა. ადამს უთხარით ჩვენ: ის შენი მტერია და შენის შეუღლის მტერიცაა მეთქი. უფრთხილდით, სამოთხიდან არ გაგაძეოსთ და უბედურ არ შეიქმნეთ მეთქი.

116. შიმშილი ვერ აიტანო, ვერცა სიშიშველე.

117. წყურვილი ვერ მოიკლა, ვერც სიცხეს გაუძლო.

118. სატანამ ჩააგონა მას: ადამ! გინდაო, უთხრა, გაჩ-

ვენო საუკუნოებისა და ძლიერების ხე, რომელიც უხმარად არის?

119. ხისაგან ჰსკამეს (ნაყოფი) და თავიანთი სიშიშველე დაინახეს და იწყეს შესამოსლის კეთება სამოთხის ფოთოლთაგან. ადამი თავისს უფალს ეურჩა და შეჰსცდა.

120. შემდეგ ღმერთმა თავის რჩეულად გაიხადა იგი, მოხელა და სწორე გზაზე დააყენა.

121, ადამმა ევას უთხრა: სამოთხითგან გამოდით ყველა, ერთმანერთის მტრებს, ერთს დღეს, ქეშმარიტის გზის წარმართება მოგვევლინოსთ ჩემგან.

122. ვინც მას მიჰყვეს, არ შეჰსცდეს და არც უბედურ იქმნეს.

123. ხოლც ვინც ჩემს გაფრთხილებას გადაუხვიოს, ცხოვრება უბედურად განატაროს.

124. ჩვენ უბრძანოთ, ბრმად გამოცხადდეს განკითხვის დღესა.

125. ჰსთქვას: უფალო! რად მიბრძანეთ ბრმად გაცმოხადება, მე, რომელიც უწინ ვიხედებოდი?

126. იმად, რომ ჩემი სასწაულები გამოგეცხადა, ხოლო შენ დაივიწყე: შენც აგრეთვე დავიწყებულ იქმნე დღესა.

127. ასე მივაგოთ ყოველს ადამიანსა, რომელიც სამზღრებს გადადის, რომელსაც არა ჰსწამს თავისი უფლის სასწაულები. საიმქვეყნო სასჯელი საშინელ და სამარადისო იქმნეს.

128. ურჯულოებმა არ იციან, რამდენი თაობა ამოვეიგდია მათ უწინარეს? ჰსთელვენ მიწას, სადაც ისინი მკვიდრობდენ. ამაში სასწაულია გონება მიმადლებულ ადამიანთათვის.

129. უკეთუ სიტყვა შენის უფლისა, რომელიც გადაჰსდებს სასჯელსა, წინასწარ წარმოუთქმულ არ ყოფილიყო, სასჯელი გადახდებოდათ და დანიშნული აღსასრულიც მოსულ იქმნებოდა.

130. მოთმინებით გაუძელ მათ სიტყვა-პასუხსა და ქებით აღიდევ შენი უფალი მზის ამოსვლამდე და ჩასვლამდე და ღამის შემოსვლის ჟამსა; აქებდე მას დღის კიდეზე, რათა სათნო ეყო მას.

131. თვალში არ მოგივიდეს სხვა და სხვა სიკეთე, რითაც დავატკობთ მათ, ამა ქვეყნის ყალბი ბრწყინვალება, რასაც მავანიჭებთ მათ გამოსაცდელად. კერძი, რომელსაც შენი უფალი დაგინიშნავს, უმჯობესია და უფრო გამძლეც.

132. ამცენ ლოცვა შენს სახლობასა, ჰყავ იგი დაბეჯითებით (გაუცდენელად); საზრდოს როდი გთხოვთ; ჩვენ გასაზრდოებთ თქვენ. კეთილი ბოლო გვაქვს დამზადებული ღვთიანობისთვის.

133. ამბობენ: განა არ გვახილვებინებს სასწაულს თავისის უფლისაგანაო? განა არა აქვსთ ცხადი დამტკიცება სასწაულებისამით, რასაც შეიცავს ძველთა მათიანეთა კაბადონები?

134. ისინი რო მოგვესპო ჩვენის სასჯელითა მუჰამმადის მოვლინებამდე, იტყოდენ: რად არ მოგვივლინე მოციქულიო? შენს მოძღვრებას უფრო დავიჯერებდით, ცუდკაცობასა და არაწმინდობაში ჩავარდნასაო.

135. ჰსთქვი; ყველანი დასასრულს მოველით: თქვენც აგრეთვე დაუცადეთ და შეიტყეთ, ჩვენგანი ვინ ჰსდგას სწორე გზაზე, ჩვენგანი წარმართებულ ვინ არის.

თ ა ვ ი XXI.

წინასწარმეტყველნი.

ნაბაძებია მექას. — 112 მუხდი.

ს ა ხ ე ლ ი თ ა

ღ ვ თ ი ს ა

მოწყალისა და შემწყნარებლისა.

1. დრო ახლოვდება, კაცთა ანგარიში მიჰსცენ, ისინი კი პირს იბრუნებენ უზრუნველობაში ჩაფლულნი.

2. ახალი დარიგება. თავიანთი უფლისაგან ისე არასოდეს მოვევლინებათ, ყური არ დაუგდონ მხოლოდ დასაცინავად.

3. მათ გულს დროს გასატარებლად გაუხდია იგი. უკეთურნი ერთმანერთს ეტყვიან საიდუმლოდ: მუჰამმად განა სხვა რამეა, თუ არ ჩვენსავით ადამიანია? განა უნდა დაეჰსწროთ იმ გრძნეულობასა? ხოლო ხედავთ, თუ რაა.

4. ჰსთქვი: ჩემმა უფალმა იცის სიტყვები, წარმოთქმული ზეცასა და ქვეყანაზე; ესმის და უწყის ყველაფერი.

5. უმეტესს იტყვიან: კურანი იგი მხოლოდ ოცნებათა კრებული არიო, მისი მოგონილიაო, მოშაირეა და სასწაული გვახილვებინოს, როგორათაჲც უმანდელი მოვლინებულნი შერებოდენ.

6. ჩვენ მიერ დაქცეულ ქალაქთაგანი არც ერთი ერწმუნა მას; მით უმეტეს არც მათ ირწმუნონ.

7. შენს უწინარეს მხოლოდ მოგვივლენია კაცნი, რომელთაც გამოცხადება მიუღიათ. წერილის მქონეთა ჰკითხე, თუ არ იცით.

8. მათთვის არ მიგვიცია ისეთი სხეული, რო უქმელად გაეძლო; უკვდავ როდი ყოფილან.

9. მათდამი ჩვენი აღთქმა დავიცევით და ვიხსენით იგინი, აგრეთვე, ვინცა გვენბავდა, ხოლო სჯულგადამავალნი დაეხოცეთ.

10. თქვენ მოგივლინეთ წიგნი, რომელიც გაფრთხილებას თქვენდამი შეიცავს. განა ვერ გაიგებთ აზრსა?

11. რამდენი ცოდვილი ქალაქი დაგვიქცევია და გვინაცვლებია სხვა მოსახლობათათვის!

12. თავიანთი ქალაქებითგან ივლტოდენ, იგრძნეს თუ არა ჩვენის კვეთების ძალა.

13. ნუ გარბით; დაუბრუნდით თქვენს განცხრომას და თქვენს სადგომებსაო, გკითხონ თქვენ.

14. მიუგეს: ვაი ჩვენ; ბოროტ ვიყავით.

15. ხოლო გოდება იგი შეჰსწყდა მარტო მაშინ, როცა მიმოვყარეთ იგინი, როგორც მომკილი და გამხმარი ხორბალი.

16. ჩვენდა გასართობად როდი გავვიჩენია ზეცა და ქვეყანა და ყველაფერი, რაცაა მათ შორის.

17. ჩვენის თავისუფართობა გვენებებინა, შესაქცევარს ჩვენს შორისვე ვჰპოვებდით; თუ მართლა მოგვესურვებინა ამის ქმნა.

18. მაგრამ სიმართლეს დაუპირისპირებთ ჩვენ სიცრუესა; და კიდევ გააქრობს, აგერ ჰქრება; ხოლო ვაი თქვენ მისგამო, რასაც ღმერთს მიაჩემებთ!

19. მას ეკუთვნის ყოველი არსება ზეცასა და ქვეყანაზე, ვინც მის ახლო არიან, სულ თაკილობენ მის თაყვანისცემას და არც მოჰსცდებიან.

20. დღე და ღამ ქებით აღიდებენ მას: მის თაობაზე არაფერს ჰსთხზვენ.

21. განა ღმერთებად ქვეყანაზე აიყვანეს მისთანა ღმერთები, რომელთაც შეუძლიათ მკვდრები აღადგინონ?

22. მას გარდა სხვა ღმერთი რო ყოფილიყო ზეცასა და ქვეყანაზე, დაღუპულ იქმნებოდენ. ტახტის მეუფის დიდება უმაღლესობს, რასაც მას მიაჩემებენ.

23. არ მოჰკითხონ მას თავისის მოქმედების ანგარიში, მათ კი მოჰკითხოვს მან თავიანთი ანგარიში.

24. ანგელოზები განა თაყვანს ჰსცემენ სხვა ღმერთებს ღვთისა თვინიერ? უთხარი მათ, თქვენი საბუთები მოიტანეთ. უწყება ესე მიმართულია მათდამი, რომელნიც ჩემთან არიან, ესრეთვე მიეცა მათ, რომელთაც ჩემს უწინარეს უცხოვრიათ; ხოლო მათ შორის უმეტესი ნაწილი ვერა ჰსცნობს ქემზარიტებას და ერიდებიან დარიგებას, რომელიც ეძლევათ.

25. არ მოგვივლენია მოციქულები, რომელთათვისაც განცხადებული არ ყოფილიყო, რომ სხვა ღმერთი არაა ჩემსა თვინიერ. თაყვანი მეციით მე.

26. იგინი (ურჯულოები, ქრისტიანები) ამბობენ: მოწყალეს შვილები ჰყავსო; ანგელოზები მისდა შვილებ არიანო. მისმა დიდებამან! არა, მხოლოდ მისდა პატიოსან მსახურ არიან.

27. მას არასოდეს დაელაპარაკებიან პირველნი, ხოლო აღასრულებენ მის ბრძანებას.

28. უწყის ყველაფერი, რაცაა მათ წინ და მათ უკან; არ შეუძლიათ შუამავლობა,

29. ვისთვისაც ჰნებავს, მას გარდა და შიშისაგან ძრწიან მის წინაშე.

30. ხოლო ვინც იტყვის: მე ვარ ღმერთი ღვთის თანასწორადო, ჯილდოდ ჯანაბა მივჰსცეთ მას. ასე ვაჯილდოებთ უკეთურებსა.

31. ურჯულონი ვერ ხედვენ, რომ ცანი და ქვეყანა ერთიან ზვინს წარმოადგენენ, რომ ჩვენ გავაცალცალკევით და რომ წყალის საშუალებითაც სიცოცხლეს ვაძლევთ ყველაფერს? ნუ თუ არ ირწმუნონ?

32. დედამიწაზე დავამყარეთ მთები, რათა არ შერყეულიყო ხალხიანად. გასავალები დავაკეთეთ გზებად მათთვის, რათა მიმოსვლა შესძლებოდათ.

33. ზეცისაგან გავაკეთეთ მტკიცედ ნაგები კამარა, ხოლო პირს შეაქცევინე მაინც სასწაულებსა, რომელსაც შეიცავს.

34. მან გააჩინა ღამე და დღე, მზე და მთვარე; თვითოეული იმ მნათობთაგანი ცალკე წრეში ჰსრბის.

35. საუკუნო ცხოვრება არც ერთის ადამიანისთვის მიგვინიჭებია შენს უწინარეს. შენ რო მოკვდე, განა თავი უკვდავ უნდა ეგონოთ მათ?

36. ყოველმანვე სულმა იგემოს სიკვდილი, ბოროტითა და კეთილითა გამოგცადოთ და მოყვანილ იქმნეთ ჩვენ წინაშე.

37. როცა ურჯულოები გხედვენ შენ, სასაცილოდ გიდებენ, ეს კაცი იხსენიებს ზიზლით თქვენს ღმერთებსაო; ამბობენ: ხოლო მათ არა ჰსწამსთ, რასაც ამბობენ მოწყალის თაობაზე.

38. ადამიანი მოსწრაფებით გაჩენილა; ხოლო მე გახილვებინო ჩემი სასწაულები: ნუ ცდილობთ მათ დაჩქარებას.

39. იტყვიან: როდისღა აღსრულდეს ქაღილიო? ჰსთქვით, თუ გულწრფელ ხართ?

40. ნეტა ურჯულოებმა იცოდნენ ჟამი ოდეს ველარ უკუაქციონ ცეცხლი თავიანთ პირთაგან, ვერცა თავიანთ ზურგთაგან, ოდეს მფარველი აღარ ეყოლოსთ.

41. სასჯელმა ანაზღვეულად შეიპყროს ~~განა~~ და განცვიფრებულ ჰყოს; ვერ მოახერხონ მისი მოშორება, ვერც მისი გადადება.

42. შენს უწინარეს მოციქულებსაც აგრეთვე ქირდავდენ; მაგრამ სასჯელმა, დაცინვისაგან გარემოიცვა დამცინველნი.

43. უთხარი მათ: ვის შეუძლია დაგიცვასთ, ღამე, თუ დღე, მოწყალის კვეთებისაგან? იგინი კი ზურგს შეაქცევენ მხილებასა.

44. განა ჰყავსთ ისეთი ღმერთები, რომ შეჰსძლონ მათი დაცვა ჩვენგან? თავიანთ თავს ვერ დაეხმარებიან და შველაც არ ექმნესთ თავიანთ ამხანაგთაგან.

45. ღიახ, დავატკბეთ ხალხი ოგა, აგრეთვე მათი მამებიც, საამქვეყნიო კეთილითა, ვიდრე მათი სიცოცხლე გაჰსტანდეს. ვერ ხედვენ, რომ ურჯულოთა ქვეყანაში მოვდივართ და უნდა შევაფიწროთ მათი სამზღვრები ყოველის კუთხითა? განა ყველაზედ უფრო ძლიერ არიან?

46. უთხარი მათ; მე გიქადაგებთ, რაც განმეცხადა; ხოლო ყრუებს როდი ესმისთ, როცა უქადაგებენ.

47. ერთიოდენ შებერვითაც რომ ეწიოსთ ღვთის სასჯელი, დაიყვირონ, ვაი ჩვენდა! არა წმინდა ყოფილვართ.

48. დავამყაროთ სამართლიანი სასწორი აღდგომის დღესა. ერთ სულსაც არ მოეპყრან უსამართლოდ, კიდევ რომ მდოგვის მარცვლის სიმძიმე გამოდგეს, რაც გვექმნება საწარმოებელი მის საქმეთაგან. საკმარისია, რომ ესრეთი სათვალავი დაგვიწესებია.

49. მოსესა და აარონს მივმადლეთ განსხვაება და სინათლე, ხოლო უწყება მათდამი, რომელთაც ეშინიათ.

50. რომელთაც თავიანთი უფლის ეშინიათ თავიანთ გულთა იდუმალობით და ძრწიან ჟამის მოგონებისას.

51. ხოლო ეს წიგნი კურთხეული უწყებაა, რომელიც მალლით მოგვივლენია. ნუ თუ უგულებელ ჰყოთ?

52. უწინაც მიგვინიჭებია განსხვავება აბრაამისათვის და გვცოდნია:

53. როცა უთხრა თავისს მამასა და თავისს ერსა: რას ნიშნავს ეს ძეგლები, ეგრე რომ გულმხურვალედ თაყვანს ჰსცემთო?

54. მიუგეს: ჩვენის მამებისაგან გვინახავს მათი თაყვანისცემა.

55. თქვენ და თქვენი მამები, ჰსთქვა აბრაამმა, ცხად შეცდომილებაში ხართო.

56. მართალს ამბობ, თუ ხუმრობ?

57. დიახ, თქვენი უფალი უფალია ცათა და ქვეყნისა, მას რო გაუჩენია და კიდევ ვემოწმები.

58. ღმერთს ვფიცავ, ერთხელობას გავცხუმრო თქვენს კერპებს, ოდეს წახვიდეთო, თავის თავად ამბობდა.

59. მანაც მიმოლექა იგინი, ყველაზედ უდიდეს გარდა, რათა შევედრებოდენ მის გამო, რაც მოხდა.

60. ჰსთქვეს: ვინც ასე მოექცა ჩვენს ღმერთებსა, ბოროტიო.

61. გვესმა, რომ ახალგაზდა კაცი სახელად აბრაამ ძვირად იხსენებდა ჩვენს ღმერთებსო.

62. აქ მოიყვანეთ იგი ყველას წინაშეო, ჰსთქვეს ზოგიერთებმა, რათა ყველა იქმნეს მოწმედ მისის სასჯელისაო.

63. ჰსთქვეს: აბრაამ, შენ გააწყვე ასე ჩვენი ღმერთებიო?

64. ემადერა ყველაზედ უდიდესი კერპი; ჰკითხეთ, ნახოთ ერთი, იტყვის რასმე, თუ არა?

65. იგინიც ერთმანერთს გამოელაპარაკენ, ჰსთქვეს რა: მართლა რო არაწმიდა ყოფილხართ.

66. ხოლო შემდეგ თავიანთ ძველს შეცდომილებას და

დაუბრუნდენ და აბრაამს უთხრეს: კარგად უწყი, რომ კერპები არ ლაპარაკობენო.

67. განა თაყვანს ჰსცემთ, ღვთისა თანასწორ, მას, რაც ვერაფრად გარგებსთ, ვერც გავენებსთ? შეგირცხვესთ თავი და ისიც, რასაც თაყვანს ჰსცემთ ღვთისა თანასწორ! ნუ თუ ვერ ჩახვდეთ ამას?

68. დაჰსწვით ეგეო, დაიძახეს, და მოდით ჩვენის ღმერთების საშველად, თუ რისამე გაკეთება გსურსთ.

69. ხოლო ჩვენ ვჰსთქვით: ცეცხლო, უგრილე! მშვიდობა იყოს აბრაამზე!

70. უნდოდათ, მახე დაეგოთ მისთვის; ხოლო ნაწილი მათი დავლუპეთ.

71. ვიხსენით იგი, აგრეთვე ლოთიც და გადვიყვანეთ იგი ქვეყანაში, რომლისაც მკვიდრნი სრულიად ვაკურთხეთ.

72. მივანიჭეთ მას ისააკ და იაკობ, როგორათაც წეს გადამეტი წყალობა და გამოვიყვანეთ იგინი სამართლიანი კაცები.

73. განვაწესეთ იგინი თავ-კაცებად, დავაკისრეთ რამართვა ხალხისა ჩვენის ბრძანებისამებრ და შევაგონეთ მათ ქმნაკეთილ საქმეთა, აღსრულება ლოცვისა, აგრეთვე მოწყალებისა, ხოლო იგინი თაყვანს გვცემდენ.

74. ლოთს მივმადლეთ ძალი და სიბრძნე; ვიხსენით ქალაქისაგან, რომელიც სისაძაგლეს ჩადიოდა. უეჭველად უკეთურ და უკულმართი ხალხი იყო.

75. შევიფარეთ იგი ჩვენის მოწყალებითა, ვინადგან მართალ იყო.

76. მოიგონე ნოე, როცა ღალად ჰყო ჩვენდამი. ვისმინეთ მისი და დავიხსენით იგი, აგრეთვე მისი სახლობაც, დიდის უბედურებისაგან.

77. მწე ვექმენით წინააღმდეგ მისის ერისა, კაცთა, რომელნიც ჩვენს სასწაულებს სიცრუედ აგდებდენ; ბოროტ იყვნენ, ჩვენც დავარჩევთ ყველანი.

78. მოიგონე აგრეთვე დავით და სოლომონ, როცა მსჯავრ-
სა ჰსდებდნენ ერთის მინდვრის გამო, სადაც ერთის სახლო-
ბის ფარას ზარალი მოეტანა. დავესწარით მათ სამსჯავროსა.

79. სოლომონს მივმადლეთ გონიერება ამ საქმეში, ხო-
ლო ორთავ ძალი და სიბრძნე და იძულებულ ვჰყავი მთე-
ბი და მფრინვლები, დავითთან ერთად ქებით ვედიდებინეთ.
ვმოქმედებდით.

80. დავითს ვაჰსწავლეთ თქვენთვის აბჯრის კეთების ხე-
ლობა, რაჟა ჰყოლოდით საფარველ ქვეშე მძლავრობისაგან,
რომელსაც ერთმანერთზე ხმარობდით. ნუ თუ დამნახველ არ
იქმნეთ?

81. სოლომონს დაუმორჩილეთ ჩვენ მძაფრი ქარი, მისის
ბრძანებისამებრ მქროლავი ქვეყანაში, რომელიც კურთხეულ
ვყავით. ყველაფერი ვიცოდით.

82. ხოლო მავნეთა შორის დაუმორჩილეთ მას მისთა-
ნები, რომ ჩაიყურყუმელავებდნენ მისთვის მარგალიტების
ამოსაკრებად, სხვა და სხვა ბრძანებასაც ასრულებდნენ. მათი
მეთვალყურე ჩვენ თვითონ ვიყავით.

83. მოიგონე იობ, როცა ღალად ჰყო თავის უფლისა-
დმი: აი უბედურება მეწია; ხოლო გულშემატკივართა შორის
ყოვლად გულშემატკვარ ხარ.

84. მისი ვისმინეთ და დავიხსენით იგი დამაღონებე-
ლის უბედურებისაგან: სახლობა დაუბრუნეთ და ახალიც შევ-
მატეთ ჩვენის მოწყალების საქმითა და საუწყებლად მათდამი,
რომელნიც თაყვანს გვცემენ.

85. მოიგონე ისრაელ, ედრის, დულკეფლ, რომელნიც
მოთმინებით აიტანდნენ უბედურებასა და გასაჭირსა.

86. ჩვენის მოწყალებით შევიფარეთ იგინი, ვინადგან ყვე-
ლანი მართალ იყვნენ.

87. აგრეთვე დულუნნიც, რომელიც გულმოსული წავი-
და და ეგონა, თუ ხელი არა გვქონდა მასთან. მაგრამ მასუ-
კან ხმა ჰყო ჩვენდამი წყვდიადის წიაღით, არაა სხვა ღმერთი

შენს გარდა. დიდება შენდა! დიდება შენდა! ცოდვილთაგანი ვიყავ.

88. ვისმინეთ მისი და დავიხსენით იგი მწუხარებისაგან. ასე დავიხსენით შორწმუნეთა.

89. მოიგონეთ ზაქარია, როცა ხმა ჰყო თავისი უფლისადმი: უფალო, მარტოდ მარტოს ნუ დამაგდებ; ხოლო შენ ხარ. საუკეთესო მემკვიდრეთაგანი.

90. ვისმინეთ მისი და მივანიჭეთ იაჰია (იოანე), ხოლო მისს ცოლსა შევადლებინეთ შობა. კეთილის საქმეებით თავის გამოჩენას ცდილობდენ, სიყვარულით დალადს ჰყოფდენ ჩვენადმი და ჩვენს წინაშე შიშით თავიდაბლობდენ.

91. მოიგონე აგრეთვე ქალი იგი, რომელმაც დაიცვა თავისი ქალწულობა და რომელსაც შთავებრეთ ნაწილი ჩვენის სულისა. დავადგინეთ იგი და მასთან ძე მისი სასწაულად მსოფლიოსათვის.

92. თქვენი სარწმუნოება (ისლამი) ერთი და იგივე სარწმუნოებაა, რაც წინასწარმეტყველთა. მე ვარ უფალი თქვენი, თაყვანი მეცით მე.

93. მათ (ხალხმა) ერთმანერთ შორის განხეთქილება ჩამოაგდეს; მაგრამ ყველანი ჩემთან მოიქცნენ.

94. ვინც კეთილბედად და იმდროსვე მორწმუნე იქმნეს, მეცადინეობა მისი უგულებელ ყოფილ არ იქმნეს; წერილად დაჰვსდებთ მის ნამოქმედარსა.

95. შეჩვენება ეწიოს ქალაქსა, რომელიც ამოვაგდოთ; ხალხი მისი ვერ მოიქცეს,

96. ვიდრე გასასვლელი გაეღებოდესთ იაჯუჯსა და მაჯუჯსა; მაშინ უეცრად გადმოლახონ თვითოეული მთა.

97. მაშინ აღსრულება ჭეშმარიტის აღთქმისა სრულყოფასთან ახლო იქმნეს და ურჯულოებმა თვალნი გაუშტერონ განცვიფრებითა, ვაი ჩვენდაო! ჰსთქვან, არ ვზრუნავდით ჟამისათვის და არა წმიდაც ვყოფილვართ.

98. ჭეშმარიტად, თქვენ და ის კერპებიცა, რომელთაც

ღვთის თანასწორ თაყვანს ჰსცემთ, შეიქმნეთ საზრდო ჯანაბი-
სა, სადაც ჩაცვივდეთ.

99. კერპები იგი რო ღმერთები ყოფილიყვნენ, არ ჩაც-
ვივდებოდნენ იქა. ყველანი საუკუნოდ დარჩნენ იქა.

100. შექმნან ქვითქვითი და ვერაფერიც გაიგონონ.

101. ვისაც უწინარეს დავირდით ჩინებულ ჯილდოებ-
სა, მოშორებულ იქმნენ იგინი საშინელ სამყოფელსა.

102. მცირეოდენი ხმაურობაც ვერ გაიგონონ და დაჰს-
ტებენ საუკუნოდ თავიანთი საწადელითა.

103. დიდმა შიშმა ვერ შეიპყროს იგინი. ანგელოზებმა
ეს სიტყვები მიმართონ მათ: აი თქვენი ღღე, რომელიც აღ-
თქმულ იყო თქვენდა.

104. იმ ღღეს ჩვენ შევგრაგნოთ ცანი, როგორათაც სი-
ჯილ შევგრაგნის წიგნსა. როგორც დაებადეთ ქმნილება, ეგრეთ-
ვე მივაქციოთ იგი. აღთქმა გვაიძულებს. აღვასრულოთ იგი.

105. ფსალმუნებში ჩავჰსწერეთ, სჯული მივეციოთ თუ არა
მოსესა, რომ ქვეყანა იქმნეს სამკვიდრებლად ჩვენ მართალ
მსახურთათვის.

106. წიგნში საკმაო დარიგებაა მათთვის, რომელნიც
თაყვანს გვცემენ.

107. მოგვივლენიხარ, მუჰამმად, მხოლოდ სამყაროს მი-
მართ მოწყალებითა.

108. უთხარი მათ: განმეცხადა, რომ თქვენი ღმერთი ერ-
თად-ერთი ღმერთია. მინდობილ ხართ თუ არა მისის ნებისა
(ხართ თუ არა მუსულმანები.)?

109. ხოლო თუ ზურგი შეგაქციეს, უთხარი მათ: ყვე-
ლას თანაბრად გაუწყეთ და არც ვიცი, ახლა შორს არის,
თუ ახლო, რაც გემუქრებათ.

110. უეჭველია ღმერთმა უწყის ხმა მალლა წარმოთქმუ-
ლი სიტყვა, ისე როგორათაც ის, რასაც მალავთ.

111. არ ვიცი, მაგრამ დაცალება შეიძლება იყოს თქვენ და
გამოსაცდელად და დასატკობად ამ წუთისოფლით ვიდრე უწყე-
ბულ დრომდე.

112. ჩემმა უფალმა ჰსთქვა: ჰსაჯე სიმართლითა ჩვენი უფალი, მოწყალე, მოწოდებულ უნდა იქმნეს თქვენი ცრუ დარწმუნების წინააღმდეგ.

თ ა ვ ი XXII

მ ო ლ ო ყ გ ა მ ე ქ ა ს ი.

ნაბოძებია მექს.—78 მუხლი.

ს ა ხ ე ლ ი თ ა

ღ ვ თ ი ს ა

მ ო წ ყ ა ლ ი ს ა და შ მ წ ყ ნ ა რ ა ვ ა ლ ი ს ა.

1. ხალხნო! გეშინოდესთ თქვენის უფლისა, ვინადგან ძრწოლა განკითხვის ჟამისა საშინელი რამ იქმნეს.

2. იმ დღეს, ოდეს იხილოთ იგი, ძიძას გაუვარდეს ყრმა, რომელსაც აწოებს და ყოველსავე ფეხბძიმე ქალსა მოჰსწყდეს მუცელი, კაცები კი მთვრალი ნახო. არა, მთვრალ არ იქმნენ; არამედ საშინელმა სასჯელმა ღვთისამან დაარეტიანოს იგინი.

3. ზოგიერთი ადამიანებო, ღვთისთაობაზე ბაასობენ თვინიერ ყოვლის ცოდნისა, აჰყოლიან კი ყოველსავე მეშფოთარ მავნესა.

4. გადაწყვეტილია, მან აცდინოს ყოველივე, ვინც მოკავშირედ აიყვანს მას და წარუძღვეს ცეცხლის სასჯელსა.

5. ხალხნო! თუ ეჭვი გაქვსთ აღდგომისა, განიხილეთ, როგორ გაგვიჩენიხართ თიხისაგან, შემდეგ ერთის წვეთის თესლისაგან, რომელიც გადაქცეულა სისხლ-ღვიძლად; მასუკან ერთი ნაჭერის ხორცის, ხან გასახულის, ხან უსახურისაგან: მიტომ რომ გვეჩვენებინა თქვენთვის ჩვენი ძლიერება. ვამყოფებთ მუცლად, რაც გვენებება, დანიშნულ დრომდე, ხოლო შემდგომ გამოვიყვანთ ჩვილ ყრმებად. მასუკან მოწიფულობის

ხანში გადადიხართ; ზოგნი იხოცებიან, ზოგნიც მოხუცების ხანს მიაწევენ, იქამდე, რომ ავიწყდებათ ყველაფერი, რაც კი ჰსკოდნიათ ოდესმე. დიდი ხანი არაა, გამხმარი მიწა ნახე; მაგრამ გადმოვავლენთ თუ არა წყალსა, იგი შეიბრხევა, გაღვივდება და ალაორძინებს ყოველგვარ მცენარესა, თავმოასწონებელსა.

6. მიტომ რომ ღმერთი თვითონ ჭეშმარიტებაა და მიტომაც, რომ იგი აღადგენს მკვდრებსა და ყველაფერიც შეუძლია.

7. მიტომ რომ ჟამი უნდა მოიწიოს უექველო და მიტომაც, რომ ღმერთმა ცხოვრებად უნდა მოუწოდოს საფლავების მკვიდრთა.

8. ზოგიერთი აღამიანები ბაასობენ ღვთის თაობაზე ისე, როცა კოდნა არაფერი აქვსთ, წარმართება არა აქვსთ მიღებულნი და არც წინაუძღვისთ წიგნი, რომელიც მათ განანათლებს.

9. პირს იბრუნებენ დიდგულად, რათა სხვები დააშორონ ღვთის გზასა. უპატიურობა გამზადებულია იმ კაცთათვის ამ ქვეყნად; საიქიოს შევამთხვიოთ იგინი ცეცხლის სასჯელსა.

10. ეს მოხდეს მათ ხელთა ნამოქმედარის გამო, ვინაღან ღმერთი როდია თავის მსახურთა შემაჭირვებელ.

11. ზოგი აღამიანი თაყვანს ჰსცემს ღმერთსა, მაგრამ უვიცად და რყევითა. თუ რამ ბედი დაემართა, მოსვენებით არი, ხოლო მცირეოდენ განსაცდელში თუ ჩავარდა, ზურგს შეაქცევს. ამ გვარად საამქვეყნიო ცხოვრებაშიაც წაგებულია და საიმქვეყნოშიაც. ეს ხომ ცხადი წაწყმედაა.

12. ღვთის თანასწორ მოუწოდებს მათ, რაც ვერ აწევენ, ვერც არგებს. ეს შეცდომა რა დაშორებულია ჭეშმარიტს გზასა!

13. მოუწოდებს მას, რაც უფრო დამლუბველია, ვიდრე გამოსადეგი მისთვის. საძაგელი პატრონები და საძაგელი საპატრონოები!

14. ღმერთმა შეიყვანოს მორწმუნენი, რომელნიც კე-

თილს შერებიან, მდინარე წყალით მორწყულ წალკოტებში; რაც მოჰსწონს, მას შერება.

15. ვინც ფიქრობს, ღმერთი არ შეეწიოს იმასა (მუჰამ-მადს), სააქაოს და საიქიოსო, აქიზოს ბაწარი ზეცამდე და გა-ჰსკრას; ნახოს, მისმა ხერხმა ამაოდ აქციოს, რაც გულს მოა-ყვანინებს.

16. ასე გამოგიცხადეთ შენ კურანი ცხად სასწაულებად (მუხლებად). ღმერთი წარუძღვეს, ვინც სათნოდ მიიჩნიოს.

17. ღმერთმა უსაჯოს, აღდგომის დღესა, მათ, რომელ-თაცა ჰსწამსთ და ურიათა, საბეველთა, ქრისტიანეთა, მოგვთა და მათაც, რომელნიც უამხანაგებენ; ვინადგან ღმერთი ყვე-ლაფრის მოწმეა.

18. ვერა ხედავ, ყველაფერი, რაც კია: ცათაშინა და ქვე-ყანაზე, თაყვან ჰსცემს უფალსა, მზე, მთვარე, ვარსკვლავე-ბი, მთები, ხეები, ცხოველები და ხალხის მომეტებული ნაწი-ლი? სატანჯველი გადაწყვეტილია კიდევ მომეტებულის ნა-წილისთვის.

19. ხოლო ვინც ღმერთმა უგულებელ ჰყოს, ვინ გააბა-ტიოსნოს იგი? ღმერთს რაც ჰნებავს, მას შერება.

20. მორწმუნენი და უსჯულონი ორნი მოწინააღმდეგენი ბაასობენ ღვთის თაობაზე. მაგრამ სამოსელი უსჯულოებს ცეც-ხლის ექმნესთ გამოჭრილი და ახვარხვალეებული წყალი თავს გადესხასთ.

21. შიგნეულობა და კანი დაეწვასთ; რკინის კეტებით ჰსცემონ მათ.

22. ყოველთვის, როცა ტკივილისაგან გადაგებულთ გა-სხლდომა დააპირონ, უკანვე დააბრუნონ და შეჰსძახონ: შთა-ცვივდით ცეცხლის სატანჯველშიო.

23. მორწმუნენი, რომელნიც კეთილს იზმენ, ღმერთმა შეიყვანოს მდინარე წყალით მორწყულ წალკოტებში. იქ ატა-რონ ოქროსა და მარგალიტის სამკლავეები; აბრეშუმი ჩაიც-ვან.

24. იგინი შეიყვანეს, რათა კარგი სიტყვები გაეგონათ და წინამძღოლიც ჰყოლოდათ დიდებულ გზაზედ.

25. ურჯულონი არიან, ვინც დააშორებენ სხვებს ღვთის გზასა და წმინდა სავედრებელსა, რომელიც დაგვიწესებია ყველა ადამიანთათვის; ვინც იქ იმყოფებიან, როგორათაც გარეშენი, თანასწორვე ემართლებათ, მოინახულონ იგი.

26. ხოლო ვინც მოინდომებენ მის შებღალვას არაწმინდობითა, სამწუხარო სასჯელი განიცადონ.

27. მოიგონე, რომ აბრაამს ვაჩვენეთ ადგილი წმინდა სახლისა, რა უთხარი: სხვა ღმერთი არც ერთი დაგვიამხანაგოთაყვანისცემის ჟამსა, წმინდად დაიციე ეგ სახლი მათთვის, რომელნიც მოვიდენ, რათა მოწიწებით გარშემო უარონ, რომელთაც სათნოების ღვაწლი დაჰსდონ დგომით, მუხლ-მოყრით, ანუ განრთხმითა.

28. აუწყე ხალხთა წმინდა ადგილის მოლოცვა, რათა შორეულის ქვეყნებიდან გამომგზავრებულნი მოვიდენ იქ ფეხით, ანუ ჩქარა მავალ აქლემზე მსხდომნი.

29. რათა თვითონ მათ დაამოწმონ შესამატი, რომელსაც მიღებენ და რათა დანიშნულ დღეებში მოიხსენონ სახელი ღვთისა მათ ჯოგთა შორის ნებადართულ საზრდოზე. უჭამეთ მათი ხორცი, და აჭამეთ გაჭირვებულსა, ლატაკსა.

30. ბოლო მოუღეთ დაუდევრობას თქვენის გარეგნობის მიმართ, აღასრულეთ, რაც შეგიტქვამსთ და მოწიწებით გარეშემოუარეთ ძველ სახლსა.

31. ასე გაისარჯეთ. ვინც პატივი ჰსცეს ამ ღვთის პატივსადებ წესებსა, ჯილდო ჰპოოს მან ღვთისა წინაშე. გექმებათ ცხოველთა ხორცი, აკრძალულთ გარდა, რომელთა თაობაზე წაკითხულ იქმნა თქვენდამი კურანში. კერპთა სისაძაგლეს გაექცით, ერიდენით ყოველ უკრუ სიტყვასა,

32. ღვთისა თავის მავედრებელნი ისე, რომ სხვა არსება არც ერთი დაუამხანაგოთ მას, ვინადგან ვინც რასმე დაუამხა-

ნაგებს მას, იგია მისებრი, რაც მალლითჯან ჩამოვარდება ხოლმე და ფრინველის მიერ მოტაცებულ, ანუ ქარის მიერ შორს წაღებულ იქმნება.

33. ღიახ, ასეა. ვინც პატრისა ჰსცემს ღვთის ძეგლთა (ვინც იცავს ამ წესებს), ჰსჩადის საქმეს, რომელიც გულღვთიანობისაგან გამომდინარებს.

34. ჯერ მიიღოთ მსხვერპლად შეწირული ცხოველთათვის ზურაცხელი სარგებლობა დანიშნულ დროზე; მერმე მსხვერპლთა აღგილი იქმნეს ძველს სახლში.

35. თვითოეულისავე ერისათვის დავადგინეთ წესი, რათა აღამიანთა მოიხსენონ სახელი ღვთისა საზრდოზე, რომელსაც მიანიჭებსთ მათ ჯოგთა შორის. თქვენი ღმერთი ერთად-ერთი ღმერთია, მიენდვენით სრულიად მას. ხოლო შენ მუჰამმად! ახარე ახალი წყალობანი თავმდაბალთა;

36. რომელთაც გული შიშით განემსჭვალებათ, როცა ღვთის სახელის მოწოდება ესმისთ, რომელნიც მათ თავს მომდგარ გაჭირვებას მოთმინებით აიტანენ, რომელნიც ვედრებასა დაიცვენ და სამოწყალოს გაიღებენ კეთილთაგან, რაოდენიც კი მათთვის გვიწილადებია.

37. აქლემები დაგვინიშნია გამოსაყენებლად სამსხვერპლო წესების ჟამსა. იმათგან სხვა სარგებლობაც ნახოთ აგრეთვე. მაშ წარმოჰსთქვით ღვთის სახელი მათზე, რაოდენიც დააზვარაკოთ. სამ ფეხზე უნდა იდგნენ, მეოთხე ფეხით დაბმულნი. როცა მსხვერპლი დავარდეს, შჭამეთ და მასაც უწილადეთ, ვინც დაჰსჯერდება, რასაც მიჰსცემენ, მასაც აგრეთვე, ვინც ითხოვს. იგინი დაგიმორჩილეთ თქვენ, რათა დამნახავ ყოფილიყავით.

38. ხორცი და სისხლი მსხვერპლისა ღმერთამდე ვერ მიაწვეს; თქვენი ღვთისნიერება კი აღველინება მის მიმართ; დაგიმორჩილათ ცხოველები იგი, რათა გედიდებინათ იგი; მიტომ რომ დაგაყენათ ჭემმარი ჯგზაზე. აუწყე მათ, რომელნიც კეთილს შვრებიან,

39. რომ ღმერთი მოჩუმუნეთა მფარველ უნდა ექმნეს, ურ-

ჯულოთა მზაკვრობის ჯავრითა, ვინადგან არ უყვარან მას ორგულნი და ურჯულონი.

40. ვისაც შეურაცხყოფა მიჰსდგომია, მათ დაჰპირდა ბრძოლას მათ მტრებთან; ღმერთს შეუძლია მფარველობა

41. მათთვის, რომელნიც უსამართლოდ განძევებულ იქმნენ თავიანთი ოჯახებითგან მხოლოდ მიტომ, რომ ამბობდენ: ჩვენი უფალი ერთად-ერთი ღმერთიაო. ღმერთს რომ არ გაეყარა ხალხის ერთი ნაწილი სხვათა მიერ, სავანეები, საყდრები, სალოცავები და მუსულმანთა სავედრებელნი, სადაც განუწყვეტლად მოუწოდებენ ღვთის სახელსა, დაიქცეოდენ. ღმერთი შეეწიოს მას, რომელიც მისკენაა მის ბრძოლაში არაწმიდების წინააღმდეგ. ღმერთი მორტყმულ და შემძლებელია.

42. შეეწიოს მათ, რომელნიც ამ ქვეყნის ბატონები ლოცვას ნამდვილად დაიცვენ, სამოწყალოს გაიღებენ, კეთილს ამცნებენ და ბოროტს აკრძალვენ. ღმერთს ეკუთვნის უკანასკნელი გამოსავალი ყველაფრისა.

43. თუ დაგწამონ მატყუარობა, მუჰამმად, იფიქრე: რომ მათ უწინარეს ნოეს, ადის, თემუდის, აბრაამის, ლოთის ხალხები, მადიანები მასვე ჰსწამებდენ თავიანთ წინასწარმეტყველებსა. მოსეც აგრეთვე მატყუარად ჩაჰსთვალეს. დიდხანს ვაცალე ურწმუნოებსა, მერმე კი მივაყენე მათ ჩემი სასჯელი. რა საშინელი იყო!

44. რამდენი ქალაქი დაგვიქცევია, რაკი სჯულგადამავალ ყოფილან. ეგრეთ არიან თავის თავად ჩაქცეულები, ხოლო ჯა ამოვსებულ და კოშკი აწოწოლებული.

45. განა არ უმგზავრიათ ქვეყანაში? მათ გულს განა არ შეუძლია გაგება? არა აქვსთ განა ყურნი სასმენლად. თვალთა ჩინი არ აკლიათ მათ, ხოლო მკერდს ამოფარებული გული უსინათლო აქვსთ.

46. სასჯელის დაჩქარება გაიძულონ; მოიცადონ. ღმერთი არასოდეს გარდახდება თავისს აღთქმასა. ერთი დღე ღვთის წინაშე ათას წელს უდრის თქვენს საანგარიშოს.

47. რაჲდენი ცოდვილი ქალაქი გაგვიშვია, დღე ბედნიერ ყოფილიყო ერთ ხანამდე! დაბოლოს გაგვიბასრავს იგინი ჩვენის სასჯელითა. ყველაფერი ჩვენდამი მოიქცევა.

48. ჰსთქვი: ხალხნო მე ვარ მოციქულ თქვენ დარიგებას დავალბული.

49. ვისაცა ჰსწამსთ და კეთილს შერებიან, ცოდვათა მიტევება და უხვი წყალობა მიიღონ.

50. ვინც ცდილობენ ჩვენის ძლიერების სასწაულთა დაჩაგვრას, ჯოჯოხეთი დაიმკვიდრონ.

51. ერთი მოციქული, ან მოვლინებული არ წარმოგვიგზავნია შენს უწინარეს უიმისოდ, რომ სატანას მათ ვედრებათა შორის არ გაეხიდა ცოდვილი რამ განზრახვა; ხოლო ღმერთი გააქარწყლებს მას, რასაც სატანა გახიდავს და თავის სასწაულთაც (მუხლთა) განამტკიცებს.

52. ხოლო ღვთისგან ნება დართულია მისი ქმნა, რათა სატანას მიერ შთაგონება განსაცდელად ექმნეს მათ, რომელთაც გული სნეულებითა აქვსთ შეპყრობილი, რომელთაც გული გაქვავებული აქვსთ (უკეთურნი ჩაცვივნულ არიან მწვანელობაში, რაც სიმართლეს ძლიერ შორავს).

53. რათა, ვისაც მეცნიერება მიუღიათ, იცოდენ, რომ კურანი ჭეშმარიტებაა, რომელიც გამოვალს უფლისაგან, რათა იწამონ, რათა მათნი გულნი დამდაბლდენ ღვთის წინაშე; ვინადგან მორწმუნეთა წარუძღვება იგი სწორის გზითა.

54. ურჯულოებმა არ დაიშალონ იქნეულობა, ვიდრე ჟამმა არ შეიპყროს იგინი უეცრად, ან არ შეპზაროს იგინი წარმწყმენდელის სასჯელის დღემან.

55. იმ დღეს, საბრძანებელი ყველაფრისა დარჩეს ღმერთსა, რომელმაც განაგოს ხალხი; მაშინ, ვისაც ჰსწამდათ და კეთილს შერებოდენ, წავიდენ საცხოვრებლად განცხრომის წალკოტებში.

56. ურჯულონი კი, რომელნიც ჩვენს სასწაულებს სიცურუედ ჰსთვლიდენ, მიეცნენ საძრახ სასჯელსა.

57. ღმერთმა მიანიჭოს ჩინებულის სასყიდელი მათ, რომელნიც გახიზნულან ღვთის საქმის გულისთვის, რომელნიც ამოწყვეტილან მებრძოლნი, ან დახოცილან მამულს მოშორებულნი. ღმერთმა უკეთ იცის სასყიდლის მონიჭება.

58. შეიყვანოს იგინი სამოთხეში იმ სახით, როგორც შათთვის მოსაწონ იქმნეს. ღმერთი მეცნიერ და კაცთ-მოყვარეა.

59. ასე იქმნეს. ვინც მიღებულის შეურაცხყოფის გულისთვის სამაგიეროს მკაცრადვე გადახდის ჟამსა ხელახლა მიიღოს კიდევ, შემწედ ეყოლოს მას თვითონ. ღმერთი. ღმერთს უყვარს პატიება. იგია შემბრალები.

60. მიტომ რომ ღმერთი ღამეს დღედ გამოიყვანს, ხოლო დღეს ღამედ; ისმენს და ხედავს ყველაფერსა.

61. მიტომ რომ ღმერთი თვითონ ჭემარიტებაა, ხოლო ღმერთები იგი, რომელთაც მის თანასწორ მოუწოდებთ, სიცრუეა, და რომ ღმერთი ზენარ, დიდ არს.

62. არ დაფიქრებიხარ, რომ ღმერთს ზეცით ჩამოჰყავს წყალი? მისგამო, დილისათვის, დედამიწა მწვანედ იმოსება. ღმერთი სიკეთით აღსავსეა და ყველაფრის მცოდნე.

63. მას ეკუთვნის ყველაფერი, რაცაა ცათა შინა და ქვეყანაზე. იგია მდიდარ, დიდებული.

64. ვერ ხედავთ, რომ ყველაფერი დაგიმორჩილათ, რასაც დედამიწა შეიცავს? ხომალდი ზღვაზე შიმორბის მისის ბრძანებით; მას უჭირავს ცა, რათა არ ჩამოწვეს დედამიწაზე, თუ არ მხოლოდ მაშინ, ოდეს ინებოს. ღმერთი აღსავსეა მოკეთებითა და მოწყალებითა კაცთა მიმართ.

65. იგი გაცოცხლებსთ, მანვე მოგაკვდინოსთ; მერმე გაცოცხლოსთ. ჭეშმარიტად ადამიანი უმადურია.

66. ჩვენ დავადგინეთ თვითოეულისავე ერისათვის საღვთო წესები, რათა შეჰსდგამოდენ მათ. მოიშალონ მაშ ბაასი შენთან ამ საქმის თაობაზე. მოუწოდეთ მათ უფლისადმი, ვინადგან შენა ხარ სწორე გზაზე.

67. თუ კიდევ გამოგებაასონ, უთხარი მათ, ღმერთმა უწყის თქვენი მოქმედება.

68. ღმერთმა გადაჰსკრას აღდგომის დღეს თქვენი საცილობელი.

69. არ იცი, რომ ღმერთმა ყველაფერი უწყის, რაცაა ცათა შინა და ქვეყანაზე? ყველაფერი ჩაწერილია წიგნში. ღვთისათვისაც ეს საადვილოა.

70. თაყვანს ჰსცემენ ღმერთებს ღვთისა თანასწორ, თუმცა ღმერთს მათთვის არავითარი საბუთი წარმოუგზავნა დასამტკიცებლად, რისაც არაფერი გაეგებათ, იმ ღმერთთა თაყვანცემისა, მაგრამ არაწმიდებს მფარველი არავინ ეყოლოსთ.

71. როცა ურჯულოებს უკითხვენ ჩვენს სასწაულებსა, ნახო, თუ ზიზღი როგორ გამოეხატოსთ პირისახეზე; მზად არიან, ეძგერონ მათ, რომელნიც უკითხვენ. უთხარი მათ: გაუწყობ რამე უფრო საშინელი? ცეცხლი აღუთქვა ღმერთმა მათ, რომელთაც არა ჰსწამსთ, ხოლო რა საშინელი აღსასრულია მშობისა!

72. ხალხნო! ჩამოგიგდებენ იგავსა; ყური დაუგდეთ. ვისაც ღვთის თანასწორ მოუწოდებთ, ერთს ბუზსაც ვერ გააჩენენ, კიდევ რომ ყველამ თავი მოიყაროს; ხოლო ბუზმა რომ მათ წაართვას რამე. ვერ გამოგლეჯენ. თაყვანცემულ და თაყვანმცემელი თანაბრად უძლურ არიან.

73. აღამიანები ვერ აფასებენ ღმერთსა ჭეშმარიტის ღირსებისამებრ: იგია მორკმულ და ძლიერი.

74. იგი ირჩევს მახარობლებსა კაცთა შორის და ანგელოზთა შორის; ისმენს და ხედავს ყველაფერსა.

75. უწყის, რაცაა მათ წინაშე და მათ უკან; იგია ყველაფრის სამზღვარი.

76. თქვენ, რომელთაცა გრწამსთ, მუხლი მოიყარეთ, განერთხენით, თაყვანი ეციოთ თქვენს უფალსა, კეთილი ჰქმენით და ცხონდეთ.

77. იბრძოლეთ ღვთის საქმის გულისათვის, როგორც

ჯერ არს ქმნა. მისმიერ არჩეულ ხართ. თქვენთვის არაფერი უბრძანებია საძნელო თქვენს სარწმუნოებაში, მამა თქვენს აბრაამის სარწმუნოებაში; გიწოდათ მუსულმანები (ვინც მიენდობიან ღმერთსა).

78. ასე გიწოდათ, ჩვენს უწინარეს, აგრეთვე ამ წიგნშიაც, რათა თქვენს წინასწარმეტყველს ემოწმებინა თქვენს წინაშე, ხოლო თქვენ მოწმედ ყოფილიყავით დანარჩენის ხალხის წინაშე. დაიცვით მაშ ვედრება, გაიღეთ სამოწყალო, მტკიცედ მიეკედლენით ღმერთსა; იგია თქვენდა პატრონ; ხოლო რა პატრონ და რა მფარველი!

თ ა ვ ი XXIII.

მ ო რ წ მ უ ნ ე ნ ი.

ნაბოძებია. მექას. — 118 მუხლი.

ს ა ხ ე ლ ი თ ა

ლ ვ თ ი ს ა

მ ო წ ა ლ ი ს ა და უ მ წ ა ნ ა რ ე ბ ე ლ ი ს ა.

1. ნეტარ არიან მორწმუნენი,
2. რომელნიც ლოცვას ჰყოფენ თავდაბლად,
3. რომელნიც ყოველ უპატიურ სიტყვას ერიდებიან.
4. რომელნიც სამოწყალოს გაიღებენ,
5. რომელნიც თავიანთ ხორციელ გულის თქმას იმორჩილებენ.
6. და რომელნიც გარშეოისაზღვრენ განცხრომას თავიანთ ცოლთა და მხევალთაგან, რაოდენიც კი მათთვის მარჯვე ხელს მიუღნიჭებია. ამ შემთხვევაშა დასაძრახავ როდი არიან.
7. ხოლო ვინც თავისს ნდომას განაუკიდურესებს, იგი შემცოდვა.

8. ვინც მათდამი საზრუნველად მიბარებულ საწინდარსა და ხელშეკრულობას დაიცვენ.

9. ვინც ლოცვის ჟამს დაიცვენ,

10. ივინი იქმნენ ჭეშმარიტნი მემკვიდრენი,

11. რომელთაც სამოთხე საუკუნო საცხოვრებლად დაიმკვიდრონ.

12. კაცი წმინდა კეცისაგან შეეკმენით;

13. შემდეგ გაუჩინეთ წვეთი თესლისა, დაცული მტკიცე სათესლეში.

14. შემდეგ თესლის წვეთისაგან გავაჩინეთ სისხლის დედო, მასუკან სისხლის დედოსაგან ნაჭერიხორცისა; მერმე ამ ხორცის ნაჭრისაგან გავაჩინეთ ძვლები, ხოლო ძვლები შევმოსეთ ხორცითა, მასუკან დავბადეთ ქვეყნად, როგორათაც სხვა ქმნილება. კურთხეულიმც იყოს ღმერთი, ყოვლად მარჯვე შემოქმედი.

15. დაბადების შემდეგ დაიხოცოთ.

16. ხოლო მასუკან აღდგენილ იქმნეთ აღდგომის დღესა.

17. თქვენს ზემოთ გავაჩინეთ შვიდი გზა (შვიდი ცა) და არც უგულებელს ვყოფთ ჩვენს გაჩენილსა.

18. ზეცით ჩამოგვყავს წყალი უწყებულის რაოდენობითა; დედამიწაზე დავანარჩუნებთ, მაგრამ მისი გაქრობაც შეგვიძლია.

19. ამ წყალის საშუალებით აღგვიორძინებია თქვენთვის ინდის ხურმა-ნარები და ზვრები. იქ ჰპოებთ ნაყოფსა უხვად, და საზრდოობთ მისგან.

20. აგრეთვე გავაჩინეთ ხე, რომელიც აღმართულია სინას მთაზე, რომელიც იძლევა ზეთს და წვენს კარგ საგემებელსა

21. ცხოველებშიაც გაქვსთ აგრეთვე საგანი მოძღვრებისა; გასმევთ რძეს მათ შიგანში დაცულისა; მისგან მრავალ სარგებლობას ჰპოებთ და თავსაც ისაზრდოებთ.

22. მოგზაურობთ ზოგჯერ მათ ზურგთა, შემსხდარნი ზოგჯერ კი ზღვისზედ დახვალთ ნაგებითა.

23. ნოე მოუყვლინეთ ჩვენ მის ერსა. მათ უთხრაჲ: ჩემო ერო? თაყვანი ეც ღმერთსა; რისი მაქნისია თქვენთვის სხვა ღმერთები? განა არ გეშინიათ მისი?

24. ხოლო თავ-კაცებმა მათ შორის, რომელთაც არ ჰსწამდათ, ჰსთქვეს, ჩვენსავით აღამიანია იგი, მაგრამ ჰსურს, გამოერჩიოს ჩვენ შიო; ღმერთს რო ვისიმე მოვლინება ენებებინა; ანგელოზთაგანს მოავლინებდა. მაგის არაფერი გვსმენია ჩვენის წინაპრებისაგან.

25. ეგ უთუოდ ეშმაკისაგან შეპყრობილი აღამიანიაო. ხოლო მოსვენებით ამყოფე ერთ ხანამდე.

26. უფალო; ღაღად ჰყო ნოემ, მომეშველე სიცრუის-ცილის წამების წინააღმდეგ.

27. მაშინ ნოეს გამოცხადება მივანიჭეთ, რა უთხარით: კიღობანი ააშენე ჩვენ თვალწინ და ჩვენის გამოცხადებისამებრ; რა წამსაც განჩინება წარმოითქვას და საგუბარმაც იხეთქოს.

28. შედი იმ კიღობანში და შეიყვანე წყვილ-წყვილად თვითოეულივე სადელმამლო, შენი სახლობაც აგრეთვე, თვინიერ გვამისა, რომლისათვისაც ბრძანება ჩვენი უწინარეს გამოცემულა; ნულარც მეღაპარაკები ბოროტთა სასარგებლოდ; ვინადგან ზვირთებისაგან ჩანთქმულ იქმნენ.

29. როცა დაიჭირო აღგილი, კიღობანში; აგრეთვე იმათაც, რომელნიც გახლდენ, იტყოდე მაშინ; აქებდით ღმერთსა, რომელმაც დაგვიხსნა ბოროტისაგან!

30. იტყოდე აგრეთვე; უფალო ჩემო. შენის სიკეთით აღსავსე აღგილზე ჩამომახდუნე. ვიდრე სხვას ვისმე, შენ უკეთ შეგიძლია, მომანიჭო ბედნიერი ჩამოსახტომი.

31. უჭველია რაც მოხდა, მაში ცხადი სასწაულებია, ხოლო ჩვენ მივაყენეთ კაცთა ჩვენი განსაცდელი.

32. ამას შემდეგ წამოვაყენეთ სხვა თაობანი.

33. მათ შორის მოვაფლინეთ მოციქულები, რომელნიც ეუბნებოდენ მათ: თაყვანი ეციოთ ღმერთსა. რისი მაქნისი არიან თქვენთვის სხვა ღმერთები? განა არ გეშინიათ მისი?

34. მაგრამ თავ-კაცები ურჯულო ხალხთა, რომელნიც მატყუარობად ჰსთვლიდენ ღვთის წინაშე გამოცხადებას, იმ ხალხთა, რომელნიც ჩვენ მიუშვით, დამტკბარიყვნენ ამასოფლის კეთილითა, გაიძახდენ: ეგ კაცი მხოლოდ თქვენსავით აღამიანია; შჯამს, რა საც თქვენა შჯამთ,

35. და სვამს, რასაც თქვენა სვამთ.

36. თუ დაემორჩილებით კაცსა, რომელიც თქვენი სწორია, უეჭველად წაწყდებით.

37. ნუ თუ წინასწარ გითხრასთ კიდევ, ძვლად და მტვრად ქცეულნი განა ხელახლავ დაუბრუნდეთ სიკოცხლესა?

38. შორს, შორს მისი წინასწარმეთქვობა?

39. არაა სხვა ცხოვრება თვინიერ მისა, რითაც ამ სააქაოს ვჰსტკებებით; ცოცხალ ვართ და დავიხოცოთ და არც აღდგენილ ვიქმნეთ.

40. მხოლოდ კაცმა მიაწერა ღმერთს სიცრუე; არ ვერწმუნოთ.

41. უფალო! ღალად ჰყო; მომეშველე ამ სიცრუის ცილის წამების წინააღმდეგ.

42. კიდევ რამდენიმე წამი და შეინანონო, უპასუხა უფალმა.

43. გაბრიელ ანგელოზის (ამომწყვეტის ანგელოზის) საშინელმა ძახილმა შეიპყრო იგინი, ჩვენც ვაქციეთ იგინი მსგავსად რისამე-ნაღვეშთა, ნიაღვარი რომ მოიტაცებს. შორს ბოჯოტნი!

44. მათ აღგიღს წამოვაცუნეთ სხვა თაობანი:

45. წინ არ წავაწევინებთ, არც უკან დავაწევინებთ, თვითოეულისავე ერის არსებობისათვის დანიშნულს აღსასრულსა.

46. ზედ მიყოლებით მოგვივლენია მოციქულები. ყოველთვის როცა მოვლინებული წამდგარა თავისი ერის წინაშე, ამას მატყუარად ჩაუგდია იგი; ერთი ხალხი ვაშემკვიდრეთ მეორეს და გაეხადეთ იგი საარაკოდ ერთა შორის. შორს იგინი, რომელთაც არა ჰსწამსთ!

47. შემდგომ მოვავლინეთ მოსე და მისი ძმა აარონ, ჩვენ

სასწაულებ თანახლებულნი და ცხადის უფლებით განმტკიცებულნი

48. თარაოსა და მის სამეფოს დიდებულთა მიმართ; თავს გავიდენ სიამაყისაგან; დიდგული ხალხი იყო.

49. განა უნდა ვერწმუნოთო, ამბობენ, რა კაცსა, ჩვენ სავით, და რომლის ხალხიც ჩვენი მონაა?

50. ორნივე მატყუარებად ჩაჰსთვალეს და ამოჰსწყვიტეს.

51. მოსეს დაბადება მივანიჭეთ, რათა ისრაელები წარმართებულ ყოფილიყვნენ ჭეშმარიტ გზაზე.

52. მარიამის ძისაგან, აგრეთვე მისის დედისაგან სასწაული ვყავით ხალხისათვის. მათ ორთავ მივანიჭეთ საცხოვრებლად ადგილი მაღალი, მყუდრო და წყაროს წყალით აღსავსე.

53. ღვთის მოვლინებულნო, ისახრდოეთ თავი კარგ საგემებელის საჭმელითა; კეთილი ჰქმენით; მე უწყი თქვენი მოქმედება.

54. თქვენი სარწმუნოება ერთია. თქვენი უფალი ვარ, ჩემი გეშინოდესთ.

55. ხალხნი დაიყვნენ სხვა და სხვა რჯულად, და თვითოეულივე შეჰხარის მას, რაცა აქვს

56. დაჰსტოვე ისინი თავიანთ შეცდომილებაში ვიდრე უწყებულ ჟამამდე.

57. ნუ თუ ჰგონიათ, მივანიჭოთ პრავალი წელი, თუ შევიძინეთ ქონება და ვაჟიშვილები;

58. დავეშუროთ ყოველგვარის ქონებით მათთვის ხელის გამართვასა?

59. ვისაც შიში თავიანთი უფლისა განსჭვალავს;

60. ვისაცა ჰსწამსთ სასწაულები, მათის უფლისაგან მათდამი მოვლინებული,

61. ვინც ღმერთს არ უამხანაგებენ სხვა ღმერთებსა,

62. ვინც სამოწყალოს გაიღებენ და ვისაც გული შიშითა აქვსთ განმსჭვალული, ვინადგან ერთ დღეს, თავიანთი ღვთის წინაშე უნდა მიიქცნენ,

63. იგინი ესწრაფვიან ერთმანერთის მოშურნეობით კეთილ საქმეებს და ეწვიან.

64. თვითოეულსავე სულსა დაეაკისრებთ ტვირთსა, რომლის ზიდვაც შეუძლია. დადებული გვაქვსთ წიგნი, რომელიც ჭეშმარიტებას აჩვენებს; ადამიანთ უსამართლოდ როდრი მოეპყრობიან.

65. ხალხო გული ჩაფლული აქვსთ შეცდომილებაში, ამ სარწმუნოების თაობაზე; მათნი საქმენი სულ სხვანი არიან, ვიდრე მორწმუნეთანი და იწვრთიან,

66. ვიდრე იმ ჟამამდე, ოდეს ყოვლად კმაყოფილთაგანი მათ შორის შევზაროთ ჩვენის სასჯელითა. მაშინ შფოთისებური ყვირილი შექმნან.

67. მათ უთხრან: დღეს ყვირილი მოიშალებთ, ვერავითარი შემწეობა მიიღოთ ჩვენგან.

68. ოდესმე თქვენ გიკითხვიდნ ჩვენს სწავლასა, მაგრამ პირს იბრუნებდით.

69. სიამაყისაგან თავს გასულებმა, ღამით ლაპარაკში უგუნური სიტყვების წარმომთქმელებმა,

70. ნუ თუ ყური არ ათხოონ მას, რასაც მათ ეუბნებიან? განა მოევლინათ გამოცხადება მათ წინაპართათვის უცნობი?

71. ვერ ჰსცნობენ განა თავიანთ მოციქულს იმდენად, რომ უარპყონ იგი?

72. ნუ თუ ჰსთქვან, ეშმაკეულიაო? ამასობაში კი მათთვის ჭეშმარიტება მოაქვს; მაგრამ მომეტებულს ნაწილს მათ შორის ჰსძაგს ჭეშმარიტება.

73. ჭეშმარიტება რომ აპყოლოდა მათ გულის თქმას, ცანი და ქვეყანა და ყველაფერი, რასაც იგინი შეიცვენ, ჩამოიქცეოდნ უწესრიგოდ. ჩვენ მოუვლინეთ მათ უწყება, მაგრამ ერიდებიან.

74. სასყიდელი ნუ თუ მოჰსთხოო მათ? სასყიდელი შენის უფლისა უმჯობესია: იგია კეთილთა საუკეთესო დამრიგებელი.

75. მათი მომწოდებელ ხარ ჭეშმარიტ გზაზედა;

76. მაგრამ ვისაც არა ჰსწამს მომავალი ცხოვრება, განელტვიან.

77. მათთვის რომ გულ-მტკივნეულება გვეჩვენებინა და ჩვენი დაგვეხსნა მათის შემაჭირებელის ბოროტისაგან, არა ნაკლებ გაჰსწევდენ უდიერობას თავიანთი ცოდვის დაბრმავებაში.

78. ჩვენის სარჯელით შევზარეთ იგინი, მაგრამ მაინც არ დაიმდაბლეს თავი, არც აღავლინეს ჩვენდამი ლოცვა თავდაბლად.

79. ასე იყო ვიდრე იმ ჟამამდე, როცა გავაღეთ კარა საზარელის ტანჯვისა; მაშინ თავი მიჰსცეს სასოწარკვეთილებას.

80. ღმერთმა მოგანიჭათ სასმენელი, სახედველი და გული. რა მცირედია რიცხვი დამნახველთა!

81. მან დაგბადათ ქვეყნად და უნდა მიიქცეთ მასთანვე.

82. იგია მაცოცხლებელ და მომაკვდინებელი; მაზე ჰკიდია რიგრიგად შემოსვლა დღეთა და ღამეთა. ნუ თუ ვერ ჩახვდეთ?

83. ხოლო ისინი. ლაპარაკობენ, როგორათაც ლაპარაკობდენ უმანდელნი ხალხნი.

84. ამბობენ: ოდეს დავიხოცოთ და ჩვენგან ძელისა და მტვის მეტი აღარაფერი დარჩეს, განა სული ხელახლა ჩაგვედგას?

85. ამას ოდესღაც გვეუბნებოდენ ჩვენ; ისე როგორათაც ჩვენს მამებს; ძველის დროების ზღაპრებია ესა.

86. ჰკითხე მათ: ვის ეკუთვნიან ცანი და ქვეყანა და ყველაფერი, რაც არსებობს? ჰსთქვით, თუ იცით.

87. პასუხად ჰსთქვან: ეგ ყველაფერი ღმერთს ეკუთვნის. უთხარი მათ მაშინ: ნუ თუ არ დაუფიქრდეთ?

88. ჰკითხე მათ: ვინ არს უფალი შეიღის ცისა და უმაღლესის ტახტისა?

89. პასუხად ჰსთქვან: ღმერთი. უთხარი მათ: ნუ თუ შიში არ გექმნესთ მისი?

90. ჰკობხე მათ: ვის ხელთაა უფლება ყველაფრისა? ვინაა მფარველ და ვის არ ჰსჭირია არავის მფარველობა? ჰსთქვით, თუ იცით.

91. პასუხად ჰსთქვან: ღმერთიო. უთხარი მათ: თავს რად-ღა აბრიყვებინებთ მოტყუებითა?

92. დიად, ჩვენ მოუვლინეთ მათ ჰეშმარიტება; მაგრამ მხოლოდ მატყუარ არიან იგინი.

93. ღმერთს ძე როდი ჰყავს და არცა არს სხვა ღმერთი მის თანასწორ, თორემ თვითოეულივე ღმერთი გაივლიდა თავის განაჩენთან ერთად და ზოგიერთები სხვების უმაღლეს იქმნებოდენ. დიახ შორავს ღვთის დიდებასა სიცრუე, რომელსაც იგონებენ;

94. ღმერთსა, რომელთაც უწყის ხილული და უხილავი წინეტები; იგია უმაღლეს იმ არსთა, რომელთაც მას უამხანავებენ.

95. ჰსთქვი: უფალო, მახილვებინე სასჯელნი, რომელნიც მათდამი წინასწართქმულ არიან

96. და ნუ დამადგენ, უფალო, უსამართლოთა შორის.

97. შეგვიძლია, გახილვებინოთ სატანჯველნი, რომელთაც ემუქრებოდენ მათ.

98. მიაგე მათ კეთილი ბოროტის მაგიერ; ვიდრე ვინმე დახვამ, ჩვენ ვიცით უკეთ, რასაც ამბობენ.

99. ჰსთქვი: უფალო, თავშესაფარს ვეძებ შენს წინაშე ეშმაკთა შთაგონების წინააღმდეგ.

100. შენ გეხვეწები, რათა ვერ მომეკარონ.

101. არაწმიდა, სიკვდილის ჭამსა; იძახის: უფალო! ქვეყნად დამაბრუნე,

102. რათა ვიღვაწო კეთილი, რომელსაც უგულებელ უყოფდი.—არა და არა. ამისთანა იქმნეს სიტყვა, რომელიც ღმერთმა წარმოჰსთქვას; ხოლო მათ უკან აიმართოს ზღუდე, ვიდრე იმ ჭამამდე, ოდეს იგინი აღდგენილ იქმნენ.

103. ოდეს ბუკმა დაიყვიროს, ოჰ! მაშინ აღარ იქმნეს

მათ შორის ნათესაობის კავშირი. ნათესაობის კავშირს ბოლო მოეღოს. ერთმანერთს ველარაფერს დაეკითხონ.

104. ვისმა სასწორმაც გადინხაროს, ნეტარებით დაჰსტკბენ იგინი.

105. ვისთვისაც სასწორი მსუბუქ იქმნეს, იგინი იქმნენ წაწყმენდილი ხალხი, დასჯილი სამარადისოდ ჯანაბაში დასარჩენად.

106. ცეცხლმა დაუქამოსთ მათ პირისახე, ხოლო ყურები დაეგრინოსთ.

107. განა არ წაუკითხავთ თქვენთვის ჩემი მოძღვრება (კურანის მუხლები): სიცრუედ მიგაჩნდათ.

108. ჰსთქვან: უფალო, ჩვენმა შავბედმა დაგვჰსძალა და შეცდომილებაში ვიყავით.

109. უფალო! გაგვიყვანე აქეთგან; თუ კიდევ ჩავცვივდებო ჩვენს ცოდვაში, ყოვლად არაწმინდა ვიქმნეთ.

110. შიგ მჩემწყვდიენითო, ლალად ჰყოს მათდამი ღმერთმა; სიტყვაც არ მომმართოთ.

111. როცა ერთი ნაწილი ჩვენ მომხრეთა შორის ღალადებდა: უფალო! ჩვენა გერწამს, აღხოცე ჩვენი შეცოდებანი, შეგვიწყალე, შენ ხარ ყოვლად მოწყალეო.

112. თქვენის დაცინვის საგნად გაიხადეთ, იქამდე რომ მან (დაცინცამ) დაგავიწყებინათ ჩემი სახელი. (ჩემი ერთგული მსახურები) თქვენის დამცინავის ღიმილის საგნად გამხდარიყვენ.

113. დღეს დავაჯილდოო იგინი მათის მოთმინებისათვის და ნეტარნიც იქმნენ.

114. ღმერთმა ჰკითხოს მათ: რამდენ წელიწადს დარჩით ქვეყანაზედ?

115. მიუგონ: მარტო ერთს დღეს დავრჩით, ან მხოლოდ დღის ერთ რასმე ნაწილსა. უმჯობესია, ჰკითხოთ მათ, რომელნიც ითვლიან.

116. იქ ცოტა ხანს დარჩით. მაგრამ არ იცით.

117. ნუ თუ გეგონათ, ტყუილუბრალოდ გვეყავდით გაჩე-

წილი და არ გამოცხადდებოდით ჩვენს წინაშე? იდიდოს ღმერთი იგი, ქეშმარიტი მეფე; არა არს სხვა ღმერთი მისა თვინიერ. იგია შეუფე დიდებულის ტახტისა. ვინც მოუწოდებს სხვა ღმერთებს ღვთის თანასწორ და ამისთანა თაყვანისცემის დასამტკიცებლად კი არაფერს საბუთს მოაჭანს, მას ექმნეს თავისი ანგარიში ღმერთთან, ხოლო ღმერთმა არ ახეიროს ურჯულოები.

118. ჰსთქვი: უფალო, აღხოცე ჩემნი შეცოდებანი და შემიწყალე; შენ ხარ ყოვლად მოყვალე.

თ ა ვ ი XXIV

ს ი ნ ა თ ლ ე

ნაბოძებია მედინეს.—64 მუხლი.

ს ა ხ ე ლ ი თ ა

ღ ვ თ ი ს ა

მოწყალისა და შემწყნარებელისა.

1. აი სურათი, რომელიც გადმოვაგლინეთ და სავალდებულო ვყავით: ამ სურათში გადმოვაგლინეთ ცხადი სასწაულები (ნათელი მუხლები), რათა გეფიქრებინათ.

2. მეძავ კაცსა და ქალსა გაუჩინოთ თვითოსასი დაკვრანქეპლისა; სიბრალულმა არ შეგაყენოსთ ამ ღვთის ცნების აღსრულებაში, თუ ღმერთი გრწამსთ და უკანასკნელი დღესასჯელი აღსრუოდეს მორწმუნეთა უწყებულის რიცხვის თანადასწრებითა.

3. მეძავმა კაცმა უნდა შეირთოს მხოლოდ მეძავი ქალი, ანუ კერპთ თაყვანის მცემელი, აგრეთვე მეძავი ქალი უნდა მიჰსთხოვდეს მხოლოდ მეძავს კაცსა, ანუ კერპთ თაყვანისმცემელსა ამისთანა კავშირები აკრძალულია მორწმუნეთათვის.

4. ვინც ბრალს დაჰსდებენ პატიოსან ქალებსა, ისე რომ ოთხი მოწმეც ვერ მოიყვანონ, იგინი დასჯილ იქმნენ წყევლის ოთხმოცის დაკვრითა; მეტადრე აღარასოდეს მიიღოთ მათი მოწმობა, რაშიაც უნდა იყოს, ვინადგან ბოროტ არიან;

5. თუ არ შეინანეს თავიანთი ძვირის მოქმედება და სამაგალითოდ არ დაიჭირეს თავი; ვინადგან ღმერთია შემბრალებ და შემწყნარებელი.

6. ვინც თავიანთ ცოლებს ცილი დაჰსწამონ და თავიანთ თავს გარდა სხვა მოწმენი ვერ იშოონ, ოთხჯერ შეჰფიცონ ღმერთსა, რომ სიმართლეს იტყვიან.

7. მეხუთეჯერ კი, მოსაწოდებლად თავიანთ თავზედა ღვთის მიერ შეჩვენებისა, თუ იცრუეს.

8. არაფერი სასჯელი მიეცეს ქალსა, თუ დაიფიცა ოთხჯერ ღვთის წინაშე, რომ მისმა ქმარმა იცრუა.

9. მეხუთეჯერ კი, თავისს თავზე მოსაწოდებლად ღვთის რისხვისა, თუ მართალია, რაც მისმა ქმარმა აღიარა.

10. დაუღვეველი წყალობა რომ არ ყოფილიყო ღვთისა და მისი შებრალება, მაშინვე დაგჰსჯიდათ; მაგრამ მას უყვარს მიტევება და მოწყალება.

11. ვინც სიცრუე აღიარეს, თქვენ შორის ბლომად არიან, მაგრამ ნუ უტყერით ამას, როგორც ბოროტებსა; უფრო სასარგებლოა თქვენთვის. თვითოეულივე მათგანი, ვისაც ასეთი ცოდვა ბრალდებოდეს, დასჯილ იქმნეს; ვინც სამძიმო გახადოს იგი, საშინელი სასჯელი განიცადოს.

12. როცა გესმათ ბრალდება, ორთავ სქესის მორწმუნენი განა არ ფიქრობდენ გულში საკეთილოდ ამ საქმისათვის? განა არ უთქვამთ: ცხადი სიცრუეაო?

13. ცილის მწამებლებმა რად არ მოიყვანეს ოთხი მოწმე? ხოლო თუ ვერ მოიყვანეს, ღვთის წინაშე მატყუარყოფილან.

14. დაუღვეველი წყალობა რომ არ ყოფილიყო ღვთისა და მისი შემბრალებობა, სააქაოს და საიქიოს, საზარელი სატან-

ჯველი გეწეოდათ სასჯელად იმ ხმისა, რომელიც დაჰყარეთ, როცა პირით პირად არონინებდით, როცა თქვენის ბაგით ამბობდით, რისაც ცნობა არ გქონდათ; რასაც უყურებდით, როგორათაც მსუბუქრასმე ნივთსა, რაც სამძიმოა ღვთის წინაშე.

15. ხმა იგი რაკი მოგესმათ, რად არა ჰსთქვით, უფალო! რად უნდა ვილაპარაკოთ. ესაო? შენმა დიდებამან, ღმერთო! ფიცხელი ცილის წამებაა ეს.

16. ღმერთმა გამხილათ, როგორ გაუფრთხილდებო კვლავ ამგვარ დაბრალებასა, თუ მორწმუნე ხართ.

17. ღმერთი ავიხსნისთ თავისს სწავლასა; იგია მეცნიერ და ბრძენი.

18. ვისაც მოჰსწონსთ ცილის მწამებელ სიტყვათა გავრცელება მორწმუნეთა თაობაზე, მათ განიცადონ საუბედურო სასჯელი

19. სააქაოს და საიქიოს. ღმერთმა ყველაფერი უწყის, თქვენ კი არაფერი იცით.

20. დაუღვევლი წყალობა რომ არ ყოფილიყო ღვთისა და მისი შემბრალეობა, დაგჰსჯიდათ, მაგრამ იგია კაცთმოყვარე და მოწყალე.

21. მორწმუნენო! ნუ მიჰყვებით სატანას კვალსა; ვინადგან ვინც მის კვალს მიჰყვება, სატანა ამცნებს მას სისაძაგლესა და საძრახ საქმეს, ხოლო ღვთის წყალობა რომ არ ყოფილიყო და მისი შემბრალეობა, თქვენში ერთიც არ იქმნებოდა ოდესმე უმანკო; ხოლო ღმერთი ვისაც ნებავეს, იმასა ჰყოფს უმანკოს; ესმის და ხედავს ყველა ფერსა.

22. მდიდრები და შეძლებულები თქვენ შორის ნუ დაიფიცვენ, გულუხვობას აღარ უჩვენებთ ჩვენს მშობლებს, ღარიბებს და მათაც, ვინც ოდესმე მამულითგან განძევებულ ყოფილან ღვთის საქმისათვის; მიუტეონ მათ შეცოდებანი მათნი და მოეცალნენ. არ გინდათ განა; ღმერთმა მოგიტეოსთ აგრეთვე? იგია მოწყალე და შემბრალებელი.

23. ვინც ბრალს რასმე ჰსდებენ პატიოსან ქალებს, მორ-

წმუნე ქალებს, მაშინ როცა მათ პირწყალ-ძლიერთ არ აწუხებსთ თვალ-საჩინობა, წყეულ იქმნენ სააქაოს და საიქიოსაც; განიცადონ საშინელი სატანჯველი.

24. ერთ ღღეს მათმა ენებმა, მათმა ხელებმა და მათმა ფეხებმა იმოწმონ მათ წინააღმდეგ.

25. იმ ღღეს, ღმერთმა სწორედ გაჰსწმინდოს მათი ვალები; მაშინ იცნონ, რომ ღმერთი თვითონ ჭეშმარიტებაა.

26. ურცხვი ქალები გაჩენილ არიან ურცხვის კაცებისათვის; ურცხვი კაცები გაჩენილ არიან ურცხვის ქალებისათვის. ქველი ქალები ქველის კაცებისათვის და ქველი კაცები ქველის ქალებისათვის. განბანილ იქმნენ ცილისმწამებელ სიტყვათაგან; მოწყალეობა ღვთისა მათ შეეძინოსთ ისე, როგორათაც დიდნახელავი რამ საჩუქრები.

27. მორწმუნენო! ნუ შეხვალთ უცხო სახლში, ისე, რომ არ ითხოვთ ნებართვა და არ მიემშვიდობოთ იქ მცხოვრებთ. უფრო გიჯობსთ. დაუფიქრდით.

28. თუ ვერავინ იპოვოთ, ნუ შეხვალთ, თუ მხოლოდ ნება არ დაგრთონ. თუ გითხრან, მიბრძანდითო, მაშინვე წამოდით, უფრო თავწმინდა იქმნეთ. ღმერთმა უწყის თქვენი მოქმედება.

29. არა უშავს რა, თუ შეხვედით სახლში, სადაც არავინ ცხოვრობს; იქ შეგიძლიათ სასურველად მოეწყოთ. ღმერთმა უწყის, რასაც ცხადად აწარმოებთ და რასაც ჰმალავთ.

30. მორწმუნეთა ამცენ, დაბლა დაიხედონ და მოკრძალება იქონიონ. უფრო თავწმინდა იქმნენ, ღმერთი მცოდნეა ყველაფრისა, რასაც შერებიან.

31. მორწმუნე ქალებს ამცენ, დაბლა დაიხედონ და მოკრძალება იქონიონ და თავიანთ სამკაულთა შორის გამოიჩინონ მხოლოდ, რაც გარეთაა, გულმკერდი დაიფარონ საბურველითა, და სამკაულები აჩვენონ მარტო თავიანთ ქმრებს ანუ თავიანთ მამებს, ანუ თავიანთ მამამთილებს, თავიანთ ვიჟიშვილებს, ანუ თავიანთ ქმართა ვაჟიშვილებს, თავიანთ ძმებს, ანუ თავიანთ ძმისწულებს (ვაჟებს), თავიანთ (დისწულებს ვაჟებს),

ანუ იმათ ცოლებს, ანუ თავიანთ მონებს, ანუ მოსამსახურე კაცებს, რომელთაც ქალები არ ჰსჭირიათ, ანუ ბავშვებს, რომელნიც ჯერ კიდევ ვერ არჩევენ ქალის სასქესო ნაწილებსა. ქალებმა ფეხი არ გადაჰსდგან ისე, რომ გამოუჩნდესთ თავიანთი ფარული სამკაულები. მიიქციეთ გულნი ღვთისაკენ, რათა ნეტარ იყვნეთ.

32. ცოლშეთურთველ თქვენ მსახურებს დართეთ თქვენი მხევლები; თუ ღარიბად იყენენ, ღმერთმა დაამდიდროს იგინი თავისი წყალობის საუნჯითა; ვინადგან ღმერთი განუზომელია, ყველაფერი უწყის.

33. ვინც სამეუღლო ვერ იშოვნონ თავიანთი სიღარიბისა გამო, თავდაჭერით იცხოვრონ, ვიდრე ღმერთი გაამდიდრებდეს მათ თავისი მოწყალებითა. თუ ვინმე თქვენმა მონათგანმა გთხოვსთ თავისი თავის გათავისუფლება წერილითა, მიანიჭეთ, თუ ღირსად ჩაჰსთვალათ. მიჰმადლეთ მათ ცოტადენ იმ კეთილთაგან, ღმერთს რომ უწყალობებიან თქვენთვის. ანუ აიძულებთ თქვენს მოახლეებს მრუშებას, რათა შეგძინონ თქვენ წარმავალი კეთილი ამა სოფლისა, თუ ჰსურსთ შეინახონ თავიანთი მორცხვობა. ხოლო თუ ვინმე აიძულებს, ღმერთი მათ აპატიებს იძულების მიზეზისა გამო; იგია შემბრალე და გულშემატკივარი.

34. გამოგიცხადეთ თქვენ მუხლნი, რომელნიც თქვენ განგიმარტებენ ყველაფერს ნათლად თქვენს უწინარეს ყოფილთა მაგალითებითა, და რომელნიც უწყებად არიან ღვთის მოშიშთათვის.

35. ღმერთი სინათლეა, ცათა და ქვეყნისა. სინათლე იგი თითქო იყოს კერა, სადაც ლამპარი იპოება, ბაზმა ჩასმული ბროლსა, ბრწყინვალე ვარსკვლავის დასადარ ბროლში; ბაზმა იგი ინთება ზეთითა ზეთისხილის კურთხეულის ხისა, რომელიც არც აღმოსავლეთში, არც დასავლეთშია, და რომლისა ცეცხლის მიუკარებლადაც კი იწვის; იგია სინათლე სინათლეზე. ღმერთი წარუძღვება თავის სინათლისაკენ,

ვისაც ინებებს, და ადამიანთა წინადაუდებს იგავებსა, ვინადგან ყველაფერი უწყის.

36. იმ სახლებში, ღმერთმა რომ ნება დართო აგებისა, რათა მისი სახელი განმეორებულყო ყოველდღე დილას და საღამოს,

37. ღალადებენ მის ქებასა კაცნი, რომელთაც ვაჭრობა და ხელშეკრულობა ვერ მოაშლევინებს ღვთის მოგონებისა, ვედრებისა და მოწყალების მკაცრად დაცვასა, მათ ეშინიათ იმ დღისა, ოდეს ადამიანებს გუღონი და თვალნი ამღვრეულ ექმნესთ;

38. იმ დღისა, რომელიც ღმერთმა დანიშნა ყველა ადამიანთა დასაჯილდოებლად მათ ჩინებულ საქმეთაებრ და მიტომაც, რომ ივინი აევისო თავისი წყალობითა. ღმერთი, ვისაც ნებავეს, მას აძლევს საზრდოს და უთვალავსაც.

39. ურწმუნოთა ნამოქმედარი იქმნეს უდაბნოდ მოღალადებისაებრი, რომელიც წყურვილით მაშვრალს წყალი ჰგონია, ვიდრე მივიდოდეს და ვერაფერს იპოვიდეს. ხოლო თავის წინაშე მან ჰპოოს ღმერთი, რომელმაც მისი ანგარიში გაასწოროს. ღმერთი სწრაფია თავის ანგარიშში.

40. მათი ნამოქმედარი კიდევ ჰგავს წყვდიადსა; განრთხმულსა უფსკრულ ზღვაზედ, რომელსაც ბურავს აბობოქრებული ზვირთები; წამოიწევს სხვა ტალღები, მასუკან ღრუბელი, ხოლო მას შემდეგ წყვდიადი წყვდიადზე დაზვინებული; ადამიანი ხელს გაიშვერს, მაგრამ კი ვერ დაინახავს. ღმერთმა რომ არ მიჰსცეს სინათლე ადამიანს, სად იშოოს?

41. არ გიფიქრია, რომ ყველაფერი, რაცაა ცათა შინა და ქვეყანაზე, უთხრობს ღვთის ქებასა, და ფრინველებიც, მიტომ შლიან თავიანთ ფრთებსა? ყოველმა ქმნილებამ იცის ღლოცვა და თქმა მისის ქებისა; ღმერთმა უწყის მათი საქმეები.

42. ღმერთს ეკუთვნის სასუფეველი ცათა და ქვეყნისა. იგია წერტილ, სადაც ყველაფერი დასრულდება.

43. არ გიფიქრია, თუ ღმერთი რა ადვილად ჰსძრავს

ღრუბლებსა, როგორ თავს უყრის და ნაკუწ-ნაკუწს დააზინებს; შემდგომ ხელავ, მომავალს მათის წიაღით, უშველებელ წვიმასა; იტყობი, თუ ზეცით გადმოავლინებს სეტყვის დიდრონ მთებსა, რომელთაც აკვეთებს, ვისაც ნებავეს და ააცილებს, ვისაც ნებავეს. ჰლამის მეხის ელვარებამ კაცებს თვალით მოჰსჭრას.

44. ღმერთს რიგრიგად შემოჰყავს დღე და ღამე. უეჭველია ამაშია გასაშტერებელი მაგალითი გონება-მიმადლებულ კაცთათვის. მისი გაჩენილია ყველა ცხოველები. ზოგნი მუცლით დადიან, სხვები ორის ფეხით, სხვებიც ოთხითა: ღმერთი შეიქმს, რასაც ინებებს, ვინადგან ყოვლად ძლიერია.

45. ჩვენ გამოგიცხადეთ მუხლნი, რომელნიც ყველაფერს ნათლად განგიმარტებენ თქვენ. ღმერთი უძღვის, ვისაც ნებავეს, სწორის გზით.

46. პირმოთენი ამბობენ: ჩვენ ვიწამეთ ღმერთი და მოციქული და მორჩილიც ვიქმნეთო. ხოლო მასუკან ერთი ნაწილი მათ შორის უბრუნდება თავისს გზათა კვალს და აღარც მორწმუნეა.

47. როცა მოუწოდებენ მათ ღვთისა წინაშე და მისის მოვლინებულის წინაშე, რათა (ღმერთმა და მოვლინებულმა) გაიკითხონ იგინი, აჰა ერთი ნაწილი მათ შორის გაშორდება და პირს შეაქცევს.

48. ქეშმარიტება რომ ყოფილიყო მათკენ, დამორჩილდებოდნ და მიიქცეოდნ მასთან.

49. სნეულება ხომ არ შეპარვიათ გულსა, ან ხომ არ ეჭვობენ, თუ შიშობენ, ღმერთმა და მისმა მოციქულმა არ შეაყდინონ იგინი? — არა, მაგრამ უკეთურ არიან.

50 როგორ მეტყველებენ მორწმუნენი, როცა მათ მოუწოდებენ ღვთის წინაშე და მისის მოვლინებულის წინაშე, რათა გაიკითხონ იგინი? ამბობენ, გვესმა და ვემორჩილებითო. ნეტარ იქმნენ.

51. ვინც ღმერთსა და მისს მოვლინებულს ემორჩილება, ვისაც ღვთის ეშინია, მას ეკრძაღვის, ნეტარ იქმნეს.

52. ღვთის წინაშე დაიფიცეს ყოვლად უჩინებულგისი ფიციტ, თუ საომრად წასვლას გვიბრძანებს, ავასრულებთო. უთხარი მათ: ნუ იფიცავთ; მორჩილებასა აქვს ფასი. ღმერთმა უწყის თქვენი მოქმედება.

53. უთხარი მათ: ღმერთს დაემორჩილეთ და მის მოვლინებულს დაემორჩილეთ. თუ ზურგი შეაქციეთ, მისი ანგარიში არ მოჰსთხოონ. მისგან ელიან მხოლოდ მისს მოქმედებასა, როგორათაც თქვენგან ელიან თქვენსას. თუ დაემორჩილეთ, წარგემართოს თქვენ. მხოლოდ საჯარო ქადაგებაა მოციქულის მოვალეობა.

54. ღმერთმა აღუთქვა მათ, რომელნიც იწამებენ და კეთილს იზმენ, ამა ქვეყნის მემკვიდრეებად დადგენა, ისე როგორათაც მან ამემკვიდრა თქვენი წინაპრები ურჯულოებს, რომელნიც მათ უწინარეს იყვნენ; მათ აღუთქვა მტკიცედ დამყარება სარწმუნოებისა, რომლის მიცემა მათთვის ინება, და მათის ნაღვლიანობის შეცვლა უდარდელობად. თაყვანი მცენ და არც ერთი სხვა არსება დამიამხანაგონ თაყვანისცემის დროს. ვინც ამ უწყების შემდეგ მაინც ურჯულო დარჩებიან, არა წმინდა იქმნებიან.

55. მაშ ლოცვა ნამდვილად დაიცევით, სამოწყალო გაილეთ, მოციქულს დაემორჩილეთ და განიცადოთ ღვთის მოწყალეობა.

56. ნუ დაიჯერებთ, ურჯულოებს შეეძლოსთ ღვთის ძლიერების დასუსტება ქვეყნიერობაზე, მხოტ, რომელთაც სამკვიდროდ ცეცხლი ექმნესთ. ხოლო რა საზარელი ადგილ-საუწყოფია!

57. მორწმუნენო! თქვენმა მონებმა, ისე როგორათაც ამ შვილებმა, რომელნიც არ გადამდგარან მოწიფულობის ხანში, თქვენთან შემოსვლამდე, ნებაროვა გთხოონ, ისიც სამჯერ დღეში; ცისკრის ლოცვამდე, მერმე, როცა გაიხადოთ

ამოსელი შუადღისას, მასუკან მწუხრის ღოცვის შემდეგ; სამი ჟამი იგი პატივცემულ უნდა იყოს თავაზიანობისამებრ. ცუდი არ იქმნეს არც თქვენთვის, არც მათთვის, თუ გვახლნენ თქვენ სხვა დროებში ნება-დაურთველად, როცა ერთმანერთის მოსაკითხავად დადიხართ. ასე აგიხსნისთ ღმერთი თავისს სასწაულებსა. ღიახ მეცნიერ და ბრძენია.

58. როცა თქვენი შვილები მოწიფულობის ხანში გადამდგარიყვნენ, თანამდებ იქმნენ, ყოველ ჟამსა, გთხოონ ნება-რთვა შემოსვლისა, როგორათაც თხოვილობდენ იგინი, რომელნიც გადამდგარან ამ ხანში მათ უწინარეს. ესრეთ აგიხსნისთ ღმერთი თავისს სასწაულებსა. ღიახ მეცნიერ და ბრძენია.

59. ქალებს, რომელნიც აღარ შვილოსნობენ და რომელთაც აღარა აქვსთ იმედი გათხოვებისა, შეუძლიათ, მოურიდებლად, მოიხადონ სამოსელი, მხოლოდ კი არ გამოიჩინონ სამკაულები; მაგრამ თუ აიკრძაღეს, მათთვის უმჯობეს იქმნეს. ღმერთს ესმის და უწყის ყველაფერი.

60. ცოდვად არ ჩაეთვლება ბრმასა, არც კოჭლსა, არც სნეულსა ჭამა თქვენს სუფრაზე, არცა თქვენ, თუ პურის ჭამას. თქვენ სახლებშივე გამართავთ, თქვენის დედმამებისა, თქვენის ძმების, ან თქვენის მამით ბიძების და თქვენის მამიდებისა, ან თქვენის დედით ბიძებისა და თქვენის დეიდებისაში, იმ სახლებში, რომელთაც კლიტეები გაქვსთ თქვენის მეგობრებისაში. არა გიშავსთ-რა, შჭამთ საერთოდ, თუ ცალ-ცალკე.

61. როცა სახლში შედიოდეთ, ერთმანერთს მიემშვიდობეთ (შიმსვლელი და მიმღები), ერთმანერთის მოსურნენი ღვთისა მიერ კეთილად და ბედნიერად ყოფისა: ასე აგიხსნისთ ღმერთი თავის სასწაულებსა, რათა გულის ხმა ჰყოთ.

62. მართლ მორწმუნე არიან იგინი, რომელთაცა ჰსწამსთ ღმერთი და მისი მოციქული, რომელნიც, როცა თავს მოიყრიან შენსას საზოგადო რამ საქმისათვის, არ წავლენ-წამოვლენ შენ ნება დაურთველად. ნებას გთხოვენ იგინი, რომელთაც ჰსწამსთ ღმერთი და მისი მოციქული. თუ ნება გთხოონ სხვა რამ საქმისა-

თვის ელის მოსაკიდებ ლად, დართე, ვისაც გენებოს. ღმერთს ევედრე მათთვის მიტევებას, ვინადგან იგია მიმტევებელ და შემბრალებელი.

63. მოციქულს ნუ ეძახით ისე, როგორათაც ერთმანერთს ეძახით. ღმერთი იცნობს მათ, რომელნიც კრებითგან გადიან მცირეოდენის ხმაურობითა და ერთმანერთს ეფარებიან. ვინც მის ბრძანებას ეურჩება, ძრწიან უბედურებისა, თუ საზარელის სატანჯველისაგან.

64. ყველაფერი, რაც ცათა შინა და ქვეყანაზეა, ღმერთს არ ეკუთვნის განა? უწყის, თუ რა ყოფაშია ცა ხართ. ერთ დღეს ადამიანები მის წინაშე მიყვანილ იქმნენ, ხოლო მან მოაგონოს მათ თქვენი ნაღვაწი, ვინადგან უწყის ყველაფერი.

თ ა ვ ი XXV.

ა ლ ფ ო რ კ ა ნ , ა ნ უ . გ ა ნ ს ხ ვ ა ე ე ბ ა

ნახობებია მექას.—77 მუხლი.

ს ა ხ ე ლ ი თ ა

ლ ვ თ ი ს ა

მოწყალისა და შემწყნარებელისა.

1. კურთხეულ იყოს იგი, რომელმაც მოუვლინა ზეცით განსხვავება(ალფორკან)თავის მსახურსა საუწყებლად კაცთათვის.

2. სასუფეველი ცათა და ქვეყნისა მას ეკუთვნის; არა ჰყავს ძე, არა ჰყავს საბრძნებლის თანამოზიარე; მას გაუჩენია ყოველი ნივთი და საუკუნოს განჩინებითაც განუსაზღვრავს მისი ბედისწერა.

3. კერპთაყვანის მცემლებმა აიყვანეს ღმერთები სხვა, ვიდრე იგი, ღმერთები ისეთი, რომელთაც არაფერი გაუჩენიათ და თვითონ-კი გაჩენილ არიან,

4. რომელთაც არ შეუძლიათ, ჰქმნან არავითარი, კეთილი, არავითარი ბოროტი, რომელთა ხელთაც არაა.

- არც სიცოცხლე, არც სიკვდილი, არც მკვდრებით აღდგომა.
5. ურწმუნონი ამბობენ: ეს წიგნი მისი გაქედლი სიცრუეა; სხვებიც აგრეთვე დახმარებიან მის შედგენაშიო. აი როგორია მათი უკეთურება და მათი ორგულობა.
6. ძველებური ზღაპრებიაო, ამბობენ კიდევ, რომელიც ჩაუწერიაო; დილას აღამოობით უთქვამსთ მისთვისაო.
7. ჰსთქვი: ვინც უწყის ცათა და ქვეყნის საიდუმლოები, მან მოავლინა ეს წიგნი. იგია მიმტყვებელ და შემბრალე.
8. ამბობენ: ეს რაღა მოციქულიაო? ნადიმებს ჰმართავს, დასეირნობს ბაზარში ჩვენ ყველასავითაო. ვიდრე ანგელოზი არ გადმოხდეს და არ იქადაგოს მასთან;
9. ვიდრე საუნჯე არ მოევილინოს, ან არ ექმნეს წალკოტი, სარჩოს მომცემი, არ ვერწმუნოთ; უკეთურნი ამბობენ, მხოლოდ მოჯადოებულ კაცს აპყოლიხართ თქვენაო.
10. დახე, თუ რა სიტყვებს ხარჯვენ შენს თაობაზე. დაბნეულან და არც შეუძლიათ იპოონ გამოსავალი რამ.
11. კურთხეულ იყოს იგი, რომელსაც, თუ ნებავს, შეუძლია, მოგანიჭოს რამე, უფრო ძვირფასი, ვიდრე მათი ქონება, წალკოტნი, სადაც მდინარებენ წყალნი, და პალატნი.
12. ხოლო სიცრუედ ჰსთვლიან მოწევნის ჟამსა; მგზნებარე ცეცხლი დაგვიმზადებია მათთვის, რომელნიც მას ჰსთვლიან სიცრუედ.
13. როცა იგინი შორითგან დაინახოს, მოესმასთ მისი მძვინვარე ღმუილი და ღრიალი.
14. ხოლო როცა შთაცვივდენ დახშულს ადგილსა, ერთმანერთზე დაზვინებულნი მოუწოდებენ სიკვდილსა.
15. მას მარტო ნუ ვეძახით, დაუძახეთ მრავალგვარ სიკვდილსაო, უთხრან მათ.
16. უთხარი მათ: რა უფრო ჰსჯობს, ეს, თუ უკუნეთის წალკოტი, რომელსაც დაჰპირდენ სათნო აღამიანთა და რომელიც უნდა ექმნესთ მათ ჯილდოდ და მგზავრობის სამზღვრად?
17. იქ იპოონ ყველაფერი, რაც კი შეუძლიათ, ინატ-

რონ თავიანთ საუკუნო ადგილ სამყოფში. ეს დაპირებული, ემართლებოდესთ, მოჰსთხოონ ღმერთსა.

18. იმ დღეს, როცა ყველა შეჰკრიბოს, აგრეთვე ღმერთები იგი, რომელთაც ღვთის თანასწორ თაყვანს ჰსცემდენ, ჰკითხოს ამათ: თქვენ აცდინეთ ეს ჩემი მსახურები, თუ თვითონ მათ აერიათ გზა?

19. მიუგონ: იდიდოს სახელი შენი! შენს გარდა სხვა მოკავშირეს ვერ ვბოვდით; მაგრამ შენ მიუშვი იგინი, რათა დამტკბარიყვნენ ამა ქვეყნის კეთილითა, აგრეთვე მათი შამებში, მათაც დაჰკარგეს სახსენებელი შენი; წაწყმედილი ხალხია.

20. უთხრა კერპთაყვანისმცემლებს: ეგეც თქვენი ღმერთები, რომელნიც არღვევენ თქვენს სიტყვებსა. ვერ დააბრუნოთ უკან სატანჯველი, ვერც მიიღოთ შეველა.

21. ვინც უსამართლოდ მოქცეულა თქვენ შორის, საშინელი სასჯელი განიცადოს.

22. მოციქულები, რომელნიც თქვენს უწინარეს მოგავლინეთ, ჰსაზრდოებდენ და დასეირნობდენ ბაზრებში სხვა კაცებივით. გამოგცდით ერთმანერთითა, ვნახო, იქმნეთ, თუ არა პირ-მტკიცედ. დიახ ღმერთი ყველაფერს ხედავს.

23. ვისაც იმედი არა აქვსთ ჩვენის ხილვისა საიქიოს, იგინი ამბობენ: არ ვიწამოთ, ვიდრე ანგელოზები ზეციით არ გადმოხდენ, ან ვიდრე არ ვიხილოთ ღმერთი ჩვენის თვალებითაო. თავს გასულან იგინი ორგულობითა და აუარებელ ცოდვას ჰსჩადიან.

24. აღარ იქმნეს ბედნიერი ამბები ცოდვილთათვის იმ დღეს, როცა იხილონ მომავალი ანგელოზები; დაიძახონ: შორს, შორს ეგენი!

25. მაშინ თვითოეულისავე ნამოქმედარი ვაწარმოოთ და ვაქციოთ ყოველი კუთხე მიმოფანტულ მტვრად.

26. იმ დღეს სამოთხის სტუმრებს ექმნესთ შვენიერი ადგილი მოსასვენებლად და საამური ბინა ნაშუადღევს დასაძინებლად.

27. იმ დღეს, ოდეს ზეცა გაჰსკდეს ღრუბლებისაგან და ოდეს ანგელოზები ჯგუფ-ჯგუფად გადმოხდენ,

28. იმ დღეს ჭეშმარიტი საბრძანებელი მოწყალისა დაარსდეს. იგი იქმნეს გაჭირვების დღე ორგულთათვის.

29. მაშინ უკეთურმა იკბინოს თავის ხელის კანზე და ჰსთქვას: ღმერთს ენებებინა, შევდგომოდი გზას მოციქულთან ერთადო!

30. ვაი მე! ღმერთს ენებებინა, ამისთანა არ ამეყვანა მეგობრად!

31. წიგნი მაჩვენა თუ არა, თვალთაგან დამიფარა. სატანა ადამიანის მოლალატეა.

32. წინასწარმეტყველმა ჰსთქვას: უფალო, ჩვენმან ერმან უფულებელ ჰყო ეს კურანი.

33. ამ გვარად ცოდვილნი ჩვენ აუჩინეთ მტრებად მოციქულებსა; ხოლო ღმერთი წინამძღოლ და შემწე გეყოლოს შენ.

34. ურჯულონი ამბობენ: კურანი ერთ კარად რად არ მოევლინაო? ამას ვშვრებით. შენის გულის ვასამტკიცებლად; ნაწყვეტ-ნაწყვეტ გაიმბობთ.

35. ყოველთვის, ოდეს წინადაგიდონ შესადარები (იგავები), შენ მოგმადლოთ ჭეშმარიტება და ყოვლად სრული განმარტება.

36. ვინც შეკრებილ და ჯოჯოხეთში ჩაყრილ იქმნენ, ყველაზედ უფრო ცუდი ადგილი ექმნესთ, ყველაზე უფრო შორს იქმნენ ჭეშმარიტების გზისაგან.

37. წიგნი მივანიჭეთ მოსეს და თანაშემწედ დაუყენეთ ძმა მისი აარონ.

38. ჩვენ უთხარით მათ: წადით ხალხთან; რომელიც ჩვენს სასწაულებს სიცრუედა ჰსთვლის. სრულად გავაწყვეთ ხალხი იგი.

39. წყალში ჩავმარხეთ ნოეს ხალხი, რომელმაც თავისს მოციქულებს დაჰსწამა მატყუარობა და მისგან სასწაული რამ

ექმენით საუწყებლად ყველა ხალხებისათვის. უკეთურთათვის გაგვიზადებია სავალალო სატანჯველი.

40. ჩვენ გავაქარწყლეთ აღ და თემუდ და რასის ხალხი, და მათ შორის იმდენი სხვა თაობა.

41. თვითოეულსავე იმ ხალხთაგანს ჩვენ წინადაუდეთ უწყების იგავები და ერთიან გაწყვიტეთ იგინი.

42. ურჯულოებს ხშირად გაუვლიათ მახლობლად ქალაქისა, რომელზედაც გვიწვიმებია საუბედურო წვიმა. ნახეს, თუ არა იგი? დიახ, მაგრამ კი არ იმედობენ, ერთ დღეს მკვდრეთით აღდგენილ იქმნენ.

43. როცა გხედვენ, სასაცილოდ გიგდებენ, განა ეს ის კაციაო, ამბობენ, ღმერთმა რო გამოიყვანა მოციქულადო?

44. კნინლა ჩვენი ღმერთები დაგვაყრევინა, უკეთუ მედგრობა არ გამოგვეჩინა- ოდეს სასჯელის მოახლოება იხილონ, შეიტყონ, თუ ჩვენ შორის ვინ უფრო დაჰშორებია ჭეშმარიტ გზასა.

45. რა გგონია? ნუ თუ იქმნე მოსარჩლე მათი, რომელთაც თავიანთი გულისთქმანი ღმერთად გაუხდიათ?

46. ნუ თუ გჯერა, მეტ ნაწილს მათ შორის ესმოდეს, ან გაეგებოდეს? იგინი, როგორც პირუტყვნი, მეტადაც, ვიდრე პირუტყვნი, დაშორებულ არიან ჭეშმარიტ გზასა.

47. ნუ თუ არ შეგიმჩნევია, შენი უფალი როგორ ავრცელებს ჩრდილსა? მას რომ ენებებინა, გაამუდმივებდა. მზე მის წინამძღოლად გაგვიხდია;

48. მერმე კი ადვილად შევამცირებთ მას.

49. იგი გაძლევსთ ღამეს საბურველად და ძილს მოსასვენებლად. ხოლო დღე მოგცათ მოძრაობისათვის.

50. ქარებს მოავლენს, როგორც თავისის წყალობის წინამორბედსა. ზეცით ჩამოგვყავს წმინდა წყალი,

51. რათა მით გამოვაცოცხლოთ მომაკვდავი მხარე; მით დავარწყულებთ ჩვენს გაჩენილებსა, ცხოველთა და ადამიანთა აუარებელს რიცხვსა.

52. მიმოგვეყავს იგი ყოველის კუთხით მათ შორის, რათა მოგვიგონონ; ხოლო ადამიანთა მეტი ნაწილი ყველაფერს უარსა ჰყოფს, თვინიერ უმადურ ყოფისა.

53. ჩვენ რო გვენებებინა, თვითოეულსავე ქალაქში მოვაველენდით მაუწყებელსა.

54. ურჯულოებს არ დაუთმო, პრამედ მამაცად ებრძოლე მათ ამ წიგნითა.

55. ღმერთმა დააახლოვა ორი ზღვა, ერთი გემრიელისა და ხამის წყალისა, მეორე წუთხი და მწარე და მათ შორისაც მოათავსა ცალიერი ადგილი და გაუვალი ზღუდე.

56. მან გააჩინა კაცი წყალისაგან, მან დაამყარა მათ შორის ნათესაობისა და თავისიანობის კივშირი: შენი უფალი შემძლებელია.

57. ღმერთზე უფრო თაყვანს ჰსცემენ მას, რაც ვერ არგებს, ვერც ავენებს მათ. ურჯულოა ეშმაკის იარაღი თავისის უფლის წინააღმდეგ.

58. შენ მოგვივლენიხარ მხოლოდ საუწყებლად და დასამუქრებლად.

59. უთხარი მათ: არა გთხოვთ სხვა რამ ჯილდოსა მას გარდა, რომ მენახოს, დაჰსდგომოდეთ გზასა, რომელიც ღმერთთან მიიყვანს.

60. სასოება იქონიე ცხოველისა, რომელიც არ კვდება; აღიარე მისი ქება: საკმაოდ უწყის მან თავის მსახურთა ცოდვები, მან გააჩინა ცანი და ქვეყანა და ყველაფერი, რაც იპოება მათ შორის, ექვსის დღის განმავლობაში; შემდგომ დაბრძანდა ტახტზე. იგია მოწყალე; მისი ჰკითხე მცოდინარე ადამიანებსა.

61. როცა მათ (ურჯულოებს) ეუბნებიან: განერთხენით მოწყალის წინაშე, ჰკითხულობენ: ვინაა მოწყალეო? განვერთხნეთ განა მის წინაშე, ვისაც შენ გვეუბნებიო? მათი დაშორებაც ძლიერდება.

62. კურთხეულ იყოს იგი, რომელმაც დასხა ზეცას ზო-

დიაქოს ნიშნები, რომელმაც იქ ჩამოჰკიდა ლამპარი და მოვარე, მანათობელნი.

63. მან დააწესა ღამე და ღღე, ერთმანერთის შემდგომი რიგ-რიგად მათთვის, რომელთაც ჰსურსთ; იფიქრონ ღვთისათვის, ან მას შეჰსწირონ მადლობა.

64. მოწყალის მსახურ არიან იგინი, რომელნიც ამ ქვეყნად თავდაბლად დაიარებიან და რომელნიც ამბობენ: მშვიდება თქვენდამი, უმეცართადმი, რომელნიც მათ მიმართვენ სიტყვასა;

65. რომელნიც განატარებენ ღამეებს ღვთის ვედრებით, განართხმით, თუ ზეზეულად;

66. რომელნიც ამბობენ: უფალო, აგვაშორე სასჯელი ჯანაბისა, ვინადგან წვალება მისი სამუდამჟამოა, ვინადგან ცუდი აღგილია მოსასვენებლად და დასადგომად;

67. რომელნიც უხვობის დროს არც მფლანგავ, არც პურშავ არიან, არამედ მისთანა, რომ მათ საშუალოს ემხრობიან.

68. რომელნიც ღმერთთან ერთად არ მოუწოდებენ სხვა ღმერთებსა; რომელნიც არ მოკვლენ ცხოველ სულსა, როგორათაც ღმერთს აუკრძალავს, თუ არ სამართლიანის მიზეზისათვის, რომელნიც მრუშობას არ ჩაიდენენ. ვინც ესა ჰქმნას, მიიღოს სასყიდელი უმართლობისათვის.

69. მკვდრებით აღდგომის ღღეს სასჯელი გაუორკეცდეს, საუკუნოდ ჩავარდეს შიგ, უპატიურობით დაბურვილი.

70. ხალო ვინც შეინანონ, ვინც ირწმუნონ და კეთილი საქმეები ჰქმნან, ღმერთმა მათი ცუდი ნამოქმედარი კარგად შეჰსცვალოს; ვინადგან ღმერთი მოწყალე და შემბრალეებელია.

71. ვინც შეინანებს და ირწმუნებს, მიიქცევა ღვთის მიმართ და შეწყნარებულიც იქმნება მის მიერ.

72. ვინც ყალბს მოწმობას არ მოიტანენ და ვინც წარამარა ლაპარაკში ჩათრეულნი წესიერად მოჰსჭრიან მას;

73. ვინც, როცა მოუთხრობენ მათ უფლის მოძღვრებასა,

არ დარჩებიან უძრავად მწოლარენი, თითქო ყრუნი და ბრძანი იყვნენ;

74. ვინც ამბობენ: უფალო, ზოგვანიჭე ჩვენს ცოლ-შვილში საგანი რამ სიხარულისა და ბრძანე, რათა ვიაროთ მოშიშთა სათავეშიო;

75. მათ ექმნესთ სასყიდლად სამოთხის მალალი ადგილები, მიტომ რომ თავი დაიჭირეს, და იქ ჰპოონ ცხონება და მშვიდობა.

76. საუკუნოდ დაემკვიდრონ იქ. რა შვენიერი თავშესაფარ! რა შვენიერ ადგილ საყოფელია!

77. ჰსთქვი: ღმერთი ცოტად ზრუნავს თქვენის ვედრებისათვის, თქვენ რო მატყუარად ჩააგდეთ მისი მოციქული. მაგრამ სამარადისო სატანჯველი გეწიოსთ.

თ ა ვ ი XXVI

მ თ შ ა ი რ ე ნ ი

ნაბოძების შექას.—228 მუხლი

ს ა ხ ე ლ ი თ ა

ღ ვ თ ი ს ა

გოწყალისა და შემწყანარებაელისა.

1. ტა. სინ. მიმ. ესაა ცხადის წიგნის სასწაულები.
2. ჯავრით იღვევი, რომ არ უნდათ იწამონ.
3. ჩვენ რო გვენებებინა, ზეცით მოვავლენდით (სასწაულს), რომლის წინაშე მდაბლად თავს მოიხრიდენ.
4. არც ერთი ახალი მხილება მოივლინება მოწყალისაგან, ისე, რომ თავი არ მოაშორონ მის სმენას.
5. სიცრუედ ჰსთვლიან მას; ხოლო მალე შეიტყონ ამბები სასჯელისა, რომელსაც დაჰსცინოდენ.

6. თვალი არ დაუღიათ განა მიწისაკენ? არ უნახავთ განა, როგორ შემოგვიღია ძვირფასი მეუღლეობა ყოველ არსებაში.

7. ამაში სასწაულებია, მაგრამ კაცთა მეტს ნაწილს არ ჰსჯერა.

8. უეჭველია შენი უფალი ძლიერ და ბრძენია.

9. მოიგონე, რომ ერთს დღეს ღმერთმა იხმო მოსე და უთხრა: მიიქეც იმ არა-წმინდა ხალხთან;

10. ფარაოს ხალხთან. ნუ თუ არ შეეშინდესთ ჩემი?

11. უფალო, მოახსენა, ვაი თუ მატყუარად ჩამაგდონ.

12. გული გაწვრილებული მაქვს და ენა-ჩლოუნგიცა ვარ. მოაძებნინე ჩემი ძმა აარონ.

13. ცოდვას თავს მომახვევენ და ვაი თუ სიკვდილი შემამთხვიონ.

14. არა, უპასუხა ღმერთმა. წადით ორნივე, ჩემ სასწაულებს თანახლებულნი; ვიქმნეთ თქვენთან და ყურიც დაგიგდოთ.

15. მაშ მიდით ორნივე ფარაოს წინაშე და უთხარით მას: მე ვარ მოსე, სამყაროს მეუფისაგან მოვლინებული:

16. გამოუშვი ჩვენთან ერთად ისრაელის შვილები.

17. მივიდენ და ფარაომაც უთხრა მოსეს; განა ჩვენ ხელში არ გამოგზარდეთ ყმაწვილი? შენის ცხოვრების მრავალი წელი ჩვენ შორის გაქვს გატარებული.

18. შენ ჩაიღინე საქმე, რომელიც შენ იცი; უმადურ ხარ.

19. დიახ, მიუგო მოსემ, მე ჩავიღინე საქმე იგი; მაგრამ მაშინ შეცდომაში ვიყავ.

20. თქვენ გაგექეცით შიშის გამო; შემდეგ ღმერთმა შემოსა ძლიერებითა და განმაწესა თავის მოვლინებულად.

21. სიკეთე, რომელსაც მაყვედრი, ის ხომ არაა, ისრაელის შვილები რომ მონობაში ჩაჰყარე?

22. რაღაა მეუფე ქვეყნისაო, ჰსთქვა ფარაომ.

23. იგია მეუფე ცათა და ქვეყნისა და ყველაფრისაც, რაც მათ შორისაა, თუ გრწამსთ.

24. ხომ გესმისთ? უთხრა ფარაომ მათ, რომელნიც გარს ეხვივნენ.

25. თქვენი მეუფე თქვენის წინაპრების მეუფეა, განაგრძო მოსემ.

26. თქვენი მოციქული, რომელიც თქვენდა მიმართ მოუვლენიათ, ეშმაკეულიაო, ჰსთქვა ფარაომ.

27. მოსე შეეცილა: იგია მეუფე აღმოსავლეთისა და დასავლეთისა, და ყველაფრისაც, რაც მათ ორთავ შუაა, თუ გულის ხმიერება გაქვსთ.

28. თუ ღმერთად აგრყვანიან სხვა, ვიდრეღა მე, ჰსთქვა ფარაომ, საპატიმროში ჩავაგდებინო შენი თავი.

29. მაშინაც, ოდეს გახილვებინოთ ჩემის მოციქულობის რამე ცხადი დამტკიცება?

30. აბა მაჩვენე, ჰსთქვა ფარაომ, თუ მართალ ხარ.

31. მოსემ გააგდო თავისი კვერთხი, რომელიც ნამდვილ ჯველად იქცა.

32. მერმე ხელი გაიწვავდა და თეთრად მოეჩვენა იგი ყველა მაყურებლებსა.

33. ფარაომ უთხრა დიდებულებს, რომელნიც გარს ერტყნენ: ჭეშიარიტად მარჯვე თვალთქმაქცია.

34. თავისის გრძნეულობით თქვენის ქვეყნიდგან გაგაძევენბსთ; რა აზრისა ხართ?

35. დიდებულებმა უპასუხეს: მიეცით მას იმედი რამ, აგრეთვე მისს ძმასაც, და მომლოდინემან დაგზავნეთ სამეფოს ქალაქებში კაცები, რომელთა შეჰკრიბონ

36. და რომელთაც მოგვგარონ შენ, რაც მარჯვე თვალთმაქცებია.

37. თვალთმაქცები მოიწვიეს ყველანი დასახელებულ ადგილსა და დღესა.

38. ხალხსა ჰკითხეს: განა უნდა დაესწროთ?

39. ღიახ, კიდევ შეუდგეთ თვალთმაქცებსა, თუ გაიმარჯვესო, ლაპარაკობდენ ხალხში.

40. როცა თვალთმაქცებმა თავი მოიყარეს, ფარაოს უთხრეს: შეგვიძლია საჩუქრის იმედი ვიქონიოთ, ვინიციობაა, თუ გავიმარჯვებთ?

41. დიახ, უსათუოდ, მიუგო ფარაომ, მაშინ თქვენ იქმნეთ იმათგანი, რომელნიც ჩვენის პირადობის უმახლობელეს არიან.

42. მაშინ მოსემ უთხრა მათ: გადაადგეთ ბარემ, რაც უნდა გადაადგოთ.

43. მათ გადაჰყარეს თავიანთი ბაწრები და ჯოხები, წარმოჰსთქვეს თუ არა ეს სიტყვები: ფარაოს ძლიერებით გამარჯვებულ ვართ.

44. მოსემ გადაადგო თავისი კვერთხი, და აჰა შთანთქა კიდევ მათი ცრუ მონაგონები.

45. ხოლო თვალთმაქცი განერთხნენ თაყვანისცემის ნიშნად

46. და ღალად ჰყვეს: გვრწამს მეუფე ქვეყნისა,

47. ღმერთი მოსეს და აარონისა.

48. ნუ თუ კიდევ იწამებთ იგი, ჰსთქვა ფარაომ, სანამ ნებართვას მოგცემდით? მაშ იგია თქვენი მოთავე? მან გაჰსწავლათ თვალთმაქცობა. მაგრამ იცოდეთ, რაც მოგივიდესთ მაგით.

49. ვბრძანო, თქვენ დაგაქრან ხელები და ფეხები სხვა და სხვა მხრით და ყველანი ჯვართ გაცვან.

50. მაგაში ცუდს ვერაფერს ვხედავთ, ვინადგან მივიქცევით ჩვენს უფალთან.

51. ჩვენ გვინდა, ღმერთმა მოგვიტეოს ჩვენი ცოდვები, ვინადგან პირველებმა ვიწამეთ.

52. მოსეს გამოუცხადეთ ჩვენ ეს ბრძანება: გახვიდე ჩემის მსახურებითურთ ღამით, ხოლო დევნილ იქმნეო:

53. ფარაომ თავისის საბრძანებლის ქალაქებში დაგზავნა: კაცნი, ჯარების მოკრეფას დავალებულნი.

54. ისრაელებიო, ამბობდენ, ყოველგვარი მინაყარ-მონაყარი ხალხი, რიცხვ-მცირე არიან;

55. ჩვენზე გულ-მოსულ არიან.

56. ჩვენ ვართ პირიქით, ბევრნი და ფრთხილნიცა.

57. ესრეთ მოვაშორე (ეგვიპტელები) თავიანთ წალკოტებსა და თავიანთ შადრევნებსა;

58. თავიანთ საგანძურსა და თავიანთ ჩინებულ ადგილსამყოფსა.

59. დიახ, ესე იყო, და სამკვიდრებლადაც ჩავაბარეთ იგინი ისრაელის შვილებსა.

60. მზის ამოსვლისას ეგვიპტელებმა ჰსდევნეს იგინი.

61. ხოლო როცა ორთავ ჯარი იმ მანძილზედ იყო, რომ ერთმანერთის დანახვა შეეძლოთ, მოსეს ამხანაგებმა დაიძახეს: დაგვეწიენენო.

62. სრულიადაც არა, ჰსთქვა მოსემ. ღმერთი ჩემთანა არს და წარმიძღვეს.

63. ჩვენ გამოუცხადეთ მოსეს ეს ბრძანება: დაარტყი შენი კვერთხი ზღვასა. ზღვა გაიპო ორად და თვითოეულივე მისნაწილთაგანი აღიმართა დიდ მთასავით.

64. შემდეგ ებრძანათ მოახლოებულიყვნენ სხვები (ეგვიპტელები).

65. ჩვენ დავიხსენით მოსე და ყველა, ვინც მას მოჰყვებოდა,

66. ხოლო დავღუპეთ სხვები.

67. უეჭველია ამის მოხდომაში სასწაულია ღვთის ძლიერებისა; ხოლო ხალხთა მეტს ნაწილს არ ჰსჯერა.

68. შენი უფალი მაინც ძლიერ და შემბრალეა.

69. მოუთხარ მათ ამბავი აბრაამისა,

70. რომელმაც ერთხელ უთხრა თავის მამას და თავის სახლობას: რასა ჰსცემს თაყვანსაო?

71. შენს კერპებს თაყვანს ვჰსცემთო, ჰსთქვეს, და ბეჯითად ვატარებთ ჩვენს დროს მათ ტაძრებში.

72. ნუ თუ გისმენენ თქვენ, როცა ხმასაჰყოფთ მათდამი? ჰკითხა აბრაამმან.
73. ნუ თუ რასმე გიკეთებენ? ნუ თუ თქვენი ვნება შეუძლიათ?
74. არაო, ჰსთქვეს; ხოლო გვინახავს, ჩვენს მამებთანაც ამნაირად იყვნენო.
75. როგორ გგონიათ? ჰსთქვა აბრაამმა. ვისაც თაყვანს ჰსცემთ,
76. ვისაც თაყვანს ჰსცემდენ თქვენი წინაპრები,
77. ჩემდა მტერ არიან იგინი. მხოლოდ ერთი ღმერთია მსოფლიოს მეუფე,
78. რომელმაც გამაჩინა, რომელიც წარმიძღვება ჰეშმარიტის გზითა;
79. რომელიც მასარზღოებს და სასმელს მაძღვეს;
80. რომელიც მკურნებს, როცა ავად ვარ;
81. რომელმაც სული ამომახდინოს და რომელმაც მკვდრეთით აღმადგინოს,
82. რომელმაც, ვიმედობ, მომიტეოს ცოდვები განკითხვის დღესა.
83. უფალო, მომეც ძლიერება და დამსჭი მართალთა შორის.
84. მომხადლე ენა მართლ-თქმისა ვიდრე უშორეს დროებამდე.
85. ჩამაყენე განცხრომის წალკოტთა მემკვიდრეებ შორის.
86. მიუტევე მამაჩემსა, ვინადგან შემცდარ იყო.
87. უპატიურ არა მყო იმ დღესა, ოდეს კაცნი მკვდრეთით აღდგენილ იქნენ.
88. იმ დღეს, ოდეს სიმდიდრე და შვილები ველარაფრად გამოდგნენ,
89. თუ არ მისთვის, რომელიც ღვთის მიმართ მიიქცეს გულ მართალი;
90. ოდეს საშობზე მიუახლოვდეს ღვთისნიერ ადამიანთა
91. და ჯოჯოხეთი აღიმართოს ცდომილთა ჩასათქმელად.

92. ოდეს უთხრან ამათ: სად არიან, თქვენ რო თაყვანს
ჰსცემდით

93. ღვთის თანასწორ? ნუ თუ დაგეხმარონ თქვენ? ნუ
თუ დაგეხმარონ თავიანთ თავსა?

94. ივინი ჩაცვივდენ ყველანი ჯოჯობეთში, შეცდენილ-
ნი და შემაცდენელნი,

95. და მრთლად ებლისის ჯარები.

96. იქ იბაასონ და შეცდენილებმა ჰსთქვან:

97. ღვთისა სახელმან, ცხად შეცდომილებაში ვიყავით,

98. როცა თქვენ გაყენებდით ერთსა და იმავე სირაზე
სამყაროს მეუფესთან.

99. მხოლოდ ცოდვილებმა შეგვაცდინეს.

100. შუამავლნი აღარ გვყვანან,

101. აღარც გულითადი მეგობარი.

102. ეჰ! ქვეყნად დაბრუნება რო მოგვენიჭებოდეს, მორ-
წმუნე შევიქმნებოდით!

103. ამაში სასწაულია, ხოლო უფროს ერთ კაცსა არ
ჰსჯერა.

104. შენი უფალი ძლიერ და ბრძენია.

105. ნოეს ხალხმაც აგრეთვე მატყუარებად ჩაჰსთვალა
მოციქულები.

106. როცა მათმა თანამოქალაქემ ნოემ უთხრა მათ: ნუ
თუ ღვთის არ გეშინიათ?

107. თქვენთან მოვსულვარ, როგორათაც მოვლინებუ-
ლი, ღირსი ნდობისა.

108. მაშ ღვთის გეშინოდესთ და მე დამემორჩილეთ.

109. სარჩოს არა გთხოვთ, ვინადგან ჩემი სარჩო სამ-
ყაროს მეუფის, ღვთის საზრუნველია.

110. მაშ ღვთის გეშინოდესთ და მე დამემორჩილეთო,

111. მათ მიუგეს: განა დაგემორჩილოთ შენ, რომელსაც
მარტო ყოვლად უვარგისი ხალხი აგყოლია?

112. არავითარი ცნობა მაქვს მათის საქმეებისა, უბასუხა ნოემ.

113. ანგარიში მარტო ღმერთს უნდა ჩააბარონ; შეგიძლიათ გაგება!

114. მაგრამ ხელი არა ვჭკრა მათ, რომელთაცა ჰსწამსთ.

115. მხოლოდ საჯაროდ უწყებას დავალებული კაცი ვარ.

116. თუ მაგნაირად ქცევას არ მოიშლი, ნოე, ჩაქვავებულ იქმნე.

117. ნოემ ხმა ჰყო ღვთის მიმართ: უფალო! ჩემი ერი სიცრუეს მწამებს.

118. ჰყავ სამართალი მათ და ჩემ შორის; მიხსენ მე, იგინიც, რომელნიც მე ამყოლიან და რომელთაცა ჰსწამსთ.

119. ჩვენ გადავარჩინეთ იგი, აგრეთვე იგინიც, რომელნიც მასთან იყვნენ მრთლად გავსებულის კიდობნითა.

120. შემდეგ დავარჩევით დანაშთენი ხალხი.

121. ცხადია, ამაში მხილების სასწაულია; მაგრამ უფროს ერთს კაცსა არ ჰსჯერა.

122. ცხადია, შენი უფალი შემძლებელ და შემბრალე-ბელია.

123. ადევლებმა თავიანთ მოციქულებს მატყუარობა დაჰსწამეს.

124. ჰუდ, მათი თანამოქალაქე, ღალად ჰყოფდა მათ-დამი: ნუ თუ ღვთის არ გეშინიათ?

125. თქვენთან მოვსულვარ, როგორათაც მოვლინებუ-ლი, ღირსი ნდობისა.

126. ღვთის გეშინოდესთ და მე დამემორჩილეთ.

127. სარჩოს არავითარს გთხოვთ, ვინადგან ჩემი სარ-ჩო სამყაროს მეუფის, ღვთის საზრუნველია.

128. ააგოთ განა ყოველ ბორცვზედ ძეგლი ფუქსავატად დროს გატარებისათვის?

129. აღმართოთ განა შენობანი უთუოდ საუკუნო საც-ხოვრებლად?

130. როცა ხელი გამოიღოთ, გამოიღეთ მკაცრად.

131. მაშ ღვთის გეშინოდესთ და მე დამემორჩილეთ.
132. გეშინოდესთ მისი, რომელმაც უხვად შეგძინათ, რაც იცით;
133. რომელმაც უხვად შეგძინათ ჯოგი და შთამომავლობა;
134. რომელმაც გიშოვათ წალკოტები და წყაროები.
135. თქვენ წილ მე მეშინია საზარელის დღის სასჯელისა.
136. მათ მიუგეს: ჩვენთვის ერთია; დაგვარიგებ, თუ არა.
137. შენი დარიგება ძველთაგან ძველია.
138. დასჯილ არასოდეს ვიქმნეთ.
139. ჰუდს დაჰსწამეს მატყუარობა, ხოლო ჩვენ ამრეწყვიტეთ იგინი. ამის მოხდომაში სასწაულია, მაგრამ უფროს ერთს კაცს არ ჰსჯერა.
140. ხოლო უექველია, თქვენი უფალი შემძლებელ და შემბრალებელია.
141. თემუდელეებმაც აგრეთვე მატყუარობა დაჰსწამეს თავიანთ მოციქულებსა.
142. მათმა თანამოქალაქემ საღვჰმ უთხრა მათ: ნუ თუ ღვთის არ გეშინიათ?
143. თქვენთან მოესუღვარ, როგორათაც მოვლინებულნი, ღირსი ნდობისა.
144. მაშ ღვთის გეშინოდესთ და მე დამემორჩილეთ.
145. სარჩოს არა გთხოვთ, ვინადგან ჩემი სარჩო სამყაროს მეუფის, ღვთის საზრუნველია.
146. ნუ თუ ფიქრობთ, დაგტოონ სამუდამქამოდ უშიშრად ამ ყველაფრის საშუალ,
147. წალკოტებსა და წყაროებს შორის,
148. დათესილ მინდვრებსა, რტობშირ ინდისხურმებს შორის?
149. სახლები ნუ თუ ყოველთვის გამოკვეთათ თქვენსავით ამაყ კლდეებში?

150. მაშ ღვთის გეშინოდესთ და მე დამემორჩილეთ..

151. არ დაემორჩილოთ მათ ბრძანებას ვინც ნამეტანობას მიჰსცემიან.

152. ვინც აოხრებენ მიწას და კი არ აუმჯობესებენ..

153. მას მიუგეს: ნამდვილად ეშმაკეულ ხარ.

154. მხოლოდ ჩვენსავით ადამიანი ხარ: გვახილვებინე სასწაული რამ, თუ მართალია, რასაც ამბობ.

155. ეს ფაშატი აქლემი იყვეს სასწაულად; თავისი ხვედრი ნაწილი წყალისა ჰქონდეს ერთ დღესა, ხოლო თქვენ თქვენი დანიშნულ სხვა დღესა.

156. არაფერი დაუშაოთ, ვინადგან განიცდით დიდის დღის სასჯელისა.

157. მოჰკლეს იგი; მეორე დილას ნანობდენ.

158. სასჯელი ეწიათ. იგი იყო სასწაული ზეცისა; უფროს ერთს არ ჰსჯერა.

159. ხოლო შენი უფალი შემძლებელ და შემბრალებელია.

160. ლოთის ერის კაცებმაც აგრეთვე მატყუარებად: ჩაჰსთვალეს ღვთის მოვლინებულნი,

161. როცა ლოთმან მათმა თანამოქალაქემ მათ უთხრა: ნუ თუ არ გეშინიათ ღვთისა?

162. თქვენთან მოვსულვარ, როგორათაც მოვლინებულნი, ღირსი ნდობისა.

163. მაშ ღვთის გეშინოდესთ და მე დამემორჩილეთ.

164. არავითარ სარჩოს გთხოვთ; ჩემი სარჩო სამყაროს მეუფის, ღვთის საზრუნველია.

165. ყოველ ქმნილებათა შორის ნუ თუ დაიჭიროთ კავშირი მამაკაცებთან,

166. და დასტოოთ დედაკაცი, რომელნიც თქვენთვის ღმერთს გაუჩენია? ჭეშმარიტად სჯულ-გადამავალი ხალხი ხართ.

167. მას უბასუხეს: უკეთუ არ მოიშალო ეგ შენი მოძღვრება, ქალაქითგან გაგავლოთ შენ.
168. თქვენი მოქმედება შიშის ზარსა მგვირის.
169. უფალო, მიხსენ მე და სახლობა ჩემი მისგან, რასაც მოქმედებენ.
170. დავიხსენით იგი, აგრეთვე მისი სახლობაც,
171. თვინიერ ერთის დედაბრისა, რომელიც უკან ჩამორჩენილიყო.
172. მერმე სხვები ამოვწყვიტეთ.
173. მათზე წვიმა ვაწვიმეთ; რა საშინელმა წვიმამ დაუშვა იმ ხალხზე, რომელსაც დარიგებას ვაძლევდით!
174. იგი იყო ზეცის სასწაული; ხოლო უფროს ერთს კაცსა არ ჰსჯერა.
175. შენი უფალი მაინც ძლიერ და შემბრაღეა.
176. მაღიანის ტყის მკვიდრთა ღვთის მოვლინებულნი მატყუარებად ჩაჰსთვალეს.
177. შოაიბ მათდამი ხმას ჰყოფდა: ღვთის გეშინოდესთ!
178. თქვენთან მოვსულვარ, როგორათაც მოვლინებულნი, ღირსი ნდობისა.
179. მაშ ღვთის გეშინოდესთ და მე დამემორჩილეთ.
180. არავითარ სარჩოს გთხოვთ, ჩემი სარჩო სამყაროს მეუფის, ღვთის სამზრუნველია.
181. საწყაო აავსეთ და მომტყუებელ ნუ იქმნებით.
182. აჰსწონეთ სამართლიანის სასწორითა.
183. ხალხს ნუ მოატყუებთ მათ ქონებაში და ნამეტანობას ნუ იქმთ იმ ქვეყანაში, რომელსაც აოხრებთ.
184. გეშინოდესთ მისი, რომელმაც თქვენ გაგაჩინათ, აგრეთვე წინეთ ყოფილნი მოდგმანი.
185. მას უბასუხეს: ჰეშმარიტად, შოაიბ! ეშმაკეულ ხარ.
186. მხოლოდ ჩვენსავით ადამიანი ხარ და მატყუარაც გვგონიხარ;

187. მაშ თავს დაგვატეხე ნაწილი რამ ზეცისა, თუ მართალს ამბობ.

188. ღმერთმა სრულიად უწყის თქვენი საქმეები, შეეცილა შოაიბ.

189. იმას ჰსთვლიდენ მატყუარად; შავბნელის ღრუბლის სასჯელმა მოჰსწყლა იგინი; დღე იყო იგი საშინელის სასჯელისა.

190. იგი იყო სასწაული ზეცისა, მაგრამ უფრდს ერთს კაცსა არ ჰსჯერა.

191. შენი უფალი ძლიერ და შემბრალებელია.

192. ხოლო ეგ (ეგ კურანი) გამოცხადებაა სამყაროს მეუფისა.

193. სარწმუნო სულმა მალლით ჩამოიტანა

194. და გულს დაგადო, მუჰამმად! რათა მოციქულ ყოფილიყავ.

195. ეგაა (კურანი) წმინდა არაბულის ენითა.

196. წინასწართქმულა ეგ ძველთა წერილში.

197. განა მაგის სასარგებლოდ მეტყველი სასწაული არაა, რომ ისრაელის შვილთა შორის მწიგნობრებს ჰქიანდათ მაგისი ცნობა?

198. ეგ რო გამოგვეცხადებინა უცხო ერის კაცისათვის

199. და იმასაც წაეკითხა ურჯულოთათვის, არ ირწმუნებდენ.

200. ესრეთ გამოგვიქრია ურწმუნოება ცოდვილთა გულზე.

201. არ ერწმუნონ, ვიდრე ფიცხმა სასჯელმა არ დაუყენოს თვალები.

202. უსათუოდ, სასჯელი იგი თავს დაატყდესთ ანაზდეულად, ოდეს მოლოდინში არ იქმნენ.

203. მაშინ დაიძახონ: ნუ თუ არ დაგვაცალონ?

204. კარგი! ნუ თუ ეცადონ მაშინ იმ სასჯელის დაჩქარებასა?

205. რა გგონია? თუ, დატოვებულები, ამა სოფლის კეთილით დასატკობელად, მრავალ წელთა განმავლობაში,

206. დაბოლოს შეიპყროს სასჯელმა, რომელსაც ემუქრებოდენ მათ,
207. რისილა მაქნისი იქმნეს მათთვის მათი განცხრომა?
208. ქალაქი არ დაგვიქცევია ისეთი, არ ჰყოლოდეს თავისი მოციქულები,
209. მათ მხილებას დავალებული; უსამართლოდ როდი ვავრჯილვართ.
210. ეშმაკებს როდი ჩამოუტანიათ ზეცით კურანი;
211. არ შეეფერებოდა მათ და ვერც იქმოდენ.
212. ხელიც არა აქვსთ მათ, ყური დაუგდონ რასმე ზეცაში.
113. სხვას არავის მოუწოდო, თუ არ ღმერთსა, შიშით, რათა ერთ დღეს არ იქმნე დასჯილთაგანი.
214. უქადაგე შენს უმახლობელეს ნათესავეებსა.
215. გაშალე შენის მფარველობის ფრთები მორწმუნეებზე, რომელნიც შენ შეგდგომიან.
216. თუ გეუბრონ, მათ უთხრა: უბრალო ვარ თქვენის მოქმედებისაგან.
217. სასოება იქონიე ძლიერებისა და შემწყნარებელის ღვთისა,
218. რომელიც გხედავს, როცა დგები,
219. რომელიც ხედავს შენს ყოფაქცევას, როცა იპოები მის თაყვანისმცემელთა შორის:
220. ვინადგან ესმის და ყველაფერი უწყის.
221. განა გითხრათ, თუ ვინ არიან კაცნი იგი, რომელთაც ეშმაკები ჩაუძვრებიან და რომელთაც აგულიანებენ.
222. იგინი ჩაუძვრებიან ყოველსავე მეტყუილესა, ცოდვაში ჩავარდნილსა
223. და ასწავლიან, რასაც მათნი ყურნი მოჰკვრენ: დიხს უფროს ერთი ჰსტყუის.
224. მოშაირებებს მათ ჯერადვე მიჰსდევს შემცდარი ზალზი.

225. ვერ ხედავ, რომ ყველა ქუჩებზე მიჰსდევენ უგნურებივით?

226. რომ ლაპარაკობენ მას, რასაც არ აკეთებენ?

227. მათ გარდა, ვინც ირწმუნეს, ვინც კეთილს შვრებიან და განუწყვეტლივ ღვთის სახელს იმეორებენ.

228. ვინც თავს იფარვენ, როცა თავს ესხმიან; ვინადგან ვინც პირველ თავს დაესხმიან, შეიტყონ ერთ დღეს, თუ რა ხვედრია მათთვის შენახული.

თ ა ვ ი XXVII.

ჭ რ ნ ჭ ვ ე ლ ი ე

ნაბოძება. მექსა — 95 მუხდი.

ს ა ხ ე ლ ი თ ა

ღ ვ თ ი ს ა

მოწყალისა და შემწყნარებელისა.

1. ტა.სად. ესაასაწაულები საკითხავისა და ცხადის წერილისა.
2. წარმართებად და ბედნიერ ამბავად ექმნესთ მორწმუნეებსა,
3. რომელნიც დაიცვენ ლოცვასა, გაიღებენ სამოწყალოსა და მტკიცედ ერწმუნებიან ყოფად ცხოვრებასა.
4. ვისაც არა ჰსწამსთ ყოფადი ცხოვრება, მათი ნამოქმედარი მოსაწონი გაგვიხდია მათვე თვალში; თითქო გამოთაყვანებულ იყვნენ.
5. მათთვის გამზადებულია ყოვლად ფიცხელი სასჯელი; ყოვლად უბედურ იქმნენ საიქიოს.
6. კურანი მივიღია მეცნიერის, ბრძნისაგან.
7. მოიგონე, თუ მოსემ როგორ უთხრა ერთ დღეს თავისს სახლობასა: ცეცხლი დავინახე, წავიდე ამბავი რამე მოგიტა.

ნოთ, ეგების ანთებული მუგუზალრიც მოგიტანოთ, თქვენდა
გასათბობად რამე გექმნესთ.

8. წავიდა და აპა, ხმაც გამოეხმაურა: კურთხეულ იყოს,
ვინც ჰგიებს ცეცხლში და ცეცხლის გარშემო? აქებდით ღმერ-
სა, სამყაროს მეუფესა!

9. მოსე! მე ვარ ერთად ერთი ღმერთი ძლიერ და ბრძენი.

10. გადააგდე შენი კვერთხი. მოსემ გადააგდო, ხოლო რო-
ცა ნახა, გველივით იკლანებოდა, უკან დაუბრუნებლად გა-
იქცა. მოსე! გამოეხმაურნენ, ნურაფრის გეშინია, მოვლინე-
ბულთ არაფერი აქვსთ საშიშარი ჩემგან,

11. თუ არ მარტო მას, რომელსაც ჩაუდენია რამე უსა-
მართლობა; ხოლო თუ ბოროტი კეთილისათვის უნაცვლებია,
მომთმენ ვარ და შემბრაღე.

12. ხელი ჩაიდე უბეში და მთლად თეთრი გამოიღო,
ისე, რო დაავადებული არ იყვეს. ეგ იქმნეს ერთი ცხრა სასწა-
ულთაგანი ფარაოსა და მისის ერისათვის; არა წმიდა ერია.

13. როცა ჩვენმა საკვირველ მოქმედებამ იგინი გააშტერა
სრულის სინამდვილით, მათა ჰსთქვეს: ნამდვილი თვალთმაქცო-
ბა არიო.

14. თუმც შეიტყობილი ჰქონდათ მათი ჰეშმარიტება, უარ
ჰყვეს იგინი დიდგულობითა და უმართლობით. მაგრამ ნახე,
თუ როგორი იყო აღსასრული ბოროტთა.

15. მეცნიერება მივმადლეთ დავითსა და სოლომონსა,
ამბობდენ: აქებდი ღმერთსა, რომელმაც აგვამალლა მრავალ
მის მორწმუნე მსახურთა შორის!

16. სოლომონ იყო დავითის შემკვიდრე: ჰსთქვა: კაცნო!
ჩვენ გვასწავლეს გაგება ფრინველთ ენისა და აგვავეს ყო-
ველნაირის ნივთითა. ესაა ცხადი წყალობა ღვთისა.

17. სოლომონის ჯარი, ჯინთა და კაცთაგან შემდგარი,
შეკრბა მის წინაშე, აგრეთვე ფრინველებიც, ყველა ცალ-
ცალკე გუნდად დაწყობილი.

18. როცა ამალა იგი მთლად მივიდა კინკველთა კორდ-

თან, ერთმა მათგანმა ჰსთქვა: ჭინჭელნო! შედით თქვენს სადგომებში, შიშით, რათა სოლომონმა და მისმა ჯარმა არ გაგსრისონ თავიანთ სიმძიმეს ქვეშე, ისე, ვერც კი შეიტყონ.

19. ხოლო სოლომონმა გაიღიმა, რა ესმა ესე ჭინჭელნო და ჰსთქვა: უფალო! ბრძანე, მადლობელ ვიყო შენდა იმ სიკეთისათვის, რომელიც დამაყარე მე, აგრეთვე ჩემს მამებსაც; ბრძანე, რათა ვიღვაწო კეთილი შენდა საამებლად, და დამიდე წილი მოწყალებაში, რომლითაც გარემოიცავ შენდა სათნო მსახურთა.

20. ჩამოათვალიერა ფრინველთა ჯარი და ჰსთქვა: რად ვერა ვხედავ აქ ოფოფსა? ნუ თუ არაა?

21. ჭემმარიტად, მძიმე სასჯელს შეეყარო იგი, ან მოვკლავ, თუ კანონიერი ბოდიში არ მოიხადა ჩემთან.

22. მართლა, დიდხანს არ დარჩენილა მოუსვლელი და უთხრა სოლომონს: მე შევიტყევე ის, რაც შენ არ იცი; მე მოვდივარ საბათგან სარწმუნო ამბებითა.

23. იქ ვიპოვე დედაკაცი ვინმე. რომელიც მამაკაცებზე ხელმწიფობს; ყველაფრის პატრონია და დიდებული ტახტიცა აქვს.

24. ვნახე, რომ ის და მისი ერი თაყვანს ჰსცემდა მზესა ღვთისა თანასწორ: სატანამ მშვენიერ ჰყო მათი ნაღვაწი მათვე თვალში; გადაახვევინა ჭემმარიტის გზისაგან, ასე რომ წარმართებულ აღარ არიან.

25. და აღარც ეთაყვანებიან ღმერთსა, რომელიც საჯაროდ გამოჰფენს ცათა და ქვეყნის საიდუმლოებსა, რომელმაც უწყის, რასაც მალავთ და რასაც აქვეყნებთ.

26. იმ ღმერთსა, რომლის გარეშე არაა ღმერთი, მფლობელი დიდებულის ტახტისა.

27. ვნახოთ, ჰსთქვა სოლომონმა, მართალი ჰსთქვი, თუ მოიჭორე.

28. წადი ჩემგან ამ წერილით; ჩააბარე მათ, შენ კი მოშორებით დადექ; ნახო, თუ როგორი იქმნეს მათი პასუხი.

29. ოფოფმა გაჰსწია და მინდობილი აღასრულა. დედოფალმა უთხრა თავისის სამეფოს დიდებულებსა: ბატონებო, ჩინებული წერილი მომერთვა.

30. სოლომონისგანაა; აი მისი შინაარსი: „სახელითა ღვთისა მოწყალისა და შემწყნარებელისა,

31. „ნუ აღგებით ჩემდა წინააღმდეგ; უმაღლესი ჩემდამი მოაქცით, სრულად მინდობილნი ღვთისანი“.

32. ბატონებო, ბრძანა დედოფალმა, მირჩიეთ, ამ საქმეში; არაფერი გადავწყვიტო. თქვენგან დაუხმარებლად.

33. ძლიერ და საშინელ გახლავართო, მოახსენეს, მაგრამ შენ გეკუთვნის ჩვენდა ბრძანების მოცემა, შენ უნდა განიხილო, რაც რამ საბრძანებელი გაქვს ჩვენთვის.

34. როცა მეფენი ქალაქში შედიანო, ჰსთქვა დედოფალმა, არბევნ და მის ყოვლად შეძლებულ მოქალაქეებს ყოვლად უბედურებად აქცევნ. ესრეთ ირჯებთან.

35. მოსაკითხი გაუგზავნო და მას უკან ვნახო, თუ რა მომიტანონ ჩემმა ელჩებმა.

36. როცა დედოფლის ელჩი წარდგა სოლომონის წინაშე, ამან უთხრა: გწადიათ თუ არა, თქვენის განძით დამეხმაროთ? რაც ღმერთს ჩემთვის მოუნიჭებია, უმჯობესია მის, რაც თქვენთვის მოუნიჭებია, ხოლო თქვენ მოგაქვსთ თავი თქვენის საჩუქრებითა!

37. დაბრუნდი შენ გამოგზავნელ ხალხთან. თავს დავესხათ ჯარითა, რომელსაც ვერ გაუმკლავდეს. განვადეოთ იგინი თავიანთი ქვეყნითგან, დამცრობილნი და დამორჩილებულნი.

38. სოლომონმან უთხრა თავისიანებს: ბატონებო! თქვენთაგანმა ვინ მომართვას დედოფლის ტახტი, ვიდრე თვითონ მოვიდოდენ, ღვთის ნების მინდობილნი?

39. მეო, უპასუხა იფრიტმან, ერთმა ჯინთაგანმა; მე მოგართვა, ვიდრე ადგილითგან წამოდგებოდე. საკმაოდ ღონე მომდევს საამისოდ და ერთგულიცა ვარ.

40. მეორე ჯინმა, მან, რომელსაც ჰქონდა წიგნის ცნობა, უთხრა სოლომონს: მე მოგართვა იგი, ვიდრე თვალს დაახამხამებდე, ხოლო როცა სოლომონმა დაინახა მის წინაშე დადგმული ტახტი, ჰსთქვა: ესაა ღვთის წყალობის ნიშანი; მცდის, შეიტყოს, მადლიერ ვიქმნე, თუ უმადურიო. ვინც მადლიერია თვისდა სასარგებლოდა; ვინც უმადურია, ღმერთს შეუძლია, უიშისოდ გაჰსძლოს, ვინადგან იგია მდიდარ და გულუხვი.

41. ეგ ტახტი ვერ გამოსაცნობელ ჰყავთ მისთვის, უთხრა სოლომონმა ჯინებს. ვნახოთ, ჰქმნა რა იგი, თუ მათგანია, რომელნიც ვერ წარემართებიან.

42. ხოლო როცა იგი (დედოფალი) წარდგა სოლომონის წინაშე, ჰკითხეს მას, თუ თქვენი ტახტია ესო? უპასუხა: კაცი იტყოდა მის ყოფასა. დიახ, მეცნიერება მიგვიღია მის უწინარეს, და ღვთის ნებასაც ვმინდობივართ.

43. იმ ღმერთებმა, რომელთაც თაყვანს ჰსცემდა იგი ღვთის თანაბრად, შეაცდინეს იგი და ურჯულოთაგანიც შეიქმნა.

44. უთხრეს მას: შემობრძანდით ამ პალატში. ხოლო როცა ნახა, წყალის საგუბარი ეგონა და მუხლებამდე აიწია. ბროლ მოგებული პალატიაო, უთხრა სოლომონმა.

45. ბატონო, ჩემს თავს უმართლოდ მოვეპყარ; კერბთა ზამალმერთებელი; ეხლა, როგორც სოლომონ, მივენდობი ღვთის, სამყაროს მეუფის ნებასა.

46. ჩვენ მოვაგლინეთ სალეჰ დემუდელთა, მის ძმათა მიმართ, რათა ჩვენ მიერ იძულებით თაყვანი ეცათ ღვთისთვის. ორ ნაწილად გაიყვნენ.

47. ჩემო ერო! მათ უთხრა სალეჰმ, რად გწადიათ, დაეშუროთ სასჯელის უბედურებას უფრო, ვიდრე ღვთის ჯილდოთა ბედნიერებას? რატომ არ ევედრებით ღმერთს მიტევებასა, რათა შეგიბრალოსთ?

48. შენ და შენიანებს ჩვენ უკითხეთ ფრინველთა. ფრინეთა. თქვენი ბედი ღმერთზეჰკიდიაო, პასუხად ჰსთქვა; თქვენა ხაროთ ერი, რომლის გამოცდა ღმერთს ნებაესო.

49. ქალაქში იყო ცხრა კაცი, რომელნიც ნამეტანობას ჰსჩადიოდენ ქვეყანაში და კეთილს საქმეს არაფერს შერებოდენ.

50. ერთმანერთში ლაპარაკობდენ: შევეკრათ ერთმანერთს ღვთის წინაშე ფიცითა, მოვკლათ ღამით საღეჭ და მისი სახლობა; მაშინ უთხრათ ჩვენ მისის სისხლის შურის მეძიებელსა: არ დავჰსწრებივართ მისი სახლობის ამოწყვეტასა; სიმართლეს ვამბობთ.

51. საქმეში გამოიყენეს თავიანთი ხერხი ჩვენც აგრეთვე ჩვენი გამოვიყენეთ საქმეში, როცა არც კი იქვენეულობდენ.

52. ნახე, თუ რა ბოლო ჰქონდა მათ ვერაგობას; იგინი გავეჰსწყვიტეთ, აგრეთვე მართლად მათი ერიცა.

53. მათი სადგომები, როგორც ხედავთ, ჩაწოლილია ნიადგამდე, მიტომ რომ არა წმიდა იყვნენ; ამაში სასწაულია კაცთათვის, რომელთაც გულის ხმიერება აქვსთ.

54. დავიხსენით, ვისაც ჰსწამდათ და ღვთის ეშინოდათ.

55. მოვავლინეთ ლოთ, რომელიც ეუბნებოდა: თავისს ერსა: ჯანა სისაძაგლე უნდა ჩაიდინოთ? თქვენ იცით.

56. განა უნდა დაიჭიროთ ხორციელის ნდომისა გამო კავშირი მამაკაცებთან უფრო, ვიდრე დედაკაცებთან? შეცდომაში ხართ.

57. ხოლო როგორი იყო მისის ერის პასუხი? ერთმანერთს უთხრეს; გავყაროთ ლოთის სახლობა ჩვენის ქალაქიდან; ამ ხალხს ჰსწადია ჩვენი უმანკობაო.

58. დავიხსენით ლოთის სახლობა თვინიერ მისის ცოლისა, ხოლო მას გაუჩინეთ ჩვენ ყოფა მათ შორის, რომელნიც უკან ჩამორჩნენ.

59. ჩვენ ვაწვიმეთ ქვების წვიმა. რა საშინელი იყო წვიმა, მოსული იმ ხალხზე, რომელსაც უმაოდ აფრთხილებდენ!

60. ჰსთქვი: აქებდით ღმერთსა, ხოლო მშვიდობა მათმის მსახურთა შორის, რომელნიც მან აღირჩია! ვინ, ღმერთი, თუ კერპები იგი, რომელთაც მას უამხანაგებენ, უფრო ღირსი პატივისცემისა?

61. მან გააჩინა კანი და ქვეყანა, მოავლინებს წყალსა (წყალის შემწეობით თქვენთვის აღვარძინებთ მოღიმარ წალკოტებსა, ვინადგან ვერ ახარებინებთ მათ ხეებსა); ნუ თუ ვილაც ღმერთმა, მოამხანაგემ ერთად ერთის ღვთისამან? ტოლები მაინც აუჩენიათ მისთვის!

62. მან დაამყარა მტკიცედ დედამიწა, გაიყვანა მის გულში მდინარეები, დააფუძნა მთები, აღმართა ორ ზღვას შუა ზღუდე; ნუ თუ ვილაც ღმერთმა, მოამხანაგემ ერთად ერთის ღვთისამან? უმეტესს ნაწილს მაინც არ გაეგება.

63. იგი ისმენს შევიწროებულისას, როცა დაღაღს ჰყოფს მისდამი, იხსნის მას უბედურებისაგან, მას დაუყენებია თქვენთვის თავისი მოადგილეები ქვეყანაზე; ნუ თუ ვილაც ღმერთსა, მოამხანაგეს ერთად ერთის ღვთისას? ეჰ! რა ცოტას ფიქრობთ!

64. იგი მიგიძღვისთ მტკიცე დედამიწისა და ზღვის წყვიდადთა შორის, იგი გზავნის წყალობის წინამორბედ ქარებსა; ნუ თუ ვილაც ღმერთმა, მოამხანაგე ერთად ერთის ღვთისა? ფრიად უზენაესობს იგი, რომ სხვა ღმერთები დაუამხანაგონ.

65. მას გამოჰყავს ქმნილება და უკანვე მიაქცევს. იგი: გასაზრდობსთ ცისა და ქვეყნის ნიჭითა; ნუ თუ ვილაც ღმერთი, მოამხანაგე ერთად ერთის ღვთისა? უთხარი მათ: თქვენი საბუთები მოიტანეთ, თუ მართალს ამბობთ.

66. ჰსთქვი: თვინიერ ღვთისა სხვამ ერთმაც არ უწყის, ზეცას და ქვეყანაზე, საიდუმლოები კაცთა არ იციან.

67. თუ როლის იქმნენ მკვდრეთით აღდგენილ.

68. რაღაც ცნობა აქვსთ მომავალის ცხოვრებისა; მაგრამ ეჭვიანობენ, ან უფრო ბრმანი არიან ამის მიმართ.

69. ჟრწმუნოები ამბობენ: ოდეს ჩვენ და ჩვენი მამები მტვერ შევიქმნეთ, ნუ თუ შესაძლოა გამოგვაცოცხლონ?

70. კიდევ დაგვიბრდენ ამას, ჩვენს მამებსაც აზრეთვე, მაგრამ ძველთაგან ძველი ზღაპარია.

71. უთხარი მათ: მიმოვლეთ ქვეყანა და ნახეთ, თუ რა ბოლო ჰქონდათ ცოდვილებსა.

72. არ იჯავრო ბედისათვის, რომელიც მათ მოეღოს და გულიც არ გაგიტყდეს შიშისაგამო მათი მანქანებისა.

73. იგინი გკითხვენ: მაშ როდის-ღა ახდეს ეგ მუქარაო? ჰსთქვით, თუ გულწრფელ ხართ.

74. უპასუხე მათ: ეგების სასჯელი იგი, რომელსაც ეშურებით, თქვენს თავს იყვეს.

75. შენი უფალი სიკეთით აღსავსეა კაცთათვის; ხოლო უმეტესი ნაწილი მათ შორის არაა მადლიერ.

76. შენმა უფალმა უწყის, რასაც მათნი გულნი მალვენ და რასაც იგინი მოქმედობენ საჯაროდ.

77. ისეთი ფარული ნივთი არაა, ზეცასა და ქვეყანაზე, ჩაწერილ არ იყვეს ცხად წიგნში.

78. იგი (კურანი) განუცხადებს ისრაელის შვილებს საცილობელ საგანთა უმეტესს ნაწილსა.

79. აღკურანია წარმართებად მორწმუნეთათვის და შეადგენს მათდამი ღვთის წყალობის სიმტკიცესა.

80. ღმერთმა წარმოსძთქვას თავისი განაჩენი, რათა გაგიკითხოსთ. იგია შემძლე, ბრძენი.

81. იქონიე სასიყება ღვთისა, ვინადგან ემყარები ცხადს ჰეშმარიტებასა.

82. ვერაფერს შეასმენ მკდრებსა: ვერ შეასმენ ყრუებსა სიმატლის ღაღადსა, როცა ზურგს შეგაქცევენ.

83. როდი ხარ ბრძების წინამძღოლ, რომ დიფარო იგინი გადახვევისაგან. ვერ მოახერხებ, ყური დაგიგდონ, მათ გარდა, ვინც ერწმუნენ ჩვენს სასწაულებსა და ვინც მიენდობიან ღვთის ნებასა.

84. ოდეს განჩინება, მათდა წინაღმდეგ წარმოითქვას, ახლო მყოფი სისრულეში შესასვლელად, დედამიწითგან ამო-

ვიყვანო ურჩხული, რომელმაც მათ შეჰსძახოს: მართლა, ხალხ-
მა არ ირწმუნა მტკიცედ ჩვენი სასწაულმოქმედება.

85. ერთ დღეს თავი მოუყაროთ მათ, რომელნიც ჩვენს
სასწაულებს სიცრუედ ჰსთვლიდენ: ჯგუფ-ჯგუფად დაყოფილ
იქმნენ იგინი.

86. ვიდრე გამოცხადდებოდენ წინაშე ღვთისა, რომელ-
მაც უთხრას მათ: სიცრუედ ჩაჰსთვალეთ ჩემი სასწაულები მა-
თის გაუგებრობის გამო, თუ სხვა რამ მოსახრება გამოქმე-
დებდათ ეგრეთ?

87. განჩინება აღსრულებულ იქმნას მათის არაწმილობი-
სათვის სასჯელად, ხოლო ერთი სიტყვაც ვერ წარმოჰსთქვან მათ.

88. ნუ თუ ვერ ხედავდენ, რომ ღამე დაგვიწესებია,
როგორც დრო მოსვენებისა, ხოლო ნათელი დღე მუშაობი-
სათვის? ამაში დიახ სასწაულებია იმ ხალხისათვის, რომელსაც
მტკიცედა ჰსწამს.

89. იმ დღეს, ოდეს ბუკსა ჰსცუნ, ყველაფერს, რაც რამ
იქმნეს ცათა შინა და ქვეყანაზე, თავს ზარი დაეცეს, მათ
გარდა, ვისი გადარჩენაც ღმერთმა ინებოს. ყოველი ადამიანი
მოვიდეს და განერთხას მის წინაშე.

90. ნახო, თუ მთები იგი, შენ რო მტკიცედ დამყარებუ-
ლი გგონია, დადიოდეს ისე, როგორთაც ღრუბელნი დადიან.
იგი იქმნეს ღვაწლ ღვთისა, რომელიც განაგებს ყველაფერს
ბრძნულად. იგი შცოდნეა ყოველის თქვენის მოქმედებისა.

91. ვინც წარდგეს კეთილნამოქმედარითა, სარგებლობა
ნახოს. იგინი იქმნენ საფარველ ქვეშე ყოველის შიშისაგან.

92. ვინც მოიტანონ მხოლოდ თავიანთი ცოდვები, პი-
რისახით შთაცვიდენ ცეცხლში. განა სამაგიერო მოგეცესთ
სხვაფრივ, თუ არ თქვენთა საქმეთაებრ?

93. ბრძანება მაქვს მიღებული, თაყვანი ვჰსცე ამ ქვეყნის
უფალსა, ღმერთსა, რომელმაც წმინდა ჰყოიდა რომელსაც ყვე-
ლაფერი ეკუთვნის. მებრძანა, მივენდო მისს ნებასა.

94. უკითხო კურანი ხალხსა. ვინც წარემართოს ჭეშმარიტის გზით, საკუთრად თვისდა სასიკეთოდ ჰქმნას; თუ ვინმე შეცდომილებაში იმყოფებოდეს, უთხარი მათ: მე დავალე-ბულ ვარ მხოლოდ მხილებასა.

95. ჰსთქვი: აქებდით ღმერთსა! მალე მოგცესთ თავისი ძლიერების სასწაულები და ვერც მოახერხოთ მათი უარყოფა. შენი უფალი როდია დაუდევარ ჩისა, რასაც შერებით.

თ ა ვ ი XXVIII.

ამჴაჲი, ანუ თავგადასავალი.

ნაბოძებია მექას. — 88 მუხლი.

ს ა ხ ე ლ ი თ ა

ლ ვ თ ი ს ა

მოწყალისა და შემწყნარებელისა.

1. ტა. სინ. მიმ. ესაა სასწაულები ცხადის წიგნისა.
2. სრულის ჭეშმარიტებით მოგითხრათ რამდენიმე ადგილი მოსეს და ფარაოსა ამბისა, მორწმუნეთა სამოძღვრებლად.
3. ფარაო ადგა ეგვიპტეს ქვეყანაში და შემოიღო თვისის ერის სხვა და სხვა ნაწილად დაყოფა; ერთს ნაწილს ავიწროებდა, საკვდილს შეამთხვევდა მათ ვაჟიშვილებს, ხოლო ზოგვიდა მარტო მათ ცოლებსა. იგი იყო ბოროტი ვინმე.
4. ვინებეთ ჩვენის წყალობით აგვევსო ქვეყნის შევიწროებული მცხოვრებლები; ვინებეთ მათი ამორჩევა იმამებად და მათი დადგენა ქვეყნის მემკვიდრებად.
5. ვინებეთ დაგვეყარებინა მათი ძლიერება ქვეყანაში და გამოგვეცდევინებინა ფარაოს, ჰამანის და მათის ჯარებისათვის გაჭირვება, რომლისაც ეშინოდათ.
6. აი რა გამოუცხადეთ ჩვენ მოსეს დედასა: აწოვე ძუძუ და თუ რამ მაგისი შიში გქონდეს, გადააგდე ზღვაში და ში-

შიც მოიშალე; ნუ იჯავრებ, რადგანაც ერთს დღეს უნდა მოგვაროთ უკანვე და ჩვენ მოვლინებულადაც გავხადოთ ეგა.

7. თარაოს სახლობამ აიყვანა ყრმა, რათა ერთ დღეს მტრად და განსაცდელად გადაქცეოდა მათ. თარაო და ჰამან და მათი ჯარები დიახ ცოდვილ იყვნენ.

8. თარაოს ცოლმა მას უთხრა ერთხელ; ეგ ყრმა ჩვენდა ნუგეშ იქმნეს; ნუ მოჰკლავთ, ეგების ერთ დღეს გამოგვადგეს; შვილად ავიყვანოთო. არაფერი იცოდენ.

9. მოსეს დედას გული ჯავრით უსკდებოდა; კნინდა გაამხილა მისი შთამომავლობა; ჩაიდენდა, თუ რო გული არ გაგვემტკიცებინა მისთვის, რათა იგიც მორწმუნე ყოფილიყო აგრეთვე.

10. უთხრა თავის დასა: გაედევნე ყრმასა. შორითგან უთვალთვალედა ისე, რომ ვერ შეემჩნიათ.

11. ჩვენ აუკრძალეთ მას ძუძუ უცხო ძიძებისა, იმ ჟამამდე, ვიდრე მისი დედიდა მოვიდოდა და ეტყოდა. თარაოს სახლობასა. გნებავსთ, გაჰსწავლოთ სახლი, სადაც თავს შეიდვან და სადაც კეთილი მოინდომონ მაგისტვას? დაჰყვნენ.

12. ესრეთ ჩავაბარეთ იგი დედამისსა, რათა მისი დამეზული თვალეზი ნუგეშცემულ ყოფილიყო, რათა აღარ ეჯავრა და რათა შეეტყო, რომ ღვთის აღთქმული უცვალეზელია. ხოლო უფროს ერთმა კაცმა არ უწყის.

13. როცა მოსე გადადგა მოწიფულობის ხანში და მისმა ტანმა ძალი მოიცა, მას მივმადლეთ სიბრძნე და მეცნიერება. ესრეთ ვაჯილდოებთ სათნო კაცთა.

14. ერთხელ შევიდა ქალაქში ისე, რო ვერ შეენიშნათ, და ნახა, რომ ორი კაცი ერთმანერთს ეჩხუბებოდა; ერთი იყო მისი ერისაგანი, ხოლო მეორე იყო მისი მტერი (ეგვიპტელი). მისის ერისაგანმა კაცმა ჰსთხოვა დახმარება მოსისხარი ერის კაცის წინააღმდეგ. მოსემ ჩაჰკრა მუშტი და მოჰკლა; ხოლო გონს რო მოვიდა, ჰსთქვა: სატანას საქმეა, მტერი იგი ცხადად გვაცდენსო.

15. უფალო, ჰსთქვა, ავად მოვებყარ ჩემს თავსა, მაპატოე, ღმერთმაც აპატია, ვინადგან იგია სულგრძელ და მოწყალე.

16. უფალო, ჰსთქვა, ვინადგან ქველმოქმედ იყავ ჩემდა, არასოდეს ვიქმნე ცოდვილთა საიმედო.

17. დილას ქალაქში დაიარებოდა ცახცახით და ყოველის კუთხით მაცქერალი, და აი ვისაც დაეხმარა წინა დღეს, კაცი იგი უძახდა დიდის ძახილითა. ნამდვილად მეშფოთარ ხარო, უთხრა მოსემ.

18. ხოლო როცა უნდოდა ძალად გაეგდო კაცი, მათი საერთო მტერი, მან (მისმა თანამამულიშვილმა) უთხრა: გინდა, მომკლა, როგორათაც გუშინ მოჰკალ ერთი კაცი? ამ ქვეყანაში მძლავრობას ხომ არ აპირებ? ხომ არა გსურს, როგორცა ჰსჩანს, იყვე შართალ?

19. ვინმე კაცმა ქალაქის კილით მოირბინა და უთხრა: მოსე! დიდ-კაცებმა ზრახვა ჰყვეს, რათა მოგკლან. ქალაქი დაჰსტოვე, მეგობრულად გირჩევ.

20. მოსე გამოვიდა სრულიად ათრთოლებული და გარშემო მაყურებელი. უფალო! ღაღად ჰყო, მიხსენ უკეთურების ხელთაგან.

21. გაჰსწია მადიანის მხარეს. ჰსთქვა, ეგების ღმერთმა დამაყენოს ქეშმარიტ გზაზეო.

22. მადიანის წყაროსთან რო მივიდა, იპოვა იქ ბრბო კაცთა, რომელნიც თავიანთ საქონელს არწყულებდენ.

23. ხოლო გვერდით შეამჩნია ორი ქალი, თავიანთ საქონელს ერეკებოდენ. რას შვრებით აქაო, ჰკითხა: — ჩვენი საქონელი უნდა დავარწყულოთ, მიუგეს, მწყემსების წასვლის შემდეგ. მამაჩვენი დაბძენებული მოხუცია.

24. მოსემ დაარწყულა მათი საქონელი და მიდგა რა ჩრდილში, ღაღად ჰყო: უფალო! მაკლდება სიკეთე, რომელსაც აქ შემახვედრეო.

25. ერთი ორ ქალიშვილთაგანი მივიდა მასთან და მიუ-

ახლოვდა რა დარცხვენით, მოახსენა: მამა ჩემი გთხოვს, ჯილდო რამ მიიღოთ იმ შრომისათვის, რომელიც გაჰსწიეთ ჩვენის საქონლის დარწყულებითა. მოსე მივიდა იქ და უამბო თავისი თავგადასავალი, მოხუცმა მიუგო: ნურათრის გეშინია, აგერ უკეთურებსაც ხომ გადარჩი.

26. ერთმა ქალიშვილთაგანმა უთხრა მაშინ მამამისსა: მამაჩემო! აიყვანე ეს ადამიანი შენდა სამსახურისათვის, უმჯობესი ვერ ამოიჩიო შენის სამსახურისათვის, ვიდრე არ აიყვანო ჯანდონიანი და ნდობისა ღირსი.

27. მინდა მოგათხოო, ჰსთქვა მოხუცმა, ერთ-ერთი ამ ჩემ ორ ქალში, პირობით კი, მემსახურო რვა წლის განმავლობაში. ხოლო თუ ათამდე მიატანო, შენი ნება იყოს. სამძიმო არაფერი დაგაკისრო, და თუ ღმერთმა ინება, ყოველთვის სამართლიანიც მხოო.

28. ეგ გადაჭრილია ჩვენ შორის, მიუგო მოსემ: ხოლო, რაც უნდა ვადა მექმნეს შესასრულებელი, ჩემის მხრით დაბრკოლება არავითარი იქმნეს. თვითონ ღმერთია თავმდები ჩვენის ხელშეკრულობისა.

29. მოსემ დაჰყო თუ არა თავისის სიმამრის სამსახურში უწყებული დრო, წამოვიდა თავისის სახლობითა; უცაბედად ცეცხლი დაინახა მთისაკენ და უთხრა თავისს სახლობასა: მოიცადეთ აქ ერთ წუთსა, ცეცხლი შევამჩნიე; ერთი წავიდე, ამბავი რამ შეგატყობინოთ, ან მგზნებარე მუგუზალი მოგიტანოთ ქვენდა გასათბობად.

30. ხოლო როცა ცეცხლის გარემოს იყო, ხმამ გამოჰსძახა კორდის მარჯვენა მხრით, კურთხეულ ქალაში, ბუჩქითგან: მოსე! მე ვარ ღმერთი, მეუფე სამყაროსა.

31. გადააგდე შენი ჯოხი. ხოლო მოსემ რაკი ნახა, რაც გადააგდო, იკლანებოდა გველივითა, შეუდგა გაქცევას უკან მოუბრუნებლად. მოსე! ხმამ დაუძახა, მოახლოვდი, ნურათრის გეშინია, არა გიშავს-რა.

32. ხელი ჩაიდე უბეში, მრთლად თეთრი გამოიღო, ისე

რო სიავადით არ იყვეს, მერმე კი უკანვე წაიღე, შიშის შე-
უპოვარმა. ეგ იქმნეს ორი საბუთი შენის უფლის მხრით ფა-
რაოსა და მისის სამეფოს დიდებულთა წინაშე. არა წმიდა
ხალხია.

33. უფალო, მიუგო მოსემ, ერთი მათგანი მოვკალ და
მეშინია, სიკვდილს არ მიმცენ.

34. ჩემ ძმას აარონს მეტყველება უფრო მარჯვე აქვს,
ვიდრე მე; გამაყოლე თან, რათა გამამხნეოს და სიტყვები
გამიმტკიცოს, ვინადგან მეშინია, მატყუარად არ ჩამაგდონ.

35. შენი მკლავი ძლიერ ვყოთ შენის ძმითა, უთხრა
მას ღმერთმა; ისეთი ხელი მოგანიჭოთ; ეგვიპტელები ვერასო-
დეს ეწიონ ჩვენ სასწაულთა ძალასა. თქვენ და თქვენი ამყოლ-
ნი ყოვლად ძლიერ იქმნეთ.

36. როცა მოსე გამოცხადდა მათ წინაშე, ჩვენის ცხადის
სასწაულებით გამტკიცებული, მათ დაიძახეს: ეგ ხომ ახლად
მოგონებული თვალთმაქცობაა; ეგ ამბად არა გვსმენია, ჩვენის
წინაპრებისაგან!

37. ღმერთმა, უფალმა ჩემმან, უთხრა მათ მოსემ, უკეთ
უწყის, ვიდრე ვინმე სხვამ, თუ ვისთვის მიუცია წარმართება
და ჩვენგანი ვინ ეუფლოს საუკუნო სამყოფსა; ვინადგან არ
ახეირებს უკეთურებსა.

38. ფარაომ, რა მიმართა მაშინ დიდებულთა, უთხრა
მათ: როგორც ვიცი, არ გაგაჩნიათ თქვენ სხვა ღმერთი, ჩემს
გარდა. ხოლო შენ ჰამან, გამოაწვევინე ჩემთვის აგურები ალი-
ზისაგან და ამიგე პალატი, რათა მივიღე მოსეს ღმერთთან და
თვითონვე დავრწმუნდე, თუ რაა: ვინადგან მჯერა, იგი (მო-
სე) ჰსტყუის.

39. დიახ, ფარაო და მისი ჯარი ამყობით სავსე იყვ-
ნენ ეგვიპტეს ქვეყანაში და ბრალიც ჰქონდათ: ეგონათ, თუ
მოყვანილ არასოდეს იქმნებოდენ ჩემს წინაშე.

40. მაგრამ ჩვენ შევიპყარით იგი, აგრეთვე მისი ჯარი;
ყველანი ზღვაში ჩავყარეთ. იხილე თუ, როგორი აღსასრული
ჰქონდათ არაწმიდებსა.

41. იგინი დავადგინეთ იმამებად (მთავრებად), რომელნიც იხმობენ და ცეცხლში წაიყვანენ. აღდგომის დღეს შეველა ვერ ჰპოონ.

42. ამ ქვეყნად, მათ სახელებს ძვირად ხსენება დაუკავ- შირეთ ჩვენ, ხოლო აღდგომის დღეს სირცხვილელთ იქმნენ.

43. მოსეს ჰივმადღეთ წიგნი (დაბადება). ამოვწყვიტეთ თუ არა წინასწარყოფილნი თაობანი; იგი იყო მაგალითი აღ- მიანთა მხილებისა, იგი იყო წარმართება და დამტკიცება ჩვე- ნის მოწყალებისა; ეგების გულის ხმა ჰყონ.

44. შენ არ ყოფილხარ მუჰამმად! სინას მთის დასავ- ლეთის მხრით, როცა ჩვენ დავადგინეთ მოსეს მოციქულობა: მოწმედ არ დაჰსწრებიხარ.

45. მრავალი თაობა წამოვაყენეთ მოსეს აქეთ; სიცოც- ხლე მათი ხანგრძლივ იყო. არ გიცხოვრია მადიანელთა შო- რის; რათა გეკითხა მათთვის ჩემი მოძღვრება (გეამბნა ჩემი სასწაულები); მაგრამ მოგვივლენია მათთვის მოციქულები.

46. არ ყოფილხარ სინას მთის დაყოლებაზე, როცა იქ ვიხმეთ მოსე; შენის უფლის მოწყალების საქმეა, რომ უქა- დაგებ ხალხსა, რომელსაც მოციქული არ ჰყოლია, შენს უწინარეს დავალებული მისს მოწოდებას გულის ხმის საყო- ფელად.

47. რათა არ ეთქვათ, როცა უბედურება ეწეოდათ: უფალო, რად არ მოგვივლინე მოციქული? შენს სასწაულებს შეუდგებოდით და ვერწმუნებოდით.

48. ხოლო როცა ჩვენგან მომავალი ჭეშმარიტება გა- მოეცხადათ, ჰსთქვეს: რად არ მიეცა ის, რაც მოსეს მიანიჭა? ეჰ! (ურწმუნოებმა) განა არ უარ ჰყვეს წიგნი, რომელიც ოდე- სმე ებოძა მოსეს? განა არ ამბობენ: კურანი და დაბადება- შეთხზულია ერთმანერთის დამხმარე გრძნეულთა მიერ? არც ერთი, არც მეორე გვრწამსო.

49. უთხარი მათ: მაშ მოიტანეთ წინაშე ღვთისა წიგნი, რომელიც უკეთესი წინამძღოლი იყვეს, ვიდრე ისაა, და მეც შეუდგე მას, თუ მართალ ხართ.

50. ხოლო თუ ვერ აღასრულონ, იცოდეთ, მხოლოდ თან-ვიანთ გულის თქმას აპყობიან. განა იქმნება, აღამიანი უფრო შემცდარი, ვიდრე იგი, რომელიც თავის გულისთქმას აპყობია თვინიერ ყოვლის წარმართებისა ღვთისაგან? ღმერთ-მაც, უეჭველთა, არ წარუმართოს უკეთურთა.

51. მათ ვასმინეთ ჩვენი სიტყვა, რათა გულისხმა ეყოთ.

52. ვისაც მათ უწინარეს წერილი უბოძეთ ჩვენ, ერწმუნებოიან.

53. როცა მათ უკითხვენ, ამბობენ: ეგ წიგნი გვრწამს, რადგანაც ჭეშმარიტებაა, ჩვენის უფლისაგან მომავალი. ჩვენ გამხდარვართ ღვთის ნების მინდობილი მუსულმანები მის მოვლინებამდე.

54. ამათ მიიღონ ერთი ორად ჯილდო, ვინადგან მოჭირვებით იტანჯვიან, ვინადგან ბოროტს კეთილით განდევნიან და უხვად გაჰსცემენ კეთილთაგან, რაოდენიც მათთვის მიგვიანიჭებია.

55. როცა ესმისთ წარამარა ლაპარაკი, თავს არიდებენ, რათა ყური არ დაუგდონ და ეუბნებიან მათ, რომელთაც იგი გაუბამთ. ჩვენ ჩვენი საქმეები გვაქვსთ, თქვენ თქვენი. მშვიდობა იყვეს თქვენთან; უგუნურებს არ გამოუდგებით ჩვენ.

56. ხოლო ვერ წარუმართო შენ, ვინცა ინებო, არამედ ღმერთმა წარუმართოს, ვინც სათნო იჩინოს; ვიდრე ვინმე სხვა, უკეთ იცნობს იგი კეთილის გზის მიმდევართა.

57. იგინი (მექელები) ამბობენ: უკეთუ აგყვეთ, ქვეყნითგან გაგვყარონო. ნუ თუ არ დაგვიწესებია მათთვის გალავანი წმინდა და საიმედო, სადაც ყოველგვარი ნაყოფი, ჩვენ მიერ მინიჭებული მათდა საზრდოდ, თავს იყრის ყოველის კუთხით? ხოლო უფროს ერთმა კაცმა არა იცის-რა.

58. რამდენი დაგვინგრევია ისეთი ქალაქი, რომელთა მკვიდრნი ცხოვრებდნენ ფუფუნებით! მათ სადგომებს ხედავთ: მათ შემდეგ ცოტანი-ღა სახლობენ, ხოლო სამკვიდრებელი მათი ჩვენ მივიღეთ.

59. შენს უფალს არასოდეს დაუქცევია ქალაქები ისე, არ მოევლინა მათ შორის დედა-ქალაქისათვის მოციქული, დავალებული, რათა მოეგონებინა მისი ბრძანება. ჩვენ ამოვადგეთ მხოლოდ ისეთი ქალაქები, რომელთა მცხოვრებნი არაწმინდა იყვნენ.

60. სიკეთე, რომელიც გებოძათ, მხოლოდ საწუთრო განცხრომაა ამა სოფლისა და თითქოს მისი სამკაულიც; ხოლო რაც ღმერთსა აქვს შენახული, იგი ჰსჯობია და უფრო ხანგრძლივიცაა. ნუ თუ ვერ ჩახვდეთ?

61. ვისაც დაუდევით ჩვენ ჩინებული პირობა და ვინც მას მიიღებს, განა შეედრება ადამიანსა, რომელიც დავატკბეთ ამა სოფლის სიკეთითა, რომელიც, აღდგომის დღეს, მიყვანილი იქმნეს სხვებთან ერთად წინაშე ღვთისა?

62. იმ დღეს ღმერთმა ხმა ჰყოს მათდამი: აბა სად არიან ჩემი ამხანაგები, რომელნიც, გეგონათ, ჩემთან ერთად არსებობდნენ?

63. ვისაც სამართალი გაეჩინოსთ, მაშინ ჰსთქვან: უფალო, აი ეს ხალხი ვაცდინეთ, რაკი ჩვენ თვითონ ვიყავით შეცდომილებაში; შენს წინაშე ცოდვილ არა ვართ. ჩვენ კი არ გვეთაყვანებოდნენ, არამედ თავიანთ საკუთარ გულის თქმასა.

64. ხოლო უთხრან იმ ხალხსა: დაუძახებთ თქვენს ამხანაგებსა. დაუძახებენ მათ, მაგრამ არ მიუგებენ. მათ იხილონ სატანჯველი, რომელსაც მათ უმზადებენ. მაშინ კი ჰსთქვან: ნეტა ჰეშმარიტს გზაზე ვმდგარიყავითო.

65. იმ დღეს ღმერთმა ხმა ჰყოს მათდამი და უთხრას: რა მიუგეთ ჩვენ მიერ მოვლინებულთა?

66. მესხიერება იმ დღეს აერიოსთ; ერთმანერთსაც ვერ დაეკითხონ!

67. მაგრამ ვინც მოიქცეს, ვინც იწამოს და კეთილი ჰქმნას, ეგების ნეტართა შორის იქმნეს.

68. შენი უფალი გააჩენს, რასაც ინებებს, და თავისუფლადაც იქცევა; ხოლო მათ (ცრუ ღმერთებს) როდრ აქვსთ

წება. მისმა დიდებამან! ერთობ მაღლობს იმ არსებათა, რომელთაც უამხანაგებენ მას.

69. თქვენმა უფალმა უწყის, რასაც თქვენი გული მალავს და რასაც საჯაროდ გამოჰფენს.

70. იგია ერთად ერთი ღმერთი, არა. არს სხვა ღმერთი მისა თვინიერ; მას ეკუთვნის დიდება სააქაოს და საიქიოს, მისია უზენაესი ხელმწიფება: მასთან მიიქცეთ.

71. უთხარი მათ: რა გგონიათ? ღმერთმა რომ ინებოს, საუკუნო ღამე თავს დაგაყენოსთ, განაგრძოს მკვდრეთით აღდგომამდე, მას გარდა სხვა რომელი ღმერთი მოგანიჭებსთ სინათლესა? ნუ თუ არ გესმისთ?

72. კიდევ უთხარი მათ: რა გგონიათ? ღმერთმა რომ ინებოს, საუკუნო ღღე თავს დაგაყენოსთ, განაგრძოს მკვდრეთით აღდგომამდე, მას გარდა სხვა რომელი ღმერთი დააყენებს ღამეს თქვენდა მოსასვენებლად? ნუ თუ ვერ ხედავთ?

73. ხოლო ღმერთმა, თავისის მოწყალების საქმით, მოგანიჭათ ღამე და ღღე, რათახან მოგესვენებინათ, ხანაც გეთხოვათ მისის მოკეთებობისათვის სიმდიდრე ურომითა, ისიც მიტომ რომ დამნახველ ყოფილიყვენით.

74. ერთ ღღეს ხმა ჰყოს მათდამი: სად არიან ჩემი ამხანაგები, რომელნიც, გეგონათ, ღმერთები იყვნენ ჩემთან ერთად?

75. ჩვენ მოვიყვანოთ მოწმე თვითოეულის ერისაგან და ვთქვათ; მოიტანეთ თქვენი საბუთები. ხოლო მათ შეიტყონ, რომ ჭეშმარიტება მხოლოდ ღმერთთანაა; მათი მოგონილი ღმერთები გაჰქრენ.

76. ქარუნ მოსეს ხალხისაგან იყო; მაგრამ უსამართლოდ ეპყრობოდა თავის თანამოქალაქეებსა. იმდენი განძი გვიბოძებია მათთვის, რომ მარტო მათ კლიტეებს ძლივს თუ ზიდავდა ღონიერ კაცთა გუნდი. თანამოქალაქეები ეუბნებოდნენ მას: თავს ნუ იდიდებ შენის განძითა, ვინადგან ღმერთს არ უყვარს შედიდურები.

77. ეცადე, მოიპოო იმ კეთილით, რაც ღმერთს შენთვის მოუნიჭებია, სამყოფელი საიქიოს; ნუ დაივიწყებ შენს ხვედრს ამ ქვეყნად და ქველმოქმედ ექმენ სხვებს, როგორათაც ღმერთი შენ გექმნა; უფროხილდი ნამეტანობის ქმნასა ქვეყანაზე, ვინადგან ღმერთს არ უყვარს ნამეტანობის ჩამდენები.

78. რაცა მაქვს, მიღებული მაქვს მეცნიერებით, რომლის პატრონი ვარ მე მარტო; განა არ იცოდა, რომ ღმერთს მის უწინარეს აუკლია თაობანი ძალით უსაშინელეს და რიცხვით უმრავლეს კაცთანი?

79. ქარუნ ხალხს უახლოვდებოდა დიდრაჯულად. ვინც იქადიდენ მხოლოდ ამ ქვეყნის კეთილსა, ამბობდენ: ღმერთმა ინებოს გამხდარვიყვნეთ ქარუნსავით მდიდრები! აუარებელი ქონება აქვსო.

80. ვისაც მეცნიერება მიეღოთ, მათ ეუბნებოდენ: უბედურნო! ღვთის ჯილდო უპრიანეა მისთვის, რომელსაცა ჰსწამს და კეთილს შვრება; ხოლო ვინც გაჭირვებით დაიტანჯონ, მარტო მათ მიიღონ იგი.

81. დედამიწას ჩვენ უბრძანეთ მისი ჩანთქმა და მისი პალატისა. მისთა კაცთა სიმრავლე ვერ მიეშველა მას წინააღმდეგ ღვთისა, ყოველივე შემწეობაც მოაკლდეს მას.

82. ვინც წინაღლით ნატრობდენ მის ადგილზე ყოფნას, მეორე დღეს ამბობდენ: ღმერთი ხელსავსედ აძლევს განძსა, ვისაც ნებავეს, ან უწილადებს უწყებულის საწყაოთი. ღვთის წყალობა რომ არ ყოფილიყო, დედამიწა ჩაგთქმიდათ.

83. მომავალის ცხოვრების სადგომი ჩვენ უბოძოთ მათ, რომელნიც არ ცდილობენ სხვათა უმაღლეს აწევას, არც ბოროტის ქმნასა. ბედნიერი სახსარი მოეღოსთ ღვთისნიერ აღამიანთა.

84. ვინც კეთილი საქმე ჩაიდინოს, მისგან სარფა ნახოს, ხოლო ვინც ბოროტი ჰქმნას... ვინც ბოროტს შვრებიან, მათ მიეგოს თავიანთ საქმეთაებრ.

85. ვინც კურანი მოგმადლა, მან მიგიყვანოს ძველს.

სადგომში: ჰსტქვი; ვიდრე ვინმე სხვამ. ღმერთმა უკეთ იცის, თუ ვინ მიჰსდევს წარმართებას და ვინაა შეცდომილებაში.

86. არ იმედობდი, წიგნი გებოძებოდა. მოგენიჭა ღვთის წყალობის საქმითა. საიმედო ნუ გაუხდები ურჯულოებსა.

87. არ დაგაშორონ ოდესჲე ღვთის სასწაულებს, რაკი ერთხელ გამოცხადებულ იქმნა. მოიწვიე ხალხი ღვთის თაყვანისსაცემად და ნუ იქმნები კერპთაყვანისმცემელთაგანი.

88. არ მოუწოდო სხვა ღმერთებს ღვთისა თვინიერ; სხვა ღმერთები როდი არიან თვინიერ მისსა; ყველაფერი დაიღუპოს თვინიერ ღვთის პირისა. უზენაესი ხელმწიფება მას ეკუთვნის: მასთან მიიქცეთ ყველანი,

თ ა ვ ი XXIX

ო ბ მ ბ ა.

ნახაძებია შექას.—69 მუხლი.

ს ა ხ ე ლ ი თ ა

ღ ვ თ ი ს ა

მოწყალისა და შემწყნარებელისა.

1. ელიფ. ლამ. მიმ. ნუ თუ ჰგონია ხალხსა, მოსვენებით ამყოფონ, თუ ჰსტქვა, გვრწამსო; და განსაცდელში, არ ჩაადონ იგი?

2. განსაცდელში ჩაგვიყრია მათ უწინარეს ყოფილნი, ხოლო ღმერთი უეჭველია სრულიად იცნობს მათ, რომელნიც სიმართლეს ამბობენ, მათაც, რომელნიც ჰსტყუიან.

3, ვინც უსამართლობას ჩადიან, ნუ თუ ჰგონიათ, გვჯობნიდენ სისწრაფითა და სასჯელსაც გაექცნენ? რა ცუდად ჰსჯიან!

4. დანიშნული აღსასრული მოიწიოს მათთვის, რომელნიც იმედობენ გამოცხადებას ერთის ღვთის წინაშე მან უწყის და ესმის ყველაფერი.

5. ვინც ღონეს იღონებს, იღონებს საკუთარის სარგებლობისათვის? ვინადგან ღმერთს შეუძლია, გაჰსძლოს თვინიერ ყოველის ქვეყნისა.

6. ავხოცოთ შეცოდება მათი, რომელთაც იწამონ და კეთილი საქმეები ჰქმნან და მიუზღოთ მათ ჩინებულ საქმეთაებრ.

7. კაცს ვამცენით, თავი დაეჭირა ჩინებულად თავის დედმამასთან. თუ დაგავალეს, დამიამხანაგო არსებანი იგი, რისაც არა იცი რა, ნუ დაემორჩილები მათ. ყველა ჩემთან მოიქცეთ, ხოლო მაშინ მოგიყვებ, რაც ჩაგიდენიათ.

8. მართალთა შორის დავაყენო იგინი, რომელთაც იწამონ და კეთილი ჰქმნან.

9. ზოგიერთი კაცები ამბობენ: გვრწამსო; ხოლო როცა განიცდიან ტანჯვას რასმე ღვთის გულისათვის, კაცთა დევნას ჰსთვლიან ღვთის სასჯელის თანასწორად, ღმერთმა რომ აგრძნობინოს თავისი შემწეობა, იტყვიან: თქვენთან ვიყავითო, მაგრამ ვიდრე ვინმე სხვამ, ღმერთმა უკეთ უწყის, რასაც შეიცვენ კაცთა გულნი.

10. ღმერთი იცნობს მორწმუნეებსა; იცნობს აგრეთვე ჰილმოთნეებსაც.

11. ურწმუნონი ეუბნებიან მორწმუნეებსა: ჩვენს გზას დაადევით და თქვენი ცოდნები ვზიდოთო. რაც უნდა იყოს, მათი ცოდნები ვერ ჰზიდონ, მხოლოდ ჰსტყუიან.

12. მათ ჰზიდონ თავიანთი საკუთარი სიმძიმე და თავიანთ გარდა სხვებისაც კიდევ. აღდგომის დღეს, მოგონებულის ჭორების ანგარიში მოჰსთხოონ.

13. ნოე მოვავლინეთ თავისის ერის მიმართ. მათ შორის იცხოვრა ათასი წელიწადი ორმოცდა ათ ნაკლები. წარღვნამ შეიპყრო იგინი, უსამართლობაში ჩაცვივნულნი.

14. ვიხსენით იგინი და ვინც იყვნენ მასთან ერთად კი-
დობანში; გავხადეთ სასწაულად კაცთათვის.

15. მასუკან მოვავლინეთ აბრაამ. უთხრა თავის ერსა:
თაყვანი ეცით ღმერთსა და მისი გეშინოდესთ, უფრო გა-
მოვადგესთ, თუ რამ გულისხმიერება გაქვსთ.

16. კერპებს თაყვანს ჰსცემთ ღვთისა თანასწორ და სი-
ცრუესაც ჰსჩადიხართ; ვინადგან თანასწორ ერთად ერთის
ღვთისა რა თაყვანსა ჰსცემთ, ღმერთები იგი დღის საზრდოსაც
ვერ გიშოვნიან. უმჯობესია, ღმერთს შეეხვეწოთ, თაყვანი
ჰსცეთ მას და მადლობა შეჰსწიროთ; მასთან მიიქცეთ.

17. თუ მატყუარად ჩავთვალონ, თქვენს უწინარეს რო-
უცხოვრიათ, ის ხალხნიც ხომ მაგ ნაირადვე მოქცეულან. მო-
ციქული მოვალეა მხოლოდ ცხადად ქადაგებასა.

18. არ დაჰკვირებიან, თუ ღმერთი რა რიგ აწარმოებს
მქნილებას და მასუკან რა რიგ უკანვე მიაქცევს თვისად?
ღვთისათვის აღვილია.

19. ჰსთქვი! მიმოვლეთ ქვეყნიერება და ნახეთ, თუ ღმერთ-
მა რა რიგ აწარმოა გაჩენილი არსებანი. იგანი დაჰბადოს
კვლავ მეორე მქნილებითა; ვინადგან იგი ყოვლად ძლიერია.

20. დაჰსჯის, ვისაც ინებებს, და მოწყალებას უჩვენებს,
ვისაც ინებებს. მასთან მიიქცეთ.

21. მისი ძლიერება ვერც ზეცას, ვერც ქვეყანაზე შეა-
სუსტოთ. არც პატრონი, არც მფარველი გაგაჩნიათ ღვთის
გარდა.

22. ვისაც არა ჰსწამსთ ღვთის სასწაულები და მის წინაშე
გამოცხადება, მისის მოწყალების იმედს დაიწყებენ. სავალა-
ლო სატანჯველია მათთვის დამხადებული.

23. ხოლო როგორი იყო პასუხი აბრაამის ერისა? ერთ-
მანერთს ეუბნებოდენ: მოჰკალით ეგ, ან ცოცხლივ დაჰსწვიოთ.
ღმერთმა ცეცხლისგან იხსნა იგი. უეჭველია ამაში სასწაულე-
ბია. მორწმუნეთათვის.

24. ღვთისა თანასწორ კერპები ავიყვანიათ თქვენის თა-

ყვანის ცემის საგნად, ამა სოფლის სიყვარულითა, რომელიცაა თქვენ შორის; ხოლო აღდგომის დღეს თქვენგანმა ერთმა ნაწილმა მეორე უარჰყოს, ზოგთაც ერთმანერთი დაჰსწყევლონ; ცეცხლი გექმნესთ სადგომად და მფარველიც არავინ გეყოლოსთ.

25. ლოთ ერწმუნა აბრაამსა და ჰსთქვა: ჩემიანებს დავჰსტოვებ და უფალს შევეხვეწები. იგია ძლიერ და ბრძენი.

26. აბრაამს შეეჰსძინეთ ისააკ და იაკობ; მის შთამომავლობაში დავამყარეთ წინასწარმეტყველება და წიგნი; სასყიდელი მივანიჭეთ მას სააქოს, ხოლო იგია მართალთა შორის საიქიოს.

27. ლოთიც აგრეთვე მოვავლინეთ. თავისს ერს უთხრა: საძაგლობას ჩადიხართ ისეთს, რომ ქვეყნიერობის ხალხს არც ერთს ჩაუდენია თქვენამდე.

28. ნუ თუ კავშირი უნდა დაიჭიროთ მამაკაცებთან? თავს დაესხათ მათ შარა გზებზე? უსამართლობა ჩაიდინოთ თქვენს შესაკრებლებში? ხოლო როგორი იყო იმ ხალხის პასუხი? ამბობდენ: თუ გულმართალ ხარ, ღვთის სასჯელი დაგვაყენე თავსაო.

29. უფალო, ღალად ჰყო ლოთმა, მოდი ჩემდა საშველად ამ უკეთურის ხალხის წინააღმდეგ?

30. როცა ბედნიერის ამბის მიმტანი ჩვენი მოვლინებულნი მივიდენ აბრაამთან, ჰსთქვენ; ამ ქალაქის მცხოვრებნი უნდა ამოვწყვიტოთ; ვინადგან ამ ქალაქის მცხოვრებნი არაწმინდა არიანო.

31. მათ შორის არის ლოთიო, ჰსთქვა აბრაამმან. — ვიცით, ვინაა მათ შორის. მიუგეს. იგი გადავარჩინოთ, მისი სახლობაც აგრეთვე, გარდა ყოველშემთხვევაში მისის ცოლისა, რომელიც უკან ჩამორჩესო.

32. როცა ჩვენი მოვლინებულნი მივიდენ ლოთთან, შეჰსწუხდა მათ გამო და მკლავიც უღონო შეექმნა მათდა საფარველად. უთხრეს; ნურათურის გეშინია და ნურც ჰსწუხარ. შენ

გადაგარჩინოთ, შენი სახლობაც აგრეთვე გარდა შენის ცოლისა, რომელიც უკან ჩამორჩესო.

33. ზეცით გადმოვიყვანოთ სასჯელი ამ ქალაქის მცხოვრებლებზე მათის ცოდვების სამაგიეროდ.

34. მათგანი დავსტოოთ მხოლოდ იგი, რომელიც იქმნეს ცხად სასწაულად (საოცარ მაგალითად) გონება-მიმადლებულ კაცთათვის.

35. მადიანელთა შიმართ მივაგლინეთ მათი ძმა შოაიბ, რომელმაც უთხრა მათ; ჩემო ერო! თაყვანი ეცით ღმერთსა და ელოდეთ უკანასკნელის დღის მოწევნასა და ნულარ გაივლით დედამიწაზე, რათა მეჭის მეტობა ჩაიდინოთ.

36. მაგრამ მატყუარად ჩაჰსთვალეს იგი: ძლიერმა მიწის ძვრამ შეიპყრო იგინი; მეორე დილას წაზეს, მკვდრები ეყარნენ თავიანთ სადგომებში.

37. აღ და თემუდ ამოვაგდეთ: აზას ნათლად ხედავთ მათი სადგომების ნამუსრევით. სატანამ მათ თვალში მოსაწონ გახადა მათი მოქმედება და ჭეშმარიტს გზას დააშორა. გამჭრილ ახობა კი ჰქონდათ მინიჭებული.

38. დავლუბეთ ქარუნ და ფარაო და ჰამან, და მოსე მაინც გამოცხადდა მათ შორის თავისის მოციქულობის ცხადის დამტკიცებითა. თავი ძლიერი ეგონათ ქვეყანაზე, მაგრამ ვერ მოგვიგეს მაინც სისწრაფით და ვერც სასჯელს გადურჩნენ.

39. ყველა დასჯილ იქმნა ცოდვებისათვის. ზოგიერთის წინააღმდეგ ამოვიყვანეთ ქარი, ქვების მესროლი; ზოგი უეცრად შეიპყრო გაბრიელ ანგელოზის საშინელმა ხმამ; მიწას უბრძანეთ ჩვენ ზოგის ჩათქმა, ხოლო სხვები დავარჩევთ. ღმერთს კი არ უნებებია მათთან უსამართლოდ მოქცევა, არამედ თვითონ არიან უსამართლო თვისდა მიმართ.

40. ვინც ღვთის გარეშე მფარველებს ეძებენ, ჰგვანანობობას, რომელიც თავისათვის იშენებს სადგომსა; განა იქმნეს და სადგომი უფრო სუსტი, ვიდრე ობობას სადგომია? ჰსცოდნოდათ ერთი!

41. ღმერთმა უწყის ყველაფერი, რასაც ღალად ჰყოფენ თავიანთ ვედრებაში, მის გარეშე. იგია ძლიერ, ბრძენი.

42. აი იგავი, რომელსაც ჩვენ ჩამოუგდებთ კაცთა, ხოლო გულისხმიერ კაცთა ესმისთ.

43. ღმერთმა შექმნა ცანი და ქვეყანა სრულის ქემმარტებითა. ამაში სასწაულია მოძღვრებისა მათთვის, რომელთაცა ჰსწამსთ.

44. აბა მიუთხარ წიგნის ნაწილნი, რომელნიც გამოცხადებულ იქმნენ; თავი გაიწმინდე ლოცვითა, ვინადგან ლოცვა დამფარველია სისაძაგლისა, გასაკიცხის საქციელისაგან. ღვთის მოგონება მძიმე მოვალეობაა. ღმერთმა უწყის თქვენი მოქმედება.

45. ბაასი არ გაუბათ წერილის ხალხსა, თუ არ ყოვლად პატიოსანის სახითა, თუ მხოლოდ უკეთური ხალხი არ იქმნეს იგი. ჰსთქვით: ჩვენა გვრწამს წიგნები, ჩვენდა მოვლინებული, ისინიც აგრეთვე, თქვენ რომ მოგვევლინათ. ჩვენი ღმერთი და თქვენი ღმერთი ერთი და იგივეა, და სრულიადაც მივდრბივართ მის ნებასა.

46. ესრეთ მოგივლინეთ წიგნი. ვისაც წერილი მივეცით; ჰსწამსთ იგი, მრავალს არაბსაცა ჰსწამს, და მხოლოდ ურჯულონი უარჰყოფენ ჩვენს სასწაულებსა.

47. იყო დრო, როცა საღმრთო წიგნი არც ერთი გქონდა საკითხავად, როცა ერთის ხაზის მოსმაც ფრ შეგეძლო შენის მარჯვენა ხელით. ოჰ! მაშინ ქემმარტების უარის მყოფელთ შეეძლოთ იქვენეულობა.

48. დიახ, კურანი ცხად სასწაულთა კრებულია, მათ გულში, ვისაც მეცნიერება მიუღიათ: მხოლოდ უკეთურნი უარჰყოფენ ჩვენს სასწაულებსა.

49. ამბობენ: სასწაულები რომ მაინც მიენიჭებინა მისთვის უფალსა, ვერწმუნებოდითო. უბასუხე მათ: სასწაულები ღვთის ხელთაა, მე კი მარტო მოვლინებულ ვარ, დაუფარავად მხილებას დავალებული.

50. განაარ ეყოფათ, რომ შენ მოგივლინეთ წიგნი, რომლის მუხლებსაც მიუთხრობ მათ! უეჭველია ამაში დამტკიცება აღვთის მოწყალებისა და უწყება ყველა კაცთათვის, რომელთაცა ჰსწამსთ.

51. უთხარი მათ: საკმაოა, ღმერთი იქმნეს მოწმედ ჩემსა და თქვენს შორის.

52. ყველაფერი იცის, რაცაა ცათა შინა და ქვეყანაზედვისაცა ჰსწამსთ, რაც სიცრუეა, და ღმერთი კი არა ჰსწამსთ, უბედურ არიან.

53. გთხოონ სასჯელის დაჩქარება. უცვალბებელი საზღვარი რომ არ ყოფილიყო დადებული წინდაწინვე; ანაზღვეულად ეწეოდათ სასჯელი იგი მაშინ, როცა მის მოლოდინში სულ ნაკლებად იქმნებოდენ.

54. გთხოონ სასჯელის დაჩქარება. ჯანაბა კიდევ ჩაჰსჭიდებია ურჯულოებსა.

55. ერთ დღეს სასჯელმა მათ ჩაჰსჭიდოსთ ზემოთ თავთა და ქვემოთ ფეხთა. ღმერთმა მაშინ ხმა ჰყოს მათდამი. იგემეთ ნაყოფი თქვენთა ნასაქმთა.

56. ჩემო მსახურნო! ქვეყანა ფართოა, მხოლოდ უნდათაყვანს მცემდეთ მე.

57. ყოველმა სულმა იგემოს სიკვდილი, შემდგომ ყველანი მოიქცეთ ჩემდამი.

58. ვინც იწამონ და კეთილი საქმეები ჰქმნან, მათ მივანიჭოთ პალატები, მდინარის წყალით მორწყული წალკოტები. საუკუნოდ დაჰყონ იქ. რა ჩინებულია მათი ჯილდო, ვინც კეთილს შერებიან,

59. ვინც გასაჭირს მოთმენით ვაუძლებენ და სასოებას ღმერთზე დაამყარებენ!

60. რამდენი დანაბადია ქვეყნიერობაზე, რომ ზრუნვას არავითარ ჰსწევენ თავის საზრდოსათვის. ღმერთი ასაზრდოებს მათ, როგორათაც თქვენ გასაზრდოებსთ იგი, რომელსაც ესმის და ყველაფერს ხედავს.

61. მათ თუ ჰკითხე, ვინაა, ვინც, შეჰქმნა ცანი და ქვე-
ნაო, გიპასუხონ. ღმერთიო, მაშ რადღა ჰსტყუიან სხვა ღმერ-
თების თაყვანისცემითა?

62. ღმერთი ხელსავედ მიაფრქვევს ნიჭთათვის მსახურ-
თა შორის მას, რომელსაც სათნოს იყოფს, ან უწილადებს
უწყებულის საწყაოთი. ღმერთმა ყველაფერი უწყის.

63. თუ ჰკითხე მათ; ვინაა, ვინც წყალს ზეცით ჩამოი-
ყვანს, ვინც მით აღაორძინებს არა დიდხნის მიმკვდარებულ
დედამიწასაო? გიპასუხონ; ღმერთიო. ჰსტკვი: მაშ ქება ეძღვნას
ღმერთსა! მაგრამ მეტ ნაწილს მათ შორის არა ესმის რა.

64. ცხოვრება ამა სოფლისა მხოლოდ დროს გატარება
და მღერაა. მაგრამ საიქიოს სამყოფი შექმარიტი ცხოვრებაა!
ეჰ! ნეტა ჰსცოდნოდათ ერთი!

65. ხომალდში ჩამსხდარნი ღვთის სახელს მოუწოდებენ,
წმინდისა და გულწრფელის თაყვანისცემის აღთქმითა; ხოლო
როცა სალნი და მრთელნი ხმელეთად გავლენ, აი. მაშინ უამხა-
ნაგებენ მას სხვა ღმერთებსა.

66. ნუ იწამებენ გამოცხადებულ წიგნებს და დაჰსტკებენ
ამა სოფლის კეთილითა. ერთ ღღეს შეიტყონ ჰეშმარიტება.

67. ვერ ხედვენ; როგორ დავამყარეთ უშიშროება (მე-
ქას) წმინდა გალავანში მაშინ, როცა სრულიად გარშემო
თავს დასხმა და ცარცვა გლეჯაა? განა იწამონ სიცრუე და
უგულებელ ჰყონ ღვთის ქველმოქმედება?

68. ეჰ! ვინაა უუკეთურესი მისა, რომელიც ჰორებსა
ჰსთხზავს ღვთის თაობაზე, ან ჰეშმარიტებას სიცრუედ ჰსთვლის?
განა ჯანაბაში არ უნდა ექმნესთ ადგილ სამყოფი ურჯულოე-
ბსა?

69. ჩვენს გზაზედ დავაყენოთ ყველა, რომელთაც ღონე
იღონონ ჩვენს საქმეში; ხოლო ღმერთი უეჭველია ჰვიებს მათ-
თან; რომელნიც კეთილს შვრებიან.

თ ა ვ ი XXX

ბ ე რ ძ ნ ე ბ ი.

ნაბოძებია შექას.—60 მუხლი.

ს ა ხ ე ლ ი თ ა

ღ ვ თ ი ს ა

მოწყალისა და შემწყნარებელისა.

1. ელიფ. ლამ. მიმ. ბერძნები დამარცხდენ
2. ქვეყანაში, რომელიც ჩვენსას ძლიერ უახლოვდება; მაგრამ იმ გამარჯვების შემდეგ თვისდა ჯერადვე გაიმარჯონ
3. რამდენისამე წლის განმავლობაში. უწინ, როგორც შემდგომ; საქმე ღმერთზე ჰკილია. იმ დღეს მორწმუნებმა გაიხარონ
4. ღვთის შემწეობით მიღებულის გამარჯვებითა; ვისაც ნებაეს, ეხმარება: იგივე ძლიერ, მოწყალე.
5. ესაა ღვთის აღთქმა. თავისს აღნათქვამს. არ ეცრუება: მაგრამ უფროს ერთმა კაცმა არ იცის.
6. ამა სოფლის ცხოვრებისა იციან, რაც გრძნობას დაჰსცემს და არც ეშინიათ მომავალის ცხოვრების ყოფისა.
7. ნუ თუ თავიანთის არ გაუფიქრიათ, რომ ღმერთმა შეჰქმნა ცანი და ქვეყანა და ყველაფერი, რაცაა მათ შორის, ქვეშაობისათვის; რომ მათი ხანგრძლიობა დაჰსდო წინდაწინ დანიშნულ საზღვრამდე? მაგრამ უფროს ერთს კაცს არა ჰსწამს, რომ ერთ დღეს გამოცხადდენ თავიანთი უფლის წინაშე.
8. ნუ თუ არ უმგზავრნიათ ქვეყანაში? ნუ თუ არ უნახავთ, თუ რა ბოლო ჰქონდათ მათ წინაპრებს, მათზე უფრო ახოვანებს? ქვეყანა დაჰკვალეს გზებითა და ბოგირებითა; უფრო დიდძალი ნაწილი ჰქონდათ დასახლებული იმათ, ვიდრე ამათ. მოციქულები წადგნენ მათ წინაშე, ცხად საბუთებ თანახლებუ-

ლი. ღმერთი კი არ მოპყრობიას მათ მკაცრად; უსამართლო ექმნენ იგინი თავიანთ თავსა.

9. ცუდი ბოლო ჰქონდაფ მათ, რომელნიც უკეთურ საქმეებს ჰსჩადიოდენ. სიცრუედ ჩაჰსთვალეს ჩვენი სასწაულები და დაცინვის საგნადაც გაიხადეს.

10. ღმერთი აწარმოებს ქმნილებას და თავისსავე წიადსა დააბრუნებს. მასთან მიიქცეთ.

11. იმ ღღეს, ოღეს ჟამი მოიწიოს, ცოდვილნი დამუნჯდენ.

12. შუამავლები ვერ ჰპოონ თავიანთ ამხანაგებში; უარჰყონ თავიანთი ამხანაგები (ღმერთები).

13. იმ ღღეს, ოღეს ჟამი დაღგეს; კაცნი ერთმანერთისაგან განცალკევებულ იქმნენ.

14. ვინც ირწმუნონ და კეთილი ჰქმნან, ყვავილნარში გაერთონ.

15. ვისაც არა ჰსწამს და სიცრუედ მიაჩნია ჩვენი სასწაულები და გამოცხადება საიქიოს, სატანჯველში ჩაცვივდენ.

16. მაშ ადიდეთ ღმერთი დილას და საღამოს.

17. ვინადგან დიდება მას ეკუთვნის ცათა შინა და ქვეყანაზე; ადიდეთ იგი ღამის შემოსვლისას, და როცა ისვენებდეთ შუადღისას.

18. ცოცხალი გამოჰყავს მისგან, რაც მკვდარია, ხოლო მკვდარი ცოცხლისაგან: არა დიდხნის მიმკვდარებულ დედამიწას იგი აცოცხლებს ისე, როგორც თქვენ მკვდრეთით აღდგენილ იქმნეთ;

19. მისი ძლიერების ერთი სასწაულთაგანია ის, რომ კეცისაგან გაგაჩინათ, მასუკან კაცნი შეიქმნით, ყოველის კუთხით დაფანტულნი.

20. ისიცაა აგრეთვე, რომ ცოლები გიშოვათ, თვითონ თქვენგანვე გაჩენილი, რათა მათთან გეცხოვრათ. თქვენ შორის ჩამოაგდო საყვარული და აღერსი. ამაში სასწაულებია მათთვის, რომელნიც გულის ხმას ჰყოფენ.

21. ცათა და ქვეყნის გაჩენა, თქვენთა ენათა და თქვენთა ფერთა სხვადასხვაობა სასწაულია აგრეთვე; უქვეელია ამაში სასწაულია მსოფლიოსათვის.

22. იმის ერთ სასწაულთაგანია თქვენი ძილი ღამე და დღე და თქვენი სურვილიც, სიმდიდრე მიიღოთ ღვთის გულუხვობისაგან. ამაში სასწაულებია მათთვის, რომელთაც ესმისთ.

23. სასწაულია აგრეთვე, რომ იგი აეღვებს თქვენ თვალთა წინაშე ელვასა, რათა ჩაგინერგოსთ შიში და სასოება; რომ ზეცით ჩამოჰყავს წყალი, რომლითაც სიცოცხლეს ანიჭებს არა დიდისხნის მიმკვდარებულ მიწასა. ამაში სასწაულებია გონიერ კაცთათვის.

24. ისიცაა აგრეთვე, რომ მისის ბრძანებით, ზეცა და ქვეყანა ზეზეულაა. შემდეგ, ოდეს გამოგინძმოსთ დედამიწის შიგნითგან, უეცრად გამოხვიდეთ.

25. მას ეკუთვნის ყველაფერი, რაცაა ცათა შინა და ქვეყანაზე: ყველაფერი მის ხელქვევით არის.

26. იგი აწარმოებს ქმნილებას და მისსავე წიაღსა მიაქციოს. მისთვის საადვილოა: მარტო მას ემართლება, დაუდაროს ყველაფერს, რაც უამაღლებულესია ცათა შინა და ქვეყანაზე.

27. წინა დაგიდებსთ იგი თქვენ შორისვე აღებულ მაგალითებსა. თქვენის ხელით შექმნილი მონები განა უნდა მიიღოთ თანამოზიარედ განცხრომაში, იმ კეთილთაგან, რაოდენაც თქვენთვის მოგვინიჭებია, ისე კი რომ თქვენი ნაწილები თანასწორიყვეს? მათდა მიმართ განა უნდა იქონიოთ შიში იგი, (თავდაქერილობა), რომელიც მოგეპოებათ ურთიერთობაში. (ამნაირად განუმარტებთ ჩვენ ჩვენს სწავლასა გონება მიმადლებულ ხალხსა).

28. არა, არაოდეს, მხოლოდ უკეთურებთ განუსჯელად აპყოლიან თავიანთ გულის თქმასა: ხოლო ვინ წარუმართოს ღვთისგან დაბნეულსა? ვის შეუძლია, შეარველობა გაუწიოს?

29. აბა გვჭმართყ, სათნო და გულმოდგინე, შენა შუბ-

ლი იმ სარწმუნოებას, ღვთის მოქმედებულს, რომლისათვისაც კაცნი გაუჩენია. ღვთის ქმნილება ვერ გამოიცვლება. ეს სარწმუნოება უცვლელია, მაგრამ უფროს ერთ კაცსა არ ესმის.

30. მოიქეცით ღვთისკენ და მისი გეშინოდესთ; ლოცვა დაიცივით და კერპთაყვანის მცემელთაგანი ნუ იქმნებით;

31. მათგანი, რომელთაც თავიანთი სარწმუნოება გაუყვიათ და მწვალებლებად გადაქცეულან, სადაც თვითოეულივე დასი თავისს ხვედრზე გულსავსეა.

32. ოდეს უბედურება ეწევათ, უფლისადმი მიქცევით ღალად ჰყოფენ მის მიმართ; მერმე თავისს მოწყალებას ახილავებინებს მათ თუ არა, დიდძალი რიცხვი მათ შორის ამხანაგებს აუჩენს მას.

33. დასამოწმებლად თუ მათის უბედურებისა იმ სიკეთისათვის, რომელიც მათთვის დაგვიყრია. იხარეთ. მალე შეიტყოთ.

34. განა მოგვივლენია მათთვის საწამებელი ისეთი, რომელსაც ელაპარაკნოს მათთვის იმ ღმერთებისა, გამო, რომელთაც ღმერთს უამხანაგებენ?

35. როცა ხალხს ვახილვებინებთ ჩვენის წყალობის ნაყოფსიკეთესა, სიხარულს მიჰსცემენ თავსა; ხოლო თუ რამ უბედურება შეუდგათ მათის ცოდვების სასჯელად, კიდევ დაიწყებენ იმედსა.

36. განა არ გაუფიქრიათ, რომ ღმერთი ხან ხელსავსედ აძლევს საზრდოს ვისაც ნებავეს, ხან კი აწყულსა.

37. თვითოეულსავე მიეცრ, რაც მისდა ჯერ იყოს, შენს მოყვასსა, საწყალსა, მგზავრსა. ეს უჯობსთ მათ, რომელთაც უნდათ, უფალმა მოწყალის თვალით მოჰხედოს. მათ ნეტარ იქმნენ.

38. ვერცხლი, რომელსაც გაასარგებლებთ, რათა გაამრავლოთ იგი სხვების ქონებით, ღვთის წინაშე არ გამრავლდეს; ხოლო ყოველივე სამოწყალო, რომელიც გაიღოთ, რათა ღმერთმა მოწყალის თვალით მოგხედოსთ, გაგიორკეცდესთ.

39. ღმერთმა დაგბადათ, იგივე გასაზრდოებსთ; მან დაგ-

ზოცოსთ და შემდეგ მანვე გაგაცოცხლოსთ. თქვენ შორის იპო-
ება განა ერთი მაინც, რომ შეჰსძლოს ამის ქმნა, რაც უნდა
იყვეს? მისმა დიდებამან! ფრიად უმაღლესობს მას, რასაც
უკავშირებენ.

40. დაქცევა შემოვიდა დედამიწასა და ზღვაზედ, კაცე-
ბის ხელთა ნამოქმედარის მიზეზით; მათ ახილვებინოს მათის
ბოროტ მოქმედების ერთი რამ ნაწილის ნაყოფი.

41. უთხარი მათ: მიმოვლეთ ქვეყანა და ნახეთ, თუ რა
ბოლო ჰქონდათ უმანდელ ხალხებს, რომელთა შორის მეტი
ნაწილი ურწმუნო იყო.

42. შუბლი აღმართე უცვალებელის სარწმუნოებისადმი,
ვიდრე მოვიდოდეს დღე იგი, ოდეს ვერავინ დაჰშორდეს ღმერთსა.
მაშინ დაყოფილ იქმნენ ორ ნაწილად

43. ურწმუნოები, თავიანთი ურწმუნოების მტვირთველი
და ისინიც, რომელთაც კეთილი მოიმოქმედეს და დაიმარაგეს
ადგილ მოსასვენებელი.

44. რათა ღმერთს თავისის სულგრძელობით დაეჯილდო-
ებინა, ვინც ირწმუნეს და კეთილი ჰქმნეს. როდი უყვარან
ურჯულონი.

45. მისის ძლიერების ერთი სასწაულთაგანია, რომ ბედ-
ნიერ ამბავთა მომტანი ქარები ამოჰყავს, რათა ახილვებინოს
კაცთა თავისის მოწყალების ნიჭი; რომ მისის ბრძანებით ხო-
მალდნი ტალღებს აპობენ; რომ კაცნი სიმდიდრეს ითხოვენ
მისის გულუხვობისაგან. ეგებ მისდამი მადლობელ შეიქმნეთ.

46. შენს უწინარეს მოვავლინეთ მოციქულები თვითთე-
ულისავე მიმართ იმ ხალხთა შორის; წარდგენ ცხადის საბუ-
თებით განმტკიცებულნი. ცოდვილთა შური ვიძიეთ. ჩვენი
მოვალეობა იყო მორწმუნეთა დახმარება.

47. ღმერთს ამოჰყავს ქარები, ხოლო ქარები კვალს ავლე-
ბენ ღრუბელსა. ღმერთი მას განავრცობს ზეცაზე, როგორც
ნებაეს; ნაქერ-ნაქერ აწიწილაქებს, შენც ხედავ წვიმას,

მისის წიაღით გამომავალსა; ხოლო როცა ჩამოჰყავს თავის მსახურთა შორის მაზე, ვინც ნებავეს, სიხარულში არიან

48. იგინი, რომელნიც ვიდრე აწვიმდებოდა, სასოწარკვეთილებაში იყვნენ.

49. მიაქციე თვალო ღვთის მოწყალების თვისებასა: იხილე, თუ როგორ აძლევს სიკაცხლეს მიმკვდარებულს. დედა მიწასა. იმავე ღმერთმა დააცოცხლოს მკვდრები; ყოვლად ძლიერია.

50. მაგრამ თუ ამოვიყვანეთ დამხრუკავი ქარი და მათაც ნახეს თავიანთი ყანა ჩაყვითლებული, მაშინ ნახეთ, თუ რა რიგ გამოიჩინონ უმადურობა.

51. მუჰამმად, მკვდრებს ვერრასა შეასმენ; ძახილიც ვერ გააგონო ყრუებსა, როცა ზურგის შემოქცევით მიდიან.

52. გამძლოლ არ ხარ ბრმებისა, რომ ააშორო მათ დაბნევა. შეგიძლია, ყური დააგდებინო მხოლოდ მათ, რომელთაცა ჰსწამსთ ჩვენი სასწაულები და მიენდობიან ჩვენს ნებასა.

53. ღმერთმა დაგბადათ სუსტად; სუსტობის შემდეგ ძალღონე მოგანიჭათ, ხოლო ძალღონის შემდეგ, კვლავ შეგყრის სისუსტეს და ჭაღარასა. აჩენს, რაც ნებავეს: მეცნიერ, ძლიერია.

54. იმ დღეს, ოდეს უამი მოიწიოს, ცოდვილთ დაიფიცონ,

55. მარტო ერთ საათს დავრჩით საფლავებშიო. ესრეთ ტყუოდენ ქვეყანაზე.

56. ხოლო ვისაც შეცნიერება და სარწმუნოება მიეცა, უთხრან მათ: იქ იმყოფებოდით, ღვთის წიგნის განჩინებისამებრ, აღდგომის დღემდეო. აი ის დღეც, მაგრამ თქვენ კი არ იცოდითო.

57. იმ დღეს ბოროტთა ბოდში ვერაფრად გამოადგესთ; წვეულ აღარ იქმნენ, რათა ღვთის სათნო შეიქმნენ.

58. ამ კურანში კაცთა წანადუდევით ჩვენ ყოველგვარი იგავი: თუ ახილებინე მათ სასწაული, ურწმუნოთა მსტქვან, მატყუარ ხართ მხოლოდო.

59. ესრეთ დაასვამს ღმერთი ბეჭედსა მათ გულთა, ვინც არა იციან-რა.

60. ხოლო შენ, მუჰამმად, მოიპოვე მოთმინება, ვინადგან ღვთის აღნათქვამი მართალია: ვისაც დაბეჯითებით არა ჰსწამსთ, ვერ შეგარყევენ.

თ ა ვ ი XXXI.

ლ ო კ მ ა ნ

ნაბოძებია მექას. — 34 მუხლი.

ს ა ხ ე ლ ი თ ა

ღ ვ თ ი ს ა

მოწყალისა და უმწყნარეველისა.

1. ელიფ. ლამ. მიმ. აი სიბრძნის წიგნის მუხლები.
2. ესაა წარმართება და წყალობა, ღვთის მიერ მინიჭებული მათდა, რომელნიც კეთილს შვრებიან,
3. რომელნიც შეასრულებენ ლოცვას, რომელნიც სა-
მოწყალოს გაიღებენ და მტკიცედა ჰსწამსთ ყოფადი ცხოვრება.
4. უფალი წარუმართებს და ცხონდებიან.
5. ზოგიერთმა ამ ქვეყნელმა კაცმა იყიდოს ფუჭი ზღაპ-
რები, რათა სხვებს გადაახვევიროს ღვთის გზისაგან; არ მოე-
პოება ცოდნა, ზღაპრებში ეძებს თავის გასართობსა. ამისთანა
ადამიანებისათვის დამზადებულია უპატიური სასჯელი.
6. თუ წაუკითხეს მას ჩვენი სწავლა, (კურანის მუხ-
ლები), ზიზღით პირს უკან წაიღებს, თითქოს არა ესმოდეს რა,
თითქოს ყურ მძიმე იყოს. აბა! აუწყე მას სავალალო სატან-
ჯველი.
7. ვინცა იწამონ და კეთილი საქმეები იღვაწონ, დაემ-
კვიდრონ საღვთისწინა წალკოტებში.

8. იქ იცხოვრონ საუკუნოდ ღვთის აღთქმის, ქეშმარიტის აღთქმის ძალითა. იგია ძლიერ, ბრძენი.

9. მან შეჰქმნა ცანი და ქვეყანა თვინიერ ბილულის სვეტებისა. დედამიწაზე მთები დაარქო ბურჯებივით, რათა არ შერყეულიყო, როცა ზედა ხართ; ზედ მოაშენა ყოველგვარი ცხოველები. ზეცით წყალი ჩამოგვეყავს და მით აღვაორძინებთ ყოველ ძვირფასს დედალ-მამალსა.

10. ესაა ღვთის შემოქმედობა; ეხლა მანახვეთ, რასაც სხვები ჩადიან ღვთისა თვინიერ. დიახ, უკეთურნი ცხად შეცდომილებაში არიან.

11. ლოკმანს მივმოდღეთ სიბრძნე და უთხარით: ღვთის მადლობელ იყავ, ვინადგან ვინც მადლობელია, თავისის საკუთარის სარგებლობისათვისაა. ვინც უმადურია, ღმერთს შეუძლია უიმისოდ გაძლება. ღმერთი მდიდარ და დიდებით აღსავსეა.

12. ლოკმანმა ერთ დღეს უთხრა თავისს ვაჟიშვილს დარიგების გზითა: შვილო ჩემო! არ დაუამხანაგო ღმერთს სხვა ღმერთები, ვინადგან კერპთაყვანისმცემლობა დიდი უსამართლობაა.

13. კაცს მივანდეთ მისი დედმამა (დედა მისი თავისის მუცლით ატარებს მას, გაჭირვების გაჭირვებაზე ამტანი, ხოლო ორი წლის დამღვეს აშვებინებს ძუძუსა). მადლობელ იყავ ჩემი და. შენის მშობლებისა. ყველაფერი ჩემთან თავდება.

14. თუ თავი მოგაბეზრონ, რომ დამიამხანაგო ის, რისაც არა იცი რა, არ დაემორჩილო მათ. პატიოსნად მოეპყარ მათ ამ ქვეყნად და შეუდექ მის გზას, ვინც ჩემთან მოიქცევა. ყველანი ჩემთან მოიქცეთ თქვენ, ხოლო მე მოგაგონოთ რაც გიმოქმედნიათ.

15. შვილო ჩემო: უკეთუ მდოგვის მარცვლის სიმძიმე რამ დამალულ იქმნეს კლდესა, ცასა, ანუ დედამიწაში, ღმერთმა საჯაროდ გამოიყვანოს მაინც, ვინადგან იგია გამჭრიახ და ყველაფრის ეცოდნე.

16. შეილო ჩემო! დაიციე ლოცვა, ბრძანე კეთილი და აკრძალე ბოროტი, მოჭირვებითაც აიტანე უბედურება, რომელიც შესაძლოა, გეწიოს. ესაა ყველაფერში საჭირო გარდაწყვეტილება.

17. პირი არ დამანქო კაცთა მიმართ ზიზღითა; სიარული არ იქონიო მედიდური, ვინადგან ღმერთს არ უყვარს გულზავი და თავმომწონე ადამიანი.

18. ეცადე, ნაბიჯი გაიშუათანო და ხმა დაიმდაბლო, ვინადგან ყოვლად არა საამური ხმა სახედრის ხმაა.

19. ვერა ხედავთ, ღმერთმა ყველაფერი დაგიმორჩილათ, რაცაა ცათა შინა და ქვეყანაზე? სიკეთე დაგაყარათ ხილული და ფარული. ზოგი ერთი კაცები ღვთის თაობაზე ბაასობენ უცოდნელად, უძლოელად, თვინიერ განმანათლებელის წიგნისა.

20. როცა ეუბნებიან: შეუდქით მას, რაც ღმერთმა მალლით მოგივლინათო, ამბობენ: უფრო შეუდგეთ მას, რაც უპოვეთ ჩვენ ჩვენს მამებსაო. ხოლო სატანამ თუ მიიწვია იგინი მგზნებარე ნაკვერცხლის სასჯელში?

21. ვინც სრულებით მიენდობა ღმერთსა, იგი მართალია, მასს აქვს მტკიცე ხელმოსაჭიდი. ყოველის ნივთის საზღვარი ღმერთშია.

22. ურწმუნოს ურწმუნოებისათვის არ იჯავრო; ყველანაირად ჩვენთან დაბრუნდენ, მათ ძოუყვეთ ჩვენ თავიანთ ნამოქმედარსა. ღმერთი მხილავია მის, რასაც გულნი ჰმალვენ.

23. დავატკბოთ იგინი რომლისამე დროის განმავლობაში, მერმე კი ვაიძულოთ, მკაცრს სასჯელს მიეცნენ.

24. იმათ რო ჰკითხო, ვინ გააჩინა ცანი და ქვეყანაო, პასუხად იტყვიან: ღმერთმაო. მიუგე მათ: დიდება ღმერთსა! ხოლო უფროს ერთმა მათ შორის არ უწყის.

25. მას ეკუთვნის ყველაფერი, რაცაა ცათა შინა და ქვეყანაზე. იგია მდიდარ და დიდებით აღსავსე.

26. რაც ქვეყანაზე ხეა, ყველა რო კალმად იქცეს, ზღვაც

რო ღმერთმა აქციოს შვიდ მეღნის ზღვად, ღვთის სიტყვა მაინც დაუშრეტელია: იგია ძლიერ, ბრძენი,

27. თქვენ ყველასი გაჩენა და ყველასი ერთ დღეს აღდგენა მისთვის თითქოს ერთის გვამის გაჩენა და აღდგენა იყოს, ვინადგან ღმერთს ესმის და ყველაფერს ხედავს.

28. ვერა ხედავ, ღმერთს დღე შემოჰყავს ღამეში და ღამე დღეში? მან დაგიმორჩილათ მზე და მთვარე; ერთიცა და მეორეც შეჰსდგომიან თავიანთ სარბიელსა აღნიშნულ სამზღვრამდე. ღმერთი ყველაფრის მცოდნეა, რასაც შერებით.

29. რადგანაც ღმერთი თვითონ ჰქმმარტებაა, ხოლო ღმერთნი იგი, მის თანასწორად რომ მოუწოდებთ, ამაონი არიან. უეჭველია, ღმერთია ზენარ, დიდებული.

30. ვერა ხედავ, ხომალდი ზღვაზე დადის ღვთის ნიჭით დატვირთული, რათა გახილვებინოსთ თავისი მოძღვრება? ამაში სასწაულია ყოველის მომთმენის, დამნახველის კაცისათვის.

31. როცა ზვირთნი წყვდიაღვივით შემოერთყმიან: ხომალდსა, ღვთის მიმართ ღალატს ჰყოფენ წრფელის სარწმუნოებითა; მაგრამ რაკი დაიხსნის მათ და სამყარო ხმელეთზე გადმოსხამს, ზოგი მათგანი იჭვით ყოყმანობს. ხოლო ჩვენი სასწაულები ვინ უარ ჰყოს, თუ არ ორგულმა, უმადურმა!

32. კაცო! თქვენის უფლის გეშინოდესთ, იმ დღისათვისაც ძრწოდეთ, ოდეს სულ ცოტაც რომ იყვეს, მამამ ვერ აამოს თავისს ვაჟიშვილსა, ვერცა შვილმა თავისს მამასა.

33. ღვთის დაპირებული ჰქმმარტია. ამა სოფლის ცხოვრებამ არ დაგაბრმაოსთ; მოჩვენებამ თვალი არ დაგიყენოსთ ღვთის მიმართ.

34. ეამის ცნობა ღვთის ხელთაა. ზეცით თქეში ჩამოჰყავს. მან უწყის, თუ დედათ მუცელნი რას ატარებენ: არც ერთმა სულმა არ იცის, თუ ხვალ რა უნდა ეწიოს, არც ერთმა სულმა არ იცის, თუ რომელ ქვეყანაში უნდა მოკვდეს. ღმერთი მეცნიერ და მცოდნეა.

თ ა ვ ი XXXII.

თ ა ყ ე ა ნ ი ს უ ე მ ა

ნახაძეების მექას.—30 მუხდი.

ს ა ხ ე ლ ი თ ა

ლ ვ თ ი ს ა

მოწყალისა და უამწყნარებელისა.

1. ელიფ. ლამ. მიმ. გამოცხადება ამ წიგნისა, უეჭველია, მოდის სამყაროს მეუფისაგან.

2. ნუ თუ ჰსთქვან, მან (მუჰამმადმა) მოიგონაო? არა, მუჰამმად! ეგაა უფროა ქეშმარიტება, შენის უფლისაგან მოსული, რათა ამხილო ხალხსა, რომელსაც შენამდე წინასწარმეტყველი არ ჰყოლია, და რათა ყველა წარმართებულ იქმნეს ქეშმარიტ გზაზე.

3. ღმერთმა შეჰქმნა ცანი და ქვეყანა და ყველაფერი, რაცაა მათ შორის, ექვსის დღის განმავლობაში. შემდგომ დაბრძანდა ტახტზე. თვინიერ მისსა არა ჯყავსთ სხვა მფარველი, არცა მოსარჩლე. ნუ თუ ვერ ჩახვდეთ?

4. მსოფლიო საქმეებს უძღვება იგი ზეცით ქვეყნად, მერმე ყველაფერი მასთან აღის ერთ დღესა, რომლის ხანგრძლიობა ათასი წელიწადია თქვენის გამოთვლით.

5. იგი იცნობს ხილულს და უხილავ ნივთებსა, შემძლებელ, გულშემატკივარი.

6. სისრულე მიანიჭა ყველაფერსა, რაც გააჩინა, ხოლო ჯერ კაცი შეჰქმნა კეცისაგან.

7. შემდეგ მან დააწესა მისა შთამომავლობა, წყალის ერთის წვეთის, შეურაცხის წვეთისაგან გამომდინარე.

8. მასუკან დასახა იგი უწყებულ ნაწილებად და ჩაუდგა წილი თავისის სულისა. მან მოგანიჭათ ყურთა სმენა, და თვალთა ხედვა, გული. რა ცოტად მადლობელ ხართ?

9. ამბობენ: ოდეს გავექარწყლდეთ სადღაც მიწას ქვეშ, ნუ თუ ხელახალ ქმნილებად გადავიქცეთო!

10. არა ჰსჯერათ, რომ გამოცხადდენ თავიანთი უფლის წინაშე.

11. უთხარი მათ: სიკვდილის ანგელოზმა, რომელიც თქვენთვის მზრუნველია, შეგყაროსთ, ხოლო მასუკან ღვთისადმი მიიქცეთ.

12. ერთი განახა, თუ ცოდვილებმა რა რიგ უნდა მოიხარონ თავი თავიანთი უფლის წინაშე. დაღად ჰყონ მათ: უფალო! ვიხილეთ და ვისმინეთ. გაგვიშვი, მივიქცეთ ქვეყნისკენ, კეთილი ვიმოქმედოთ; ეხლა მტკიცედა გვრწამს.

13. ჩვენ რა გვენებებინა, ყოველსავე სულს უბოძებდით ჩვენ საიმისო გზის წარმართებასა, მაგრამ ჩემი უცვალეზელი სიტყვა ეს იყო: ჯანაბა ავაესო საერთოდ კაცებითა და ჯინებითა.

14. იხილეთ სამაგიერო, იმ დღეს გამოცხადების დამვიწყებელნო. — ჩვენც დაგვიწყებინართ აგრეთვე. იხილეთ საუკუნო სატანჯველი თქვენის ნამოქმედარის საფასურად.

15. ჩვენი სასწაულები ჰსწამსთ მათ, რომელნიც მოიგონებენ თუ არა, განერთხმიან თაყვანისცემის ნიშნად და ჰგალობენ თავიანთი უფლის ქებასა, ყოველის ამაყობისაგან გაცლილნი.

16. რომელთაც გვერდნი წამოიწვევიან საწოლთაგან, რათა დაღად ჰყონ უფლის მიმართ, შიშითა და წადილითა; რომელნიც სამოწყალოდ გაჰსცემენ ჩვენ მიერ ბოძებულ ნიჭთა.

17. არც ერთმა სულმა არ იცის (ვერ იტყვის), რამდენი გასახარელია მათთვის (ქველ კაცთათვის) გამზადებული მათის ნაღვაწის საფასურად.

18. ვინც იწამა, განა მისებრ იქმნეს, რომელიც ცოდვაში ჩავარდნილა? ერთი ნუ თუ მეორის მსგავს იქმნეს?

19. ვინც ერწმუნენ და კეთილ საქმეებს შერებიან, საუკუნო საყოფელი წალკატები ექმნესთ თავიანთი ნამოქმედარის ჯილდოდ.

20. ცოდვილებს ცეცხლი ექმნესთ ადგილ-სამყოფად. ყოველთვის როცა კი მოისურვონ იქითგან გამოსვლა, უკანვე დააბრუნონ. უთხრან მათ: განიცადეთ ცეცხლის სატანჯველი, რომელიც ოდესმე ტყუილი გეგონათ.

21. მათ განვაკლვევინათ მსუბუქი სასჯელი ამ სოფლად, ვიდრე შევამთხვევდეთ დიდ სასჯელსა; ეგებ მოიქცნენ ჩვენდამი.

22. ვინაა უცოდვილესი მის, რომელიც თუმცა ღვთის სასწაულთა მიერ გაფრთხილებულ ყოფილა. ერიდება მათ? ცოდვილთა შური ვიძიოთ.

23. მოსეს წიგნი უბოძეთ ჩვენ. ექვი ნუ გექმნება, უფალი ეხილოს. წიგნი იგი გაეხადეთ წარმართებად ისრაელის შეილთათვის.

24. მათ შორის დავადგინეთ იმამები (მღვდელმთავრები) მათდა გასაძლოლად ჩვენის ბრძანებისამებრ, როცა გამოდგნენ შეურყეველ და ჩვენის სასწაულების მტკიცედ მორწმუნე.

25. უეჭველია, ღმერთმა აღდგომის დღეს თქვენის ცილობის საგანი გაგიჩინოსთ.

26. განა არ იციან, რამდენი თაობა გაგვიწყვეტრა მათ უწინარეს? ეხლა კი იკლებენ იმ ხალხთა უმანდელ სადგომებსა ამაში სასწაულებია. ნუ თუ არ ესმისთ?

27. განა ვერ ხედვენ, თუ როგორ გადაუძახებთ ჩვენ ღრუბლებში დაცულ წყალსა ამომხმარის ქვეყნისაკენ და როგორ აღვარძინებთ ხორბალსა, რომლითაც ჰსაზრდოებენ იგინი და მათი ჯოგებიც? ნუ, თუ ვერ ხედვენ?

28. იკითხონ: როდის-ღა იქმნეს გამოხსნაო? მსთქვით, თუ გულწრფელ ხართ.

29. უთხარი მათ: გამოხსნის დღესა ურჯულოებს სარწმუნოება ვერაფრად გამოადგესთ. აღარ დააცალონ მათ.

30. მოჰშორდი მათ და ელოდე. იგინიც ელიან აგრეთვე.

თ ა ვ ი XXXIII.

მ ო კ ა ე შ ი რ ე ნ ი

ნაბოძების მედინეს.—75 მუხლი.

ს ა ხ ე ლ ი თ ა

ღ ვ თ ი ს ა

მოწყალისა და უმეცუნარებაელისა.

1. წინასწარმეტყველო! ღვთის გეშინოდეს და არ დაე-
მორჩილო ურჯულოებს, არც პირმოთნეებსა. ღმერთია მეც-
ნიერ და ბრძენი.

2. უმჯობესია, შეუდგეთ მას, რაც ღვთის მიერ გამოც-
ხადებულ იქმნა. მან უწყის თქვენი მოქმედება.

3. სასოება იქონიე ღვთისა! გეყოფა, ღმერთი გეყოლოს
შფარველად.

4. ღმერთს, ორი გული არ დაუტანებია ადამიანისათვის;
არ უბრძანებია, რომ ცოლები, რომელთაც შესაძლოა, გაე-
ყაროთ, დედებივით იყვნენ თქვენთვის, არცა ის, რომ შვი-
ლობილები ღვიძლი შვილებივით იყვნენ თქვენთვის. ეს სიტ-
ყვები მხოლოდ პირზე გაკერიათ. მარტო ღმერთია სიმატლის
მთქმელ და სწორე გზაზე დამყენებელი.

5. თქვენს შვილობილებს დაუძახეთ მათი მამების სახე-
ლი, უფრო სამართლიან იქმნეს ღვთის წინაშე. თუ არ
იცნობთ მათ მამებსა, იყოლიეთ სარწმუნოებით ძმებად და ხელ-
ქვეითებად; ცოდვა არ იქმნეს, თუ მოჰსტყუვდით ამაში; მაგ-
რამ ცოდვა იქმნეს, თუ განზრახ ჩაიღინეთ. ღმერთი აღ-
სავესეა მოკეთებით და მოწყალეობითა.

6. წინასწარმეტყველი უფრო ახლოა მორწმუნეებთან,
ვიდრე მათი სულები; მისი ცოლები მათდა დედებ არიან;
ღვთის წიგნისამებრ, სისხლის კავშირით შეერთებულნი კაცნი
ერთმანერთის უფრო მახლობელ არიან, ვიდრე სხვა მორწმუ-

ნები და მოჰაჯერები; მაგრამ ის ცოტა სიკეთეც კი, რომელიც თქვენს მეგობრებს უყოთ, წიგნში ჩაწერილ იქმნეს.

7. მოიგონე, რომ პირობა შეგკარით წინასწარმეტყველებთან და შენთან ნოესთან, აბრაამთან, მოსესთან, და იესოს, მარიამის ძესთან; დავჰსდევით მტკიცე აღთქმა,

8. რათა ღმერთს შეჰსძლებოდა, მართალ კაცთათვის ეკითხა მათის გულმართლობისა; ვინადგან საშინელო სასჯელი აქვს დამზადებული ურჯულოთათვის.

9. მორწმუნეო! მოიგონეთ ღვთის სიკეთე თქვენდამი, როცა ჯარები თავს გესხმიდენ და როცა გამოვგზავნეთ ქარი და უხილავი ჯარები, ვინადგან ღმერთი მხილველდა მის, რასაც შერებით.

10. მაშინ მტრები შემოგსეოდენ ზემოთ და ქვემოთ; მაშინ თვალი გიდგებოდათ, გულსაც ყელამდე გეჭიდებოდათ. მაშინ ღვთისათვის ყოველგვარ ზრახვას ჰყოფდით.

11. ერთგულნი მაშინ ჩაცვივნულიყვნენ მკაცრს განსაცდელში: თრთოდენ ძლიერის თრთოლით.

12. როცა მლიქვნელები და გულ დაავადებულები ამბობდენ: ღმერთმა ცალიერი პირობა მოგვცაო,

13. როცა ერთი ნაწილი მათ შორის ამბობდა: მკვიდრონო იათრიბისანო! აქ აღარაა თქვენთვის თავშესაფარი; უმჯობესია, გაბრუნდეთ შინაო, ერთმა ნაწილმა თქვენ შორის წინასწარმეტყველს ჰსთხოვა ნებართვა წასვლისა, უთხრა თუ არა: სახლები უბატრონოდ გვიყრათო? არა, უბატრონოდ კი არ ეყარათ, არამედ მართო თავის გაცლა უნდოდათ.

14. იმ წუთს რო მტერი იათრიბს შესულიყო, მხსთვის რო ეთხოვნათ, უწესოება ჩაიდინე და ებრძოლე მორწმუნეებსო, ნებს დაჰყვებოდენ; მაგრამ იმ შემთხვევაში მხოლოდ ძლიერ ცოტა ხანს დარჩებოდენ.

15. თუმცა კი ღვთისათვის აღთქმა მხეცათ, ზურგს არ შევაქცევთო. დიან ღმერთთან დადებული პირობა ისეთი რამეა, რის ანგარიშსაც მოითხოვენ.

16. ჰსთქვით: გაქცევა არაფრად გამოგადგესო. თუ გაუსხლდით სიკვდილს, ანუ ომის ელექტასა, ცხოვრებით დაჰსტკბეთ მხოლოდ მცირეოდენ ხანსა.

17. ჰსთქვი: ვინ უნდა მოგანიჭოსთ საფარველი ღვთის წინააღმდეგ, თუ მან ინება უბედურების შემთხვევა თქვენთვის, ან თუ ინება თავისის მოწყალების დამოწმება თქვენთვის? მის წინააღმდეგ ვერც პატრონი იპოოთ, ვერცა მფარველი.

18. ღმერთი კარგად იცნობს თქვენ შორის მათ, რომელნიც ხელს უშლიან სხვებსა, რომ წინასწარმეტყველს გაჰყენენ, რომელნიც თავიანთ ძმებს ეუბნებიან: ჩვენთან მოდი-თო და რომელნიც თავს დასხმის დროს იჩენენ მხოლოდ შუათანა გულმოდგინებას.

19. თქვენდამი თვალ ხარბობითაა; როცა შიშის ზარი ეცემათ, ხედავ, შემწეობას ეძებენ, და თვალებსაც ატრიალებენ მისებრ, რომელსაც გარშემორტყმიან აჩრდილნი სიკვდილისანი. ოდეს შიშის ზარმა განვლოს, ნახო, თუ როგორ მოგადგნენ ბასრის ენითა, თვალხარბნი ქონებაზე, რომელიც გელისთ. იმ ხალხს სარწმუნოება არა აქვს. ღმერთმა გააქარწყლოს მათი ნამოქმედარი. მისთვის აღვილია.

20. მათ ეგონათ, მოკავშირენი არ მოჰშორდებოდენ: მოკავშირენი რო მეორეჯერ მოსულიყვნენ, მომთაბარე არაბებთან ცხოვრებას მოინდომებდენ და თქვენის ამბავის შეტყობას იკმარებდენ, ვინადგან, თუმც ეხლაც იყვნენ თქვენთან, სუსტად იბრძოდენ მაინცა.

21. ჩინებული მაგალითით თქვენთვის თქვენი წინასწარმეტყველი, მაგალითი ყველასათვის, რომელნიც ესვენ ღმერთსა და ჰსწამსთ უკანასკნელი დღე, რომელნიც ხშირად ფიქრობენ: მისთვის.

22. როცა შორწმუნეებმა დაინახეს მოკავშირენი, დაიძახეს: აი რაც ღმერთმა და მისმა მოციქულმა აღვითქვეს. ღმერთმა და მისმა მოციქულმა სიმართლე ჰსთქვეს. ყველაფერმა ამაღანაძლიეროს მხოლოდ მათი სარწმუნოება და სრულებით მინდობა ღვთის ნებისადმი.

23. ერთგულთა შორის ურევია მისთანა ადამიანები, რომ დაცული აქვს, რაც ღვთისათვის შეუთქვამს; მისთანებიც არიან, რომ თავიანთი ყველი გაუთავებიათ, სხვებიც არიან, რომ უცდიან; როდი გატეხილან.

24. ღმერთმა დააჯილდოოს პატიოსნებისათვის პატიოსანი ადამიანები; დასაჯოს მლიქვნელები, თუ ინება, ან აპატიოსმათ, ვინადგან ღმერთს ზნედა აქვს პატიება და შებრალება.

25. ღმერთმა გაჰყარა ურჯულონი მათის გულისწყრომითა. ვერაფერი სარგებლობა ნახეს იმ ომისაგან, ღმერთი ეყოს მორწმუნეებს ბრძოლაში, ვინადგან ღმერთი ძლიერ და შემძლებელია.

26. მათ ციხეთაგან გამოიყვანა წერილის ხალხი, რომელნიც მოკავშირეებს ეხმარებოდა; გულს ჩაუგდო მათ შიში და უიმედობა; ერთი ნაწილი მათი თქვენ ამოხოცეთ, ხოლო მეორე წაასხით ტყვედ.

27. ღმერთმა გაგხადათ მემკვიდრედ მათის, ქვეყნისა, მათის სახლებისა და მათის სიმდიდრისა, ქვეყნისა, რომელიც მანამდე ფეხით არ გეთელათ. ღმერთი ყოვლად შემძლებელია.

28. წინასწარმეტყველო! უთხარი შენს ცოლებსა: თუ ეძებთ წუთისოფლის ცხოვრებას მისის განცხრომითა, მოდით, ჩინებული ხვედრი მოგანიჭოთ და პატიოსნებითაც გაგისტუმროთ.

29. ხოლო თუ ეძებთ ღმერთსა და მის მოციქულსა და მომავალის ცხოვრების ადგილ-სამყოფსაც, ღმერთს დაუმზადებია დიდნახელავი სასყიდელი იმ ქალთათვის, რომელნიც სიქველეს ჰსჩადიან.

30. წინასწარმეტყველის ცოლებო! თუ ერთს ვისმე თქვენ შორის დაბრალდეს სიბილწე, რაც დამტკიცებულ იქმნეს, ღმერთმა თავისი სასჯელი ერთიორად მიუსაჯოს; ღვთისათვის ადვილია.

31. ვინც მტკიცედ იწამოს ღმერთი და მისი მოციქული, ვინც ჰქმნას კეთილი, იმ ქალს ჯილდო ერთი ორად მიუსაჯოდ ჩვენ; მისთვის უხვად დაგვიმზადებია ხვედრი.

32. წინასწარმეტყველის ცოლებო! თქვენ სხვა ცოლებით კი არა ხართ; თუ ღვთის გეშინიათ, ნუ გამოიჩინებთ გადამეტებულ აღერსიანობას ლაპარაკში, შიშით, რათა კაცმა, რომლის გულიც უძლურებით შეპყრობილია, თქვენდამი არ განიზრახოს ნდომა ცოდვისა. სიტყვა პასუხი იქონიეთ თავდაჭერილი.

33. თქვენ თქვენს სახლში დამშვიდებით იყავთ, გული არ გითქმიდესთ უმეტრების გავლილ დროთა განცხრომისათვის; დაიცევით ქაში ლოცვისა; გაიღეთ სამოწყალო; დაემორჩილეთ ღმერთსა და მისს მოციქულსა. ღმერთს ნებავეს მხოლოდ ავა შოროსთ სისაძაგლე თქვენ ყველას, მისს სახლობასა და სრული სიწმინდე უზრუნველი გაგიხადოსთ.

34. გულში გაიმეორეთ კურანის მუხლები, რასაც კი თქვენს სახლებში ჰკითხულობენ, სიბრძნის სწავლაც აგრეთვე. ღმერთია კეთილ და ყველაფრის მცოდნეც.

35. კაცებმა და ქალებმა, რომელნიც სრულებით მიენდობიან ღმერთსა, კაცებმა და ქალებმა, რომელთაცა ჰსწამსთ, ორთავ სქესის ღვთის ნიერმა გვამებმა, ორთავ სქესის მართაღმამა გვამებმა, ორთავ სქესის გვამებმა, რომელნიც ყველაფერს მოხმინებით მოიჭირებენ, ორთავ სქესის თავმდაბლებმა, კაცებმა და ქალებმა, რომელნიც სამოწყალოს გაიღებენ, ორთავ სქესის გვამებმა, რომელნიც მარხვას ინახვენ, ორთავ სქესის უმანკო გვამებმა, კაცებმა და ქალებმა, რომელთაც ღმერთი ახსოვსთ ყოველ წუთს, — ყველამ მიიღოს მიტევება ღვთისაგან და უხვად ჯილდო.

36. არ შეჭფერის, ორთავ სქესის მორწმუნეებსა, აპყენენ საკუთარს არჩევანსა, თუ ღმერთსა და მისს მოციქულს სხვაფრივ გადუწყვეტიათ. ვინც ეუბრება ღმერთსა და მისს მოციქულსა, ცხადს შეცდომაშია.

37. მუჰამმად! ერთხელ შენ უთხარ იმ კაცს, რომელთაც ღმერთი მოკეთებობით სავსე იყო და რომელიც აევსო თავისის წყალობითა: გაუფრთხილდი შენს ცოლსა და ღვთის

გეშინოდეს; ხალხო გულში იმაღლავდი მას, რაც ღმერთს საჩქაროდ უნდა გამოექვეყნებინა. ხალხის შეგეშინდა; უფრო სამართლიანი იქმნებოდა ღვთის გშინებოდა. მაგრამ ზეიღმა იღონათუარა, და გადაჰსწყვიტა თხვისის ცოლის გაშვება, იგი შეგიერთეთ ქორწინებითა, რომ მორწმუნეთათვის ცოდვა არ ყოფილიყო თავიანთ შვილობილთა ცოლების შერთვა, მათის გაშვების შემდეგ. ღვთის განაჩენიც აღსრულდა.

38. ცოდვა როდია წინასწარმეტყვლის მხრით, თუ მიუღია, რაც ღმერთს უბოძებია მისთვის; ღმერთს ჰსჩვევია, იგივე ექმნა მათთვის, რომელთაც შენს უწინარეს უცხოვრიათ. (ღვთის ბრძანება წინდაწინვეა განსაზღვრული).

39. რომელნიც ასრულებდენ მოციქულობას, ღვთისგან დავალებულს, რომელთაც ღვთის ეშინოდათ და მხოლოდ მისი ეშინოდათ. ღმერთი სამყოფია ყველასათვის.

40. მუჰამად თქვენ შორის არც ერთის ადამიანისთვის არაა მამა. იგია ღვთის მოვლინებულ და წინასწარმეტყველთა ბექედი. ღმერთმა ყველაფერი უწყის.

41. მორწმუნენო! ხშირად განიმეორეთ ღვთის სახელი და აღიდეთ იგი დილას და საღამოს.

42. იგია თქვენდა გულკეთილ; მისი ანგელოზები შუამდგომლობენ თქვენთვის, რათა ბნელეთით სინათლეში გადახვიდეთ; იგია ქრშმარიტ მორწმუნეთა შემბრალე.

43. მოკითხვად, რომელიც მიიღონ იმ დღეს, ოდეს გამოცხადდენ შის წინაშე, იქმნეს სიტყვა; მშვიდობა! (სალამი) ამას გარდა მომზადებული აქვს მათთვის კიდევ უხვი ჯილდო.

44. წინასწარმეტყველო! შენ მოგვივლენიხარ, რათა ყოფილიყავ მოწმედ, გემხილებინა, გეუწყებინა.

45. შენ მოუწოდებ ხალხსა ღვთისადმი; შენ ხარ მნათობი, რომელიც გაანათებს.

46. მორწმუნეებს აუწყე, რომ ღმერთს მათთვის დამზადებულთ აქვს დიდნი წყალობანი.

47. ნურც ურჯულოებს დაუჯერებ, ნურცა მლიქვნელებს, მაგრამ ბოროტი არ უყო მათ. ღვთის სასოება იქონიე. ღმერთი გეყოს მფარველად.

48. მორწმუნეო! თუ ერთგული ცოლი გაუშვათ, მიკარების უმაღვე, აღარ დაიჭიროთ იგი ნამცნებ ვადას. იქით. მიეკით, რასაც სჯული ბრძანებდეს და პატიოსნებითაც გაისტუმრეთ.

49. წინასწარმეტყველო! ნება გაქვს, შეირთო ქალები, რომელნიც დასაჩუქრო, მხეველები, რომელნიც ღმერთს ხელთ მოუცია შენთვის, დედამით ბიძებისა და დეიდა მამიდების ასულები, რომელნიც შენთან ერთად ლტოლვილან და ყოველივე ერთგული ქალი, რომელმაც თავისი სული (თავისი თავი) დაანებოს წინასწარმეტყველსა, თუ წინასწარმეტყველმა ინდომა მისი შერთვა. ამ უპირატესობას გაძლევთ შენ სხვა მორწმუნეთა წინაშე.

50. ჩვენ ვიცით, რაც დაგვიწყრია თქვენის ცოლებისა და მხეველებისა, რათა ამაში შეცოდება არაფერი იქმნეს შენის მხრით. ღმერთი სულგრძელ და მოწყალეა.

51. შეგიძლია, იმედი მიჰსცე მას, რომელიც ინდომო, და შენს საწოლში მიიღო იგი, რომელიც ინდომო იგიც, რომელიც ხელახლა მოგნდომებია, ათვალწუნების შემდეგ. შემცოდე არ იქმნე, ესრეთ გამრჯელი. ესრე უფრო ადვილ იქმნეს მათი ნუგეშობა. არასოდეს იჯავრონ, ყველა კმაყოფილ იქმნეს მისა, რაც მიანიჭო მათ. ღმერთმა უწყის, რაცაა თქვენს გულში; იგია მცოდნე და კაცთ მოყვარე.

52. ნება არა გაქვს, კვლავ მოიყვანო სხვა ქალები, არც გაჰსცვალო იგინი სხვებში, კიდევ რო მათმა შეწიერებამ მოგხიბლოს, გარდა მხეველებისა, რომელნიც შეგიძლია შეიძინო. ღიახ, ღმერთი ყველაფერს აკვირდება.

53. მორწმუნეო! ნება დაურთველად არ შეხვიდეთ წინასწარმეტყველის სახლებში, თუ არ მაშინ, როცა ნება გეძლეოდესთ, მიირთვათ სანოვაგე მასთან ერთად და გელოდებოდენ,

ზოლო მიწვეულნი შედით და, მიირთვათ თუ არა, აიშალენით და შინაურულად საუბარი არ გააბათ, ვინადგან მისი შემაწუხებელია. წინასწარმეტყველს თქმისა რცხვენია, მაგრამ ღმერთს სიმართლის არ რცხვენია. თუ გინდათ, ჰკითხოთ მის ცოლებს, ჰკითხეთ ჩადრის საშუალებით; ამ გვარად თქვენი გული და მათიცა სიწმინდით დაცულ იქმნეს; ერიდეთ, შეწუხება მიაყენოთ ღვთის მოვლინებულსა. ნუ შეირთავთ ქალებს, ვისთანაც კავშირი ჰქონია მას; ღვთის თვალში უბრიანეა.

54. საჯაროდ აწარმოებთ რასმე, თუ დამალავთ, ღმერთმა ყველაფერი უწყის.

55. თქვენს ცოლებს შეუძლიათ, პირთ აიხადონ თავიანთი მამების, თავიანთი შეილებიხ, დის ძმისწულების და მათის ცოლების წინაშე და მათის მონების წინაშეც. უფლის გეშინოდესთ, იგია მოწმე ყოველის თქვენის მოქმედებისა.

56. ღმერთი და მისი ანგელოზები პატივს ჰსცემენ წინასწარმეტყველსა. მორწმუნენო! მიჰმართეთ მის სახელსა პატივისცემის სიტყვები და მისი სახელი წარმოჰსთქვით კურთხევითა.

57. ვინც ღმერთი და მისი მოვლინებული შეურაცხ ჰყონ, წყეულ იქმნენ სააქაოს და საიქიოს და საძრახ სასჯელშიაც ჩაცვიდენ.

58. ვინც ბოროტი შეამთხვიონ მორწმუნეებს, კაცებსა, თუ ქალებს, ისე რო დამსახურებული არ ექმნესთ, ჩაიდინონ მატყუარობა და დიდი ცოდვა.

59. წინასწარმეტყველო! ამცენ შენს მეუღლეებს, შენს ქალიშვილებს და მორწმუნეთა ცოლებსაც, ჩადრი ძირამდე ჩაუშვან; ესრეთ უფრო ადვილ იქმნეს, ვეწიოთ მას, რომ ვერც გამოიციონ იგინი, ვერც გალანძლონ. ღმერთია მომთმენ და შემბრალებელი.

60. თუ მლიქვნელებმა, გულ დავაადებულმა კაცებმა და ცრუ ამბების გამავრცელებლებმა შედინეში, არ მოიშალეს ძვი-

რის მოქმედება, აღძრათ შენ მათ წინააღმდეგ მათდა დასასჯელად და შენს გვერდით ვაცოცხლოთ იგინი მხოლოდ მცირეოდენ ხანსა.

61. წყეულები რა ადგილსაც უნდა იყვნენ, შეპყრობილ და ამოხოცილ იქმნენ საშინელის ჟღერითა.

62. ესრეთ იყრ ღვთის ყოფაქცევა კაცთა მიმართ, რომელნიც მათ უწინარეს იყვნენ. ვერაფერი ცვლილება უბოლო ღვთის ყოფაქცევასა.

63. გკითხონ, ოდეს მოიწიოს ჟამიო: უპასუხე: ცნობა ჟამისა ღვთის ხელთაა; ხოლო ვის შეუძლია გითხრას, ნეტათუ ახლო იყვეს ჟამიო?

64. მან დაჰსწყევლა ურჯულოები და ცეცხლსაც დაექადა მათ.

65. საუკუნოდ დაჰყონ იქ უმეობოდ და უმწეოდ.

66. იმ დღეს, ოდეს თვალი მოჰკრან აღსა, დაიძახონ: ნეტა ღმერთს ეპრიანებინა და დავმორჩილებოდით ღმერთსა და წინასწარმეტყველსა!

67. უფალო! ჩვენს მთავრებსა და ჩვენს დიდკაცებს აყევით და მათ დაგვაშორეს ქეშმარიტ გზასა.

68. უფალო! გაუორკეცე მათ სასჯელი და წარმოჰსთქვი მათზე დიდი წყევა-კრულვა.

69. მორწმუნენო! ნუ ემსგავსებით მათ, რომელთაც მოსეს აწყენინეს; ღმერთმა იგი განზანა მათის ცილისწამებისაგან, და მოსე მიჩნეულ იყო წინაშე ღვთისა.

70. მორწმუნენო! უფლის გეშინოდესთ; გულ ახდილად ილაპარაკეთ.

71. ღმერთმა სასიკეთოდ დაატრიალოს თქვენი საქმეები და ახოცოს თქვენი შეცოდება, ხოლო ვინც ემორჩილება ღმერთსა და მისს წინასწარმეტყველსა, დაჰსტკბეს დიდის წეტარებითა.

72. ჩვენ ვამცენით ცას, ქვეყანას, მთებსა დაცვა სარწმუნოებისა; უარი ჰსთქვეს, თავს ედვათ და მიღებისაც ეშინოდათ. კაცმა თავს იღვა და შეიქმნა უსამართლო და უგნურად.

73. ღმერთმა დასაჯოს ორთავ სქესის პირმოთნეები და ორთავ სქესის კერპთაყვანისმცემლები, იგია მომთმენ და მწყალობელი.

თ ა ვ ი XXXIV

ს ა ბ ა

ნახბძების მექას.—54 მუხლი

ს ა ხ ე ლ ი თ ა

ლ ვ თ ი ს ა

მოწყალისა და შემწყნარებლისა.

1. დიდება ღმერთსა, რომელსაც ეკუთვნის ყველაფერი, რაცაა ცათა შინა და ქვეყანაზე. საიქიოს დიდებაც მას ეკუთვნის აგრეთვე; იგია ბრძენ, მცოდინარე.
2. უწყის, რაც შედის მიწაში და რაც იქიდგან გამოდის; რაც ზეცით ჩამოდის და რაც იქ აღის. იგია გულშემატკივარ, სულგრძელი.
3. ურწმუნოები ამბობენ: ჟამი ვერ მოიწიოსო. უბასუხე; დიან, მოიწიოს, გეფიცებით უფალსა; რომელმაც დაფარული საქმეები უწყის; მის მცნობელობას ერთი ცახის წონაც ვერ გაუსხლტება. ცათა შინა და ქვეყანაზე არაფერია მისთანა, რომ უმცირესი, ან უდიდესი არ იყვეს, ვიდრე ერთი ცახე, რომ დაცულ არ იყვეს ცხად წიგნში.
4. რათა ღმერთმა დააჯილდოოს იგინო, რომელთაც იწამეს და კეთილი ჰქმნეს. მათდა მიტევება და უხვი სარჩოც.
5. ვინც დაშვრებიან ჩვენ სასწაულთა დასაუძლოებლად (ჩვენ საკვირველ მოქმედებათა დასამცირებლად), მიიღონ სავალალო ტანჯვის სასჯელი.
6. ვისაც მეცნიერება მიუღიათ; კარგად ხედვენ, რომ

უფლის მიერ შენდა მალლით მოვლინებული წიგნი ქვეშარი-
ტებაა, რომ იგია გამყვან შემძლებელის, დიდებულის გზაზე.

7. ურწმუნოები ეუბნებიან, ვისაც შეხვდებიან: გსურსთ-
თუ არა, გაჩვენოთ კაცი, რომელიც წინდაწინვე გეტყვისთ,
ოდეს სრულიად დაგლოჯილ და დახრულ იქმნეთ, ახალი სახე
კვლავ შეიმოსოთ?

8. ან სიცრუე მოიგონა ღვთის თაობაზე, ან ეშმაკეულია.
უჯობესია, ჰსთქვა: ვისაც არა ჰსწამსთ მომავალი ცხოვრება,
იქმნენ სატანჯველსა და დაუსრულებელ შეცდომაში.

9. ვერა ხედვენ, თუ რაა მათ წინ და მათ უკან? ცა და
ქვეყანა? რო გვენებებია, ჩვენ უბრძანებლით მათ ჩანთქმას გარ-
ღვეულ დედამიწასა, ან მათ თავს დავჰსცემლით ზეცის ნამსხვრევ-
სა. ამაში სასწაულია ღვთის ყოვლისავე მსახურისათვის, რომ-
ელსაც შეუძლია, მორჯულდეს.

10. დავითს მივმადლეთ ნიჭი, რომელიც ჩვენგან გამო-
დიოდა (ცოდნა გალობისა). ვჰსთქვით: მთებო და ფრინველ-
ბო! მასთან ერთად რიგით ჩაერიეთ მის გალობაში. რკინა-
დავარბილეთ მის ხელში და უთხარით მას: გაიკეთე ასმული
აბჯარი და კარგად უყურე, თვლები ტოლტოლი იყოს. კე-
თილი ჰქმენით, ვინადგან ვხედავ თქვენს მოქმედებასა.

11. ჩვენ დაუმორჩილეთ ქარი სოლომონსა. ერთს თვეს
დილასა ჰქროდა, ერთ თვესაც სალამოს. მისთვის ვადინეთ სპი-
ლენძის წყარო. ჯინები მუშაობდენ მის თვალ-წინ უფლის
ნებართვით, ხოლო ვინც ჩვენს ბრძანებას მოერიდა, მგზნება-
რე აღმურის ტანჯვას მივეცი თ მისი თავი.

12. მისთვის აკეთებდენ ყოველ სამუშაოსა, რაც კი ჰსურ-
და, პალატებს, ძეგლებს, თეფშებისებურ ფრიალა ტაბაკებს,
ძირ ბრტყელ ქვაბებსა. დავითის სახლობავ! მადლობა შეჰსწი-
რეთ. რა ცოტაა მადლიერი კაცი ჩემ მსახურთა შორის!

13. ხოლო როცა გადავჰსწყვიტეთ, მომკვდარიყო, მიწიერმა
ქვემძრომმა ყველაზედ უწინ შეიტყო: გაეხრა მისი ჯოხი, რომელ-
საც ებჯინებოდა ღეში; ხოლო დაეცა თუ არა, ჯინებმა გაი-

გეს, საიდუმლო რო შეეტყობ; ისე დიდხანს აღარ დარჩებოდნ თავის დამამცირებელ სამუშაოზე.

14. საბას მცხოვრებლებს, ქვეყანაში, სადაც მკვიდრობდნ, ჰქონდათ ნიშანი მხილებისა; ორი წალკოტი; მარჯვნივ და მარცხნივ. ჩვენ უთხარით: შკამეთ საზრდო, რასაც გაძლევს თქვენი უფალი; მადლობა შეჰსწირეთ მას. მომხიბლავი ქვეყანა გაქვს და სულგრძელი უფალი გყავს.

15. მაგრამ ჭეშმარიტებას მოერიდენ. მათ წინააღმდეგ მოვავლინეთ წყალდიდობა საგუბრებისაგან, მათი ორი წალკოტი გაეჰსცვალეთ სხვა ორში, სადაც მოდის მწარე ხილი, ტამარინი და ზოგიერთი ხილი პატარა ლოტოსისა.

16. ესრეთ მივაგეთ მათ მათის ურჯულოებისათვის. განა ესე დავაჯილდოვთ სხვები უმადურთ გარდა?

17. იმათ და იმ ქალაქთა შორის, რომელნიც ვაკურთხეთ, აყვავილოვნებული სამკვიდროები გავაჩინეთ; იმ ქვეყნის შუა გავიყვანეთ გზა და ვჰსთქვით: იმგზავრეთ უშიშრად დღე და ღამ.

18. ხოლო მათა ჰსთქვეს: უფალო, უფრო დიდი მანძილი დადე ჩვენს გზებს შორის. უსამართლოდ მოექცნენ თავიანთ თავსა. იგინი გადავაქციეთ ერთათვის იგავად და მიმოფანტეთ ყოვლის კუთხით, ამაში მხილება ყოვლისავე კაცისთვის, რომელსაც შეუძლია მოთმენა და დამნახველიცაა.

19. ებლის მიხვდა, რომ კარგად განსაჯა იგინი. ყველა მას აჰყვა, ზოგიერთ მორწმუნეთა გარდა.

20. მაინც არაფერი უფლება ჰქონია მათზე; მხოლოდ უნდა შეგვეტყო, მათ შორის ვინ ირწმუნებდა მომავალს ცხოვრებას და ვის გაუხდებოდა საეჭველი. შენი უფალი ყოველნივთს მეთვალყურობს.

21. უთხარი მათ: მოუწოდეთ მათ, ვინცა გგონიათ, მყოფი გარდა ღვთისა. ერთი ცახის წონა უფლებაც კი არა აქვს მათ ზეცასა და ქვეყანაზე. წილი არ უღვესთ გაჩენაში და არც ღმერთს აუყვანია იგინი თვისდა დამხმარედ.

22. ვისიც არ უნდა იყოს, შუამავლობა ვერაფრად გამოდგეს, თვინიერ მისა, რომელსაც ღმერთმა ნება დართოს. იმ ჟამამდე უცადონ, ვიდრე შიში მათ გულს გადაეყრებოდეს. მაშინ ჰსთქვან: ღმერთმა რა ჰსთქვა? უპასუხონ მათ: ჰეშმარიტება. იგია ზენარ, დიდი.

23. უთხარი მათ: ვინ გიგზავნისთ საზრდოს ზეცით და ქვეყნივან? ჰსთქვი: ღმერთი. მე ვარ, თუ თქვენ ხართ სწორე გზაზე, ან ცხად შეცდომაში?

24. ჩვენის დანაშაულის ანგარიში თქვენ არ მოგთხოვონ, არცა ჩვენ მეტადრე თქვენის ნამოქმედარისა.

25. ჰსთქვი: ჩვენმა უფალმა ყველას თავი მოგვიყაროს და გაგვიკითხოს ყოვლის მართლ მსაჯულებითა. იგია გამრიგე მსაჯულ, მეცნიერი.

26. ჰსთქვი; მაჩვენეთ, ვინც მას შეუერთეთ, როგორც ამხანაგები. არა ჰყავს, იგია შემძლებელ, ბრძენი.

27. შენ მოგვივლენიხარ, მუჰამად, ყველა კაცთა მიმართ, გამოუკლებლად, ერთთავად საუწყებლადაც და დასამუქრებლადაც. მაგრამ კაცთა უფროს ერთმა ნაწილმა არ იცის.

28. ამბობენ: როდის და ასრულდეს დაპირება იგი? ჰსთქვით, თუ გულწრფელ ხართ.

29. უთხარი მათ: თქვენდა თავ მოსაყრელ იქნეს დღე, რომელსაც ერთს წუთსაც ვერ დაახევინოთ უკან, ვერც დაიხლოთ.

30. ურწმუნოები ამბობენ: არც კურანი ვიწამოთ, არც მის უწინარეს მოვლინებული წიგნებია. ნეტა განახა უკეთურები, ოდეს უფლის წინაშე მიყვანილ იქმნენ და ერთმანერთს ყვედრება შეუთვალონ! ამა ქვეყნის უძღურებმა უთხრან ძლიერებს, თქვენ რომ არ ყოფილიყავით, მორწმუნე ვიქმნებოდით.

31. ხოლო ძლიერებმა უპასუხონ უღონოებსა: განა ჩვენ შეგვიშალეთ ხელი, შედგომოდით წარმართებას, როცა გებოდათ? თვითონ თქვენი თავის ბრალია.

32. უღონოებმა მიუგონ ძლიერებსა: არა, თქვენი ყოველ

დღისა და ყოველ ღამის ნაეშმაკარია, როცა გვიბრძანებდით, ღმერთი არ იწამოთ, ხოლო ბაღლები აურჩიეთო. ტანჯვის დანახვაზე ყველას ჯავრი გადეყაროს, ურჯულოებს ყელი ბორკილით დაუმძიმოთ ჩვენ. განა სხვანაირად მიეგოსთ, ვიდრე მოქცეულან?

33. ერთი მოციქულიც არ მოგვივლენია თემისათვის ისე, რომ შეძლებულ კაცებს არ ეთქვათ, არ ვიწამებთ მაგის მოციქულობასო.

34. ამბობდენ: ყოფაცხოვრებით და შვილებით ჩვენ უფრო მდიდარ ვართ; სატანჯველში არ ჩავცვივდეთო.

35. უთხარი მათ: ჩემი უფალი ხელსავსედ უბოძებს ნიჭთა, ვისაც ნებავს, ან მიუწყავს; ხოლო კაცთა უფროს ერთმა ნაწილმა არ იცის.

36. ვერც თქვენის სიმდიდრით დაგვიახლოვდეთ, ვერცა თქვენის შვილებითა, მხოლოდ მორწმუნეთა და ქველის მოქმედთა მოახერხონ; მათდაა ორეული ჯილდო მათის ნაღვაწის საფასურად. უშიშრად განისვენონ სამოთხის ხეივნებში.

37. ხოლო ვინც ცდილობენ ჩვენის სასწაულების გაქარწყლებას, სატანჯველში ჩაცვივდენ.

38. ჰსთქვი: ჩემი უფალი ხელსავსედ უბოძებს ნიჭთა, ვისაც ნებავს თავის მსახურთა შორის, ან მიუწყავს. რაც სამოწყალოდ გაჰსცეთ, უკანვე დაგიბრუნოსთ. იგია ნიჭთა საუკეთესო დამრიგებელი.

39. ერთს დღეს ყველას თავი მოგიყაროსთ, მასუკან ანგელოზებს ჰკითხოს: განა თქვენ თაყვანს გცემდენ?

40. ხოლო ანგელოზებმა მიუგონ: შენმა დიდებამან! შენ ხარ ჩვენი მფარველი და არა ეგენი. ჯინებს უფრო თაყვანს ჰსცემდენ; უმეტესი ნაწილი იმათი მორწმუნეთა.

41. იმ დღეს თქვენ შორის ვერავის ექმნეს ხელთ სხვისდა სასარგებლოდ ვერც კეთილი, ვერცა ბოროტი. ჩვენ უთხრათ ურჯულოებსა: იგემეთ ცეცხლის სასჯელი, რომელსაც ოდესმე სიცრუედ ჰსთვლიდით.

42. როცა მათ უკითხვენი ჩვენს სწავლასა, ამბობენ: ამ კაცს ის ჰსურს მარტო, რომ აგვაშოროს ღმერთებსა, რომელთაც ჩვენი მამები თაყვანს ჰსცემდნენ. კიდევა ჰსთქვან: კურანი ეხლახან შექედილი სიცრუეა. როცა ჭეშმარიტება მათ აჩვენებს თავს ცხადად, ურწმუნოები იტყვიან: აშკარა თვალთმაქცობაა ეგოა.

43. შენს უწინარეს არც ერთი წიგნი გვიბოძებია მათთვის, არც ერთი მოციქული მოგვივლენია.

44. ვინც მათ უწინარეს ყოფილან, ჩვენს მოვლინებულებს მატყუარებად ჰსთვლიდნენ. ვისაც მეთედიც არ მიუღიათ მის, რაც სხვებისთვის მიგვინიჭებია, იმათაც კი ჩაჰსთვალეს მატყუარებად ჩვენი მოვლინებულები. რა შესაზარი იყო ჩემი სასჯელი.

45. უთხარი მათ: ერთ რასმე დაგაკისრებთ მე. გამოცხადდით ღვთის მოწოდებით ორ-ორი, ანუ ცალ-ცალკე და ნახეთკარგად, თქვენს თანამამულიშვილს ეშმაკეულობა ჰსჭირს, თუ იგი სხვა რამეა, და არა მოციქული, დავალებული თქვენდა გაფრთხილებას საშინელის სასჯელის მოახლოებისაგან.

46. უთხარი მათ: სარჩოს არა გთხოვთ მე; თქვენთვის შეინახეთ. ჩემა სარჩო ღვთის საზრუნველია, იგია ყველაფრის მოწმე.

47. ჰსთქვი: ღმერთი მხოლოდ ჭეშმარიტებას მოუვლენს თავისს მოციქულებსა. სრულიად იცის დაფარული საქმეები.

48. ჰსთქვი: ჭეშმარიტება მოვიდა, სიცრუე ვერ გამოჩნდეს, მეტადრე ველარც დაბრუნდეს.

49. ჰსთქვი: თუ შეკდომაში ვარ, ჩემდა სავნებლად ვარ. თუ სწორე გზაზე ვარ, მის გამო, რაც გამომიცხადა ჩემმა უფალმა. ყველაფერი ესმის, ყველგან ახლოა.

50. ნეტა განახა, როგორ ათრთოლდენ თავშესაფარის ვერ მპოვნელები და როგორ შეპყრობილ იქმნენ ახლობელისადგილითა, ისე რომ თავი ვერ წაართვან.

51. ჰსთქვან: აი! ვიწამეთო, მაგრამ როგორ ეწეოდენ

სარწმუნოებას, რომელიც შეჰყვარებიათ, როცა ისე შორს არიან თავიანთი ნამყოფი?

52. უმაღლ არ ჰსწამდათ და დაფარულ საქმეებს იგდებდნ ისე შორითგან.

53. დიდი მანძილი გაიღოს მათ და მათ საწადელთა შორის.

54. ესე დაემართათ მათ აღრინდელ მსგავსთა, რომელნიც ეჭვობდენ, ყოველის კითხვის უკუმდებელნი.

თ ა ვ ი XXXV.

ანგელოზები, ანუ შემოქმედი.

ნაბეძვბია მუქას. — 45 მუხლი.

ს ა ხ ე ლ ი თ ა

ლ ვ თ ი ს ა

მოწყალისა და შემწყნარებლისა.

1. დიდება ღმერთსა, ცათა და ქვეყნის შემოქმედსა, მას, რომელსაც მახრობლებლად ჰყვანან ორ, სამ და ოთხ წყვილ ფრთიანი ანგელოზნი. ქმნილებას უმატებს, რამდენიც ნებაგს; იგია ყოვლად ძლიერი.

2. რასაც ღმერთი კაცთათვის გაიღებს თავისის მოწყალეობის საუნჯეთაგან, ვერავინ დაიჭერს, ხოლო რასაც ღმერთი დაიჭერს, ვერავინ მოაველენს მას შემდეგ. იგია შემძლებელ, პრძენი.

3. კაცო! მოიგონეთ სიკეთე, რომლითაც ღმერთმა აგავსოთ: განაა სხვა შემოქმედი თვინიერ ღვთისა ისეთი, რომ გასაზრდოოსთ ცისა და ქვეყნის ნიჭთაგან? სხვა ღმერთი არა არს თვინიერ მისა. რადლა არიდებთ პირსა?

4. თუ მატყუარად ჩაგთვალონ, მუჰამბად! შენს უწინარეს ყოფილი მოციქულებიც ხომ იმადვე ჩაუთვლიათ, ხოლო ყოველივე ნივთი ღვთისადმი მიიქცეს.

5. კაცნო! ღვთის აღთქმა მართალია: ამა სოფლის ცხოვრებამ არ დაგაბრმაოსთ. ამაოებამ თვალი არ აგინვიოსთ ღმერთზე.

6. სატანა თქვენი მტერია; თქვენს მტერსავით უყურეთ მას თავისს მოკავშირეებს იწვევს, რათა შემდეგ ცეცხლში ჩა-ცვიდნენ.

7. ვისაც არა ჰსწამსთ, განიცადონ საზარელი სასჯელი.

8. ვისაცა ჰსწამსთ და კეთილს შერებიან, ცოდვათა მიტე-ვება და ჩინებული სასყიდელი მიიღონ.

9. ვისთვისაც უკეთური მოქმედება კარგად წარმოუდგე-ნიათ და ვისაც იგი ჩინებული რამ ჰგონია, ნუ თუ იქმნეს მისებრ, რომელსაც წინააღმდეგი ემართება? ღმერთი დააბნევს, ვისაც ნებავს და წარუმართებს, ვისაც ნებავს. მუჰამმად, თავი არ მიჰსცე მათის ბედის გამო წუხილსა. ღმერთმა მათი მოქ-მედება უწყის.

10. ღმერთს ამოჰყავს ქარი, რომელიც ღრუბლებს მიე-რეკება. რახან ღრუბლები წინ წავივდეთ გვალვისაგან სულ-ამოხდილის ქვეყნისკენ, არა დიდხნის მიმკვდარებულ მიწას გა-მოვაცოცხლებთ. აღდგომა ესრეთ იქმნეს.

11. თუ ვისმე დიდება ენატრება, დიდება მრთლად ღმერთს ეკუთვნის. ყოველი კეთილი სიტყვა და ყოველი კე-თილი საქმე მასთან აღის, ხოლო იგი ამალლებს კიდევ უფრო. ვინც ცუდ რასმე განზრახვას განიგულებენ, საშინელი სატან-ჯველი მიიღონ. მათი მანქანება გაქარწყლებულ იქმნეს.

12. თავდაპირველად ღმერთმა შეგქმნათ კეცისაგან, მას-უკან ერთი წვეთი თესლისაგან: შემდეგ ორ სქესად დაგყოთ: მდებრი არაფერს დაატარებს, არც მოიყვანს ქვეყნად ისეთს, რისი ცნობაც არ ექმნეს მას; არაფერი შეჰმატებია ხანს არსი-სას, რომელიც მრავალუადიერ ცოცხლობს, არაფერიც წართ-მევია ისეთი, რომ წიგნში ჩანიშნულ არ იყოს. ღვთისა-თვის აღვილია.

13. ორი ზღვა ერთმანერთს როდი ჰგავს: ერთია ხამ და

სვამურ, ადვილ დასალევ წყლიანი; მეორეა მწარე და მარტილიან წყლიანი. თავს ისაზრდოებთ ახალის ხორცითა ერთისაგანაც და მეორისაგანაც, იქითგანვე ამოგაქვსთ სამკაულები, თან რომ ატარებთ. ხედავთ, რომ ხომალდნი ტალღებს აპობენ, რათა ღვთის ნაწყალობევი სიმდიდრე მიიღონ. გვების მადლობა შეჰსწიროთ მას.

14. ღამეს ღღეში შემოიყვანს და ღღესაც ღამეში. თქვენთვის მზე და მთვარე დაუბორჩილებია; თვითოვე უღრვივე ამ მნათობთაგანი შეჰსდგომია თავისს სარბიელსა დანიშნულ საზღვრამდე. ესრეთია თქვენი უფალი; ხელმწიფება მხოლოდ მას ეკუთვნის. ვისაც მის გარეშე მოუწოდებთ, მათ ხელთ ის კანიც კი არაა, ინდის ხურმის მარცვალს რომ აკრავს.

15. თუ მათდამი ღაღად ჰყოთ, ყურად ვერ იღონ; თუ თქვენი ძახილი გაიგონეს, ვერ გისმენენ. აღდგომის ღღეს თქვენი კავშირი დაგმონ. ხოლო ვის შეუძლია გაჰსწავლოს რამ, თუ არა მას, რომელმაც ნასწავლია?

16. კაცნო! უპოვარ ხართ, დამჭირნე ღვთისა, ხოლო ღმერთი მდიდარ და დიდებით აღსავსეა.

17. თუ ინება, შეუძლია, გავაქროსთ და ახალი ქმნილება გააჩინოს.

18. ღმერთს როდი უჭირს.

19. არც ერთმა სულმა თავისის საკუთარის ტვირთით და მძიმებულმა სხვისი არ ჰზიდოს, ხოლო თუ ერთობ დამძიმებულმა სულმა ითხოვოს, რამდენადმე მაინც შემიმსუბუქეთო, ახლობელი რაა, იმანაც კი არ აუსრულოს. გააფრთხილო იგინი, რომელთაც ღვთის ეშინიათ თავიანთ გულთა საიდუმლოებითა და რომელნიც ლოცვას დაიცვენ. ვინც წმინდა იქმნეს, საკუთრად ჭვისდა სასარგებლოდ იქმნეს; ვინადგან ყველაფერი ერთ ღღეს ღმერთთან უნდა მიიქცეს.

20. ბრმა და თვალხილული ერთი და იგივე როდია. შეტადრე ბნელი და ნათელი, ჩრდილის სიგრილე და სიცხე.

21. ცოცხლები და მკვდრები ერთი და იგივენი როდით

არიან; ღმერთმა გააგონოს, ვინცა ინებოს, ხოლო შენ, შენ კი ვერ გააგონო სამარეში. შენა ხარ მხოლოდ ქადაგებას დავალებული.

22. ჭეშმარიტების მოციქულობით მოგვივლენიხართ, უწყებასა და გაფრთხილებას დავალებული. არაა ერი, სადაც მოციქული არ ყოფილიყოს.

23. თუ მატყუარად ჩავთვალეს, მათ მოწინავეთაც მატყუარებად ჩაჰსთვალეს აგრეთვე მოციქულები, რომელნიც წარმდგარიყვნენ განმტკიცებულნი ცხადის სასწაულებით, წერილით და წიგნით, რომელიც განმანათლებელია.

24. მე დავსაჯე; ვინც არ იწამა; ხოლო რა საშინელი მსახველია;

25. ვერა ხედავ, ღმერთს წყალი ჩამოჰყავს ზეცით? ამ წყალის საშუალებით მიწას გამოვადებინებთ იმდენნაირ ნაყოფსა. მთებში თეთრი და წითელი ბილიკებია, სხვა და სხვა ფერი; შავი ყორნებია, ადამიანები, ქვემძრომები და მხეცებიც სხვა და სხვა ფერები არიან. ესრეთ ყოვლად შეცნიერებს, ღვთის მსახურთა შორის, მისი ეშინიათ. იგია ძლიერ და მომთმენი.

26. ვინც ღვთის წიგნს ჰკითხულობენ, ვინც ლოცვას დაიცივენ და სამოწყალოს გაიღებენ ჩვენ მიერ ბოძებულ ნიჭთაგან, საიღუმლოდ და საჯაროდ, იმედი უნდა იქონიონ თანხისა, რომელიც არ დაიღუპოს.

27. ღმერთმა სარჩო გადაუხადოს მათ და ზედკიდევ თვისი წყალობა დაურთოს; ვინადგან იგია სულგრძელ და დამუნახველი.

28. რაც შენთვის აქამომდე გამოგვიცხადებია წიგნისა (კურანისა), თვითონ ჭეშმარიტებაა: რაც მონიჭებულ იქმნა მანამდე, იმას შეიცავს. ღმერთი მკლდინარეა მის, რასაც მისი მსახურები აკეთებენ, და ყველაფერსაც ხედავს.

29. შემდეგ ეგ წიგნი ჩვენ უბოძეთ, როგორც სამკვიდრებელი, მათ ჩვენ მსახურთა შორის, რომელნიც ჩვენ თვი-

თონ აგვირჩევია. ზოგი მათგანზე თვითონვე იღუბავს თავსა, ზოგი ტორტმანობს კეთილსა და ბორბოტს შორის, ზოგიც ღვთის ნებით, თავისის კეთილ ნაღვაწით, დაწინაურებულა სხვების წინაშე. ეს დიდი დამსახურებაა.

30. ედემის წალკოტები ქველთათვის არის; შევიდენ და ოქროს სამკლაურებითა და მარგალიტებით შეიმკონ თავი; ტანისამოსი აბრეშუმის ექმნესთ.

31. ჰსთქვან: დიდება ღმერთსა, რომელმაც დაგვაშორა კმუნვასა! ჩვენი უფალი სულგრძელ და დამნახველია.

32. თავისის წყალობის მოქმედებითა მასპინძლობა გავვიწია საუკუნო საცხონებელში, სადაც დაღლილობა ველარ გვეწიოს, სადაც უძლურებამ ველარ შეგვიპყროს.

33. ვინც არ იწამა, მათდაა ცეცხლი ჯანაბისა. განაჩენი, რომელიც მათ დახოცავდა და მათ ტანჯვას ბოლოს მოუღებდა, არ წარმოითქვას, ჯოჯოხეთის სატანჯველიც არ შენელებს. ამნაირად მივაგოთ, ვისაც არა ჰსწამს.

34. ქვესკნელის სიღრმითგან ამოიძახონ: უფალო, აქითგან ამოგვიყვანე: სიქველე ვიღვაწოთ სხვაფრივ, ვადრე უწინ ჩავვიდენია. განა საკმაო დიდი ხნის სიცოცხლე არ მოგვინიჭებია თქვენთვის, რათა ვისაც ფიქრი ჰმართებდა, დრო ჰქონოდა, მოეხტრებინა? მოციქული თქვენდა მოვლინებულ იქმნა.

35. მაშ თქვენი სასჯელი მიიღეთ: მფარველი არაა უკეთურთათვის.

36. ღმერთმა ცათა და ქვეყნის საიდუმლონი უწყის; ისიც უწყის, რასაც გულნი ჰმალვენ.

37. თვისდა ნაცვლებად დაგაყენათ ქვეყანაზე. ვისაც არა ჰსწამს, თავისის ურწმუნოების ტვირთი ჰზიდოს; მხოლოდ უსჯულოთა მიმართ ღვთის სიძულვილი განაძლიეროს, მხოლოდ მათი დაქცევა თავამდე მოჰყაროს.

38. მათ უთხარი: მიჩნეული გყავდათ ღმერთები, რომელთაც ღვთის თანასწორ მოუწოდებდით; მანახვე, რა ნაწილია ქვეყნისა მათი გაჩენილი; წილი აქვსთ ცათა შექმნაში?

გაგვიგზავნია მათთვის რამე წიგნი, რომელიც ცხად საბუთობას უწევდეს მათ? არა; მაგრამ უკეთურნი ერთმანერთს ჰპირდებიან მას, რაც მხოლოდ ამაოებაა.

39. ღმერთს უბყრია ცანი და ქვეყანა, რომ არ ჩამოწვნენ; რო ჩამოწვნენ, თვინიერ მისა, სხვა ვინღა შეჰსძლებს მათ შემაგრებას? იგია კაცთმოყვარე და სულგრძელი.

40. ღვთის წინაშე დაიფიცეს საჯარო ფიცითა, უკეთუ მოციქული მოგვევლინოს, სიმართლის გზაზე დავდგეთ უკეთ, ვიდრე სხვა რომელსამე ქვეყნის ხალხს ოდესმე ექმნასო! მაგრამ როცა მოციქული გამოცხადდა, მისმა მოსვლამ მხოლოდ განაძლიერა მათი დაშორება,

41. მათი სიამაყე ამ ქვეყნად და მათი უსამართლო მაცდურობა; მაგრამ იმ უსამართლო მაცდურებამ შეგრაგნოს მარტო იგინი, რომელნიც მისგან სარგებლობენ. განაელიან, შეხვდენ სხვა რასმე, თუ არ ღვთის ჩვეულებას აღრინდელ ხალხთა მიმართ? დიახ ცვლილება ღვთის ჩვეულებას ვერ უპოო,

42. გადახვეულობა ღვთის ჩვეულებას ვერ უპოო.

43. განა ამ ქვეყანაში არ მგზავრობენ? არ უნახავთ, როგორი ბედი ჰქონდათ მათ მოწინავეთა, რომელნიც მათზე უფრო ახოვანებიც იყვნენ? ცათა შინა და ქვეყანაზე არაფერს შეუძლია შესუსტოს მისი ძლიერება. იგია მეცნიერ დაძლიერი.

44. თუ ღმერთმა ინება კაცთა დასჯა მათ საქმეთაებრ, მაშინვე ქვეყანაზე ერთ ქვემძრომსაც არ გაუშვებს; მაგრამ დანიშნულ ვადამე დაგაცლისთ.

45. ოდეს ვადა იგი მოიწიოს... უეჭველია, ღმერთი თავისს მსახურებს ხედავს.

თ ა ვ ი XXXVI.

ი ა ს ი ნ .

ნაბოძებია მექას. — 83 მუხლი.

ს ა ხ ე ლ ი თ ა

ღ ვ თ ი ს ა

მოწყალისა და შემწყანარებელისა.

1. ი ა ს ი ნ . ვფიცავ სიბრძნის კურანსა,
2. რომ შენა ხარ მოვლინებულ,
3. მავალი ჭეშმარიტს გზაზედ,
4. გამოცხადებითა ძლიერისა, მოწყალისა მიერ,
5. რათა გააფრთხილო ივინი, რომელთა მამებიც გაფრთხილებულ არ ყოფილან და რომელნიც უნადვლელად ცხოვრებენ.
6. ჩვენი სიტყვა გამართლდა მათ შორის, მეტის ნაწილის მიმართ და არც იწამონ.
7. მათ დაუმძიმეთ ჩვენ კისერი ბორკილითა, რომელიც ნიკაპში უჭერსთ; თავის გამართვა აღარ შეუძლიათ.
8. მათ მივაკარით კეტი წინითგან და კეტიც უკნითგან. თვალთ ჩამოვაფარეთ საბურველი და ვერაფერს ხედვენ.
9. სულ ერთია მათთვის; გააფრთხილებ თუ არა, არ იწამონ.
10. უმჯობესია, უქადაგო მათ, რომელნიც კურანს მიჰსდევენ და ღვთის ეშინიანთ თავიანთი გულის საიდუმლოებით: მიტევება და დიდნახელავი ჯილდო აუწყე მათ.
11. მკვდრებს აღვადგენთ და მათ ნასაქმსა და მათ ნაკვლევს ჩავჰსწერთ. ყველაფერი გამოგვითვლია ცხადის პირველ სახითა.

12. სამაგალითოდ მათ მოუყევ მცხოვრებლებისა იმ ქალაქში, რომელიც ღვთის მოვლინებულთა მოიარეს.

13. ჯერ ორი გავგზავნეთ, მაგრამ მატყუარებად ჩაჰსთვალეს; მესამით განვამტკიცეთ იგინი, მათაც სამთავ უთხრეს იმ ქალაქის მკვიდრთა: თქვენთან მოვლინებულ ვართო.

14. თქვენც ჩვენსავით აღამიანები ხართ. მოწყალეს არაფერი გამოუცხადებია თქვენთვის, მხოლოდ მატყუარ ხართო.

15. ჩვენმა უფალმაო, მიუგეს, კარგად უწყის, რომ თქვენთან მოვლინებულ ვართო.

16. დავალებულ ვართ მარტოოდენ თქვედამი ცხად ქადაგებასა.

17. ფრინველთა ფრენით გიკითხეთ თქვენ და ჩვენდამი ქადაგებას თუ არ მოიშლით, ჩაგქოლოთ. საზარელ სასჯელს გიპირებთ.

18. მოვლინებულთა მიუგეს: თქვენი შავბედი თანვე გახლავთ, კიდევ რო გაგაფრთხილონ. ჭეშმარიტად, მეტის მეტობაში ჩავარდნილი ხალხი ხართ,

19. კაცი, რომელიც ქალაქის დაშორებულის უბნითგან გამოქცეულ იყო, მათ უძახდა: ჩემო თანამოქალაქენო! ეგ მოვლინებულნი იწამეთ.

20. შეუდექით მათ, რომელნიც სასყიდელს არავითარს გთხოვენ თქვენ და ჭეშმარიტ გზაზედაც იქმნეთ.

21. რად არ უნდა ვიწამო იგი, რომლის გაჩენილიც ვარ, რომელთანაც თქვენ ყველა მიიქცეთ?

22. ნუ თუ ავიყვანო სხვა ღმერთები, თვინიერ მისა? თუ მოწყალეს ნებავს, ბოროტი მიყოს, მათი შუამავლობა ვერაფრად გამომადგეს; ვერ დამიხსნან.

23. ცხად შეცდომაში ვიქმნები, თუ თაყვანბ ვეცი მათ.

24. თქვენი უფალა ვიწამე; გამიგონეთ.

25. იგი ჩაჰქოლეს; სიკვდილის შემდეგ მას უთხრეს: სამოთხეში შედი. ნეტა ჩემს თანამოქალაქეებს ჰსცოდნოდათ,

26. რაც ღმერთმა მომანიჭა და როგორ მასახელა!

27. იმ ქალაქის წინააღმდეგ არც ზეციერი ჯარი მოგვივლენია, არც სხვა რამ სასჯელი, რომელსაც მივაყენებთ სხვებსა.

28. ერთად ერთი და ხმა გაისმა და კიდევ გაიჟლიტნენ.

29. ჩემი მსახურები რა უბედურ არიან! არც ერთი მოციქული მოვლენიათ ისეთი, რომ დაცინვებს საგნად არ გაეხადათ.

30. ნუ თუ ვერ ხედვენ, მათ უწინარესი რამდენი თაობა გაგვიწყვეტია?

31. მათთან (ცრუ ღმერთებთან) ვეაროდეს მიიქცნენ.

32. ყველანი თავმოყრილ ჩვენ წინაშე მრუყვანილ იქმნენ.

33. გვალვისაგან მიმკვდარებული დედამიწა ექმნესთ მათ ჩვენის ძლიერების სასწაულად. სიცოცხლეს ვაძლევთ მას და გამოვადებინებთ მარცვლებსა, რომელთაგანაც თავს ისაზრდობენ იგინი.

34. ჩვენ გავაშენეთ იქ ინდის ხურმა და ზვრები; ჩვენ ვადინეთ იქ წყაროები,

35. რათა ეჭამათ მათი ნაყოფი და დამტკბარიყვნენ თავიანთ ხელთა ნამუშევრითა. ნუ თუ არ იქმნენ ჩვენდა მადლობელ?

36. დიდება მას, რომელმაც შექქმნა ყოველი წყვილი, როგორც მცენარეთა შორის, დედამიწა რომ აღმოაცენებს, ისე თქვენ ადამიანთა შორის და ნივთთა შორისაც, რისიც კაცთა არა უწყიან რა.

37. სასწაულია ღამე, როცა გავიყვანთ დღეს და როცა ხალხი ბნელით იმოსება.

38. სასწაულია აგრეთვე მზე, რომელიც სრბის, ვიდრე თავს შეიფარავდეს. ესრეთი იყო განჩინება შემძლებელის, ბრძნისა.

39. ხოლო მთვარისათვის დაგვიწესებია სადგურები, ვიდრე შეიქმნებოდეს, როგორათაც თეთრი რტო მოხრილის ინდის ხურმისა,

40. მზეს დაბარებული არა აქვს, ეწიოს მთვარესა, არც ღამეს, გაუსწროს ღღესა; თვითოეულივე ამ მნათობთაგანი მიმოიძვრის ცალკე წრეში.

41. სასწაულად იყოს აგრეთვე მათთვის, რომ კაცთა შთამომავლობა გვიტარებია ყველაფრად სავსე ხომალდითა

42. და რომ სხვები გაგვიჩენია იმ ხომალდის მსგავსები, სადაც სხდებიან.

43. თუ ვინებეთ, ზღვაში ჩავლუბავთ მათ; გადარჩებიან და გათავისუფლდებიან

44. მხოლოდ ჩვენის წყალობით, ისიც მიტომ, რომ რამდენსავე წამს კიდევ დავატკობ ამა სოფლითა.

45. როცა მათ ეუბნებიან: გეშინოდესთ მის, რაცაა თქვენს წინაშე და თქვენს უკან, რათა მიიღოთ ღვთის წყალობაო, არაფრად აგდებენ.

46. ერთი სასწაულიც არ გამოცხადებიათ ღვთის სასწაულთა შორის ისეთი, რომ თვალი არ მოერიდებინათ.

47. თუ მათ უთხრეს: სამოწყალო გაიღეთ კეთილთაგან, რაოდენსაც ღმერთი გაძლევსთო, ურჯულონი ეტყვიან მორწმუნეთა: ნუ თუ უნდა ვარჩინოთ, ვისაც ღმერთი თვითონვე დაარჩენს, თუ ინებაო? უეჭველია ცხად შეცდომაში ხართ.

48. კიდევ ამბობენ: როდის-ღა ასრულდეს მუქარა იგი ტანჯვისაო? ჰსთქვი, თუ გულწრფელ ხართ.

49. რასღა ელიან? ხმას ხომ არა, ზეცით წამოსულს, ოდეს ბჭობა ექმნესთ?

50. ვერც თავიანთ ანდერძებს ეუფლონ, ვერც თავიანთ სახლობაში დაბრუნდნ.

51. საყვირსა ჰსცენ, იგინიც გამოვიდნ სამარეთაგან და სისწრაფით მიირბინონ თავიანთი უფლის წინაშე.

52. ვაი ჩვენდა! ლალად ჰყონ, ვინ გამოგვასხა ამ განსვენების აღგილებითგან? აი ღვთის დაპირებულის მოწევნაც. მისი მოვლინებულნი დიახ ჰეშმარტებას გველაპარაკებოდნ.

53. მარტო ერთი ხმა გახდეს ზეცით და ყოველი ხალხი თავმოყრით გამოცხადდეს ჩვენს წინაშე.

54. იმ დღეს, ერთ სულსაც არ მოეპყრან უსამართლოდ; მათ მიეგოსთ მხოლოდ მათ საქმეთაებრ.

55. იმ დღეს, წალკოტის (სამოთხის) მკვიდრთა თავი მიჰსცენ შვება-ლხენის აღტაცებასა.

56. თავიანთ ცოლებთან ერთად მოისვენონ ჩეროში, მონარჯებით სავარძლებში ჩამსხდართა.

57. ხილი ექმნესთ, ყველაფერი ექმნესთ, რაც მოითხოონ.

58. ხსნა! იქმნეს სიტყვა მათდა მიმართ მათის მოწყალის უფლისაგან.

59. იმ დღეს განცალკევებულ იქმნეთ, ურჯულონო!

60. არ დაგიწესეთ განა, ადამის შვილებო, არ უმსახუროთ სატანას მეთქი? (იგია თქვენი ცხადი მტერი).

61. თაყვანი მეცით მე, ესაა სწორე გზა.

62. მან შეაცდინა თქვენგანი დიდი ნაწილი. ვერ გაიგეთ?

63. აი ჯანაბა, რომელსაც დაგპირდენ თქვენ.

64. დღეს მიეფიცხებით მის ცეცხლსა, თქვენის ნამოქმედარის საფასურად.

65. დღეს ბეჭედი დავასვათ მათ ბაგეთა; მარტოდ მარტო მათნი ხელნი გველაპარაკონ, ხოლო მათ ფეხთა დაამოწონ მათი ნამოქმედრი.

66. თუ ვინებეთ, თვალთა ხედვას მიუღებთ მათ; მაშინ საჩქაროდ ეცემიან გზასა, მაგრამ როგორ დაინახონ?

67. თუ ვინებეთ, სახეს გამოვაცვლევინებთ მათ; ველარც წინ სლვას მოახერხებენ, ველარც თავიანთ ნატერფალზე დაბრუნებასა.

68. ზურგში მოვხრით მას, რომლის დღეებსაც განვაგრძობთ. არ გაეგებათ?

69. მისთვის (მუჰამადისთვის) არ გვისწავლებია მოშაირობა და არც შეშვენის, ხოლო ეგ წიგნი, კურანი, მარტო გამაფრთხილებელ და ცხადი საკითხავია,

70. რათა აუწყოს ცოცხალთა და უსჯულოთა მიმართ დადებული მსჯავრიც აღსრულებულ იქმნეს.

71. ვერ ხედვენ განა, რომ ჩვენ ხელთა მიერ ნაქმნარ ნივთთა შორის, მათთვის გაგვიჩენია ცხოველები, რომელთაც ებატონებიან?

72. მათთვის დაგვიმორჩილებია; ზოგიერთებს სახედრად ხმარობენ, სხვებით კი თავს ისაზრდობენ.

73. იმ ცხოველთაგან მრავალი სარგებლობა აქვსთ, მათგან ჰპობენ სასმელსა (რძესა.) ნუ თუ არ უნდა, იქმნენ ჩვენდა მადლობელ?

74. თაყვანს ჰსცემენ სხვა ღმერთებს ღვთისა თვინაერ, რათა შეველა მიიღონ მათგან.

75. მაგრამ ვერ უშველიან: უფრო ჯარობას უწევენ თავიანთ ღმერთებსა.

76. მათი სიტყვა-პასუხისთვის არ ინაღვლო, მუჰამმად! ჩვენ უწყით, რასაც ჰმალვენ და რასაც გამოადღევენ.

77. ადამიანი ვერა ხედავს, რომ ერთი წვეთის სისხლისაგან გაჩენილი გვყავს? მაგრამ ის მაინც ნამდვილ მოწინააღმდეგე გამხდარა.

78. იგავი ჩამოუგდია ჩვენთვის მას, რომელსაც ავიწყდება თავისი საკუთარი გაჩენა (თავისი საკუთარი შთამამავლობა). გვეუბნება: ვის შეუძლია, სული ჩაუდგას ერთხელვე დაბრილ ძვლებსაო.

79. უპასუხე მათ: ჩაუდგას სული მან, რომელსაც პირველად გაუჩენია, რომელსაც შეუძლია ყველაფრის შექმნა;

80. რომელიც ცეცხლს გამოადებინებს ნედლ ხესა, რითაც ცეცხლს დაინთებთ;

81. რომელმაც ცანი და ქვეყანა გააჩინა, განა არ შეუძლია, გააჩინოს თქვენი მსგავსნი არსებანი? დიახ, უეჭველად; იგია შემოქმედი გონიერი.

82. როგორია მისი განჩინება? როცა ნებავს, ნივთი რამე იქმნეს, ამბობს: იყავო და ისიც იქმნება.

83. დიდება მას, რომელსაც ყველაფრის ბატონობა ხელთა უპყრია. ყველა მასთან მიიქცეო.

თ ა ვ ი XXXVII

რ ი გ ი.

ნაბობებია მექას.—182 მუხლი.

ს ა ხ ე ლ ი თ ა

ლ ვ თ ი ს ა

მრწავალისა და მრწავანაკრებელისა.

1. ვფიცავ მათ, რომელნიც რიგრიგად დაწყობილ არიან.
2. რომელნიც აოტებენ დასაშოშმინებლად,
3. რომელნიც კურანის, სიტყვას ჰკითხულობენ შესაგონებლად.
4. დიახ, თქვენი ღმერთი ერთია,
5. მეუფე ცისა და ქვეყნისა, ყველაფრის, რაცაა მათ შორის, და აღმოსავალთაც მეუფე.
6. დედამიწის მახლობელი ცა შეგვიმკია ვარსკვლავთა სამკაულითა.
7. ისინი ჰსწევენ აგრეთვე მფარველობას ყოველის მეშფოთარის ეშმაკისაგან,
8. რათა არ მოვიდენ (ეშმაკები) მის ყურის დასავდებად, რაც მოხდება უზენაესს შესაკრებელში. (ვინადგან ყოველის კუთხით შემორტყმიან),
9. განძვებულნი და მუდმივ სატანჯველში ჩაცვივნულნი.
10. ვინც მიუახლოვდება, რათა ქურდულად ყური მოჰკრას რამე სიტყვებსა, მგზნებარე ხელშუბი მოხვდება.
11. ჰკითხე მათ (ურჯულოებს): ვინ უფრო მტკიცე ქმნილებიანი არიან, ივინი, თუ ჩვენი გაჩენილები (ანგელოზნი და ცანი)? ხოლო კაცი მაგარის კეცისაგან გაგვიჩენია.
12. შენ გიკვირს ღვთის ძლიერება, ივინი კი დაჰსცინიან.
13. უკეთუ შეაგონეს, არაფრად მიითვლიან;

14. უკეთუ გაფრთხილების სასწაული რამე იხილეს, დაჰს-
ცინებენ,

15. ამბობენ: დანამდვილებული თვალთმაქცობააო.

16. მტვრად ქცეული მკვდრები განა ხელახლა უნდა გავ-
სოცხლდეთ?

17. ჩვენს წინაპრებსაც იგივე მოუვიდეთ?

18. უთხარი მათ: დიახ, ხოლო თქვენ უპატიურება და-
გეყაროსთ.

19. საყვირმა მარტო ერთხელ დაიქუხოს, ხოლო იგინი
წამოდგენ თავიანთი საფლავებითკან და ყოველის კუთხით მი-
მოიხედონ.

20. ვაი ჩვენდა! ლალად ჰყონ; განკითხვის დღეა.

21. გასამართლების დღეაო, უთხრან მათ, დღე იგი, რო-
მელიც ოცნებად მიგაჩნდათ.

22. შეჰკრიბეთო, უთხრას ღმერთმა თავისის ბრძანების
აღმასრულებელთა, არა წმიდები და მათი ამხანაგები და ღმერ-
თებიც, რომელთაც თაყვანს ჰსცემდენ

23. ღვთისა: თანასწორ და წარმართეთ იგინი ჯოჯობე-
თის გზაზე.

24. დააყენეთ, გამოჰკითხონ.

25. თავს რად არ უშველით (თქვენ და თქვენი ღმერ-
თები)?

26. მაგრამ იმ დღეს ღვთისა სამსჯავროს დაემორჩილონ.

27. მაშინ ერთმანერთს დაუახლოვდენ, ერთმანერთსაც ყვე-
დრება უთხრან.

28. ჩვენთან მოდიოდით მარჯვენა მხრითაო, თავიანთ შე-
მაცდენელთ უთხრან.

29. არა; უფრო არ გსურდათ გერწმუნებინათ, სხვებ-
მა მიუგონ, ვინადგან თქვენზედ უფლება არავითარი გვქონდა.
უფრო ბოროტ იყავით.

30. ჩვენის უფლის სიტყვა ჩვენზე გამართლდა და სასჯე-
ლიც ვიგემოთ.

31. შეგვიცდენიხართ, ვინადგან თვითონ ჩვენ შემცდარ-
ვიყავით.
32. იმ დღეს ესრეთ შეერთებულ და შეხავებულ იქმ-
ნენ ერთის ტანჯვითა.
33. ცოდვილებს ესრეთ მოვექცეთ.
34. ვინადგან როცა მათ ეუბნებოდნენ: ღმერთი არაა, თუ
არ ღმერთი იგიო, დადგულობით თავს გადიოდენ
35. და ამბობდნენ: განა ჩვენი ღმერთები უნდა დავყაროთ
გიჟმოშაირის გულისათვის?
36. არა. — ჭეშმარიტება მოაქვს თქვენთვის და წინასწარ
ყოფილ მოციქულებსაც განამტკიცებს.
37. უეჭველია, სამწუხარო სასჯელი განიცადოთ.
38. მხოლოდ თქვენთა საქმეთაებრ მოგვეგოსთ.
39. მაგრამ ღვთის ერთგულმა მსახურებმა
40. მიიღონ უწყებული ძვირფასი საჩუქრები,
41. საამო ხილი და პატივცემულნიც იქმნენ
42. სალხინო წალკოტებში,
43. ტახტებზე მოსვენებულნი და პირის-პირ მაყურებელნი.
44. ჩამოატარონ ფიალა და შიგ თავმოყრით წყალი,
45. თავანკარა, ნამდვილ საშვებელი მათთვის, რომელ-
თაც დალიონ.
46. გონება არ დაუბნელოს მათ და არც დაათროსთ.
47. თან ახლდენ ქალწულები, მორცხვად გამომხედველი,
დიდ-შავთვალეზა და ფერად მსგავსი კარგად შენახულის სი-
რაქლემას კვერცხებისა.
48. ზოგიერთები ერთმანერთს მიუახლოვდენ და ერთ-
მანერთს ჰკითხონ.
49. ზოგმა მათ შორის ჰსთქვას: მეგობარი მყავდა ქვე-
ყანაზეო.
50. ხშირად მეკითხებოდა: განა ჭეშმარიტებად მიგაჩნია აღ-
დგომაო?

51. განა შესაძლებელია, გაგვასამართლონ, რაკი ერთხელ უნდა დავიხოცოთ და ძვლად და მტვრად ვიქცეთო?

52. შემდეგ ჰსთქვას: გინდათ ჩაიხედოთ?

53. ჩაიხედონ და იხილონ ჯოჯოხეთის სიღრმე.

54. ცხონებულმა ჰსთქვას: ღმერთს ვფიცავ: ჩემს და-
ლუპვას ჰლამოდი:

55. უკეთუ არ ყოფილიყო ღვთის მოწყალება, იმათ შორის ვიქმნებოდი, მის წინაშე რო მიჰყავსთ.

56. განა შეგვემთხვიოს კიდევ მეორე სიკვდილი

57. თვინიერ მისა, რაც შეგვემთხვევია? ჩავცვივდეთ განა სატანჯველში?

58. ქეშმარიტად, დიდის ნეტარებით ვჰსტკბებით.

59. იღვაწეთ მშრომელნო! მსგავსისავე მისაღებად.

60. ეს უმჯობესია სალხინოდ, თუ ხე ზაქუმისა?

61. საცილობელ საგნად გაგვიხდია უკეთურთათვის.

62. ხე იგი ჯოჯოხეთის ფსკერზეა აღმოცენებული.

63. მისი წვეროები თითქო ეშმაკის თავები იყოს, ისეთია,

64. წაწყმედილებმა თავი მით ირჩინონ და მუცელი მით ამოიყარონ.

65. ახვარხვალეებული წყალი ზედ დალიონ.

66. მერმე ჯოჯოხეთის წყვდიადში დაბრუნდენ.

67. თავიანთ შემცდარ მამებს ხედვიდენ,

68. მათვე კვალში მიჰყვებოდენ.

69. ძველის ხალხების დიდძალი ნაწილი მათ უწინარეს შემცდარიყო.

70. მათ მიმართ გამფრთხილებელნი მოვავლინეთ.

71. უყურე და ნახე, თუ რა ბოლო ჰქონდათ მათ, რომელთაც აფრთხილებდენ

72. და რომელნიც ჩვენდა ერთგულ მსახურ არ ყოფილან.

73. ნოემ ჩვენდამი ღალად ჰყო, ხოლო ჩვენ ვართ სმენად ღიახ მოსწრაფე.

74. სახლობიანად დავიხსენით იგი დიდის უბედურებისაგან.
75. მისი ნატამალი ვაცოცხლეთ
76. და შთამამავლობაშიაც შეუნახეთ ეს მიკამშვიდობებელი:
77. მშვიდობა იყოს ნოესთან სრულიად ქვეყნიერობაზე!
78. ესრეთ დავაჯილდოოთ იგინი, რომელნიც კეთილს შვრებიან.
79. იგი იყო ჩვენ ერთგულ მსახურთაგანი,
80. სხვები დავარჩეთ.
81. მისის რჯულის იყო აბრაამ.
82. თავისს უფალს უმანკო გული უძღვნა.
83. ერთხელ თავისს მამასა და თავისს ხალხს უთხრა: რას თაყვანს ჰსცემთ.
84. ღმერთს განა ცრუ ღმერთები გირჩევენიათ?
85. სამყაროს მეუფისას რას ფიქრობთ?
86. თვალი შიპყრო ვარსკვლავებსა.
87. ავად ვარ, დღეს ვერ დავესწრო თქვენს დღესასწაულსო.
88. წავიდენ და იგი დაჰსტოვეს.
89. მიიძალა, რომ წასულიყო მათი კერპების სანახავად და შეჰსძახა მათ: განა შკამთ?
90. რად არ ლაპარაკობთ?
91. თანვე მარჯვენა ხელი დაარტყა მათ.
92. მისი ხალხი საჩქაროდ მოიქრა.
93. განა უნდა ეთაყვანოთ მას, რაც თვითონ თქვენზე გამოკვეთილია კლდისაგან? უთხრა მათ აბრაამმან.
94. ღვთის მიერ გაჩენილ ხართ, თქვენ და თქვენთა ხელთა ნამოქმედარიც.
95. ერთმანერთს ეუბნებოდენ: აღმართეთ მას კოცონი და ჩააგდეთ მგზნებარე ცეცხლში.
96. მახე უნდოდათ დაეგოთ მისთვის, მაგრამ იგინი დავამცირეთ.

97. ჩემს ღმერთს შევეჩვენებო, ჰსთქვა აბრაამმან; ქეშ-მარიტი გზა მიჩვენოს.

98. უფალო! ვაჟიშვილი მაჩუქე და მართალთა შორის ჩაითვალოს.

99. კეთილ ზნიანის ვაჟის შეძენა ვაუწყეთ.

100. როცა გადადგა მოწიფულობის ხანში,

101. მამა მისმა უთხრა: ჩემო შვილო, მესიზმრა; ვითომც შენი თავი მსხვერპლად შეეჰსწირე ღმერთსა. ცოტა განსაჯე, რას ფიქრობ?

102. მამილო! ჰქმენ, რაც გებრძანება; თუ ღმერთმა იპ-რიანა, იხილო, ბედისწერა მტკიცედ ავიტანო.

103. ხოლო როცა ორნივე ღვთის ნებას მიენდგნენ და აბრაამსაც პირქვე მიწაზე წამოაწვინა იგი,

104. ხმა ვყავით მისდამი: აბრაამ!

105. შენს ჩვენებას ერწმუნე შენ, ხოლო აი როგორ და-ვაჯილდოებთ ქველთა.

106. უეჭველია ეგ იყო საბოლოო გამოცდა.

107. მისი ვაჟი გამოვიყიდეთ ღიღის მსხვერპლითა.

108. შთამომავლობაში მას შეუნახეთ ეს მისამშვიდობე-ბელი:

109. მშვიდობა იყოს აბრაამთან!

110. ესრეთ დავაჯილდოებთ ქველთა.

111. იგია ჩვენ ერთგულ მსახურთაგანი

112. წინასწარმეტყველი ვაუწყეთ მას. ისააკ მართალის შიერ.

113. ჩვენი ლოცვა-კურთხევა დაგვიტრქვევია აბრაამსა და ისააკზედა. მათ ნატამალთა შორის ზოგი კეთილს შვრება, ზო-გი თავის თავს ცხადის უსამართლობით ეკიდება.

114. ჩვენის სიკეთით ავაესეთ მოსე და აარონ.

115. ორნივე გავათავასუფლეთ, მათი ხალხიც აგრეთვე, ღიღის უბედურებისაგან.

116. მივეშველეთ და ყოვლიდ ძლიერ შეიქმნენ.

117. მათ ორთავ (მოსეს და აარონს) მივმადლეთ ნათელი წიგნი

118. და სწორე გზაზედაც დავაყენეთ.

119. მათ ორთავ შეუნახეთ ჩვენ შთამავლობაში ეს მისამზვიდლობებელი:

120. მზვიდობა იყოს მოსესთან და აარონთან!

121. ესრეთ დავაჯილდოებთ ქველთა.

122. ორნივე ჩვენ ერთგულ მსახურთაგანი იყვნენ.

123. ელიაც ჩენი მოვლინებულთაგანი იყო აგრეთვე.

124. როცა თავისს ერს უთხრა: ნუ თუ არ შეგეშინდესთ?

125. ნუ თუ ბაალს მოუწოდოთ და დაპსტოვოთ ყოვლადმარჯვე შემოქმედთაგანი,

126. ღმერთი, თქვენი უფალი, და თქვენის მამების, წინაპრების უფალიც?

127. მათ (ურწმუნოებმა) მატყუარად ჩააგდეს. ხოლო იგინი მიყვანილ იქმნენ ღვთის წინაშე.

128. ჩვენ ერთგულ მსახურებს გარდა იმ მეშფოთარხალხთა შორის.

129. ხოლო მას შეუნახეთ ჩვენ შთამომავლობაში ეს მისამზვიდლობებელი:

130. მზვიდობა იყოს ელიანებთან!

131. ესრეთ დავაჯილდოებთ ქველთა.

132. იგი იყო ჩვენ ერთგულ მსახურთაგანი.

133. ლოთ აგრეთვე იყო ჩვენ მოციქულთაგანი,

134. იგი, რომელიც სახლობიანად დავიხსენით.

135. თვინიერ დედაბრისა, რომელიც უკან ჩამორჩენილიყო.

136. სხვები ამოვჰსწყვიტეთ.

137. მათ სადგომებს ახლო გაივლით ხოლმე

138. დილას და საღამოს; არ ჩახვდებით?

139. იონა აგრეთვე იყო ჩენი მოვლინებულთაგანი.

140. ერთ დატვირთულ ხომალდზე აიჭრა.

141. წილი ჰყარეს და ზღვაში გადაგდება გაუჩინეს.
142. თევზმა გადაჰყლაპა; დიახ ჩენი დასაგმობი გამ-
ხდარიყო.
143. ხრლო თუ არ ვედიდებინეთ ქებით,
144. თევზის შიგნეულობაში დარჩებოდა იმ დღემდე,
ოდეს კაცი უნდა აღდგენს.
145. ხრიოკ ნაპირად გავესტყორცეთ; ავად იყო.
146. მის გარემოს ბუჩქნარი აღმოვაცენეთ.
147. მასუკან ათას, თუ მეტ სულ ხალხის მიმართ წარ-
ვაგლინეთ.
148. ღმერთი იწამეს: მათ მივანიქეთ სიტკბოება ამა
სოფლისა, ვიდრე უწყებულ ჟამამდე.
149. მექელებს ჰსთხოვე, გითხრან: თუ ქალიშვილნი
ჰყვანან ღმერთსა, მაშინ როცა ვაჟიშვილნი ჰყვანან მათ.
150. ნუ თუ ქალანგელოზებს შემთხვევით გავაჩენდით?
ნუ თუ მოწმედ ყოფილან?
151. არა; მაგრამ სიცრუეს თვითონვე ჰსკედენ.
152. ამბობენ: ღმერთს შვილები ეყოლაო. ცრუობენ.
153. ქალებს განა ვაჟებს არჩევდა?
154. რა საფუძველი გაქვსთ ვერე ფიქრობისა?
155. ნუ თუ არ უნდა ჩახვდეთ?
156. ან გაქვსთ რამე ცხადი საბუთი დასამყარებლად?
157. თქვენი წიგნი გვაჩვენეთ, თუ გულ-წრფელ ხართ.
158. ნათესაობას ამყარებენ ღმერთსა და ჯინებ შორის;
ოლო ჯინებმა იციან, რომ ერთ დღეს ღვთის წინაშე ყვა-
ნილ უნდა იქმნენ.
159. მისმა დიდებამან, ფრიად უმაღლესობს იგი მათ
მიერ ბრალდებას.
160. ღვთის ერთგულ მსახურებს ასე არ დაემართოსთ:
161. ხოლო თქვენ და თქვენ სათაყვანო ღმერთებს
162. შეგიძლიათ, ღვთის წინააღმდეგ აღძრათ

163. მხოლოდ ადამიანი, დამკარგველი გზათა კვალისა, რომელიც ჯოჯოხეთად მიმყვანია.
164. თვითოეულს ჩვენგანს თავისი დანიშნული ადგილი აქვს.
165. რიგ-რიგად დავეწყობით
166. და ვადიდებთ მის ქებასა.
167. უკეთუ ურჯულონი ამბობენ:
168. წიგნი რო გვექონოდა, წინაპართაგან დავედრებულნი,
169. ღვთის ერთგული მსახურები ვიქმნებოდითო;
170. მათ კურანი არა ჰსწამსთ, მაგრამ ერთ ღღეს შეიტყონ ქვეშარიტება.
171. ჩვენს მოვლინებულებს დავპირდით
172. ჩვენს შემწეობასა.
173. ჩვენი ჯარები გამარჯვებას არგუნებენ.
174. მოჰშორდი მათ ერთ წამსა, მუჰამმად!
175. ნახე, რა უბედურება მოუვიდესთ; მათაც ნახონ აგრეთვე.
176. განა ჰსურსთ, ჩვენი სასჯელი დააჩქარონ?
177. ოღეს მოიწიოს იგი მათ გალავანთა შორის, რა საშინელი დილა იქმნეს ამაოდ ჩავონებულ კაცთათვის!
178. მათ მოჰშორდი ერთწამსა.
179. ნახე, თუ რა ბოლო ექმნესთ; იმათაც ნახონ აგრეთვე.
180. დიდება ღმერთსა, ღმერთსა დიდებისასა; ფრიად უმაღლესობს იგი მათ მიერ ბრალდებასა!
181. მშვიდობა იყოს მოციქულებთან!
182. დიდება ღმერთსა, ქვეყნის მეუფესა!

თ ა ვ ი XXXVIII

ს ა დ.

ნახიკების მექას. — 88 მუხლი.

ს ა ხ ე ლ ი თ ა

ღ ვ თ ი ს ა

მოწყალისა და შემწყნარებელისა.

1. სად. უწყებით სავსე კურანს ვფიცავ, ურჯულონი ცხოვრებენ თავგასულობით და შფოთითა წინააღმდეგ ღვთისა და წინააღმდეგ წინასწარმეტყველისა.

2. რამდენი თაობა გაგვიწყვეტია მათ უწინარეს! ყველა იძახდა, გვიშველეთო; მაგრამ დრო აღარ იყო, სასჯელს გაქცეოდნენ.

3. ურჯულოებს უკვირსთ, რომ მოციქული უეცრად გამოვიდა მათ შორის; თვალთმაქცია, მატყუარააო, ამბობენ.

4. ხომ არ უნდა, ყველა ამ ღმერთებისაგან მარტო ერთი ღმერთი გააკეთოს? ჭეშმარიტად ეს რალაც წეს გარეშეა.

5. მათი მოთავეები გაიყვნენ, მათ უთხრეს თუ არა: წადით და თქვენის ღმერთების თაყვანისცემას მიეკედლეთ. ეგ თაყვანისცემა ჰსურსთ, დაგატოებინონ.

6. მსგავსი არაფერი გვსმენია. უკანასკნელის სარწმუნოებისა. მუჰამადის სარწმუნოება მხოლოდ მატყუარობაა.

7. უწყების წიგნი ჩვენ შორის განა მარტო მას მოველინებოდა? დიახ, ჩვენი უწყება საეჭველად გაუზდიათ, ვინადგან ჩემი სასჯელები ჯერ კიდევ არ განუცდიათ.

8. ნუ თუ ხელთა ჰქონან კეთილთა დამრიგებლის, ძლიერის ღვთის საუნჯენი?

9. ნუ თუ ეპატრონებიან ცათა და ქვეყნის სასუფეველსა.

და მასაც, რაცაა მათ ორთავ შორის? მაშ ჰსცადონ და თოკის საშუალებით ავიდენ იქ.

10. რაიმედენ ჯარმა, რომელიც სხვა და სხვა ნაწილსა ჰყავს, გააქციოს იგინი.

11. მათ უწინარეს აგრეთვე ნოეს ხალხმა, ადელეებმა და ანძუხთა მფლობელმა ფარაომ თავიანთი წინასწარმეტყველები მატყუარებად ჩაჰსთვალეს.

12. თემუდელნი, ლოთის ხალხი, მკვიდრნი ტყისანი (მადიანისა) იმნაირადვე მოიქცნენ: ღვთის მოვლინებულთა მტრობი დასი შეადგინეს.

13. ვინც ჩემი მოციქულები მატყუარებად ჩაჰსთვალეს, ყველა ჩემმა სასჯელმა დაჰსაჯა.

14. რასლა ელიან (მექელები)? ნუ თუ ერთად ერთ ხმას, რომ ზეცით წამოვიდეს და იგინი შეიპყროს, ისე რომ არც კი აცალოსთ?

15. ამბობენ: უფალო! მოგვეც ბარემ, რაც მოსასვლელია ჩვენს თავს და ანგარიშის დღემდისაც.

16. მათ სიტყვა პასუხს მოთმინებით გაუძეო, მუჰამმად, და მოიგონე ჩვენი მსახური დავით, კაცი ძლიერი და ისეთი რომელიც ჩვენდამი ხშირად მოიქცეოდა.

17. მთები დავიმორჩილეთ ჩვენთა ქებათა მასთან ერთად სადიდებელად, სალამოს და მზის ამოსვლისას;

18. აგრეთვე ფრინველებიც, რომელნიც მის გარეშემო იკრიბებოდენ და ხშირად მასთან მიიქცეოდენ.

19. მისი საბრძანებელი განვამტკიცეთ. სიბრძნე მივანიჭეთ და ცილობის გადასაჭრელი მოხერხებაცა.

20. იმ ორი მოჩივრის ამბავი იცი, თუ არა, ზღუდებზე რო გადავიდენ და სავედრებელში გამოცხადდენ?

21. როცა დავითის წინაშე წადგნენ, შეშინდა რა კი დაინახა იგინი. ნურაფრის გეშინიაო, მოახსენეს. მოპირდაპირენი ვართ. ერთი ჩვენგანი ავად მოექცა მეორეს. გაგვსაჯე, როგორც სამართალი მოითხოვდეს, მიუკერძოვლად, და ყოვლად სწორე გზაზე დაგვაყენე.

22. ჩემი ძმა გახლავს ეგ; ოთხმოცდა ცხრამეტი ცხვარი ჰყავდა მაგას, ხოლო მე ერთად ერთი. ერთხელ მითხრა, მამა-ბარეო. მომტაცა და ჩხუბშიაც მაჯობა.

23. დავითმა უბასუხა: უსამართლოდ მოგქცევია, რაკი ცხვარი უთხოვნია თვისდა შესამატებლად; მხვეჭარი ხალხი მეტნაწილად ატყუებს ერთმანერთს. ვისაც ჰსწამსთ და კეთილს შერებიან, ეგრე არ იქცევიან; მაგრამ მათი რიცხვი ისე მცირედია! დავით მიხვდა, რომ ამ მაგალითით მისი გამოცდა გვინდოდა; ღმერთს მიტყუებას ევედრა, განერთხა და შეინანა.

24. ჩვენ მიუტყვევთ: სამოთხეში ჩვენს ახლო ჩინებული ადგილ საცხოვრებელი უბოძეთ.

25. დავით! ჩვენდა ნაცვლად დაგადგინეთ ქვეყანაზე, კაცებს საცილობელი სამართლიანად გადუქერ და გულისთქმის აყოლას უფრთხილდი: ღვთის გზას შეგაძულეხს. ვინც გადუხვევენ, საზარელი სატანჯელი განიცადონ, რადგანაც ანგარიშის დღისათვის არ უფიქრიათ.

26. ამაოდ არ გაგვიჩენია ცა და ქვეყანა და ყველაფერი, რაცაა მათ შორის. ესაა აზრი ურწმუნოთა, ხოლო ვაი ურწმუნოებსა, ცეცხლში ჩაცვივდენ.

27. ვისაც ჰსწამსთ და კეთილს შერებიან, განა უნდა მოვექცეთ თანასწორ მათდა, რომელნიც ქვეყანაზე უკეთურებას ავრცელებენ? ღვთისნიერ კაცებს განა არაწმიდების თანასწორ უნდა მოვექცეთ?

28. შენთვის რო მოგვივლენია, წიგნი იგი ნაკურთხია; გონება-მიმადლებულ კაცთა მისი მუხლები გულის ხმა ჰყონ და თავის გაფრთხილება მიიღონ.

29. დავითს სოლომონ შეეძინეთ. რა ჩინებული მსახური! ღვთისადმი მიქცევა უყვარდა.

30. ერთხელ სალამოს ჩინებული ცხენები მიუყვანეს ისეთი, რო სამის ფეხით ყალყზე დგებოდენ, მეოთხე ფეხის წვერს კი ძლივს თუ მიწას აკარებდენ.

31. ჰსთქვა: კეთილი ამა ქვეყნისა უფლის სახსოვარს ვარ-

ჩიე; ამ ცხენების ყურებით ვერ გავძვლ, ვიდრე დღე ღამის საბურველმა არ დამალა. აქ მომგვართ.

32. ხოლო როცა მიჰგვარეს, მუხლებისა და თავის მოჭრას შეუდგა.

33. სოლომონ გამოვცადეთ და მის ტახტზე უსახური გვამი დავსვით. სინანულით გამსჭვალული სოლომონ ჩვენდამი მოიქცა.

34. უფალო! ჰსთქვა, შეცოდებანი მომიტევე და ისეთი ძლიერება მომანიჭე, მისი დარი ჩემს შემდეგ სხვას, არავის ექმნეს. უზენაეს დამრიგებელ ხარ.

35. ქარი დაუმორჩილეთ ჩვენ, ქროლასში თავისუფალი და მსრბოლი ყველგან, საითკენაც მიაქცევდა.

36. აგრეთვე დაუმორჩილეთ ჩვენ ეშმაკები, ხუროთმოძღვრები, თუ მყვინთავეები

37. და სხვებიც, ერთმანერთზე ჯაჭვით გადაბმულები.

38. ჩვენი მონიჭებული ამნაირია. მეთქი, უთხარით ჩვენ; სიუხვენი დააფრქვიე, ან უარ ჰყავ, ანგარიში ვერ გაჰსწიო.

39. სოლომონსაც აგრეთვე ჩვენს ახლო ადგილი უჭირავს და ყოვლად ჩინებულის სადგომით ჰსტკება.

40. ჩვენი მსახური იობ მოიგონე აგრეთვე, როცა თავისს უფალს ამ სიტყვით მიჰმართა; სატანამ სნეულებასა და ტანჯვას შემყარაო.

41. ხმამ დაუძახა! ფეხი დედამიწას დაჰკარო. ჰყო და წყალის ნაკადული ამოსკდა. ეგ წყალი განსაბანელად გექმნეს; ხამია და დალიო.

42. სახლობა დაუბრუნეთ, შევსძინეთ რა ერთი იმდენი კიდევ. საბუთი იყო ჩვენის მოწყალებისა და გაფრთხილება გრძნობა-მიმადლებულ კაცთათვის.

43. წკებელი აიღე, ჰსცემე და შენს ფიცს ნუ გაჰსტებ-მეთქი, უთხარით. იობ მოთმინება-მიმადლებული ვჰყოეთ.

44. რა ჩინებული მსახურია იობ! ღვთისადმი მიქცევა უყვარდა.

45. აგრეთვე მოიგონე ჩვენი მსახურები აბრაამ, ისააკ და იაკობ, ძლიერი და გამჭრიახი კაცები.

46. ერთის ღონისძიებით წმინდა ვყავით იგინი; მით, რომ მოვაგონეთ მომავალი სამკვიდრებელი.

47. ჩვენს წინაშე არიან იგინი უპირატეს რჩეულთა შორის.

48. აგრეთვე მოიგონე ისმაელ, ელისა (ელისე) და დულკეფლ; ყველანი მართალ იყვნენ.

49. აი გაფრთხილება: ვისაც ღვთის ეშინიათ, ექმნესთ სანეტარო ადგილ სამყოფი,

50. ედემის წალკატები, რომელთა კარებიც მათ წინაშე გაიღოს.

51. წამოწოლით მოისვენონ და ყოველგვარი სასმელი მოითხოონ.

52. მათ ახლო ქალები იქმნენ, მორცხვად გამომხედველი და ხნით მათი ტოლები.

53. აიო, უთხრან, რასაც გპირდებოდნენ ანგარიშის დღისათვისაო.

54. აიო, ჰსთქვან, საგზალი, რომელიც არა ოდეს შემოგვაკლდესო.

55. დიახ, ისე იქმნეს, ხოლო ყოვლად საზარელი ადგილ სამყოფი შენახულია არაწმიდებისათვის.

56. იგია ჯანაბა, სადაც დაიწვან. რა საზარელი ადგილ განსასვენებელია!

57. დიახ, ისეც იქმნეს. იგემეთო, მათ უთხრან, მღუღარე წყალი და ჩირქი.

58. და სხვა და სხვანაირი სატანჯველიცა.

59. მოთავეებს უთხრან: ეს ჯარი, რომელიც თქვენი მიმყოფი იყო, ერთად თქვენთანვე შემწყვდეულ იქმნეს: არაოდეს უთხრან ამათ, მობრძანდითო; ვინადგან ცეცხლში უნდა ჩაიწვან.

60. ამათ თავიანთ მოთავეებს უთხრან: არა, თქვენ არ გითხრან, მობრძანდითო; თქვენმიერ დამზადებული გვაქვსო ცეცხლი. რა საზარელ ადგილ-სამყოფია!

61. ხოლო მათ ჰსთქვან ღვთისადმი მიქცევით: უფალო! ცეცხლის სასჯელი გაუორკეცე მათ, რომელთაც ჩვენზე ეს სატანჯველი მოაწიეს.

62. ურჯულოებმა ჰსთქვან, რად ვერა ვხედავთ კაცებს, რომელთაც ბოროტებად ვჰსტვლიდით

63. და რომელთაც დავსცინოდით? ნუ თუ ჩვენ თვალთა ჩინს გაუსხლდენ?

64. ეგ დიახ მართალია, საცეცხლოდ დასჯილმა ხალხმა ეგრე განსაჯოს ერთმანერთ შორის.

65. მათ უთხარ, მუჰამმად: მე ვარ მარტო გამაფრთხილებელი; სხვა ღმერთი არა არს, თუ არ ღმერთი, ერთად ერთი ყოვლად ძლიერი;

66. მეუფე ცათა და ქვეყნისა და ყველაფრისაც, რაც მათ შორისაა, ძღბერი, მომთმენი.

67. მათ უთხარ: უწყება სამძიმო უწყებაა,

68. თქვენ კი მის გაგონებას უკადრისობთ!

69. ცნობა არავითარი მქონია იმ უზენაესის კრებისა, სადაც ადამიანის გაჩენას ბჭობდენ.

70. (ეს განმეცხადა მხოლოდ მიტომ, რომ ნამდვილი მოციქული ვარ),

71. როცა ღმერთმა ანგელოზებს უთხრა: კაცი კეცისაგან უნდა შევქმნა.

72. ოდეს სრული სახე მივანიჭო და ჩემის სულის ერთი ნაწილი რამე ჩავბერო, მის წინაშე უნდა განერთხათო.

73. ანგელოზები, რაოდენიც კი იყვნენ, მის წინაშე განერთხნენ

74. ებლის გარდა. დიდგულობისაგან თავს გავიდა და უმადურთაგანი გახდა.

75. ებლის! ღმერთი გამოეხმაურა, რა გიშლის, განერთხო წინაშე სულდგმულისა, რომელიც ჩემი ხელქმნილია?

76. დიდგულობით არის ეგ, თუ მით, რომ ყოვლად ამაღლებულ ხარ?

77. ებლისმა მიუგო: მაგას მე ვჯობივარ. მე გყვეარ ცეცხლისაგან გაჩენილ, ხოლო ეგ კეცისაგან.

78. აქეთგან გადი! ღმერთმა შეჰსძახა; ჩაქოლილხარ.

79. ჩემი წყევა-კრულვა შენზე დარჩეს განკითხვის დღემდე.

80. უფალო! ებლისმა უთხრა, დამაცალე იმ ღღემდე, ოდეს კაცნი აღდგენილ იქმნენ.
81. დამიცილია, ღმერთმა უპასუხა,
82. წინაღვე დანიშნულის საზღვრის ღღემდე.
83. შენს დიდებას ვფიცავ, ებლისმა მიუგო, ყველა ვა-
ცდინო ივინი,
84. შენ გულწრფელ მსახურებს გარდა.
85. ეგ ვგრე იქმნეს; ხოლო მე ვამბობ მართალსა, ჯანაბა ავაფსო შენით და ყველათი, ვინც შენ გამოგყვენენ.
86. მუჰამად! მათ უთხარ: სარჩოს მე არა გთხოვთ, არც ვარ მათგანი, რომელნიც მეტს ჰკისრულობენ, ვიდრე ატანა შეუძლიათ.
87. კურანი გაფრხილებაა მსოფლიოსათვის.
88. უწყებულის დროის დასასრულ, ამბავი შეიტყოთ.

თ ა ვ ი XXXIX

ბ რ ზ ი

ნაბთქებია მექას.—75 მუხდი.

ს ა ხ ე ლ ი თ ა

ღ ვ თ ი ს ა

მოწყალისა და შემწყნარებელისა.

1. წიგნის გამოცხადება ძლიერისა და ბრძნის ღვთისაგან მოდის.
2. სრულის ჭეშმარიტებით მოგივლინეთ შენ წიგნი. მაშ ღმერთს თაყვანი ეცი და შენს თაყვანის ცემაში გულ-წრფელ იყავ.
3. გულწრფელი თაყვანისცემა ნუ თუ ღმერთს არ შემ-ვენის?
4. ვინც ღვთისა თვინიერ სხვა მფარველებს აიყვანენ,

იტყვიან რა: თაყვანს ვჰსცემთ მხოლოდ იმიტომ, რომ ღმერთს დაგვაახლოოს, ღმერთმა მათი ცილობის საგანი განაგოს.

5. ღმერთი არც მატყუარას წარუმართებს, არც უწრმუნოსა.

6. ღმერთს რომ ვაჟიშვილის ყოლა ენებებინა, იმ სულიერთა შორის აირჩევდა, გაჩენა რომ ინება. ხოლო მისი დიდება ამას ერთობ უმაღლესობს. იგია ერთად ერთი და ძლიერი.

7. ცანი და ქვეყანა ქეშმარიტებისათვის შეჰქმნა. ღამეს დღეზედ მოატრიალებს და დღეს ღამეზედ; მზე და მთვარე დაუმორჩილებია, ერთიცა და მეორეც თავიანთ სარბიელს შეჰსდგომია ვიდრე დანიშნულ სამზღვრამდე. ნუ თუ ძლიერ, მომთმენ არაა?

8. ყველა გაგაჩინათ ერთის გვამისაგან, რომლისაგანაც შემდეგ ახმანაგი-ქალი გამოუყვანა. ცხოველებად რვა წყვილი გიბოძათ. თქვენის დედების მუცლად ჩაგსახათ, გამოგატარათ რა, ერთის სახით მეორემდე, სამკეცა ფარდაში. იგია ღმერთი, თქვენი უფალი; სასუფეველი მას ეკუთვნის. მას გარდა სხვა ღმერთი არაა; მაშ რადლა ერიდებით?

9. თუ უმაღურ ხართ, იგია საკმაოდ მდიდარ, უთქვენოდაც გაჰსძლოს. ხოლო მსახურთა უმაღურება მას არ მოჰსწონს; მადლიერნი რომ ენახეთ, უფრო იამებოდა. თავისის ნამოქმედარის სიმძიმით დატვირთულმა სულმა სხვისი ვერც ერთი ჰზიდოს. ყველა თქვენს უფალთან მიიქცეთ, თქვენი ნამოქმედარი გიჩვენოსთ.

10. ვინადგან უწყის, რასაც თქვენნი გულნი მალვენ.

11. როცა ადამიანს უბედურება რამ ეწვევა, უფლისადმი დაღად ჰყოფს და მას ეხვეწება; წყალობას უბოძებს თუ არა, ავიწყდება, ვისაც, დიდი ხანი არაა, ხმას უყოფდა; სხვების შესაცდენად ბაღლებს აუჩენს ასეთს ადამიანს უთხარი: შენის უმაღურებით დაჰსტკბი რამდენსამე წამს, ერთ დღეს ცეცელში ჩაგდებულ იქმნე.

12. ღთისნიერს ადამიანს, რომელიც ღამეს ღვთისთაყვა-

ნისცემით ატარებს განრთხმული, თუ ზეზეულა, რომელსაც ყოფადის ცხოვრების ეშინია და ღვთის მოწყალებით დაიმედებულა, განა არაწმიდასავით მოეპყრობიან? ჰსთქვი: ვინც იციან და ვინც უგულვებელ ჰყოფენ, განა ერთნაირად მოეპყრობიან მათ? გრძნობა მიმადლებულ კაცთა გულისხმა ჰყონ.

13. ჰსთქვი: ჩემო მსახურნო, თქვენ, რომელთაცა გრწამსთ! თქვენის უფლის გეშინოდესთ! ვინც ამ ქვეყნად კეთილი ჰქმნან, ჩინებული სასყიდელი მიიღონ. ქვეყანა უფლისა ვრცელია; მედგართ მიიღონ თავიანთი სასყიდელი; არ ჩაუთვალონ.

14. ჰსთქვი: ბრძანება მივიღე, ღმერთს თაყვანი ვჰსცე გულწრფელის თაყვანისცემით; ბრძანება მივიღე, პირველი ვიყო მათგანი, რომელნიც მისს ნებას მიენდობიან (მუსულმანები).

15. ჰსთქვი: თუ უფალს ვეურჩე, ვაი თუ ღიდის ღდის სასჯელი განვიცადო.

16. ჰსთქვი: თაყვანსა ვჰსცე ღმერთსა გულწრფელის თაყვანისცემით.

17. თქვენ-კი, რაც ვნებადესთ, იმ ღმერთებს თაყვანი ეცით ღვთისა თანასწორ. კიდევ უთხარ იმათ: ჰეშმარიტად უბედურ იქმნენ აღდგომის დღეს, ვინც თავიანთ თავსა და თავისიანებსაც ღუბვენ. განა ცხადი დაქცევა არაა ეს?

18. ცეცხლის ნიადაგი გადეშალოსთ თავთა ზემოთ და ცეცხლის ნიადაგიც ფეხთა ქვეშ. აი ღმერთი რას უქადის თავისს მსახურებსა. მაშ ჩემი გეშინოდესთ, ჩემო მსახურებო!

19. კეთილი ამბავი მათ, რომელნიც თაღუთის თაყვანისცემას გაურბიან, რათა ღვთის მიმართ მიიქცენ. ნეტარება ახარე ჩემ მსახურთა შორის მათ, რომელნიც ჩემს სიტყვებს თვალხარბაუ ყურს უგდებენ, და შეჰსდგომიან მას, რასაც კრსაუკეთესოს შეიცვენ. ღმერთმა მათ წარუმართოს; გრძნობა მიმადლებული ხალხი იგინი არიან.

20. ნუ თუ დაიხსნა იგი; რომელსაც ტანჯვის მსჯავრობა დაედოს? ნუ თუ დაიხსნა იგი, რომელიც ერთთავად ცეცხლში ჩაგდებულ იქმნეს?

21. ხოლო ვისაც თავიანთი უფლის ეშინიათ, სამოთხეში ექმნესთ ტალანები, რომელთა ზემოთ აშენებულ იქმნეს კიდევ სხვა ტალანები, რომელთა ქვემოთ წყალმა იდინოს. ეს ღვთის დაპირებაა; დიახ ღმერთი თავისს დაპირებულს არ ეცრუება.

22. ნუ თუ არ გინახავს, ღმერთს წყალი ზეცით როგორ ჩამოჰყავს, და დედამიწის გულში დამალულ წყაროებთან მიჰყავს; სხვა და სხვა მცენარეს როგორ აღაორძინებს; მათ როგორ აქცნობს და აყვითლებს; ბოლოსაც როგორ აქცევს მათ ხმელ ღეროებად? უეჭველია, ამაში უწყებაა გრძნობა მიმადლებულ კაცთათვის.

23. ვისაც ღმერთმა გული განუვრცო ისლამის მისაღებად, ასე რომ უფლისაგან მომავალ ნათელს შეჰსდგომია, ნუ თუ იქმნეს მისებრი, რომელსაც გული გაქვავებული აქვს? ვაი მათ, რომელთაც გული გაქვავებულ და დახშული აქვსთ ღვთის მოგონებისათვის! ცხად შეცდომაში არიან.

24. ღმერთმა მალლით გადმოავლინა ყოვლად ჩინებული სიტყვა, რომელიც-კი ოდესმე მომადლებულა; ჰქმნა წიგნი, რომლის ნაწილები ერთმანერთის მსგავსია და იმეორება; ვისაც ღვთის ეშინიათ, იმის კითხვის დროს ტანთა კანის გამაგრებას და მოჭიმვას გრძნობენ; ცოტ-ცოტად, კანი და გული ურბილდებათ ღვთის მოგონებისა და სიტყვისაგან. ღვთის წარმართება ასეთია: მათ წარუმართებს, ვინცა ჰნებავს; მაგრამ ვისაც ღმერთი დააბნევს, გამძლოლი სადღა იპოოს?

25. ვინც მარტო თავისის პირისახით ეცდება თავის დაცვას სასჯელის ტანჯვისაგან, აღდგომის დღეს, ნუ თუ იქმნეს მისებრი, რომელსაც საშიში არაფერი ექმნეს? უკეთურებს უთხრან: განიცადეთ, რაც შეგიძენიათ.

26. მათი მოწინავენიც აგრეთვე სიცრუედ ჰსთვლიდენ ჩვენს სასწაულებსა. სასჯელი თავს დაატყდათ, საითგანაც არც კი ელოდენ.

27. ღმერთმა ახილვებინათ ამა სოფლის მიეთ-მოეთობა;

ხოლო საიქიოს სატანჯველი კიდევ უფრო უწყალოა. ნეტა ჰსკოდნოდათ!

28. ამ კურანში ჩვენ ჩამოუგდეთ ხალხსა ყოველგვარი იგავი, რათა გულის ხმა ეყო.

29. ეს წიგნი არაბული წიგნია, რომლის სიტყვა არაა მიხვეულ-მოხვეული, რათა ღვთის ეშინოდესთ კაცთა.

30. ღმერთი სამაგალითოდ წინადაგიდებთ ჯერ კაცს, რომელზედაც მრავალ მოკავშირეს ხელი აქვს და რომელსაც ჰსწეწენ, მერმე-კი კაცს მარტო ერთად ერთი ბატონის საკუთრებასა; ეს ორი კაცი განა თანასწორ დადის? არა, მადლობა ღმერთსა! მაგრამ კი უფროს ერთმა კაცმა არ იცის.

31. მუჰამმად! შენ უნდა მოკვდე, მაგრამ იგინიც აგრეთვე უნდა დაიხოცონ.

32. მასუკან ღვთის წინაშე შებაასდეთ აღდგომის დღესა.

33. ხოლო ვინაა უკეთურესი მისა, რომელიც ღვთისათვის სიცრუეს იგონებს და რომელმაც ჭეშმარიტება მადღურებად ჩაჰსთვალა, როცა გამოეცხადა! ნუ თუ ჯანაბა განმზადებული არაა ურჯულოთათვის?

34. ვისაც ჭეშმარიტება მოაქვს და ვისაც იგი ჰსწამს, ორნივე ღვთისნიერ არიან;

35. ღვთის წინაშე ყველაფერი ჰპოონ, რაც ისურვონ. კეთილისყოფელთა ჯილდო ასეთი იქმნეს.

36. ღმერთმა მათი უარესი ნამოქმედარი აღხოცოს და უკეთესის ნამოქმედარისათვის დააჯილდოოს იგინი.

37. მარტო ღმერთი ნუ თუ არ ეყოს მფარველად მისს მსახურსა? ურჯულონი შენს შეშინებას ეცადონ თავიანთი კერპების სახელით: მაგრამ ვისაც ღმერთი დააბნევს, გამძლოლი ვეღარ ჰპოოს.

38. ვისაც ღმერთი წარუმართებს, ვის შეუძლია მისი დაბნევა? ღმერთი განა შემძლებელ და შურის მგებელ არაა?

39. უკეთუ ჰკიახო, ცანი და ქვეყანა ვინ გააჩინაო, მოგიგონ: ღმერთმაო. მათ უთხარ: ღმერთმა რომ ინებოს და

ბოროტებას რასმე გადამკიდოს, ნუ თუ გგონიათ, ჩემი გადარჩენა მოახერხონ იმ ღმერთებმა, ღვთის თანასწორ რომ მოუწოდებთ? ხოლო ღმერთმა რომ ინებოს და სიკეთე რამ მომანიჭოს, ნუ თუ მისი დაყენება შეეძლოთ? ჰსთქვი: ღმერთი მეყოფა; კაცთა იმედი მხოლოდ ღმერთზე დაამყარონ.

40. მათ უთხარ: ჩემო ერო! გაისარჯე, როგორც შეიძლო: მეც გავისარჯო აგრეთვე და ვნახოთ.

41. უბატური სასჯელი ჩვენგანმა ვინ განიცადოს, სამარადისო წამება ჩვენგანს ვის მიადგეს?

42. მუჰამმად! წიგნი მოგივლინეთ კაცთა ხსნისათვის და საფუძვლიანის მიზნითაც. ვინც სწორე გზას შეუდგება, თვისდა სასარგებლოდ გაირჯება; ვინც დაიბნევა, თვისდა სავნებლად დაიბნევა. მათი საქმე დავალებული როდი გაქვს.

43. ღმერთი სულებს სიკვდილის ჟამს მიიღებს, მათაც მიიღებს აგრეთვე, სულამოუხდელად რო ჰსძინავსთ; ვისთვისაც სიკვდილი გადაუწყვეტია, მათ შეინახავს, ხოლო სხვებს დანიშნულ სამზღვრამდე გაისტუმრებს. ამაში სასწაულებია მათთვის, რომელნიც გულისხმას ჰყოფენ.

44. ურჯულოები უუამავლად განა ვისმე აიყვანენ ღვთისა თანასწორ? უთხარ: რაო? იმ ღმერთებს განა ხელი არაფრისა აქვსთ და არაფერი გაეგებათ?

45. მათ უთხარ: უუამავლობა მხოლოდ ღმერთს ეკუთვნის; ცათა და ქვეყნის საბრძანებელი მისია; ყველა მის წინაშე მიყვანილ იქმნეთ.

46. როცა ერთად ერთის ღვთის სახელი წარმოითქმის, ვისაც მომავალი ცხოვრება არა ჰსწამსთ, იმ კაცთ ჯავრით გული ეკრუნჩხებათ. მაგრამ უხსენებენ თუ არა მათ, რომელთაც ღვთის თანასწორ თაყვანს ჰსცემენ, სიხარულით გული ეხსნებათ.

47. ჰსთქვი: ღმერთო ჩემო! ცათა და ქვეყნის შემოქმედო, შენ, რომელმაც ხილული და უხილავი უწყი, შენთა მსახურთა საცილობელს მსჯავრი დაჰსდო.

48. უკეთურთა ხელთ რო ყოფილიყო ყველაფერი, რასაც დედამიწა შეიცავს და კიდევ ერთი იმდენი, აღდგომის დღეს გამოიღებდენ სასჯელის ტანჯვისაგან თავის გამოსასყიდველად. მაშინ იხილონ ღვთისაგან მომავალი ისეთი რამე, რაც არ ეგონათ.

49. ავი ნასაქმი ნათლად გამოეცხადოსთ და ყოველის კუთხით შემოეხვიოსთ სატანჯველი, რომელსაც დაჰსცინოდენ.

50. გაჭირვება რამ თუ აღამიანს ეწია, ჩვენდამი ხმასა ჰყოფს: წყალობად შევცვლით და იტყვის: კარგად ვიცოდი, რომ ეს უნდა დამმართოდაო. იგი უფრო განსაცდელია ღვთის მიერ, მაგრამ უფროს ერთმა კაცმა არ უწყის.

51. მათი მოწინავენი ასე ლაპარაკობდენ: მაგრამ ნასაქმი რაში გამოადგათ?

52. ცოდვა, რომელიც ჩაიდინეს, მათვე დააწვათ; ამათი (მექელების) ცოდვებიც მათვე დააწვესთ; ღმერთს ვერ აჯობონ.

53. ნუ თუ არ იციან, რომ ღმერთი საზრდოს ხელსავსედ უბოძებს, ვისაც ნებავს, ან უწყებულის საწყაოთი დაარბიებს. ამაში სასწაულებია მორწმუნეთათვის.

54. ჰსთქვი: ჩემო მსახურნო! თქვენ, თქვენ თავს რო უსამართლოდ მოექეცით, ღვთის წყალობის იმედს ნუ წარიკვეთთ, ვინადგან ღმერთი ყოველის შეცოდების მიმტყვებელია; იგია სულგრძელ, შემწყალებელი.

55. მაშ ღმერთთან მიიქეცით და სრულიად შეევედრეთ, ვიდრე სასჯელი გეწეოდესთ იქ, სადაც შემწეობა ვერაფერი იპოოთ.

56. შეუდექით კარგ მცნებას, რომელიც ღმერთმა გამოგიცხადათ, ვიდრე სასჯელი უეცრად შეგიპყრობდესთ და რდეს მოლოდინში არც-კი იქმნეთ.

57. და ვიდრე სული ღალად ჰყოფდეს: ვაგლახ მე, ღვთის წინაშე რო ვჰსცოდე და ჰემმარტებას დაეჰსცინოდე!

58. ვიდრე ღალად ჰყოფდეს; ღმერთს რო წარვემართე, ვიქმნებოდი მათგანი, რომელნიც მოშიშ არიანო.

59. ვიდრე ლალად ჰყოფდეს, სატანჯველის დამნახველია: ოჰ! ნეტავი ქვეყნად წამესვლებოდეს, კეთილს ვიქმოდი.

60. ღიახ, ჩემი სასწაულები გამოგეცხადა, მაგრამ სიცრუედ ჩაჰსთვალე, დიდგულ და უმაღურ იყავი.

61. აღდგომის დღეს, ვინც ღვთის წინააღმდეგ იცრუეს, შავი პირისაზე ექმნესთ. ჯანაბა ნუ თუ დიდგულთათვის დანიშნული საცხოვრებელი არაა?

62. ღმერთმა იხსნას იგინი, რომელთაც ეშინოდათ მისი, და უშიშარ აღვიღოს წაიყვანოს იგინი; ბოროტება არავითარი ეწიოსთ და არც შეურაცყოფილ იქმნენ.

63. ღმერთი ყოველის ნივთის შემომქმედი; ყოველი ნივთი მისი საზრუნველია; ცათა და ქვეყნის კლიტეები იმასა აქვს. ვისაც მისი სასწაულები არ ჰსწამდათ, ნამდვილ უბედურ არიან.

64. ჰსთქვი: უმეცარო! მე მიბრძანებთ, თაყვანი ვჰსცე. სხვას და არა ღმერთსა!

65. შენდა და შენ წინამოადგილეთა მიმართ გამოცხადებულ იყო, თქვენი ნამოქმედარი ამაო იქმნეს, თუ კერძმსახურ იქმნებით, და უბედურ იქმნეთო.

66. უმჯობესია, ღმერთს თაყვანი სცე და დამნახავ იქმნე..

67. მაგრამ მათ არ იციან ღვთის დაფასება, როგორც ჯერ არს. აღდგომის დღეს, მრთლად დედამიწა მის ხელში მხოლოდ ერთი მუჭა მტვერ იქმნეს, ხოლო ცანი მის მარჯვენაში გრაგნილივით დაიხვივნენ. აქებდით მას! ერთობ უმაღლესობს იმ ღმერთებს, მას რომ უამხანაგებენ.

68. ხოლო ბუკსა ჰსცენ და ყველაფერმა, რაც ცათა შინა და ქვეყანაზეა, სული დალიოს, მათ გარდა, ვისი სიცოცხლე ღმერთმა ინებოს. მერმე მეორეჯერ ჰსცემონ და ყოველი არსი გაიმართოს და ელოდეს.

69. ხოლო დედამიწა მისი უფლის ნათლისგან გაბრწყინდეს და აჰა, წიგნი მოიღონ, წინასწარმეტყველები და მოწმეები მოიკითხონ, განჩინება მართლმსაჯულებით წარმოითქვას და შეურაცყოფილიც არა ვინ იქმნეს.

70. ყოველივე სული მისთა საქმეთაებრ დაფასდეს; დიახ, ღმერთმა უწყის უკეთ, რასაც კაცნი შერებიან.

71. ურჯულონი განდევნილ იქმნენ ბრბოდ ჯანაბისაკენ, ხოლო როცა მივიდენ კარები გაეღოსთ და დარაჯებმა შეჰსძახონ, თქვენ შორის არჩეული მოციქულები ნუ თუ თქვენთან არ მოსულან, თქვენის უფლის სასწაულები ეამბნათ თქვენთვის და გაეფრთხილებინეთ, რომ ამ დღეს მის წინაშე გამოცხადდებოდით? დიახ, მიუგონ. ხოლო სატანჯველღს განჩინებამ ურჯულოები გარემოიცივას,

72. მათ უთხრან, იმ ჯანაბის კარებში შედით, საუკუნოდ დარჩეთ იქაო. რა საზარელია დიდგულთა საცხოვრებელი!

73. მორწმუნეები ბრბოდ წაასხან სამოთხისკენ, ხოლო როცა მივიდენ, კარები გაეღოსთ და დარაჯებმა უთხრან: მშვიდობა იყოს თქვენთან! ქველ იყავით, სამოთხეში შედით მარად საცხოვრებლად.

74. ვაქებდეთ ღმერთსა! ჰსთქვან, დანაპირები აღასრულა და სამკვიდრებელი ქვეყნისა გვიბოძა, რათა შემდეგ შეგვძლებოდა სამოთხის დამკვიდრება, სადაც ვისურვებდით. რა კარგია ჯილდო მათი, რომელნიც კეთილს შერებიან!

75. ნახო, ანგელოზები წრედ ევლებოდენ ტახტსა; უფლის ქებას აღიდებდენ. განჩინება სიმართლით წარმოი-
თქვას და ჰსთქვან: დიდება ღმერთსა, ქვეყნის მეუფესა!

თ ა ვ ი XL

მ ო რ წ მ უ ნ ე.

ნაბოძებია მექას.—85 მუხლი.

ს ა ხ ე ლ ი თ ა

ლ ვ თ ი ს ა

მოწყალისა და უმეწყნარებალისა.

1. ჰა. მიმ. კურანის გამოცხადება მოდის ძლიერის და ბრძნის ღვთისაგან,

2. რომელიც ცოდვებს აღბოცს, შენანებას შეიწყნარებს და რომელიც საშინელია თავისის სასჯელითა.

3. სულგრძელობა ნიჭადა აქვს. სხვა ღმერთი არაა, მას გარდა; იგია ყველაფრის საზღვარი.

4. მხოლოდ ურჯულოები აჰსტეხენ ცილობას ღვთის სასწაულებისთვის; მაგრამ მათმა ამ ქვეყნად წარმატებამ არ დაგაბრმაოს.

5. მათ უწინარეს, ნოეს ხალხმა მატყუარად ჩაჰსტვალა იგი; მას შემდეგ იმდენმა სხვა დასებმა ჩაიდინეს იგივე. თვითოთოეულივე ხალხი მზაკვრობას უწევდა თავისს წინასწარმეტყველებსა, და მათი შეპყრობა ძალით უნდოდა; სიცრუით იბრძოდენ ქეშმარიტების გასათელიად; მაგრამ ყველა შევიპყარდა ხედავთ, თუ ჩემი სასჯელი როგორ იქმნა.

6. ასე აღსრულდა ეს განაჩენი შენის უფლისა ურწმუნოთა წინააღმდეგ: ცეცხლს მიეცნენ.

7. ვინც ტახტს ატარებენ და ვინც გარს უდგანან, უფლის ქება-დიდებას დადადებენ; ჰსწამსთ და მორწმუნეთათვის მიტევებას ევედრებიან. უფალო, იტყვიან, ყველაფერს გარემოიკავ შენის მოწყალებითა და მეცნიერებითა; მიუტევე მათ,

რომელიც შენდამი მოიქცევიან და შენს გზას შეუდგებიან, აღმურის სატანჯველისგან იხსენ იგინი.

8. უფალო, შეიყვანე იგინი ედემის წალკოტებში, რომელსაც დაჰპირდი, აგრეთვე მათი მშობლები, მათი ცოლები და მათი შვილები, რომელთაც კარგად იცხოვრონ. შემძლებელ, ბრძენ ხარ.

9. ავის საქმისაგან იხსენ იგინი. ავის საქმისაგან ვინც თავი დაიფაროს, დიახ შეიბრალო იგი და დიდი ბედნიერება-ცაა.

10. ურჯულოებმა იმ დღეს გაიგონონ ხმა, რომელმაც მათ დაუძახოს: ღვთის მძულვარება თქვენდამი უფრო დიდია, ვიდრე თქვენი მძულვარება იყო თვითონ თქვენდამი, როცა სარწმუნოებად მოწოდებულნი არ ერწმუნეთ მას.

11. უფალო, უბასუხონ, ორჯერ დაგვხოცე და ორჯერ გაგვაცოცხლე. ჩვენს შეცოდებულს აღვიარებთ. მაშ, აქითგან გასვლის ღონე აღარაფერია?

12. აი რა გექმნესთ, თქვენ რომ არ იწამეთ, როცა ერთად ერთს ღმერთს გიქადაგებდენ, და თავი-კი მორწმუნედ მოგქონდათ ყოველთვის, როცა ამხანაგებს აძლევდენ მას. ხოლო უზენაესი გარდაწყვეტილება ეკუთვნის ღმერთსა, მაღალსა, დიდსა.

13. თავისს სასწაულებს იგი გახილვებინებსთ, ზეცით საზრდოს იგი გიგზავნისთ, მაგრამ გაფრთხილებისაგან მხოლოდ სარგებლობს იგი, რომელიც ღვთის მიმართ მიიქცევა.

14. მაშ ღმერთს ევედრეთ, მისდამი შემწირველნი წმინდისა და გულწრფელის თაყვანისცემისა, თუნდაც რო ურჯულოებს ჯავრი მოუვიდესთ.

15. ღმერთთა უამაღლებულეს ხარისხთა მჭირავი, დიდების ტახტის მპყრობელი; მხოლოდ თავისი ნებისამებრ შთაბერავს თავისს სულსა თავის მსახურთა შორის მას; რომელიც ჰნებავს, რათი იგი გააფრთხილოს მოკითხვის დღისაგან.

16. თავიანთ დროს კაცნი საფლავებითგან ამოვიდენ და მათი

ნამოქმედარი ღვთის თვალსა არც ერთი დაემალოს. იმ დღეს ვის დაეკუთნოს უზენაესი ხელმწიფება? ერთად ერთსა და ძლიერს ღმერთსა.

17. იმ დღეს, ყოველსავე სულსა მისთა საქმეთაებრ მივგოს. იმ დღეს, უსამართლობა. როდი იქმნება. ღმერთი ანგარიშის გასაწმენდად მოსწრაფეა.

18. გააფრთხილე მახლობელის დღისაგან, როცა ყელს მოწოლილმა გულმა ჰლამის დაარჩოს იგინი.

19. უკეთურთ არც მეგობარი ეყოლოსთ, არც შუამავალი, რომ გაუგონონ.

20. ღმერთი ორგულთა თვალებს იცნობს, მასაც, ზასაც გულნი ჰმალვენ.

21. ღმერთი ყველაფერს მართლმსაჯულებით გადაჰსწყვეტს. ვისდამიც ურჯულოები ღალადს ჰყოფენ მის თანასწორ, ვერაფერს გადაჰსწყვეტენ, რაც უნდა იყოს, ვინადგან მართლ ღმერთი ისმენს და ხედავს ყველაფერსა.

22. ნუ თუ ამ ქვეყნებში არ უმგზავრნიათ? ნუ თუ არ უნახავთ, რა ბოლო ჰქონდათ მათ უწინარეს ყოფილ ხალხებსა? ხალხნი იგი ჰსჯობნიდენ ამათ ძლიერებით და ძეგლებითა, რომელიც ამ ქვეყანაში დაუტოვებიათ, მაგრამ ღმერთმა ცოდვების გამო შეიპყრა იგინი და ღვთის წინააღმდეგ ვერავინ დაიცვა.

23. ვინადგან მოციქულები მათ შორის გამოვიდენ, ცხად სასწაულებ თანახლებული, ხოლო მათი მოციქულობა უარ ჰყვეს. ღმერთი მათ ეუფლა. იგი საშინელია თავისის სასჯელითა.

24. მოსე მოვავლინეთ, ჩვენ სასწაულებ და ცხად სიძლიერე თანახლებული.

25. თარაოსა, ჰამანისა და ქარუნის მიმართ; ხოლო მათ ჰსთქვეს; თვალთმაქცია, მატყუარააო.

26. როცა მიუვიდათ მათდა მიმტანი ჰეშმარიტებისა,

რომელიც ჩვენგან მომავალ იყო, დაიძახეს: მაგის მიმდევრები დახოცეთ, მხოლოდ მათი ცოლები გადაარჩინეთო. მაგრამ ურწმუნოთა ვერაგობა მოჰსცდა და მოიშალა.

27. ფარაომ ჰსთქვა, ერთი მომაკვლევენით მოსე; მაშინ თავისს ღმერთს მოუწოდოს; ვშიშობ, სარწმუნოება არ გამოცვლევინოსთ, ან ქვეყნად უწესოება რამ არ დაჰსთესოს.

28. მოსემ მიუგო: საფარველს ვეძებ წინაშე მისა, რომელიც ჩემი უფალიცაა და თქვენიც, წინააღმდეგ თავგასულთა, რომელთაც ანგარიშის დღე არა ჰსწამსთ.

29. ფარაოს სახლობისაგან ერთმა მორწმუნე კაცმა, რომელიც თავისს სარწმუნოებას ჰფარავდა, მათ უთხრა: განა კაცი უნდა მოჰკლათ, რადგანაც ჰსთქვა, თაყვანს ვჰსცემ ღმერთსა, რომელიც ჩემი უფალია, და ცხად სასწაულებ თანახლებულიც მოდისო? თუ მატყუარაა, მატყუარობა მასვე თავს დააწვეს; ხოლო თუ სიმართლეს ამბობს, თავს დაგატეხოსთ ერთ-ერთი უბედურება, რომელსაც გიქადისთ, ვინადგან ღმერთი არც რჯულ-გადამავალთ წარუმართებს, არცა მატყუართა.

30. ჩემო ხალხო! კიდევ ამბობდა, დღეს უფლება თქვენ გაქვსთ, რაკი ამ ქვეყანაში (ეგვიპტეში) ძლიერ ხართ; მაგრამ ღვთის რისხვისაგან ვინ დაგვიცვას, თუ გვეწია? ფარაომ მიუგო, რასაც თვითონ მე ვხედავ, მხოლოდ მას გაჩვენებთ და სწორის გზითაც გაგიძღვებით.

31. მაშინ მორწმუნე კაცმა მათ უთხრა: ჩემო ხალხო! თქვენ წილ მე მაშინებს დღე, მსგავსი მოკავშირეთა დღისა,

32. დღე, მსგავსი დღისა ნოეს, ადის და თემუდისა.

33. და მათიც, რომელნიც მათ ემემკვიდრნენ. ღმერთს მაინც არა ჰსწადია თავის მსახურთა შევიწროება.

34. ჩემო ხალხო! თქვენ წილ მე მაშინებს დღე, ოდეს კაცთა ერთმანერთს დაუძახონ.

35. დღე, ოდეს იძულებულ იქმნეთ, გზა დაჰსტოვოთ და ჯოჯოხეთში შერეკილ იქმნეთ. მაშინ არავინ გეყოლოს, ღვთის წინააღმდეგ დაგიფაროსთ, ვინადგან ვისაც ღმერთი დააბნევს, გამძლოლად ვილა ეყოლოს?

36. იოსებ კიდევ მოვიდა თქვენ შორის ცხად სასწაულებზე თანახლებული; მაგრამ მათი სიმართლის ეჭვი თავითგანვერ მოიშორეთ, ვიდრე მოკვდებოდა. მაშინ ამბობდით: ღმერთმა წინასწარმეტყველი აღარ აღადგინოს მისის სიკვდილის შემდგომო. ღმერთი ასე დააბნევს რჯულ-გადამავალთ და მათაც, რომელნიც იქვენეულობენ.

37. ვინც ღვთის სასწაულთათვის ცილობენ და დასაწყარებლად კი საბუთი არაფერი აქვსთ მიღებული, ღვთისა და მორწმუნეთა დიდს მძულვარებას თავს დაიტყვენ. ღმერთი ბეჭედს დაასვამს ყოველის თავვასულისა და მძლავრის ადამიანის გულსა.

38. ფარაომ ჰამანს უთხრა: პალატი ამიგე, შევიძლო, მივწვდე იმ ქვეყნებსა.

39. ზეცის ქვეყნებსა, და მოსეს ღმერთამდე ავიდე, ვინადგან იგი მგონია მატყუარა.

40. ფარაოს თვალში კარგად მოუვიდა საქმე ცოდვისა; კეთილის გზითგან გამოგდებულ იქმნა, და ფარაოს ეშმაკობაც გაქარწყლდა.

41. მორწმუნე კაცი ეგვიპტელთაგანი მათ ეუბნებოდა: ჩემო ხალხო? რჩევას დამყევით, სწორე გზაზე გაგიყვანოთ.

42. ჩემო ხალხო! საქაოს ცხოვრება მხოლოდ განსაცხრომელია, საიქიოსი კი ხანგრძლივ სამკვიდრებელი.

43. ვინც ბოროტი ჰქმნას, სამაგიეროდ მხოლოდ ბოროტი მიიღოს; ხოლო ვინც კეთილი ჰქმნას (კაცი იქმნება, თუ ქალი) და იწამოს, იქმნეს რჩელთა შორის, რომელნიც სამოთხეში შევიდენ და ყოველ-გვარის კეთილით უანგარიშოდ დაჰსტკებენ.

44. მე გიწვევთ ცხონებად, ხოლო თქვენ მიწვევთ ცეცხლად.

45. თქვენ მომიწოდებთ, ღმერთი არ ვიწამო და დაუამხანაგო მას ღმერთები, რომელთა ცნობა არავითარი მაქვს, ხელო მე მოვიწოდებთ ძლიერის, მომთმენის მიმართ.

46. ჭეშმარიტად, ღმერთები იგი, რომელთა მიმართ მიმიწოდებთ, არ ჰლირან მად, რომ მათდამი ღალად ვჰყოთ სააქაოს, ვინდ საიქიოს, ვინადგან ყველანი ღმერთთან მიიქცეთ, ხოლო რჯულ-გადამავალნი ცეცხლს მიეცნენ.

47. მაშინ ჩემი სიტყვები მოგაგონდესთ; ხოლო მე მიგნდობივარ სრულიად ღმერთსა, რომელიც კაცთა ხედავს.

48. ღმერთმა ეს კაცი იხსნა ბოროტის განზრახვისაგან, რომელიც მის წინააღმდეგ გაეფიქრათ, ხოლო ფარაოს სახლობა სასჯელის ტანჯვით გარემოცულ იქმნა.

49. ცეცხლში შეჰყავთ იგი დილას და საღამოს, ხოლო იმ დღეს, ოდეს ჟამი დადგეს, დაუძახონ: ფარაოს სახლობა, ყოვლად საზარელ სასჯელში ჩავარდი.

50. ოდეს, ცეცხლთა შორის, არაწმიდები ერთმანერთთან შეკამათდენ, ამა ქვეყნის სუსტებმა დიდგულებს (დიდებს) უთხრან; ქვეყნად თქვენდა ამჟამად ვიყავით, ხომ შეგიძლიათ რადმე გამოგვადგეთ ამ ცეცხლში, რომელიც წილად გვრგებია?

51. ხოლო დიდგულებმა უპასუხონ: აი ყველანი აქავართ. ღმერთმა ადამიანებს სამართალი გაუჩინა.

52. მაშინ ცეცხლში ჩაცვივნულმა შეურაცხყოფილებმა ჯანაბის დარაჯებს უთხრან: თქვენს უფალს ვევედრეთ, ეს სატანჯველი ერთის დღით მაინც შეგვიმსუბუქოს.

53. ხოლო დარაჯებმა უპასუხონ: ნუ თუ არ გყოლიათ წინასწარმეტყველები, რომელთაც თქვენთვის თავიანთი მოციქულობის ცხადი საბუთები უჩვენებიათ? დიახ, მიუგონ. მაშ, თქვენდა საშველად დაუძახეთ. მაგრამ ურჯულოთა ძახილი გზაშივე მიწყდეს.

54. ჭეშმარიტად ხელი გაუმართოთ ჩვენ ჩვენს ძოვლინებულებს და მათაც. რომელთაც ყოფადი ცხოვრება იწამონ, იმ დღეს, ოდეს მოწმენი წამოდგნენ.

55. იმ დღეს, ოდეს ბოროტებს ბოდში ვერაფრად გამოადგესთ. მაშინ წყევა-კრულვა და საზარელი სადგომი მათდა იქმნეს.

56. მოსეს მივანიჭეთ წარმართება (ჩვენი გამოცხადება გამძღოლად), და ისრაელის შვილები წიგნს ვაუფლეთ, რათა გრძნობა მიმადლებულ კაცთა წარმმართველ და გამაფრთხილებელ ყოფილიყო.

57. მუჰამმად, მოთმინება გაჰსწიე, ვინადგან ღვთის აღნათქვამი თვითონ ჭეშმარიტებაა; შენი ცოდვების მიტევებას ევედრე და შენის უფლის ქება ღალად ჰყავ საღამოს და დილას.

58. ვინც ღვთის სასწაულთა გამოცილობენ და დასამყარებლად-კი საბუთი არავითარი მიუღიათ, გულში რა უნდა ექმნესთ, თუ არ მედიდურობა? მაგრამ თავიანთ მიზანს ვერ მიაწიონ. მუჰამმად, შენი თავშესაფარებელი ღვთის წინაშე ეძიე, ვინადგან იგი ისმენს და იხილავს ყველაფერსა.

59. ცათა და ქვეყნის შექმნა რაღაც უფრო დიდია, ვიდრე კაცთა ნათესავის შექმნა; მაგრამ კაცთა არ უწყიან.

60. ბრმა და თვალხილული ადამიანი, კეთილმოქმენდი კაცი და ბოროტი თანასწორ ვერ იქმნებიან. კაცი რა ცოტას ფიქრობენ!

61. ეამი მოიწიოს უეჭველია, ხოლო უფროს ერთ ადამიანს არა ჰსჯერა.

62. ღმერთმა ჰსთქვა: მომიწოდეთ და მოგიგოთ, ვინადგან ვინც ჩემს თაყვანისცემას მედიდურობით უარობენ, ჯანაბაში საზიზღრობით მოცულნი შევიდენ.

63. ღმერთი მოგანიჭებსთ ღამეს თქვენდა მოსასვენებლად, დღეს დამნახვებელსა. დიად, ღმერთი კაცთა მიმართ სიკეთით აღსავსეა, მაგრამ მათ შორის მეტი ნაწილი მადლიერ როდია.

64. ღმერთია თქვენი უფალი, ყოველის ნივთის შემოქმედი; მას გარდა სხვა ღმერთი არაა; მაშ რადღა ერიდებით?

65. ესე პირს იბრუნებდენ, ვინც ჩვენს სასწაულებს უარჰყოფდენ.

66. ღმერთმა ქვეყანა საფუძრად და ზეცა სახლად გიბოძათ; მის მიერ დასახულ ხართ და რა საკვირველი სახეებიც მოუ-

ნიჭებია თქვენთვის! გემრიელის სანოვაგით გასაზრდობესთ; ღმერთი იგი თქვენი უფალია. კურთხეულ იყოს ღმერთი, მეუფე ქვეყნისა!

67. იგი ცხოველი ღმერთია, მას გარდა სხვა ღმერთი არაა. ღალად ჰყავთ მისდამი წმინდა თაყვანისცემის შეწირვითა. დიდება ღმერთსა, ქვეყნის მეუფესა!

68. ჰსთქვი: მისგან ამეკრძალა, თაყვანი ვჰსცე იმ ღმერთებს, რომელთაც ღვთის თანასწორ მოუწოდებთ, მას აქეთ, რაც ღვთის მიერ ცხადი საბუთები მომევილინა. ბრძანება მაქვს მიღებული, ქვეყნის მეუფეს მივინდო.

69. მან გაგაჩინათ კეცისაგან, მერმე ერთი წვეთი თესლისაგან, მასუკან დაღექილის სისხლის ნაკვეთისაგან; ყრმად დაგბადებთ, ძალღონის ხანში ჩაგაყენებთ, ხოლო მასუკან დაგაბერებთ; ზოგი თქვენგანი ამ დრომდე კვდება. ასე ეწვევით თვითოეულისათვის დანიშნულ სამზღვარსა; ეს ყველაფერი თქვენდა გულის ხმის საყოფელადაა.

70. იგი გაცოცხლებსთ, იგივე დაგხოცსთ; როცა რამე აქვს გარდაწყვეტილი, იტყვის: იყავო და იგიც იქმნება.

71. გინახავს თუ არა იგინი, რომელნიც ღვთის სასწაულებისთვის ბაასობდენ? რა იქმნენ?

72. ვინც მაცდურებად ჰსთვლიან წიგნსა და სხვა გამოცხადებას, რომელიც ჩვენთა მოვლინებულთათვის მიგვიწვდია, ჰქეშმარიტება ერთს დღეს შეიტყონ.

73. მაშინ კისერ უღლიანები და შებოჭვილები ჯოჯოხეთში წათრეულ, მერმე ცეცხლის მსხვერპლად გაწირულ იქმნენ.

74. მაშინ მათ დაუყვირონ: სად არიან იგინი, რომელთაც ღმერთს უამხანაგებდითო? მიუგონ: სადღაც დაბნეულან; ჩვენ კი არასოდეს არაფრისთვის მოგვიწოდებიაო. ღმერთი ურჯულოებს ასე დააბნევს.

75. აი სამაგიერო თქვენის ქვეყნად უსამართლო თავხედობისა და უზომო შვება-ლხენისათვის.

76. ჯანაბის კარებში შედით, რათა იქ საუკუნოდ დარჩეთ. რა საზარელი სადგომია ამაცათავის!

77. მუჰამმად, მოთმინება გაჰსწიე! ღვთის აღნათქვამი თვითონ ქეშმარიტებაა, ხოლო შენ გახილვებინო ზოგიერთი სასჯელი იგი, რომელსაც მათ ვემუქრებით, თუ იმ დრომდე ჩვენთან მოგიყვანოთ, ჩვენ წინაშე მოიქცნენ იგინი.

78. შენს უწინარეს მოციქულები მოგვივლენია აგრეთვე; ზოგიერთის მათგანის ამბავი მოგიხარით, არც სხვებია ისეთი, მათი რამ არ გვეთქვას შენთვის. მოვლინებულის საქმე არაა სასწაულის ჩადენა, თუ ღმერთმა ნება არ მიჰსცა; ხოლო როცა ღვთის ბრძანება მოაწევს, მაშინ სრულად ქეშმარიტებით აღსრულდება, მაშინ წაწყმდებიან, ვინც ზმანებად ჰსთვლდნენ მას.

79. ღმერთმა პირუტყვები გაგიჩინათ: ზოგი მატარებლად; ზოგიც მიტომ, რომ მათი ხორცი თავი ისაზრდოოთ.

80. მათგან დიდი სარგებლობა გექლევათ. მათის შემწეობით სრულ ჰყოფთ განზრახვას, რომელსაც გულში ჰკვებავდით. პირუტყვები გატარებენ, ნავებიც გატარებენ აგრეთვე.

81. ღმერთი თავისს სასწაულებს გახილვებინებსთ; რომელი ერთი სასწაულები ღვთისა ჯნდა უარჰყოთ?

82. ნუ თუ ქვეყანაში არ უმგზავრიათ? ნუ თუ არ შეუნიშნავთ, თუ რა ბოლო ჰქონდათ მათ უწინარეს ყოფილებს, მათზე უფრო რიცხვმრავლებსა, უფრო წარჩინებულებსა თავიანთი ძლიერებით და ძეგლებით, რომელიც ქვეყნად დაუტოვებიათ? მაგრამ ნაღვაწი არაფრად გამოადგათ.

83. როცა მოვლინებულნი, თავიანთი მოციქულობის ცხადის საბუთებით განმტკიცებულნი, მათ შორის გამოცხადდნენ, გაუხარდათ სიამაყისა გამო ცოდნისა, რომელიც ხელთ ჰქონდათ; მაგრამ სასჯელმა, რომელსაც დაჰსცინოდნენ, ყოვლის კუთხით შეიპყრო იგინი.

84. ხოლო როცა ჩვენ-მიერ კვეთების სიმძლავრე განიცადეს, ყვირილი მორთეს: აი, აი? ერთი ღმერთი გვწამდა;

აი, აი! აღარა გვრწამს ღმერთები, რომელთაც მას უამხანაგებდით ჩვენ.

85. მაგრამ ანაზდეულად რწმუნება არაფრად გამოადგათ, რაკი შეიტყეს ჩვენი ძლიერება. ღვთის მუდმივი ჩვეულება ასეთი იყო კაცთა მიმართ, რომელნიც აღარ არიან ურჯულონი ასე წაწყმდებიან.

თ ა ვ ი XLI

ა ხ ს ნ ი ლ ნ ი.

ნახტებისა მექას. — 54 მუხლი.

ს ა ხ ე ლ ი თ ა

ღ ვ თ ი ს ა

მოწყალისა და უამწყნარებლისა.

1. ჰა. მიმ. აი წიგნი, რომელიც მოვლინებულა მწყალობელის, შემბრალებელის მიერ;

2. წიგნი, რომლის მუხლებიც ნათლად ახსნილა და არაბულ კურანს შეადგენენ გულის ხმიერ კაცთათვის;

3. წიგნი, რომელიც მაუწყებელ და გამაფრთხილებელია; ხოლო უფროს ერთი ერიდება და გაგონება არ უნდა.

4. ამბობენ: გული ნასკვებით შეკრულ და დახშული გვაქვსთ იმ სათაყვანოსათვის, რომლის მიმართ მოგვიწოდებთ; ყურთა სიმძიმე გვიზისთ; ფარდა გვყოფს თქვენგან; მოიქეც, როგორც გვპრიანება, ჩვენცა მოვიქცეთ, როგორც გვებრიანება.

5. მათ უთხარ: დიახ, უეჭველად მე ვარ, თქვენსავით, ადამიანი, რომელსაც გამოეცხადა, რომ თქვენი ღმერთი ერთად ერთი ღმერთია. მისკენ სწორედ გაიარეთ, მიტევებას ევედრეთ. ვაი მათ, რომელნიც ღმერთს სხვა ღმერთებს უამხანაგებენ;

6. რომელნიც სამოწყალოს არ გაჰსცემენ და მომავალ ცხოვრებასაც უარ ჰყოფენ!

7. ვინც იწამებენ და სიქველეს იწვრთიან, საუკუნო ჯილდო მიიღონ.

8. მათ უთხარ: ნუ თუ არ უნდა იწამოთ იგი, რომელმაც ქვეყანა ორ დღეში შეჰქმნა? ნუ თუ თანასწორები უნდა აუჩინოთ? იგია მეუფე ქვეყნისა.

9. ზურგზე მთები მან დაუფუძნა, მან აკურთხა, მან დაარიგა ოთხის დღის განმავლობაში უწყებულ ნაწილებად საზრდო, რომელსაც თანასწორ მიაწვდენს ყველას, ვინც ითხოვს.

10. მასუკან წავიდა და დაემყარა ზეცას, რომელიც მაშინ ორთქლნარი იყო, და ხმა უყო ცასა და დედამიწას: ჩემთან მოდით ნებით, ანუ უნებურად. თქვენთან სრულის ნებით მოვალთო, ცაჲ და დედამიწამ მიუგო.

11. მაშინ ზეცა შვიდ ცად გადაკეთდა ორის დღის განმავლობაში. თვითოეულსავე ცას საქმე მიუჩინა, დედამიწის უმახლობელესი ცა მნათობებით შევამკეთ და დარაჯებიც თავს დავაყენეთ. ასეთი იყო შემქმნებლის, მეცნიერის გარდაწყვეტილება.

12. თუ თავი შორს დაიჭირონ ყურის მოსარიდებლად, უთხარი მათ: ნიაქარი გაუწყოთ თქვენ, აღისა და თემუდის ნიაქარის მსგავსი.

13. როცა მოციქულები ყოველის კუთხით მათ შორის გამოდიოდნ და მათდამი ხმას ჰყოფდნ: მარტო ღმერთს თაყვანი ეციოთ, მიუგებდნ: ღმერთს რო ჩვენი მოქცევა ენებებინა, ანგელოზებს მოგვივლინებდაო. თქვენი მოციქულობა არ გვრწამსო.

14. აღ უსამართლოდ თავს გავიდა ორგულობით ქვეყანაზე; მისი შვილები ამბობდნ: ჩვენზე უფრო ღონიერი ვინდა არისო? ნუ თუ არ უფიქრიათ, რომ მათი გამჩენი ღმერთი მათზე უფრო ღონიერი იყო! ჩვენს სასწაულებს უარ-ჰყოფდნ!

15. მათ წინააღმდეგ მძაფრი ქარი ამოვიყვანეთ, უქმი-

დღეებში, რათა უპატიური სასჯელი მიგვეყენებინა მათთვის ამ ქვეყნად. საიქიოს სასჯელი კიდევ უფრო უპატიურია: ვერა კაცი ჰპოონ, რომელმაც იგინი დაიცვას.

16. ჯერ თემულს წარუმართეთ ჩვენ, მაგრამ წარმართებას დაბრმავება არჩია. უპატიურის სასჯელის ნიაქარი ამოუვარდათ მის ხალხებსა თავიანთი ნამოქმედარის სასყიდლად.

17. გადავარჩიეთ, ვინც ღვთის მორწმუნე და მოშიშ იყვნენ.

18. მათ აუწყე დღე, ოდეს ღვთის მტრები შემოკრებილიქმნენ ცეცხლის წინაშე და შეჯგუფებით წავიდენ.

19. იმ ჟამამდე, ოდეს დაეყარონ თუ არა ცეცხლის წინაშე, მათ ყურთა და მათ თვალთა და მათ ტანის კანთა მათ წინააღმდეგ დაამოწმონ მათი ნამოქმედარი.

20. თავიანთ ტანის კანთ უთხრან: ჩვენდა წინააღმდეგ რად იმოწმებით? ხოლო ტანის კანთ მიუგონ: ღმერთი გვალაპარაკებს, ღმერთი იგი, რომელმაც ყოველსავე არსებას მეტყველება მიანიჭა, ერთხელ ხომ გაუჩინებართ და კიდევ მიიქცეთ მასთან.

21. თავი ვერ დაიმაღეთ ისე, რომ თქვენს ყურებს, თქვენს თვალებს და თქვენს ტანის კანთ არ ემოწმებინათ თქვენ წინააღმდეგ, თქვენ-კი გეგონათ, ღმერთს დიდი ნაწილი თქვენის ნამოქმედარის არ ეცოდინებოდა.

22. ღვთის თაობაზე ცუდმა ფიქრმა, რომლითაც თავს იქცევდით, დაგლუბათ; კიდევ წაწყმდით.

23. ცეცხლს მედგრად გაუძლონ, სამკვიდრო მაინც; აღარ ექმნესთ; ღმერთს მიტევება ჰსთხოვონ, მაინც აღარ უსმინონ მათ.

24. თავს მოვახვიეთ მათ აუყოფელი ამხანაგები, რომელთაც მათ თვალში ყველაფერი გაუმშვენიერებიათ. განჩინება, რომელიც მათ უწინარეს ყოფილ კაცთა და ჯინთა გადახდათ, მათზედაც აგრეთვე აღსრულდეს და წაწყმდენ.

25. ურჯულონი ამბობენ: კურანის კითხვას ნუ გაიგონებთ,

ან ხმა მაღლა ილაპარაკეთ, რომ მის მკითხველთა ხმა დაჰტყუროთ.

26. ურჯულოები საშინელ სატანჯველში ჩაეყაროთ.

27. მათ საქმეთაგან უარესთამებრ მივაგოთ.

28. ღვთის მტერთა ჯილდო ცეცხლია; საუკუნო საცხოვრებლად ექმნესთ, რადგანაც ჩვენს სასწაულებს უარყოფდენ.

29. მაშინ ღაღად ჰყონ: უფალო, ჩვენი მაცდურები გვაჩვენე, კაცები, ან ჯინები; ფეხქვეშ ჩავიგდოთ გასათელავად.

30. ხოლო ვინც ღაღად ჰყონ: ჩვენი უფალი ღმერთია და ვინც მისკენ მიემართებიან, მათ მოიკითხვენ ანგელოზები, რომელნიც ეტყვიან: ნურაფრის გეშინიათ და ნურც ჰსწუხართ; დაჰსტკბით სამოთხით, რომელიც აღთქმულა თქვენდა.

31. თქვენი მფარველები ვართ ამ ქვეყნად და საიქიოსაც; თქვენს გულს ჰსწადია, ყველაფერი გექმნესთ, ყველაფერი, რაც ითხოვთ.

32. იგი იქმნეს მოსაკითხი სულგრძელის, შემწყნარებელისაგან.

33. ვინაა უკეთ მეტყველი მისა, რომელიც ღვთისადმი ღაღად ჰყოფს, რომელიც კეთილს შვრება და იძახის: მე ვარ მათგანი, რომელნიც ღმერთს მიენდობიან?

34. ბოროტი და კეთილი თანტოლად ვერ ივლიან. ბოროტის წილ კეთილი მიაგე, და ნახო, მტერი მფარველად და მეგობრად გადაგექცეს.

35. მაგრამ ამ სრულყოფას სხვა ვერაფერ ეწიოს მედგარის გარდა; სხვა ვერაფერ ეწიოს, თვინიერ მისა, რომელიც ყველაზედ უფრო დიდსვიანია.

36. თუ მავნემ საბოროტოდ წაგაქეზოს, თავშესაფარებელი ღვთის წინაშე ეძიე, ვინადგან ყველაფერი ესმის და უწყის.

37. მის სასწაულთაგანია: ღამე და ღღე, მზე და მთვარე; არც მზის წინაშე განერთხათ, არც მთვარის წინაშე, არამედ

წინაშე ღვთისა, რომელსაც ისინი გაუჩენია, თუ მისი სამსახური გინდათ:

38. განა ერთობ დიდგულად არ არიან, რომ ესა ჰქმნან? ვინც ღვთის წინაშე იმყოფებიან (ანგელოზები და რჩეულები) მისს ქებას დღე და ღამ ღალადებენ და არაოდეს დაჰსცხრებიან.

39. მისი სასწაულთაგანია კიდევ, როცა მიწას დაღვრემილსავით ხედავ, და თითქო იძვროდეს და ფუფუნებოდეს, რაკი წვიმას ზეცით მოუვლინებთ ჩვენ. მისმა გამაცოცხლებელმა მკვდრებიც გამოაცოცხლოს, ვინადგან ყოვლად ძლიერია.

40. ვინც ჩვენს სასწაულებს უგულებელ ჰყოფენ, ჩვენ მიერ ცნობას ვერ გაუსხლდებიან. საცეცხლოდ დასჯილს არაწმიდას ხვედრი განა ექმნეს უკეთესი, ვიდრე მას, რომელიც სრულად უზრუნველად გამოცხადდეს აღდგომის დღეს? რაც გინდათ ჰქმენით, ღმერთია თქვენის საქმების მხილველი.

41. ვისაც არა ჰსწამსთ წიგნი, მათდამი მინიჭებული, ცოდვილ არიან; ძვირ-ფასია წიგნი იგი.

42. სიცრუე ვერ ეწიოს, რა კუთხითაც უნდა მოვიდეს, იგია გამოცხადება ბრძნისა, დიდებულისაგან.

43. ვერაფერს იტყვიან ისეთს, რაც შენს უწინარეს ყოფილ მოვლინებულთათვის არ თქმულიყოს; ხოლო მიმტევებელი ღმერთი, საშინელ სასჯელში ჩამგდებიცაა აგრეთვე.

44. ეს კურანი უცხო ენით დაწერილ წიგნად რო შეგვედგინა, იტყოდენ; იმ წიგნის მუხლები ნეტა მაინც ცხადი და გარკვეული იყოს? რა! უცხო და არაბი? მათ უპასუხე; ესაა ჰეშმარიტებისაკენ წარსამართებელი და წამალი გულთათვის, რომელნიც მორწმუნეთადმი იქნეულობენ, ურჯულეობებს ყურთა სიმძიმე ჰსჭირსთ და ვერც ხედვენ; ჰგვანან მათ, რომელთაც შორითგან უძახიან.

45. მოსესთვის წიგნი გვებოძებია; მის თაობაზე ცილობა ატყდა. თუ რო დაცალების სიტყვა წინასწარ წარმოთქმულ

არ ყრფილიყო, მყისვე გზდაუწყდებოდათ, ვინადგან იმ წიგნს ნაღვლიანის ეჭვით უყურებდენ.

46. ვინც კეთილს შვრება, თვისდა სასარგებლოდ შვრება; ვინც ბოროტს შვრება, თვისდა სავენებლად შვრება, ხოლო ღმერთი როდია კაცთათვის მძლავრ.

47. ჟამის ცნობა მხოლოდ მის წინაშეა; ნაყოფი ერთიც არ გამოვა თავისის მარცვლითგან, მღედრი ერთიც არ ატარებს, არცა ჰშობს, ისე რომ მისი ცნობა არ ექმნეს. იმდღეს, ოდეს ღმერთმა მათ შეჰსძახოს: ჩემი ამხანაგები სად არიან, ღმერთები იგი, რომელნიც ჩემთვის დაგიკავშირებიათო? მიუგონ: ეგეთი ჩვენ შორის არაფერი გვსმენია.

48. ღმერთები იგი, რომელთაც ოდესმე მოუწოდებდენ, მათ თვალთა წინ გაჰქრნენ, შეიტყონ, რომ თავშესაფარებელი მათთვის აღარ იქმნეს.

49. ადამიანი აბეზარს არ მოვა კეთილის რისამე ღვთისგან გამოთხოვით; მაგრამ უბედურება ეწია, აჰა სასოს წარიკვეთს და დაეჭვიანდება.

50. თუ უკუღმართობის შემდეგ, ჩვენის მოწყალების სიკეთე ვაგემებინეთ, იტყვის: მეკუთვნოდა; არა მგონია, ოდესმე ჟამი მოიწიოს; ხოლო თუ ღვთის მიმართ მივიტყევი, ჩემთვის ჩინებული ჯილდო ექმნება გადადებულიო. ურჯულოებს თავიანთი ნამოქმედარი შევატყობინოთ ჩვენ და მკაცრი სასჯელიც განვატყვევინოთ.

51. ადამიანს წყალობას მივანიჭებთ თუ არა, გვშორდება, გვერიდება; უბედურება ეწევა თუ არა, დიდის ვედრებით მოგმართავს.

52. მათ უთხარ: რა გგონიათ? თუ კურანი ღვთისაგან მოდის და თქვენ კი მისი არა გჯერათ, მაშინ მითხარით: განა იპოება ადამიანი უფრო შემცდარი, ვიდრე ის, რომელიც სადიდხნო უთანხმოებას ჰბადებს?

53. ჩვენს სასწაულებს ვაელოვებთ სხვა და სხვა კუთხეს და თვითონ იმათზედაც, სანამ დაუმტკიცდებოდესთ, რომ კუ-

რანი ქეშმარიტებაა. ნუ თუ შენის უფლის მოწმობა არ გეყოფა?
 54. ღვთის წინაშე გამოცხადების ექვი ხომ არა აქვსთ?
 მაგრამ ღმერთი ნუ თუ ყველაფრის გარემომცველ არაა?

თ ა ვ ი XLII

რ რ ე ე ა

ნახატებია. მექს. — 53 მუხლი.

ს ა ხ ე ლ ი თ ა

ღ ვ თ ი ს ა

მოწყალისა და უმწყნარებელისა.

1. ჰა. მიმ. აინ. სინ. კაფ. ძლიერი, ზრძენი ღმერთი გამოცხადებას მოგანიჭებს, როგორათაც მოუნიჭებია იმ მოვლინებულთათვის, რომელნიც შენს უწინარეს ყოფილან.

2. რაც ცათა შინა და ქვეყანაზეა, ყველა ფერი ეკუთვნის მას. იგია ყოვლად უზენაეს, დიდებული.

3. ზეცას ჰლამის კამარა გადებხნას მისის პატივისცემით; ანგელოზები ქებით აღიდებენ მას და ქვეყნის მცხოვრებთათვის მიტევებას ევედრებიან. დიახ, ღმერთი შემბრალებელ, სულგრძელია.

4. ღმერთი თვალს ადევნებს მათ, რომელთაც მფარველად, მისა თვინიერ, სხვები აუყვანიათ. შენ, მუჰამად, მათი საქმეები დავალებული როდი გაქვს.

5. ეს გამოცხადება არაბულ წიგნად მოგანიჭეთ, რათა დედაქალაქი და მის გარემო ხალხები გაგეფრთხილებინა, რათა თავმოყრის დღისგან გაგეფრთხილებინა იგინი, იმ დღისაგან, რომელიც ექვ მიტანილია, იმ დღისაგან, ოდეს კაცთა ერთი ნაწილი სამოთხეში იქმნეს, ხოლო მეორე ჯოჯოხეთის დველფში.

6. ღმერთს რომ ენებებინა, მარტო ერთს ხალხს დაადგენდა, ერთის სარწმუნოების აღმსარებელსა; ხოლო ზოგიერთებს თავისს მოწყალებაში ადგილი უბოძოს, მაშინ ოდეს ბოროტებს პატრონი არ ეყოლოსთ, არცა მფარველი.

7. მფარველად მას გარდა ვანა სხვა უნდა აიყვანონ? ღმერთი მაინც ჭეშმარიტი მფარველია: იგია მაცოცხლებელ და მომაკვდინებელ, იგია ყოვლად ძლიერი.

8. მათი ცილობის საგანი რაც უნდა იყოს, მისი გადაჭრა მარტო ღმერთს ეკუთვნის. იგია ღმერთი, ჩემი უფალი; იმედი მაზედ მაქვს დამყარებული, სინანულით მივიქცევი მასთან.

9. ცათა და ქვეყნის შემომქმედმა თქვენს ნათესაობაში მდებარ-მამრი გააჩინა, როგორათაც პირუტყვთა ნათესაობაში დედალ-მამალი გააჩინა; ამ საშუალებით გამრავლებსთ. არაფერი ჰგავს მას; ყველაფერი ესმის და ხედავს.

10. ცისა და ქვეყნის კლიტეები აქვს; თავის ნიჭთა ხელსავსედ მიაფრქვევს, ვისაც ჰნებავს, ან მიუწყავს, ვინადგან ყველაფერი იცის.

11. დაგიწერათ სარწმუნოება, რომელიც ნოეს ამცნო: ის გამოგეცხადა შენ, მუჰამმად! აბრაამს, მოსეს, იესოს იგივე ვამცენით, თქმითა: ეგ სარწმუნოება დაიცევით. მწვალებლებად არ დაიყვნეთ. იგი (ღმერთი) კერპთაყვანის მცემელთათვის აუტანელია.

12. თაყვანისცემისათვის, რისკენაც მათ მიუწოდებ, ღმერთმა აღირჩია, ვინც ინება, იქვე (იმ თაყვანისცემისკენ) მიუძღვება მას, რომელიც თავისი სინანულით ღვთისადმი მიიქცევა.

13. მწვალებლებად დაიყვნენ მხოლოდ მას აქეთ, რაც მეცნიერება მიიღეს, ისიც შურითა. თუ სიტყვა ღვთისა, რომელიც სასჯელს წინეთ აღნიშნულის დროსათვის განსაზღვრავს, თავდაპირველადვე წარმოთქმულ არ ყოფილიყო, კიდევ გადაუწყდებოდათ, თუმცა ვისაც მათ შემდეგ წერილი დაუმკვიდრებიათ, საამისოდ ექვში იქნებოდენ.

14. ამიტომ მაგ სარწმუნოებისადმი მოუწოდე მათ და

შარჯვედ იარე, თითქო ბრძანება მიგელოს; მათ წადილს ნუ ემორჩილები, მაგრამ უთხარი: მრწამს წიგნი, რომელიც ღმერთმა გამომიცხადა; ნაბრძანები მაქვს ყოვლის სამართლიანობით ვისაჯოთ, ღმერთი ჩემი უფალია და თქვენიცა; მე ჩემი საქმე მაქვს, თქვენ კი თქვენი: ჩვენსა და თქვენს შორის დასამტკიცებელი არა არის რა. ღმერთმა ყველა შეგვყაროს, ვინადგან იგია ყოვლის ნივთის საზღვარი.

15. ვინც ღვთის თაობაზე რისამე დამტკიცებას ცდილობენ, რა-კი მას დაჰმორჩილებიან, მათი მოსაზრება გაქარწყლდეს. მათდაა მისი რისხვა, მათდაა უღმობელი სასჯელი.

16. თვითონ ღმერთმა ჭეშმარიტებად მოავლინა წიგნა და სასწორი. ხოლო ვის შეუძლია, გაცოდინოს? ეგების ჟამი ახლოც იყვეს.

17. ურწმუნოებს მისი დაჩქარება ჰსურსთ; მორწმუნეებს კი მისი მოგონება ათრთოლებს, ვინადგან უწყიან, რომ ნამდვილია. ვისაც ჟამის ეჭვი აქვსთ, რა შემცდარ არიან!

18. ღმერთი თავის მსახურთა მიმართ გულკეთილობით სავსეა; ვისაც ნებავეს, საზრდოს უბოძებს; იგია ძლიერ, შემძლებელი.

19. ვისაც უნდა ყოფადის კხოვრების ყანა დაამუშაოს, მას განუდიდოთ; ვისაც ჰსწადია, ამ სოფლის ყანა დაამუშაოს, იგიც მიიღოს, მაგრამ საიქიოს წილი არაფერი ექმნეს.

20. ნუ თუ შემთხვევით ისეთი ამხანაგები უნდა ეყოლოთ, რომ სარწმუნოების საქმეში ღვთის ნებადაურთველი რამ ბრძანონ? განჩინების სიტყვა რომ არ ყოფილიყო, გადაუწყდებოდათ მათ; დიახ, უკეთურნი საზარელ წამებაში ჩაცვივდენ.

21 ერთ დღეს ნახო, უკეთურები თავიანთ ნამოქმედარის გამო ძრწოდენ და სასჯელიც ეწიოსთ; მაგრამ ვისაც ჰსწამსთ და კეთილს იწვრთიან, წალკოტთა ყვავილნარხ დაიმკვიდრონ; თავიანთი უფლის წინაშე ყველაფერი ექმნესთ, რაც ინატრონ. განუზომელი წყალობაა.

22. აი ღმერთი რას ატყუებს თავისს მსახურებს, რო-

მელთაჲცა ჰსწამსთ და კეთილს. შვრებიან, მათ უთხარ: ჩემის ქადაგების ჯილდოდ მხოლოდ თქვენის მშობლების მიმართ სიყვარულსა გთხოვთ. ვინც კეთილი საქმე ჩაიდინოს, მისი ღირსება აუმაღლოთ ჩვენ. ღმერთი მომთმენ და დამნახველია.

23. ნუ თუ თქვან: მან(მუჰამადმა) ღვთის თაობაზე სიცრუე შეთხზა? დიახ, თუ იპრიანა, ღმერთს შეუძლია გულს ბეჭედი დაგაკრას, სიცრუე თვითონ მოშალოს და თავისის სიტყვებით ჭეშმარიტება აღადგინოს; ვინადგან გულის შინაგნობის მცნობია.

24. თავის მსახურთა სინანულს შეიწყნარებს, შეცოდებას მიუტევებს; რასაც შვრებით, უწყის.

25. მორწმუნეთა და კეთილის მოქმედთა უსმენს; თავისის წყალობით აღავსებს მათ. ურწმუნოთათვის საშინელი სასჯელია შენახული.

26 ღმერთი რო თავის საუნჯეს ხელსავსედ მიაფრქვევდეს კაცთა, თავხედნი შეიქნებოდენ ქვეყანაზე; თვისდა სათნო საწყაოთი მიუბოძებს მათ, ვინადგან თავის მსახურთა გარჯა იცის და მათაც ხედავს.

27. უხვად წვიმა მოავლინა, როცა ხალხს მისი ნახვის იმედი დაწყვეტილი ჰქონდა; თავისს მოწყალებას ესე მოიღებს. იგია მფარველ, დიდებული.

28. მის სასწაულთაგანია ცათა და ქვეყნის შექმნა და ყველა ის ცხოველები, რაც დედამიწაზე მიმოუფანტავს. მათ თავმოყრასაც მაშინვე შეიძლებს, თუ კი ინება.

29. თუ რამ უბედურება გეწიოსთ, თქვენ ხელთა ნამოქმედარის გამო იქმნეს, ხოლო ღმერთი ბევრის მიმტევებელია.

30. ქვეყანაზე ვერ აჯობოთ მას; ღვთისა თვინიერ მფარველი არ მოგეძევებათ, არც დასაყრდნობელი რამ.

31 მის სასწაულთაგანია ხომალდი, რომელნიც ტალღებს მსწრაფლ აპობენ და მთებივით მაღლა იწევენ; რომ ინებოს, ქარს ჩააყენებს, ხომალდნი წყლის ზედაპირზე დარჩებიან (დიახ

ამაში სასწაულებია ყოველისავე მედგრისა და დამნახველის (აღამიანისთვის).

32. ან დაამსხვრევს; მაგრამ იგია ამდენი შეცოდების მიმტევებელი!

33. ვინც ჩვენი სასწაულების თაობაზე ცილობენ, ერთ დღეს შეიტყონ, რომ მათთვის თავშესაფარი აღარ იქმნეს.

34. ყოველი კეთილი, რომელიც კი მიგიღიათ, მხოლოდ საწუთრო სიამოვნებაა: რაც ღმერთს გადადებული აქვს, უმჯობეს და უფრო ხანგრძლივიცაა მათ თვალში, ვისაც ჰსწამსთ და იმედი ღმერთზე დაუწყარებიათ;

35. ვინც დიდს შეცოდებას და ურცხვობას ერიდებთან; ვინც გულისწყრომით გატაცებულთ თანვე პატიებაც იციან;

36. ვინც თავიანთ უფალს ემორჩილებიან, ლოცვას აღასრულებენ; ვინც საზოგადო საქმეებს ერთმანერთში გადაწყვეტენ და წყალობას გაიღებენ კეთილთაგან, ჩაოდენიც მათთვის გვიბოძებია;

37. ვინც უმართლობას განიცდიან რა, თვითონვე გაასწორებენ,

38. და ავისათვის თანაბრადვე ავსვე მიაგებენ. ხოლო ვინც თავისს მოწინააღმდეგეს შეურიგდება და აპატიებს, ღმერთს მისი ჯილდო ემართება, ვინადგან შემაჭირვებელნი არ უყვარან.

39. გასამტყუნარი როდია აღამიანი, შურის მეძიებელი უსამართლობისათვის, რომელსაც განიცდის.

40. გასამტყუნარ არიან სხვათა შემაჭირვებელნი მძლავრობით და ყოველის სამართლიანობის წინააღმდეგ მოქმედნი; სამწუხარო სასჯელია მათთვის შენახული.

41. ცხოვრების სიბრძნეა, მოთმინებით აიტანო და მიმტევებელ იყო.

42. ვისაც ღმერთი დააბნევს, სხვა მფარველი როგორღა ჰპოოს? ნახო, თუ ბოროტებმა,

43. სასჯელის დანახვაზე, როგორ დაიძახონ: ნუ თუ ქვეყნად დაბრუნების სახსარი აღარაა?

44. ნანო, წამების ადგილს წაასხან თვალზე დახრილნი და უპატიურობით დაბურვილნი; ქურდულები გამომხედუარე იქმნენ. მორწმუნეთა ჰსთქვან: აი უბედურები, თავიც დათლუპეს და სახლობაცა. აღდგომის დღეს, უკეთურნი განა ჩაყრილ არ უნდა იქმნენ საუკუნო სასჯელში?

45. ღვთისა თვინიერ სხვა მფარველებს რად ეძებდენ? ვისაც ღმერთი დააბნევს, გზა როგორღა გაიგნოს?

46. მაშ ღმერთს დაემორჩილენით, ვიდრე მოვიდოდეს დღე, რომელსაც ვერავინ დააწვეინებს უკან, ოდეს ღმერთმა მოწვევნა უბრძანოს. იმ დღეს თავშესაფარი აღარ გექმნესთ. თქვენი ნამოქმედარი ვერ უარჰყოთ.

47. თუ ზიზლით პირი გაიბრუნეს, მათდა დარაჯ როდინ ხარ, მუჰამმად! დაგველა, მხოლოდ მოციქულობა გაჰსწიო. თუ აღამიანს წყალობა რამ მივანიჭეთ, გაუხარდება; მაგრამ როგორც-კი მისის საკუთარის ნამოქმედარის სამაგიერო უბედურება ეწვევა, იგინება.

48. ცათა და ქვეყნის სასუფუველი ღმერთს ეკუთვნის. რასაც ინებებს, გააჩენს; ზოგიერთებს ქალიშვილებს უწყალობებს, სხვებს-კი ვაჟიშვილებს უბოძებს.

49. ზოგიერთებს კიდევ ორთავ სქესის შვილებს უბოძებს, ვაჟებს და ქალებსა; ვისაც ინებებს, უშვილოს გახდის. მეცნიერ და შემძლებელია.

50. აღამიანს როდინ მინიჭებია, ღმერთმა სიტყვა მიჰმართოს: თუ იქმს, გამოცხადებით, ან ფარდის საშუალებით.

51. ან მოციქულს მოავლენს, რათა მისის ნებართვით, განუცხადოს ამან, რასაც ღმერთი ინებებს.

52. ჩვენის ბრძანებით სული ესე გამოგიცხადეთ შენ, რომელმაც არ იცოდინი, თუ წიგნი, ანუ სარწმუნოება რა იყო. იგი ვყავით ნათელ, რომლის შემწეობითაც ჩვენ მსახურთა შორის ჩვენ წარუმართებთ. მას, რომელიც გვეპრიანება, შენც აგრეთვე წარუმართე მათ გზა სიმართლისა,

53. გზა ღვთისა, მისი, რომელსაც ყველაფერი ეკუთვნის, რაც-კი რამ ცათა შინა და ქვეყანაზეა. განა ყოველი ნივთი ღვთისადმი არ უნდა მიიქცეს?

თ ა ვ ი XLIII

ო ქ რ ო ს ს ა მ კ ა უ ლ ე ბ ი

ნახობების მექას. — 89 მუხლი

ს ა ხ ე ლ ი თ ა

ღ ვ თ ი ს ა

მოწყალისა და შემწყნარებლისა.

1. ჰა. მიმ. ცხად წიგნსა ვფიცავ,
2. იგი არაბულის ენით მოგვივლენია, რათა ვაგეგოთ,
3. იგი დაცულია, ჩვენ რო გვაქვს იმ წიგნის დედანში, ამალღებულისი, სიბრძნით აღსავსეა.
4. თქვენს. შეგონებას განა თავი უნდა გავანებოთ, რად-განაც შემცოდე ხალხი ხართ?
5. რამდენი წინასწარმეტყველი მოგვივლენია უმანდელ ხალხთა მიმართ!
6. მათ შორის წინასწარმეტყველი ერთიც არ გამოცხადებულა ისეთი, მათი ასაგდები არ გამხდარიყოს.
7. ხალხები ამოგვიწყვეტია უფრო ძლიერა, ვიდრე ესენი (მექელები); უმანდელ კაცთა მაგალითი აქაა.
8. უკეთუ ჰკითხო, ცისა და ქვეყნის შემოქმედი ვინააო, გიპასუხოთ, შემძლებელმა, ბრძენმა გააჩინაო.
9. დედამიწა ლოგინად გაგიკეთათ და ზედ გზები გაიყვან — გამოიყვანა, თქვენდა გასაძლოლად.
10. ზეცით წყალს აწვიმებს უწყებულის საწყაოთი. ამ წყალით მკვდარ მიწას აღვადგენთ, თქვენც ესე აღდგენილიქმნეთ.

11. თქვენთვის გააჩინა ყოველგვარში დედალ-მამალი; თქვენ-
და სატარებლად ცხოველები გააჩინა და ხომალდები დაადგინა;

12. რათა შიგ მომარჯვებით ყოფილ იყავით, ტანადაც
სწორ, და რათა თქვენის უფლის სიკეთე მოგვეგონებინათ,
როცა შიგ მომარჯვებითა ხართ, ტანადაც სწორ; რათა გე-
თქვათ; დიდება მას, რომელმაც ესენი (ეს ცხოველები და ეს
ხომალდები) დაგვიმორჩილა! მიზანს ჩვენს დღეში ვერ ვეწეო-
დით.

13. ჩვენის უფლის მიმართ მივიქცეთ.

14. შვილები აუჩინეს მაინც მის მსახურთა შორის. ადა-
მიანი მართლა უმადურია!

15. ღმერთი ქალიშვილებს განა აიყვანდა თავის ქმნილე-
ბათა შორის, ხოლო თქვენ აგირჩევდათ ვაჟიშვილებად?

16. იმასობაში როცა ერთ ერთ მათგანს აუწყებენ დაბადე-
ბას სულდგმულისას, რომელსაც იგი ღმერთს მიაწერს, პირი-
სახე უბნელდება და თითქო სულ შეგუბებულ იყვეს.

17. ღმერთს განა შვილად უნდა ჩაუგდონ არსება, რო-
მელიც თავს იწონებს სამკაულებითა და მორთულობით და
რომელიც მუდამ განუსჯელად ცილობაშია?

18. ანგელოზებს, რომელნიც ღვთის მსახურ არიან,
ქალებსავით უცქერიან, მათი გაჩენის მოწმე განა ყოფილან?
მათი მოწმობა შენიშნულ იქმნეს და ერთ დღესაც არის, გამოჰ-
კითხონ.

19. ღმერთს რომ ენებებინაო, ამბობენ, არასოდეს ვცემ-
დით თაყვანსაო. არაფერი უწყიან და ურცხვადაც ტყუიან.

20. ამის დასამყარებლად განა ოდესმე მიგვიცია მათ-
თვის საბუთი რამე, რათა ხელთ იქონიონ?

21. სრულიად არა. — მაგრამ კი ამბობენ: ჩვენი მამები
ამ თაყვანისცემის მიმდევარი ვპოეთ და ჩვენც მათ კვალზე
მივდივართო.

22. შენამდგ ესრეთ ყოფილა, ყოველთვის, როცა მახა-
რობელი ვინმე თემის მიმართ მოგვივლენია, ყოვლად მდიდარ

მცხოვრებთ უთქვამთ მათთვის: ჩვენი მამები ამ თაყვანისცემის მიმდევარი ვბოეთ და ჩვენც მათ კვალზე მივდივართო.

23. მათ უთხარ: ასეთი მოციქულისთვის ნუ თუ გვითქვამს: მე რო თქვენის მამებისაზე უფრო ჭეშმარიტი თაყვანისცემა ავიჩინოთ? ჰასუხად უთქვამთ: შენი მოციქულობა, არა არა გვრწამსო.

24. იმ ხალხთა შური ვიძიეთ. ნახე, თუ რა ბოლო ჰქონდათ მათ, რომელთაც ჩვენი მოვლინებულნი მატყუარებად ჩაჰსთვალეს.

25. მოიგონე, რაც აბრაამმა თავის მამასა და თავის ერს უთხრა: თქვენის თაყვანისცემისაგან უბრალო ვარო.

26. ვინც გამაჩინა, მხოლოდ მას თაყვანს ვჰსცემ; სწორე გზაზე მან დამაყენოს.

27. ეს სიტყვა მან (აბრაამმა) დაამყარა, როგორც ისეთი სიტყვა, რომელიც მას შემდეგ, საუკუნოდ უნდა დარჩენილიყო მის შვილთა შორის, რათა ღვთის მიმართ განუწყვეტლივ მიქცეულიყვნენ.

28. ამათ (კერპთაყვანისმცემელ არაბებს) და ამათ მამებს ნება დავრთე ქვეყნიერის კეთილით დამტკბარიყვნენ, ვიდრე ჭეშმარიტება და ჭეშმარიტი მოციქული მოვევლინებოდათ.

29. ხოლო, როცა ჭეშმარიტება გამოეცხადათ, დაიძახეს: ეგ მარტო ჯადოსნობაა, არ ვერწმუნებითო.

30. ამბობენ: კურანი ორისავე ქალაქის (მექას და მედინეს) რომელსამე წარჩინებულ კაცს მაინც რომ გამოცხადებოდა, შეგვეძლო დაგვეჯერებინაო.

31. განა საღვთო წყალობის დამრიგებელ არიან? ამ ქვეყნად არსებობას ჩვენ ვაძლევთ მათ; ერთმანერთის უმაღლეს ჩვენ ავწევთ მათ ისე, რომ ზოგიერთებს სხვები მოსამსახურებად აჰყავსთ. ხოლო ღვთის მოწყალება უმჯობესია, ვიდრე ის, რომელსაც მოიხვეჭენ.

32. შიში რომ არა, ვაი თუ ყველა კაცები ერთ ურჯულს ხელხად იქცნენო, ვისაც ღმერთი არა ჰსწამსთ, სახლთა

თვის ვერცხლის სახურავებს უბოძებდით ჩვენ, იქვე ასასვლელად კიბეებსა.

33. ვერცხლის კარებს და საამო განსასვენებლად სკამებსა;

34. და ოქროს სამკაულებსა. ეს ყოველივე ამა ცხოვრების წარმავალი სიტკბოებაა, ვინადგან ყოფადს ცხოვრებას შენი უფალი ღვთიანებისათვის ინახავს.

35. ვინც რამ ღონისძიებით გაუსხლდეს ყოვლად უზენაესის დარიგებას, მასთან სატანა ჯაჭვით გადავაბათ; მინდა განუყრელ ამხანაგ ექმნეს.

36. მავნებმა ხალხი გადააყენონ ღვთის გზისაგან, მათ კი ეგონოთ სწორე გზას ვადგივართო.

37. ვიდრე იმ ჟამამდე, ოდეს ჩვენს წინაშე მოსულმა ადამიანმა ღალად ჰყოს: ღმერთმა ინებოს, ჩემსა და სატანას შუა მზის ორი ამოსვლის მანძილი ყოფილიყოს! სატანა რა საძაგელი ამხანაგია!

38. მაგრამ სიბრალული იმ დღეს არაფრად გამოგადგესთ; თუ უსამართლო ყოფილხართ, ტანჯვაშიაც ამხანაგ იქმნეთ კიდევ.

39. მუჰამმად! შეჰსძლებ განა, მუნჯს გააგონო და ბრმა სა და ცხადლივ შეცდომის გზაზე დამდგარს ადამიანს წარუმართო?

40. მათთვის რო მოგვეშორებინე, შურს უგებდით ჩვენ.

41. ჩვენის ქადილის აღსრულების მოწმე რო გაგვეხადე, ჩვენს უფლებას ქვეშე გვეყოლებოდენ.

42. მტკიცედ მიეკედლე მას, რაც გამოგეცხადა, ვინადგან სწორე ბილიკზე ხარ.

43. კურანი შენთვისა და შენის ერისთვის დარიგებაა. ერთს დღეს ანგარიში მოგთხოვონ თქვენ.

44. მოციქულებს ჰკითხე, შენს უწინარეს რო მოგვივლენია, თუ მათთვის თაყვანს საცემლად ღვთისა თვინიერ სხვა ღმერთები აგვირჩევია.

45. მოსე მოვავლინეთ, ჩვენ სასწაულებ თანახლებული,

ფარაოსა და მისი სამეფოს დიდებულთა მიმართ. ქვეყნის მეუფის მოვლინებულ ვარო, მათ უთხრა.

46. როცა მათ წინაშე ჩვენის სასწაულებითურთ წადგა, დაჰსცინეს.

47. (ყველა ეს სასწაულები ერთი ერთმანერთზე უფრო გასაოცარი იყო) მათ მივაყენეთ სატანჯველი, რათა მოქცეულიყვნენ.

48. ერთხელ მოსეს უთხრეს; თვალთმაქცო! შენს უფალს ევედრე, დაპირებული აღასრულოს, ვინადგან აი ქეშმარიტ გზაზე ვართ.

49. ხოლო უბედურებისაგან დავიხსენით: თუ არა პირი შეშალეს.

50. ფარაომ ეს სიტყვები გამოაცხადებინა თავისის ერისათვის: ჩემო ერო! ეგვიპტის სამეფო და ჩემ ფეხთა ქვეშე მდინარე წყალი, ნუ თუ ჩემი არ იყოს? ნუ თუ ვერ ხედავდეთ?

51. ნუ თუ უფრო ძლიერ არ ვიყო მე, ვიდრე საძაგელი კაცი იგი,

52. რომელიც ძლივს ლაპარაკობს?

53. ოქროს სამკაულები მაინც რომ ენახათ მისთვის, ანგელოზების დასთა შორის მაინც რომ მოსულიყო?

54. ფარაომ თავისს ხალხს ქარაფშუტობა შთააგონა, ხოლო იგინი დაემორჩილნენ, ვინადგან არაწმიდა იყვნენ.

55. მაგრამ როცა ჩვენი გულისწყრომა თავს მოიწიეს, მათი შური ვიძიეთ და ყველა დავარჩიეთ.

56. მაგალით და იგავ ვყავით იგინი მათ მემკვიდრეთათვის.

57. თუ შენს ერს მარიამის ძე მაგალითად წინადაუდვეს, ლაპარაკის ყურის დაგდებას არ ისურვებენ.

58. ამბობენ: ჩვენი ღმერთები უმჯობეს არიან, ვიდრე მარიამის ძე, თუ მარიამის ძე, ვიდრე ჩვენი ღმერთებიო? ამ

საკითხს მხოლოდ ცოლობის გულისათვის დაჰსდებენ. დიახ, მწამებელ არიან.

59. იესო მხოლოდ მსახურია (კაცი), რომელიც ჩვენის წყალობით ავახსეთ და რომელიც მაგალითად დავჰსდეთ ისმაელის შვილთათვის.

60. (ჩვენ რო გვენებებინა ანგელოზებს გაშობინებდით. თქვენდა მემკვიდრედ ქვეყანაზე).

61. ჟამის მოახლოების მაჩვენებელ იქმნეს იგი. ნუ ეჭვობთ; მომყევით, ვინადგან ესაა ჭეშმარიტი გზა.

62. სატანამ არ გადაგახვევინოსთ, ვინადგან თქვენი გაცხადებული მტერია.

63. როცა იესო მოვიდა კაცთა შორის, სასწაულებ ხლებული, ჰსთქვა: სიბრძნე მომაქვს თქვენთვის და მოვდივარ თქვენდა ასახსნელად მისა, რაც თქვენის ცილობის საგანია. მაშასადამე ღვთის გეშინოდესთ და მე დამემორჩილენით.

64. ღმერთი ჩემი უფალიცაა და თქვენიცა, თაყვანი ეცით; იგია ჭეშმარიტი გზა.

65. სხვა და სხვა დასებმა ერთმანერთში ცილობა დაიწყეს. ვაი უკეთურს სამწუხარო სასჯელის დღესა!

66. რასღა ელიან? ნუ თუ ჟამსა, რომელმაც ანაზღეულად შეიპყროს იგინი, როცა მის მოლოდინში არც-კი იქმნენ?

67. ყოვლად გულითადი მეგობრები იმ დღეს მტერ იქმნენ; სხვაფრივ მოუვიდესთ მათ, რომელთაც ეშინიათ.

68. ჩემო მსახურნო! ნურათურის შიში გექმნებათ, დაწუხებულ არ იქმნეთ.

69. თქვენ, რომელთაც ჩემი სასწაულები გრწამსთ, თქვენ, რომელნიც ჩემის ნების მინდობილ იყავით (მუსულმანები იყავით), გითხრან:

70. სამოთხეში შედით, თქვენ და თქვენი ამხანაგი ქალები; ილხინეთ.

71. ოქროს ფიალები ჩამოუჭიგონ მათ და სირჩებიც, ისე-

თი რითიმე სავსე, რასაც გული ესოდენ ნატრობს და რაც თვალს წყალს ასმევს. იქ საუკუნოდ იცხოვროთ.

72. აი წალკოტი, რომელიც სამკვიდროდ მიიღოთ თქვენის ნამოქმედარის საფასურად.

73. იქ ხილი უხვად გექმნებათ, თავი ისაზრდოეთ.

74. ბოროტთა განიცადონ სამარადისოდ ჯანაბის სატანჯველი.

75. არ შეუმსუბუქდესთ, ცხონების ყოველივე იმედი დაეკარგოსთ.

76. უსამართლოდ ჩვენ-კი არ მოვპყრობივართ, არამედ თავიანთ თავს ავითონვე უყვეს უსამართლობა.

77. ღალად ჰყონ: მალექ! შენმა უფალმა ჩვენს სატანჯველს ბოლო მოუღოსო! არა, მანდვე დარჩეთო, მიუგონ მათ.

78. ქეშმარიტება მოგერთვათ თქვენ, მაგრამ მომეტებულს ნაწილს თქვენ შორის ქეშმარიტების მიმართ ზიზღი მოერია.

79. თუ ურჯულოები მახეს აგებენ, ჩვენც დაუგოთ აგრეთვე.

80. ნუ თუ ჰგონიათ, არ ვიცოდეთ მათი საიდუმლოები, სიტყვები, რომელსაც ერთმანერთს ყურში ეუბნებიან? დიახ, ჩვენნი მოვლინებულნი, რომელნიც მათ შორის იმყოფებიან, ყველაფერს ჩაჰსწერენ.

81. ჰსთქვი: ღმერთს რო ძე ჰყოლოდა, ჰირველი მე ვეთაყვანებოდი.

82. დიდება ცათა და ქვეყნის მეუფესა, ტახტის მფლობელსა! აშოროს, რასაც მიაწერენ.

83. ეხსენ, წარამარად ილაპარაკონ და შეექცნენ, ვიდრე გამოჩნდებოდენ დღისა პირის-პირ, იმ დღისა, რომელიც მათთვის აღუთქვამსთ.

84. იგია ღმერთი ზეცას, ღმერთი ქვეყანაზე. მეცნიერ, ბრძენია.

85. კურთხეულ იყოს იგი, რომელსაც ყველაფერი ეკუთვნის, რაცაა ცათა შინა, ქვეყანაზედა მანძილს შორის, რაც მათ

შუა ჰყოფს! ჟამის ცნობა მარტო მასა აქვს; მისადმი მიიქცეთ.

86. ვისაც ღვთის თანასწორ მოუწოდებთ, ვერც ერთს გამოესარჩლონ იგინი, მხოლოდ შეჰსძლოს მან, რომელიც; ჭეშმარიტებას ჰმოწმობს. ურჯულოებმა შეიტყონ.

87. უკეთუ ჰკითხო თქმითა: ვისი გაჩენილები ხართო? ღვთისაო, გიპასუხონ. რადლა ტყუიან?

88. ღმერთმა შეისმინა მუჰამადის ეს სიტყვები: უფალო, ხალხს არა ჰსწამსო, და ბრძანა.

89: მაშ კარგი! თავი ანებე და უთხარ მათ: მოკითხვა! — ხოლო იგინი ჩახვდენ, თუ რაა ესა.

თ ა ვ ი XLIV

ქ ვ ა მ ლ ი

ნახბძებია შექას — 59 მუხლი.

ს ა ხ ე ლ ი თ ა

ლ ვ თ ი ს ა

მოწყალისა და შემწყნარებელისა.

1. ჰა. მიმ. ცხად წიგნსა ვფიცავ.
2. კურთხეულ ღამეს იგი მოგვივლენია ჩვენ, რომელთაც; გვეწადა კაცთა გაფრთხილება;
3. ისეთ ღამეს, როცა ყოველივე ბრძნული საქმე ზედი-ზედ გადაწყვეტილა;
4. ჩვენგან მომავალის ბრძანების ძალითა. ნამდვილად მო-ვავლენთ მოციქულებსა
5. თითჟო დასამტკიცებლად მოწყალეებისა შენის უფლის. მიერ, (ისმენს და ხედავს ყველაფერსა).
6. მეუფისა ცათა და ქვეყნისა, და ყველაფრისა, რაც; მათ შორისაა, თუ მტკიცედა გრწამსთ.
7. სხვა ღმერთი არა არს თვინიერ მისა, რომელიც მაცოც-

ხლებელ და მომაკვდინებელია; იგია თქვენ და უფალ, თქვენი წინაპრების უფალცა.

8. იმათ კი ექვით შეპყრობილებს სახუმროდ გაუხდიათ ესა.

9. მათ დაუკვირდი იმ დღეს, ოდეს ზეცამ ააყენოს ყველასათვის ხილული კვამლი,

10. რომელმაც ყოველი კაცი გარემოიცივას. სამწუხარო სასჯელი იქმნეს.

11. უფალო! დაღად ჰყონ, ეს რისხვა თავიდან აგვაცილეთ, მორწმუნე ვართ.

12. გაფრთხილებას რაღა უყვეს, როცა ქეშმარიტი მოციქული მოველინათ.

13. და როცა ზურგი შეაქციეს თქმითა: სხვების ჩაგონებულ, ეშმაკეულიაო?

14. მათდა გასანადგურებლად დამზადებულს სასჯელს უკეთუ ჩვენ დაუკლოთ ცოტა რამ, ურჯულეობას დაუბრუნდენ.

15. იმ დღეს, ოდეს საშინელის მძლავრობით მოვიქცეთ, შური ვიძიოთ.

16. მათ უწინარეს ფარაოს ხალხი გამოგვიცდია და იმ ხალხის მიმართ დიდებული მოციქულიც მოვლინებულ იყო.

17. მათ ეუბნებოდა: დაე ღვთის მსახურები ჩემთან ერთად წამოვიდნო; თქვენთან მოვდივარ, როგორათაც ნდობის ღირსი მოვლინებული.

18. თავს ღვთის უმაღლეს ნუ აჰსწევთ; თქვენთან მოვდივარ შეუცილებელის უფლებით განმტკიცებული.

19. თავშესაფარებელი მოვჰსძებნო წინაშე მისსა, რომელიც ჩემი უფალიცაა და თქვენიცა, რომ ვეღარ ჩამქოლოთ.

20. თუ მორწმუნე არა ხართ, გამეცალენით.

21. მან (მოსემ) ღვთისადმი ვედრება აღავლინა მაშინ. შემცოდე ხალხია ესაო, ამბობდა.

22. მაშინ ღმერთმა უთხრა: ჩემი მსახურები ღამით გაიყვანე, ეგვიპტელები უნდა დაგედევნონ.

23. ზღვის ტალღები განხმული დაჰსტოვე, მათი ჯარი დაირჩოს.

24. რამდენი წალკოტი და შადრევანი დარჩათ?

25. დათესილი ყანები და სასიქადულო სადგომები?

26. შვება-ლხენა, სადაც თავიანთ ცხოვრებას საამურად ატარებდნენ?

27. დიახ, ესე იყო, ხოლო სამკვიდრებელი იგი ჩვენ უბოძეთ სხვა ხალხსა.

28. ზეცას არ უტირნია მათთვის, არცა ქვეყანას და არც დანანებით,

29. ისრაელის შვილები დავიხსენით დამამცრობელის სასჯელისაგან

30. ფარაოსა, დიდგულა მთავრისა, მეტისმეტობაში ჩავარდნილისაგან.

31. იგინი ამოვირჩიეთ, განგებ, ქვეყნის ყველა ხალხთა შორის.

32. მათ ვახილვებინეთ სასწაულები, რომელიც მათთვის ცხადი განსაცდელი იყო.

33. ეს ხალხნი (ურჯულოები) ამბობენ:

34. მხოლოდ ერთი სიკვდილია, პირველიო, და არც აღდგენილ ვიქმნეთ.

35. მაშ ჩვენი მამები დააბრუნეთ, თუ მართალია, რასაც ამბობთ; ურწმუნოები ლაპარაკობენ.

36. განა ჰსჯობნიან ტობბას ხალხსა

37. და მათ უწინარეს ყოფილ მოდგმათა? იგინი ამოვჰსწყვიტეთ, რადგანაც ცოდვილ იყვნენ.

38. როდი გაგვიჩენია ცანი და ქვეყანა და ყველაფერი, რაც მათ შორისაა, თქვენდა სალალობოდ.

39. სრულის ჭეშმარიტებით (უხუმრად) გაგვიჩენია, მაგრამ მათ შორის უმეტესმა ნაწილმა არ იცის.

40. განჩინების დღე ყველასათვის მოსაკითხი იქმნეს.

41. იმ დღეს ბატონმა მოსამსახურე ვერ დააკმაყოფილოს; საშველი არაფერი ექმნესთ მოსალოდნელი.

42. შევლა მიეცეს შარტო მათ, რომელნიც ღმერთმა შეიბრალოს. იგია შემძლე და შემბრალე.

43. ცაკუმის ხე

44. ცოდვილს ექმნეს საზრდოდ.

45. ნაწლევებში ისე აუღულდეს, როგორათაც მდნობარე ლითონი,

46. როგორათაც ჰსდუდს მდულარე წყალი.

47. ღვთის საქმეთა აღმასრულებლებს დაუძახონ ბოროტნი შეიპყართ და ჯოჯოხეთის ძირში ჩაჰყარეთ.

48. და მდულარე წყალის სატანჯველი თავზე დაუშვით.

49. იგემე ეგ, უთხრან, შემძლებელ, წარჩინებული ბრძანდებიო,

50. აი სატანჯველი, რომელიც საექველად გქონდათ გადაქცეული.

51. ღვთიანი ადამიანები უშიშარ ადვილს იქმნენ.

52. წალკოტთა და წყაროს წყალთა შორის.

53. აბრეშუმ და ატლას მოსილნი, და ერთმანერთის პირდაპირ მოთავსებულნი.

54. ღიახ, ესე იქმნეს და ამხანაგებად უბოდოთ ჩვენ შავთვალა, დიდთვალა ქალები.

55. ყოველ გვარი ნაყოფი მოერთვასთ იქ და უშიშრადაც იმხიარულონ.

56. სიკვდილი აღარ განიცადონ, რაკი ერთხელ შენამთხვევი ექმნებათ. ღმერთმა წამებისაგან დაიცვას იგინი.

57. ამ წყალობას ღმერთი მოგანიჭებსთ; განუზომელი ნეტარებაა.

58. კურანი ადვილ გასაგები გავხადეთ, რაკი გიბოდეთ იგი შენის ენითა. ეგების კაცნი ჩახვდენ.

59. მაშ უთვალყურე, მუჰამმად?! ვინადგან იგინიც აგრეთვე უთვალყურებენ და ულოდინებენ, აცა რა მოხდესო.

თ ა ვ ი XLV

მ უ ხ ლ-მ ო ყ რ ი ლ ი.

ნაბოძებია მექსს.—26 მუხლი.

ს ა ხ ე ლ ი თ ა

ლ ვ თ ი ს ა

მოწყალისა და შემწყნარებელისა

1. ჰა. მიმ. წიგნის გამოცხადება ძლიერისა და ბრძენის ღვთისაგან გამომდინარებს.
2. ცათა შინა და ქვეყანაზე სასწაულებია შორწმუნეთათვის.
3. თქვენს გაჩენაში, ყველა დედამიწაზე გაფანტულ ცხოველებში სასწაულებია კაცთათვის, რომელთაც მტკიცედა ჰსწამსთ.
4. ღამისა და დღის რიგ-რიგ შემოსვლაში, სიკეთეში, რომელსაც ღმერთი ზეცით მოაფლენს, და რითაც არადიდი-ხნის მიმკვდარებულ დედამიწას განაცხოველებს; მიმართულებაში, რასაც ქარებს აძლევს, სასწაულებია კაცთათვის, რომელთაც გულის ხმიერება აქვსთ.
5. ესაა ღვთის მოძღვრება, სრულის ჭეშმარიტებით წაგიკითხავთ შენ: ურჯჯლოებმა რაღა უნდა იწამონ, თუ ღმერთი და მისი სასწაულები უარჰყვეს;
6. ვაი ყოველ შემცოდე მატყუარასა,
7. ვინც ღვთის მოძღვრების კითხვას ისმენს და მაინც თავგასულობაზე მედგრადაა, თითქო არ მოესმინოს! ფიცხი სასჯელი აუწყე მას.
8. ხოლო თუ ამ მოძღვრების (კურანის მუხლების) რამე შეიტყო, სასაცილოდ აიგდებს. იმ ხალხს ხვედრად უპატიური სატანჯველი ექმნეს.

9. მათ უკან ჯანაბაა; ყოფა ცხოვრება, რომელიც მათ მოუხვეჭიათ, ვერაფრად გამოადგესთ, მეტადრე ვერც იგინი, რომელნიც ღვთის თანასწორ მფარველებად აუყვანიათ. დიდი სასჯელი მოეღისთ.

10. ღვთის წარმართება ასეთია. ტანჯვის სავალალო სასჯელი გამზადებულია მათთვის, რომელთაც ღვთის სასწაულები არა ჰსწამსთ.

11. ღმერთმა ზღვა დაგიმორჩილათ, რათა ხომალდებს მისის ბრძანებით ზედ მიმოევლოთ, ღვთის უხვეებისაგან ნიჭი მიგელოთ და მისდამი მადლიერ ყოფილიყავით.

12. ყველაფერი დაგიმორჩილათ, რაც ცათა შინა და ქვეყანაზეა. ყველაფერი მისგნით მოდის. ამაში სასწაულებია კაცთათვის, რომელნიც გულის ხმას ჰყოფენ.

13. მორწმუნეთა უთხარ, რომ აპატიონ იმედ დაწყვეტილებს ღვთის დღეთათვის, რომელნიც დაწესებულ არიან კაცთა დასაჯილდოებლად მათის ნამოქმედარისამებრ.

14. ვინადგან ვინც კეთილს შვრება, თავისის თავისათვის შვრება; ვინც ბოროტს შვრება, თავისის თავის საწინააღმდეგოდ (თვისდა საენებლად) შვრება. ყველანი ღვთისადმი მიიქცეთ.

15. ისრაელის შვილებს მივანიჭეთ წიგნი. (დაბადება), სიბრძნე და წინასწარმეტყველები; საკვებად კარგ-კარგი რამ უბოძეთ და ყველა ხალხების უმაღლეს დავაყენეთ.

16. ჩვენის ბრძანების ცხადი განსაცდელეები. ვახილვებინეთ მათ, ხოლო ერთმანერთს გაეყვნენ მარტო მას აქეთ, რაც მეცნიერებას ეუფლნენ და ისიც ერთმანერთის ჯიბრითა. აღდგომის დღეს, შენმა უფალმა ცილობის საგანი გადუჭრას მათ.

17. მას აქეთ, საღვთო სჯულის მტვირთველად დაგვიდგინებარ. შეუდექ მას, ხოლო ნუ აჰყვები მათ საწადელს, ვინც არა იციან-რა.

18. ვინადგან ვერაფრად გამოგადგებიან წინააღმდეგ ღვთისა. უკეთურნი ერთმანერთის მეგობარ არიან. ღმერთი-კი მის მოშიშთა მეგობარია.

19. ეგ კურანი თითქო ნათელი იყოს კაცთათვის; ეგაა წარმართება და დამტკიცება ღვთის მოწყალებისა მათთვის, რომელთაც მტკიცედა ჰსწამსთ.

20. ვინც ბოროტს შერებიან, ნეტა თუ ჰგონიათ, მათ მოვეპყრათ თანასწორ მათდა, რომელნიც მორწმუნე არიან, რომელნიც კეთილს იწვრთიან, ასე რომ სიცოცხლე და სიკვდილი ერთისაც და მეორისაც ერთნაირიყვეს? რა ავად ჰსჯიან!

21. ღმერთმა ცანი და ქვეყანა სრულის ჭეშმარიტებით გააჩინა. ყოველი ადამიანი მისთა საქმეთაებრ დააჯილდოოს; შეურაცხყოფილიც არავინ იქმნეს.

22. რა გგონია? ვისაც გულის თქმა ღვთად გაუხდია; ვისაც ღმერთი განგებ დააბნევს, ვის ყურსა და გულსაც ბეჭედს დაასვამს, ვისთვისაც თვალი აუხვევია, ვინლა შეჰსძლებს ისეთი ადამიანის წარმართებას, რაკი ღმერთს დაუბნევია? ნუ თუ ვერ ჩახვდეთ?

23. სხვა ცხოვრება არაა თვინიერ ნამღვილის ცხოვრებისაო, ამბობენ. ჩვენ ვიბოცებით და ვცოცხლობთ, მარტოდრო ამოგვიჭამსო. არა იციან-რა, მხოლოდ გულს გაივლებენ.

24. როცა ჩვენს ცხადს სასწაულებს (ჩვენს ნათელ მუხლებს) უკითხვენ, რას ამბობენ: ამბობენ, ბრძანე, ჩვენის მამების ცხოვრებას ჩვენ დაუბრუნდეთ, თუ სიმართლეს ლაპაპარაკობთო.

25. მათ უთხარ: ღმერთმა გაცოცხლოსთ, ხოლო შემდგომ დაგბოცოსთ. მასუკან შეგყაროსთ აღდგომის დღეს. საეჭველი როდია; მაგრამ ადამიანთა უმეტესმა ნაწილმა არ უწყის.

26. ღმერთს ეკუთვნიან ცანი და ქვეყანა; იმ დღეს, ოდეს ჟამი მოიწიოს, ჭეშმარიტების უარყოფელნი კაცნი წაწყმდენ.

27. ყოველი ხალხი მუხლმოყრილი ნახო. თვითოეული ხალხი თავისის წიგნის წინაშე მოწოდებულ იქმნეს. იმ დღეს დაჯილდოებულ იქმნეთ თქვენთა საქმეთაებრ.

28. ეს წიგნი ჩვენდაა; სრულის ქეშმარიტებით ილაპარაკოს თქვენ თაობაზე, ვინადგან წერილს გავანდობთ მას, რასაც შერებით.

29. ღმერთმა თავისის მოწყალებით მიიღოს იგინი, რომელთაც ჰსწამდათ და კეთილს იწვრთოდენ. ცხადი ნეტარებაა.

30. ურწმუნოებს უთხრან: ნუ თუ ჩვენი სასწაულები თქვენთვის არ წაუკითხავთ? მაგრამ ორგულობისაგან, თავს გახვედით და ცოდვილი ხალხი იყავით.

31. როცა თქვენ გეუბნებოდენ: ღვთის დაპირებული თვითონ ქეშმარიტებაა და ჟამის მოწვენა ექვ-მიუკარებელიაო, ამბობდით: არ ვიცით; ჟამი რაა; ბუნდად გვაქვს მოსაზრებული და მისდა სარწმუნოდ-კი არაფერი მოგვეპოება.

32. მაშინ ავი ნამოქმედარი თვალთ წარმოუდგესთ და სასჯელმა, რომელსაც დაჰსცინოდენ, ყოველის კუთხით შეიპყროს იგინი.

33. იმ დღეს მათ უთხრან: ჩვენ დაგივიწყეთ, როგორათაც თქვენ დაივიწყეთ თქვენის უფლის წინაშე გამოცხადების დღე; ცეცხლი გექმნესთ სამკვიდროდ და არც გეშველოსთ.

34. რადგანაც ღვთის სასწაულები სასაცილოდ გაიხადეთ და ამა სოფლის ცხოვრებამაც დაგაბრმავათ. იმ დღეს აღარ მოაბრუნონ იგინი ქვეყნად, რათა სამაგალითო ცხოვრებით, ღვთის სათნოება დაიმსახურონ.

35. ქება სრულიად ღმერთს ეკუთვნის, ღმერთსა ცათა და ქვეყნის მეუფესა, მსოფლიოს მეუფესა.

36. დიდება მას ეკუთვნის ცათა შინა, როგორათაც ქვეყანაზე; იგია შემძლებელ, ბრძენი.

თ ა ვ ი XLVI

ა ლ ა ჰ ქ ა ტ.

ნახობების შექმნა. — 35 მუხლი.

ს ა ხ ე ლ ი თ ა

ღ ვ თ ი ს ა

მოწყალისა და შემწყნარებლისა.

1. ჰა. შიმ. აი წიგნის გამოცხადება ღვთის მიერ ძლიერისა და ბრძნისა.

2. ჩვენ გავაჩინეთ ცანი და ქვეყანა და ყველაფერი, რაცაა მათ შუა, რაც მათ გაჰყოფს, ქემმარიტის გაჩენით და განუსაზღვრელის დროისათვის; მაგრამ ურჯულოები შორდებიან გაფრთხილებას, რომელიც ეძლევათ.

3. მათ უთხარ: რა გგონიათ! აბა მიჩვენეთ, რაც თქვენ მოგონილ ღმერთებს გაუჩენიათ ქვეყანაზე, მონაწილეობა რამე აქვს თუ არა ცაში? თუ მართლის მთქმელ ხართ, მომიტანეთ ამის უწინარეს გამოცხადებული წიგნი, ან მხოლოდ ცოდნის (საღვთო განცხადების) რამდენიმე ნიშანი, ისეთი, რომ მაგას ამტკიცებდეს.

4. განა იქნება ვინმე დაბნეული მის უმეტეს, ვინც ღვთის თანასწორ მოუწოდებს ღმერთსა, რომელმაც ვერაფერი მიუგოს აღდგომის დღემდე? ღმერთები იგი ყურსაც არ ათხოვენ მათ მოწოდებასა.

5. ოდეს ხალხი სამსჯავროდ შეიყაროს, ღმერთნი იგი მათდა მტერ იქმნენ და უმადურნიც გამოდგნენ.

6. როცა ურჯულოებს ჩვენს ნათელს მუხლებს (ცხადს სასწაულებს) უკითხვენ, მათ რო მოევლინათ, იმ ქემმარიტებისას იტყვიან, დამტკიცებული თვალმაქცობააო.

7. ნუ თუ ჰსთქვან: მან (მუჰამადმა) მოიგონაო (კურანი), უთხარ: თუ ჩემი მოგონილია, ჰყავთ, ღვთისაგან არაფერი მივიღო. მაგრამ ღმერთმა უკეთ იცის, რასაც ამბობთ. ისიც მეყოფა, მოწმედ ვიყოლიო იგი თქვენსა და ჩემ შორის. იგია მომხედველ, შემბრალებელი.

8. ჰსთქვი; მე არა ვარ მარტო ერთი მოციქული, რომელიც კი ოდესმე ყოფილა და არც ვიცი, თუ ღმერთმა რა უნდა ჰქმნას ჩემგან, არც ის, თუ რა უნდა ჰქმნას თქვენგან; მე ავაყოლებთ მხოლოდ მას, რაც განმეცხადა; მხოლოდ საჯაროდ გაფრთხილებას დავალებულ ვარ.

9. მათ უთხარ: რა გგონიათ? თუ ეს წიგნი ღვთისაგან მოდის და თქვენ არა გრწამსთ, თუ მოწმე, ისრაელის შვილთა შორის არჩეული კაცი ამტკიცებს მის თანხმობას მოსეს წიგნთან და ერწმუნება, ხოლო თქვენ ამაყად უარჰყოფთ, ჰსთქვით: რა ბედის ღირსნი ხართ? მაგრამ ღმერთ არ წარუმატებს ბოროტთა.

10. ურჯულოები მორწმუნეთათვის ამბობენ: კურანი რო კარგი რამ ყოფილიყო, მის მიღებას ვერ დაგვასწრებდნო, ხოლო რადგანაც წინამძღოლად არ ღებულობენ მას, კიდევც ამბობენ, ძველი დროის სიცრუეაო.

11. კურანამდე მოსეს წიგნი იყო, ბოძებული კაცთათვის გამძღოლად და ღვთის მოკეთეობის დასამტკიცებლად; დიახ ეს (კურანი) განამტკიცებს არაბულის ენით მეორესა, რაც ბოროტებს ეუწყოსთ, ხოლო ქველთა მიიღონ სანეტარო ამბები.

12. ვინც ამბობენ: ჩვენი უფალი ღმერთიაო და სიმართლით იქცევინ, ყოველის შიშისაგან დაფარულ იქმნენ და არც აწყენინონ მათ.

13. სამოთხეს ეუფლონ, შიგ საუკუნოდ დაემკვიდრონ და ჯილდოც თავის საქმეთაებრ მიიღონ.

14. ადამიანს ვამცენით კარგად მოქცევა თავისის დედამის მიმართ; დედას გაჭირვებით უტარებია იგი და გაჭირვებითაც დაუბადებია, ხოლო ფეხმძიმობა და წოვება ძუძუს გაშ

ვებინებამდე ოცდაათს თვეს გაატანს. ბოლოს მოწიფულობაში ჩადგება, ორმოცის წლის გახდება და ღვთისადმი ამ ვედრებას აღავლენს: უფალო, ჩამაგონე მადლობა სიკეთისათვის, რომლითაც ამავსე: ბრძანე, ვიქმოდე კეთილს, შენდა სათნოსა; შვილებში ბედი მომეც. შენთან მოვიქცევი და ვარ მათგანი, რომელნიც შენს ნებას მიენდობიან.

15. იმ კაცთა ყოვლად საჩინო ნაღვაწი შევიწყნაროთ, ხოლო უკეთურებს ჩაუაროთ; სამოთხის მკვიდრთა შორის ჩაირიცხონ. პირობა იგი, რომელიც მათ დაუდევს, უტყუარი პირობაა.

16. ვინც თავისს შშობლებს ეუბნება: თქვენთვისამც შემიფურთხებია! ჩემის საფლავითგან კვალად შობას ნუ თუ მპირდებით, მაშინ როცა ჩემამდე იმდენ თაობას გაუვლია და გამკრალა? შშობლები მის დაფარვას ღმერთს შეევედრონ. ვარ შენ! უთხრან მას; იწამე, ვინადგან ღვთის აღნათქვამი ქეშმარიტებაა. ხოლო მან ჰსთქვას: ეგ ძველთა ზღაპრებიაო.

17. იგი იქმნეს მათგანი, ვის თავსაც ღვთის სიტყვა ახდა, სიტყვა, წარმოთქმული მათ უწინარეს ყოფილ ერთა, კაცთა და ჯინთა ხალხების წინააღმდეგ; წაწყმდენ იგინი.

18. ყველასთვის ხარისხებია, მათის ნამოქმედარის ხარისხები, რათა ღმერთმა ყველას ნამოქმედარისთვის სისწორით გადუხადოს და მათაც არა ეწყინოსთ რა.

19. იმ დღეს, ოდეს ურჯულოები ცეცხლს მიჰსცენ, უთხრან მათ: ქვეყნიერ ცხოვრებაში თქვენდა ბოძებულნი ძვირფასნი (ნიჭნი) გაგიფანტავთ; გინდოდათ მათგან საჩქაროდ დამტკბარიყავით; დღეს უპატიურობის სასჯელი მოგენიქოსთ, ვინადგან ქვეყანაზე უსამართლოდ ამაცნი გამოდექით და მეტისმეტობასაც მიეცით თავი.

20. (კურანში) მოიგონე ადის ძმა, რომელმაც თავისს ხალხს უქადაგა ალაკაფში, სადაც მანამდე და მის შემდეგაც სხვა მოციქულები ყოფილან: მათ ეუბნებოდა: ღვთისა თუი-

ნიერ სხვა ღმერთებს ნუ ეთაყვანებით, ვინადგან თქვენ წილ მე მეშინია დიდის დღის სასჯელისა.

21. განა მიტომ მოდიხარო, უთხრეს; რომ ჩვენს ღმერთებს დაგვაშორო? თუ მართლის მთქმელ ხარ, მოაწიე უბედურება, რომელსაც გვემუქრები.

22. ერთს ღმერთსა აქვს მისი ცნობაო, მიუგო, შე განემარტებ მხოლოდ ჩემს მოციქულობას, მაგრამ ვხედავ, რომ უმეცრებაში ჩავარდნილი ხალხი ყოფილხართ.

23. ხოლო როცა იხილეს ღრუბელი, მათის ქალებისა-კენ მომავალი, ერთმანერთს უთხრეს: ეს ღრუბელი წვიმას მოგვმადლებსო. არა, იმას, რასაც ეშურებოდით; ქარია მკაცრის სასჯელის მომტანიო.

24. ყველაფერი გაჰსწყვიტოს უფლის ბრძანებით, ხოლო დილას ნადგომების მეტს ველარაფერს ხედავდენ. ასე მივაგებთ ცოდვილებსა.

25. მექელებო, თქვენისებურ მდგომარეობაში ჩაყენებულ გვეყვანდენ იგინი! მივანიჭეთ მათ სასმენელი, სახედველი და საგრძნობლად გული; მაგრამ ვერც სასმენელი, ვერც სახედველი, ვერც გული ვერაფრად გამოადგათ, ვინადგან ღვთის სასწაულებს უარპყოფდენ; სასჯელმა, რომელსაც დაჰსცინოდენ, დაბოლოს იგინივე მოიცვა.

26. თქვენს გარეშემო ქალაქები დავაქციეთ; ყველგან მიმოვატარეთ ჩვენი სასწაულები გაფრთხილებისა, რათა ჩვენ-დამი მოქცეულიყვნენ.

27. ხოლო, ვინც ღვთის თანასწორ არჩეულიყვნენ მათ-და ღმერთებად და მათის თაყვანისცემის საგნად, რად არ მიეშველენ მათ? პირიქით. მათ თვალთაგან გაჰქრენ. აი მათი მატყუარები, აი (ურჯულოები) რას იგონებენ.

28. ერთხელ ჯინთა ერთი გუნდი წავასხით, კურანისათვის ყური დაგვეგდებინებინა; წადგნენ და ერთმანერთს უთხრეს: ისმინეთ. ხოლო როცა კითხვა დასრულდა, მოციქულებ-ბად დაბრუნდენ თავიანთ სახლში.

29. ჩვენო ხალხო! ჰსთქვეს: ყური დაუგდეთ ერთს წიგნსა, მოსეს აქეთ ზეცით ჩამოსულსა, მაგრამ კი ისეთსა, რომელიც მანამდელ წიგნებს ამტკიცებს; ჭეშმარიტებისა და სწორის გზისაკენაა წამყვან.

30. ჩვენო ხალხო! ღვთის მქადაგებელს ყური დაუგდეთ და ერწმუნეთ; თქვენ ცოდვებს აპხოცს და სავალალო სატანჯველისაგანაც გიხსნასთ.

31. ვინც ღვთის მქადაგებელის-მიერ მოწოდებას არ მიუგოს, ღვთის მქადაგებელმა არ დაჰსძალოს იგი ქვეყანაზე, ხოლო ღვთის გარდა სხვა მფარველი ვერ იშოოს მან ასეთი ხალხი ცხად შეცდომაშია.

32. ვერა ხედვენ, ღმერთმა გააჩინა ცანი და ქვეყანა? მათი გაჩენით იგი არ დაღლილა; და მკვდრების აღდგენაც შეუძლია; დიახ, ყველაფერი შეუძლია.

33. იმ დღეს, ოდეს ურჯულოები ჯოჯოხეთის ცეცხლის წინაშე მიყვანილ იქმნენ, ჰკითხონ მათ: განა ეგ მართალია? დიახ, ჩვენმან უფალმან, მართალია, ჰსთქვან. მაშ სატანჯველში ჩაცვივდით თქვენის ურწმუნოების საფასურადო, უთხრან მათ.

34. ხოლო შენ, მუჰამმად, მოითმინე, როგორც ღვთის მოვლინებულთა შორის გამჭრიახი კაცები ითმენდენ; მათი სასჯელის დაჩქარებას ნუ ცდილობ. ერთ დღეს, ოდეს მუქარის აღსრულება იხილონ,

35. იმ ჟამს, ოდეს მოწოდებულ იქმნენ დაპირებულის სახილველად, ეგონოსთ, რომ საფლავებში დღის ერთის საათის მეტი არ დაეყოთ. ესეთია შეგონება, ხოლო ვინ გაწყდეს, თუ არ უკეთურები?

თ ა შ ი XLVII.

მ უ ჰ ა მ მ ა დ.

ნახტებიან მექას.—40 მუხლი.

ს ა ხ ე ლ ი თ ა

ღ ვ თ ი ს ა

მოწყალისა და შემწყნარებლისა.

1. ღმერთმა საქმეები აურიოს მათ, რომელთაც არა ჰსწამსთ და რომელნიც სხვებს თავიანთ გზას ააცდენენ.
2. ვისაც სარწმუნოება აქვსთ, კეთილს იწვრთიან და ჰსწამსთ, რაც მუჰამმადს გამოცხადებია (დიახ ესაა უფლისაგან მომავალი ჭეშმარიტებაა), ღმერთმა მათი ცოდვები აჰხოცოს და მათი გული წრფელ ჰყოს.
3. ასე იქმნეს, რადგანაც ურჯულონი სიცრუეს შეუდგნენ, ხოლო მორწმუნენი შეუდგნენ ჭეშმარიტებას, რომელიც თავიანთი უფლისაგან მოველინათ. ღმერთი კაცთათვის ასეთ მაგალითებს წინადაჰსდებს.
4. ოდეს ურჯულოებს შეხვდეთ, ჰოდა! ამოჰხოცეთ ისე, რომ დიდი ელეტა-ხოცვა ჩაიდინოთ, ხოლო დატყვევებულებს გზები ძლიერ შეუკარით.
5. მასჯან თავისუფლად გაუშვით, ან სახსარი თავისა დააურვეთ, როცა ომი გათავდეს. ესე მოიქეცით. ღმერთს რო ენებებინა, თვითონვე გაიმარჯვებდა მათზე: ამოჰსწყვეტდა; მაგრამ თქვენ გაბრძოლათ, რათა ურთიერთით გამოეცადენით. ვინც ღვთის გზაზე სული დალიონ, ნამოქმედარი ღმერთმა არ დაუღუპოს, მათ.
6. წარუმართოს მათ და გული მათი წრფელ ჰყოს.

7. შეიყვანოს იგინი სამოთხეში, რომელიც მათთვის გაუცნობებია.

8. მორწმუნენო! თუ ღმერთს უშველით მის ბრძოლაში უკეთურთა წინააღმდეგ, იმანაც გიშველოსთ აგრეთვე და კვალიც გაგიმტკიცოსთ.

9. წაწყმდენ ურწმუნოები და ღმერთმა გაუფუჭოს მათ ნამოქმედარი!

10. ეს იყოს სასყიდლად მათი ზიზღისა ღვთის გამოცხადების მიმართ; გაუფუჭოს მათ ნამოქმედარი!

11. ნუ თუ ამ ქვეყანაში არასოდეს გაუვლიათ? ნუ თუ არ უნახავთ, როგორი ბოლო ჰქონდა მათ მოწინავეთა, რომელნიც ღმერთმა გაანადგურა? იმისთანავე ბედი ჩვენის დროის ურჯულოებს მოელისთ.

12. რადგანაც მორწმუნეთა მფარველ ღმერთია, ურწმუნოებს-ჯი არა ჰყავსთ.

13. ღმერთმა შეიყვანოს იგინი, რომელთაცა ჰსწამსთ და კეთილს შვრებიან, წყლის ნაკადულით მორწყულ წალკოტებში. ურჯულოები დაჰსტკბენ, შჰამონ ისე, როგორათაც პირუტყვები შჰამენ; საღვომად ცეცხლი ექმნესთ.

14. რამდენი ქალაქი მოისპო, ქალაქი, უძლიერესი მისა, რომელმაც შენ გამოგაძევა! რამდენი ქალაქი მოისპო ისე, რომ მისაშველებლადაც-კი არავინ მისულიყოს!

15. ვინც უფლის ცხად სასწაულებს შეუდგება, ნუ თუ მოეპყრან მისებრ, რომელსაც თავისი ავადნამოქმედარი ჩინებული ჰგონებია და რომელიც თავის გულის თქმას აჰყოლია?

16. აი სახე სამოთხისა, რომელიც ღვთისნიერ კაცებს აღეთქვათ: წყაროები, რომელთაც წყალი არასოდეს დაუმყაყდესთ, რძის წყაროები, რომელთაც გემო არასოდეს წაუხდესთ, ღვინის წყაროები, დასატკობელი მათდა, რომელთაც დალიონ.

17. წმინდა თაფლის წყაროები, ყოველგვარი ნაყოფი და ცოდვათა მიტევება. ნუ თუ ასევე მოუვიდეს, ვისაც ცეცხლის

დასამკვიდრებლად დასჯილს შეასვან მღუღარე წყალი, რომელმაც ნაწლევები დაუგლიჯოს?

18. მათ შორის მოიპოვებიან კაცი, რომელნიც შენდა ყურის დასაგდებად მოდიან; მაგრამ მოგშორდებიან თუ არა, ეტყვიან მათ, რომელთაც მეცნიერება მიუღიათ. რას მიმოთქვამსო? ღვთისაგან ბეჭედ დაკრულ არიან და მარტო თავიანთ გულის თქმას აპყობიან.

19. ხოლო ღმერთმა კეთილ წარმართება გაუძლიეროს მათ, რომელნიც სწორე გზას შეუდგებიან და კიდევ ასწავლოს, თუ რას უნდა ერიდონ.

20. ურჯულოები რასღა ელიან? ნუ თუ იმ ჟამსა, რომელიც უნდა დადგეს ანაზღეულად? იმ დღის რამდენიმე სასწაული კიდევ მოხდა; მაგრამ გაფრთხილება იგი რაში უნდა გამოადგეს?

21. იცოდე, რომ ღვთისა თვინიერ სხვა ღმერთი არა არს; შენის ცოდვების მორწმუნე კაცთა და ქალთა ცოდვების მიტევებას ევედრე მას. ღმერთმა უწყის ყოველი თქვენი მოძრაობა და თქვენი მოსასვენებელი ადგილიც.

22. მართლ მორწმუნეები ამბობენ: ერთი სურათი მაინც ჩამოვიდოდეს მაღლით, ურჯულოთა წინააღმდეგ ომი ბრძანოსო! მაგრამ თუ გადაჭრილი სურათი მაღლით ჩამოვიდა და ომისაც ილაპარაკა, ნახო, კაცი, რომელთაც გულს უძლურება მოჰრევიათ, ისე გიყურებდენ, როგორათაც სიკვდილის ხილვით გაშეშებული ადამიანი იყურება. ამასობაში კი მორჩილება და მართებული სიტყვა-პასუხი მათთვის უფრო სამჯობინარო იქმნებოდა.

23. ღვთისადმი აღთქმას რომ დაიცავდენ, როცა საქმე (ბრძოლა) გადამწყდარია, ის უფრო უჯობს.

24. ნუ თუ თქვენის შეცდომისაკენ მიქცეულნი მოინდომებთ ქვეყანაში უწყსოების ჩადენას და სისხლის კავშირის შებლაღვის?

25. კაცნი იგი ღმერთმა დაჰსწყევლა და ყრუნი და ბრმანი დახადა.

26. ნუ თუ არ უნდა იფიქრონ, კურანს, თუ უფრო მათ გულს უნდა დაედოს მოქლონი?

27. ვინც თავიანთ ნაკვალევს დაუბრუნდებიან, რაკი ჭეშმარიტის გზის წარმართება ნათლად გამოცხადებიათ, ამ საქციელს სატანა ჩააგონებსთ და უჩურობსთ მათ.

28. იგი იქმნეს საფასური მის, რომ კაცებს, რომელთაც ღვთის-მიერ გამოცხადებული წიგნი ეზიზღებათ, ეუბნებიან: ზოგიერთ საქმეებში უნდა შემოვიდგეთო. ღმერთმა მათი საიდუმლო აზრები უწყის.

29. რა ყოფაში უნდა იქმნენ, ოდეს ანგელოზებმა სულის ამორთმევის დროს პირისახესა და ზურგში ჰსცემონ?

30. იგი იქმნეს საფასური მის, რომ შეჰსდგომიან მას, რაც ღმერთს ეზიზღება, და შეუზიზღებიათ, რაც მისი მოსაწონია, ასე რომ მათი მოქმედების ნაყოფი გააქარწყლოს მან.

31. ვისაც გულის უძლოურება ჰსწევია, განა ფიქრობენ ღმერთმა მათი სიავე წმინდად არ ამოაგდოს.

32. ჩვენ რო გვენებებინა, იმათ გახილვებინებდით, გაგაცნობდით, მუჰამად, ზოგიერთის ნიშნებითა, რომელნიც მათ განახსიათებენ. ხოლო შენ იცნო იგინი მათის იკლიკანტის ენითა. ღმერთმა თქვენი მოქმედება უწყის.

33. განსაცდელში ჩაგყარათ თქვენ, ვიდრე სარწმუნოებისათვის მებრძოლ და მედგარ კაცთა გავიცნობდეთ. თქვენი ყოფა-ქცევა გავშინჯოთ.

34. ვისაც არა ჰსწამსთ და სხვებს ღვთის გზისაგან გადაახვევინებენ, ვინც ღვთის მოციქულს გადგომია, მას შემდეგ, რაკი ჭეშმარიტი წარმართება ნათლად გამოცხადებიათ, ღმერთს ვერაფრად ავნებენ იგინი, ღმერთს კი შეუძლია, მათი ნამოქმედარი გააქარწყლოს.

35. ამორწმუნენო! ღმერთს დაემორჩილენით, წინასწარმეტყველს დაემორჩილენით, თქვენს საქმეებს ფუჰად ნუ აქცევთ.

36. ღმერთმა მიტევება არ მიანიჭოს ურჯულოებს, რომელნიც ცდილან სხვებისათვის, ღვთის გზისაგან გადაეხვევიან ბინათ, და რომელნიც ურჯულო დახოცილან.

37. ლაჩრობას ნუ გამოიჩენთ და ნურც მოიწვევთ ურჯულოებს სამშვიდობოდ, როცა უფრო ძლიერ ხართ და ღმერთიც თქვენთან ჰგეებს; თქვენის ნამოქმედარის სასყიდელი არ მოგაკლოსთ მან.

38. ამა სოფლის ცხოვრება მხოლოდ მღერა და დროს გატარებაა. თუ ღმერთი გრწამსთ და მისი გეშინიათ, თქვენი ჯილდო გიბოძოსთ და თქვენის ქონებისაგან არაფერი მოგთხოვოსთ.

39. თქვენთვის რომ ეთხოვნა და შეექირვებინეთ, პურშავი გამოდგებოდით; მაშინ თქვენს სიავეს იგი გამოაქვეყნებდა.

40. ცოტა დაინახეთ: თქვენ მოწოდებულ ხართ, თქვენ სიმდიდრე ღვთის საქმეს გადააგოთ, მაგრამ თქვენ შორის პურშავი კაცნიც ყოფილან; პურშავი კი თვისდა სავნებლად პურშაობს, ვინადგან ღმერთი მდიდარ, თქვენ-კი ღარიბ ხართ, ხოლო თუ თავი დაიძვრინეთ, თქვენს ადგილზე სხვა ერი გამოიყვანოს, ერი, რომელიც თქვენ არ დაგემსგავსოსთ.

თ ა ვ ი XLVIII.

გ ა მ ა რ ჯ ე ე ბ ა .

ნაბეძვბია მექას. — 29 მუხლი.

ს ა ხ ე ლ ი თ ა

ღ ვ თ ი ს ა

მორუალისა და ზემოყნარეხელისა.

1. შენთვის შეგხვდა ბოწყინვალე გამარჯვება,

2. რათა ღმერთს დაემტკიცებინა, რომ ძველსა და ახალს.

შეცოდებას გაპატიებს; რათა თავისი შენდამი კეთილმოქმე-
დება დაესრულებინა და სწორე გზაზედაც დაეყენებინე;

3. რათა თავისის ძლიერის შეწევნით დაეხმარებოდა.

4. მისანდოთა გულს მყუდროებას გადმოუვლენს, რათა
თავიანთი სარწმუნოება შეუწყვეტლივ განიძლიერონ (ცათა-
და ქვეყნის ძალნი ღმერთს უკუთვნიან, მეცნიერებითა და სი-
ბრძნით აღსავსეს);

5. რათა ღმერთმა თვისდა ჯერად შეიყვანოს მორწმუ-
ნენი, კაცნი და ქალნი წყალის ნაკადულით მორწყულ წა-
ლკოტებში იქ საუკუნო დასარჩენად; რათა მათი ავად ნამო-
ქმედარი აჰხოცოს. ღმერთს დიდი ნეტარება უჭირავს სათა-
ღარიგოდ.

6. დასაჯოს მლიქვნელები, კაცები და ქალები, კერპ-
თაყვანისმცემლები, კაცები და ქალები, ყველა, ვინც ღვთისა-
თვის ძვირს განიზრახვენ. უბედურების ბორბალი მათ წინააღ-
მდეგ ტრიალებს, ღმერთი მათზე გამწყრალ და მათი მაწყუ-
ვარია; მათთვის ჯანაბა აქვს გამზადებული, ხოლო რა სა-
შინელი დასასრულია!

7. ცათა და ქვეყნის ძალნი მას ეკუთვნიან; იგია ძლიერ-
და ბრძენი.

8. შენ მოგვივლენიხარ, მუჰამმად, როგორც მოწმე, რო-
მელმაც მათ წინააღმდეგ დააქვეშარიტოს, როგორც მოცი-
ქული, რომელიც აუწყებს და გააფრთხილებს.

9. რათა თქვენ, ხალხო! ღმერთი და მისი მოციქული,
გრწამდესთ, რათა მას დაეხმაროთ, პატივი ჰსცეთ და ღალა-
დებდეთ მის ქებასა დილას და საღამოს;

10. ვინც ხელის მოცემით ერთგულობას შემოგვფიცვენ,
ღმერთს შეჰფიცვენ; ღმერთს ხელი მათ ხელებზე უდვია; ვინც
ფიცი გაჰსტეხოს, თვისდა სავნებლად გაჰსტეხოს, ხოლო ვინც
პირობას უერთგულოს, ღმერთმა დიდნახელავი ჯილდო
უბოძოს.

11. უდაბნოელი არაბები, რომელნიც უკან ჩამოგრჩენი-

ათ და საომრად აღარ მოდიან, გეტყვიან: ჩვენმა ჯოგმა და ჩვენმა სახლობამ ხელი შეგვიშალა, გამოგყოლოდით; ღმერთს ევედრე, ჩვენი ცოდვები მოგვიტეოსო. მათმა ენამ ჰსთქვას, რაც მათ გულს არ იყოს. უთხარ, მათ: ვინ შეიძლოს ღვთის წინააღმდეგ ბრძოლა, თუ ნებავს. უბედურება დაგმართოსთ, ანუ კეთილი რამ მოგანიჭოსთ? ღმერთმა თქვენი მოქმედება უწყის.

12. მაგრამ თქვენ წარმოიდგინეთ, რომ მოციქული და მორწმუნენი აღარ უნდა გაბრუნდენ თავიანთ სახლობაშიო, ეს აზრიც თქვენს გულს მოჰსწონდა: უკეთური ფიქრი მოგსვლიათ, ღვთის წინაშე, წაწყმედილი ხალხი ყოფილხართ.

13. მგზნებარე ცეცხლი გვაქვსთ დამზადებული ურჯულთათვის, რომელთაც ღმერთი და მისი მოციქული არ იწამეს.

14. ცათა და ქვეყნის სასუფეველი ღმერთს ეკუთვნის, ვისაც ნებავს მიუტევებს, და ვისაც ნებავს, სასჯელს მიაყენებს; იგია მომთმენ და შემბრალეველი.

15. საიმედო საშოვარს ჩაიგდებთ და, ოჰ? მაშინ თავიანთ სახლებში დარჩენილმა არაბებმა გითხრან თქვენ: ჩვენც თქვენთან ერთად გამოგვიშვითო; მათ ჰსურსთ ღვთის სიტყვის გამოცვლა. მათ უთხარ: ჩვენთან ერთად ვერ წამოხვიდეთ. ღვთის საგანაა ესე. წინდაწინ გადაწყვეტილითქო. მაგას შურით შერებითო, გითხრან: სრულიადაც არა, მაგრამ გულისხმიერება მათგანს ცოტასა აქვს.

16. კიდევ უთხარ უდაბნოელ არაბებს, რომელნიც თავიანთის შინ დარჩენილან: საშინელ ძალა მიმადლებულის ხალხის წინააღმდეგ წასასვლელად მიგიწვიოთ, მათთან იბრძოლოთ მანამდე, ვიდრე მუსულმანები გახდებოდენ. თუ მორჩილი იქმნეთ, ღმერთმა ჩინებული ჯილდო გიბოძოსთ; ხოლო თუ თავი დაიძვრინეთ, როგორც ერთხელ კიდევ ჰქმენით, სავალალო სატანჯველს შეგყაროსთ.

17. თუ ბრმა, კოჭლი, უძლური საომრად ვერ წავლენ, ცოდვად არ ჩაეთვალოსთ. ვინც ღმერთს და მისს მოციქულს

ემორჩილება, წყლის ნაკადულით მორწყულ წალკოტებში იქმნეს შეყვანილ; ხოლო ღმერთმა სამწუხარო სატანჯველი მიაყენოს მათ, რომელთაც ზურგი შეაქციონ მის მცნებათა.

18. ღმერთი გულსავსე იქმნა მორწმუნეთა მიმართ, რომელთაც ხელი მოგცეს ერთგულობის ნიშნად ხის ქვეშ; მათ გულთა ნადები უწყადა მან; შიგ მყუდროება დაუმკვიდრათ და პირდაპირ გამარჯვებითაც დააჯილდოვა იგინი,

19. აგრეთვე მდიდრულის საშოვართაც, რომელიც წაერთმიათ. ღმერთი შემძლე და ბრძენია.

20. იგი დაგპირდათ, რომ მდიდრულ საშოვარს იშოვიდით, და კიდევ ისწრათა მისი თქვენთვის მოცემა; თქვენის მტრის ხელი მოგაშორათ, რათა ეს ამბავი მორწმუნეთათვის სასწაულად ყოფილიყო და სწორე გზაზედაც დაეყენებინეთ.

21. იგი დაგპირდათ სხვა საშოვარსაც, რომელიც ჯერ ხელთ ვერ გიგდიათ; ხოლო ღმერთი მას განსაზღვრავს და ყოვლად შემძლებელიცაა.

22. თუ ურჯულოები შეგებრძოლონ თქვენ, გაქცევა არ დააყოვნონ და საფარველიც ვერ ჰპოონ, ვერცა შველა.

23. ესაა ღვთის ჩვეულება ისეთი, რომელიც გადასულ მოდგმათა მიმართ უხმარია. ღვთის ჩვეულებაში სხვაფერიობა ვერ ჰპოო.

24. მან აოტა თქვენგან თქვენის მტრების ხელი, ისე როგორათაც იგინი მოაყოლათ საფარველ ქვეშ თქვენ-მიერ კვეთებისაგან მექას ჭალაში; რაკი მათზე გამარჯვება მოგანიჭათ. ღმერთი თქვენს მოქმედებას ხედავს.

25. მათ არა ჰსწამსთ და წმინდა სალოცავს დაგაშორებენ, როგორათაც შეაყენებენ საწირავსა და არ მიუშვებენ დანიშნულებას ეწიოს. შერეული რომ არ ყოფილიყვნენ ორთავე სქესის მორწმუნენი, რომელთაც ვერ იცნობთ; საშიში რომ არ ყოფილიყო, არეულობის დროს, ცოდვა რამ შენის მხრით, და ღმერთსაც არ მოეწადინებინა წყალობის მინიჭება, ვისთვისაც ინებებდა, ეს რომ ასე არ ყოფილიყო, განცალკევებულ-

ნი რომ ყოფილიყვნენ (მორწმუნენი ურჯულოთაგან), ურჯულოებს სამწუხარო სასჯელს მივაყენებდით.

26. მაშინ, როცა ურჯულოებმა გულს ჩაიდვეს მძვინვარება, უმეცართა მძვინვარება, ღმერთმა მყუდროება გადმოუვლინა მოციქულის გულსა. მორწმუნეთა გულს მოწიწების სიტყვა ჩაუნერგა; ღირს და ფრიად წმინდა იყვნენ მის მისაღებად. ღიახ ღმერთმა ყველაფერი იცის.

27. ღმერთმა მოციქულს სიზმარი აუხდინა, როცა ასმინა ეს სიტყვები: წმინდა სავედრებელში შეხვიდეთ, თუ ღმერთმა იპრიანა, ჯანმრთელად და უვნებლად, თავ მოპარსული და მოკლედ თმა შეკრეჭილი; უშიშრად შეხვიდეთ. ღმერთმა უწყის, რაც თქვენ არ იცით. მას გარდა, თქვენთვის შენახული აქვს გამარჯვება, რომელიც დაუყოვნებლივ შეუდგეს.

28. თავისი მოციქული მოავლინა წარმართებით და ჭეშმარიტის სარწმუნოებით გამტკიცებული, რათა ყოველის სარწმუნოების უმაღლეს დაეყენებინა. ღვთის მოწმობა გეყოფა.

29. მუჰამად ღვთის მოვლინებულია; მისი ამხანაგები ურჯულოთათვის საშინელ არიან, ხოლო ერთმანერთ შორის სიმშვიდით აღსავსე; ნახო იგინი მუხლმოყრილ და განრთხმულნი ღვთის მფარველობასა და მისდა სათნოებას ეძიებდენ; მათ შუბლზე ნიშანი, მათი მოწიწების ნაკეთი იხილოთ. აი, რას აღარებენ დაბადებას და სახარებასა. იგინი არიან იმ თესლისაებრ, რომელიც აღორძინებულა; ხარობს, იზრდება და თავისს ღერზე მაგრდება; მხენელ-მთესველს ახარებს. ასეთი არიან, რათა ურჯულოებს გული დაჰსწყდესთ, ვისაც ჰსწამსთ და კეთილ საქმეებს შერებიან, ღმერთმა ცოდვათა მიტევება და უხვი სასყიდელი აღუთქვა მათ.

თ ა ვ ი XLIX

ო თ ა ხ ე ბ ი.

ნაბოძებია მექას.—18 მუხლი.

ს ა ხ ე ლ ი თ ა

ღ ვ თ ი ს ა

მოწყალისა და შემწყნარებელისა.

1. თქვენ, რომელთაცა გრწამსთ! ღვთისა და მისის მოვლინებულის ბრძანებას ნუ წინაუსწრობთ. ღვთის გეშინოდესთ, ვინადგან ყველაფერი ესმის და უწყის.

2. თქვენ, რომელთაცა გრწამსთ! ხმას ნუ აჰსწევთ წინასწარმეტყველისაზე უმაღლეს; ისე ხმა მაღლა ნუ ელაპარაკებით, როგორც თქვენ ერთმანერთში ჰსჩადიხართ, რათა საქმეები არ გაგიფუჭდესთ, ისე რო ვერც შეიტყოთ.

3. ვინც ხმას დაიმდაბლებენ წინასწარმეტყველის წინაშე, მათთვის გული ღმერთს ნამდვილ მოწიწებისათვის მოუმართავს. ცოდვათა მიტევება და უხვი სასყიდელი მიიღონ მათ.

4. ვინც ხმა მაღლა გეძახიან, მაშინ როცა შიდა ოთახში ხარ, მომეტებულ ნაწილად გრძნობა ნაკლები ხალხნი არიან.

5. განა არ უჯობსთ, დროს უცადონ, ოდეს თვითონ შენ გამოხვიდე მათთან სალაპარაკოდ? ბევრად უკეთესი იქმნებოდა. ხოლო ღმერთი მომთმენ და მოწყალეა.

6. თუ ვინმე ავმა კაცმა ამბავი რამ მოგიტანოსთ, ჯერ მის ნათლად განხილვას ეცადენით, შიშით ვისმე უმეცრებით ბორბოტი არ უყოთ და შემდგომ არ ინანოთ.

7. იცოდეთ, რომ ღვთის მოვლინებული თქვენ შორის იმყოფება. თქვენთვის ბევრ რაშიმე ყური რო დაეგდო, ცო-

ღვაში ჩაცვივდებოდათ. მაგრამ ღმერთმა პირიანობა გამჯობინებინათ, თქვენ გულთა შორის განამშვენა იგი; ორგულობისა, არაწმიდობისა, ურჩობის მიმართ ზიზღი ჩაგბერათ. ასეთნი კაცნი სწორე გზაზე არიან,

8. ღვთის წყალობით და მისი გულუხვობის მოქმედებით. ღმერთი მეცნიერ და ბრძენია.

9. როცა ორი ხალხი მორწმუნეთაგანი ერთმანერთს ეომებოდეს, მათ შერიგებას ეცადენით. თუ ერთი მათ შორის მეორეს უსამართლოდ ეპყრობოდეს, შეებრძოლენით მას, რომელიც უსამართლოდ იქცეოდეს, ვიდრე ღვთის მცნებას შეუდგებოდენ. თუ თავისი დანაშაული აღიაროს, მეორეს შეარიგეთ სამართლისამებრ. მიუკერძოველ იყვენით, ვინადგან ღმერთს უყვარს, ვინც მიუკერძოვლად მოქმედებენ.

10. ვინადგან მორწმუნეები ყველა ძმები არიან. მაშასადამე თქვენი ძმები ჩხუბში მოარიგეთ და ღვთის გეშინოდესთ, რათა შეგიბრალოსთ!

11. კაცებმა კაცებს არ დაჰსცინონ: ვისაც გაჰკილვენ, ეგების გამკილავთა უმჯობეს იყვენ იგინი: არც ქალებმა სხვა ქალებსა: ეგების სხვათა უმჯობეს იყვენ ესენი. ერთმანერთს სახელი არ გაუტეხოთ, არც მეტი სახელი შეარქვათ. წოდება სიავისა სიგლახედ ჩაითვალოს შემდეგ სარწმუნოებისა, რომელსაც აღიარებთ! ვინც არ შეინანებენ, ჭეშმარიტად უკეთურ არიან.

12. თქვენ, რომელთაცა გრწამსთ! ერთობ ხშირს იჭეს ერიდეთ; ზოგი იჭვი შეცოდებისაა. სხვების ფეხებში მზერას ნუ ცდილობთ, ერთმანერთის ძვირს ნუ იტყვიით; თქვენგანი ვინ მოინდომებს თავისის მკვდარის ძმის ხორცის ჭამას? ეს ხო გეზიზღებათ?—მაშ ღვთის გეშინოდესთ. კაცთა მოხედვა უყვარს მას და მოწყალეცაა.

13. ხალხნო! ერთის კაცისა და ქალისაგან გაგვიჩინებართ; ოჯახებად და ტომებად დაგვინაწილებინებართ, რათა ერთმანერთის ცნობა გქონოდათ. ღვთისა წინაშე ყოვლად ღირსე

თქვენ შორის იგია, რომელსაც ყველაზედ უფრო ეშინია მისი. დიახ, ღმერთი მეცნიერ და ყველაფრის მკოდნეა.

14. უდაბნოელი არაბები ამბობენ: ვირწმუნეთო. მიუგე მათ: სრულიად არა. უმჯობესია, ჰსთქვათ: ისლამი მივიღეთო, ვინადგან სარწმუნოება თქვენს გულს ჯერ კიდევ არ მიჰკარებია. თუ ღმერთსა და მის მოციქულს დაემორჩილებით თქვენი ნამოქმედარი არცერთი დაიღუპოს, ვინადგან ღმერთი მომთმენ და შემბრალებელია.

15. მართლ მორწმუნე არიან იგინი, რომელთაც ღმერთი და მისი მოციქული ირწმუნეს და რომელნიც აღარ იქვენეულობენ, რომელნიც ღვთის გზაზე თავიანთი ქონებითა და თავიანთი კაცებით იბრძვიან. სიტყვა წრფელ მხოლოდ იგინი არიან.

16. განა ფიქრობთ, ღმერთს აჰსწავლოთ, თუ როგორია თქვენი სარწმუნოება? ყველაფერი იცის, რაცაა ცათა შინა და ქვეყანაზე; ყველაფერი უწყის.

17. ისლამის მიღებას გამადლოიან, უთხარი მათ: თქვენს ისლამს ნუ მამადლით, ღმერთსაც კარგად შეეძლო, თქვენთვის დაემზადებინა თქვენი სარწმუნოებად მოქცევა. დაიჯერეთ, თუ გულწრფელ ხართ.

18. ღმერთმა ცათა და ქვეყნის საიდუმლონი უწყის; ყოველ თქვენს მოქმედებას ხედავს.

თ ა ვ ი ლ

ქ ა თ.

ნაბადებია შექას.—45 მუხლი

ს ა ხ ე ლ ი თ ა

ღ ვ თ ი ს ა

მრწყალისა და შემწყნარებელისა.

1. კაფ. ვფიცავ დიდებულ კურანსა,
2. მათ უკვირსთ, რომ მათ წიაღთა შორის ამალღდა კაცი, რომელიც მათ აფრთხილებს. ესაა საკვირველიო, ურჯულოები ამბობენ:
3. ერთხელ მკვდარი და მიწად ქცეული ნუ თუ უნდა გამოვცოცხლდეთო? ასეთი გამობრუნება ერთობ დაშორებულიაო.
4. ვიცით, თუ დედამიწას რამდენი ჩაუნთქამს; ერთი დასული წიგნი გვაქვსთ და ამასვე ჰმოდღვრებს.
5. სიცრუედ ჩაპსთვალეს ჭეშმარიტება, რომელიც მოევლინათ. საქმე არეულ არიან იგინი.
6. თვალები ზეცას ნუ თუ არ აღმართონ, მათ თავდაზემოთ ამალღებულსა? ერთი იხილონ, თუ რა მოწყობილი გვაქვს იგი, ნაპრალებიც კი არ აჩნია.
7. ხოლო მიწა გავფინეთ და ზედ მთები მიმოვრტყორცნეთ, ყოველგვარი ძვირფასი დედალ-მამალი მოვაშენეთ.
8. დასაფიქრებელია და საცნაური ყოველის მსახურისათვის, რომელსაც უყვარს ჩვენდამი მოქცევა.
9. ზეცით ჩამოგვყავს კეთილმყოფელი წყალი; მით აღვარძინებთ წალკოტთა მცენარეულობას და თესლეულობასაც, რომელსაც მოიმკიან.

10. წოწოლა ინდისხურმის ხეებსაც, კენწეროები რომ ნაყოფით დაძენძილი აქვსთ,

11. რათა კაცთა საზრდოდ იყვეს. ცისიერის წყალის საშუალებით სიცოცხლეს მივანიჭებთ მკვდარ ქვეყანას. აღდგომაც ასე მოხდეს.

12. ნოეს ხალხს, რასის კაცთა და თემუდელებს, ამათზე წინ თავიანთი წინასწარმეტყველები მატყუარებად მიაჩნდათ.

13. აღმა და ფარაომ, ლოთის ხალხმა და ტყეთა მცხოვრებლებმა, ტობბას ხალხმა თავიანთი წინასწარმეტყველები ყველამ მატყუარებად ჩააგდო და დაიმსახურა სასჯელი, რომელსაც ვემუქრებოდით.

14. პირველმა ქმნილებამ განა ისე მოგვღალა, რომ საექველად უნდა მიაჩნდესთ ახალი ქმნილება აღდგომისა?

15. კაცი შევქმენით და ისიც უწყით ჩვენ, თუ სულმა რა უთხრა ყურში; უფრო ახლო ვართ მასთან ჩვენ, ვიდრე მისი ზურგის ძარღვი.

16. როცა ორნი შემკრებნი, კაცის სიტყვების შეკრებას დავალებულნი, იწყებენ შეკრებას, ერთი მის მარჯვნივ მჯდომარე, ხოლო მეორე მის მარცხნივ.

17. სიტყვასაც ვერ წარმოსთქვამს იგი ისე, რომ მის შესანიშნავად სრულიად გამზადებული მეთვალყურე არ ეყოლოს.

18. უექველის სიკვდილის ცნობა-მიხდილობა შეიპყრობს მას. აი საზღვარი, რომლის უკან დახევინება გასურდა.

19. საყვირსა ჰსცემენ, აი დაპირებული დღეც.

20. ყოველი სული იქ მიდის, და მასთან ერთად გამყოლი, რომელიც მას მიდენის, და მოწმეც.

21. ამ დღისთვის უზრუნველად ცხოვრებდიო, უთხრან მას; პირბადე აგხადეთ, თვალებს რომ გიფარავდა, დღეს შენი თვალთახილვა გამჭრიახია.

22. გამცილებელმა უთხრას მას: აი შენ წინააღმდეგ რა მაქვს დამზადებული-

23. ჯოჯოხეთში ჩააგდეთ ყოველი ინადიანი ურჯულო,

24. რომელიც კეთილის წინააღმდეგ იყო, სჯულთა არღვევდა და იჭენეულობდა;

25. რომელიც ღვთის თანაბრად სხვა ღმერთებს ამკვიდრებდა. საშინელ სატანჯველში ჩააგდეთ ვეგ.

26. გამცილებელმა ღმერთს უთხრას, უფალო, მე კი არ შემიცდენია ცრუ გზას ადგა ეს კაცი, ჭეშმარიტებას კარგა დაშორებულსა.

27. ჩემთან ნუ ბაასობთო, ღმერთმა უთხრას; ამ დღემდისაც გემუქრებოდით.

38. ჩემი სიტყვა უცვლელია, და არც კაცთა შემავიწროებელ ვარ.

29. მაშინ ჯოჯოხეთს შეეძახოთ: აივსე თუ არა? იმანაც გვიპასუხოს, განა კიდევა გყავსთ?

30. მის ახლო გამზადებულია მართალთათვის წალკოტი განსაცხრომელი.

31. აი რა აღეთქვა ყოველსავე ადამიანსა, რომელიც შემნანებელ იყო და ღვთის სჯულთ იცავდა;

32. ყოველსავე ადამიანს, რომელსაც მწყალობლის ეშინია და შემუსვრილის გულითაც მოდის.

33. მანდ მშვიდობით შედით, აი უკუნითი-უკუნისობის დღე.

34. ყველაფერი ნებიერად გექმნესთ თქვენ, ხოლო ჩვენ შეგვიძლია კიდევ მისი ლოცვაკურთხევის გამრავლებაცა.

35. რამდენი ხალხი გაგვიწყვეტია უფრო ძლიერი, ვიდრე შექას მცხოვრებნი! ქვეყნები მიმოვლეთ და ნახეთ, თუ რამ თავშესაფარებელია ჩვენის გულისწყრომის წინააღმდეგ!

36. საცნაურია ყოველის ადამიანისთვის. რომელსაც გული აქვს, რომელიც ყურის დამგდებია და რომელიც იხედება.

37. ცანი და ქვეყანა გავაჩინეთ და ყველაფერიც, რაც მათ შორის იმყოფება, ექვს დღეში. ხოლო მაშვრალობას არ შეუჭირვებიაართ.

38. მათი სიტყვა-პასუხი მოთმინებით აიტანე და შენის

უფლის ქებას მოჰყევრ მზის ამოსვლამდე და მის ჩასვლამდე.

39. მის ქებას მოჰყევ აგრეთვე ღამე და ორჯერ პირქვე-
დამხობის შემდეგ.

40. ყური გულდასმით ათხოვე დღესა, ოდეს მაუწყებე-
ლმა მახლობელის ადგილითგან ხმა ჰყოს.

41. დღე იგი, ოდეს კაცთა ნამდვილად გაიგონონ, ხმა იგი
საფლავებით გამოსვლისა იყვეს.

42. გამაცოცხლებელ ჩვენ ვართ, მომაკვდინებელიც ჩვენ
ვართ; ყოველის ნივთის საზღვარ ჩვენ ვართ.

43. დღე იგი, ოდეს დედამიწა მათ ფეხთა ქვეშ გაიღოს,
თავის მოყრისა იყვეს. ამის ქმნა გვეადვილება.

44. ჩვენ უწყით უკეთ, რასაც (ურჯულონი) ამბობენ,
შენ კი ძალას ვერ დაატან მათ.

45. კურანით გააფრთხილე იგინი, რომელთაც ჩვენის
მუქარის ეშინიათ.

თ ა გ ი LI

დ ა მ ს მ ე ლ ნ ი

ნახობები შექას. — 60 მუხლი.

ს ა ხ ე ლ ი თ ა

ღ ვ თ ი ს ა

მოწყალისა და შემწყანარებლისა.

1. ვფიცავ დამსმელთა,
2. ტვირთის მზიდველთა,
3. მსუბუქად მსრბოლთა.
4. და მიღებულის ბრძანებისამებრ დამრიგებელთა,
5. რაც გვეუწყება ჭეშმარიტებაჲ.
6. გასამართლება ნამდვილად მოხდეს.

7. ზეცას ვფიცავ, კვალებით დასერილსა.
8. აზრებში ერთმანერთს არ ეთანხმებით.
9. პირი მოარიდონ მას, რომელიც ჭეშმარიტ სარწმუნოებას, ერიდება.
10. წაწყმდენ ცრუნი.
11. ცრუნი, რომელნიც უმეცრების წყვდიაღში იბნევიან.
12. ჰკითხულობენ, განკითხვის დღე ოდეს მოვიდესო.
13. იმ დღეს ცეცხლში ჩაიწვან.
14. მათ უთხრან: შეემთხვიეთ სასჯელსა, რომელსაც ეშურებოდითო.
15. ვისაც ღვთის ეშინიათ, წალკოტთა და წყაროთა შორის იქმნენ
16. დამტკბარნი მით, რაც ღმერთს მათთვის მიუნიჭებია, რადგანაც კეთილს იწვრთოდენ.
17. ღამე ცოტად ჰსძინავდათ (მეტ ნაწილს ლოცვით ატარებდენ.)
18. ხოლო ცისკრის ამოსვლისას თავიანთ ცოდვათა მიტევებას ითხოვდენ.
19. მათ ქონებაში ნაწილი რამ იყო მათხოვრისა და უბედურისათვის.
20. ქვიყანაზე ღვთის ძლიერების სასწაულებია მათთვის, რომელთაც მტკიცედა ჰსწამსთ.
21. თვითონ თქვენშიაცაა: ნუ თუ ვერ ხედავთ?
22. ზეცას თქვენთვის საზრდო აქვს; შეიცავს, რაც აღგეთქვათ.
23. ცისა და ქვეყნის უფალს ვფიცავ, ეს მართალია, ისევე მართალია, როგორც მართალია, რასაც ლაპარაკობთ.
24. აბრაამის სტუმართ ამბავი გაგიგონია, თუ არა? სრულის პატივით მიღებულნი,
25. რა მასთან შევიდნენ, უთხრეს: მშვიდობაო! აბრაამმაც უთხრა მათ: მშვიდობაო! ესენი უცხონი არიანო,
26. კერძოდ უთხრა თავისიანებს, და მსუქანი ხბო მოატანინა.

27. თავის სტუმრებს მიაართვა და უთხრა მათ: ცოტას არ იგემებთო?

28. და მათდამი რაღაც შიში იგრძნო. უთხრეს მას: ნურაფრის გეშინიაო და ბრძენი ვაჭიშვილი ახარეს.

29. იმასობაში ცოლიც შემოესწრო, ყვირილი მორთო და თავში ცემით ამბობდა: მე, მოხუცმა და უნაყოფომ!

30. ესე ნებაესო, სტუმრებმა მიუგეს, შენს უფალსა ღმერთსა მკოდნესა და ბრძენსა.

31. როგორია თქვენი განზრახვა (განზრახვა თქვენის მგზავრობისა), მახარობელნო.

32. მიუგეს: ცოდვილის ხალხის მიმართ მოვლინებულ ვარ,

33. რათა ვტყორცნოთ ქვეები.

34. შენის უფლის წინაშე დანიშნული ყველასათვის, ვინც კი ნამეტნაობასა იქმს.

35. მორწმუნეები ჩამოვთვალეთ

36: და მხოლოდ მარტო ერთი სახლობა ვპოეთ ღვთის ერთგულ ხალხთა.

37. იქ სასწაულები დავტოვეთ მათთვის რომელთაც საშინელის სატანჯველის ეშინიათ.

38. მოსეს მოციქულობაში სასწაულები იყო, როცა ფარაოს მიმართ მივაღვლინეთ იგი, ცხადის ძლიერებით განმტკიცებული.

39. ხოლო მან შეაქცია ზურგი თავისის ჯარების მოიმედემ, და მოსესას ამბობდა, გრძნეული, თუ ეშმაკეულიაო.

40. იგი და მისი ჯარები შევიპყარით და ზღვაში ჩავეყარეთ. უპატიობით დაიბურა იგი.

41. ადის ხალხში სასწაულები იყო, როცა მის წინააღმდეგ დამაქცევარი ქარი ამოვიყვანეთ.

42. არც ერთის თავს გადუვლია ისე, რომ მაშინვე მუსრი არ გაეგლოს.

43. თემუდელთა შორის სასწაულები იყო, როცა მათ უთხრეს: უწყებულ ხანამდე დაჰსტკბითო.

44. უფლის ბრძანებას მეშფოთარ ექმნენ და ნიავექარიც წამოგესწროთ, როცა მას ხედავდენ დღის სინათლეზე მომავალსა.

45. ფეხზე ვერ დადგნენ, ვერც თავი გადირჩინეს.

46. ნოეს ხალხი, მათ უწინარეს არაწმინდა ხალხი იყო აგრეთვე.

47. ზეცა ჩვენის ხელით ავაგეთ და ვრცლად გადავშალეთ.

48. დედამიწა ფარდაგივით დავფინეთ. რა მარჯვედ დავგიფენია!

49. ყველაფერი დედალ—მამლად გავაჩინეთ, რათა გულის ხმა გეყოთ.

50. მაშასადამე ღვთის წინაშე ეძიეთ თავშესაფარებელი, მის მიერ მოვდივარ, რათა გულახდით გაგაფრთხილოთ.

51. ღვთის თანასწორ სხვა ღმერთებს ნუ გაიჩენთ, მის მიერ ცხადად გაფრთხილებთ.

52. ჰო და მოციქული არ მოვლენიათ მათ უწინარეს ყოფილთ ისეთი, რომ გრძნეულად, ან ეშმაკეულად არ ჩაეთვალათ.

53. განა ასეთ საქციელს ანდერძსავით დასავედრებელს გახდიან? მართლა რო მეშფოთარი ხალხი ყოფილა.

54. მაშ დაეხსენ მათ; არაფერ საყვედურში ჩავარდე.

55. მხოლოდ ქადაგებას ნუ მოიშლი. გაფრთხილება მოეშველოს მორწმუნეთა.

56. კაცნი და ჯინნი მხოლოდ მიტომ გავაჩინეთ, რომ ჩემთვის თაყვანი ეცათ.

57. არსების პურს არა ვსთხოვ; არა ვთხოვ მათ, მასაზრდოონ.

58. საზრდოს დამრიგებელი მხოლოდ ღმერთია, ძლიერ, შეურყეველი.

59. ვინც უსამართლოდ მოიქცნენ, ხვედრი ექმნესთ მსგავსი მათისა, რომელნიც ოდესმე ამნაირად მოქცეულან. ნუ ღალად ჰყოფენ ჩემდამი.

60. ვაი ურჯულოებს, დღისა გამო, რომელიც შენახულია მათთვის.

თ ა ვ ი LII

ს'ინას მთა.

ნახაძეობა მექას.—49 მუხლი.

ს ა ხ ე ლ ი თ ა

ღ ვ თ ი ს ა

მოწყალისა და შემწყნარებელისა.

1. ვფიცავ სინას მთასა,
2. წიგნს დაწერილსა
3. ხვეულ გრაგნილზე,
4. მოშენებულ სახლობასა,
5. აშუბებულ ზღვასა,
6. ამაღლებულ კამარასა,
7. ღვთის სასჯელი მიუცილებელია.
8. ვერავინ დაახვეინებს უკან.
9. იმ დღეს, ოდეს ზეცა ნამდვილის რყევისაგან ატოკდეს,
10. მთებმა ნამდვილის სიარულით გაიარონ.
11. იმ დღეს, ვაი მათ, რომელნიც მოციქულებს მატყუარობას აბრალებენ,
12. რომელნიც ამაოებაში ჩაფლულ არიან.
13. იმ დღეს, ჯანაბის ცეცხლში ჩაყრილ იქმნენ.
14. ესაა ცეცხლი იგი, რომელიც სიცრუედ მიგაჩნდათო, უთხრან მათ.
15. თავის მოხიბლვაა ეგე, თუ ვერაფერს ხედავთ?
16. ამ ცეცხლით გათბით. მოთმინებით გაუძლოთ, თუ ვერ გაუძლოთ, მისი მოქმედება ერთნაირ იქმნეს თქვენთვის; იმის სამაგიერო მოგეგოთ, რაც ჩაგიდენიათ.
17. ვისაც ღვთის ეშინიათ, წალკოტებსა და განცხრომაში იქმნენ,

18. დამტკბარნი მით, რაც ღმერთს მათთვის მიუმაღლებია. უფალმა ცეცხლის ტანჯვისაგან იხსნა იგინი.

19. ჭამეთ და სვით კარგად ყოფაშიო უთხრან მათ. ესაა თქვენის ნამოქმედარის საფასურიო.

20. ვინც რიგ რიგად დაწყობილ სარეცლებზე წამოწოლილ-იყვნენ, დიდრონი შავთვალა ქალიშვილები დაერთეთ მათ.

21. ვისაც ჰსწამდათ და ვისიც შვილები სარწმუნოებაში კვალს მიჰსდევდენ, თავიანთ შვილებთან ერთად თავმოყრილ-იქმნენ. მცირეოდენი ნივთიც არ წავართვათ ნაღვაწევი. ყოველი ადამიანი თავისს ნამოქმედარს მძევლად გაუხდება.

22. უხვად მივანიჭოთ მათ ნაყოფი და ხორცი, რაც კი ინატრონ.

23. ერთმანერთს შეჰსთავაზონ ფიალა, რომელმაც უწესური სიტყვა ვერ გამოატყვევინოს, ვერც შეცოდების შემთხვევა.

24. მათ თავს დატრიალდენ ახალგაზდა მსახურნი, ნიჟარაში ჩასმულის მარგალიტის მსგავსნი.

25. ერთმანერთთან შეყრილნი ნეტარნი ერთმანერთს გამოეკითხონ.

26. ერთ დროსაო, ჰსთქვან, ჩვენის სახლობის ნაღვლით აღსავსე ვიყავით.

27. ღმერთმა მოგვხედა; შესაზარის სასჯელისაგან დაგვიხსნაო.

28. ოდესმე ღაღად ვყოფდით მისდამი; კეთილ და მოწყალეა.

29. მუჰამმად? ურჯულოებს უქადაგე ღვთის მადლით, არც მარჩიელ, არც ეშმაკეულ ხარ.

30. თუ ჰსთქვეს, მოშიარეა; დაუცადოთ მისი ბედის უკუღმართობასო,

31. უთხარი მათ: დაუცადეთ და თქვენთან ერთად მეც დაუცადო.

32. სიზმრებს ხომ არ ჩაუგონებია მათთვის, ან არაწმიდა ხალხი ხომ არ არიან?

33. ნუ თუ ჰსთქვან, კურანი თვითონ მოიგონაო? ეს უფრო არა ჰსწამსთ.

34. მაშ მსგავსი რამ სიტყვა შეჰსთხზან, თუ გულწრფელ არიან.

35. ნუ თუ გაჩენილ არიან არაფრის თვინიერ, ან თავიანთ თავად ხომ არ გაჩენილან?

36. კაცნი და ქვეყანა მათ ხელთ ხომ არაა?—არა, ეს უფრო არა ჰსწამსთ.

37. საუნჯე ღვთისა მათ ხელთ ხომ არაა? განა, უმაღლესი დამრიგებლები არიან?

38. განა კიბე აქვსთ, რომ უყურონ მას, რაც ზეცას მოხდება? ვისაც მისთვის უყურებია, ცხადი საბუთი წარმოადგინოს.

39. ნუ თუ ღმერთს ქალიშვილნი ჰყვანან მაშინ, როცა თქვენ ვაჟიშვილნი გყვანან?

40. ნუ თუ სარჩო უნდა მოჰსთხოვო მათ? ვალები აწევსთ ხომ.

41. ნუ თუ დაფარულ საქმეთა ცნობა აქვსთ? ნუ თუ წიგნში ისევე ჰსწერენ, როგორათაც ღმერთი შვრება?

42. ნუ თუ მახის დაგება უნდათ შენთვის? პირველი ურჯულოები მოჰყვნენ შიგ?

43. განა ღვთისა თვინიერ სხვა ღმერთი ჰყავსთ?—ღვთის დიდებამან, იგი ბრძანდება კარგა უმაღლეს იმ ღმერთებისა, რომელთაც მას უამხანაგებენ.

44. ზეცის ნალეწი ჩამოვარდნილი რომ ენახათ, იტყოდენ, შეკუმშული ღრუბელიაო.

45. დაეხსენ იქამდე, ვიდრე თავიანთ ღღესა, პირის-პირ შეეყრებოდენ, იმ ღღესა, ოღეს თავზარ დაცემულ იქმნენ,

46. ღღესა, ოღეს თავიანთი ფლილობა არაფრად გამოადგესთ, ოღეს არაფერი ეშველოსთ.

47. ღღესა, უკეთურთ კიდევ სხვა ტანჯვა განიცადონ; მაგრამ უმეტესმა ნაწილმა მათ შორის კი არ იცის.

48. მოთმინებით ელოდე შენის უფლის სამართალსა. ჩვენ თვალთა წინაშე ხარ, შენს უფალს ქებით აღიდებდე, ოდეს წამოდგებოდე.

49. ღამითაც ქებით აღიდებდე მას, ოდეს ვარსკვლავნი მიმოვიდოდენ.

თ ა ვ ი LIII

ვ ა რ ს კ ე ლ ა ე ი

ნახობებია შექას—62 მუხლი.

ს ა ხ ე ლ ი თ ა

ღ ვ თ ი ს ა

მოწყალისა და შემწყნარებელისა.

1. ვფიცავ ჩამავალს ვარსკვლავსა,
2. თქვენი თანამამულიშვილია, კორეიშელნო. შემცდარი არაა, არც მოტყუებულია.
3. არც გულის თქმის რამე მოძრაობის გამო ღაპარაკობს.
4. კურანი გამოცხადებაა, რომელიც მის მიმართ იქმნა.
5. თავისის ძალით საშინელია, რომელმაც ასწავლა იგი:
6. მკაცრია: თავი შეიმაგრა სწორედ
7. ყოვლად ამაღლებულ სფეროში,
8. მერმე დაეშვა და ჰაერში ჩამოკიდებული დარჩა.
9. ორის მშვილდის მანძილზე, ან კიდევ უფრო ახლო იყო.
10. და ღვთის მსახურს გამოუცხადა, რაც მისთვის გამოსაცხადებელი ჰქონდა.
11. მუჰამადის გული არ ჰსტყუის. ნახული ჰყავს იგი.
12. განა საეჭვოდ უნდა მიიჩნიოთ, რაც უხილავს?
13. იგი უხილავს მეორე ჩამოსვლის დროსა,
14. სამზღვრის ლოტუსის მახლობლად.

15. იქ, სადაც საუკუნო სამყოფელი წალკოტია.
16. ლოტუსი დაფარულ იყო მით, რაც ჰფარავდა.
17. წინასწარმეტყველის თვალი მას ყველაფერს ერთწამსაც არ მოჰრიდებია, არც მოჰშორებია.
18. თავისის უფლის ყოვლად უდიდესი საკვირველება იხილა.
19. ელ-ლატისა და ალ-ოცასი რა გგონიათ?
20. და მენატის, კიდევ სხვა მესამე კერპისა?
21. ნუ თუ მამაკაცები გეყოლებათ თქვენ, ხოლო ღმერთს დედაკაცები?
22. ესრეთი განაწილება უსამართლოა.
23. ეს მარტო სახელებია; თქვენ და თქვენ მამებს ისე დაურქმევიათ. ღმერთს ამის საბუთი არაფერი მოუცია თქვენთვის; თქვენ აპყოლიხართ თქვენის გულის ზრახვასა და თქმას, თუმცა კი თქვენის უფლისაგან წარმართება მიგიღიათ.
24. აღამიანს განა ყველაფერი უნდა ექმნეს, რაც ინატროს?
25. ღმერთს ეკუთვნის უკანასკნელიც და პირველიც.
26. ცათა შინა რა ერთი ანგელოზია, რომელთაც შუამავლობა არაფრად გამოდგეს.
27. მის გარეთად, თუ ღმერთმა შუამავლობის ნება მისცა მას, რომელიც ისურვოს, მას, რომელიც მოიწონოს.
28. ვისაც ყოფადი ცხოვრება არა ჰსწამსთ, ანგელოზებს ქალების სახელით აღნიშვნენ.
29. მისი არაფერი იციან, მარტო ფიქრებს აპყოლიან. ფიქრი ჭეშმარიტების აღგილს სრულიად ვერ დაიჭერს.
30. მოჰშორდი მას, რომელიც ზურგს შეაქცევს, როცა ჩვენსას ლაპარაკობენ, რომელიც მხოლოდ ამა სოფლის ცხოვრებას ნატრულობს.
31. აი თუ სადამდე მიდის მათი მეცნიერება, შენმა უფალმა უკეთ იცის, ვიდრე ვინმე სხვამ, თუ ვინ იბნევა და ჰშორდება, მის გზას; უკეთ უწყის მან, თუ ვინაა ჭეშმარიტ გზაზე.
32. ყველაფერი, რაცაა ცათა შინა და ქვეყანაზე, ღმერთს ეკუთვნის; ბოროტის ჩამდენთ მიაგოს მათ საქმე-

თაებრ; ჩინებულის ჯილდოთი დაასაჩუქროს იგინი, რომელ-
თაც კეთილი უწვრთიათ.

33. ვინც დიდ-დიდ ცოდვებსა და სისაძაგლეს ერიდებიან
და მხოლოდ მსუბუქ შეცდომაში ჰსცვივიან, მათკენ ღმერთი
დიდის მოწყალებითაა. კარგად გიცნობდათ, როცა მიწით-
გან გამოჰყვანდით; გიცნობსთ, როცა მარტო ხართ თქვენთა
დედათა გვამებში. თავის გამართლებას ნუ ცდილობთ; უკეთ
იცნობს იგი, ვიდრე ვინმე სხვა, მას, რომელსაც მისი ეშინია.

34. ხომ გინახავს ზურგის შემაქცევარი,

35. ცოტას გამღები და ხელმოჭერილი?

36. ნუ თუ ფარულ საქმეთა ცნობა აქვს და ნუ თუ
მათ ხედავს?

37. განა მისთვის არ წაუკითხავთ, თუ რა ჰსწერია მო-
სეს ფურცლებში.

38. და თავისის ფიცის ერთგულის აბრაამისაში?

39. თავისის საკუთარის ტვირთის მზიდველმა სულმა სხვი-
სი ველარ ზიდოს.

40. ადამიანს მხოლოდ თავისი შენაძენი ექმნეს.

41. მისი ღონის ძიება ნამდვილის ღირებულობისამებრ
დაფასდეს.

42. უმეტნაკლებო სამაგიეროთი დაჯილდოვდეს.

43. შენი უფალი განა ყველაფრის საზღვარი არაა?

44. გამაცინებელია, ამტირებელიცაა.

45. მომაკვდინებელია, გამაცოცხლებელიცაა.

46. მისი გაჩენილია მამალი და დედალი,

47. ერთი წვეთი თესლისაგან, როცა იგი ითხევის
(საშვილოსნოში).

48. მეორე ქმნილება მისი საზრუნველია

49. გამდიდრებელ, მომახვეჭინებელია.

50. ძაღლის ვარსკვლავედის უფალია.

51. ძველი ხალხი აღისა მან დაღუპა.

52. თემუდის ხალხიც ძველთაგანი ერთიც არ დაუტოვებია.

53. ხოლო ამათ უწინარეს ნოეს ხალხი, რომელიც იყო ყოვლად უკეთურ და ყოვლად არაწმინდა.

54. დაქცეული ქალაქები მისი დაქცეულია.

55. ზეციერმა სასჯელმაც სრულიად გარემოიცვა იგინი.

56. ხოლო ღვთის რომელი ერთი მოკეთებობა უნდა გაისაქველო?

57. მოციქული იგი, რომელიც თქვენ გაუწყებსთ, უმანდელთაებრივია.

58. ჟამი, რომელიც უნდა მოიწიოს, ახლოვდება, ხოლო მის წინააღმდეგ ღონე კი არაა, თუ არ ღვთის წინაშე.

59. ნუ თუ ამ სიტყვების მიზეზია, რომ განცვიფრებაში ხართ,

60. და ტირილის ნაცვლად იცინით,

61. და დროს ატარებთ თავგასულობითა?

62. უმჯობესია, ღვთისა წინაშე განერთხათ და თაყვანისცემთ მასა.

თ ა ვ ი LIV

მ თ ვ ა რ ი

ნაბოძებია მექას.—55 მუხლი.

ს ა ხ ე ლ ი თ ა

ღ ვ თ ი ს ა

მოწყალისა და შემწყნარებლისა

1. ჟამი მოიწია და მთვარეც გასჰკდა;
2. მაგრამ ურჯულოები, თუმც სასწაულს სრულიად ხედვენ, პირს უკან იბრუნებენ და ამბობენ: მუდამ ჟამიერი თვალთმაქცობააო.

3. ეს გაფრთხილება სიცრუედ ჩააგდეს მათ: თავიანთ მადას აჰყენენ, მაგრამ ყოველი ნივთი შეუცვლელად განსაზღვრულა.

4. ამასობაში კი ყურს აგდებინებდენ მოთხრობისათვის, სადაც მათდა შიშის მომგვრელი რამ იყო.

5. იგია უმაღლესი სიბრძნე, მაგრამ გაფრთხილება არაფრად გამოადგებათ.

6. მაშ, დაეხსენ მათ, მუჰამმად! იმ დღეს, ოდეს ყველა კაცთა მოწოდებას დავალებულმა ანგელოზმა მათ მოუწოდოს რაღაც საშინელისათვის,

7. ძირს დახედვით გამოვიდენ თავიანთი საფლავებითგან, დაფანტულის კუტიკალიების მსგავსად,

8. ჩქარის ნაბიჯებით მოსწრაფენი იმ ანგელოზთან, რომელიც მათ უძახდა. ურწმუნოებმა მაშინ ჰსთქვან: აი გაჭირვების დღეო.

9. მათ უწინარეს, ნოეს ხალხმა ჭეშმარიტება სიცრუედ ჩააგდო; ჩვენს მსახურს (ნოეს) მატყუარასავით მოეპყრო. ამბობდენ: ეშმაკეულიაო, და გაგდებულ იქმნა.

10. თავისის უფლის მიმართ ღალად ჰყო თქმითა: შევიწროებულ ვარ, ჩემდა შემწედ მოდიო.

11. ცის კარები გავადეთ საშუალებით წყალისა, რომელიც თქეშად წვიმდა.

12. დედამიწა წყაროებად დაჰსკდა და ზეცის წყალი წყაროების წყალს შეუერთდა, წინასწარ დადებულის განჩინებისამებრ.

13. იგი (ნოე) ვატარეთ ერთის ხომალდით, რომელიც ფიცრებით და ლურსმნებით იყო ნაკეთები.

14. ჩვენ თვალთა წინაშე ცურავდა ჯილდო იყო იგი საკუთრად მისდა, რომელსაც თავი უმაღურებად (ურწმუნოებად) აჩვენეს.

15. გაფრთხილების სასწაულად ვქმენით იგი. ნუ თუ არავინაა, გულისხმა ჰყოს?

16. ჰო და, როგორი იყო ჩვენი სასჯელი და ჩვენი მუქარა?
17. კურანი ადვილ მოსასმენი გავხადეთ, რჩევისათვის გამოსაყენებელი. ნუ თუ არავინაა, გულის ხმა ჰყოს?
18. ადმა ჭეშმარიტება სიცრუედ ჩაჰსთვალა. ჰო და, როგორი იყო ჩვენი სასჯელი და ჩვენი მუქარა?
19. მათ (ადელთა) წინააღმდეგ მძლავრი ქარი ამოვიყვანეთ. უქმი-დღეს, გაუმცდარად მქროლი.
20. კაცებს იტაცებდა, როგორათაც ინდის ხურმის ძირებსა, ძალით ამოგლეჯილსა.
21. ჰო და, როგორი იყო ჩვენი სასჯელი და მუქარა?
22. კურანი ადვილ მოსასმენი გავხადეთ, რჩევისათვის გამოსაყენებელი. ნუ თუ არავინაა, გულის ხმა ჰყოს?
23. თემუდელებმა ჩვენი მუქარა სიცრუედ ჩააგდეს.
24. ნუ თუ ჩვენსავით კაცს უნდა დაუჯეროთ ჩვენაო? ამბობდენ; ჭეშმარიტად, შეცდომა და სიგიჟე მოგვივაო.
25. ზეციური უწყება განა მარტო მას მიეცემოდა ჩვენ შორისო? არა, მაგრამ თავხედი მატყუარაა.
26. ხვალ შეიტყონ, თუ ვინ ყოფილა ჩვენ შორის თავხედი მატყუარა.
27. მათ ფურ-აქლემს გამოუგზავნით ჩვენ, როგორათაც განსაცდელსა; ვნახოთ, თუ რას დაადგენ. შენ კი, სალექჰ, მოთმინება იქონიე.
28. მათ აუწყე, რომ მათ საგუბართა წყალი მათ და ფურ-აქლემ შუა უნდა გაიყოს და რომ ხვედრი წყალი ჯერით უნდა ეკუთვნოდესთ.
29. თემუდელებმა ერთ თავიანთ თანამოქალაქეთაგანს დაუძახეს, ხმალი იძრო მან და ფურ-აქლემი მოჰკლა.
30. ჰო და, როგორი იყო ჩვენი სასჯელი და ჩვენი მუქარა?
31. მათ წინააღმდეგ მოვავლინეთ მარტო ერთი ხმა ანგელოზისა. ისინი კი შეიქმნენ, როგორც ხმელის ბზის ღერი, რომელსაც ტალახში ურევენ.

32. კურანი ადვილ მოსასმენი გავხადეთ, რჩევისათვის გამოსაყენებელი, ნუ თუ არავინაა, გულის ხმა ჰყოს?

33. ლოთის ხალხმაც მუქარა მატყუარობად ჩააგდო?

34. იმ ხალხის წინააღმდეგ ქვების მტყორცნელი ნიავქარი მოვიყვანეთ. მხოლოდ ლოთის სახლობა გადავარჩინეთ განთიად.

35. ჩვენ მიერ წყალობა იყო. ასე დავაჯილდოებთ ყველ დამნახველსა.

36. ჩვენს მძლავრობას ემუქრებოდა (ლოთ) მათ, მაგრამ მუქარა საეჭვოდ გაიხადეს.

37. მის სტუმართა მოტყუება ჰსწადდათ. თვალთა ხედვა წავართვით მათ და ვჰსთქვით: ჩემი სასჯელი და ჩემი მუქარა განიცადეთ.

38. მეორე დღეს განუწყვეტლივ უღომობა სასჯელმა შეიპყრო იგინი.

39. ჩემი სასჯელი და ჩემი მუქარა განიცადეთ-მეთქი, ვამბობდი.

40. კურანი ადვილ მოსასმენი გავხადეთ და რჩევისათვის გამოსაყენებელი, ნუ თუ არავინაა, გულის ხმა ჰყოს?

41. ფარაოს სახლობაც აგრეთვე გაფრთხილებულ იქმნა.

42. მაგრამ ჩემი ყოველი სასწაული მატყუარებად ჩაჰსთვალეს. დიახ შევიპყართ იგინი, როგორათაც ღონიერი, ძლიერი შეიპყრობს ხოლმე.

43. ხოლო თქვენებური ურწმუნოები, შექელნო, ნუ თუ ამათზე უმჯობეს არიან? ან წერილში უპირატესობის რამე ბეჭედი ხომ არ მოგეძევათ?

44. ნუ თუ ჰსთქვან; დიდ ძალი რიცხვი ვართ, ერთმანერთის დამხმარეო?

45. დიდძალი რიცხვი იგი მალე გაიბნეს, ყველამ პარი იბრუნოს უკან.

46. გასამართლების ჟამი იქმნეს მათ მიერ ერთმანერთის ნახვა, ჰო! ჟამი რა სავალალო და მწარე უნდა იქმნეს!

47. ცოდვილნი ჩაფლულ არიან შეცდომასა და სიგიჟეში.

48. იმ დღეს, ოდეს პირქვე წაათრიონ იგინი ჯოჯოხეთის ცეცხლში, ჯოჯოხეთის მიკარება განიცადეთო, შექსძახონ მათ.

49. ყოველი ნივთი უწყებულის ზომისამებრ გაგვიჩენია.

50. ჩვენი ბრძანება მარტო ერთი სიტყვა იყო, სწრაფი, როგორათაც თვალის დახამხამება,

51. თქვენი მსგავსი ხალხები გაგვიწყვეტია, ნუ თუ არავინაა, გულის ხმა ჰყოს?

52. რასაც შერებიან, ყველაფერი წიგნშია ჩანიშნული.

53. ყოველი საქმე პატარა და დიდი, ყველაფერი იქაა ჩაწერილი.

54. მართალთა დაიმკვიდრონ წალკოტთა და წყალის ნაკადულთა საშუალო,

55. ქეშმარიტების საყოფელში, ძლიერის მეუფის ახლო.

თ ა ვ ი LV

შ ე მ წ ყ ნ ა რ ე ბ ე ლ ი.

ნახობები: მექას — 78 მუხლი

ს ა ხ ე ლ ი თ ა

ღ ვ თ ი ს ა

მოწყალისა და შემწყნარებელისა.

1. შემწყნარებელი მოძღვარ იქმნა კურანისა.
2. მან გააჩინა ადამიანი;
3. მან ასწავლა მკვერმეტყველება.
4. მზე და მთვარე თვლის ძალით იძვრიან.
5. მცენარენი და ხენი ღვთისა წინაშე ვანერთაზმობ.
6. მან აღმართა ზეცა, მანვე დაადგინა სასწორი,
7. რათა წონაში არ გვეკრუებინათ.

8. სწორედ აპსწონეთ და ნურც იქმთ, სასწორმა იცრუოს.
9. დედამიწაც მან დაამყარა სხვა და სხვა ხალხისათვის.
10. მიწაზე იპოება ნაყოფი და გარსში გახვეულ ხილი-ანი ინდის ხურმა.
11. ბზიანი ხორბლეული და სუნელოვანი მცენარენი.
12. რომელი ერთი ღვთის მოკეთებობა უნდა უარჰყოთ?
13. კაცი მან გააჩინა კეცისაგან, ისეთისა, მეკეცეს როგორც.
14. მანვე გააჩინა ჯინები უკვამლო წმინდა ცეცხლისაგან.
15. რომელი ერთი ღვთის მოკეთებობა უნდა უარჰყოთ?
16. იგია ორთავ აღმოსავლეთის მეუფე.
17. იგია ორთავ დასავლეთის მეუფე.
18. რომელი ერთი ღვთის მოკეთებობა უნდა უარჰყოთ?
19. მან გაჰყო ორივე ზღვა, ერთმანერთს მიკარებული.
20. მათ შორის კედელ ამართა და ერთმანერთში ველარგადად-გადმოდიან.
21. რომელი ერთი ღვთის მოკეთებობა უნდა უარჰყოთ?
22. ერთიცა და მეორეც მარგალიტსა და მარჯანს გვარგუნებს.
23. რომელი ერთი ღვთის მოკეთებობა უნდა უარჰყოთ?
24. მას ეკუთვნიან ხომალდნი, რომელნიც ზღვებს მთებოვით მიმოჰრიან.
25. რომელი ერთი და სხვა.
26. ყველაფერი, რაც ქვეყნიერობაზეა, წახდეს.
27. მხოლოდ სახე ღვთისა დარჩეს მორჩებითა და დიდებით გარემოცული.
28. რომელი ერთი და სხ.
29. ყველაფერმა, რაცაა ცათა შინა და ქვეყანაზე, მისადმი აღავლინოს თავისი ვედრება. ყოველ ღღეს რამე ახალ საქმეს იღვწის იგი.
30. რომელი ერთი და სხვ.

31. ერთ ღღეს შოვიცადოთ თქვენდა გასასამართლებლად, კაცნო და ჯინნო!

32. რომელი ერთი და სხ.

33. კაცთა და ჯინთა კრებულო, თუ კაცთა და ქვეყნის საზღვარ გაღმა გასვლა შეგიძლიათ, ჰყავთ აბა; მაგრამ იქ კი ვერ გახვიდეთ; თუ არ ნამდვილის ძლიერების მეოხებით.

34. რომელი ერთი და სხ.

35. ცეცხლის თქეშმა და გამლხვალის სპილენძისამ დაგიშინოსთ. ვერ გაიმარჯოთ თქვენ.

36. რომელი ერთი და სხ.

37. ოდეს ცა გასკდეს, ოდეს აღისფერი შეიქმნეს იგი.

38. რომელი ერთი და სხ.

39. იმ ღღეს, კაცთა და ჯინთა როდი ჰკითხონ მათი ცოდვებისა.

40. რომელი ერთი და სხ.

41. ცოდვილნი მათის ნიშნებით საცნაურ იქმნენ; თმებსა და ფეხებში ხელი წააფლონ მათ.

42. რომელი ერთი და სხ.

43. აი ჯანაბა, რომელსაც ცოდვილები საარაკოდ მსთვლიდენ.

44. აღმურისა და მდულარე წყალის გარშემო იტრიალონ.

45. რომელი ერთი და სხ.

46. ვისაც ღვთის დიადობის ეშინიათ, ორი წაღკოტი ექმნესთ.

47. რომელი ერთი და სხ.

48. ორივე ბუჩქნარივით შემკობილი.

49. რომელი ერთი და სხ.

50. ორთავეში ორი ანკარა წყარო.

51. რომელი ერთი და სხ.

52. ორთავეში ორ-ორი სახე თვითო ხილისა.

53. რომელი ერთი და სხ.

54. ფარჩის სარჩულიან ფარდაგებზე დაიდაყვებულნი მო-

ისვენებდენ, ორთავ წალკოტის ნაყოფი დაახლოვებით იქმნეს, ვინც კი მისი მოკრება მოიწადინოს.

55. რომელი ერთი და სხ.

56. იქ ახალგაზდა ქალწულნი იქმნენ, თვალად მარცხენი, რომელთაც კაცი არასოდეს მიჰკარებია, არცა ჯინი.

57. რომელი ერთი ღვთის მოკეთებობა უნდა უარ ჰყოთ?

58. სუმბულისა და ძოწის მსგავს არიან.

59. რომელი ერთი და სხ.

60. რაა კეთილის სამაგიერო, თუ არ კეთილივე?

61. რომელი ერთი და სხ.

62. იმ ორ წალკოტს გარდა, ორი სხვა კიდევ იქმნეს იქა.

63. რომელი ერთი და სხ.

64. ორი წალკოტი მწვანედ მოსილი.

65. რომელი ერთი და სხ.

66. სადაც ორი წყარო გადმოსკდეს,

67. რომელი ერთი და სხ.

68. იქ იქმნეს ხილი, ინდის ხურმა და ბროწეულები.

69. რომელი ერთი და სხ.

70. იქ იქმნენ კარგი, ლამაზი ქალები,

71. რომელი ერთი და სხ.

72. დიდ შავთვალეზიანი, კარვებში დაცული ქალწული ქალები.

73. რომელი ერთი და სხ.

74. კაცი არასოდეს მიჰკარებია მათ, არცა ჯინი.

75. რომელი ერთი და სხ.

76. მათი მეუღლენი მწვანე ბალიშებსა და ჩინებულ ფარდაგებზე მოისვენებდენ.

77. რომელი ერთი ღვთის მოკეთებობა უნდა უარ ჰყოთ?

78. კურთხეულ იყოს დიდებულობითა და გულუხვობით აღსავსე უფლის სახელი.

თ ა ვ ი LVI

მოსაეალი.

ნაბოძებია მექას.—96 მუხლი.

სახელითა

ღვთისა

მოწყალისა და შემწყნარებელისა.

1. ოდეს მოსაეალი მოიწიოს,
2. ერთი სულიც აღარ იქმნეს ისეთი, მისი მოწევნა სა-
ექვოდ გაიხადოს.
3. იგი (მოსაეალი) დამამცირებელ და ამამაღლებელ იქ-
მნეს.
4. ოდეს დედა მიწა ძლიერის ძერისაგან შეირყეს,
5. მთებმა, როგორათაც ნამუსრევმა, ინავარდონ.
6. და ყოველ კუთხეს მიმოფანტულ მტვრად იქცნენ.
7. ოდეს თქვენ, კაცნო, სამ დასად გაყოფილ იქმნეთ.
8. მაშინ იქმნენ კაცნი მარჯვენისანი (ვაშა! კაცნო მარ-
ჯვენისანო!)
9. და კაცნი მარცხენისანი (ვაი! კაცნო მარცხენისანო!)
10. პირველნი პირველნივე იქმნენ.
11. ღმერთთან ყველაზე უფრო დაახლოებულ იქმნენ.
12. განცხრომის წალკოტს დაემკვიდრონ.
13. მათ შორის დიდძალი რიცხვი იქმნეს ძველთაგანი
(აღამით მოკიდებული მუჭამმადამდე).
14. ხოლო მცირეოდენი რიცხვი ეხლანდელთაგანი (მუ-
ჭამმადის მოსვლის შემდეგ).
15. ოქროთა და თვლებით შემკობილ დასაჯდომებზე
მოსვენებულნი.

16. ერთმანერთის პირდაპირ დაიდაყვებულნი და მსხდომარენი.
17. მარად ჭაბუკი ახალგაზდები თავს დასტრიალებდენ.
18. კამკამა სასმლიანი კათხებით, ხელადებით და ფილებითა,
19. რისგანაც თავის ტკივილი ველარ განიცადონ, ვერც დათრობა,
20. ხილითა, რომელიც თავიანთი გემოვნებისამებრ ამოირჩიონ,
21. და იმ ფრინველების ხორციითაც, მათ რო ესოდენ უყვარსთ.
22. იქვე დიდშავთვალა მზეთუნახავები ეყოლოთ, ზრუნვით მოვლილ მარგალიტთა მსვავსი მზეთ-უნახავები.
23. მათი ნალვაწის სასყიდელი ასეთი იქმნეს.
24. ცოდვის ჩამადინებელი წარამარა ლაპარაკი ველარ გაიგონონ, ვერცა სიტყვები.
25. მხოლოდ სატყვები: მშვიდობა, მშვიდობაო, მოესმასთ.
26. კაცნი მარჯვენისანი (რა ბედნიერ იქმნენ კაცნი მარჯვენისანი)
27. დაისადგურებდენ უეკლო ლოტუსის ხეთა.
28. და წვერითგან ძირამდე ხილით დაძენძილ ბანანოვანთა შორის,
29. დიდზე გაწეულ ჩრდილში.
30. მდინარე წყალის მახლობლად,
31. აუარებელ ნაყოფთა საშუალ.
32. ვერავენ ჩამოჰყაროს, მიახლოვება ვერავენ აკრძალოს.
33. ხოლო ამადლებულ საწოლებზე მოისვენებდენ.
34. სამოთხის მზეთ-უნახავნი გაჩენილი გვყვანან განსაკუთრებულის შემოქმედებით;
35. მათი ქალწულობა დატული გვაქვს,
36. თავიანთ მეუღლეთა საყვარელნი და ხნით მათი ტოლნი,

37. მარჯვენის კაცთათვის დანიშნულ იქმნენ.
38. დიდძალი რიცხვი იქმნეს ძველთაგანი,
39. ეხლანდელთაგანიც დიდძალი რიცხვი.
40. ხოლო კაცი მარცხენისანი(ვაი! კაცნო მარცხენისანო!)
41. იქმნენ სენის შემყრელ ქარსა და მღულარე წყალ-
შორის,
42. შავის კვამლის აჩრდილში,
43. რომ არც გრილია, არც საამური.
44. ოდესმე სიამით სავსე ცხოვრებას ატარებდენ.
45. უწყალო ძულებზე მედგრად იყენენ.
46. და ამბობდენ:
47. ოდეს დავიხოცოთ, ოდეს მიწა და ძვლები შევიქმნეთ,
ნუ თუ ხელახლა გავცოცლხდეთო,
48. აგრეთვე ჩვენი წინაპრებიცაო?
49. ჰსთქვი: ძველთაგანი ისე, როგორც ეხლანდელთაგა-
ნიც,
50. უტყუვრად თავმოყრილ იქმნენ წინასწარ დანიშნუ-
ლის დღის კრებაზე.
51. მერმე, თქვენ, შეცდომაში ჩაფლულნო კაცნო,
თქვენ, რომელთაც არა გრწამსთ,
52. ერთის ხის ნაყოფი, ცაკუმის ნაყოფი შქამოთ.
53. მუცელი მით ამოივსოთ;
54. მასუკან მღულარე წყალი შესვათ,
55. როგორათაც წყურვილ მორეული აქლემი შესვამს.
56. ასეთი იქმნეს მათი ნადიმი განკითხვის დღესა.
57. ჩვენი გაჩენილი ხართ და რად არ უნდა იწამოთ
კვლავ აღდგომა?
58. თესლს, რომლითაც შექმნით,
59. თქვენ აჩენთ, თუ ჩვენ?
60. ჩვენი გადაწყვეტილია, რომ თქვენ შორის მკვდრე-
ბი უნდა ყოფილიყვნენ, და ვინც უნდა იყოს, ვერავინ დაგ-
ვასწროს, თუ ჩვენი ნებაა,

61. განაცვლოთ სხვას, თქვენ მსგავს ხალხსა, ან კვლავ გაწარმოოთ ისეთის სახით, რომელსაც ვერ იცნობთ.

62. პირველის გაჩენისა მოგეხსენებათ, რად არ დაუფიქრდებით?

63. თქვენს ხენა-თესვის მუშაობას განა დაკვირვებინართ?

64. ყანებს თქვენ ჰსთესთ, თუ ჩვენ ვართ მთესველი?

65. ჩვენ რო ვინებოთ, თქვენს სამკალს ხმელის ბზის ნამსეცებად ვაქცევთ, ხოლო თქვენ არ მოიშლით გაკვირვებას და ძახილსა:

66. აი დავვალთანდით, იმედი ვაგვიცრუვდა, დავიღუპენით.

67. განა დაკვირვებინართ წყალს, რომელსაცა ჰსვამთ?

68. თქვენ ჩამოგყავთ იგი ღრუბელთაგან, თუ ჩვენ?

69. ჩვენ რო ვინებოთ, მომლაშო წყლად ვაქცევთ. და მნახველ რად არა ხართ?

70. თვალი მოგიკრავსთ განა ცეცხლისათვის. რომელსაც ხეხვით შოვილობთ?

71. მის მომცემს ხეს თქვენ აჩენთ, თუ ჩვენ?

72. ჩვენ ვინებეთ, მით მოგვეცა დარიგება და სარგებლობა. სავანი უდაბნოთა მგზავრთათვის.

73. აღიდევ სახელი ყოვლად ზენარის ღვთისა.

74. ფარსკვლავთა ჩასვლა არ დავიფიცო.

75. (ეს დიდი ფიცია. უკეთუ იცით).

76. რომ კურანი კურანია,

77. შენახულ წიგნში დატულდა.

78. ვერავინ მიეკაროს, თუ არ გაწმენდილები.

79. იგია ქვეყნის მეუფის განცხადება.

80. ნუ თუ ამ წიგნს ზიზლით უნდა უყუროთ?

81. ნუ თუ თქვენი პური არსებისა ამ წიგნის წინააღმდეგ შეთხზულის მატყუარობით უნდა მოიპოოთ?

82. მაშ რატომ იმ ეამს, ოდეს გული ყელამდე მოგაწვესთ,

83. ოდეს ყოველის კუთხით მიმოიხედოთ.

84. ოდეს თქვენს ახლოს ვიყვნეთ ისე, რო ვერც კი გვაძინევდეთ.

85. მაშ რატომ, თუ არასოდეს არ უნდა გაგასამართლონ და სამაგიერო მოგაგონ,

86. სულს არ დაიბრუნებთ, გასაფრენად დამზადებულსა? ჰსთქვით, თუ გულწრფელ ხართ!

87. ვინც ღმერთთან ყველაზე უფრო დაახლოებულითა რიცხვში მოჰყვეს,

88. მისთვის შენახულ იქმნეს განსასვენებელი, სიამე და წალკოტი განცხრომისა.

89. ვინც მარჯვენის კაცთა რიცხვში იქმნეს,

90. უთხრან: მოკითხვა შენდა მარჯვენის კაცთაგანაო.

91. ვინც იქმნეს, იმ კაცთა შორის, რომელნიც წინასწარმეტყველებს მატყუარებად ჰსთვლიან,

92. შეცდომილთა შორის,

93. არჩივად მდულარე წყალი ექმნეს.

94. ცეცხლში დავსწვათ იგი

95. უტყუარი ქეშმარიტებაა ესა.

96. მაშ აქე დიადი სახელი შენის უფლისა.

თ ა ვ ი L VII.

რ კ ი ნ ა.

ნაბოძებისა შექას.—29 მუხლი.

ს ა ხ ე ლ ი თ ა

ღ ვ თ ი ს ა

მოწყალისა და შემწყნარებელისა.

1. რაც ცათა შინა და ქვეყანაზეა, ყველაფერი ქებას უგალობს ღმერთსა. იგია ძლიერ და ბრძენი.

2. ცათა და ქვეყნის საბრძანებელი მას ეკუთვნის; იგია მაცოცხლებელ, მომაკვდინებელიც იგია; მას შეუძლია ყველაფერი.

3. იგია პირველ და უკანასკნელი; გარეგან და შინაგანი, მცოდნეა ყველაფრის.

4. ცანი და ქვეყანა მან გააჩინა ექვს დღეში, შემდეგ აბრძანდა ღიდებულობის ტახტზე, უწყის, თუ დედამიწაში რა შედის და მისგან რა გამოდის, ცით რა ჩამოდის და იქ რა ადის. თქვენთანა ჰგებებს იგი; რა აღგიღზედაც უნდა იყვნეთ, თქვენს მოქმედებას ხედავს.

5. ცათა და ქვეყნის საბრძანებელი მას ეკუთვნის; ყოველივე ნივთი მასთანვე ბრუნდება.

6. ღამეს იგი მოაყოლებს დღესა, დღესაც ღამესა; უწყის, თუ გუღნი რას შეიცვენ.

7. ღმერთი გრწამდესთ, მისი მოციქულიც, და სამოწყალოდ გაიღეთ ერთი წილი იმ კეთილთაგანი, რომელიც ღმერთს სამკვიდრებლად თქვენთვის მოუნიჭებია. თქვენ შორის მათ, რომელთაცა ჰსწამსთ და სამოწყალოს გაიღებენ, უხვად ჯილდო მიიღონ.

8. რა გაქვსთ ისეთი, რომ ღმერთი არ იწამოთ, არც მისი მოვლინებული, რომელიც მოგიწევს, ერწმუნოთ თქვენს უფალსა, მას, რომელსაც თქვენი კავშირი მიუღია. რა გაქვსთ ისეთი, რომ არ იწამოთ, თუ მართლ-მორწმუნე ხართ?

9. თავისის მსახურის თავსა ცხად სასწაულებს გადმოაფლენს, თქვენდა გამოსაყვანად წყვდიადით სინათლისკენ. დიახ, ღმერთი თქვენი მოსიყვარულე და შემწყნარებელია.

10. რა გაქვსთ ისეთი, რომ თქვენი ქონება ღვთის გზით არ დახარჯოთ. როცა ცათა და ქვეყნის სამკვიდრებელი მხოლოდ ღმერთს ეკუთვნის? ვისაც თქვენ შორის თავისის ქონებითგან გაუცია გამარჯვებამდე, და პირად უბრძოლნია, აღარ მოეპყრან მისებრ, რომელსაც არაფერი გაუკეთებია. ხარისხი დაიჭიროს მან უფრო ამაღლებული ვიდრე მათ, რომელთაც თავიანთი სიმდიდრე გამოიღონ გამარჯვების შემდეგ და მასუკან იბრძოლონ. მაგრამ ღმერთმა ერთსაც და მეორესაც ჩინებული სასყიდელი აღუთქვა, იგია თქვენის მოქმედების მცოდნე.

11. ღმერთს უხვად ვინ ავალოს, რომ ღმერთმა ორეულად უზლოს მას, და მასგარდა კიდევ უხვად ჯილდო მიჰსცეს?

12. ერთ ღღეს მორწმუნეები იხილო, კაცები და ქალები, ნათელი წარუძღვესთ წინ და მარჯვენაც. ეხლაო, უთხრან, ბედნიერი ამბავი გახაროთ თქვენ, წყალის ნაკადულით მორწყულის წალკოტებისა, სადაც სამარადისოდ დარჩეთ. დიდი ნეტარებაა ესაო.

13. იმ ღღეს, პირმოთნებმა, კაცებმა და ქალებმა, მორწმუნეებს უთხრან; შემოგვხედეთ: ერთ წუთს მოიცადეთ, რომ თქვენის ნათლის მცირეოდენს ნაწილს დაგესესხოთ; მაგრამ მათ უთხრან: ქვეყნად დაბრუნდით და იქ მოითხოვეთ ეგაო მათ შუა აღიმართოს კედელი, რომელსაც კარი ექმნეს, შიგნით დაბრძანდეს მოწყალება, გარეთ და პირდაპირ წამება. პირმოთნებმა, მორწმუნეებს შეჰყვირონ: განა თქვენ-

თან არ ვიყავითო? დიახაცაო, მიუგონ, მაგრამ მარჯვე დროს მოლოდინში თქვენი თავი განსაცდელისკენ მიგყავდათ; იქნეულებაში ჩაცვივდით; ქვეყნის ამოებამაც დაგაბრმავათ; ვიდრე განგება ღვთისა არ ასრულდა. მაცდურმა ღმერთზე თავალი ავიხვიათო.

14. დღეს სახსარი თავისა თქვენგან აღარ მიიღონ, არც ურჯულოთაგან. ცეცხლი გექმნესთ საცხოვრებლად: აი რა მოიგეთ. რა საზარელი აღსასრულია!

15. ნუ თუ მორწმუნეთათვის დრო არ მოწევნილა, გულნი დაიმდაბლონ ღვთის მიერ გაფრთხილების წინაშე და ქეშმარიტების წიგნის წინაშე, რომელიც მას მოუვლენია? ნუ ემსგავსებიან მათ, რომელთაც წიგნი წინეთმიუღიათ, რომელთაც დროთი გული უქვავდებათ და რომელთა შორისაც უმეტესი ნაწილი არაწმიდები არიან.

16. იცოდეთ, რომ ღმერთი სიცოცხლეს უბრუნებს მიმკვდარებულ მიწასა. ეს სასწაულები თქვენთვის ავიხსნია, რათა გაგეგოთ.

17. ვინც სამოწყალოს გაიღებენ, კაცნი და ქალნი, ვინც ღმერთს უხვად ავალებენ, ორეულად მიიღონ, მას გარდა კიდევ უხვი ჯილდოც ექმნესთ.

18. ვისაც ღმერთი ჰსწამსთ, მისი მოციქულებიც, გულმართალნი ხალხნი არიან; თავიანთი უფლის წინაშე მოწმედ იქმნენ; თავიანთი ჯილდო და ნათელი ექმნესთ. ვისაც არა ჰსწამდათ და ჩვენს სასწაულებს სიცრუედ აგდებდენ, ჯოჯოხეთის ცეცხლში ჩაყრილ იქმნენ.

19. იცოდეთ, რომ ამა სოფლის ცხოვრება მარტო ოდენ მღერა და ამოებაა; იგია სამკაული რამ, საგანია ფუჭის დიდებისა თქვენ შორის. ქონების მოხვეჭა და შეილთა დიდრიცხვი წვიმასავითაა; მცენარეულობა, რომელიც იხარებს, ურჯულოებს მოჰსწონსთ, მაგრამ მალე დატკნება, მათი გაყვითლება და გამხმარ ჩაღებად გადაქცევა იხილო, ხოლო ყველაფრის ამის საბოლოოდ, საიქიოს, საზარელი ტანჯვაა.

20. ანუ ღვთის მიერ პატიება, მისი კმაყოფილებაც. ამა სოფლის ცხოვრება მარტო ოდენ საწუთრო სიტკბოებაა; და-მაბრმავებელი.

21. მაშ სისწრაფით იბრძოლეთ, რათა მიიღოთ ღვთის მიერ მიტევება და სამოთხე, რომლის სივრცე ცისას და ქვეყნისას უდრის, და რომელიც გამზადებულია მათთვის, რომელთაც ღმერთი ჰსწამსთ, მისი მოციქულებიც, ესაა ღვთის წყალობა, რომელიც უბოძოს, ვინცა ინებოს, ვინადგან ღმერთი განუზომელად ქველმოქმედია.

22. უბედურება არც ერთი დაატყდეს თუნდ დედამიწას, თუნდ თქვენს თავსა, ისე რომ წიგნში ჩაწერილ არ იქნეს, ვიდრე მათ გავაჩენდეთ ღვთისათვის ადვილ იყო.

23. მაშ ნუ ჰსწუხართ მისთვის, რაც ხელითგან წავივათ, (ქონების მიმართ), ნურც უზომოდ გაიხარებთ მით, რაც მოგივათ. ღმერთს როდი უყვარან ამაყნი, გულდიდნი,

24. რომელნიც, თვითონ პურშავნი, სხვებს პურშაობისათვის აღძვრენ. თუ პურშავი გულუხვობის საქმეს გაექცა, ეჰ, ღმერთი საკმაოდ მდიდარ და დიდების ღირსია; უმისოდაც გაჰსძღვებს.

25. მოციქულები მოვავლინეთ ცხად სასწაულებ თანახლებული, წიგნი და სასწორი უბოძეთ ჩვენ, რათა ხალხს სიმართლე დაეცო. მაღლით რკინა მოვავლინეთ. საშინელი სიავეა იმაში, მაგრამ სარგებლობაცაა აგრეთვე ხალხისათვის. იგი გიბოძათ საცოდნელად, თუ თქვენ შორის ვინ დაეხმაროს მას, ისე როგორთაც მისი მოციქული, საიდუმლოდ. ღმერთი შემძლებელ და ძლიერია.

26. ნოე და აბრაამ მოვავლინეთ და ნიჭი წინასწარმეტყველებისა დავამყარეთ მათ შთამომავალთა შორის, აგრეთვე წიგნიც (წერილი). ზოგი მათგანი სიმართლის გზას დაჰსდგო-მია; მაგრამ მომეტებული ნაწილი არაწმიდაა.

27. მათ შემდეგ მოვავლინეთ სხვა მოციქულები, როგორათაც იესო, მარიამის ძე, რომელსაც სახარება მივანიჭეთ;

მათ მიმდევარ მოწაფეთა გულს ჩაუდევით ჩვენ წუხილი და შებრა-
ლება; ბერული ცხოვრება მათი მოგონილია. მხოლოდ ღვთი-
სათვის სათნო ყოფის წადილისა დაგვიწერია ჩვენ; მაგრამ ისე
არ ადასრულეს, როგორც ჰმართებდათ. ჯილდო მივანიჭეთ
მათ შორის მათ, რომელთაც ჰსწამდათ, მაგრამ მომეტებული
ნაწილი არაწმიდაა.

28. თქვენ, რომელთაცა ვრ წამსთ, ღვთის გეშინოდესთ,
და მის მოციქულს ერწმუნეთ; თავისის მოწყალების ორი ხვედ-
რი მოგანიჭოსთ მან. ნათელი მოგანიჭოსთ, რათა მისი შემ-
წეობით იაროთ. თქვენი ცოდვები: აჰოცოს, ვინადგან თავმდა-
ბალ და მოწყალეა.

29. რათა წერილ მიღებულმა ხალხმა იცოდეს, მათ ხელთ
ღვთის წყალობა ერთიც არაა, ღვთის წყალობა მთლად მის
ხელთვეა და რომ ვისაც ინებებს, მას მიანიჭებს. ღმერთი
განუზომელად გულკეთილია.

თ ა ვ ი L VIII.

მოჩივარი ქალი.

ნახამქებია ნაწილად შექას და ნაწილად შედინეს. — 22 მუხლი.

ს ა ხ ე ლ ი თ ა

ღ ვ თ ი ს ა

მოწყალისა და შემწყნარებლისა.

1. ღმერთმა ისმინა სიტყვები მისი, რომელიც შენს წი-
ნაშე თავისს ქმარს უჩიოდა და რომელმაც ღმერთს საჩივარი
მიართვა. თქვენი საუბარი ისმინა, ვინადგან ღმერთს ესმის და
ხედავს ყველაფერსა.

2. ვინც თქვენგანმა თავიანთი ცოდვები გაუშვან, აქაო და
ღედებსავით შეგინახავთო (იგინი მათი ღედები კი არ არიან;

მათი დედები მათი მშობლები არიან), ურჩევნიათ, საძრახი სიტყვა და სიცრუე დაიყბედონ.

3. ღიახ, ღმერთს ზნედა ჰსჭირს მიტევება და თავმდაბლობა.

4. ვინც თავიანთი ცრულები უეჭველის გაყრის სახით გაუშვან, ხოლო მას შემდეგ თავიანთი ნათქვამი შეინანონ, ერთა მონა განათავისუფლონ, ვიდრე ორ გაყრილ მეუღლეთა შორის ახალი თანამემცხედრობა ჩამოვარდებოდეს. ასე დაუწერიათ თქვენთვის, ღმერთიც მცოდნეა მის, რასაც შვრებით.

5. ვინც გამოსასყიდად ტყვე ვერ ჰპოოს, ორი თვე ზედიზედ იმარხოს, ვიდრე გაყრილ მეუღლეთა შორის თანამემცხედრობა ჩამოვარდებოდეს, ხოლო თუ მარხვა ვერ აიტანოს, სამოცი გლახა დააპუროს. ამას გამცნებენ, რათა ღმერთი იწამოთ, მისი მოვლინებულიც. ესაა ღვთის მცნება. ურჯულოთათვის სავალალო სატანჯველია დამზადებული.

6. ვინც ღვთის წინააღმდეგ და მისი მოვლინებულის წინააღმდეგ იბრძვიან, გაუბედურებულ იქმნენ ისე, როგორათაც მათ უწინარეს ყოფილნი გაუბედურებულან. ღიახ, კიდევც გადმოვავლინეთ ჩვენის ძლიერების ცხადი სასწაულები, ხოლო უპატიურების სასჯელია მარტო დამზადებული ურჯულოთათვის,

7. იმ დღისათვის, ოდეს ღმერთმა ყველა კვალად აღადგინოს და ოდეს ნამოქმედარს მოუყვეს მათ. ღმერთი ყველაფერს ითვლიდა, მაშინ როცა მათ ავიწყდებოდათ. ღმერთია ყველაფერის მოწმე.

8. ნუ თუ ვერ ხედავ, რომ ღმერთმა ყველაფერი უწყის, რაცაა ცათა შინა და ქვეყანაზე? სამს ადამიანს შორის საიდუმლო საუბარი ისე არ ჩამოვარდეს, რომ მეოთხე არ იქმნეს იგი. არც ხუთ შორის ისე, რომ მეექვსე არ იქმნეს იგი. ვერც ნაკლებმა მოიყაროს თავი, ვერც მეტმა, ისე, რომ მათთან არ იქმნეს იგი, რა ადგილსაც უნდა იყვნენ. ხოლო მასუკან, აღ-

დგომის დღეს, მათი ნამოქმედარი მოაგონოსთ, ვინადგან ყველაფრის მცოდნეა.

9. განა არ შეგინიშნავს იგინი, რომელთაც ფარულად ლაპარაკი აუკრძალეს, მაგრამ აკრძალულს მაინც კი უბრუნდებიან. ერთმანერთში წინასწარმეტყველის წინააღმდეგ ცოდვას, მტრობას და ურჩობას ლაპარაკობენ? მერმე, როცა გამღვებებადებიან, მოგიკითხვენ იმ სიტყვებით, რომლითაც ღმერთმა მოგემშვიდობება, და თავიანთთვის ამბობენ: ღმერთი რად არ დაგვსჯის მისთვის, რასაც ვამბობთო? არ იჯავრო. ჯოჯობეთია მათი ხვედრი; მის ცეცხლს მიეფიცხონ, რა საზიზღარი დასასრულია!

10. მორწმუნენო! როცა ერთად საუბრობდეთ, ცოდვა, მტრობა და ურჩობა წინასწარმეტყველის ბრძანების წინააღმდეგ ნუ იქმნება თქვენის ლაპარაკის საგანი; ერთმანერთში მართალი და ღვთის შიში ილაპარაკეთ; გეშინოდესთ ღვთისა, რომლის წინაშე ყველა თავმოყრილ იქმნეთ.

11. ფარულად საუბარი წარმოსდგება სატანასაგან, რომელსაც თქვენი დანაღვლიანება ჰსწადია, მაგრამ სიავეს ვერაფერს შეგამთხვევსთ იგი, თუ არ ღვთის ნება-რთვით მორწმუნეებმა იქონიონ სასოება ღვთისა.

12. მორწმუნენო! ოდეს გეუბნებოდენ: ადგილი დაჰსთმეთ თქვენს შეკრებულებას, ადგილი დაუთმეთ ღმერთმა დიდძალი ადგილი დაგიტომოსთ სამოთხეში. ხოლო ოდეს გეუბნებოდენ: ადექით, ადექითო, ღმერთმა უმაღლეს ხარისხებამდე ასწიოს იგინი, რომელთაც თქვენ შორის იწამონ და მეცნიერება მიიღონ; ვინათგან ღმერთი კარგად ხედავს, რასაც შერებით.

13. თქვენ, რომელთაცა გრწამსთ! როცა წინასწარმეტყველთან კერძო საუბრებისათვის მიდიოდეთ, ვიდრე იქმოდეთ, სამოწყალო რამე გაიღეთ, უფრო გიჯობსთ და უფრო მართებულიც იქმნეს, ხოლო თუ საშუალება არ გქონდესთ, ღმერთია მომთმენ და გულშემატკივარი.

14. ნუ თუ სატორტმანოდ გაიხადოთ სამოწყალოს გაღება, ვიდრე წინასწარმეტყველს კერძოდ ესაუბრებოდეთ? თუ არა ჰქმნათ, რათა ღმერთმა მოგიტევოსთ, ვედრებით მაინც შეინანეთ, სჯულიერი სამოწყალო (გადასახადი) გაიღეთ, და ღმერთსა და მისს მოციქულს დაემორჩილენით. ღმერთი მცოდნეა მის, რასაც უვრებით.

15. ნუ თუ არ შეგინიშნავს იგინი, რომელთაც მეგობრად მიიღეს ღმერთ-გამწყრალი ხალხი? არც მათკენ არიან, არც თქვენკენ; ოდეს ფიცსა ჰსდებენ, ტყუილად და განზრახ.

16. ღმერთს მათთვის საზარელი სატანჯველი აქვს გამზადებული, ვინათგან მათი ნამოქმედარი საზიზღარია.

17. იგინი მოიბურვენ თავიანთი მოგონილის სარწმუნოების წამოსასხამსა, და სხვებს აშორებენ ღვთის გზასა, მაგრამ უპატიური სასჯელი მიეღისთ,

18. ვერც სიმდიდრე, ვერც შეილები ვერაფრად გამოადგენ ღვთის წინაშე. საუკუნო ცეცხლის მსხვერპლ იქმნენ.

19. იმ დღეს, ოდეს ღმერთმა ყველა აღადგინოს, დაიფიცონ, როგორც თქვენს წინაშე იფიცვენ, გვრწამდო. ეგონოსთ, თუ დასაყრდნობელად გამოადგესთ. რა ცრუნი არიან!

20. სატანა დაეპატრონა მათ და ღვთის სახსენებელი დააკარგვინა. იგინი წარმოადგენენ სატანას დასსა; სატანას დასი წაწყმედილია.

21. ვინც ღვთისა და წინასწარმეტყველის წინააღმდეგ იბრძვიან, განკიცხვას მიეცნენ. ღმერთს წინდაწინ აქვს ჩაწერილი ეს განჩინება: მე გავიმარჯვო, მათაც აგრეთვე, ვინც მომივლენია. ღმერთი ღონიერ და შემძლებელია.

22. ვერც ერთი იხილოთ მათგანი, ვისაც ღმერთი ჰსწამსთ და უკანასკნელი დღეც, უყვარდეს ურჯულო, რომელიც ღმერთსა და წინასწარმეტყველს მემფოთარ ექმნება, კიდევ რომ მამა, ძე, ძმა, მოკავშირე იყვეს იგი. ღმერთმა სარწმუნოება მათ გულზე გამოუჭრა, ივია მათი გამაბრძნობელი. იგინი

შეასხას განცხრომის წალკოტებში, რომელიც წყლის ნაკადულით მორწყულ არიან. სამუდამოდ დაემკვიდრონ იქა, ღმერთი მათი კმაყოფილია, იგინიც კმაყოფილ არიან ღვთისა. ღვთის დასს წარმოადგენენ; ღვთის დასმა უნდა იხეიროს.

თ ა ვ ი LIX

გ ა ხ ი მ ნ ე ა .

ნაბოძებია მკდინეს. — 24 მუხლი.

ს ა ხ ე ლ ი თ ა :

ღ ვ თ ი ს ა

მოწყალისა და უმწყნარებაელისა.

1. რაც ცათა შინა და ქვეყანაზეა, ყველაფერი ქებას უგალობს ღმერთსა. იგია შემძლებელ, ბრძენი.
2. წერილის ხალხთა შორის ურჯულონი თავიანთი სადგომებითგან მან გაიყვანა. იგია დასაწყისი მათი განიზვნისა. მათი გასვლა არ გჯეროდათ, ხოლო იგინი ფიქრობდენ, ჩვენი ციხენი ღვთის წინააღმდეგ დაგვიფარვენო. ჰო, და! ღმერთი თავს დაესხა მათ. იმ მხრით, საიდგანაც არ ელოდენ, გულის შიშის ზახით გაუმს ქვალა მათ. თავიანთ სახლებს ანგრევდენ საკუთარის ხელითაც. ამ მაგ ალითისაგან ისარგებლეთ, გონება მიმადლებულნო ხალხნო.
3. ღმერთს რო წინდაწინ არ ჰქონოდა ჩაწერილი თავისს განჩინებაში მათი განდევნა, ამ სოფლად დაჰსჯიდა მათ. ცეცხლის სატანჯველი მოელისთ ყოველთვის საიქიოსა;
4. მის გულისთვის, რომ ღმერთს და მის მოციქულს აეშალნენ. ხოლო ვინც ღმერთს აეშლება, იცოდეს, ღმერთი თავისის სასჯელით საშინელია.
5. მრავალი მათი ინდის ხურმის ხე მოგიჭრიათ, რამდენი-

მე კი ზეზე დაგიტოვებიათ. იგი იყო ღვთის ნებართვით, არა-
წმიდების დასამშვიდებლად.

6. ნადავლს, რომელიც წინასწარმეტყველს არგუნა, არც
თქვენის აქლემებით შეჰსცილებიხართ, არც თქვენის ცხენები-
თა. ღმერთი ძალას მიანიჭებს თავის მოვლინებულთა შორის
მას, რომელიც მოინანებს. იგია ყოვლად ძლიერი.

7. რაც ღმერთმა თავისს მოვლინებულს სხვადასხვა დაბა-
თა მცხოვრებლების ქონება მიანიჭა, ეკუთვნის ღმერთსა და
წინასწარმეტყველს; მისს მახლობლებს, ობლებს, ღარიბებსა
და მგზავრებსა; თქვენ შორის მდიდრებს არაფერი უნდა შეხ-
ვდეს. რაც წინასწარმეტყველმა გიბოძოსთ, ის აიღეთ, ხოლო
რისაც უარი გითხრათ, თავი გაანებეთ მას. ღვთის გეშინო-
დესთ, ვინათგან თავისის სასჯელრთ საშინელია.

8. ერთი ნაწილი (ნადავლისა) ეკუთვნის მოჰაჯერთა შო-
რის ღარიბებსა, რომელნიც თავიანთი სადგომებითგან განძვე-
ბულ და თავიანთ ქონებაზე ხელ-აღებულ იქმნენ, რომელნიც
ღვთის წყალობასა და კმაყოფილებას ეძებდენ, რომელნიც
ღმერთსა და მისს მოციქულს ეხმარებიან. იგინი არიან ქველი
ხალხი.

9. ვინც ყოველთვის თავიანთ სადგომებს ეუფლებოდენ
და სარწმუნოებაც წინეთ მიუღიათ, აძვირფასებენ ხალხს, რომ-
ელიც მათ შეაფარებს თავსა. მათ გულს სიხარბე გაცლი-
ლი აქვს, არც უნდათ ის, რაც სხვებს ერგებათ; თავიანთი
გულუხვობით უპირატესობასაც აძლევენ მათ, თუმცა სიღარი-
ბეც კია მათ შორის. დიახ, ვინც თავიანთ გულს კრიქანგო-
ბისაგან შემოიზღუდვენ, ნეტარ იქმნენ.

10. ვინც მათ შემდეგ მოსულან, ამბობენ: უფალო, მო-
გვიტევე, როგორათაც ჩვენს ძმებსა, რომელნიც ჩვენი წინას-
წარნი ყოფილან სარწმუნოებაში და მორწმუნეთა მიმართ ბო-
როტის ნდობა გულთ არ ჩავვიდო. უფალო, შენ ხარ გულ-
შემატკივარ და შემწყნარებელი.

11. ნუ თუ არ შეგინიშნავს, პირმოთენი ეუბნებოდენ

თავიანთ ძმებს, იმ ურჯულოებს წერილის ხალხთა შორის. თუ თქვენ გაგაძვევსთ, ჩვენც წამოვიდეთ თქვენთან, არავის არასოდეს დავემორჩილოთ, როცა კი საქმე თქვენზე იქმნესო. თუ ომი აგიტეხესთ, დავგებმაროთო. ღმერთი მოწმეა, რომ ჰსტყუიან.

12. არა; თუ იგინი განაძვევს, მათთან ერთად არ წავიდნენ; თუ ომი აუტეხეს მათ, არ დაეხმარონ. თუ პირველად მათდა საშველად მივიდნენ, დაბოლოს ზურგი შეაქციონ და გაიქცნენ, ხოლო თვითონ შემწეობა კი ვერაფერი იპოონ.

13. მუსულმანო, გულში შიშის ზარი ჩაუგდეთ მათ უფრო ძლიერი, ვიდრე ღმერთი, რადგანაც არაფერი გაეგებათ.

14. ერთობილად არ გებრძოლონ, თუ არ თავიანთ გამაგრებულ სოფლებში, ან გალავნებს უკან. მძლავრობა მათ შორის უკიდურესია. შეერთებულანო, გეგონოს. არა, მათნი გულნი დაყოფილ არიან, რადგანაც უგუნური ხალხია.

15. ისე ირჯებიან, როგორათაც მათ უწინარეს ყოფილნი და თავიანთი მოქმედების ცუდი ნაყოფიც კნინთა იგემეს; ვინათგან სამწუხარო ტანჯვა მოეღისთ.

16. ისე ირჯებიან, როგორათაც სატანა, ოდეს ადამიანს უთხრა: ურწმუნო იყავიო, ხოლო რაკი ადამიანი ურწმუნო შეიქმნა, წამოიძახა: არაფერ შუაში ვარ, რასაც ჩაღიხარ, ვინადგან ღვთის, ქვეყნიერობის მეუფის მეშინიაო.

17. მათ ორთავ აღსასრული ცეცხლია, საუკუნოდ დარჩნენ იქა. ასეთია უკეთურთა სასყიდელი.

18. თქვენ, რომელთაც გრწამსთ, ღვთის გეშინოდესთ! ყოველმა სულმა კარგად ნახოს, რასაც სახვალიოდ იმზადებს. ღვთის გეშინოდესთ, ვინათგან თქვენის მოქმედების მცოდნეა.

19. ნუ იქმნებით მათსავით, რომელთაც ღმერთი დაივიწყეს, და რომელნიც ღმერთმა თვითონ იგინი მიიყვანა თავის დავიწყებადღე; არაწმიდები არიან.

20. ცეცხლის მკვიდრნი და სამოთხის სტუმარნი ერთმა-

ნერთის თანაბარ ვერ იქმნებიან, ხოლო ნეტარ იქმნენ ესენი.

21. ეს კურანი რომ მთაზე გადმოგვევლინა, ღვთის ში-
შით მის დამდაბლებას და გასკდომას იხილავდი. ასეთია იგა-
ვები, რომელსაც კაცებს ჩამოუგდებთ ჩვენ, მათდა დასაფიქრებ-
ლად.

22. იგია ღმერთი იგი, რომლის გარეშე ღმერთი არა არს,
იგი მცნობია ხილულისა და უხილაფისა, იგია მწყალობელი,
შემბრალებელი.

23. იგია ღმერთი იგი, რომლის გარეშე ღმერთი არა არს,
მეუფე, წმიდა, მაცხოვარი, სარწმუნო, მცველი, ძლიერი, შემ-
ძლებელი, ყოვლად ზენარი. დიდება ღმერთსა! ხოლო მისგან
შორს, რასაც ხალხნი მას უკავშირებენ.

24. იგია ერთად-ერთი ღმერთი, შემოქმედი, დამბადე-
ბელი, დამსახველი. საუკეთესო სახელები მას ეკუთვნის. ყვე-
ლაფერი ცათა შინა და ქვეყანაზე აქებს მის დიდებას! იგია
ძლიერ, ბრძენი.

თ ა ვ ი LX.

გამოსაყდელად მოყვანილი დედაკაცი.

ნახობებია შედინეს. — 13 მუხლი.

ს ა ხ ე ლ ი თ ა

ღ ვ თ ი ს ა

მღვწალისა და შამწყნარაბელისა.

1. თქვენ, რომელთაცა გრწამსთ! ჩემს შტრებს და თქვენ-
სასაც მეგობრებად ნუ მიიღებთ. მეგობრებას უმოწმებთ მათ,
რაკი იმოწმეს, არ გვრწამს ქვემარტება, რომელიც გამოგეც-
ხადათო; თქვენ და წინასწარმეტყველს თავიანთი წრიოვან გაგ-
დებენ, რადგანაც ღმერთი, თქვენი უფალი გრწამსთ. როცა

თქვენს კერას დაჰსტოვებთ საღვთო ომის გულისთვის, რათა ჩემს გზით იბრძოლოთ და რათა ჩემი გულსავსება მიიღოთ, განა შეგობრობა უნდა უმოწმოდ მათ? მე, მე ვიცი უკეთ, რასაც დამალავთ და რასაც გამოაჩინთ, ხოლო თქვენ შორის მისი მომქმედი ჭეშმარიტს გზას ჰშორდება.

2. თქვენ რო მართო სადმე შეგხვდენ, გაჩვენებენ, თუ რამდენად გმტრობენ თქვენ, თქვენდა სავნებლად ხელსა და ენას მოიტანენ თქვენზე, თქვენს ხელახლა გაურჯულოებას მოიწადინებენ.

3. აღდგომის დღეს, თქვენ ვერაფრად გამოგადგენ თქვენი მშობლები, ვერცა თქვენი შვილები. ღმერთმა ერთმანერთისაგან დაგაცალკეოსთ თქვენ; იგი ხედავს თქვენს მოქმედებასა.

4. შვენიერი მაგალითია თქვენთვის აბრაამ და იგინიც, რომელნიც მისდა მიმდევარ იყვნენ, ოდეს თავიანთ თანამოქალაქეთ უთხრეს: თქვენთან საერთო არაფერი გვაქვსთ. ჩვენი ბრალი არაა თაყვანის ცემა იმ ღმერთების, რომელთაც ღვთის თანასწორ ეთაყვანებითო. უარსა გყოფთ თქვენ და სამუდამოდ ჩვენ შორის მტრობა და ძულება ჩამოვარდება, თუ ერთადერთი ღმერთი არ იწამეთ; მასვარდა თუ არ მიჰბაძავთ აბრაამის მეტყველებას, როცა თავისს მამას უთხრა: ღმერთს შენდა სასარგებლოდ პატიებას შევეხვეწო, მაგრამ შენთვის ვერაფერი მივიღო მისგანო. უფალო, ჩვენს სასოებას შენზე ვამყარებთ, შენდამი მოვიქცევით; ყველაფრის საზღვარი შენშია.

5. უფალო, ურწმუნოთა განსაცდელში ნუ ჩაგვყრი, მოგვიტევე, შემძლებელ და ბრძენ ხარ.

6. შვენიერი მაგალითია თქვენთვის იგინი (აბრაამ და მისიანები); შვენიერი მაგალითია მათთვის, რომელნიც ღმერთს ესვენ და უკანასკნელი დღე ჰსწამსთ. ხოლო ვინც ზურგს შეაქცევს, ღმერთი უიმისოდ გაჰსძლებს მდიდარ, დიდებულია.

7. შესაძლოა, ღმერთმა ერთ დღეს თქვენსა და თქვენ მტერთა შორის ურთიერთობრივ კეთილმოსურნეობა ჩამოაგ-

დოს. ღმერთს ყველაფერი შეუძლია, თავმდაბალ და მწყალობელია.

8. ღმერთი არ გიშლისთ, კეთილ და სამართლიანად იყვნეთ მათ მიმართ, რომელთაც თქვენ წინააღმდეგ არ უბრძოლიათ თქვენის სარწმუნოების გულისთვის და რომელთაც თქვენთა კერათაგან არ გაუძევებინათ. მათ უყვარან სამართლიანად მომქცევნი.

9. მაგრამ ყოველ კავშირს გიშლისთ მათთან, რომელთაც სარწმუნოების გულისთვის თქვენთან უბრძოლიათ, რომელთაც თქვენთა კერათაგან გაუძევებინათ, ან რომელნიც სხვებს დახმარებინან იმ საქმეში. ვინც იმათ მიიღებენ მეგობრებად, უკეთურ იქმნებიან.

10. როცა მორწმუნე დედაკაცები კერპთაყვანისცემას მორიდებული თქვენთან მოდიოდენ, მათი სარწმუნოება გამოსაცდელად გაიხადეთ. ღმერთმა კარგად უწყის მათი სარწმუნოება, მაგრამ მაინც გამოჰსცადეთ იგინი, და უკეთუ დარწმუნდეთ, რომ მორწმუნე არიან, ნულარ მიუშვებთ, რათა ურჯულოებთან გაბრუნდენ; სჯულიერი როდია იმ ქალთა ყოფნა მათთან, არც ის, რომ იგინი იყვნენ მათი ქმრები. ისკი აღუდგინეთ, რაც მათთვის მიუციათ (მათი მზითვევი). ცოდვა როდია თქვენთვის მათი შერთვა, მაგრამ მზითვევი გადუღევით მათ; ორგულ ცოლებს ნუ შეინახავთ, მაგრამ მისი დაბრუნება მოითხოვეთ, რაც მათთვის მიგიციათ მზითვის სახელით, კიდევ რომ ურჯულოებმა მოგთხოონ თქვენ ის, რაც მიცემული ექმნებათ მათთვის. ესაა მცნება, რომელსაც ღმერთი თქვენ შორის ამყარებს. იგია მეცნიერ და ბრძენი.

11. თქვენ, რომელთაცა გრწამსთ! თუ რომელიმე თქვენი ცოლითაგანი გაიპაროს, რათა ურჯულოებთან დაბრუნდეს, ხოლო თქვენ იშოვოთ ნადავლი, აღუდგინეთ მათ, რომელთაც ცოლები გაექცნენ, გაქცეულის ცოლის თანასწორი მზითვევი.

12. წინასწარმეტყველო! თუ ერთგულმა ცოლებმა შენ ხელში ერთგულების ფიცი დაჰსდონ, და თავიც ვალდებულ

ჰყონ, ღმერთს სხვა ღმერთები არ დაუამხანაგონ, არ იქურდონ, მრუშება არ ჩაიდინონ, თავიანთი შვილები არ დახოცონ, ცილის დამწამებელ ლაპარაკს ერიდონ, რაც კარგია არაფერში გაჰსწიონ ურჩობა, მათი აღთქმა მიიღე და ღმერთს მათთვის მიტევებას შეეხვეწე. იგია თავმდაბალ და შემწყნარებელი.

13. მორწმუნენო! ერთობას ნურაფერს დაიჭერთ მათთან, რომელთაც ღმერთი გაჰსწყრომიათ; ყოფადი ცხოვრების იმედი გადაჰსწყვეტიათ, როგორათაც ურჯულოებს გადაუწყდათ იმედი მათი, რომელნიც საფლავებში არიან.

თ ა ვ ი LXI.

ბრძოლის წესი.

ნაბძებია მედინეს. — 14 მუხლი.

ს ა ხ ე ლ ი თ ა

ღ ვ თ ი ს ა

მოწყალისა და შემწყნარებლისა.

1. რაც ცათა შინა და ქვეყანაზეა, ყველაფერი ქებას უგალობს ღმერთსა. იგია ძლიერ, ბრძენი.

2. მორწმუნენო! რად იტყვით, რასაც ვერ იქმთ?

3. დიდია ღვთის მძულვარება წინააღმდეგ მათდა, რომელნიც იტყვიან მას, რასაც ვერ იქმან.

4. მოყვარულია მათი, რომელნიც წესისამებრ იბრძვიან მის გზაზე, და რომელნიც მაგარ შენობასავით მტკიცე არიან.

5. მოსე თავისს ხალხს ეუბნებოდა: ჩემო ერო! გასაქირში რად მაგდებთ? ღვთის მოციქული ვარ, თქვენდამი მოვლინებული, კარგად უწყითო. მაგრამ რაკი ქეშმარიტ გზას გადუხვიეს, ღმერთმაც გადაახვევინა მათ გულსა, ვინათგან ღმერთი სჯულგადამავალთ არ წარუშმართებს.

6. იესო, მარიამის ძე, თავისს ხალხს ეუბნებოდა: ისრაელის შვილებო! ღვთის მოციქული ვარ, თქვენდამი მოვლინებული, რათა განვამტკიცო დაბადება, რომელიც ჩემს უწინარეს მოგეცათ, და გაუწყოთ მოსვლა ჩემ შემდეგ მოციქულისა, რომლისაც სახელი იქმნეს აჰმედ, ხოლო როცა მან (იესომ) ცხადი სასწაულები ახილვებინა მათ, ჰსთქვეს: ცხადი თვალთმაქცობააო.

7. ხოლო ვინაა არაწმიდა უმეტეს მისა, რომელიც სიკრულეს ჰკვერავს ღვთის თაობაზე, მაშინ როცა ისლამისკენ (ღვთის ნების მინდობად) იწვევენ მას? ღმერთი როდი წარუმართებს უკეთურთა.

8. მათ უნდათ, შეებრვით ჩააქრონ ღვთის სინათლე, იმასობაში კი ღმერთი შეჰმატებს თავისს სინათლესა (სინათლეს, რომელსაც იძლევა) კიდევ რო ურჯულონი გაჯავრდენ.

9. თავისს მოციქულს წარმართება და ჭეშმარიტი სარწმუნოება მიანიჭა მის დასაყენებლად ყველა სხვების უმაღლეს, კიდევ რო კერპთაყვანის მცემლები გაჯავრდენ.

10. მორწმუნენო! ნუ თუ გაუწყოთ სათაფნო, შემძლე მის, რომ ცოჯოხეთის ტანჯვისაგან თავი დაგახსნევინოსთ.

11. ღმერთი და მისი მოციქული იწამეთ, ღვთის გზით იბრძოლეთ, თქვენი ქონება და თქვენი თავი გაიმეტეთ; უფრო გარგოსთ, თუ გულის ხმასა ჰყოფთ.

12. ღმერთმა თქვენი შეცოდება გაპატიოსთ, წყლის ნაკადულით მორწყულ წალკოტებში შეგიყვანოსთ, ედემის წალკოტთა მომხიბლავ საცხოვრებელში, განუზომელი ნეტარებაა!

13. სიკეთენი სხვაც მოგანიჭოსთ კიდევ, რაც კი ინატროთ ღვთის შემწეობა და უსაშუალო გამარჯვება. მორწმუნეებს ხარე სანეტარო ამბები.

14. მორწმუნენო! ღვთის თანაშემწე იყავით. როგო. რათაც იესომ მარიამის ძემ თავის მოწაფეებს უთხრა: ღვთის საქმეში ვინ დამეხმაროსო? ასე ისრაელის შვილთა ერთმა ნა-

წილმა ირწმუნა, ხოლო მეორემ არ ირწმუნა, მაგრამ მორწმუნეებს ძალა მივანიჭეთ მტერთა წინააღმდეგ და გამარჯვებაც იხვედნენ.

თ ა ვ ი LXII

ყ რ ი ლ ო ბ ა.

ნაბადებია მედინეს — 11 მუხლი.

ს ა ხ ე ლ ი თ ა

ღ ვ თ ი ს ა

მ ო წ ყ ა ლ ი ს ა და შ ე მ წ ყ ნ ა რ ე ბ ე ლ ი ს ა.

1. რაც ცათა შინა და ქვეყანაზეა, ყველაფერი ქებას უგალობს ღმერთსა, მეუფეს, წმიდას, ძლიერსა, ბრძენსა,

2. უფიცი ხალხში მათ შორისვე აყვანილი მოციქული აღადგინა, რათა მათთვის უფლის სასწაულები ეამბნა, რათა უფრო წმიდა გაეხადნა იგინი, წიგნი და სიბრძნე ესწავლებინა მათთვის, რომელნიც დიდი ხანი არაა, ცხად შეცდომაში იყვნენ.

3. მათ შორის სხვები ისეთი არიან, რომ პირველებთან სარწმუნოებით არ შეერთებულან. ღმერთია შემძლებელ, ბრძენი.

4. ღვთის წყალობაა ესა; ვისაც იწებებს, მიანიჭებს; ღმერთიც განუზომელის გულკეთილობით აღსავსეა.

5. ვინც დაბადებით დაუტვირთავთ და მისი მზიდველნი კი არ არიან (არ დაიცვენ), ვირს ემსგავსებიან, წიგნების მზიდველსა. რაღაც ბეჩავსავით არიან კაცნი, რომელნიც ღვთის სასწაულებს სიცრუედ ჰსთვლიან. ღმერთი არაწმიდებს არ გაუძღვს.

6. ჰსთქვი: ურიებო! თუ ღვთის მოკავშირედ მარტო

თქვენი თავი გგონიათ და ყველა სხვა კაცნი კი არა, სიკვდილი ინატრეთ, თუ მართალს ამბობთ.

7. ვერა, ვერასოდეს ინატრონ, თავიანთი მოქმედების გამო; ვინათგან ღმერთი უკეთურებს იცნობს.

8. უთხარი მათ: სიკვდილმა, რომლისაც გეშინიათ, ერთხელაც არის შეგიპყროსთ, წაგასხან მის წინაშე, რომელმაც ხილული და უხილავი საქმეები უწყის; თქვენი ნამოქმედარი მოგაგონოსთ მან.

9. მორწმუნენო! ოდეს ყრილობის დღის ლოცვად გიწვევდენ, ისწრაფეთ ღვთით განიმტკიცოთ თავი. სავაჭრო საქმეები დაჰსტოვეთ; უფრო გარგოსთ ამან. ნეტა გცოდნოდათ!

10. ოდეს ლოცვა გათავდეს, წადით, სადაც გინდოდესთ და ღვთის წყალობის ნიჭი ეძიეთ. ხშირად იფიქრეთ ღვთისთვის და ნეტარ იქმნეთ.

11. მაგრამ სხვანაირად ირჯებიან: სავაჭრო, ან თავის გასართობი თუ რამ დაინახეს, მაშინვე დაიფანტებიან და მარტოსა და ზეზე დაგტოვებენ. უთხარი მათ: რაც ღმერთს სათადარიგოდა აქვს შენახული, უფრო ჰსჯობს, ვიდრე აღებ-მიცემა და თავის გართობა. ღმერთი უკეთესი დამრიგებელია სარჩოსაბადებლისა.

თ ა ვ ი. LXIII

პ ი რ მ ო თ ნ ე ნ ი.

ნახობების მედინეს. — 11 მუხლი

ს ა ხ ე ლ ი თ ა

ღ ვ თ ი ს ა

მოწყალისა და შემწყნარებელისა.

1. ოდეს პირმოთენი შენთან მოდიან; ამბობენ; ვმოწმობთ, ღვთის მიერ მოვლინებულ ხარო. ღმერთმა კარგად უწყის, რომ მისი მოციქული ხარ და მოწმეცაა, რომ პირმოთენი ჰსტყუიან.

2. თავიანთი ფიცი საფარველად გაუხდიათ და სხვებსაც ღვთის გზას არიდებენ. რა საზიზღარია მათი საქციელი!

3. ჯერ იწამეს, მერმე კი ურწმუნოებას დაუბრუნდენ. გულთ ბეჭედი აქვსთ დასმული და არაფერი გაეგებათ.

4. როცა მათ ხედავ, მათი გარეგნობა მოგწონს; როცა ლაპარაკობენ, ხალისიო. ყურს უგდებ მათ: თითქო კედელზე მიბრჯენილი სართულის კოჭები იყვნენ; ყვირილი მოესმისთ. თუ არა, ფიქრობენ, ჩვენ წინააღმდეგ არისო. შენი მტრები არიან ისინი; ერიდე მათ; ღმერთი ეომოს მათ! რა ცრუ არიან!

5. როცა მათ ეუბნებიან; მოდიო, ღვთის მოციქული თქვენთვის ღმერთს უნდა შეევედროსო, თავი იქით მიაქვსთ, ზიზღით ჰშორდებიან.

6. რა ენაღვლებათ, მათ მიტევებას ჰსთხოვ ღმერთს, თუ არა. ღმერთმა არ მიუტეოსთ, ვინათგან არაწმინდებს ღმერთი არ წარუმართებს ჭეშმარიტ გზასა.

7. იგინი ეუბნებიან მედინელებს, ნურაფერს მიჰსცემთ მათ, რომელნიც წინასწარმეტყველთან არიან, ხოლო ძალა დაადგესთ, მიატონ იგიო.

კათა და ქვეყნის საუნჯენი ღმერთს ეკუთვნიან. მაგრამ პირ-
მოთნეებს არაფერი ესმისთ.

8. ამბობენ: თუ ქალაქში (მედინეში) ჩაებრუნდით, ყო-
ვლად ძლიერი ყოვლად უძლურს განაძევებსო. ძალა ღმერთს
ეკუთვნის; მის მოციქულთანაა, იმათთანაც, რომელნიც მო-
რწმუნე არიან; მაგრამ პირმოთნეებმა არაფერი იციან.

9. მორწმუნენო! თქვენმა სიმდიდრემ და თქვენმა შვილე-
ბმა ღვთის სახსენებელს არ დაგაშორონ; ამის ჩამდენნი მა-
რთლა რო უბედურ იქმნებიან.

10. სამოწყალო გაიღეთ კეთილთაგან, რომელიც თქვენ-
თვის მოგვინიჭებია, ვიდრე სიკვდილი გისწრობდესთ იმ ჟამსა,
ოდეს აღამიანი იტყოდეს: უფალო, ცოტა მაინც რო გედრო-
ებინა ჩემთვის, ხელს გავშლიდი, მართალთაგანი ვიქმნებოდიო.

11. ღმერთი როდი აღროებს სულსა, რომლის ჟამიც
მოწვენილია. თქვენი მოქმედება უწყის მან.

თ ა ვ ი LXIV

ერთმანერთის მოწყუება.

ნაბოძებია შექას.—18 მუხლი.

ს ა ხ ე ლ ი თ ა

ღ ვ თ ი ს ა

მოწყალისა და შემწყნარებლისა

1. რაც კათაშინა და ქვეყანაზეა, ყველაფერი ქებას უგა-
ლობს ღმერთსა. ძლიერება მას ეკუთვნის, დიდება მას ეკუ-
თვნის; მარტო მას შეუძლია ყველაფერი.

2. მისი გაჩენილი ხართ; ზოგი თქვენ შორის. ურჯუ-
ლოა, ზოგი კი მორწმუნე. ღმერთი ხედავს, რასაც შვრებით.

3. მისი გაჩენილია ცანი და ქვეყანა სრულის ქეშმარიტებითა; მისი დასახული ხართ, მისი მოცემული გაქვსთ შვენიერი სახე, და მასთანვე მიიქცეთ ყველა.

4. ყველაფრის მცნობია, რაც კი რამ მოხდება ცათა შინა და ქვეყანაზე; მცოდნეა მისი, რასაც დამალავთ და რასაც გამოაჩენთ. ღმერთთა მცნობი მის, რასაც გულნი შეიცვენ.

5. ნუ თუ ძველ დროინდელ ურწმუნოთა ამბავი არ გსმენიათ? თავიანთი ნამოქმედარის სიმძიმე გამოჰსცადეს, ხოლო ხვედრად სავაგლახო სასჯელი ექმნესთ.

6. ვინათგან, როცა მოციქულები მოევლინათ, ცხად სასწაულებ თანახლებული, გაიძახოდენ: ჩვენებრ ადამიანმა უნდა გვასწავლოს გზაო! ხოლო არ ჰსჯეროდათ მათ, და გაფრთხილებას ზურგი შეაქციეს. ღმერთს კარგად შეუძლია უიმათოდ გაძლება; იგია მდიდარ და დიდებით აღსავსე.

7. ურჯულოებს აუჩემებიათ, აღდგენილ არ ვიქმნეთო. უთხარი მათ: ღმერთმა აღგადგინოსთ და ისიც გითხრასთ, თუ რა ვიქმნიათ. მისთვის აღვილ იქმნეს.

8. იწამეთ ღმერთი და მისი მოციქული და ნათელიც, რომელიც ღმერთს თქვენთვის გამოუგზავნია. ღმერთი მცოდნეა ყოველის თქვენის მოქმედებისა.

9. დღე, ოდეს შეგყაროსთ ყრილობის დღისთვის, დღე იგი იქმნეს ერთმანერთის მოტყუებისა. ვისაც ღმერთი ეწამება და კეთილიც ექმნება ნამოქმედარი, ცოდვათა მიტევება მიიღოს. მან შეიყვანოს იგი წყალის ნაკადულით მორწყულ წალკოტებში. ხალხი იგი სამუდამოდ დარჩეს იქა. განუზომელი ნეტარება იქმნეს.

10. ურწმუნოები, რომელთაც ჩვენი სასწაულები სიცრუედ ჩაჰსთვალეს, ცეცხლს მიეცნენ და საუკუნოდ დაჰყონ იქა. რა საზიზღარი მგზავრობაა!

11. უბედურება არაფერი ეწიოს ადამიანს, თუ არ ღვთის ნებართვითა; ღმერთმა წარუშარტოს მისს გულსა, ვინც იწამოს იგი. ღმერთი ყველაფერს ხედავს.

12. ღმერთს დაემორჩილენით, მისს მოციქულს გაუგონეთ; მაგრამ თუ ზურგი შეაქციეთ, ჩვენის მოვლინებულის ბრალი არ იქმნეს. იგი მოვალეა მხოლოდ თქვენთვის საჯაროდ ქადაგებასა.

13. ღმერთი. — სხვა ღმერთი არა არს მისა თვინიერ; მაშ მორწმუნეთა იმედი იქონიონ თავიანთი ღვთისა.

14. თქვენ, რომელთაცა გრწამსთ! თქვენს ცოლშვილში მტერი გყავსთ; თუ აპატიებთ, თუ არ გამოეკიდებით, იცოდეთ, ღმერთი თავმდაბალ და მწყალობელია.

15. თქვენი სიმდიდრე და თქვენი შვილები თქვენდა განსაცდელ არიან, მაშინ როცა ღმერთს დიდნახელავი ჯილდო აქვს გადადებული.

16. ღვთის გეშინოდესთ ყოველის თქვენის ძალღონითა; გამგონე, მორჩილ იყავით და სამოწყალო გაიღეთ თქვენის საკუთარის სარგებლობისთვის ვინც თავისს პურშაობას მეთვალყურედ უდგას, ნეტარ იქმნეს.

17. თუ ღმერთს უხვად რასმე დაავალებთ, ორეულად გიზღოსთ. გაპატიოს, ვინადგან იგია დამნახველ და სულგრძელებით აღსავსე.

18. იგია მცნობი ხილულ და უხილავ ნივთთა. შემძლებელ და ბრძენია.

თ ა ვ ი L X V .

მეუღლეთა გაყრა.

ნახადებიც მექას. — 12 მუხლი.

ს ა ხ ე ლ ი თ ა

ლ ვ თ ი ს ა

მოწყალისა და უმწყანარებაელისა.

1. წინასწარმეტყველო! თქვენს ცოლებს ნუ გაეყრებით, თუ არ დანიშნულ ვადაზე: დღეები სწორედ დაითვალეთ, იმ დრომდე არ შეგიძლიათ მათი განძევება თქვენი სახლებითგან, არც მათი იძულება წასასვლელად, თუ მხოლოდ ნამდვილი მრუშება არ ჩაიდინეს. ასეთია ღვთის მცნება; მისი გადამავალი თავს წაიწყმედს. არ იცით, თუ ღმერთმა უნდა დაჰზადოს, ისეთი რამ გარემოება, რომელმაც მათთან შეგაროგოსთ.

2. ოდეს დანიშნულ დროს დაუცადონ, შეგიძლიათ სიამტკბილობით დაიტოვოთ ივინი, ან სიამტკბილობით გაეყაროთ მათ. სამართლიანი მოწმეები დაიბარეთ, თქვენ შორისვე არჩეული; მოწმობა ღვთის წინაშე გაჰსწიონ. აი რაა დაწერილი მათთვის, რომელთაცაჰსწამსთ იგი, აგრეთვე განკითხვის დღეც. ღმერთმა არგუნოს მას, რომელსაც მისი ეშინია, კეთილ მისათვალავი აღსასრული, და ისეთის ნიჭითაც არჩინოს, ფიქრადაც არ მოსვლოდეს.

3. ღმერთი მწე ექმნეს მას, რომელიც თავისს სასოებას დაამყარებს იმაზე. ღმერთი თავისს განჩინებას კეთილის დასასრულისკენ მიაქცევს. ღმერთმა ყოველს ნივთს საზღვარი დაუნიშნა.

4. იმ ცოლებისათვისაც კი, რომელთაც იმედი აღარა აქვსთ (თავიანთი ხნიერების გამო) რიგის მოსვლისა, თუმცა

არა გჯერათ, ვადა თანაბრადღეა სამის თვისა; იგივეა დაწერილი მათთვის, რომელთაც დედათ წესი ჯერ კიდევ არ ჰქონიათ; ორსულ ქალებს დააცადეთ ვიდრე ძეობამდე. ღმერთმა გასაქირი ააშოროს მას, რომელსაც მისი ეშინია.

5. ასეთია ღვთის ბრძანება, რომელიც თქვენთვის მოგვივლენია. ღმერთმა აზხოცოს შეცოდება მათი, რომელთაც მისი ეშინიათ, მათი ჯილდოც გაადიდოს.

6. გაშვებული ცოლები დაასადგურეთ იქ; სადაც თვითონ თქვენ დაისადგურებდეთ და იმ ღონისძიების შესაფერად, რაც ხელთ გქონდესთ; არ შეაწუხოთ იგინი ერთობ ვიწროდ დაბინავებით. ფეხმძიმეთათვის იზრუნეთ, ეცადებით, ხელი მოუმართოთ, რაც რამ დასჭირდესთ, ვიდრე ძეობამდე; თუ თქვენ შვილებს აწოვებდენ, სასყიდელი მიეცით მათ; ამისი რფიქრეთ და პატიოსნად გაისარჯენით; თუ რამ დაბრკოლება გამოჩნდეს, სხვა ქალმა აწოვოს ყრმასა.

7. შეძლებულმა კაცმა თავისის შეძლებისამებრ მიჰსცეს. იმ კაცმა, რომელსაც წმინდა საჭიროება აქვს, მიჰსცეს იმის საზომით, რაც ღვთისაგან მიუღია. ღმერთი თვითოვეულს მხოლოდ მისი ძალღონის შესაფერ მოვალეობას დააკისრებს. მისის ბრძანებით დაჭირვებას დაღუბნა მოჰყვეს.

8. რამდენი ქალაქი დაჰშორდა ღვთისა და მის მოციქულთა ბრძანებას! მკაცრი ანგარიში გავაწევინეთ მათ და ფიცხელ სატანჯველსაც შევყარეთ.

9. უღმობელი ბედის წერა ეწიათ და ბოლო მათი დაქცევა იყო მათივე.

10. ღმერთს მათთვის მძაფრი სასჯელი აქვს გადადებული. უფლის გეშინოდესთ, გრძობა-მიმადლებულნო ხალხნო!

11. ვისაცა სწამსთ, ღმერთმა მოუვლინა მათ გაფრთხილება, წინასწარმეტყველი, რომელიც ცხადს მოძღვრებას უკითხავს მათ, რათა მორწმუნენი და მართალნი ბნელეთით სინათლისკენ გამოიყვანოს. მორწმუნენი და მართალნი ღმერთმა შეიყვანოს წყალის ნაკადულით. მორწყულ წალკოტებში;

საუკუნოდ დაჰყონ იქა. რა ჩინებულ ხვედრს უმზადებს ღმერთი მართალსა!

12. ღმერთმა გააჩინა შვიდი ცა და იმდენივე ქვეყანა; ღვთის განჩინება იქაც მოაწევს, რათა იცოდეთ, რომ იგია ყოველად შემძლებელ და რომ მისი მეცნიერება ყველაფერს გარემოი-ცავს.

თ ა ვ ი LXVI

ა კ რ ძ ა ლ ე ა .

ნახობებია მედინეს. — 12 მუხლი.

ს ა ხ ე ლ ი თ ა

ღ ვ თ ი ს ა

მოწყალისა და შემწყნარებელისა.

1. წინასწარმეტყველო! ღვთის ნება დართულს. რადაჰშლი? შენის ცოლების გულსავსება ეძიე. უფალი თავმდაბალ და შემწყალებელია.

2. ღმერთმა ნება მოგცათ სიტყვის გატეხისა, იგია თქვენი მფარველ, იგია მეცნიერ, ბრძენი.

3. ერთხელ წინასწარმეტყველმა საიღუმლო რამ გაანდო ერთს თავის ცოლთაგანსა, ამან მეორეს გაუმხილა; ღმერთმა შეატყობინა წინასწარმეტყველსა, რომელმაც ჯერობითვე იმ განცხადების ნაწილი ერთი საუწყებელ ჰყო, მეორის თაობაზე კი გაჩუმდა; ხოლო როცა წინასწარმეტყველმა იმ ცოლს აცნობა, მან ჰკითხა, ვინ გაცოდინა ყველაფერი ეგაო? მეცნიერმა, მცოდნემამო, უპასუხა წინასწარმეტყველმა.

4. თუ ღვთისადმი მიიქცეთ (თუ შეინანოთ), ვინადგან გული თქვენი (ჰატსა და აიშა) მცბიერ ქმნილა, ღმერთმა გაპატიოსთ. მაგრამ თუ ორნივე წინასწარმეტყველის წინააღმ-

დევ შეერთებულ იყვნეთ, იცოდეთ, ღმერთია მისი მფარველი, გაბრიელმა, ყოველმა სამართლიანმა ადამიანმა მორწმუნეთა შორის და ანგელოზებმა შევლა მიჰსცენ მას.

5. თუ გაგიშვათ მან, ღმერთს შეუძლია თქვენზე უკეთესი ცოლები მიჰსცეს მას; მუსულმანი და მორწმუნე, ღვთიანი, მოსინანულე, მორჩილი, მარხვის შემნახველი ქალები, როგორც სხვების უწინარეს გათხოვილები, ისე ქალწულებიც.

6. თქვენ, რომელთაცა გრწამსთ! დაიხსენით თქვენი სახლობა და თქვენი თავიც ცეცხლისაგან, რომლის საქმლადაც იქმნეს კაცები და ქვები. ზემოდ ინავარდონ მძვინვარე და საზარელმა ანგელოზებმა, რომელნიც ღვთის ბრძანებას მეშფოთარ არ ექმნებიან, რომელნიც აღასრულებენ მას, რასაც იგი უბრძანებსთ.

7. ურჯულოებო! აწ ნულარ მიმართავთ ამოდ თავის მართლებას. თქვენთა საქმეთაებრ დაჯილდოებულ იქმნეთ.

8. მორწმუნენო! გულწრფელის სინანულით შეინანეთ: ეგების ღმერთმა თქვენი შეცოდებანი აჰხოცოს და წყალის ნაკადულით მორწყულ წალკოტებში შეგიყვანოსთ, იმ დღეს, ოდეს სირცხვილით არ დაჰსწვას მან წინასწარმეტყველი და იგინიც, რომელნიც მას შეჰსდგომიან; ნათელი წინ და მარჯვნივ წარუძღვესთ. იტყვიან, უფალო, ეს ნათელი სრულ ჰყავ და ჩვენი შეცოდებანი მოგვიტევე, ვინადგან ყოვლად ძლიერ ხარ.

9. წინასწარმეტყველო! ურჯულოებსა და პირმოთნეებს ეომე; მკაცრ იყავ მათ მიმართ. ჯანაბა ექმნესთ საცხოვრებლად. რა საზიზღარი სამყოფელია!

10. ღმერთი ურჯულოთა მაგალითად მოიყვანს ნოეს ცოლსა და ლოთისასაც; იგინი იყვნენ ჩვენ მსახურთა შორის ორის მართლის კაცის ხელ ქვეშე; ორნივე გაუორგულდენ თმვიანთ ქმრებსა, მაგრამ ვერაფრად გამოადგათ ღვთის წინააღმდეგ. მათ უთხრეს: შედით ცეცხლში ერთად მათთან, რომელნიც იქ შედიანო.

11. მორწმუნეებს ღმერთი დაუყენებს მაგალითად თარაოს ცოლსა. უფალო, ღალად ჰყოფდა, სახლი ამიგე შენთანა, სამოთხეში, და თარაოსა და მის საქმეთაგან მიხსენ, უკეთურთაგან მიხსენო.

12. ხოლო მარიამს, იმრამის ასულსა, რომელმაც თავისი ქალწულობა დაიცვა, შთავებრეთ ჩვენის სულის ერთი ოდენ ნაწილი, იგი ერწმუნა უფლის სიტყვებსა, მის წიგნებსა. ხოლო იყო იგი ღვთიან გვამთაგანი.

თ ა ვ ი LXXVII

ს ა ბ რ ძ ა ნ ე ბ ე ლ ი .

ნაბოძებია მექას. — 30 მუხლი

ს ა ხ ე ლ ი თ ა

ლ ვ თ ი ს ა

მოწყალისა და შემწყნარებელისა.

1. კურთხეულ იყოს იგი, რომლის ხელშიაც საბრძანებელია და რომელიც ყოვლად ძლიერია.

2. სიკვდილი და სიცოცხლე მან გააჩინა, ეხილა; თუ ვინ უკეთ იმოქმედებდა თქვენგანი. იგია შემძლებელ, თავმდაბალი.

3. შვიდი ცა დასხა მან, ერთი მეორეხედ მდებარე: უსრულობა ვერაფერი უბოო მოწყალის. შემოქმედებას თვალნი სამყაროდ ამართე; აბა ერთი განახეთქი თუ რამ ნახო იქა?

4. კიდევ ორჯერ ამართე და თვალთა ხედვა გაცუდებულ და დაღალული უკუიქცეს შენდამი.

5. ამ ქვეყნის ყოვლად უახლოესი ცა მნათობებით შევამკეთ; დავსხით, რათა გაგველალა მცენებე, რომელთათვისაც ჯოჯობეთის სახმილი გვაქვს გამზადებული.

6. ვისაც ღმერთი არა ჰსწამსთ, ჯანაბის სასჯელი მიიღონ. რა საშინელი სამყოფია?

7. ოდეს ჩაცვივდენ, მისი ღმუილი მოესმასთ და ცეცხლიც ძალზე დაგუზგუზდეს.

8. ქვესკნელი ჰლამის გასკდეს მძვინვარებისა გამო. ყოველთვის, როცა კი ურჯულოთა ბრბო ჩაცვივდეს, ჯოჯოხეთის დარაჯებმა შეჰსძახონ: ნუ თუ ერთი მოციქულიც არ მოსულიყოს თქვენდა საქადაგებლადო?

9. დიახ, მიუგონ, ერთი მოციქული გამოჩნდა ჩვენ შორის. მაგრამ მაცდურად ჩავთვალეთ, უთხარით: ღმერთს შენთვის არაფერი გამოუცხადებია. დიდს შეცდომაში ხართ.

10. ჰსთქვან: ყური რო დაგვეგდო, რო დავეფიქრებულიყავით, ამ სახმილში აღარ ჩავცვივდებოდითო.

11. თავიანთი ცოდვა აღიარონ. შორს აქითგან, მკვიდრნო ჯოჯოხეთისანო!

12. ვისაც თავიანთი უფლის ეშინიათ გულის სიღრმითა, ცოდვათა შენდობა და უხვად სასყიდელი მიიღონ.

13. თქვენს სიტყვებს საიდუმლოდ გაანდობთ, თუ სუყველას მოახსენებთ, ღმერთმა უწყის, რასაც გულნი შეიცვენ.

14. მერმე როგორ არ უნდა უწყოდეს მან, რომელსაც ყველაფერი გაუჩენია გამჰქრიახსა, მცოდნესა?

15. დედამიწა გიქციათ სწორედ და დაბლად. მის ვაკეზედ იარეთ და თავიც ისაზრდოეთ მით, რასაც ღმერთი მოგანიჭებსთ. აღდგენილ იქმნეთ, რათა დაბრუნდეთ მასთანვე.

16. გჯერათ თუ არა, ვინც ცათა შინა ჰკიებს, თქვენ ფებთა ქვეშე დედამიწა არ გახსნას? კიდევ ძაგძაგებს.

17. გჯერათ თუ არა, ვინც ცათა შინა ჰკიებს, ქვების მტყორცნელი გრიგალი თქვენ წინააღმდეგ არ ამოიყვანოს? მაშინ შეიტყოთ, თუ რაა ჩემი გაფრთხილება.

18. მათ უწინარესი სხვა ხალხები თავიანთ წინასწარმეტყველებს მაცდურებას აბრალებდენ. ჩემი გულის წყრომა რა საშინელ იყო!

19. განა ვერ ხედვენ იგინი, რომ ფრინველები მათ თავთა ზემო დანავარდობენ, ფრთებსა შლიან და ჰკეცენ? ვინ იმაგრებს მათ ჰაერში, თუ არ მოწყალე? ყველაფერს ხედავს იგი.

20. ვის შეუძლია ჯარის აღვილობა გაგაწევიონ და დაგეხმაროსთ შემწყალებელის წინააღმდეგ? ქეშმარიტად, ურჯულოები თვალდამდგარ არიან.

21. ვინღა მოგაწოდოსთ საზრდო, თუ ღმერთმა დაგიჭირათ? ამასობაში კი თავიანთ ბოროტებაზე მედგრად არიან და ქეშმარიტებასაც გაურბიან.

22. კაცს, რომელიც ფოფინებს თავისის შუბლით მიწის მმოქმედი, ნუ თუ წარემართება მის უკეთესად, ვინც სწორის გზით სწორედ დაიარება?

23. ჰსთქვი: მან გაგაჩინათ, მან მოგმადლათ ყურთა-სმენა, თვალთა-ხედვა და გრძნობის შემძლე გულიცა. ცოტა ხალხი უმადლის.

24. ჰსთქვი: ქვეყანაზე მან მიმოგფანტათ და მანვე თავი მოგიყაროსთ.

25. როდისღა ახდეს მისი მუქარაო? ჰკითხულობენ: ჰსთქვით, თუ გულმართალ ხართ.

26. მიუგე: მისი ცნობა მხოლოდ ღმერთსა აქვს; მე ვარ მარტო გამაფრთხილებელ, საჯაროდ ქადაგებას დავალებული.

27. მაგრამ ოდეს სასჯელი ახლოს იხილონ, პირისახე მოედრუბლოსთ. მათ უთხრან: აი რასაც თხოულობდითო.

28. ჰსთქვი: რა გგონიათ? უკეთუ ღმერთმა ჩემი და ჩემი მომდევართა სიკვდილი ბრძანა, ან შეგვიბრალა, ურჯულოებს ვინღა უნდა ეყოლოსთ საზარელის სატანჯველის წინააღმდეგ მფარველი?

29. ჰსთქვი: იგია შემწყნარებელი. გვრწამს იგი და მზედ ვამყარებთ ჩვენს სასოებას. ერთხელ შეიტყოთ, თუ ჩვენ შორის ვინაა საცდურში.

30. ჰსთქვი: რა გგონიათ? ხვალ დედამიწამ წყალი სულ-
მრთლად რა უთანთქას, ვინლა უნდა ამოახეთქვინოს მდინა-
რესა და ანკარა წყალსა.

თ ა ვ ი LXVIII.

კ ა ლ ა მ ი.

ნაბოძებია მექას.—52 მუხლი.

ს ა ხ ე ლ ი თ ა

ლ ვ თ ი ს ა

მღწყალისა და შემწყნარებელისა.

1. ნუგ. ვფიცავ კალამსა და მის ნაწერსა.
2. მუჰამმად! შენის უფლის მადლითა, როდი ხარ ეშმა-
კეულ.
3. შენთვის შენახული აქვს სრული სასყიდელი.
4. შენ ხარ ზნე-მალალი.
5. შენ იხილო და მათაც (ერთგულთ) იხილონ,
6. თუ თქვენგანი ვინ შეუპყრია უგუნურებას.
7. ღმერთმა უკეთ იცის, ვინც ჰსცდება, უკეთაც იცნობს.
მათ, რომელნიც სწორე გზას დაჰსდგომიან.
8. ნუ ემორჩილები მათ, რომელთაც გამოცხადება სიც-
რუედ მიაჩნიათ.
9. გულჩვილად მოეპყრა, ის ჰსწადიათ, მაშინ იგინიც.
მოგეპყრობიან გულ ჩვილად.
10. მაგრამ ნუ დაუჯერებ მას, რომელიც ყოველ შემ-
თხვევაში იფიცავს და რომელიც გასაკიცხია.
11. ნუ დაუჯერებ ცილის მწამებელს, სხვების ძვირად
მახსენებელსა.

12. კეთილის შემაფერხებელს, სჯულ გადამაგალს, დამნა-
შავესა.
13. გულფიცხსა და შობითაც უწმინდურსა,
14. კიდევ რომ სიმდიდრე ჰქონდეს და მრავალი შვილი
ჰყავდეს.
15. ადამიანს, რომელიც ჩვენ მოხლთა კითხვის დროს
ამბობს, ძველებური ზღაპრებიაო,
16. ცხვირზე ნიშანი დავადლოთ.
17. იგინი (მექელეები) გამოვცადეთ ისე, როგორათაც
ოდესმე გამოგვიცდია ერთის წალკოტის პატრონები, როცა
დაიფიცეს, ხვალ დილით იქაურს ხილს დავკრეფთო.
18. დაიფიცეს ისე, რომ თუობა არ უთქვამსთ.
19. უბედურება ეწიათ ღამით, როცა ეძინათ.
20. მეორე დილას, წალკოტი ისეთი დაქცეული იყო,
თითქო ყველაფერი მოექრაო.
21. დილას ერთმანერთს ეძახდენ:
22. ცისკრადვე წადით თქვენს ყანაში, თუ გინდათ ინ-
დისხურმა დაკრიფოთო.
23. წავიდნენ ერთმანერთის წაჩურჩულებით.
24. დღეს მაინც მათხოვარი ნურავინ შევა თქვენს წალ-
კოტშიო.
25. ცისკრადვე გაჰსწიეს მტკიცე განზრახვლებით; არა-
ფერი გაეცათ.
26. ხოლო ნახეს თუ არა, წალკოტი რა ყოფაშიაო იყო,
დაიძახეს: შეცდომაში ვიყავითო.
27. აი ჩვენის იმედის გაცრუებაო.
28. ყოვლად გონიერთაგანმა მათ უთხრა: ნუ თუ არ გან-
მემეორებია თქვენთვის, რად არ ფიქრობთ მეთქი ღვთისათვის?
29. დიდება ღმერთსაო! მიუგეს, უსამართლობა ჩავიდი-
ნეთო.
30. და ერთმანერთის ლანძღვას მოჰყვნენ.
31. რა უბედურ ვართ! უკეთურ ვიყავით.

32. ეგების ღმერთმა სამაგიეროდ მეორე წალკოტი გვაჩუქოს, ამის უკეთესიო. ღვთის წყალობას გულმოდგინებით ვნატრობთ.

33. ასეთი იყო ჩვენი სასჯელი; მაგრამ საიმქვეყნიო ტანჯვა უფრო საზარელ იქმნეს. ეჰ! ნეტა ჰსცოდნოდათ?

34. განცხრომის წალკოტები მოელის ხალხსა, რომელსაც ღვთის ეშინია.

35. განა თანასწორ უნდა მოვეპყრათ, ღვთის ნების მიხედობილებს (მუსულმანებსა) და ცოდვილებსა?

36. რა გაქვსთ ისეთი, რომ ასე განსაჯოთ?

37. ნუ თუ გაქვსთ რამე წერილად ნაწყვეტი, სადაც ჰკითხულობთ,

38. მიიღოთ რაც ინატროთ.

39. ნუ თუ ჩვენთვის ჩამოგიერთმეგიათ სიტყვა, რომელიც სუყოველთვის და აღდგომის დღემდისაც გვავალებდეს თქვენთვის შოვნას, რისი ქონებაც შემთხვევით ინატროთ?

40. ჰკითხე მათ: ვინაა თქვენ შორის ამის დამამტკიცებელი.

41. განა ჰყვანან მათ ამხანაგნი? მოიყვანონ, თუ მართალს ამბობენ.

42. იმ ღვთს, ოღეს ფეხ შიშველ იქმნენ, სალოცველად მოუწოდონ მათ; მაგრამ საჭირო ძალ-ღონე აღარ ექმნესთ.

43. თვალე-ქვე დახრილებს და სახეებ დარცხენილებს; სალოცველად იწვევდენ მათ, როცა ჯან-მრთელ და უვნებელ იყვნენ, მაგრამ კი არ მოდიოდენ.

44. მაშ ნულარ მელაპარაკები მათდა გულისათვის, ვინც ამ წიგნს სიცრუეს ჰსწამებენ. თანდათან წავასხათ იგინი წარსაწყმედელში ისე, რო ვერც კი შეიტყონ, თუ რა და რა გზითა.

45. დიდხანს დავაცალო მათ, ვინადგან ჩემი მოხერხებულობა მტკიცეა.

46. შენის მოციქულობისათვის განა უნდა ჰსთხოვო მათ სასყიდელი? ხომ დატვირთულ არიან ვალეებით!

47. ფარულ საქმეთა ცნობა განა აქვსთ? ღვთის წიგნს განა გადაჰსწერენ?

48. შენის უფლის სასჯელს მოთმინებით, ელოდე და ნურც იქმნები თევზსა შიგან კაცივით, რომელიც, გაბრაზებით სულ შეხუთული ღვთისადმი ღალად ჰყოფდა.

49. შენის უფლის წყალობა რომ არ დაჰმართ ადა, მშრალ ნაპირზედ გაიტყორცნებოდა, უბატოურობით დაბურვილი.

50. მაგრამ ღმერთმა შეიწყნარა იგი თვისდა რჩეულად და მართალ ჰყო იგი.

51. ჰლამის ურჯულოებმა თვალით გაგდალონ, როცა კურანის კითხვას ყურს უგდებენ და ჰსთქვან: ეშმაკეულიაო.

52. არა, იგი (კურანი) მხოლოდ გაფრთხილებაა ქვეყნიერობისათვის.

თ ა ვ ი LXIX

აუცილებელი დღე.

ნაბოძებია მექას. — 52 მუხლი.

ს ა ხ ე ლ ი თ ა

ღ ვ თ ი ს ა

მოწყალისა და უმწყნარებაელისა.

1. აუცილებელი დღე.
2. რაა აუცილებელი დღე?
3. ვინ გაგაგებინოს, თუ რაა აუცილებელი დღე?
4. თემუდმა და ადმა სიცრუედ ჩაჰსთვალეს გადაწყვეტილების დღე იგი.

5. თემულ დაქცეულ იქმნა ზეციით წამოსულის შესაზარის ხმისაგან.

6. აღ დაქცეულ იქმნა მოზუზუნე, მძვინვარე გრიგლისაგან.

7. ღმერთმა იმსახურა იგი წინააღმდეგ მათდა გაბმულ შვიდის ღამისა და რვა დღის განმავლობაში: ხალხი იგი უნდა გენახა დედამიწაზე დაყრილი, როგორთაც ინდის ხურმის ხის შტოები, შიგნითგან გაფუჭებული.

8. გინახავს შენ, ერთი სული მაინც გასხლდომოდეს დაქცევასა?

9. ფარაომ, ხალხმა, რომელსაც მის უწინარეს უცხოვრიათ, და დაქცეულმა ქალაქებმა ცოდვა ჩაიდინეს:

10. ღვთის მოვლინებულს ეურჩნენ და ღმერთმაც გადაკარბებით დასაჯა იგინი.

11. როცა წყალი გადმოსკდა (წარღვნის დროს) თქვენ გატარეთ ხომალდითა.

12. რათა შემთხვევა იგი გაფრთხილებად გამოგდგომოდათ და გამგონე ყურს სახსოვრად შეენახა.

13. ოდეს პირველად ბუკსა ჰკრან,

14. ოდეს დედამიწა და მთები ჰაერში ატაცებულ იქმნეს და ერთიცა და მეორეც მარტოოდენ დაღეწვით დაიღეწოს.

15. იმ დღეს მოსახლომი მოხდეს.

16. ზეცა იმ დღეს გაჰსკდეს და ნაჭრებად ჩამოიყაროს.

17. ხოლო ანგელოზებმა მის კიდებზე (ზეცის კიდებზე) თავი შეიმაგრონ; იმ დღეს რვა ანგელოზი შენის უფლის ტახტის მატარებელ იქმნეს.

18. იმ დღეს თქვენ მიგიყვანონ უფლის წინაშე და თქვენი საიდუმლო ნამოქმედარი ერთიც დაფარულ არ იქმნეს.

19. ვისაც მარჯვენა ხელში წიგნი მიჰსცენ, ჰსთქვას: დაიჭირეთ, წამიკითხეთ ჩემი წიგნი.

20. ყოველთვის ვფიქრობდი ერთ დღეს ანგარიშის ჩაბარებასაო.

21. ადამიანი იგი საამურის ცხოვრებით დაჰსტკბეს.
22. მალლა წალკოტში,
23. რომლის ხილი ნიადაგზე ახლო და ადვილ მოსაკრევ:
იქმნეს.
24. ჰამეთ და სვით, თქვენდა სასიკეთოდაო, მათ უთ-
ხრან, მის ჯილდოდ, რაც გავლილ დროში გამოქმედიათო.
25. ვისაც მარცხენა ხელში წიგნი მიეცეს, წამოიძახოს,
ნეტა ღვთით ეს ჩემი წიგნი ჩემთვის არ წარმოედგინათ,
26. და არასოდეს მცოდნოდა ამ ანგარიშისაო!
27. ნეტა ღვთით სიკვდილს მოვლო ბოლო ჩემის სიცოც-
ხლისათვისო!
28. რაში გამოდგება ჩემი სიმდიდრე.
29. ჩემი ძლიერება გამქრალა.
30. ღმერთმა მაშინ უთხრას ჯოჯოხეთის დარაჯებს: შეჰ-
კარით ეგ,
31. მერმე ჯოჯოხეთის ცეცხლს მიუფიცხეთ.
32. მასუკან სამოცდა ათი წყრთა ჯაჭვი შემოუჭრეთ..
33. ვინადგან არ ჰსწამდა ღმერთი, ყოვლად ზენარი.
34. გლახა-ლაჟაკის დაპურებას არ ეშურებოდა.
35. დღეს აგრეთვე არაა მაგისტვის მფარველი.
36. არც სხვა რამ საზრდო, თვინიერ ჩირქისა.
37. მხოლოდ ცოდვილებს ექმნესთ იგი საზრდოდ..
38. არ დაიფიცო, რასაც ხედავთ..
39. არც ის, რასაც ვერ ხედავთ.
40. პათიოსანის მოციქულის სიტყვა
41. მოშაირის სიტყვა როდია. ეჰ! რა მცირედ გრწამსთ!"
42. ქადაგის სიტყვა როდია. ეჰ! რა მცირედ გულის ხმასა.
ჰყოფთ.
43. ცვეყნის მეუფის გამოცხადებაა.
44. მუჰამმადს რომ სიტყვა რამ შეეთხზა ჩვენ თაობაზე,
45. მარჯვენა ხელს დაუჭერდით;
46. და გულის ძარღვს გადუჭრიდით.

47. და თქვენ შორის არც ერთის წინააღმდეგ დავი-
ცავდით.

48. ეს წიგნი დამრიგებელია მათი, რომელთაც ღვთის
გშინიათ.

49. ჩვენ უწყით, რომ თქვენ შორის ისეთნი არიან, რომ
საცდურად მიაჩნიათ იგი.

50. ეს წიგნი სასოწარმკვეთელია ურჯულოთა.

51. ვინადგან კურანი თვითონ ქეშმარიტებაა.

52. აღიდგე სახელი ღვთისა, ყოვლად ზენარისა.

თ ა ვ ი LXX

ხ ა რ ი ს ხ ე ბ ი.

ნაბოძებია მექას:—44 მუხლი.

ს ა ხ ე ლ ი თ ა

ღ ვ თ ი ს ა

მოწყალისა და შემწყნარებელისა

1. მთხოვნელი თხოვილობს დაუცალეებელ სასჯელსა
2. ურჯულოთათვის ვერავინ მოაშლევინებს
3. ღმერთს მის ასრულებას, ღმერთს, მეუფეს ხარისხთა,
4. რითაც ანგელოზები და სული მასთან აღიან ერთს
დღეში, რომლისაც სივრცე ორმოცდაათი ათასი წელია.
5. მაშ ჩინებულის მოთმინებით დაუცადე.
6. ისე უყურებენ ისინი (ურჯულოები) განკითხვის დღეს,
თითქო დაშორებულ იყვეს.
7. ჩვენ კი დაახლოვებული გვეჩვენება,
8. დღე იგი, ოდეს ცა გამლხვარი სპილენძი იქმნეს,
9. ოდეს მთანი წითლად შეღებულის მატყლის ბლუჯე-
ბივით შეიქმნენ.

თ ა ვ ი LXXI

ნოე.

ნახტები მქას.—29 მუხლი.

ს ა ხ ე ლ ი თ ა

ღ ზ თ ი ს ა

მოწყალისა და შემწყნარებლისა.

1. ნოე მოვავლანეთ მისის ერის მიმართ და უთხარით: წადი, შენი ერი გაათრთხილე, ვიდრე სამწუხარო სასჯელი ეწეოდეს-მეთქი.

2. ნოემ ჰსთქვა: ჩემო ერო! თქვენთან მოვსულვარ საჯაროდ გასათრთხილებლად.

3. ერთად-ერთს ღმერთს თაყვანი ეციოთ, მისი გეშინოდესთ და დამემორჩილენით,

4. თქვენი ცოდვები აჰხოცოს მან და დანიშნულ ხანამდე გაცოცხლოსთ; ვინათგან ოდეს ღვთის მიერ დანიშნული ხანი მოაწევს, სხვა ვერც ერთი დააყოვნებს მას. შეგეძლოთ ვანა ამის გაგება!

5. მერმე ნოემ ღაღად ჰყო ღვთისადმი და ჰსთქვა: უფალო, ჩემს ერს შენდამი მოუწოდებდი დღე და ღამ, მაგრამ ჩემმა მოწოდებამ მხოლოდ უფრო განაძლიერა მისი განშორება.

6. ყოველთვის, ოდეს სასინანულოდ მოუწოდებდი მათ, რათა მათთვის პატიება შეგძლებოდა, ყურებში თითებს იცობდენ და ტანთსაცმელში ეხვეოდენ თავიანთ შეცდომაზე მედგარიქმნენ და დიდგულობით თავს გავიდენ.

7. მერმე მე მოუწოდე მათ: მასუკან კიდევ საჯაროდ შენდამი თაყვანის საცემლად.

8. მე უქადაგე მათ საქვეყნოდ და ფარულად.

9. ვეუბნებოდი მათ: უფალს მიტევებას ევედრენით; მიტევება ზნელა აქვს.

10. ზეცით წვიმა უხვად აწვიმოს.

11. სიმდიდრეს და შვილების რიცხვი გაგიმრავლოსთ, წალკოტები მოგანიჭოსთ, წყლის ნაკადულები მოგანიჭოსთ.

12. რა გაქვსთ ისეთი, რომ ღვთის სიკეთე არ იწამოთ?

13. ამასობაში სხვა და სხვა სახედ გაჩენილ ხართ მის მიერ.

14. ვერა ხედავთ, თუ ღმერთმა როგორ შეჰქმნა შვიდი ცა, კეცაკეცად დაწყობილი, რომელნიც ერთმანერთში იხვევიან?

15. მთვარე დააწესა იქ გასანათებლად და მზეც მოათავსა ლამპრის სამაგიეროდ.

16. დედამიწისაგან მცენარესავით ამოგიყვანათ.

17. შეგიყვანოსთ, კვალადვე გამოგიყვანოსთ.

18. დედამიწა ფარდაგად მოუცია თქვენთვის,

19. რათა ზედ შარა გზებით გველოთ.

20. ნოემ ლალად ჰყო ღვთისადმი; უფალო, აი ვინც ჩემს ხმას მეშფოთარ ექმნებიან, და აჰყოლიან მათ, რომელთა სიმდიდრე და შვილები დაქცევას შხოლოდ სამძიმოდ გახდიან.

21. ნოეს წინააღმდეგ ხერხი მოიგონეს მოწონებული.

22. მათი თავკაცები ეძახოდენ მათ: თქვენს ღმერთებს ნუ დაჰყრით, ვედღსა და სოვას ნუ დაჰყრით.

23. ნურც იაღუთს, ნურც იაუკს, ნურცა ნეზრსა.

24. ამ კერპებმა მათგანი მრავალი რიცხვი აცდინეს, და არცა რას შერებიან უკეთურთა შეცთომის გაძლიერების მეტსა.

25. თავიანთ ცოდვათათვის სასჯელად დამრჩვალ, ხოლო მასუკან ცეცხლში ჩაყრილ იქმნენ.

26. ღვთის წინააღმდეგ მფარველები ვერ იპოვეს.

27. ნოემ ლალად ჰყო ღვთისადმი, და ჰსთქვა; უფალო, ერთსაც ნუ დაარჩენ ურჯულოთა შორის;

28. ვინათგან თუ დაარჩინე, შენი მსახურები აცდუნონ და მარტო არაწმიდები და ურჯულოები გაამრავლონ.

29. უფალო, მომიტევე მე, აგრეთვე ჩემს შვილებსა სარ-
წმუნოებს, რომელნიც ჩემს სახლში შემოვიდენ, კაცებს ქა-
ლებს, რომელთაცა ჰსწამსთ, ხოლო უკეთურები გაჰსწყვიტე.

თ ა ვ ი LXXII

წ ი ნ ე ბ ი.

ნაბოძებია: მექას. — 28 მუხლი.

ს ა ხ ე ლ ი თ ა

ლ ვ თ ი ს ა

მოწყალისა და შემწყნარებელისა.

1. ჰსთქვი: გამომეცხადა, რომ ზოგიერთმა კურანის მო-
სასმენად გამზადებულმა ჯინებმა წამოიძახეს; უჩვეულო საკი-
თხავისა გვესმა.
2. ჭეშმარიტებასთან მიმყვანია იგი; გვრწამს და ერთი-
არსებაც აღარ დაუამხანაგოთ ჩვენს უფალსა.
3. ჩვენს უფალსა (მისი ღიადობა ამაღლებულ იყოს) არც
მეგობარი ქალი ჰყავს, არც ბავშვი.
4. ერთმა ჩვენ შორის, მიქარვით სისულელე წამოროშა-
ღვთის თაობაზე.
5. გვეგონა, თუ სიცრუეს ღვთის თაობაზე არასოდეს
მოიჭორებდენ კაცები, არცა ჯინები.
6. ზოგიერთმა გვამებმა კაცთა შორის თავშესაფარი ეძი-
ეს ზოგიერთ გვამთა წინაშე ჯინთა შორის, მაგრამ ამან განა-
ძლიერა მხოლოდ მათი უგუნურება.
7. იმ კაცთა ჰსწამდათ, როგორათაც თქვენ, ჯინებო,
რომ ღმერთი კვლავ არავის აღადგენდა.
8. ზეცას დავეწიეთ ჩვენის აღმაფრენითა, მაგრამ ძლიე-
რის დარაჯებით და მგზნებარე მახვილებით აღსავსე ვპოეთ.

9. დასაჯდომებზე დავსხედით, ყური დაგვეგდო, თუ რა მოხდებოდა; ხოლო ვინც ამიერთვან ყურის დაგდება მოისურვოს მან ჰპოოს მგზნებარე მახვილი, რომელიც დასალახვრავად მიეპაროს.

10. არ ვიცით ქვეყნის მკვიდრთათვის დანიშნული უბედურება იყო იგი, თუ უფალს მით ჰსწაღდა მათი სწორე გზაზე დაყენება.

11. ჩვენ შორის, ქველი ჯინები არიან, არა მათებრიც მოიპოვებიან: სხვა და სხვა სახედ დაყოფილ ვართ:

12. გავიგეთ, რომ ღვთის ძლიერებას ქვეყნად ვერ დავასუსტებთ, რომ ჩვენის ლტოლვითაც ვერ დავასუსტებთ.

13. როგორც კი გვესმა წარმართების წიგნისა (კურანი-სა). ვერწმუნეთ, ხოლო ვისაც ღმერთი ჰსწამს, არც ვნების არც წყენინების უნდა ეშინოდეს.

14. ჩვენ შორის ზოგიერთები ღმერთს მიენდობიან (მუსულმანები არიან), ზოგნიც გადუდგებიან; ვინც ღმერთს მიენდობა, ქეშმარიტს გზას შეუდგება.

15. ვინც მისგან ივლტვიან, ჯანაბის ცეცხლს საქმლად გამოადგენ.

16. რად არ დადგებიან ქეშმარიტ გზაზე? წყლით უხვად დავარწყულებთ.

17. იმით გამოვჰსცდით; ვინც ზურგს შეაქცევს ღვთის სახსენებელსა, ღმერთმა მკაცრი სასჯელი შეამთხვიოს მას.

18. ტაძრები ღვთისადმი შეწირულია; ვინც უნდა იყვეს, არავის მოუწოდოთ ღვთისა თანასწორ.

19. ოდეს ღვთის მსახური წამოდგა მის თაყვანის საცემლად, კნინლა მოაშთვეს იგი, ისე აწვებოდენ ერთმანერთს მის გარშემო.

20. უთხარ მათ: უფალს მოუწოდებ მე და არც არავის დაუამხანაგებ თაყვანისცემის დროს, ვინც უნდა იყვეს.

21. უთხარ მათ: სათქვენოდ არც ერთი ბოროტი მაქვს ხელთ, არც ერთი კეთილი.

22. უთხარ მათ: ვერაფერ დამიფარავს ღვთის წინააღმდეგ.

23. ღვთისა გარეშე თავშესაფარი ვერ ვბოლო.

24. სხვა ხელი არა მაქვს თუ არ მის, რომ გიქადაგოთ, რაც ღვთისაგან გამოდის, და მისი ამბავი მოგიტანოთ. ვინც ღმერთს და მისს მოვლინებულს მეშფოთარ ექმნება ჯანაბის ცეცხლი ექმნეს სასყიდლად, და საუკუნოდაც დარჩეს იქა.

25. უკუღმართ იქმნენ ვიდრე თვალით იხილავდენ, რასაც ემუქრებოდენ. მაშინ შეიტყონ, თუ ჩვენ შორის ვინ უფრო სუსტია შესაყრდნობელად და ვინ უფრო მცირეა რიცხვით.

26. უთხარ მათ: არ ვიცი თქვენ რო გიქადიან, სასჯელი იგი უფრო ახლოა, თუ ღმერთს მათთვის ვადა შორიად აქვს დანიშნული. მარტო ღმერთმა უწყის დაფარული საქმეები და არც არავის გაუმხელს.

27. თვინიერ მოვლინებულისა, რომელიც სათნო იქმნა მისდამი: მის წინაშე და მის უკან დადის მისი ნაბიჯების მოთვალთვალე,

28. რათა უწყოდეს, თუ მის მოვლინებულთა უფლის მოციქულობა აღასრულეს.

თ ა ვ ი LXXIII.

გ ა ხ ვ ე უ ლ ი.

ნაბოძებია მექას — 20 მუხჯაი.

ს ა ხ ე ლ ი თ ა

ღ ვ თ ი ს ა

მოწყალისა და შამწყანაკაბელისა.

1. წამოსასხამში გახვეულო წინასწარმეტყველო!
2. ზეზე იყავ ლოცვის დროს მართლად ლამეს, ან. ცოტა ნაკლებ
3. შუალამისა, ან დააკელ ცოტა,
4. ან მიუმატე რამე, და კურანი გალობით იგალობე.
5. დიდის წონის სიტყვები გამოგიცხადო შენ.
6. მოწიწებას დაღამების ჟამს უმეტესი სიმხნე აქვს და სიტყვაც უმტკიცესი;
7. ვინათგან, დღისით ბევრი საჭირბოროტო გაქვს.
8. შენის უფლის სახელი განიმეორე და თავი შეჰსწირო მას სრულის შეწირვითა.
9. ღმერთს, აღმოსავლეთისა და დასავლეთის მეუფეს; სხვა ღმერთი არა არს მისა თვინიერ; მაშ მფარველად აიყვანე იგი.
10. მოთმინებით აიტანე ურჯულოთა სიტყვები და საკადრისის სახით მოჰშორდი მათ.
11. მართო მე დამტოვე შესაბმელად ურწმუნოებთან, რომელნიც ამა სოფლის კეთილით ჰსტკებებიან. ცოტა აცადე მათ.
12. მათთვის გვაქვს მძიმე ჯაჭვები და მგზნებარე სახმილი.
13. სანოვაგე მათი დამარჩობელი და სავალალო სატანჯველი.

14. იმ დღეს, ოდეს დედამიწა შეირყეს და მთებიც აგრეთვე, მთები მიმოზნეულის მტვრის გროვად იქცეს.

15. მოციქული მოგივლინეთ თქვენდა წინააღმდეგ მოწმობას დავალებული, როგორათაც მივავლინეთ თარაოს წინაშე.

16. თარაო მეშფოთარ ექმნა მოციქულის ხმასა და საზარელის სასჯელით დავსაჯეთ იგი.

17. თუ ურჯულო დარჩით, როგორღა დაიფაროთ თავი იმ დღისაგან, რომელმაც ბავშვები ჭალარა მოხუცებად გადაქმნას?

18. ზეცა შიშის ზარისაგან გაიბოს. ღვთის მიერ დაპირებული აღსრულდეს.

19. აი გაფრთხილება: ვისაც უნდა, უფლისაკენ წარემართოს.

20 შენმა უფალმა კარგად უწყის, მუჰამმად! რომ ლოცვად დარჩები ხან ორ მესამედ ღამისას, ხან შუალამემდე, ხან კიმესამედ ღამისას, ამასვე ჰსჩადის დიდი ნაწილი შენ მიმდევართა. ღმერთმა უწყის დღისა და ღამის განაწილება; უწყის, რომ თქვენ ნამდვილად ვერ ითვლით, გაპატიებთ, მაშ კურანში წაიკითხეთ წესიერად ყველაფერი, რის წაკითხვაც გეადვილებოდესთ. ღმერთმა უწყის, რომ თქვენ შორის არიან ავადმყოფები, რომ ზოგიერთნი არიან, ქვეყნად მომგზაურნი, რათა ქონება შეიძინონ ღვთის წყალობით; უწყის, რომ სხვები ღვთის გზით იბრძვიან. მაშ კურანისა წაიკითხეთ ის, რაც უფრო ნაკლებად საძნელად იქმნესთ თქვენთვის. ლოცვა დაიცივით, სამოწყალო გაიდეთ და ღმერთს უხვად დაავალეთ. ყოველი კეთილი (კარგი საქმეები), რომელიც თქვენის თავისთვის (თქვენი სარგებლობისათვის) დაიწინაუროთ. ღვთის წინაშე ჰპოოთ. ეს უფრო გერჩიოსთ უმეტეს ჯილდოდ ელიროს თქვენთვის. ღმერთს მიტევებას ევედრებით, ვინათგან თავმდაბლ და შემბრალებელია.

თ ა ვ ი LXXIV

წამოსასხამ წამოსხმული.

ნახობების მექას.—55 მუხლი.

ს ა ხ ე ლ ი თ ა

ღ ვ თ ი ს ა

მოწყალისა და შემწყნარებელისა.

1. შენ, რომელიც წამოსასხამ წამოსხმულ ხარ!
2. ადექ და ხალხი გააფრთხილე.
3. შენი უფალი ადიდე.
4. შენი ტანისამოსი სუფთად შეინახე.
5. ხოლო საძაგლობას. ერიდე.
6. ნუ გაჰსცემ, რათა მოიხვეჭო.
7. მოთმინებით ელოდე შენს უფალსა.
8. ოდეს დაბერვამ ბუკი დააყვიროს,
9. დღე იგი იქმნეს დღე გასაჭირისა.
10. ურჯულოთა გამაუბედურებელი.
11. მარტო დამტოვე ჩემ გაჩენილ კაცთან.
12. მისთვის მიმინიჭებია აუარებელი სიმდიდრე.
13. და მის თვალთა წინაშე დაყვავილებული ვაყები.
14. ყველაფერი გაუშალე მე.
15. და აი ჰსურს, ყოველივე მისი ქონება გავადიდო.
16. სრულიადაც არა, ვინათგან იგი გაკერპდა ჩვენის სას-
წაულების დამსწრე.
17. ძალად ავაფოფხო გაჭირვების მთაზე.
18. მან განიზრახა და ყველაფერიც მოახერხა კურანთან
საბრძოლველად.
19. მოკვდეს, როგორც ყველაფერი მოახერხა.

20. ერთხელ კიდევ, მოკვდეს, როგორც ყველაფერი მოახერხა.

21. თავის გარშემო მიმოიხედა.

22. მასუკან წარბნი შექმუხნა და იერი მოიქურუხა.

23. ქეშმარიტებას გადუღვა და ღიდგულობით თავს გავიდა.

24. და ჰსთქვა: კურანი ნათხოვარი თვალთმაქცობა არიო.

25. იგია მარტო ადამიანის სიტყვაო.

26. საკარის ცეცხლს მიუფიცხოთ იგი.

27. ვინ გაცნობინა საკარი (ჯოჯოხეთის ცეცხლი)

28. არაფერს ჰსტოვებს ჩაუთქმელს, არაფერს ჰსტოვებს შეუხებელს, არაფერს ისე, რომ გაუსხლდეს.

29. ადამიანის ხორცსა ჰსწვავს.

30. ზემოთ ცხრამეტი ანგელოზია.

31. ცეცხლის დარაჯებად მხოლოდ ანგელოზები გავამწესეთ; მათი რიცხვი საცნაურ ვყავით მხოლოდ მიტომ, რომ ურჯულოთათვის განსაცდელის საგნად გვექცია; განსაცდელის საგნად, რათა წერილის ხალხს ეწამებინა კურანის ქეშმარიტება და მორწმუნეთა სარწმუნოება აღორძინებულიყო.

32. და წერილის ხალხსა და მორწმუნეთა, არ გაეხადათ იგი საექველ;

33. რათა მათ, რომელთაცა გულს სიაფადე ჰსწევია, და ურჯულოებს ეთქვათ: ამ იგავით რისი თქმა ნებავეს ღმერთსაო?

34. ასეა. ღმერთი ვისაც ინებებს, დააბნევს და ვისაც ინებებს წარუმართებს. მას გარდა სხვამ არავინ იყის მისი ჯარების რიცხვი. ეს მხოლოდ გაფრთხილებაა ხალხისათვის.

35. დიახ, ვფიცავ მთვარესა,

36. და ღამესა, ოდეს იგი გადის,

37. და დილას, ოდეს იგი შეფერადდება,

38. რომ ჯოჯოხეთი ყოვლად სამძიმო რამაა;

39. რომ იგია გაფრთხილება ხალხისათვის.

40. თქვენ შორის მათთვის, რომელნიც წინ მიდიან, აგრეთვე მათთვის, რომელნიც უკან დარჩებიან.

41. ყოველი სული მძევალია თავისის ნამოქმედარისა, ხოლო მარჯვენისა ხალხნი

42. წალკოტებში შევიდენ და ცოდვილებისა იკითხონ; ერთმანერთსაც ჰკითხონ აგრეთვე, ჰსთქვან რა:

43. ვინ მოგიყვანათ საკარშიო (ჯოჯოხეთში)?

44. მიუგონ: ლოცვა არასოდეს შეგვისრულებია.

45. დარიბი არასოდეს დაგვიპურებია.

46. დროებას ვატარებდით წარა-მარა ლაპარაკში მათთან, რომელნიც ლაყბობდენ.

47. განკითხვის დღე სიცრუედ მიგვაჩნდა.

48. იმ ჟამამდე, ვიდრე დავრწმუნდებოდითო,

49. შუაკაცების შუამავლობა ვერაფრად გამოადგესთ.

50. გაფრთხილებას რად გაურბოდენ,

51. როგორათაც დაფეთებული ვირები-გაურბიან ლომსა?

52. თვითოეულს მათ შორის უნდოდა, ღვთისგან ცალკე ბრძანება მოვლინებოდა.

53. ასე არ იქმნეს; ხოლო ყოფადის ცხოვრების არ ეშინიათ.

54. ასე არ იქმნეს. კურანი გაფრთხილებაა; ვისაცა ჰსურს, გაფრთხილებულია.

55. ვინც ღმერთმა ინებოს, მარტო მათ გაიგონონ მისი გაფრთხილება, ღმერთი ღირსი კია, მისი ეშინოდესთ. პატიება უყვარს მასა.

თ ა ვ ი LXXV

ა ლ დ გ ო მ ი ა.

ნაბოძებია მექას — 40 მუხლი.

ს ა ხ ე ლ ი თ ა

ლ ვ თ ი ს ა

მოწყალისა და შემწყნარებელისა.

1. არ დავიფიცო დღე აღდგომისა,
2. არ დავიფიცო მაყვედრებელი სული,
3. ადამიანს ნეტა თუ ჰგონია, მისი ძეგლები არ შეეკრიბოთ?
4. მეტადრე თითების კიდკიდე სწორედ დალაგებაც შეგვიძლია.
5. მაგრამ ადამიანს უნდა გააქარწყლოს, რაც მის წინაშეა.
6. ჰკითხოვლობს: როდის-ღა იქმნეს აღდგომის დღეო?
7. ოდეს თვალი დადგეს,
8. ოდეს მთვარე დაბნელდეს,
9. ოდეს მზე და მთვარე შეერთდეს,
10. ადამიანმა მაშინ დაიძახოს, სადღა ვიბოლო თავშესაფარიო?
11. აღარ, თავშესაფარი აღარაა.
12. იმ დღეს, უკანასკნელი თავშესაფარი შენის უფლის წინაშე იქმნეს.
13. მაშინ ადამიანს აუწყონ, რაც წინ გაუმძღვარებია და რაც უკან დაუტოვებია.
14. ადამიანი თავისის თავის წინააღმდეგ დამსწრე მოწმე იქმნეს,
15. რა საბოღიშოც უნდა წარმოადგინოს.

16. ნუ იყბედებ, მუჰამმად, გამოცხადების განმეორებას, ერთობ თავის შემაჭირვებელი შიშისა გამო, რაც გამოგეცხადა, არ გამოგეპაროს.
17. ჩვენი საქმეა, ნაწილების შეკრება და წაკითხვა, როგორც შეშვენის.
18. ოდეს წიგნს გიკითხავთ გაბრიელ ანგელოზის ბავითა, ჩვენთან ერთად კითხვას შეუდგე,
19. ჩვენი საქმეა აგრეთვე, მასუკან მოგანიჭოთ მათი განმარტება.
20. კვლავ აღარა ჰქმნათ. მაგრამ ჰოი ხალხნო, თქვენ ყველას გიყვარსთ წუთი-სოფელი (სააქაო).
21. ხოლო დაჰსტოვებთ მომავალსა (ყოფად ცხოვრებას).
22. იმ დღეს, იქმნენ სახენი, რომელნიც ცხოველის ელვარებით გაბრწყინდენ
23. და რომელთაც თვალნი მიაქციონ თავიანთი უფლისაკენ.
24. იმ დღეს იქმნენ შავბნელნი სახენი,
25. რომელთაც შეეშინდესთ, ვაი თუ დიდი უბედურება დაგვატყდეს თავსაო.
26. დიახ, უეჭველად, ოდეს სულმა ყანყრატოსთან მოაწიოსო,
27. ოდეს ყველაფერმა ირგვლივ დაიძახოს: ვის შეუძლია წამლის მოტანაო?
28. ოდეს ადამიანმა შეიტყოხ, რომ ჟამი წასვლისა დამდგარა,
29. ოდეს თქო თქოს შეეგრიხოს,
30. იმ წამს გაარონინონ იგი შენის უფლისაკენ.
31. არ ჰსწამდა, არც ლოცულობდა,
32. წიგნი სიცრუედ მიაჩნდა და ერიდებოდა.
33. მერმე, თავისიანებში გარეული დიდგულად დაიარებოდა.
34. ხოლო ჟამი დადგება, ახლოა.

35. თანდათან უფრო ახლოა, მასუკან კიდევ უფრო ახლოა.

36. ნუ თუ ფიქრობს ად მიანი, თავისუფალი დაჰსტროვონ?

37. ნუ თუ თავდა-პირველ არ იყო იგი წვეთი თესლისა, რომელიც ნებიერად იღვრება?

38. ნუ თუ შემდგომ არ იყო იგი დედო სისხლისა, რომლისაგანაც ღმერთმა განასახიერა?

39. მან განასახიერა წყვილად კაცი და ქალი.

40. ნუ თუ არაა ღმერთი იგი საკმაოდ შემძლებელ, მკვდრები გააცოცხლოს?

თ ა ვ ი LXXVI.

კ ბ ი

ნახებია მექს.—31 მუხლი.

ს ა ხ ე ლ ი თ ა

ღ ვ თ ი ს ა

მოწყალისა და შემწყნარებელისა.

1. განა გადიარა დიდმა დრომ კაცის თავსა, ისე რომ მისი თავი არ მოგვეგონებოდა?

2. კაცი გავაჩინეთ თესლისაგან, სადაც ნარევად ორივე სქესია დაცული: მისდა გამოსაცდელად იყო. თვალთა ზედვა და ყურთა სმენა მივანიჭეთ.

3. ქეშმარიტ გზაზე დავაყენეთ, დამნახველ, თუ უმადურ იქმნებოდა.

4. ურჯულოთათვის დავვიმზადებია ჯაჭვები, საყელურერები და მგზნებარე სახმილი.

5. მართალთ დალიონ ქათურ-ნარევი სავსე ფიალებითა.

6. იგია წყარო, რომელიც დალიონ ღვთის მსახურთ (მილით გამოიყვანონ, სადაც ენებოსთ),

7. მართალთ, რომელნიც აღთქმას ადასრულებენ და ეშინიათ დღისა, რომლისაც უბედურებამ შორს გაატანოს;

8. რომელნიც, თუმცა შეჭამადისათვის ოხვრენ, საჭმელს მიაწოდებენ საწყალს, ობოლს და ტყვესა.

9. იტყვიან რა: ამ საზრდოს გაძლევთ, რათა ღვთის სათნო ვიყვნეთ, და არც სასყიდელი მოგთხოვოთ, არც მადლობაო.

10. ღვთისა მიერ გვეშინია საშინელისა და საუბედურო დღისა.

11. აგრეთვე ღმერთმა დაიფარა იგინი იმ დღის უბედურებისაგან; მათ თხემთა ბრწყინვალება მიანიჭა და სიხარულით აღავსო იგინი.

12. მათი მედგრობის საფასურად ღმერთმა მათ მიანიჭათ სამოთხე და აბრეშუმის შესამოსელი.

13. სადაც დასაჯდომებზე მსხდომარეთ ვერც მზის სიმცხუნვარე განიცადონ, ვერც სუსხიანი სიცივე.

14. ახლო ხეებმა ჩერო მიაყენოს, ხოლო მათმა ნაყოფმა დაბლა დაიწიოს, რათა გაუჭირვებლად მოიკრიფოს.

15. მათის გულისთვის დაატრიალონ ვერცხლის ლარნაკები (ვაზები) და აზარფეშები, თითქო ტოლჩები,

16. ვერცხლის ტოლჩები, რომელიც უწყებულ ზომამდე აავსონ.

17. მათ დააღვივნონ ზენჯებილ ნარევი სავსე ფიალებითა.

18. შიგ მყოფი წყალი, სელსებილად წოდებული.

19. საუკუნო სიჭაბუკის შეილები წრედ ეახლონ მათ; რო ნახო იგინი, მოაჭვილი მარგალიტები გვეგონება.

20. ის თუ იხილე, იხილო განცხრომის სამყოფი, რომელიც ვრცელი სასუფეველია.

21. მწვანე ატლასისა და ფარჩის სამოსელი ეცვასთ და ვერცხლის სამკლაურებით შემკობილ იქმნენ. მათმა უფალმა წმინდა სასმელი ასვას მათ,

22. ეს ყველაფერი ჯილდოსავით გებოძოსთ. თქვენი ჯათა შეწყნარებულ იქმნეს.

23. მალლით კურანი მოგივლინეთ შენ.

24. მოთმინებით ელოდეთ შენის უფლის განაჩენსა და ნუ ემორჩილები სჯულ გადამავლებს მათ შორის და უმადურებსა (ურწმუნოებს).

25. სახელი ღვთისა განიმეორე დილას და საღამოს,

26. და ღამითაც აგრეთვე; თაყვანი ეცი ღმერთსა და მისი სახელი აღიდეთ სრულიად ღამის განმავლობაში.

27. მაგ ხალხს უყვარს აწმყო, რომელიც უეცრად მიმდინარებს, და იმ ქვეყნის გასაჭირ დღეს კი უგულებელ ჰყოფს.

28. ჩვენ მიერ გაჩენილ არიან და ძალაც ჩვენი მინიჭებული აქვსთ; ჩვენ რო გვენებებინა, სხვა ხალხს ვანაცვლებდით მათ.

29. აი გაფრთხილება; მაშ ვისაც უნდა, ირჩიოს გზა იგი, რომელიც მის უფალთან მიიყვანს.

30. მაგრამ ვერ ისურვებენ მას, რაც ღმერთმა ისურვოს; ვინათგან იგია მეცნიერ და ბრძენი.

31. თავისის მოწყალებით გარემოიცივას, ვინცა ინებოს; ბოროტათვის გამზადებული აქვს სამწუხარო სასჯელი.

თ ა ვ ი LXXVII

მოვლინებულნი.

ნახაქებია შექას. — 50 მუხლი

ს ა ხ ე ლ ი თ ა

ღ ზ თ ი ს ა

მოწყალისა და უმწყნარებალისა.

1. ვფიცავ ერთმანერთის უემდეგ მოვლინებულებსა,
2. ფიცხლავ მოძრავებსა,
3. გამფანტველებსა,
4. განსხვავების დამდგენელებსა.
5. მათ, რომელნიც ჰსტყორცნიან სიტყვას
6. პატიებისას, თუ გაფრთხილებისას,
7. რასაც თქვენ გპირდებიან, იგი მრავალია,
8. ოდეს ვარსკვლავები აღიხოცონ,
9. ოდეს ცა გაჰსკდეს;
10. ოდეს მთები მტვერივით მიმოიბნეს,
11. ოდეს მოციქულები გადაჭრილის ვადით დანიშნულ
იქმნენ.
12. რა დღემდე უნდა გადაჰსდონ ვადა?
13. გადაწყვეტილების დღემდე.
14. ვინ შეგატყობინოს გადაწყვეტილების დღე!
15. ვაი იმ დღეს ურწმუნოებსა!
16. ნუ თუ არ გაგვიწყვეტია ოდესმე ხალხები?
17. ნუ თუ არ გვინაცვლებია იგინი უფრო ახალი ხალ-
ხებისათვის?
18. ასე მოვეკიდოთ ცოდვილებსა.
19. ვაი იმ დღეს ურწმუნოებსა!

20. ნუ თუ ერთი წვეთი უვარგისი წყლისაგან არ გკყევ-
ხართ გაჩენილ,

21. და ჩაყენებულ საიმედო ადგილში,

22. წინეთ გადაჭრილ ვადამდე?

23. ამის ქმნა შევძელით, რა ძლიერ ვართ!

24. ვაი იმ დღეს ურწმუნოებსა!

25. ნუ თუ არ დაგვიმყარებია ქვეყანა დასაცველად,

26. ცოცხლებისა და მკვდრებისა?

27. იქ დაგვიდგენია მაღალი მთები და გემრიელ წყალს
გასმევთ თქვენ.

28. ვაი იმ დღეს ურწმუნოებსა!

29. წადით სატანჯველში, რომელსაც სიცრუედ ჰსთვლი-
დით.

30. წადით ჩრდილში, რომელიც სამ სვეტად იშლება,

31. რომელიც მაჩრდილებელ არაა. ვერ გამოგადგესთ-
იგი მფარველად აღისაგან,

32. ისროლოს ნაპერწკლები, როგორათაც ბურჯები.

33. რუხვი აქლემის მსგავსი;

34. ვაი იმ დღეს ურწმუნოებსა!

35. იმ დღეს ცოდვილები მუნჯად იქმნენ,

36. ნება არ მიჰსცენ მათ, ბოდიში მოიხადონ.

37. ვაი იმ დღეს ურწმუნოებსა!

38. ის იქმნეს დღე იგი, ოდეს შეგყაროთ თქვენ და
თქვენი წინასწარმეტყველები.

39. თუ რამ ხერხი იცით, საქმეში გამოიყენეთ.

40. ვაი იმ დღეს ურწმუნოებსა!

41. ღვთისნიერი კაცები ჩეროში და წყლის ნაკადულთა
შორის იქმნენ.

42. ექნესთ ხილი იგი, რომელიც მათ უყვარსთ.

43. მათ უთხრან: ჭამეთ და სვით; შეგერგოსთ, თქვენის
ნამოქმედარის საფასურად.

44. ასე დაუაჯილდოოთ იგინი, რომელთაც კეთილი უღვაწიათ.
45. ვაი იმ დღეს ურწმუნოებსა!
46. ჭამეთ და დაჰსტკბით სააქაოს კიდევ რამდენსამე ხანსა. ცოდვილ ხართ.
47. ვაი იმ დღეს ურწმუნოებსა!
48. ოდეს ეუბნებიან მათ: მუხლი მოიყარეთო, არ მოიყრიან.
49. ვაი იმ დღეს ურწმუნოებსა!
50. ხოლო რომელი სხვა წიგნი უნდა იწამონ შემდეგ?

თ ა ვ ი LXXVIII.

დიდი ამბავი.

ნაბძებია შექსს. — 41 მუხლი.

ს ა ხ ე ლ ი თ ა

ლ ვ თ ი ს ა

მოწყალისა და უმწყანაკებალისა.

1. იგინი ეკითხებიან ერთმანერთსა;
2. დიდის ამბავისათვის (აღდგომისა),
3. რომელიც მათი ცილობის საგანს შეადგენს.
4. უტყუვრად ეცოდინოსთ იგი;
5. დიახ, ეცოდინოსთ.
6. ნუ თუ არ დაგვიმყარებია ქვეყანა, როგორათაც სკამ-ლოგინი
7. და მთები, როგორათაც ბოდები?
8. ჩვენი გაჩენილი ხართ.
9. ჩვენი დაწესებულია თქვენს ძილში თქვენი მოსვენება.
10. ჩვენი მონიჭებული გაქვსთ ღამე საბურველად.

11. ჩვენი დადგენილია დღე, როგორათაც საშუალება ცხოვრებისა.

12. ჩვენი აშენებულია თქვენ თავთა ზემო შვიდი ცამტკიცე.

13. ჩვენი ჩამოკიდებულია იქ მანათობელი ლამპარი.

14. ჩვენ ჩამოგვყავს ღრუბლებიდგან წყალი უხვად,

15. რათა მით აღვაორძინოთ მარცვალი და მცენარე,

16. და ხეებ-დარგული წალკოტები.

17. გარდაწყვეტილების დღე წინდაწინ დანიშნული ვადაა.

18. ერთ დღეს ბუკსა ჰსცენ და ბრბოდ მოხვიდეთ.

19. ზეცა გაიხსნას და აუარებელი კარები წარმოადგინოს.

20. მთანი ამოძრავდენ და მოჩვენებასავით გამოჩნდენ.

21. ჯანაბა მრთლად ხაფანგებად გადაქცეულ იქმნეს.

22. უკეთურთა თავშესაფარი.

23. რათა იქ საუკუნენი დაჰყონ.

24. ვერც სიგრილე იხილონ იქა, ვერც სასმელი რამე.

25. თუ არ მღუღარე წყალი და ჩირქი.

26. როგორათაც ჯილდო მათი ნამოქმედარის შესაფერი;

27. ვინათგან არასოდეს უფიქრიათ, თუ ანგარიშის გასწორება საჭირო იქმნებოდა.

28. და ჩვენს სასწაულებსაც უარ ჰყოფდენ, მიაჩნდათ რა სიცრუედ.

29. მაგრამ ყველაფერი ვიანგარიშეთ და ჩავჰსწერეთ.

30. მაშ იხილეთ ჯილდო, მხოლოდ თქვენი ტანჯვა გავადიდო.

31. სანეტარო სამყოფი შენახულია მათთვის, რომელთაც ღვთის ეშინიათ.

32. წალკოტებო და ზვრები.

33. გულმკერდიანი და ხნით მათი ტოლი ქალწულები

34. ავსებული ფიალები.

35. ვერც წარამარა სიტყვა-პასუხი გაიგონონ იქ, ვერც ტყუილები.

36. ეს ჯილდოა შენის უფლისა (საკმაოა),

37. მეუფისა ცათა და ქვეყნისა და ყველაფრის, რაცაა მათ შორის, მოწყალისა; ხოლო სიტყვა არ მიმართონ მას.

38. იმ დღეს, ოდეს სული და ანგელოზები რიგზე დამწკრივებულ იქმნენ, ვერავინ დაილაპარაკოს, თუ არა მან, რომელსაც შემწყნარებელმა ნება მიჰსცეს და რომელმაც მხოლოდ მართალი ჰსთქვას.

39. დღე იგი უტყუარი დღეა; ვისაც უნდა ირჩევს გზას, რომელიც მის უფალთან მიიყვანს.

40. შენ გაგაფრთხილეთ სატანჯველის ახლო მოწვენითა.

41. იმ დღეს, ოდეს ადამიანმა იხილოს თავის ხელთ. ნასაქმი; და ოდეს ურჯულომ დაღად ჰყოს, ნეტავ ღმერთს მიწად ვექციეო!

თ ა ვ ი LXXIX.

სულის ამომხდელი ანგელოზები.

ნაბოძებია მექას. — 46 მუხლი.

ს ა ხ ე ლ ი თ ა

ღ ვ თ ი ს ა

მოწყალისა და შემწყნარებლისა.

1. ვფიცავ ამომგლეჯთა,
2. წყნარად ამომხდელებსა,
3. ჰაერში მცურავებსა.
4. სირბილში გამსწრებთა,
5. ქვეყნიერობის საქმეთა წამმართველებსა.
6. იმ დღეს, ოდეს საყვირმა გამოჰსცეს შემზარავი ხმა,
7. რომელსაც მოჰყვეს მეორე კვეთება.

8. აი იმ დღეს, გულზარდაცემულმა,
9. თვალეზ-ქვე დახრილმა
10. ურწმუნოებმა ჰსთქვან: ნეტა თუ ქვეყნად დაგვაბრუნონო?
11. განა გახრწნილ ძვლებად ქცეულნი...?
12. იმ შემთხვევაში, ხომ წაწყმედის ჟამი იქმნებაო, ამბობენ.
13. მარტო ერთი ხმა გამოისმას,
14. და ჯოჯოხეთის ძირში იქმნენ კიდეც.
15. მოსეს ამბავი ხომ იცი?
16. ოდეს ღმერთი ტუვას ჭალით გამოეხმაურა,
17. წადი იპოვე ფარაო, იგი არა წმიდაა,
18. და უთხარ მას: ხომ გსურს, მართალი გახდე?
19. გაგიძღვე ღვთისაკენ, მისი გეშინოდეს.
20. მოსემ მის თვალთა წინაშე დიდი სასწაული აელვა.
21. ფარაომ მატყუარად ჩააგდო და შეძრწუნდა.
22. ზურგი შეაქცია და მოქმედება იწყო.
23. ხალხნი შეჰკრიბა და თავისი ბრძანება გამოაცხადებინა,
24. უთხრა რა მათ: თქვენი უზენაესი მეუფე ვარ.
25. ღმერთმა ჩააგდო იგი სააქაოსა და საიქიოს სატანჯველში.
26. ამაში სასწაულია მისთვის, რომელსაც კი ღვთის შიში აქვს.
27. თქვენი გაჩენა უფრო ძნელ იყო, თუ ცის აგება?
28. ღმერთმა აღაშენა იგი, მისი მწვერვალი მალლა-ამართა და სრული სახე მიჰსცა.
29. ლამეს სიბნელე მიჰსცა და დღეს გაანათებინა,
30. ხოლო შემდგომ დედამიწა გაშალა.
31. მაზედ წყლები აღინა და საძოვრები აღაორძინა.
32. მთები შეჰბოქა,

33. ყველაფერი თქვენთვისა და თქვენის ჯოჯობისათვის გამოსაყენებლად.

34. ხოლო ოდეს დიდი დამხობა მოიწიოს,

35. ოდეს ადამიანი თავისს ნამოქმედარს დაუფიქრდეს,

36. ოდეს სახმილი ჯოჯობეთისა ცხადად ეჩვენოს, ვინც უნდა დაინახოს,

37. მაშინ ყოველს მეშფოთარს ადამიანსა,

38. რომელსაც ერჩია სააქაო ცხოვრება,

39. ჯოჯობეთი ექმნეს საცხოვრებლად.

40. მაგრამ ვინც უფლის დიდებულების წინაშე ძრწოდა და თავისს სულს ჰბატონობდა მიდრეკილების ჟამსა,

41. სამოთხე ექმნეს საცხოვრებლად.

42. ჟამისა გკითხონ, როდის დადგესო?

43. რა იცი უენ?

44. მისი ვადა მხოლოდ ღმერთმა უწყის.

45. მარტო მის მოშიშთა გაფრთხილებასა ხარ დავალებული.

46. ოდეს იგი იხილონ, იფიქრონ, საფლავებში მხოლოდ იმ დღის საღამო, თუ დილა დავრჩითო.

თ ა ვ ი LXXX

შექმუნული შუბლი.

ნაბოძებია მექას.—42 მუხლი.

ს ა ხ ე ლ ი თ ა

ლ ვ თ ი ს ა

მოწყალისა და ზამყნარაგებლისა:

1. მან (მუჰამმადმა) შექმუნული შუბლი უჩვენა და ზურგი შეაქცია,
2. რათგანაც ერთი ბრმა წადგა მის წინაშე.
3. ხოლო ვინ შეგატყობინა, რომ არ უნდა შეიქმნეს იგი უფრო ქველი,
4. რომ გაფრთხილებას არ ჩაუფიქრდეს, რათა მისგან ისარგებლოს?
5. ხოლო მდიდარი კაცი, რომელიც სხვათა გარეშე გაჰსძღებს,
6. საქმედ გაგიხდია;
7. თუმცა არ შეჰსწუხდე, თუ ვერ შეიქმნეს უფრო წმინდა.
8. ხოლო ვინც შენთან მოდის, სარწმუნოების მოშურნეობით შეგულიანებული,
9. რომელსაც უფლის ეშინია,
10. შენ უგულვებელს ჰყოფ.
11. ეგრე მოქცევას უფრთხილდი: კურანი გაფრთხილებაა,
12. ვისაც უნდა, თავისს მესხიერებაში დაიყენოს იგი.
13. იგი დაწერილია კაბადონთა ზედა პატრისაცემთა,
14. საზეოთა, წმინდათა;
15. გამოყვანილია საპატო და მართალ მწერალთა ხელით.
16. წაწყდეს ადამიანი! რა უმადურია!

17. რისგან გაუჩენია ღმერთსა?
18. ერთი წვეთი თესლისაგან.
19. გააჩინა და გამოსახა უწყებულის ზომითა.
20. გზა გაუადვილა, რათა საშოდან გამოეყვანა.
21. მოაკვდენს და სამარეში ჩამარხავს.
22. მასუკან აღადგინოს, ოდეს ენებოს.
23. დიახ ადამიანს ჯერ არ აუსრულებია ღვთის მცნებანი.
24. თვალი გადაავლოს საზრდოსა,
25. წყალს თქეშადა ვღვრით;
26. დედამიწასა ვხეთქთ ნაპრალებითა.
27. და ამოგვყავს მარცვალი,
28. ვაზი და სამყურა,
29. ზეთის ხილისა და ინდის ხურმის ხე,
30. გაბადრულ ხეებიანი წალკოტები,
31. ხილები და ბალახები.
32. გამოსაყენებლად თქვენთვის და თქვენის ჯოგებისა-

თვის.

33. ოდეს ყურის წამლები ხმა საყვირისა გავარდეს,
34. ოდეს ადამიანი გაექცეს თავისს ძმასა,
35. თავისს დედმამასა,
36. თავისს მეგობარ ქალსა და თავისს შვილებსა;
37. მაშინ ყოველსავე ადამიანს ეყოს თავისი საკუთარი-

საქმე.

38. იმ დღეს სახენი იქმნენ ბრწყინვალენი,
39. მოღიმარნი, მხიარულნი,
40. იმ დღესვე იქმნენ სხვა მტვერ შეყრილი ქარტლიანი

სახენიცა;

41. წყვდიადმა დააბნელოს იგინი;
42. ურჯულო, გარყვნილ არიან იგინი.

თ ა ვ ი LXXXI

გ ა დ ა ხ რ ი ლ ი მ ბ ე .

ნ ა ბ ო ძ ე ბ ი ა მ ე ქ ა ს . — 29 მ უ ხ ლ ა .

ს ა ხ ე ლ ი თ ა

ლ ზ ო თ ი ს ა

მ ო ლ ო მ ა ლ ი ს ა და შ ე მ ო მ ა ნ ა რ ა ბ ე ლ ი ს ა .

1. ოღეს მზემ გაღიხაროს,
2. ოღეს ვარსკვლავნი ჩამოჰსცვივდენ,
3. ოღეს მთანი ამოძრავდენ,
4. ოღეს ფაშატი აქლემები მიტევებულ იქმნენ,
5. ოღეს ნადირმა მხეცებმა ხრო-ხროდ თავი მოიყარონ,
6. ოღეს ზღვანი აღუღდენ,
7. ოღეს სულნი შეუღლდენ,
8. ოღეს ცოცხლად დამარხულ ქალიშვილს ჰკითხონ,
9. რა დანაშაულისთვის მოგაკვდინესო.
10. ოღეს წიგნის ფურცელი გაიშალოს;
11. ოღეს ცანი მიღმა გაღიწყონ;
12. ოღეს ჯოჯოხეთის სახმილს შეუჩუჩხურონ ჩეკითა,
რომ უკეთ აღიგზნოს;
13. ოღეს სამოთხე მოახლოვდეს,
14. ყოველმა სულმა თავისი ჩანადენი საქმე გამოიცნოს,
15. არ დავიფიცო უკან დამხვევი ვარსკვლავები,
16. რომელნიც სწრაფად სრბიან და თავს იმაღვენ;
17. ვფიცავ ღამესა, ოღეს შემოდის,
18. ცისკარსა, ოღეს ინთება,
19. რომ კურანი სიტყვაა ბრწყინვალე მოვლინებულისა,
20. ტახტის მეუფისა წინაშე ძლიერისა, მტკიცისა,
21. მბრძანებელისა და სარწმუნოსი.

22. თქვენი თანამოქალაქე ეშმაკეულ როდია.
23. იგი იხილა გარკვევით ზეცის მწვერვალზე.
24. და არც საექვოდ მიუჩნევია გამოცხადებულთ საიდუმლონი.
25. ეს ჩაქვავებულის მავნეს სიტყვები როდია.
26. მაშ რად მიდიხართ? (რა საგონებელს აძლევთ თავსა?)
27. კურანი გაფრთხილებაა მსოფლიოსათვის.
28. თქვენ შორის მათთვის, რომელნიც წრფელ გზას ეძებენ.
29. მაგრამ თქვენ ვერ ისურვებთ, თუ არ მას, რაც ღმერთს ჰსწადია, ქვეყნის მფლობელსა.

თ ა ვ ი LXXXII

ქა, რომელიც იბობა.

ნახობები შექას.—19 მუხლი.

ს ა ხ ე ლ ი თ ა

ლ ვ თ ი ს ა

მოწყალისა და შემწყნარებლისა.

1. ოდეს ცა გაიპოს,
2. ოდეს ვარსკვლავნი მიმოიფანტონ,
3. ოდეს ზღვებმა თავიანთი წყლები შეირთონ
4. ოდეს სამარენი აღმა-დაღმა იქცნენ,
5. სულმა თავისი ძველი და ახალი ნამოქმედარი იხილოს.
6. ადამიანო! რამ დაგაბრძავა, რომ ვერა ხედავ შენს უხვს მეუფესა,
7. შენს მეუფეს, რომელსაც გაუჩინიხარ, რომელსაც შენთვის ნაქეთა შორის სისრულე და სისწორე უბოძებია,

8. რომელსაც დაუსახეხნარ სახისამებრ, რომელიც მას უნებებია?

9. მაგრამ მისს სარწმუნოებას სიცრუედ ჰსთვლით.

10. დიახ, მას ჰყვანან დარაჯნი, რომელნიც თქვენ გითვალთვალებენ,

11. ბრწყინვალე დარაჯები, რომელნიც თქვენს მოქმედებას ჰსწერენ,

12. მათ უწყიან, რასაც ჰმოქმედებთ.

13. დიახ, მართალნი განცხრომათა საყოფელში იქმნენ.

14. დიახ, გარყვნილნი ჯოჯოხეთში იქმნენ.

15. განკითხვის დღეს ცეცხლში ჩაიწვან.

16. ვერ გაუსხლდენ.

17. ვინ გაცოდინოს, თუ რაა განკითხვის დღე?

18. ერთხელ კიდევ, ვინ გაცოდინოს, თუ რაა განკითხვის დღე?

19. იგია დღე იგი, ოდეს ერთმა სულმა ვერაფერი ილონოს მეორისათვის. იმ დღეს ყველაფერი ღმერთს ერგოს.

თ ა ვ ი LXXXIII

მ ო მ ტყ უ ე ბ ე ლ ნ ი.

ნაბაძებია მექას. — 36 მუხლი:

ს ა ხ ე ლ ი თ ა

ღ ვ თ ი ს ა

მოწყალისა და შემწყნარებელისა.

1. ვაი მათ, რომელნიც საწყაოსა და წონას აყალებენ,

2. რომელნიც ყიდვის დროს. სრულ საწყაოს მოითხოვენ,

3. და რომელნიც, ოდეს სხვებს მიუწყვენ, ანუ მიუწონიან, ატყუილებენ.

4. ნუ თუ არ იციან მათ, რომ ერთ დღეს უნდა აღდგომილ იქმნენ.

5. დიდის დღისათვის (აღდგომისა)?
6. იმ დღეს, კაცნი გამოცხადდენ ქვეყნის მეუფის წინაშე,
7. დიახ, გაქნილთა სია სიდჯინშია,
8. ვინ გაცოდინოს, თუ რაა სიდჯინი?
9. იგია წერილით დაბურული წიგნი.
10. იმ დღეს, ვაი მათ, რომელნიც ჩვენს სასწაულებს სიცრუედ ჰსთვლიან,
11. რომელნიც განკითხვის დღეს, როგორათაც სიცრუეს, ისე უმზერენ,
12. მარტო სჯულ-გადამავალს, ცოდვილს შეუძლიან სიცრუედ ჩაგდება.
13. მათ, რომელნიც, ოდეს მათ უკითხვენ ჩვენს მუხლებს, ამბობენ: ეგ ძველათგანი ზღაპრებიაო.
14. არა, მაგრამ მათმა ავმა ნამოქმედარმა რიდე გადაბურა მათ გულთა.
15. უეჭველია, იმ დღეს უფლის პირისაგან გაყოფილ-იქმნენ ფარდითა;
16. შემდგომ ჯოჯოხეთში ჩაყრილ იქნენ,
17. მათ უთხრან: მადერ სასჯელი, რომელსაც სიცრუედ ჰსთვლიდით.
18. უეჭველია, მართალთა სია ილლიუნშია.
19. ვინ გაცოდინოს, თუ რაა ილლიუნი?
20. იგია წერილით დაბურული წიგნი.
21. უფლის ხლებულნი მოწმე არიან მის, რაც იქაა, დამარხული.
22. უეჭველია, მართალნი განცხრომათა სამყოფელში იქმნენ.
23. სელებზე დამსხდართ მიმოავლონ თვალი.
24. უუბლზე მათ შეამჩნიო ნეტარების სხივი,
25. მათ მიართვან სასმელად რჩეული დაბეჭდილი ღვინო
26. ბეჭედი მუშკის იქმნეს. მაშ ვისაც ბრძოლა ჰსურსთ, მის დასაპყრობად, იბრძოლონ.

27. ღვინო იგი ტასნიმის წყალ ნარევი იქმნეს.
28. იგია წყარო, სადაც უფლის მახლობელთა თავი დაირწყულონ.
29. ცოდვილნი მორწმუნეთა დაჰსცინოდენ.
30. მათ ახლოს გავლის დროს თვალებით მისახედომ ნიშნებს აკეთებდენ.
31. ხოლო თავიანთ სახლობაში დაბრუნებისას, მათი დაუზოგველობა უხაროდათ (მორწმუნეთა დაუზოგველობა).
32. ოდეს დაინახავდენ, იტყოდენ: გზა დაბნეული ხალხიაო.
33. თუმცა მათდა სადარაჯოდ გამოგზავნილ არ იყვნენ.
34. აწ მორწმუნეთა ურჯულოებს დაჰსცინონ,
35. სელებზე მსხდომარეთა და მიმომზერალთა.
36. ურჯულოები განა დაჯილდოებულ არ უნდა იქმნენ თავიანთ საქმეთაებრ?

თ ა ვ ი LXXXIV

გახსნა, ანუ ცა, რომელიც გაიხსნება.

ნახბებიან მექას.—25 მუხლი.

ს ა ხ ე ლ ი თ ა

ღ ვ თ ი ს ა

მოდუალისა და უმოდუენარებაელისა.

1. ოდეს ცა გაიხსნას,
2. ოდეს უფალს დაემორჩილოს და მისის ბრძანების ასრულება იკისროს,
3. ოდეს დედამიწა პრტყლად გაიშალოს,
4. ოდეს თავისის წიაღითგან ამოჰყაროს ყველაფერი, რასაც ატარებდა, და ოდეს ოხრად დარჩეს,

5. ოდეს უფალს დაემორჩილოს და მისი პრძანების ასრულება იკისროს,
6. მაშინ შენ, ადამიანო! შენ, რომელსაც გსურდა უფლის ხილვა, იხილო იგი.
7. ვისაც მარჯვენა ხელში მისის ნამოქმედარის წიგნი მიჰსცენ,
8. მშვიდად გაასამართლონ იგი.
9. თავისს ოჯახში მხიარული დაბრუნდეს.
10. ვისაც მისის ნამოქმედარის წიგნი ზურგს უკან მიჰსცენ,
11. სიკვდილს მოუწოდოს მან,
12. იმასობაში კი ცეცხლით დაიწვას.
13. ქვეყანაზე იგი მხიარულებდა თავის სახლობაში.
14. ეგონა, თუ უფლის წინაშე არასოდეს გამოცხადდებოდა.
15. მაგრამ ღმერთი ყველაფერს ხედავდა.
16. არ დავიფიცო შებინდება,
17. ღამე და რასაც იგი შემოჰკრებს.
18. მთვარე, ოდეს ივსება და იბადრება,
19. ხარისხ-ხარისხ გაიაროთ.
20. რად აღარა ჰსწამსთ?
21. ოდეს მათ უკითხვენ კურანსა, რად არ განერთხმიან?
22. მეტადრე, ურჯულოებს მატყუარობად მიაჩნიათ იგი.
23. ხოლო ღმერთმა მათი ფარული სიძულვილი უწყის.
24. საშინელი სატანჯველი აუწყე,
25. მათ გარდა, ვისაც ურწმუნებიათ, ვინც კეთილს შერებიათ; ვინათგან უნდა მიიღონ სრული ჯილდო.

თ ა ვ ი LXXXV

ცისიერი ნიშნები.

ნაბოძებია მექას—22 მუხლი.

ს ა ხ ე ლ ი თ ა

ღ ვ თ ი ს ა

მოწყალისა და უმწყნარებელისა.

1. ვფიცავ ზოდიაქოს თორმეტის ნიშნით მოკაზმულ ცასა,
2. აღთქმულ დღესა,
3. მოწმესა და მოწმობასა,
4. წაწყმდენ (წყეულ იქმნენ), მფლობელნი ხრამისა,
5. გაუქრობლის ცეცხლით ავსებულისა,
6. ოდეს მართლად გარშემო ისხდნენ,
7. რათა თვითონვე მოწმე ყოფილიყვნენ მის, რომ მორწმუნეებს აწამებდენ.
8. მხოლოდ მიტომ სტანჯავდენ, რომ ძლიერი, დიდებული ღმერთი ჰსწამდათ.
9. ღმერთი, რომელსაც ცათა და ქვეყნის სასუფეველი ეკუთვნის და რომელიც ყოველის მოქმედების მოწმეა.
10. ვინც ორთავ სქესის მორწმუნეებს სატანჯველში ჰყრიდენ, ვისაც არ შეუნანებიათ, ჯანაბის სატანჯველს, ცეცხლის სატანჯველს შეეყარონ.
11. ვინც იწამონ და კეთილი ჰქმნან, ჯილდოდ წყლის ნაკადულით მორწყული წალკოტები ექმნესთ. დიდი ნეტარება იქმნეს.
12. შენის უფლის შურისძიება საშინელ იქმნეს.
13. ყველაფერს ჰბადებს იგი და ყველაფერს მიიქცევს იგი თვისადვე.—

14. იგია თავმდაბალ და საყვარულით საესე;
15. იგია დიდებულის ტახტის მპყრობელ,
16. აკეთებს, რაც ეპრიანება.
17. ნუ თუ არასოდეს გაგიგონია ამბავი ჯართა
18. ფარაოსა და თემუდელებისა?
19. ურჯულოები კი ყველაფერს უარჰყოფენ,
20. ღმერთი მათ უკანაა; მათ გარემოცავს.
21. ეს დიდებული კურანი
22. მოწიწებით შენახულ ფიცარზეა დაწერილი.

თ ა ვ ი LXXXVI

ღამის ვარსკვლავი.

ნაბოძებია მექას. — 17 მუხლი.

ს ა ხ ე ლ ი თ ა

ღ ვ თ ი ს ა

მოწყალისა და უმწყნარებლისა.

1. ვფიცავ ზეცას და ღამის ვარსკვლავსა,
2. ვინ გაცოდინოს, თუ რაა ღამის ვარსკვლავი?
3. იგია ვარსკვლავი, ხელ-შუბთა მტყორცნელი.
4. ყოველს სულს თავისი მეთვალყურე დარაჯი ჰყავს,
5. ადამიანმა განიხილოს, თუ შექმნილ რისგანაა:
6. ერჯი წვეთი დანთხეულის წყლისაგან,
7. რომელიც წენსა და გულის ძვალსა გამოჰსვლია.
8. უეჭველია ღმერთს შეუძლია მისი აღდგენა,
9. იმ დღეს, ოდეს ყველაფერი, რაცაა ფარული, გამო-
აშკარავდეს.
10. და ოდეს არც ძლიერება იქმნეს, არც დასაყრდნო-
ბელი, თუ არ ღვთის გარეშე.

11. ვფიცავ ზეცას, რომელიც თავისს საქცევს აღასრულებს,
12. დედამიწას, რომელიც იპობა, რათა მცენარენი აღა-
ორძინოს,
13. ქეშმარიტად, კურანი გადამწყვეტელი სიტყვაა.
14. ეს ტყუილ-უბრალო სიტყვა როდია.
15. იგინი ამოქმედებენ თავიანთ განზრახვასა,
16. ხოლო მეც ვამოქმედო ჩემი.
17. ვადა დაუდე ურჯულოებსა; მოსვენებით ამყოფე რა-
მდენსამე ხანსა.

თ ა ვ ი LXXXVII

ყოვლად უზენაესი.

ნაბოძებია მექს.—19 მუხლი.

ს ა ხ ე ლ ი თ ა

ლ ვ თ ი ს ა

მოწყალისა და შემწყნარებელისა.

1. აღიდე სახელი შენის უფლისა ყოვლად უზენაესისა,
2. რომელმაც ყველაფერი შექმნა და ყველაფერში სი-
სწორე ჩამოაგდო,
3. რომელმაც ყველაფერს დანიშნულება დაუდო და რო-
მელსაც ყველაფერი ერთი მიზნისაკენ მიჰყავს.
4. რომელიც საძოვრების ბალახს აღაორძინებს,
5. და ხმელ თივად აქცევს,
6. კურანის კითხვა გაჰსწავლოთ შენ და არაფერი დაგავი-
წყდეს.
7. მას გარდა, რაც ღვთისთვის უბრიანე იქმნეს, ვინათ-
გან მან უწყის, რაც საჯაროდ გამოცხადდება და რაც დაფა-
რულია.
8. ჩვენი გზები გაგიადვილოთ შენ.
9. გაათრთხილე, ვინათგან შენი გაფრთხილება მაცხო-
ვნებელია.

10. ვისაც ღმერთი ჰსწამს, გულის ხმა ჰყოს,
11. მხოლოდ დაგმობილი განშორდეს მას,
12. ის, რომელიც საზარელ ცეცხლს მიეფიცხოს;
13. არ მოკვდეს, არც დარჩეს.
14. ნეტარია, ვინც წმინდად ინახავს თავსა.
15. ვინც ღვთის სახელს იმეორებს და ლოცულობს.
16. ხოლო თქვენ გირჩევენიათ ამა სოფლის ცხოვრება;
17. თუმცა ყოფადი ცხოვრება უმჯობეს და უფრო ხანგრძლივცაა.
18. ეს იპოება ძველ წიგნებში,
19. აბრაამისა და მოსეს წიგნებში.

თ ა ვ ი LXXXIII

დ ა მ ბ უ რ ე ე ლ ი დ ღ ე .

ნაბეძვბია შექას.—26 მუხლი.

ს ა ხ ე ლ ი თ ა

ღ ვ თ ი ს ა

მოწყალისა და უმეფუნარებაელისა.

1. ნუ თუ არასოდეს გსმენია ღლისა, რომელმაც ყველაფერი დაბუროს,
2. იმ ღლისა, ოდეს სახენი ქვედახრილ იქმნენ,
3. მაშვრალ და დაღალულობით დაქანცულ,
4. მგზნებარე ცეცხლით დამწვარ.
5. ერთ წყაროზე დარწყულებულ?
6. მათ არ ექმნესთ სხვა საზრდო თვინიერ დარის ნაყოფისა,
7. რომელმაც სიბრგე არ მიჰსცესთ და შიმშილიც არ მოუკლას.

8. იმ დღეს სხვა სახენი მხიარულ იქმნენ.
9. თავიანთი უმანდელის შრომის კმაყოფილ.
10. დამკვიდრდენ უმაღლეს წალკოტებში,
11. სადაც წარამარა ლაპარაკი არავითარი მოისმას,
12. იქ ჰპოონ მჩქეფარე წყალთა ნაკადები.
13. ნიადაგის ზემოდ მაღალი სელები,
14. დამზადებული ფიალები,
15. რიგ რიგად ჩამომწკრივებული ბალიშები.
16. დაგებული ფარდაგები.
17. ნუ თუ თვალი არ მოუკრავსთ აქლემისათვის, თუ როგორ გაჩენილა;
18. ზეცისათვის, თუ როგორ ამალღებულა,
19. და მთებისათვის, თუ როგორ გაშენებულან დედამიწაზე.
20. და დედამიწისათვის, თუ როგორ განრთხმულა?
21. კაცი გააფრთხილე, ვინათგან მხოლოდ შენ ხარ გამაფრთხილებელი;
22. ხელშეუვალი უფლება მათზე არა გაქვს;
23. მაგრამ ვინც ზურგს შემოაქცევს და არ ირწმუნებს,
24. ღმერთმა დიდ განსაცდელში ჩააგდოს იგი.
25. ჩემდამი მოიქცნენ.
26. მერმე კი მე შეუდგე მათ ანგარიშსა.

თ ა ვ ბ LXXXIX

დღის გარიჟრაჟი.

საბოძებია შექს.—30 მუხლი.

ს ა ხ ე ლ ი თ ა

ლ ვ თ ი ს ა

მოწყალისა და შემწყნარებელისა.

1. ვფიცავ დღის გარიჟრაჟს და ათს ღამესა,
2. მას, რაც მრჩობილ და რაც მარტივია.
3. ღამეს, ოდეს იგი შეუდგება სრბოლასა.
4. განა ეს არაა გონიერის ადამიანის შესაფერი ფიცი?
5. ვერა ხედავ შენ, თუ ღმერთმა რა დამართა ადის ხალხსა,
6. რომელიც დიდ სვეტებიან ირემსა ცხოვრებდა;
7. ქალაქს, რომლის მსგავსიც არც ერთს ქვეყანაში იპოვებოდა?
8. თუ რა დამართა თემუდელეებსა, რომელნიც ბარად კლდისგან სახლებს იგებდნენ,
9. და ანძუხთა, სატანჯველის გამოძგონს ფარაოსაც?
10. იგინი ყველანი ჰჯაბნიდენ ქვეყანას.
11. და ავრცელებდენ ბოროტებას.
12. ღმერთმა ჰსცა მათ ყველას სასჯელის შოლტი,
13. ვინათგან შენი უფალი განუწყვეტილ მეთვალყურეა.
14. ოდეს ადამიანის გამოსაცდელად ღმერთი მას აავსებს სიკეთითა,
15. ადამიანი ამბობს: უფალი ყურადღებას მაქცევსო.
16. ხოლო როცა ღმერთი, გამოსაცდელად, თავის ნიჭთა მიუწყავს,

17. ადამიანი იძახის: უფალმა მაწყენინაო!
18. სრულიადაც არა, — თქვენ ხომ სულ არ იცით ობოლის გაკითხვა?
19. საწყალის გამოსაკვებად ერთმანერთს არ წაახალისებთ.
20. სხვათა სამკვიდრებელს ბრმა სიხარბით შთანთქამთ.
21. და სიმდიდრე უსაზღვრო სიყვარულით გიყვარსთ.
22. დიახ, ოდეს დედამიწა პატარ-პატარა ნაწილაკებად იქცეს;
23. ოდეს შენი უფალი მოვიდეს და ოდეს ანგელოზებმა მწყობრები შეადგინონ;
24. ოდეს დააშურონ ჯანაბა, რომელმაც ცოდვილები უნდა ჩაყლაპოს; ოჰ! მაშინ ადამიანმა იფიქროს, მაგრამ რაშილა გამოადგესთ მაშინ ფიქრი?
25. დაიძახოს: ნეტა ღვთით კეთილი მეღვაწა ჩემი სისცოცხლის განმავლობაში? იმ დღეს, ღმერთივით ვერავინ დაჯის.
26. ღმერთივით ვერავინ მოუქერს ჯაჭვებითა;
27. ხოლო შენ სულთა მისანდოსაო! შენს ბედზედ დარწმუნებულთა,
28. მიიქეც ღვთის წინაშე, შენის ჯილდოს კმაყოფილო და სათნო ღვთისაო.
29. შედი ჩემ მსახურთა რიცხვში;
30. შედი ჩემს სამოთხეში.

თ ა ვ ი X C

მ ხ ა რ ე.

ნაბოძებია მექას. — 20 მუხლი.

ს ა ხ ე ლ ი თ ა

ლ ვ თ ი ს ა

მოწყალისა და შემწყნარებელისა.

1. არ დავიფიცო ეგ მხარე,
2. მაზრა, რომელშიაც დამკვიდრებულ ხარ;
3. არც მამა, არც შვილი.
4. ჩვენ გავაჩინებ ადამიანი სილარიბეში.
5. ნუ თუ წარმოუდგენია, მის უძლიერესი არავინ იყოს?
6. იძახის: აუარებელი თეთრი დავხარჯეო!
7. ნუ თუ ჰფიქრობს ვერავინ ხედავდეს?
8. ნუ თუ არ მიგვიცია მისთვის ორი თვალი,
9. ერთი ენა და ორი ბაგე?
10. ნუ თუ არ დაგვიყენებია იგი ორ დიდ გზაზე (კეთილისა და ბორცვისაზე)?
11. მაგრამ ჯერ კიდევ მაინც ვერ ჩამოსულა ბორცვი-გან.
12. ვის შეუძლია სწავლება, თუ რაა ბორცვი?
13. იგია ტყვეთა გამოსყიდვა,
14. გამოკვება, შიმშილობის დროს,
15. ობლისა, რომელიც ჩვენი მახლობელია,
16. ან საწყალისა, რომელიც უქონლობაშია ჩავარდნილი,
17. და რომელიც მას გარდა მათგანია, ვისაც ჰსწამსთ და ერთმანერთს სინანულს ამცნებენ, ვინც ერთმანერთს გულშემატკივრობას ამცნებენ.

18. იგინი ყველანი იქმნენ მარჯვენის ხალხი უკანასკნელის გასამართლების დღეა,

19. ვინც ჩვენი სასწაულები არ იწამონ, მარცხენის ხალხი იქმნენ,

20. მათ ზემო ცეცხლი მოედოს.

თ ა ვ ი. XCI

მ ზ ე.

ნაბოძებია მექას.—15 მუხლო.

ს ა ხ ე ლ ი თ ა

ლ ვ თ ი ს ა

მოწყალისა და შემწყნარებელისა.

1. ვფიცავ მზეს და მის ბრწყინვალეებასა,
2. მთვარეს, ოდეს მას მიჰსდევს ახლო,
3. დღეს, ოდეს გვანახვებს მას მართლად მისის ბრწყინვალეებითა,
4. ღამეს, ოდეს მას დაბურავს,
5. ცასა და იმასაც, რომელსაც ის აუგია.
6. ქვეყანას და იმასაც, რომელსაც იგი დაუფენია ფარდავივით,
7. სულს და იმასაც, რომელსაც ის დაუსახავს,
8. და რომელსაც მისთვის შთაუბერავს უკეთურება და ღვთისნიერება;
9. ვინც წმინდად დაიცავს მას, ნეტარ იქმნეს.
10. ვინც მას გარყვნის, წაწყმდეს.
11. მეშფოთრობის სულით დაბნეულმა თემუდმა საღეს-მოციქულობა სიცრუედ ჩაადლო.
12. ოდეს ყველაზედ უფრო მეამბოხენი ფურაქლების მოსაკლავად მოცვიდენ,

13. ღვთის მოციქულმა საღებ მათ უთხრა: ეგ ღვთის ფურაქლემა, მიუშვით დალიოსო.

14. მატყუარად ჩასთვალეს იგი, ხოლო ფურაქლემა მოჰკლეს. უფალმა იგინი დასაჯა მათი ცოდვისათვის და თავისი სასჯელი ყველაზე გადიტანა.

15. შედეგისაჲ იმიტომ არ ეშინია.

თ ა ვ ი XCII

ლ ა მ ე.

ხაბოძებია მექას.— 21 მუხლი

ს ა ხ ე ლ ი თ ა

ლ ვ თ ი ს ა

მოწყალისა და შემწყნარებელისა.

1. ვფიცავ ღამეს, ოდეს იგი გაშლის თავისს საბურველსა,
2. დღეს, ოდეს იგი ეღვარებს მრთლად თავისი ბრწყინვალეებითა.
3. მას, რომელსაჲ დედალ-მამალი გაუჩენია,
4. თქვენს ღონისძიებას სხვა და სხვა დასასრული აქვს.
5. მაგრამ ვინც აძლევს და ეშინია,
6. ვინც სარწმუნოდ გაიხდის განცხადების შვენიერ სიტყვასა,
7. მას გავუადვილოთ ჩვენ ნეტარების გზა.
8. ხოლო ვინც თავისის ქონებით პურშავია და ყველაფერი დანარჩენი ეზიზღება,
9. ვინც სიცრუესავით უცქერის გამოცხადების შვენიერ სიტყვასა,
10. მას გაუძნელოთ ჩვენ გზა, რომელიც მიმყვანია უკუღმართობასთან.
11. სიმდიდრე არაფრად გამოადგეს, ოდეს ბედუკუღმართად ჩაიღუბოს ჯოჯოხეთის ხრამში?

12. ჩვენ ვიდებთ თავსა ხალხის წარმართებასა.
13. ჩვენ გვეკუთნის ყოფადი ცხოვრება და სააქაოს ცხოვრებაცა.
14. მე გაგაფრთხილეთ კიდევ ცეცხლისაგან, რომელიც ლაპლაპებს.
15. იქ ჩაგდებულ იქმნეს მხოლოდ არ დასაცალელებელი,
16. რომელსაც გამოცხადება სიცრუედ მიაჩნია და ზურგს შეაქცევს.
17. სათნო ადამიანი მას გაუსხლდეს.
18. იგი, რომელიც თავისს სიმდიდრეს ხარჯავს რათა უფრო წმინდა გახდეს,
19. არც იმიტომ, რათა მისი სიკეთე მიეგოს მასვე,
20. არამედ ერთად ერთის სურვილით, რათა უმაღლესის ღვთის ყურადღება მიიქციოს.
21. უთუოდ დაკმაყოფილებულ იქმნეს იგი.

თ ა ვ ი XCIH

ღ ი ლ ა.

ნაბოძებია შექას.—11 მუხლი.

ს ა ხ ე ლ ი თ ა

ღ ვ თ ი ს ა

მოწყალისა და შემწყნარებელისა.

1. ვფიცავ დილასა,
2. ღამეს, ოდეს მისი სიბნელე ხშირდება,
3. შენს უფალს არ დავიწყებინარ, არ შესძულებინარ,
4. ყოფადი ცხოვრება გიჯობს აწყო ცხოვრებასა.
5. ღმერთმა სიკეთე მოგანიჭოს და გულისავე იქმნე.
6. ნუ თუ არ იყავ შენ ობოლი და ნუ თუ არ შეგიწყნარა მან?

7. დაბნეული გზა და გიწინამძღვრა.
8. ღარიბი გზა და გაგამდიდრა.
9. ობოლის მიმართ ძალადობას ნუ ჩაიდენ.
10. მათხოვრის გაგდებას ერიდე.
11. უმჯობესია შენის უფლის ქველმოქმედებას მოჰყვე.

თ ა ვ ი XCIV

ნუ თუ არ გაგვიღია?

ნაბოძებია შექას. — 8 მუხლი.

ს ა ხ ე ლ ი თ ა

ღ ვ თ ი ს ა

მოწყალისა და უმწყნარებელისა:

1. ნუ თუ არ გაგვიღია შენთვის გული,
2. და არ აგვირთმევია ტვირთვი.
3. რომელიც მხრებზედ გემძიმებოდა?
4. ნუ თუ არ აგვიწევია მალლა შენი სახელი?
5. ხოლო უკუღმართობასთან ბედნიერებაცაა;
6. დიახ უკუღმართობასთან ბედნიერებაცაა.
7. ოდეს საქმეს მორჩე, გაისარჯე.
8. და უკუ შეუდექ მასვე გულმოდგინებითა.

თ ა ვ ი XCV

ლ ე ლ ვ ი ს ხ ე .

ნაბოძებია მექას. — 8 მუხლი.

ს ა ხ ე ლ ი თ ა

ლ ვ თ ი ს ა

მოწყალისა და შემწყნარებელისა.

1. ვფიცავ ლელვისა და ზეთისხილის ხესა,
2. სინას მთასა.
3. მექას საღვთო მიწა წყალსა,
4. ადამიანი შევნიერ სახედ შევქმენით.
5. ხოლო მასუკან კიბის ყოვლად მდაბალ საფეხურზე ჩამოვაგდოთ იგი.
6. მათ გარდა, ვინც იწამონ და კეთილი ჰქმნან, ვინათგან იმათ ექმნესთ სრული სასყიდელი.
7. ამიერითგან ვის შეუძლია ჰეშმარიტი სარწმუნოება სიცრუედ ჩაგაგდებინოს?
8. ღმერთი არაა განა უმჯობეს მსაჯულთაგანი?

თ ა ვ ი XCVI

შ ე დ ე დ ე ბ უ ლ ი ს ი ს ხ ლ ი .

ნაბოძებია მექას. — 19 მუხლი.

ს ა ხ ე ლ ი თ ა

ლ ვ თ ი ს ა

მოწყალისა და შემწყნარებელისა.

1. წაიკითხე, სახელითა შენის უფლისა, რომელმაც ყველაფერი შექმნა.
2. რომელმაც კაცი გააჩინა შედედებულის სისხლისაგან.
3. წაიკითხე, ვინათგან შენი უფალი ყოვლად უხვია.

4. მან ასწავლა (კაცს) კალმის ხმარება;
5. მან ასწავლა კაცს ის, რაც კაცმა არ იცოდა.
6. ღიახ.—მაგრამ ადამიანი მეშფოთარ იქმნება,
7. მაშინვე რაკი თავის თავს მდიდარს დაინახავს.
8. ყველაფერი ღვთისადმი უნდა მიიქცეს,
9. რას ფიქრობ მისთვის, რომელიც უშლის
10. მსახურს ღვთის ვედრებასა?
11. რა გგონია, წრფელ გზას რომ უფრო შეჰსდგომოდა.
12. და სათნოების ჩამგონებელი ყოფილიყო?
13. რა გგონია, ადამიანმა რო ქეშმარიტება სიცრუედ
ჩააგდოს და ზურგი შეაქციოს?
14. ნუ თუ არ იცის, რომ ღმერთი ხედავს?
15. ღიახ, და თუ არ მოიშლის, ხელი ვჰსტაცოთ მას
შუბლის თმაში.
16. მატყუარა და ცოდვილის შუბლისაში.
17. თავისი სათათბირო შეჰყაროს მან,
18. ხოლო ჩვენ ჩვენი დარაჯები შევეყაროთ.
19. არ დაემორჩილო მას; არამედ თაყვანი ეცი ღმერთსა
და მასთან დაახლოვებას ეცადე.

თ ა ვ ი XCVII

ა ლ კ ა დ რ.

ჩაბოძებია მექას.—ნ მუხლი.

ს ა ხ ე ლ ი თ ა

ღ ვ თ ი ს ა

მოწყალისა და შემწყნარებლისა.

1. კურანი გადმოგავლინეთ ალკადრის ღამეს.
2. ვინ გაცოდინოს, თუ რაა ალკადრის ღამე?
3. ალკადრის ღამე ათას თვეზედ უმეტესად ღირს.
4. იმ ღამეს ანგელოზები და სული გადმოვიდენ ქვეყნად
ღვთის ნებართვით, რათა ყოველი საქმე წარმართონ.
5. მყუდროება თანახლავს იმ ღამეს ცისკრის ამოსვლამდე.

თ ა ვ ი XCVIII

ცხადი სასწაული.

ნაბოძებია მექას. — 8 მუხლი.

ს ა ხ ე ლ ი თ ა

ღ ვ თ ი ს ა

მოწყალისა და შემწყნარებლისა.

1. ურჯულოებმა, მათ შორის, რომელთაც წერილი მიიღეს, აგრეთვე კერპთაყვანის მცემლებმაც, განხეთქილება ჩამოაგდეს მხოლოდ მაშინ, ოდეს გამოჩნდა ღვთის სიკეთის ცხადი სასწაული,

2. მოვლინებული, ღვთისაგან მომავალი, და რომელიც სხვა და სხვა წერილის შემცველ ფურცლებს უკითხავს მათ.

3. ვინც წერილი მიიღეს, მწვალებლებად დაიყვნენ მხოლოდ მაშინ, ოდეს ცხადი სასწაული მოერთვათ.

4. რას ამცნებენ მათ, თუ არ გულწრფელის თაყვანისცემით ღვთის გაღმერთებას, ღვთისათვის დავდადებულ ყოფნას, ლოცვის აღსრულებას, სამოწყალოს გაღებას? ესაა ჭეშმარიტი სარწმუნოება.

5. ურჯულოები. მათ შორის, რომელთაც წერილი მიიღეს, აგრეთვე კერპთაყვანის მცემლებიც, საუკუნოდ დარჩნენ ჯანაბის ცეცხლში. ყველა გაჩენილ არსთა შორის ყოველად უკეთურ არიან იგინი.

6. ვისაც ჰსწამთ და კეთილს შვრებიან, ყველა გაჩენილ არსთა შორის უმჯობეს არიან.

7. მათი ჯილდოა ღვთის წინაშე ედემის წალკოტები, წყლის ნაკადულით მორწყული და იქვე დაჰყონ საუკუნოდ.

8. ღმერთი მათზე გულსავსე იქმნეს. იგინიც იქმნენ მათზე გულსავსე. აი რაა შენახული მისთვის, რომელსაც უფლის ეშინია.

თ ა ვ ი X C I X

მიწის ძეგრა,

ნახაძეების მექას. — 8 მუხლი

ს ა ხ ე ლ ი თ ა

ღ ვ თ ი ს ა

მოწყალისა და შემწყნარებელისა.

1. ოდეს მიწა იძრას, ძრვითა, რომელიც მას ეთვისება,
2. ოდეს თავისის ტვირთისაგან გაიცალოს,
3. აღამიანმა იკითხოს: რა ემართებაო?
- 4, მაშინ მოუთხრას მან თავისი თავგადასავალი
5. მისებრ, რაც შენმა უფალმა გამოუცხადოს,
6. იმ დღეს, ხალხი ჯგუფ-ჯგუფად წამოიწიოს, რათა თავიანთი ნასაქმი იხილონ.
7. ვინც ერთი ცახე წონა კეთილი ჰქმნას, იხილოს იგი,
8. მანცა, ვინცერთი ცახე წონა ბოროტი ჰქმნას, აგრეთვე იხილოს იგი.

თ ა ვ ი C

მ ო რ ბ ე დ ნ ი.

ნახაძეების მექას. — 11 მუხლი.

ს ა ხ ე ლ ი თ ა

ღ ვ თ ი ს ა

მოწყალისა და შემწყნარებელისა.

1. ვფიცავ სულ-დაუღებელ მორბედთა,
2. მორბედთა, რომელნიც თავიანთი რკინის შემოკვრით ცეცხლს გააყრევიებენ,
3. მათ, რომელნიც მტრებს დილით თავს დაესხმიან,

4. რომელიც მათ ფეხთა ქვეშ მტვერს აადენინებენ,
5. რომელიც გზას გაიღებენ მტერთა რაზმებ შორის;
6. მართლა ადამიანი თავისის უფლის უმადურია.
7. მართლა თვითონ ხედავს ამას.
8. ამა სოფლის კეთილთა სიყვარულით გულმხურვალეა.
9. ნუ თუ არ იცის, ოდეს საფლავებში მყოფი დაიმხოს,
10. ოდეს გულის საიდუმლონი საჯაროდ გამოცხადდენ,
11. მაშინ ღმერთი მისი მოქმედების მცოდნე იქმნეს.

თ ა ვ ი ც ი

კ ვ ე თ ე ბ ა .

სახბობებია შექას. — 8 მუხლი.

ს ა ხ ე ლ ი თ ა

ღ ვ თ ი ს ა

მოწყალისა და შემწყნარებელისა.

1. კვეთება. რაა კვეთება?
2. ვინ გაცოდინოს, თუ რაა კვეთება?
3. დღე იგი, ოდეს ხალხნი პეპელებივით მიმოიფანტონ,
4. ოდეს მთანი ფერადის მატყლის ბელტებივით მიმოფანტონ.
5. ვისიც ნაღვაწი წონაში მძიმე მოვიდეს, საამური ცხოვრება ექმნეს,
6. ვისიც ნაღვაწი მჩატე მოვიდეს, სადგომად ხრამი (ელჰავი) ექმნეს.
7. ვის შეუძლია გაცოდინოს, თუ რაა ხრამი?
8. იგია მგზნებარე ცეცხლი.

თ ა ვ ი CII

გამდიდრების სურვილი.

ნაბოძებია შექას. — 8 მუხლი.

ს ა ხ ე ლ ი თ ა

ღ ვ თ ი ს ა

მოწყალისა და უმეფუნარებაელისა.

1. თქვენის სიმდიდრის გამრავლების სურვილი საქმედა გაქვსთ,
2. ვიდრე საფლავში ჩახვიდოდეთ;
3. უსათუოდ შეიტყოთ,
4. ერთხელ კიდევ, შეიტყოთ, თუ რაა იქა.
5. ეჰ, ნეტა ნამდვილის ცოდნით გცოდნოდათ!
6. მაშინ ჯოჯობეთი იხილოთ.
7. ყოვლად სრულის სინამდვილით იხილოთ.
8. მაშინ ამა სოფლის სიამოვნებისა გკითხონ.

თ ა ვ ი CIII

ნაშუადღევის ჟამი.

ნაბოძებია შექას. — 3 მუხლი.

ს ა ხ ე ლ ი თ ა

ღ ვ თ ი ს ა

მოწყალისა და უმეფუნარებაელისა.

1. ვფიცავ ნაშუადღევის ჟამსა,
2. აღამიანი თავის წასაწყებდად იღვწის.
3. გამოხვიდე მათ, რომელთაცა ჰსწამსთ და კეთილს საქმეებს ჰსჩადიან, რომელნიც ერთმანეთს ჩემმარტებას და მოთმინებას ამცნებენ.

თ ა ვ ი ც ი

ცილის მწამებელი.

საბოძებია მექას. — 9 მუხლი.

ს ა ხ ე ლ ი თ ა

ლ ვ თ ი ს ა

მოწყალისა და შემწყნარებლისა.

1. ვაი ყოველ ავად მახსენებელ ცილის მწამებელსა,
2. რომელიც სიმდიდრესა ხვეჭს და მომავლისათვის ინახავს!
3. ჰგონიჲ, თუ საუნჯემ საუკუნოდ აცოცხლოს.
4. უსათუოდ ალჰოტამაში ჩაგდებულ იქმნეს.
5. ვინ გაცოდინოს, თუ რაა ალჰოტამა!
6. იგია ღვთის ცეცხლი, აღზნებული, ცეცხლი;
7. რომელიც დაგმობილებს გულთა მოედოსთ.
8. გარემოიცვას, როგორათაც კამარამ,
9. რომელიც სვეტებზეა დამყარებული.

თ ა ვ ი ც ი

ს ბ ი ლ ო .

საბოძებია მექას. — 5 მუხლი.

ს ა ხ ე ლ ი თ ა

ლ ვ თ ი ს ა

მოწყალისა და შემწყნარებლისა.

1. არ გიხილავს განა, უფალი როგორ მოეპყრო სპილო სან ხაღხსა?
2. ნუ თუ არ დაურღვევია მათი განზრახვა?
3. არ მოუვლენია მათ წინააღმდეგ სირ-აბაბილები.

4. რომელიც მათ ესროდენ ცაზე აღბეჭდილ ნიშნო-
ვან ქვებსა.

5. იგინი აქცია, როგორათაც მარცვალ გამოხრული
ჩენჩო.

თ ა ვ ი CVI

კ ო რ ე ი შ ე ლ ე ბ ი.

ნაბოძებია მექას. — 4 მუხლი

ს ა ხ ე ლ ი თ ა

ღ ვ თ ი ს ა

მოწყალისა და შემწყნარებელისა.

1. კორეიშელთა შესაერთებლად;
2. მათ შესაერთებლად, რათა ჰგზავნონ ქარავნები ზამ-
თარ და ზაფხულ!
3. ამ ტაძრის ღმერთს ემსახურონ, იმ ღმერთსა, რო-
მელმაც იგინი დაარჩინა და შიმშილისაგან დაიფარა.
4. და რომელმაც შეძრწუნებისაგან იხსნა.

თ ა ვ ი CVII

ს ა მ ო წ ყ ა ლ ო .

ნაბოძებია მექას. — 7 მუხლი.

ს ა ხ ე ლ ი თ ა

ღ ვ თ ი ს ა

მოწყალისა და შემწყნარებელისა.

1. რას ფიქრობ მისთვის, რომელიც ამ სარწმუნოებას
სიცრუედ ჰსთვლის?
2. იგი გააგდებს ობოლსა.
3. სხვებს არ წაახალისებს გლახაკის გამოსაკვებად.

4. ვაი მათ, რომელნიც ღოცვას აღასრულებენ,
5. და გულ აცრუებითაც აღასრულებენ;
6. რომელნიც საჩვენებლად აღასრულებენ,
7. უარსაც ამბობენ, მიუცილებელი სამოწყალო გაიღონ მათთვის, რომელნიც გაჭირვებულ არიან!

თ ა ვ ი C V I I I .

ქ ა უ თ ე რ ი .

ნაბეძვბია მექას. — 3 მუხლი.

ს ა ხ ე ლ ი თ ა .

ღ ვ თ ი ს ა .

მოწყალისა და შემწყნარებელისა.

1. ქაუთერი გიბოძეთ.
2. შენი ღოცვა უფლისადმი აღავლინე და საღმთო დაუკალ:
3. შენი მოძულე დაიღუბოს ისე, კვალიც არ დარჩეს მისი.

თ ა ვ ი C I X .

უ რ ჯ უ ლ ო ე ბ ი .

ნაბეძვბია მექას. — 6 მუხლი.

ს ა ხ ე ლ ი თ ა .

ღ ვ თ ი ს ა .

მოწყალისა და შემწყნარებელისა.

1. ჰსთქვი: ურჯულოებო!
2. არა თაყვანი ვჰსცე მას, რასაც თაყვანს ჰსცემთ.
3. არა თაყვანი ჰსცეთ მას, რასაც თაყვანს ვჰსცემ.
4. არა თაყვანს ვჰსცემ მას, რასაც თაყვანს ჰსცემთ.
5. არა თაყვანს ჰსცემთ მას, რასაც თაყვანს ვჰსცემ.
6. თქვენა გაქვსთ თქვენი სარწმუნოება; ხოლო მე ჩემი.

თ ა ვ ი CX

შ ე მ წ ე ო ბ ა,

ნახობებია მექას.—ვ. მუხლი.

ს ა ხ ე ლ ი თ ა

ღ ვ თ ი ს ა

მოწყალისა და უმწყნარებელისა.

1. ოდეს ღვთის შემწეობა და გამარჯვება მოგვევლინებოდეს.
2. და შენც ხედავდე, ხალხი გუნდ გუნდად შედიოდეს ღვთის სარწმუნოების წიაღსა.
3. ქება უგალობე შენს უფალსა და მიტევებას ვევედრე, უსათუოდ მოყვარულია მიტევებისა.

თ ა ვ ი CXI

ა ბ უ - ლ ა ჰ ა ბ.

ნახობებია მექას.—ვ. მუხლი.

ს ა ხ ე ლ ი თ ა

ღ ვ თ ი ს ა

მოწყალისა და უმწყნარებელისა.

1. აბულაჰაბს ორივე ხელი მოვარდეს და თვითონ იგიც ამოვარდეს!
2. სიმდიდრე და მოქმედება ვერაფრად გამოადგეს.
3. გუზგუზა ცეცხლით დაიწვას.
4. აგრეთვე მისი ცოლიც, შეშის მიმტანი.
5. ყელი შებაწრულ ექმნეს ინდის ხურმის ღვლერქითა.

თ ა ვ ი CXII

ღვეთის ერთობა.

ნაბოძებია მექას—4 მუხლი.

ს ა ხ ე ლ ი თ ა

ღ ვ თ ი ს ა

მოწყალისა და ზემოყნაარებალისა.

1. ჰსთქვი: ღმერთი ერთი არს.
2. ღმერთს მიმართავს გაჭირვების დროს ყოველი სულდგმული.
3. არ უშობია, არც შობილა.
4. სწორი არა ჰყავს, რაშიაც უნდა იყოს.

თ ა ვ ი CXIII

ღღის განთიადი.

ნაბოძებია მექას.—5 მუხლი.

ს ა ხ ე ლ ი თ ა

ღ ვ თ ი ს ა

მოწყალისა და ზემოყნაარებალისა.

1. ჰსთქვი: თავშესაფარს ვეძებ ღღის განთიადის უფლის წინაშე.
2. წინააღმდეგ იმის გაჩენილ არსთა უკეთურობისა.
3. წინააღმდეგ ბნელის ღამისა, ოდეს შემოგვესწრება.
4. წინააღმდეგ ბოხჩების გამბერავ ქალთა უკეთურობისა.
5. წინააღმდეგ მოშურნის ბოროტებისა, ჩვენდამი შური რო მოაქვს.

თ ა ვ ი CXIV

ქ ა ქ წ ი.

ნაბოძებია მექას.—ი მუხლი.

ს ა ხ ე ლ ი თ ა

ლ ვ თ ი ს ა

მოწყალისა და შამწყანაკაბელისა.

1. თავშესათარს ვეძებ წინაშე კაცთა უფლისა,
2. კაცთა მეუფისა,
3. კაცთა ღვთისა;
4. წინააღმდეგ უკეთურობისა მის, რომელიც ცუდის შემგონებელია და იმალება,
5. რომელიც ბოროტებას გულს ჩაჰბერავს კაცთა;
6. წინააღმდეგ ჯინთა და წინააღმდეგ კაცთა;

დასასრული კურანისა.

წიგნი მესამე მანქანა